

**სსიპ-დავით აღმაშენებლის სახელობის
საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია**

**LEPL-DAVID AGHMASHENEBELI NATIONAL DEFENCE
ACADEMY OF GEORGIA**



**მშვიდობისა და სტაბილურობის თანამედროვე გამოწვევები
CONTEMPORARY CHALLENGES TO PEACE AND STABILITY**



**სტუდენტური კონფერენციის ნაშრომთა კრებული
COLLECTION OF PAPERS OF THE STUDENT CONFERENCE**

ბორი, 2024

**სსიპ-დავით აღმაშენებლის სახელობის
საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია**

**LEPL-DAVID AGHMASHENEBELI NATIONAL DEFENCE
ACADEMY OF GEORGIA**



**გზვიდობისა და სტაბილურობის თანამედროვე გამოწვევები
CONTEMPORARY CHALLENGES TO PEACE AND STABILITY**

**სტუდენტური კონფერენციის ნაშრომთა კრებული
COLLECTION OF PAPERS OF THE STUDENT CONFERENCE**

ბორი, 2024

სარედაქციო კოლეგია

სარედაქციო კოლეგიის ხელმძღვანელი

ბრიგადის გენერალი მამია ბალახაძე

სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის რექტორი

სარედაქციო კოლეგიის წევრები

პოლკოვნიკი ირაკლი უჩაძე

სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის მაგისტრატურის ხელმძღვანელი

ვიცე-პოლკოვნიკი არკადი ანთია

სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის მაგისტრატურის თავდაცვის ანალიზის მიმართულების უფროსი

ნიკოლოზ სამხარაძე

სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის მაგისტრატურის თავდაცვის ანალიზის მიმართულების პროფესორი

არჩილ ჩაჩხიანი

სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის მაგისტრატურის თავდაცვის ანალიზის მიმართულების ასოცირებული პროფესორი

ნინო ოხანაშვილი

სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის მაგისტრატურის თავდაცვის ანალიზის მიმართულების ასისტენტ პროფესორი

ვიცე-პოლკოვნიკი ლევან
გოზალიშვილი

სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის მაგისტრატურის უსაფრთხოების კვლევების მიმართულების უფროსი

ლევან ნიკოლეიშვილი

სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის მაგისტრატურის უსაფრთხოების კვლევების მიმართულების პროფესორი

შადიმან ბიწაძე

სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის მაგისტრატურის უსაფრთხოების კვლევების მიმართულების ასოცირებული პროფესორი

© საავტორო უფლებები დაცულია

გამომცემლობა:

სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის

საქართველოს ეროვნული თავდაცვის

აკადემია 2024

ISBN-978-9941-8-7304-1

ქეთევან ჩახავა	სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის მაგისტრატურის უსაფრთხოების კვლევების მიმართულების ასისტენტ პროფესორი
პოლკოვნიკ ჯაბა ზალოშვილი	სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის მაგისტრატურის სახელმწიფო რესურსების მართვის მიმართულების უფროსი
გიორგი კბილცეცხლაშვილი	სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის მაგისტრატურის სახელმწიფო რესურსების მართვის მიმართულების პროფესორი
ვიცე-პოლკოვნიკი ნიკოლოზ ხაჩიძე	სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის ბაკალავრიატის ხელმძღვანელი
ვიცე-პოლკოვნიკი ზვიად აბუთიძე	სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის ბაკალავრიატის ინფორმატიკის მიმართულების უფროსის მოვალეობის შემსრულებელი
ალექსი ბურდულაძე	სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის ბაკალავრიატის ინფორმატიკის მიმართულების პროფესორი
ნანი არაბული	სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის ბაკალავრიატის ინფორმატიკის მიმართულების ასოცირებული პროფესორი
რომეო გალდავა	სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის ბაკალავრიატის ინფორმატიკის მიმართულების ასოცირებული პროფესორი
გიორგი კაკაშვილი	სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის ბაკალავრიატის ინფორმატიკის მიმართულების ასოცირებული პროფესორი
ლევან ჭოლიკიძე	სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის ბაკალავრიატის ინფორმატიკის მიმართულების ასოცირებული პროფესორი

ზურაბ სამხარაძე

სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მთავარი მეცნიერი

კომპიუტერული დიზაინერი

თამარ კანდელაკი

სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მთავარი სპეციალისტი

Editorial Board

Head of the Editorial Board

Brigadier General Mamia Balakhadze Rector of LEPL-David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia

Members of the Editorial Board

Colonel Irakli Uchadze Head of MA Program of LEPL - David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia

Lieutenant Colonel Arkadi Antia Head of MA Program in Defence Analysis at LEPL – David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia

Nikoloz Samkharadze Professor of MA Program in Defense Analysis at LEPL – David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia

Archil Chachkhiani Associate Professor of MA Program in Defense Analysis at LEPL – David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia

Nino Okhanashvili Assistant Professor of MA Program in Defense Analysis at LEPL – David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia

Lieutenant Colonel Levan Gozalishvili Head of MA Program in Security Studies at LEPL – David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia

Levan Nikoleishvili Professor of MA Program in Security Studies at LEPL – David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia

Shadiman Bitsadze Associate Professor of MA Program in Security Studies at LEPL – David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia

**© ALL RIGHTS RESERVED
PUBLISHING:**

**LEPL - DAVID AGHMASHENEBELI
NATIONAL DEFENCE ACADEMY OF
GEORGIA 2024
ISBN-978-9941-8-7304-1**

Ketevan Chakhava	Assistant Professor of MA Program in Security Studies at LEPL–David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia
Colonel Jaba Zaloshvili	Head of MA Program in State Resource Management at LEPL–David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia
Giorgi Kbiltsetskhilashvili	Professor of MA Program in State Resource Management at LEPL – David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia
Lieutenant Colonel Nikoloz Khachidze	Head of the Bachelor's at LEPL – David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia
Lieutenant Colonel Zviad Abutidze	Acting Chief of the Bachelor's program in Informatics at LEPL – David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia
Aleksi Burduladze	Professor of the Bachelor's Program in Informatics at LEPL-David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia
Nani Arabuli	Associate Professor of the Bachelor's Program in Informatics at LEPL-David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia
Romeo Galdava	Associate Professor of the Bachelor's Program in Informatics at LEPL - David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia
Giorgi Kakashvili	Associate Professor of the Bachelor's Program in Informatics at LEPL - David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia
Levan Cholikidze	Associate Professor of the Bachelor's Program in Informatics at LEPL - David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia
Lieutenant Colonel Ioseb Turashvili	Head of the Bachelor's Program in Management at LEPL - David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia
Ketevan Chiabrishvili	Professor of the Bachelor's Program in Management at LEPL-David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia
Rusudan Dalakishvili-Chichinadze	Associate Professor of the Bachelor's Program in Management at LEPL - David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia
Tinatin Jorjoliani	Associate Professor of the Bachelor's Program in Management at LEPL - David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia

Shalva Kvezereli	Associate Professor of the Bachelor's Program in Management at LEPL - David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia
Givi Duchidze	Associate Professor of the Bachelor's Program in Management at LEPL - David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia
Lieutenant Colonel Omar Turmanidze	Head of the Bachelor's Program in Defence and Security at LEPL - David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia
Levan Gegeshidze	Professor of the Bachelor's Program in Defence and Security at LEPL - David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia
Colonel Giorgi Laghiashvili	Head of the Scientific Research Center of LEPL – David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia
Nikoloz Esitashvili	Chief Scientist of Scientific-Research Center of LEPL - David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia
Tinatin Kropadze	Chief Scientist of Scientific-Research Center of LEPL - David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia
Zurab Samkharadze	Chief Scientist of Scientific-Research Center of LEPL - David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia
Ketevan Kveselava	Chief Scientist of Scientific-Research Center of LEPL - David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia
Computer Designer	
Tamar Kandelaki	Chief specialist of the Scientific-Research Center of LEPL - David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia

შინაარსი

ვალერი არჩუაძე	
ტაივანის კრიზისი	14
სოფო კახნიაშვილი, საბა ყაზიშვილი	
ომის სტრატაგემები ბიზნესში	24
ავთანდილ ცერცვაძე, ლუკა ლიპარტელიანი	
ანაკლის პორტი - რეალობა, პერსპექტივები და მოლოდინები	34
მანგია ჭინჭარაული, რატი კუკულაძე	
მშვიდობა და სტაბილურობის თანამედროვე გამოწვევები და გაერო	42
ვახტანგ დანელია, ბესო შუბითიძე	
ტურიზმის როლი საქართველოს ეკონომიკაში	51
ლუკა ანესაშვილი, გიორგი წამალაშვილი, შოთა მარკოზაშვილი	
წრიული ეკონომიკა – მდგრადობის და განვითარების ეკონომიკური პერსპექტივა	58
ანა ბარაბაძე, ნინა ივანიაძე, ელენე დოლიძე	
მშვიდობისა და სტაბილურობის თანამედროვე გამოწვევები საზოგადოებასთან ურთიერთობის კრილში	66
შოთა ყურაშვილი, საბა შუბითიძე	
სოციალური კაპიტალი, როგორც საზოგადოების განვითარებისთვის მნიშვნელოვანი აქტივი	74
ლუკა ცხადაძე, ნიკოლოზ ცინცაძე	
ლურჯი ეკონომიკის განვითარების პერსპექტივები საქართველოში	84
ნიკოლოზ მაქსიმენკო, ირაკლი კვაშილავა	
უმუშევრობა და შემოსავლის უთანასწორობა: მაკროეკონომიკური გამოწვევები 21-ე საუკუნეში	91
ბექა კუპატაძე	
Telegram-ის როგორც თანამედროვე პროპაგანდის ინსტრუმენტის სოციალურ-ტექნიკური ანალიზი	110
დიმიტრი ბადუაშვილი	
რუსეთ-უკრაინის ომის შედეგად ემიგრირებულ მოქალაქეთა გავლენა საქართველოს ეკონომიკურ და სოციალურ სტაბილურობაზე	122
მერაბ ხიმშიაშვილი	
გაეროს როლი მშვიდობის შენარჩუნებაში და მისი თანამედროვე გამოწვევები	131
ნინო გოგილავა	
დეზინფორმაცია საქართველოში: საგარეო ჩარევის გამოწვევები ევროინტეგრაციის კონტექსტში	140
პაატა მაისურაძე	
საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან მომდინარე საფრთხეები და მათი შემცირების გზები	151
სოფია სივსივაძე	
დეზინფორმაცია როგორც ჰიბრიდული ომის იარაღი	162
გიორგი ბარბაქაძე	
ეროვნული უსაფრთხოების დაცვისთვის აუცილებელი ფინანსური მექანიზმი: რისკების პრევენცია და მართვა	177
გიორგი დალაქიშვილი	
გეოგრაფიული ადგილი როგორც გრავიტაციის ცენტრი	184

მიხეილ მეზვრიშვილი	
მცოცავი ოკუპაცია საქართველოში	197
პაატა ჩინჩალაძე	
ისრაელი-ირანი დაპირისპირება ახლო აღმოსავლეთში.....	208
ბესიკ ხატიაშვილი	
გლობალიზაციის გავლენა საერთაშორისო მშვიდობის უზრუნველყოფაში.....	215
გიორგი ტულუში	
რუსული ჰიბრიდული ომი და უსაფრთხოების გამოწვევები სამხრეთ კავკასიაში	223
ივლიანე რევიშვილი	
უპილოტო საფრენი აპარატების როლი ეროვნულ უსაფრთხოებაში	235
ლევან მენაბდიშვილი	
ჩინეთისა და ამერიკის გეოპოლიტიკური მდგომარეობა აღმოსავლეთ ევროპაში	244
ლუკა შამუგია	
წინააღმდეგობის როლი საქართველოს ეროვნულ უსაფრთხოებაში	251
საბა დოლიძე	
ისრაელის როლი ახლო აღმოსავლეთის უსაფრთხოების გარემოში	261
ირაკლი ხარებაშვილი	
ხელოვნური ინტელექტისა და ავტონომიური სისტემების გამოყენება და მათი პოტენციური გავლენა კონფლიქტის დინამიკაზე	271
ლუკა ასანაშვილი, ამირან ბაბუციძე	
რესურსები, როგორც კონკურენტული უპირატესობის საფუძველი	279
მარიამ სოფრომაძე	
ჩრდილოატლანტიკური ალიანსი (NATO) და ცვალებადი სამხედრო- პოლიტიკური გარემო	287
მარიამ ტერტერაშვილი	
რადიო სიხშირის ჩამხშობი სისტემები	297
ბექა შაიშმელაშვილი, ალექსანდრა ბარბაქაძე-დეკანოსიძე	
ისრაელის ომი ჰესბოლასა და ჰამასის წინააღმდეგ 2023 წელს.....	303
გიორგი გაგუა	
ტრამპი და უკრაინა, ახალი რესპუბლიკური პოლიტიკის როლი კონფლიქტის განვითარებაში	316
ალუდა სილაგაძე	
ნატოს გაფართოების პოლიტიკა და პოსტსაბჭოთა ასპირანტი სახელმწიფოების უსაფრთხოების გამოწვევები.....	323
თამარ კაპანაძე	
ბუმის დოქტრინა-თეორია და პრაქტიკა.....	334
გიორგი ანთაძე	
რუსეთ უკრაინის ომი და მისი გავლენა საერთაშორისო სისტემის სტაბილურობაზე.....	344
ანა-მარია ქებაძე	
სკეუმორფიზმი - მისი დანიშნულება ფიზიკურ და ციფრულ სამყაროში	357
გიორგი რამიშვილი	
Tor ტექნოლოგიის გამოყენება სამხედრო სფეროში	365

Content

Valeri Archuadze	
Taiwan Crisis	15
Sopho Kakhniashvili, Saba Kazishvili	
War strategies in business	25
Avtandil Tsertsvadze, Luka Lipartelian	
Port of Anaklia, - reality, prospects and expectations	35
Mangia Tchintcharauli, Rati kukuladze	
Contemporary Challenges to Peace and Stability	43
Vakhtang Danelia, Beso Shubitidze	
The role of tourism in Georgia's Economy	52
Luka Anesashvili, Giorgi Tsamalashvili, Shota markozashvili	
Circular economy – Economic perspective of sustainability and development	59
Ana Barabadze, Nina Ivaniadze, Elene Dolidze	
Contemporary challenges to peace and stability viewed through the lens of public relations	67
Shota Kurashvili, Saba Shubitidze	
Social capital as an important asset for the development of society	75
luka Tskhadadze, Nikoloz Tsintsadze	
Perspectives of Blue Economy Development in Georgia	85
Nikoloz Maksimenko, Irakli Kvashilava	
Unemployment and Income Inequality: Macroeconomic Challenges in the 21st Century	92
Beka Kupatadze	
Socio-technical analysis of Telegram as a modern propaganda instrument	111
Dimitri Baduashvili	
The Impact of Citizens Emigrated Due to the Russia-Ukraine War on Georgia's Economic and Social Stability	123
Merab Khimshiashvili	
The UN's role in maintaining peace and its contemporary challenges	132
Nino Gogilava	
Disinformation in Georgia:Challenges of foreign interference in the context of European integration	141
Paata Maisuradze	
Treats coming from occupied territories of Georgia and ways to reduce them	152
Sofia Sivsivadze	
Disinformation as a weapon of hybrid warfare	163
Giorgi Barbakadze	
Financial Mechanism Necessary for National Security Protection: Risk Prevention and Management	178
George Dalaqishvili	
A geographic location as a center of gravity	185
Mikheil Mezvrishvili	
Creeping occupation in Georgia	198
Paata Chincaladze	
Israeli-Iranian confrontation in the Middle East	209

Besik Khatiashvili	
Impact of Globalization in Ensuring International Peace	216
Giorgi Tugushi	
Russian hybrid warfare and security challenges in the South Caucasus.....	224
Ivliane Revishvili	
The role of unmanned aerial vehicles in national security.....	236
Levan Menabdishvili	
The geopolitical situation of China and the America in Eastern Europe.....	245
Luka Shamugia	
The role of resistance in national security of Georgia.....	252
Saba Dolidze	
Israel's role in the Middle East security environment	262
Irakli Kharebashvili	
The use of artificial intelligence and autonomous systems and their potential impact on conflict dynamics.....	272
Luka Asanashvili, Amiran Babutsidze	
Resources as the basis of competitive advantage.....	280
Mariam Sopromadze	
North Atlantic Alliance (NATO) and the changing military-political environment.....	288
Mariam Terterashvili	
Radio frequency jamming systems	298
Beka Shaishmelashvili, Alexandra Barbakadze-Dekanosidze	
Israel's war against Hezbollah and Hamas in 2023.....	304
Giorgi Gagua	
Trump and Ukraine, the Role of New Republican Policy in the Development of the Conflict.....	317
Aluda Silagadze	
NATO Enlargement Policy and Security Challenges of Post-Soviet Aspirant States.....	324
Tamar Kapanadze	
The Bush Doctrine-Theory and Practice	335
Giorgi Antadze	
The Russia-Ukraine War and Its Impact on the Stability of the International System	345
Ana-Maria Keadze	
Skeuomorphism - its purpose in the physical and digital worlds.....	358
Giorgi Ramishvili	
Use of Tor technology in the military field	365

ტაივანის კრიზისი

ვალერი არჩუაძე

სსიპ-დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს
ეროვნული თავდაცვის აკადემიის
ბაკალავრიატის თავდაცვისა და უსაფრთხოების მიმართულების იუნკერი

ხელმძღვანელი: ლევან გეგეშიძე

ბაკალავრიატის თავდაცვისა და უსაფრთხოების მიმართულების პროფესორი

აბსტრაქტი

ნაშრომი დეტალურად განიხილავს ტაივანის და ჩინეთის დამაბულ ურთიერთობებს, ამ კონფლიქტის სტრატეგიულ, სამხედრო და პოლიტიკურ ასპექტებს და მათ გავლენას როგორც რეგიონულ, ისე გლობალურ უსაფრთხოებაზე. 1949 წლიდან ტაივანი დამოუკიდებლად მართავს თავს, თუმცა ჩინეთი მას კვლავ განიხილავს, როგორც საკუთარი ტერიტორიის განუყოფელ ნაწილს. ბოლო წლებში პეკინმა გააძლიერა სამხედრო წვრთნები კუნძულის ირგვლივ, რაც პოლიტიკური და სამხედრო წნეხის გამოხატულებაა. ამასთან, ჩინეთის სტრატეგიული მიდგომები მოიცავს ეკონომიკურ სანქციებს ამ ქვეყნის მიმართ, რაც მიზნად ისახავს ტაივანის დამოკიდებულების გაზრდას ჩინეთზე.

ჩინეთის პოლიტიკური მიზნები ტაივანთან მიმართებაში უკავშირდება „ერთი“ ჩინეთის პოლიტიკის გააქტიურებას, რომლის მიხედვითაც ტაივანი ჩინეთის განუყოფელი ნაწილია. ნაშრომი ასახავს იმ ფაქტს, რომ ჩინეთი ტაივანს დიპლომატიურ იზოლაციაში აქცევს და ცდილობს, რომ თავიდან აიცილოს ტაივანის საერთაშორისო აღიარება. ეკონომიკური ზეწოლა და სავაჭრო შეზღუდვები, რომლებსაც ჩინეთი აწესებს ტაივანის მიმართ შესაძლოა გახდეს ტაივანის ეკონომიკური არასტაბილურობის მიზეზი, რაც ჩინეთისთვის პრიორიტეტულ საკითხს წარმოადგენს.

განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა შეერთებული შტატების როლს ამ კონფლიქტში. აშშ, როგორც ტაივანის მთავარი უსაფრთხოების გარანტი, დიდ ყურადღებას უთმობს კუნძულის თავდაცვისუნარიანობის გაძლიერებას. აშშ არა მარტო აწვდის ტაივანს იარაღსა და სამხედრო დახმარებას, არამედ აქტიურად თანამშრომლობს ეკონომიკურ და ტექნოლოგიურ სექტორებშიც, განსაკუთრებით ელექტრონული მოწყობილობების სექტორში. ეს სფერო მნიშვნელოვანია გლობალური ეკონომიკისთვის და აშშ ცდილობს შეამციროს დამოკიდებულება ჩინეთის წარმოებაზე. აშშ ოფიციალურად აღიარებს ერთი ჩინეთის პოლიტიკას, თუმცა ტაივანის უსაფრთხოებას და სტაბილურობას განიხილავს, როგორც რეგიონალური უსაფრთხოების მნიშვნელოვან კომპონენტს.

ნაშრომი დეტალურად განიხილავს კონფლიქტის ესკალაციის შესაძლო სცენარებს. მოცემულ სიმულაციებში განხილულია ტაივანზე ჩინეთის შესაძლო თავდასხმის სხვადასხვა ვარიანტები და იმ მოქმედებათა შედეგები, რომლებიც აშშ-სა და მის მოკავშირეებს შეუძლიათ გაატარონ ტაივანის დასაცავად. კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ ამერიკის და იაპონიის სამხედრო ჩარევების გარეშე ტაივანს გაუჭირდება წინააღმდეგობის გაწევა, თუმცა ჩინეთისთვისაც რთული იქნება შეტევის წარმატებით დასრულება. სამხედრო მოქმედებების შედეგად ორივე მხარე სერიოზულ ზიანს მიიღებს, რაც რეგიონში ეკონომიკურ და პოლიტიკურ არასტაბილურობას გამოიწვევს.

საკვანძო სიტყვები: ტაივანის კონფლიქტი, ჩინეთი და ტაივანი, სამხედრო დამაბულობა, ეკონომიკური სანქციები, დიპლომატიური იზოლაცია.

Taiwan Crisis

Valeri Archuadze

Junker of Bachelor's Program in Defense and Security of
LEPL-David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia

Supervisor: **Levan Gegeshidze**

Professor of Bachelor's program in Defense and Security

Abstract

The paper provides a detailed analysis of the tense relations between Taiwan and China, focusing on the strategic, military and political aspects of the conflict and their impact on both regional and global security. Since 1949, Taiwan has operated independently, though China continues to view it as an inseparable part of its territory. In recent years, Beijing has intensified military exercises around the island, symbolizing political and military pressure. China's strategic approaches also include economic sanctions aimed at increasing Taiwan's dependence on China.

China's political objectives concerning Taiwan are closely linked to reinforcing its 'One China' policy, which asserts that Taiwan is an inseparable part of China. The paper highlights China's efforts to diplomatically isolate Taiwan and prevent its international recognition. Economic pressure and trade restrictions imposed by China may lead to economic instability in Taiwan, a key concern for Beijing.

The paper also places special emphasis on the role of the United States in this conflict. As Taiwan's main security guarantor, the U.S. pays significant attention to enhancing the island's defense capabilities. The U.S. not only supplies Taiwan with weapons and military assistance but also actively collaborates in economic and technological sectors, particularly in the electronics industry, which is vital to the global economy. The U.S. seeks to reduce its reliance on Chinese production in this sector. While the U.S. officially recognizes the One China policy, it views Taiwan's security and stability as a critical component of regional security.

The paper explores possible scenarios of conflict escalation, simulating various options for a potential Chinese attack on Taiwan and the actions the U.S. and its allies might take to defend the island. The study's findings indicate that Taiwan would struggle to resist without military intervention from the U.S. and Japan, though China would also face difficulties in completing a successful invasion. Both sides would suffer significant damage, leading to economic and political instability in the region.

Keywords: Taiwan conflict, China and Taiwan, military tension, economic sanctions, diplomatic isolation.

შესავალი

დღეს ტაივანის და ჩინეთის დაპირისპირება წარმოადგენს საერთაშორისო პოლიტიკისა და უსაფრთხოების საკითხს. კუნძულოვანი სახელმწიფო - ტაივანი, რომელშიც 20 მილიონზე მეტი ადამიანი ცხოვრობს, ჩინეთის სამხრეთ სანაპიროს განუყოფელი ნაწილია, რომელიც 1949 წლიდან დამოუკიდებლად მართავს თავს. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა (PRC) ტაივანს მიიჩნევს როგორც მისი ტერიტორიის ნაწილს.¹ ტაივანს მართავს არჩეული საკუთარი დემოკრატიული მთავრობა. მისი უსაფრთხოების გარანტი კი არის ამერიკის შეერთებული შტატები, რომელიც ოფიციალურად აღიარებს ერთი ჩინეთის პოლიტიკას, მაგრამ ეწინააღმდეგება კუნძულის იძულებით გაერთიანებას მატერიკთან. ნენსი პელოსის ვიზიტს 2022 წელს ტაივანში უარყოფითად შეხვდა ჩინეთის მთავრობა. ეს საკითხი განსახილველ თემას წარმოადგენს, ვინაიდან უნდა გავანალიზოთ რა ზომებს მიიღებს ჩინეთი თუ ამერიკა მათ კონფლიქტში აქტიურად ჩაერევა.²

სტატიის მიზანია შეისწავლოს ჩინეთის პოლიტიკა და სტრატეგია ტაივანთან მიმართებაში. ასევე ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკა და სტრატეგია; თუ რა გამოწვევების წინაშე დგას დღეს ტაივანის პოლიტიკური და სამხედრო ელიტა. ასევე საინტერესოა შესაძლო ომის რა სცენარები არის მოსალოდნელი.³

ნაშრომი პასუხს გასცემს შემდეგ საძიებო კითხვებს: რა შესაძლებლობები აქვს ჩინეთს ტაივანზე კონტროლის აღსადგენად? რა როლი აქვთ ჩინეთის შეიარაღებულ ძალებს ამ პროცესში? რა სტრატეგიული ინტერესები აქვს ამერიკის შეერთებულ შტატებს ტაივანში და როგორ ხდება ამ ინტერესების განხორციელება?

კვლევის დროს გამოყენებულია შემთხვევის ანალიზის მეთოდი. ასევე გაანალიზებული და შესწავლილია ჩინეთის, ტაივანის და ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკური და სტრატეგიული დოკუმენტები, მხარეების ოფიციალური პირების განცხადებები და მოსაზრებები. ასევე სტატია ეყრდნობა წამყვანი ანალიტიკური ორგანიზაციების მეორად დოკუმენტებსა და კვლევებს.

ძირითადი ნაწილი

ჩინეთის პოლიტიკა ტაივანის მიმართ

ჩინეთი ბოლო წლებში სერიოზული პოლიტიკური წნეხის ქვეშ ამყოფებს ტაივანს. მისი სამხედრო გემები და საჰაერო ძალები თითქმის ყოველდღიურად ოპერირებენ ტაივანის გარშემო, რაც ეჭვს იწვევს, რომ დაძაბულობა შეიძლება ღია კონფლიქტში გადაიზარდოს. მსოფლიოს ყურადღება ძირითადად ჩინეთის შეჭრის საფრთხეზე კონცენტრირდება, მაგრამ პეკინს აქვს მრავალი ვარიანტი ტაივანზე კონტროლის დასამყარებლად სამხედრო შეჭრის გარეშე. ისტორიულ კონტექსტში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის პოლიტიკა მჭიდროდ არის დაკავშირებული 1949 წლის ჩინეთის სამოქალა-

¹ Albert Elanor, "China-Taiwan Realties. U.S," 2016 y.

² Bonny Lin, Brian Hart, Matthew P. Funairole, Samant, "How China Could Quarantine Taiwan," 2024 y.

³ Mark F. Cancian, Matthew Cancian, Eric Heginbotham, "The First Battle of the Next War," 2023 y.

ქო ომის შედეგებთან, როდესაც იმდროინდელი მმართველი ნაციონალისტური პარტია დამარცხდა კომუნისტურ ძალასთან და თავშესაფარი ტაივანში ჰპოვა. 1949 წლის შემდეგ ტაივანი განაგრძობს, როგორც დამოუკიდებელ კუნძულოვან სახელმწიფოდ არსებობას, მაგრამ ჩინეთი მას მიიჩნევს როგორც მის ნაწილს. რაც შეეხება „ერთი ჩინეთის პოლიტიკას“, ჩინეთის ოფიციალური პოლიტიკა ტაივანის მიმართ ეყრდნობა აღნიშნულ ერთი ჩინეთის პოლიტიკას, რომლის მიხედვითაც არსებობს ერთი ჩინეთი და ტაივანი, როგორც მისი ნაწილი. ეს პრინციპი გააქტიურდა 1971 წელს, როდესაც ჩინეთმა დაიკავა გაეროს უშიშროების საბჭოში ადგილი და ფართო საერთაშორისო აღიარება მოიპოვა, რის შედეგადაც ტაივანს ჩამოერთვა ადგილი გაეროში. მას შემდეგ ჩინეთი აქტიურად ცდილობს ტაივანის დიპლომატიურ იზოლირებას და მასთან ურთიერთობების შეზღუდვას, რათა თავიდან აირიდოს მისი დამოუკიდებლობის აღიარება სხვა ქვეყნების მხრიდან. 2019 წლის 2 იანვარს ტაივანთან ურთიერთობების შესახებ გამართულ ფორუმზე ჩინეთის ლიდერმა სი ძინპინმა გააკეთა შემდეგი განცხადება: „ტაივანი არის და მუდამ იქნება ჩინეთის ნაწილი... ერთიანი ჩინეთის პრინციპი არის საფუძველი, რომელზეც ჩვენს ურთიერთობებს ვაგებთ, და ნებისმიერი მცდელობა, რომ ტაივანი დამოუკიდებელ სახელმწიფოდ იქცეს, უარყოფილია როგორც ჩინეთის ხელისუფლების, ისე ჩინელი ხალხის მიერ.“ ამ განცხადებით სი ძინპინმა გამოთქვა მტკიცე მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ ჩინეთი არ შეეგუება ტაივანის დამოუკიდებლობის ნებისმიერ ფორმას და ტაივანი უნდა გაერთიანდეს ჩინეთთან, თუნდაც ეს ძალის გამოყენებით მოხდეს, თუმცა მშვიდობიანი გზა პრიორიტეტულია.⁴

ჩინეთის პოლიტიკა ტაივანის მიმართ ძირითადად შემოიფარგლება დიპლომატიური წნეხით; პეკინი ცდილობს, რომ ნებისმიერმა ქვეყანამ, რომელიც ჩინეთთან დაამყარებს დიპლომატიურ კავშირს, უარი განაცხადოს ტაივანის დამოუკიდებლობის აღიარებაზე. ამას ჩინეთი არა მარტო ორმხრივი შეთანხმებების გზით ახორციელებს, არამედ საერთაშორისო ორგანიზაციებში ტაივანის წევრობის დაბლოკვითაც, როგორც ეს გააკეთა 1971 წელს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში.⁵

ტაივანი მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული გლობალურ ვაჭრობაზე, ხოლო ჩინეთი ამ ყველაფერს იყენებს, როგორც სუსტ წერტილს, რათა დააწესოს სავაჭრო შეზღუდვები და მოახდინოს ეკონომიკური ზეწოლა ტაივანის მიმართ. მიუხედავად იმისა, რომ ტაივანსა და ჩინეთს შორის სავაჭრო ურთიერთობები მნიშვნელოვან მასშტაბებს მოიცავს, პეკინი პერიოდულად მაინც იყენებს ეკონომიკურ სანქციებს, რათა ეს ყველაფერი იყოს იმის გამომხატველი, რომ ჩინეთს შეუძლია დაუწესოს მეტი შეზღუდვა თუ ტაივანი მოინდომებს დამოუკიდებლობისკენ მკვეთრი ნაბიჯების გადადგმას. ძირითადად ეს შეზღუდვები ვლინდება ტურისტული ნაკადების შემცირებით, ტაივანის პროდუქტების ჩინეთის ბაზარზე წვდომის შეზღუდვებით და სხვა ზომებით, რაც მიზნად ისახავს ტაივანის ეკონომიკურ დასუსტებას.⁶

⁴ Xinhua, *Message to Compatriots in Taiwan*. januari 2. News. 2019 y.

⁵ Ibid. Elaonor Albert. 2016 y.

⁶ Ibid. Bonny Lin, Brian Hart, Matthew P. Funairole, Samant, 2024 y.

ჩინეთი ასევე იყენებს მის პოლიტიკას ტაივანის მოსახლეობაზე გავლენის მოსაპოვებლად. პეკინი ხელს უწყობს კულტურულ გაცვლებს და ტურისტულ პროგრამებს, რათა ტაივანის საზოგადოებასთან გააღრმავოს ურთიერთობები და ასევე ერთგვარი გავლენა მოახდინოს მასზე. ჩინეთი ასევე ეწევა პროპაგანდას, რომელიც აჩვენებს იმ მოსალოდნელ სარგებელს, რაც ტაივანს ექნება ჩინეთთან გაერთიანების შემთხვევაში და ამით ცდილობს ტაივანის მოსახლეობის აზრის შეცვლას. ამ მხრივ ჩინეთი განსაკუთრებით მუშაობს ახალგაზრდებთან, რომლებსაც სთავაზობს განათლებას, სავაჭრო კავშირებსა და კულტურულ გაცვლებს.⁷ 2019 წელს სი ძინპინმა გააკეთა განცხადება, რომელშიც აღნიშნა, რომ ჩინეთი გააგრძელებს პოლიტიკას, რომელიც ხელს შეუწყობს ტაივანელი ახალგაზრდების ინტეგრაციას ჩინეთის სოციალურ და ეკონომიკურ სისტემაში. სი ძინპინმა მკაფიოდ აღნიშნა, რომ „ტაივანის ახალგაზრდებს აქვთ სრული შესაძლებლობა, რათა ისარგებლონ ჩინეთის განათლების და განვითარების სერვისებით.“⁸

ჩინეთის პოლიტიკა ტაივანის მიმართ იურიდიულ საკითხებსაც ეფუძნება. პეკინი პერიოდულად გამოხატავს პრეტენზიებს ტაივანის ტერიტორიის კუთვნილების შესახებ იურიდიული დოკუმენტებითა და საერთაშორისო სამართლის გამოყენებით. ჩინეთი ამტკიცებს, რომ ტაივანი ისტორიულად ყოველთვის მისი ნაწილი იყო და რომ საერთაშორისო სამართალი მხარს უჭერს ჩინეთის მიერ გამოთქმულ პრეტენზიებს აღნიშნულ საკითხზე. ჩინეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ვანგ იიმ, 2021 წელს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში სიტყვით გამოსვლისას, ტაივანის საკითხზე განაცხადა: „ტაივანი იყო და ყოველთვის იქნება ჩინეთის განუყოფელი ნაწილი. ეს არის ისტორიული და სამართლებრივი ფაქტი, რომელიც არ შეიცვლება. საერთაშორისო საზოგადოება, მათ შორის გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, აღიარებს, რომ ერთიანი ჩინეთის პრინციპი წარმოადგენს საერთაშორისო საფუძველს და არ შეიძლება ტაივანი ჩაითვალოს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ. ნებისმიერი მცდელობა, რომ ეს რეალობა შეიცვალოს, წარუმატებლობისთვის არის განწირული.“⁹ ამ პროპაგანდის მთავარი მიზანია შექმნას იურიდიული საფუძველი, რომელიც გაამყარებს ჩინეთის პრეტენზიებს და შეამცირებს ტაივანის საერთაშორისო აღიარებას. ჩინეთი ასევე იყენებს საერთაშორისო ურთიერთობებს, რათა ტაივანის იზოლაცია უზრუნველყოს. ბევრ ქვეყანას, განსაკუთრებით განვითარებად ქვეყნებს, ჩინეთი ეკონომიკური დახმარების სანაცვლოდ აძულებს, რომ ტაივანთან კავშირები გაწყვიტონ. მაგალითად, 2020-იანი წლების განმავლობაში რამდენიმე ქვეყანამ გაწყვიტა ტაივანთან დიპლომატიური ურთიერთობები ჩინეთთან დადებული ეკონომიკური ხელშეკრულებების სანაცვლოდ.¹⁰

⁷ Admiral Mike Studman, *podcast, decoding geopolitics* (September 4), 2024 y.

⁸ Ibid. Xinhua, 2019 y.

⁹ Ibid.

¹⁰ CIA. *Central Intelligence Agency*. September 15, 2024 y.

ჩინეთის შეიარაღებული ძალების სწავლებები ტაივანის საზღვრებთან

ჩინეთის შეიარაღებული ძალების სწავლებები ტაივანის საზღვრებთან მნიშვნელოვანი პოლიტიკური და სამხედრო დატვირთვით გამოირჩევა. ეს წვრთნები მოიცავს არა მხოლოდ სამხედრო მზადყოფნის გაუმჯობესებას, არამედ მათ სტრატეგიულ მიზნებსაც. პოლიტიკური თვალსაზრისით ეს სწავლებები ხშირად აღიქმება, როგორც ჩინეთის მიერ ტაივანზე პრეტენზიების გამყარების მცდელობა. სამხედრო წვრთნები მიაწოდებენ ჩინეთის მთავრობის მიზნებზე, რომ მზად არის ნებისმიერი წინააღმდეგობისთვის. ამგვარი აქტივობა ხელს უწყობს შიდა პოლიტიკურ ლეგიტიმაციას, რათა ქვეყნის ხელმძღვანელობამ საკუთარ მოსახლეობას აჩვენოს, რომ ის დაიცავს ეროვნულ ინტერესებს. სამხედრო თვალსაზრისით, სწავლებები მნიშვნელოვან როლს თამაშობს ჩინეთის არმიის შესაძლებლობების გაუმჯობესებაში. ეს სწავლებები მოიცავს ტაქტიკურ ოპერაციებს, ციფრული აპარატების გამოყენებას და სტრატეგიულ მიდგომებს, რაც საშუალებას აძლევს ჩინეთს სწრაფად და ეფექტურად მოახდინოს რეაგირება რეგიონში არსებულ გამოწვევებზე. აღნიშნული აქტივობები ასევე ზრდის სამხედრო დამაბულობის შეგრძნებას, რაც დამატებით მიაწოდებს რეგიონში არსებულ რთულ ვითარებაზე.¹¹

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ჩინეთი პერიოდულად უხეშად არღვევს ტაივანის საზღვრებს. მაგალითად, ბოლო ხანებში ერთ-ერთი სამხედრო წვრთნების დროს, სადაც ჩინეთის მხრიდან მონაწილეობას იღებდა ათზე მეტი სამხედრო გემი, ჩინელმა მეზღვაურებმა, წვრთნების ბოლო 48 საათში, უხეშად დაარღვიეს ტაივანის საზღვრები. საინტერესოა ის ფაქტი, რომ ჩინეთს და ტაივანს შორის დადებული იყო შეთანხმება, რის თანახმადაც ორივე მხრიდან სამხედრო ძალებს არ უნდა გადაეკვეთა დაწესებული საზღვრები, მაგრამ ჩინეთმა ეს საზღვრები არა მარტო საზღვაო სივრცეში, არამედ საჰაერო სივრცეშიც დაარღვია (ჩინურმა საბრძოლო თვითმფრინავებმა რამდენჯერმე გადაკვეთეს ტაივანის საჰაერო საზღვრები). აღსანიშნავია, რომ ტაივანის გარშემო სულ იყო ექვსი ჩინური სამხედრო ზონა, რომლებსაც მეშვიდე სამხედრო ზონაც დაემატა. აღნიშნული სამხედრო ზონებიდან რამდენიმე ძალიან ახლოსაა ტაივანის ტერიტორიულ წყლებთან, რაც იმის მანიშნებელია, რომ ჩინეთი სამხედრო წვრთნებს ატარებს ტაივანის ტერიტორიულ წყლებში.¹²

ჩინეთის პრეზიდენტმა სი ძინპინმა გამოსცა ძირეული სამხედრო რეფორმების პროგრამა, რათა დაიცვას ჩინეთის ინტერესები. მან არაერთხელ ისაუბრა ჩინეთის სამხედრო მოდერნიზაციის შესახებ, განსაკუთრებით იმ კონტექსტში, რაც დაკავშირებულია ტაივანის საკითხთან. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი განცხადება ამ მხრივ გაკეთდა 2021 წლის ივლისში, როდესაც სი ძინპინმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ „ჩვენ უნდა დავაჩქაროთ სამხედრო ძალების მოდერნიზება, რათა ეფექტურად დავიცვათ ეროვნული სუვერენიტეტი, რომელიც შეძლებს უპასუხოს მომავალ გამოწვევებს, მათ შორის ტაი-

¹¹ Al jaizera english. *China military drills: Taiwan mobilises forces as exercise begins.* May 23, 2024 y.

¹² SkyNews. *Taiwan tensions: Analysis of the Chinese military exercises.* UK, August 5, 2022 y.

ვანის საკითხზე.“ ეს განცხადება მიუთითებს იმაზე, რომ ჩინეთის სამხედრო მოდერნიზება გარკვეულწილად ტაივანის საკითხზე აქცენტის გაკეთებასთან არის დაკავშირებული.

ჩინეთი სამხედრო წვრთნებს იყენებს, როგორც ინსტრუმენტს, რათა ყველას აჩვენოს თავისი შესაძლებლობები. ამ მიზანს ემსახურება ტაივანის საზღვრებთან ჩატარებული სამხედრო სწავლებებიც. ტაივანს ჩინეთის ამგვარ ქმედებებზე აქვს მკაფიო რეაგირება, როგორც პოლიტიკურად, ისე სამხედრო თვალსაზრისით. კერძოდ, ის ახორციელებს საჰაერო წვრთნებს მისივე საჰაერო სივრცეში, აძლიერებს საზღვაო ძალებს და განათავსებს დამატებით რაკეტებს ქვეყანაში. შესაბამისად, ეს ნაბიჯები ტაივანის მხრიდან არის ერთგვარი პასუხი იმაზე, რომ ის იმოქმედებს ადეკვატურად თუ მოხდება შეიარაღებული თავდასხმა.

რაც შეეხება ამერიკის შეერთებული შტატების რეაქციას აღნიშნულ საკითხზე, აშშ საკმაოდ ყურადღებით ადევნებს თვალს ტაივანში მიმდინარე მოვლენებს. აშშ მხარს უჭერს ტაივანის უსაფრთხოებას და მისი აქტიური ჩართულობა ამ კონფლიქტში ემყარება რამდენიმე მნიშვნელოვან ფაქტორს, მათ შორის გლობალური უსაფრთხოების გარანტიებს და რეგიონულ უსაფრთხოებას. აშშ პერიოდულად აწვდის ტაივანს სამხედრო ტექნიკას და აწყობს მასთან ერთობლივ წვრთნებს, რაც ემსახურება ტაივანის თავდაცვითი პოტენციალის ამაღლებას.¹³

ამგვარად, ჩინეთის სამხედრო წვრთნები ტაივანის საზღვართან არსებითად ზრდის რეგიონული დესტაბილიზაციის რისკებს და იმ გამოწვევებს, რომლებიც საერთაშორისო პოლიტიკაში მოითხოვს ყურადღებას და აქტიურ მოლაპარაკებებს.¹⁴

აშშ-ს სტრატეგიული ინტერესები ტაივანში და მათი განხორციელების გზები

ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო პოლიტიკა ტაივანში ძალიან მნიშვნელოვანია. ჩინეთის შეიარაღებული ძალების პოტენციალის ზრდასთან ერთად, აშშ ცდილობს უზრუნველყოს ტაივანის თავდაცვისუნარიანობის გაძლიერება. აშშ რეგულარულ დახმარებებს უწევს ტაივანს სამხედრო თვალსაზრისით, რაც მოიცავს სხვადასხვა საბრძოლო ტექნიკის მიწოდებას. 2021 წელს აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა დაამტკიცა სამხედრო დახმარების პაკეტი, რომლის ღირებულებაც შეადგენდა 750 მილიონ დოლარს.¹⁵ ყველაფერთან ერთად, ამერიკის შეერთებული შტატები აქტიურად იღებს მონაწილეობას სამხედრო წვრთნებში ტაივანთან ერთად, რაც ემსახურება ტაივანის შეიარაღებული ძალების დონის და თავდაცვითი უნარების გაუმჯობესებას. ამავე დროს, ტაივანი აშშ-ის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სავაჭრო პარტნიორია; ისინი აქტიურად თანამშრომლობენ ტექნოლოგიურ სექტორში, განსაკუთრებით ელექტრონული ჩიპების წარმოებაში, რაც გლობალურ ეკონომიკაში ძალიან მნიშვნელოვანია. აშშ-ს სტრატეგიული ინტერესები მდგომარეობს იმაში, რომ ეს სექტორი და-

¹³CFR, *The U.S. and Taiwan: A Complicated Realationship*. 2022 y.

¹⁴ Datg. *China's Military Exercises Near Taiwan: Signaling and War Scares*. May 2, 2023 y.

¹⁵ Corporation, RAND. *Assessing the U.S. Strategy for Taiwan*, 2022 y.

რჩეს ძლიერი, რათა შეამციროს ტაივანის ჩინეთზე დამოკიდებულება. აშშ-ს საკმაოდ დიდი მოცულობის ექსპორტი აქვს ტაივანში, რაც მათ პარტნიორობას და ამერიკის ინტერესებს კუნძულზე უფრო აძლიერებს. მაგალითად, 2013 წელს აშშ-ის სავაჭრო ორგანიზაციებმა 107.2 მილიარდი დოლარის ღირებულების ექსპორტი აწარმოეს ტაივანის კომპანიებთან. ეს თითქმის სამჯერ აღემატება აშშ-ის მიერ აღიარებულ იმპორტის დონეს ტაივანიდან.¹⁶

რაც შეეხება გამოწვევებს, ეს შესაძლოა იყოს ჩინეთის რეაქცია, რომელიც, ტაივანის სამხედრო პოტენციალის გაძლიერებასთან დაკავშირებით, დიდი ალბათობით იქნება ძალადობრივი, ხოლო მეორეს მხრივ, აშშ-ს პარტნიორმა ქვეყნებმა ხელი უნდა შეუწყონ რეგიონული უსაფრთხოების დაცვას, რათა თავიდან იქნეს აცილებული ყველა შესაძლო კონფლიქტი, რაც სერიოზულად დააზიანებს რეგიონს.¹⁷

სავარაუდო სცენარები და შედეგები ტაივანზე თავდასხმის შემთხვევაში

რა მოხდება იმ შემთხვევაში თუ ჩინეთის სამხედრო წვრთნები ტაივანის საზღვრებთან გადაიზრდება რეალურ საბრძოლო მოქმედებებში? CSIS-მა(სტრატეგიული კვლევების ცენტრმა) შეიმუშავა ერთგვარი სამხედრო სიმულაციები ჩინეთის ტაივანში შეჭრასთან დაკავშირებით და განახორციელა ისინი 24-ჯერ. ამ სიმულაციების შედეგები კი ასეთი იყო: უმეტეს შემთხვევაში აშშ-მ, ტაივანმა და იაპონიამ აღკვეთეს ჩინეთის კონვენციური შეჭრა ტაივანში. თუმცა აშშ-მ და მისმა მოკავშირეებმა დაკარგეს ათობით გემი, ასობით თვითმფრინავი და ათიათასობით სამხედრო მოსამსახურე. ტაივანის ეკონომიკა მკვეთრად დაეცა, ხოლო აშშ-ს გლობალური პოლიტიკა დასუსტდა. მაგრამ სტრატეგიული და საერთაშორისო კვლევების ცენტრმა შეიმუშავა ეგრეთწოდებული „საომარი თამაშის“ სხვა სცენარიც, რომელშიც გათვალისწინებული იყო წარსული სამხედრო ოპერაციების ანალოგი. ამ გზით, საომარი თამაშის შედეგები განისაზღვრა ანალიზის საფუძველზე შექმნილი წესებით და არა პირადი შეხედულებების მიხედვით. შედეგად, მიღებული საომარი თამაში მოიცავდა 2,500 მეტ სიმბოლოს, რომლებიც წარმოადგენდნენ ჩინეთის, აშშ-ს, ტაივანის და იაპონიის სამხედრო ძალებს. საბოლოო ჯამში ამ სიმულაციების შედეგი იყო ის, რომ შეჭრა იწყებოდა ყოველთვის ერთი გზით: საწყისი დაბომბვა-ჩინეთი ანადგურებს ტაივანის საზღვაო და საჰაერო ძალების უმეტეს ნაწილს; გაძლიერებული სარაკეტო სისტემებით ჩინეთის საზღვაო ძალები ალყაში აქცევენ ტაივანის კუნძულს, თუმცა მოსალოდნელი „ძირითადი სცენარის“ მიხედვით, ჩინეთის შეჭრა მალე წარუმატებლად სრულდება. მიუხედავად ჩინეთის მხრიდან მასიური სარაკეტო დაბომბვისა, ტაივანის სახმელეთო ძალები გადადიან სანაპირო ზოლისაკენ, სადაც ჩინეთს უჭირს მარაგების შექმნა და კუნძულის სიღრმეებში შეღწევა. ამ დროს აშშ-ს წყალქვეშა ხომალდები და საბრძოლო ტიპის თვითმფრინავები გაძლიერებული იაპონური ძალებით, სწრაფად ანადგურებენ ჩინეთის წყალქვეშა ფლოტს, ხოლო ჩინეთის დარტყმები იაპონურ ბაზებსა და ამერიკულ სამხედრო

¹⁶ Ibid. CFR, *The U.S. and Taiwan: A Complicated Relationship*. 2022 y.

¹⁷ Affairs Foreign, *The Geopolitics of Taiwan*, 2023 y.

გემებზე ვერ ცვლის საერთო ვითარებას; შედეგად ტაივანი ინარჩუნებს ავტონომიას. მაგრამ ამ ყველაფერს აქვს წინაპირობები, რათა მოცემული ვარაუდები იქცეს შედეგად. სწორედ ამ 24-მა სიმულაციურმა ომის თამაშმა წამოაყენა ეს წინაპირობები, რომლებიც მდგომარეობს შემდეგში: ტაივანის შეიარაღებულმა ძალებმა უნდა დაიცვან სანაპირო ზოლი და შეძლონ კონტრშეტევა ჩინეთის ლოგისტიკის შესუსტებასთან ერთად, იქამდე სანამ არ მიიღებენ დახმარებას აშშ-გან, რომელიც უნდა ჩაერთოს ბრძოლაში რაც შეიძლება სწრაფად. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა უნდა შეძლოს იაპონიაში მდებარე სამხედრო ბაზების გამოყენება საბრძოლო ოპერაციებისთვის, ამისთვის კი უნდა გაძლიერდეს დიპლომატიური და სამხედრო კავშირი იაპონიასთან. ამასთან, აშშ-მ სწრაფად და მასიურად უნდა შეძლოს ჩინეთის ფლოტზე დარტყმა. მაგრამ ეს ყველა ვარაუდი და შედეგი აგებულია თეორიაზე, ხოლო მისი პრაქტიკული მაგალითი არ არსებობს. მაგალითად, არ არსებობს მონაცემები თუ რამდენად ეფექტურია ჩინური YJ-12 ტიპის რაკეტა ამერიკულ Arleigh Burke კლასის გამანადგურებელთან შედარებით. შესაბამისად, მოცემულ მონაწილეებს შორის არსებულმა რეალურმა სამხედრო მოქმედებებმა შესაძლოა რადიკალურად შეცვალონ ომის საბოლოო შედეგი.

დასკვნა

ნაშრომში განვიხილეთ ტაივანის და ჩინეთის კონფლიქტი, რომელიც მნიშვნელოვან გეოპოლიტიკურ საკითხს წარმოადგენს. ჩინეთის სტრატეგიული, სამხედრო და პოლიტიკური აქტივობა ტაივანის მიმართ მიანიშნებს პეკინის მზარდ სურვილზე ადადგინოს კონტროლი კუნძულზე, რაც განსაკუთრებით აქტუალურია ბოლო წლებში. ჩინეთის სამხედრო წვრთნების გააქტიურება ტაივანის საზღვრებთან და ასევე ჩინეთის ლიდერების განცხადებები მხოლოდ ერთი აზრის მატარებელია, რომ ტაივანი აუცილებლად უნდა გაერთიანდეს ჩინეთთან. ამ უკანასკნელის სტრატეგია მოიცავს არა მარტო სამხედრო წნეხს, არამედ ეკონომიკურ და დიპლომატიურ ზეწოლასაც, რაც ტაივანის იზოლირებას ისახავს მიზნად.

ამერიკის შეერთებული შტატები, როგორც ტაივანის მთავარი სტრატეგიული პარტნიორი, აქტიურადაა ჩართული ამ კონფლიქტში და მნიშვნელოვან როლს ასრულებს კუნძულის თავდაცვასა და სტაბილურობის შენარჩუნებაში. აშშ-ის სტრატეგიული ინტერესები ტაივანში მოიცავს, როგორც დემოკრატიული ღირებულებების მხარდაჭერას, ისე ჩინეთის სამხედრო ზრდასთან დაკავშირებულ გამოწვევებზე პასუხის გაცემას. სამხედრო ტექნიკის მიწოდება, ერთობლივი სამხედრო წვრთნები, ეკონომიკური და ტექნოლოგიური კავშირები ის ინსტრუმენტებია, რომლებსაც ამერიკა იყენებს ტაივანთან თანამშრომლობაში.

აშშ-ს მოკავშირეობა ტაივანისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობისაა, რადგან თუ ჩინეთი გახდება უფრო აგრესიული ტაივანის მიმართ, მაშინ ამ უკანასკნელს გაუჭირდება აშშ-ს გარეშე მისთვის წინააღმდეგობის გაწევა. იმ სიმულაციებში, რომლებსაც სხვადასხვა ორგანიზაციები ატარებენ, ტაივანის სამხედრო მოქმედებები ჩინეთის წინააღმდეგ განხილულია აშშ-სთან და მის მოკავშირეებთან ერთად, შესაბამისად ტაივანი ინარჩუნებს ძლიერ პარტნიორობას ამერიკის შეერთებულ შტატებთან. ვითარებაზე

კონტროლის შესანარჩუნებლად, საჭიროა განხორციელდეს სწორი პოლიტიკა თითოეული მხარისგან, რადგან აღნიშნული კონფლიქტი არის საფუძველი იმისა, რომ რეგიონი დადგეს სერიოზული საფრთხის წინაშე, რაც, გარკვეულწილად, უარყოფითად იმოქმედებს გლობალურ პროცესებზე.

გამოყენებული ლიტერატურა

- Affairs, Foreign. 2023. *The Geopolitics of Taiwan*. Foreign Affairs.
- Al Jazeera English. 2024. *China military drills: Taiwan mobilises forces as exercise begins*. May 23.
- Bonny Lin, Brian Hart, Matthew P. Funaiolo, Samant. 2024. "How China Could Quarantine Taiwan."
- CFR. 2022. *The U.S. and Taiwan: A Complicated Relationship*. CFR.
- CIA. 2024. *Central Intelligence Agency*. September 15.
- Corporation, RAND. 2022. *Assessing the U.S. Strategy for Taiwan*. RAND.
- Datg. 2023. *China's Military Exercises Near Taiwan: Signaling and War Scares*. May 2.
- Elaonor, Albert. n.d. "China-Taiwan Relations. U.S."
- Elaonor, Albert. 2016. "China-Taiwan Relations. U.S."
- Mark F. Cancian, Matthew Cancian, Eric Heginbotham. 2023. "The First Battle of the Next War."
- SkyNews. 2022. *Taiwan tensions: Analysis of the Chinese military exercises*. UK, August 5.
- Studies, Center for Strategic and International. 2023. *Military balance in the Taiwan Strait*. CSIS.
- Studman, Admiral Mike. 2024. *podcast, decoding geopolitics* (September 4).
- Xinhua, News. 2019. *Message to Compatriots in Taiwan*. januari 2.

ომის სტრატაგემები ბიზნესში

სოფო კახიაშვილი

სსიპ-დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს
ეროვნული თავდაცვის აკადემიის
ბაკალავრიატის მენეჯმენტის მიმართულების იუნკერი

საბა ყაზიშვილი

სსიპ-დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს
ეროვნული თავდაცვის აკადემიის
ბაკალავრიატის მენეჯმენტის მიმართულების იუნკერი

ხელმძღვანელი: რუსუდან დალაქიშვილი-ჭიჭინაძე

ბაკალავრიატის მენეჯმენტის
მიმართულების ასოცირებული პროფესორი

აბსტრაქტი

ომის ხელოვნება და სტრატეგიული დაგეგმვა მრავალი საუკუნის განმავლობაში განსაზღვრავდა სამხედრო წარმატებას. თანამედროვე ბიზნესში, სადაც კონკურენცია ისეთივე გარდაუვალი და გადამწყვეტია, როგორც ომებში, ომის სტრატეგიების გამოყენება მნიშვნელოვანი ხდება. სტრატეგიული ტაქტიკები, როგორებიცაა მოწინააღმდეგის დასუსტება, ყალბი თავდასხმები და მეგობრული გარეგნული ურთიერთობების მიღმა დამალული ზრახვები ფართოდ გამოიყენება თანამედროვე, წარმატებული მენეჯმენტის პრაქტიკაში. გარდა ამისა, მეტოქის „გამოფიტვის“ სტრატეგიები და სწორი მომენტი უპირატესობის მოპოვება, საშუალებას აძლევს კომპანიებს, მინიმალური ძალისხმევით მაქსიმალური სარგებელი მიიღონ. ამგვარად, ბიზნესის სფეროში კონკურენტების დამარცხება ხშირად ეფუძნება არა მხოლოდ რესურსების რაოდენობას, არამედ დროის სწორად შერჩევას და გონიერ ტაქტიკას. ნაშრომი ასახავს, თუ როგორ შეიძლება ბიზნესის სტრატეგიები მოდელირებული იყოს კლასიკური სამხედრო ტაქტიკების მიხედვით და როგორ ახდენენ ეს მიდგომები გავლენას თანამედროვე ორგანიზაციებზე. ნაშრომი ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ კონკურენტულ გარემოში წარმატების მისაღწევად შორსმჭვრეტელობა, მოქნილობა და მოულოდნელობის ფაქტორის გამოყენება ისეთივე მნიშვნელოვანი ხდება, როგორც სამხედრო კონფლიქტებში.

საკვანძო სიტყვები: ომის სტრატაგემები; ბიზნეს ტაქტიკები; დროის მართვა; კონკურენცია; გეგმა.

War strategies in business

Sopho Kakhniashvili

Junker of Bachelor's Program in Management Department of
LEPL-David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia

Saba Kazishvili

Junker of Bachelor's Program in Management Department of
LEPL-David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia

Supervisor: Rusudan Dalakishvili-Chichinadze

Associate Professor of Bachelor's Program in Management

Abstract

The art of war and strategic planning have been fundamental in determining military success for centuries. In the modern business environment, where competition is as fierce and decisive as in warfare, the application of war strategies becomes essential. Strategic tactics such as weakening the opponent, deceptive attacks and concealing hostile intentions under friendly relations are widely adopted in effective management practices. Additionally, strategies like exhausting the enemy and gaining an advantage at the right moment enable companies to achieve maximum results with minimal effort. Therefore, defeating competitors in the business world relies not only on the amount of resources but also on timing and smart tactics. This research highlights how business strategies can be modeled on classical military tactics and how these approaches impact modern organizations. The analysis emphasizes that foresight, flexibility, and the element of surprise are as critical in achieving success in competitive environments as they are in military conflicts.

Keywords: War strategies; Business tactic; Time management; Competition; planning.

შესავალი

თანამედროვე სამყაროში სადაც საბაზრო ეკონომიკა გადაიქცა „ბრძოლის ველად,“ უამრავ სფეროში აქტიურად გამოიყენება ტერმინი „სტრატეგია,“ რომლის ფესვებიც სამხედრო დებულებებიდან მომდინარეობს და გულისხმობს „ომის წარმოების ხელოვნებას“. ამ ტერმინს განსაკუთრებით იყენებენ პოლიტიკაში, ეკონომიკაში თუ ბიზნესში. იგი ძირითადად გულისხმობს გრძელვადიან სამოქმედო გეგმებს, ასევე უკავშირდება ბრძოლას, ბიზნესის შემთხვევაში კი კონკურენციისთვის ისეთი გზების შემუშავებას, რაც განაპირობებს წარმატებას ბაზარზე. ყველა სტრატეგია დაკავშირებულია გამარჯვებასთან. ტერმინი აღიქმევა როგორც ერთიანი კონცეფცია, რომელიც უზრუნველყოფს ადამიანების, ორგანიზაციების მოქმედების ან გადაწყვეტილებების ერთიანობას და საერთო მიმართულებას. სტრატეგიების დიდ კონცეფციას ეკუთვნის სტრატაგემები, რომელიც ბერძნულად სამხედრო ხრიკებს ნიშნავს. სწორედ ამ ტერმინს იყენებდნენ ძველ ჩინეთშიც, როდესაც ხდებოდა საბრძოლო ხრიკების შემუშავება გამარჯვებისთვის. მისი მიზანი იყო, ნაკლები დანაკარგით სასურველი შედეგების მიღწევა. სწორედ აქედან გამომდინარე, ის წარმოადგენს თანამედროვე ბიზნესში ირიბ თუ პირდაპირ კავშირს, რომელიც ეხმარება ბიზნესს განავითაროს და გაზარდოს საკუთარი შესაძლებლობები, მოიპოვოს კონკურენტული უპირატესობა და შეძლოს ლიდერობა არჩეულ დარგში. მსოფლიოსა და საქართველოშიც არსებობს ცნობილი კომპანიები, რომლებმაც წარმატებით გამოიყენეს სხვადასხვა სტრატაგემები, რომლებიც სუნძის „ომის ხელოვნებაში“ აღწერილ მეთოდებს ჰგავს. მათი მოქმედებები ძირითადად მიმართულია ბაზარზე პოზიციის გაძლიერებისკენ, კონკურენტების სუსტი წერტილების გამოყენებისა და სწრაფი ადაპტაციისკენ.

ძირითადი ნაწილი

თანამედროვე სამყაროში, სადაც კონკურენცია, ცვლილებები და სირთულეები ყოველდღიურ რეალობად იქცა, სტრატეგიებისა და სტრატაგემების სწორად გამოყენება წარმატების ერთ-ერთი მთავარი პირობაა. ერთი შეხედვით სტრატეგია და სტრატაგემა მსგავსი ცნებებია, თუმცა განსხვავდებიან მასშტაბებით და შინაარსით ბიზნესში, პოლიტიკაში, სამხედრო სფეროსა და ყოველდღიურობაშიც კი, გონივრული და წინასწარ გააზრებული სტრატაგემები ხშირად განაპირობებენ წარმატებას.

სტრატეგია არის გრძელვადიანი გეგმა, რომელიც შემუშავდა დასახული მიზნების მისაღწევად. ის მოიცავს პრიორიტეტების განსაზღვრას, რესურსების ოპტიმალურ განაწილებას და ქმედებების თანმიმდევრულ შესრულებას. სტრატეგია გულისხმობს როგორ უნდა მივაღწიოთ მიზანს, ხოლო ტაქტიკა გვეხმარება როგორ განვახორციელოთ სტრატეგიები.

„სტრატაგემა“ ბერძნული სიტყვიდან მომდინარეობს და ნიშნავს „სარდლის ეშმაკობას“ ან „გონიერ მანევრს.“ (სტრატოს - ჯარი; აგო-ვმართავ). იგი თავდაპირველად სამხედრო ხელოვნებასთან იყო დაკავშირებული და მოიცავდა ომში ისეთი ეშმაკური სვლების გამოყენებას, რომელიც მოწინააღმდეგეს უქმნიდა მოულოდნელობის ეფექტს.

დროთა განმავლობაში სტრატეგიები გვხვდება არამარტო სამხედრო სფეროში, არამედ პოლიტიკაში, ბიზნესსა და დიპლომატიაში. თანამედროვე ბიზნესი არის ომი, სადაც კონკურენტები მტრები არიან, ხოლო მომხმარებლები ის ტერიტორია, რომლის დასაპყრობადაც კომპანია ყველა შესაძლო ხერხს მიმართავს, როგორცაა - როგორ შევადგინოთ თავდასხმის გეგმა, რომელმაც უნდა მოგვიტანოს გამარჯვება ნებისმიერი პროდუქტით/მომსახურებით შესვლის დროს.

სტრატეგიას და სტრატაგემას გააჩნია საერთო და განმასხვავებელი მახასიათებლები. რა თქმა უნდა, ორივე ორიენტირებულია პრობლემის გადაჭრაზე, კონკურენტულობაზე და მთავარი მიზანი ორივეს შემთხვევაში არის დასახული მიზნების მიღწევა. მიუხედავად ამისა, სტრატეგია უფრო ითვალისწინებს ეთიკას და წესებს, ხოლო სტრატაგემა ზოგჯერ ეშმაკური და ცბიერია, რომელიც წინააღმდეგობაში შეიძლება მოვიდეს ეთიკურ ნორმებთან. სტრატეგია უფრო მომზადებული და დეტალურად განხილული გეგმაა, ხოლო სტრატაგემა მოულოდნელი. სწორედ ამიტომ, თანამედროვე ბიზნესში კომბინირებულად იყენებენ, როგორც სტრატეგიის ასევე სტრატაგემის კონცეფციებს.

კლასიკური (ძველი) ომის სტრატეგიები და მათი გამოყენების ეფექტიანობა ბიზნესში

ბიზნესის მართვაში სხვადასხვა სტრატეგიული მიდგომის დანერგვა კომპანიის სტაბილურობისა და გრძელვადიანი განვითარების მთავარი წინაპირობაა. ბიზნეს გარემო ხშირად ჰგავს საბრძოლო არენას, სადაც ორგანიზაციებს უწევთ კონკურენციასთან, ბაზრის რყევებთან და მოულოდნელ ცვლილებებთან გამკლავება. ამაში ომის სტრატეგიები ეხმარებათ კომპანიებს, გააუმჯობესონ პოზიციები და მიიღონ უპირატესობა. ქვემოთ განვიხილავთ ოთხ მნიშვნელოვან სტრატეგიას და მათ გამოყენებას ბიზნესში¹

თავდაცვითი ომი – სტაბილურობის შენარჩუნება და კრიზისის მართვა, თავდაცვითი სტრატეგია გულისხმობს არსებული პოზიციების შენარჩუნებას და კონკურენტის თავდასხმებისგან დაცვას. მისი მიზანია გრძელვადიანი სტაბილურობის მიღწევა და გაურკვეველი პერიოდის უსაფრთხოდ გადალახვა.

შეტევითი ომი – ინიციატივის ხელში ჩაგდება და ბაზრის გაფართოება. შეტევითი სტრატეგია მიზნად ისახავს ინიციატივის ხელში ჩაგდებას და კონკურენტების განეიტრალებას მუდმივი ზეწოლითა და აგრესიული ნაბიჯებით.

ფლანგური შეტევა – მოულოდნელი ნაბიჯები და ნიშების ათვისება. ფლანგური შეტევა გულისხმობს კონკურენტზე მოულოდნელად, გვერდიდან შეტევას, იქ, სადაც ის ყველაზე ნაკლებად არის მომზადებული. ეს ტაქტიკა მიზნად ისახავს ოპონენტის დინამიკის დარღვევას და მისთვის ხელსაყრელი პოზიციის მოპოვებას.

პარტიზანული ომი – მცირე რესურსებით მაქსიმალური ეფექტის მიღწევაა. პარტიზანული სტრატეგია გულისხმობს მცირე, მოულოდნელ შეტევებს სუსტი წერტი-

¹ შ. გველესიანი, „ომისა და მშვიდობის დინამიკა“, სამხედრო კვლევების ჟურნალი 12, 2019 წ.

ლებსკენ, რათა დიდი ძალის მქონე კონკურენტს მოუტანოს ზიანი და მინიმალური რესურსებით მოახდინოს მნიშვნელოვანი გავლენა².

სტრატაგემების განვითარების ერთ-ერთი საფუძველი ძველი ბერძნული სამხედრო პრაქტიკაა. ბერძენი სარდლები ხშირად იყენებდნენ ეშმაკურ ხრიკებს, რათა თავიანთი მცირე რესურსები ეფექტურად გამოეყენებინათ. ჩინური სამხედრო ხელოვნება მდიდარია სტრატაგემებით და საფუძვლად უდევს სუნ ძის „ომის ხელოვნება“ (ძვ.წ. VI საუკუნე). სუნ ძი დიდ ყურადღებას უთმობდა მტრის მოტყუებასა და გონიერ მანევრს. რომაელებიც იყენებდნენ მრავალ სტრატაგემს სამხედრო და დიპლომატიურ გარემოში: „დაყავი და იბატონე“ რომელიც გულისხმობდა მოწინააღმდეგის ძალების გახლეჩასა და მათ შორის დაპირისპირების გამოწვევას, რაც მტრის საერთო ძალას ამცირებდა. ჩინგიზ ყანის მიერ გამოყენებული სტრატაგემები ხშირად ეფუძნებოდა მოულოდნელ შეტევებსა და მოტყუებით უკანდახევას. „მოჩვენებითი უკანდახევა“, როდესაც მონღოლები თითქოს უკან იხევდნენ, მერე მოულოდნელად უტევდნენ მტერს. კიდევ გავრცელებული სტრატაგემაა „საინფორმაციო ომი“ ისინი აქტიურად ავრცელებდნენ ჭორებს, რომ მათი არმია გაცილებით დიდი და დაუმარცხებელი იყო, რითაც მოწინააღმდეგის დემორალიზაციას იწვევდნენ.

სულ არსებობს 200 ზე მეტი სტრატაგემა, აქედან ცნობილი კომპანიები იყენებენ 36 სტრატაგემს, რომლის საფუძველზეც განხილული იქნება გამორჩეული სტრატაგემები, რომელიც აქტიურად გამოიყენება, როგორც სამხედრო, ასევე თანამედროვე ბიზნესში:

- ❖ **„მშვიდად შეხვდი გადაღლილ მტერს“** - გამოფიტვის სტრატაგემა. მოთმინება ხშირად გადამწყვეტი უპირატესობაა. მოცემული სტრატაგემა გულისხმობს მტრის ფიზიკურად ან მორალურად დასუსტებას რესურსის სრულიად ან ნაწილობრივ ამოწურვამდე, შემდეგ კი მთელი ძალით შეტევას. კონკურენციაში ხშირად სჯობს პირდაპირი შეტევისგან თავის შეკავება და დროის გაწელვა, რათა მოწინააღმდეგე ფინანსურად ან მორალურად დასუსტდეს და მისი არასწორი ნაბიჯის შემდეგ იმოქმედო ბაზრის წილის მოპოვებისთვის. ყველასათვის ცნობილი კომპანია Amazon ხშირად იყენებს დროებით ფასების შემცირებას კონკურენტების დასასუსტებლად. სხვა კომპანიები ფინანსურ დეფიციტში ვარდებიან და იძულებულნი არიან ბაზარი დატოვონ. შემდეგ როცა კონკურენტები გადაღლილი და გაკოტრებულები არიან, წამყვანი კომპანიები მარტივად იბატონებენ ბაზარზე. ტექნოლოგიურ სექტორში, ზოგიერთი კომპანია სპეციალურად აგვიანებს პროდუქტის გამოშვებას, რათა ჯერ კონკურენტებმა დახარჯონ ძალები და რესურსები, შემდეგ კი მოულოდნელად განახორციელებენ გამოსვლას ბაზარზე, ახალი ან გაუმჯობესებული პროდუქტით.
- ❖ **„მოატყუე ცა, რომ გადაცურო ოკეანე“** - ეს სტრატაგემა გვასწავლის, რომ მტერი ან კონკურენტი უნდა მოატყუო ისე, რომ შენი მოქმედებებით არ გამოიწვიო ეჭვი. დამალული უნდა იყოს რეალური განზრახვა. ამ შემთხვევაში შეუმჩნეველი მოძრაობა

² ე. რაისი, ჯ. ტრაუტი „მარკეტინგული ომები“ 2019 წ.

ყველაზე ეფექტურია მაშინ, როცა შენი მტერი შენს მოქმედებებს ჩვეულებრივ პროცესად აღიქვამს. ასე იქცეოდა ჩინგიზ ყაენი მოტყუებითი მანევრით, ხშირ შემთხვევაში ყალბი თავდასხმები და უკანდახევების განხორციელება, მტერს არწმუნებდა რომ ბრძოლის ველს ტოვებდნენ, თუმცა რეალური გეგმები მაინც დაფარული რჩებოდა. ბიზნესში ეს სტრატაგემა გამოიყენება მაშინ, როდესაც კომპანია ფართოდ აჩვენებს ერთი მიმართულებით მოქმედებას, მაშინ, როცა მთავარი სტრატაგემა სხვა მიზნისკენ არის მიმართული. მაგალითად Netflix გარკვეული დროის განმავლობაში ყურადღებას ამახვილებდა ტრადიციულ ფილმებსა და სერიალებზე, ამავდროულად კი საიდუმლოდ მუშაობდა საკუთარი ექსკლუზიური კონტენტის განვითარებაზე.

- ❖ **„ღიმილში დამალული დანა“** (იუდას კოცნის სტრატაგემა) - ერთ-ერთი ყველაზე ემმაკური და რთულად შესამჩნევი სტრატაგემაა. მთავარი იდეა, მეგობრული ან ნეიტრალური ურთიერთობების ნიღაბქვეშ დამალული მტრული ზრახვების გამოყენებაა. სტრატეგიული მიზანი ნდობის დამსახურებაა, რათა მოწინააღმდეგე თავი უსაფრთხოდ იგრძნოს. იულიუს კეისრის ერთ-ერთმა უახლოესმა მეგობარმა და თანამოაზრემ ბრუტუსმა, სხვა შეთქმულებებთან ერთად ის მოულოდნელად მოკლა. კეისარი ბოლომდე ენდობოდა მას და გამორიცხავდა ყოველგვარ ვერაგულ ქმედებებს. ეს სტრატაგემა ამცირებს საფრთხეს, ზოგავს რესურსებს და უტევს მოწინააღმდეგეს სწორ მომენტში. ეს სტრატეგია, ბიზნესშიც იგივე მიმართულებით გამოიყენება. Pepsi და Coca-Cola ფარული თვალთვალი - 2000 წლებში პეპსიმ სცადა კოკა-კოლას საიდუმლო რეცეპტის მოპოვება, ამ პროცესში ერთ-ერთმა თანამშრომელმა მოატყუა კოკა-კოლა და მოიპოვა საიდუმლო ინფორმაცია. ამით შეძლო ბაზრის უპირატესობის, მოულოდნელობისა და დანახარჯების შემცირება. სტრატაგემაზე დაყრდნობით შეიძლება დავასკვნათ, რომ მეგობრობა ყოველთვის არ ნიშნავს რეალურ ალიანსს - ზურგს უკან შეიძლება არსებობდეს მტერი და ყველაზე მოულოდნელ დროს შეტევა.
- ❖ **„ყაჩაღების დასამარცხებლად ჯერ დაიჭირე მეთაური“** - მოწინააღმდეგის დამარცხება მეთაურის ლიკვიდაციით. თუ ვეფხვს ბუნაგიდან გამოვიტყუებთ, ხროვა დაუცველი დარჩება. ცნობილია, ბრძოლის ველზე მეთაურის დიდი დანიშნულება, ხოლო მის გარეშე „ხროვა“ ვერ მოახერხებს გაანალიზებას, თუ რა მოქმედება განხორციელონ და როგორ შეუტიონ მოწინააღმდეგეს. იქნება არეულობა, ჯარის დემოტივაცია და დამარცხება.
- ❖ **„ითხოვე ვინმეს ხელი მოსაკლავად“** - მოკალი ნათხოვარი დანით, ეს სტრატაგემა გულისხმობს სხვისი რესურსებისა და გავლენის გამოყენებას მეტოქის გასანადგურებლად ისე, რომ მთავარი მოქმედი პირი გვერდზე დარჩეს. ამ სტრატაგემის მიზანია საკუთარი ენერჯის და რესურსების დაზოგვით მტრის მოშორება. “ალიბის სტრატაგემა“ სადაც ნამდვილი ინიციატორი უხილავი რჩება, ხოლო მოქმედებას სხვა ასრულებს.

სპარტამ საკუთარი გავლენით დაარწმუნა ათენის მოწინააღმდეგეები, რომ დახმარებოდნენ ათენთან ბრძოლაში, ამ დროს მან ნაკლები რესურსები დახარჯა, ხოლო ათენის დასუსტება მოხერხდა მესამე მხარის ჩართულობით. ასევეა ბიზნესში. Google და სხვა დასავლური კომპანიები ამერიკულ რეგულაციებს დაეყრდნენ, რათა ჩინური Huawei-სთვის, ბაზარზე პოზიციონირება შეეზღუდათ. Google პირდაპირ არ ებრძოდა, მაგრამ რეგულაციების გამო მისთვის სერვისების მიწოდება შეწყვიტა. ამის გამო Huawei-ის სმარტფონები სერვისების გარეშე დარჩა და ბაზარზე სერიოზულად დასუსტდა.

❖ **„ამვერი სახურავზე და დამალე კიბე“** - კომუნიკაციის სტრატეგია, რომელიც გულისხმობს მტრის შეტყუებას მოწინააღმდეგის მიმდებარე ბუნებრივ გარემოში, მომარაგების გზების გადაჭრას და იძულებას, რომ იბრძოლოს, როგორც ჩვენი ასევე მაკროპირობების წინააღმდეგ. „ჩავაყენოთ ჩვენი მებრძოლები ისეთ ბუნებრივ მდგომარეობაში, საიდანაც უკან დახევა წარმოუდგენელია და არსებობს მხოლოდ ორი გზა-გამარჯვება ან სიკვდილი“ ეს კი ასოცირდება დავით აღმაშენებლის სტრატეგიასთან, დიდგორის ველზე. საქართველოს ჯარი დავით აღმაშენებელმა დიდგორს განალაგა. "მეომარნო ქრისტესანო! თუ ღვთის სჯულის დასაცავად თავდადებით ვიბრძოლებთ, არამც თუ ეშმაკის ურიცხვ მიმდევართა, არამედ თვით ეშმაკებსაც ადვილად დავამარცხებთ. და ერთ რასმე გირჩევთ, რაც ჩვენი პატიოსნებისა და სარგებლობისათვის კარგი იქნება. ჩვენ ყველამ, ხელების ცისკენ აპყრობით, ძლიერ დმერთს აღთქმა მივცეთ, რომ მისი სიყვარულისათვის ამ ბრძოლის ველზე დავიხოცებით და არ გავიქცევით და რათა არ შეგვეძლოს გაქცევა, კიდევ, რომ მოვიწოდოთ, ამ ხეობის შესავალი, რომლითაც შემოვსულვართ, ხეთა ხშირი ხორგებით შევკარით და მტერს, როცა მოგვიახლოვდება ჩვენზე იერიშის მოსატანად, მტკიცე გულით დაუნდობლად შევუტოთ."³ სტრატეგიული და ტაქტიკური სიახლეებისა და მებრძოლთა თავგანწირული შემართების წყალობით მტერი სასტიკად დამარცხდა „ქართველთა ლაშქრისა და მისი სარდლობის დამსახურება ის იყო, რომ გაქცეულ მტერს შეკავშირებისა და გაერთიანების საშუალება არ მისცა, კონტრშეტევის ყოველგვარი საშუალება მოუსპო და მისი სრული მარცხი განაპირობა. ამრიგად, ქართველმა მოლაშქრეებმა 1121 წლის 12 აგვისტოს მაჰმადიანურ კოალიციურ ჯარებთან რთულ და ამავე დროს გადამწყვეტ ბრძოლაში ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვეს.“

❖ **„სპეციფიკური ბაზრების მიზანმიმართული ტაქტიკა“** სუნ ძის მიხედვით, ზოგჯერ მნიშვნელოვანია სპეციფიკური, სუსტი ჯგუფების სეგმენტირება და მათი მხარდაჭერა. „ლიბერტი ბანკი“ წარმატებით ფოკუსირებულია პენსიონერებზე და სხვა მომხმარებელთა სეგმენტებზე, რომლებიც საბანკო მომსახურებას სხვა ბანკებთან შედარებით ნაკლებად იყენებენ. მიღწევები: „ლიბერტი ბანკმა“ უზრუნველყო მნიშვნელოვანი ბაზრის წილი, განსაკუთრებით რეგიონებში და დაბალშემოსავლიან სეგმენტებში, რითაც მოიპოვა სტაბილური ზრდა.

³ კვირის პალიტრა „დავით აღმაშენებელი IV“ 2011 წ.

❖ *„სწრაფი და სოლიდური პოზიციების დაკავება“* - „ვისოლი“ ერთ-ერთი უმსხვილესი ნავთობკომპანიაა საქართველოში, რომელიც ფოკუსირებულია ხარისხიან მომსახურებასა და ინოვაციურ გადაწყვეტილებებზე. კომპანიის წარმატების უკან შეიძლება „ომის ხელოვნებაში“ აღწერილი სტრატეგიების გამოყენებაც ვიხილოთ. მთელი საქართველოს მასშტაბით მრავალრიცხოვანი სერვის-ცენტრების ქსელი გააფართოვა. კომპანიის სერვისები მოიცავს არა მხოლოდ საწვავის გაყიდვას, არამედ დამატებით სერვისებსაც (მაგალითად, „სმარტ“ მაღაზიები და სწრაფი კვების ობიექტები), რაც ზრდის კომპანიის მომხმარებელთა ბაზას და აძლიერებს მის პოზიციებს. ამავდროულად მომხმარებელს შეუძლია ერთ სივრცეში ისარგებლოს, როგორც საწვავის ყიდვით ასევე საკვებით. მიღწევები, ლოიალურობის პროგრამებმა და სეგმენტირებულმა შეთავაზებებმა გაზარდა, რამაც უზრუნველყო მომხმარებელთა კმაყოფილება და კომპანიის ბაზრის წილის გაზრდა.

❖ *„იმეგობრე შორს მყოფთან, იომე მეზობელთან“* - დიპლომატიისა და მეზობლობის სტრატეგია. ეყრდნობა გეოპოლიტიკურ და კონკურენტულ პრინციპებს და გულისხმობს მეზობლად მდებარე კონკურენტის/მტრის დასუსტებას, შორს მყოფი ძალების მხარდაჭერის მოპოვებით. მეზობელი ახლოს არის, შესაბამისად, მისი მხრიდან საფრთხე უფრო მყისიერია. გულისხმობს ალტერნატიული ალიანსის შექმნას შორეულ მოთამაშეებთან. ნატო ხშირად ამყარებს ალიანსებს შორეულ ქვეყნებთან, რათა გააძლიეროს პოზიციები მეზობელი მტრული სახელმწიფოების მიმართ. მაგალითი: ბალტიისპირეთის ქვეყნები ნატოს მხარდაჭერით ახერხებენ წინააღმდეგობა გაუწიონ რუსეთის ზეწოლას. ბიზნესი გულისხმობს შორეული პარტნიორების პოვნას და მათთან თანამშრომლობას, რადგან დარგში სხვას კონკურენტული უპირატესობა წაართვას. Amazon-ის გლობალური გაფართოება - Amazon-მა სტრატეგიულად შესრულა თანამშრომლობა ჩინურ მომწოდებლებთან და გააძლიერა თავისი ლოგისტიკური ქსელი, რათა აშშ-ის ბაზარზე კონკურენტებისთვის მეტი წნეხი შეექმნა. შედეგი: შორეული პარტნიორების მეშვეობით Amazon-მა შეამცირა ხარჯები და უკეთესად გააკონტროლა ლოკალური კონკურენტები.

კლაუზევიცი და მისი სამხედრო სტრატეგიები ბიზნესში

კლაუზევიცი, გერმანელი სამხედრო თეორეტიკოსი, რომელმაც 19-ე საუკუნეში დაწერა თავისი ცნობილი ნაშრომი „ომის შესახებ“, წარმოუდგენელი გავლენა მოახდინა როგორც სამხედრო სწავლებებზე, ისე სტრატეგიული აზროვნების სხვა სფეროებზეც, მათ შორის ბიზნესზე. მისი იდეები, როგორცაა ომის ბუნება, სტრატეგიული მიზნები და რესურსების ოპტიმალური გამოყენება, ფართოდ გამოიყენება თანამედროვე ბიზნეს სტრატეგიაში.⁴

კლაუზევიცის თქმით, ომი არსებითად პოლიტიკის გაგრძელებაა სხვა საშუალებებით. მსგავსი წესი შეიძლება ვრცელდებოდეს ბიზნესზე, სადაც კონკურენცია სხვა კომპანიებთან წარმოადგენს „ომს“ ბაზარზე. ბიზნეს ლიდერებმა ხშირად უნდა განსა-

⁴ C. Clausewitz „On War” Princeton University Press , 1976.

ზღვრონ თავიანთი სტრატეგიული მიზნები, გაანალიზონ მტრის (ან კონკურენტის) ძალები და სუსტი მხარეები, და განავითარონ საკუთარი სტრატეგიები ბაზარზე გამძლეობისა და წარმატების უზრუნველსაყოფად.

კლაუზევიცის მიხედვით, ცენტრალური მნიშვნელობა აქვს „ბედის ფაქტორს“, რაც ნიშნავს, რომ ერთ-ერთი მხარის წარმატება შეიძლება დამოკიდებულ იყოს შემთხვევით მოვლენებზე. ბიზნესში ეს შეიძლება მოიცავდეს ეკონომიკური ცვლილებების, ტექნოლოგიური ინოვაციების ან მომხმარებელთა უპირატესობების ცვლილებებს. ბიზნეს ლიდერები უნდა იყვნენ მზად ამ გამოწვევებისადმი ადაპტაციისათვის და მუდმივად შეინარჩუნონ ოპტიმალური სტრატეგიები ცვლილებების საპასუხოდ.

კლაუზევიცი ასევე განიხილავს „სამხედრო ძალების კონცენტრაციას“, რაც ნიშნავს, რომ წარმატებისთვის აუცილებელია რესურსების სწორად გამოყენება. ბიზნესში ეს უკავშირდება ფინანსური, ადამიანური და ტექნოლოგიური რესურსების ეფექტურად მართვას. კომპანიებმა უნდა შეძლონ მათი შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოყენება, რათა მიაღწიონ მიზნებს და კონკურენციის წინააღმდეგ მოიპოვონ უპირატესობა.

ამას გარდა, კლაუზევიცი საუბრობდა „დასახელებული მიზნების“ მნიშვნელობაზე. ბიზნესში, ეს ნიშნავს, რომ კომპანიებმა უნდა გაამყარონ მკაფიო და გარკვეული მიზნები. ეს მიზნები უნდა იყოს რეალისტური და გაზომვადი, რათა მათ შეძლონ აკონტროლონ პროგრესი და საჭიროების შემთხვევაში შეიტანონ კორექტირებები. მიზნების დასახვა და მათი მიღწევის მონიტორინგი არის ის, რაც კომპანიების წარმატებას უზრუნველყოფს.

კლაუზევიცის თვალსაზრისით, „ომის ბუნება“ არის ჭრელი და ხილული, რაც ნიშნავს, რომ კომპანიის ოპერაციები უნდა იყოს მჭიდროდ დაკავშირებული ბაზრის განვითარების და მომხმარებლის მოთხოვნებთან. კომპანიები უნდა იყვნენ მზად სწრაფ ცვლილებებზე, რათა შეძლონ კონკურენციის გაძლოლა და ბაზრის შევსება. კლაუზევიცის სწავლებები დღევანდელ ბიზნეს სამყაროში მნიშვნელოვან როლს თამაშობს. მისი სტრატეგიული კონცეფციები შეიძლება გამოყენებულ იქნას არა მხოლოდ სამხედრო, არამედ კომერციულ და ორგანიზაციულ სფეროებში. ბიზნეს ლიდერები, რომლებიც პატივისცემით მოეკიდებიან კლაუზევიცის იდეებს, შეძლებენ უფრო ეფექტურად მართონ თავიანთი კომპანიები, შექმნან კონკურენტული უპირატესობები და მიიღონ შედეგი, რომელიც საბოლოოდ მათი ორგანიზაციის წარმატებას უზრუნველყოფს.

ომის სტრატეგიების გამოყენებით მიღწეული სტაბილურობა, ბიზნეს სექტორში

ომის სტრატეგიები ბიზნესში სტაბილურობის შენარჩუნებაში გვეხმარება, რადგან გვასწავლიან კრიზისის მართვას, ოპერაციებისა და გარემოს ანალიზს, სწრაფ გადაწყვეტილებებს და რესურსების მაქსიმალურად ეფექტიანად გამოყენებას. თითოეული სტრატეგია ბიზნესს საშუალებას აძლევს, რთულ და არასტაბილურ პირობებში იმოქმედოს მედგრად და კონკურენტული უპირატესობა მოიპოვოს. ბიზნესში სისტემური მდგრადობა, კონკურენტული უპირატესობა, რისკების მინიმალიზაცია, მომზადება გაურკვევლობებისთვის გვეხმარება მივარწიოთ დასახულ შედეგებს და შევინარჩუნოთ

ნოთ ლიდერის პოზიცია დარგში. ბიზნესის სტაბილურობა კომპლექსურია და დამოკიდებულია, როგორც ფინანსურ და ოპერაციულ ფაქტორებზე, ისე ბაზრის შიდა და გარე გარემოს გავლენაზე. რა თქმა უნდა, სტაბილურობისთვის საჭიროა ფინანსური მდგრადობის შენარჩუნება და რეზერვების დაგროვება, ასევე მუდმივი ადაპტაცია და ინოვაციების დანერგვა, ბაზრის დივერსიფიკაცია და მომხმარებლების ნდობის მოპოვება ეს ყველაფერი კი შესაძლებელი და მიღწევადია ომის სტრატაგემების გამოყენებით.

დასკვნა

ომის სტრატაგემების გამოყენება ბიზნესში სტაბილურობის უზრუნველსაყოფად ეფექტური გზაა, რადგან ორივე სფეროში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სწრაფ ადაპტაციას, რისკების მართვას და რესურსების ოპტიმალურ გამოყენებას. სტაბილურობისთვის აუცილებელია, როგორც შიდა ფაქტორების (ოპერაციული ეფექტიანობა, ფინანსური მდგრადობა, ორგანიზაციული კულტურა) ისე გარე ფაქტორების (ბაზრის ცვლილებები, კონკურენცია, რეგულაციები) გათვალისწინება. ბიზნესს, ისევე როგორც სამხედრო ოპერაციებს, სჭირდება რეზერვების და მდგრადობის უზრუნველყოფა, რაც ნიშნავს ფინანსური ბუფერების ქონას და მიწოდების ჯაჭვის საიმედო მართვას. ომის სტრატეგიებისგან სარგებლის მიღება ასევე მოიცავს ასიმეტრიული მიდგომების გამოყენებას: მცირე კომპანიებმა შესაძლოა კონკურენტულ უპირატესობას მიაღწიონ ნიშურ ბაზრებზე ფოკუსირებით, სადაც მსხვილი მოთამაშეები ვერ ამუშავებენ თავიანთ პოტენციალს. საბოლოოდ, ომის სტრატაგემები არა მხოლოდ კრიზისის პერიოდშია სასარგებლო, არამედ გრძელვადიან სტაბილურობის და მდგრადი ზრდის საფუძველსაც ქმნის. ნაშრომში განხილული სტრატაგემები ორგანიზაციის წარმატებას და უწყვეტ განვითარებას უზრუნველყოფს.

გამოყენებული ლიტერატურა

- ანთაძე გიორგი, *the art of the advantage*. 2011 წ.
- მეტრეველი როინ, *დავით აღმაშენებელი IV*. თბილისი. 2011 წ.
- კახნიაშვილი ანა, "მარკეტინგული ომები." 2020 წ.
- გველესიანი შოთა, "ომის და მშვიდობის დინამიკა". *სამხედრო კვლევების ჟურნალი* 12, 44-57, 2019.
- "ნატო-საქართველოს სწავლება ." 04.12. 2020.
- Keegan John, "The Face of Battle." *The New York Review of Books*, March 18, 1976.
- Liddell Hart, B. H. *Strategy*. New York: Meridian, 1991
- Carl von Clausewitz, *On War*. Princeton: Princeton University Press, 1976.

ანაკლიის პორტი - რეალობა, პერსპექტივები და მოლოდინები

ავთანდილ ცერცვაძე

სსიპ-დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს
ეროვნული თავდაცვის აკადემიის
ბაკალავრიატის მენეჯმენტის მიმართულების იუნკერი

ლუკა ლიპარტელიანი

სსიპ-დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს
ეროვნული თავდაცვის აკადემიის
ბაკალავრიატის მენეჯმენტის მიმართულების იუნკერი

ხელმძღვანელი: რუსუდან დალაქიშვილი-ჭიჭინაძე

ბაკალავრიატის მენეჯმენტის მიმართულების ასოცირებული პროფესორი

აბსტრაქტი

თანამედროვე გლობალური ეკონომიკის პირობებში, საზღვაო პორტები უდიდესი სტრატეგიული და ეკონომიკური მნიშვნელობის ინფრასტრუქტურაა. საქართველოსთვის ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის მშენებლობა ერთ-ერთ მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენს, რომელიც გააძლიერებს ქვეყნის საერთაშორისო პოზიციას, გააუმჯობესებს შუა დერეფნის სატრანსპორტო ინფრასტრუქტურას და გაზრდის მის კონკურენტუნარიანობას ევროპის, აზიისა და ცენტრალური აზიის სატრანსპორტო ქსელში. ანაკლიის პორტი დაგეგმილია მრავალმხრივი სერვისებით, რაც შესაძლებელს გახდის კონტეინერების, თხევადი და ნაყარი ტვირთის გადაზიდვას და განავითარებს საერთაშორისო ტრანზიტს რეგიონში. პორტი ასევე ითვალისწინებს „ჭკვიანი“ და „მწვანე“ ტექნოლოგიების ინტეგრაციას, რომელიც ხელს შეუწყობს ოპერაციული ეფექტურობის ამაღლებას და გარემოსდაცვითი სტანდარტების დაცვას. საქართველოს მთავრობის პროგნოზებით, ანაკლიის პორტის პირველი ფაზა მოიცავს 600,000 კონტეინერის ტევადობის ტერმინალის აშენებას, რომლის მიზანია 2029 წლიდან სრულად ფუნქციონირება და ტრანზიტული ტვირთების სწრაფი და უსაფრთხო გადაზიდვა. მისი სრულად განვითარებული პოტენციალი 100 მილიონი ტონა ტვირთის გადამუშავებას გულისხმობს, რაც მოიზიდავს ინვესტიციებს და გააძლიერებს დასაქმებას, ლოჯისტიკას და რეგიონულ თანამშრომლობას.

პორტი მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს შუა დერეფნის განვითარებაში, რომელიც ტრანსკასპიური საერთაშორისო სატრანსპორტო მარშრუტის (TITR) ნაწილია. ეს მარშრუტი ჩინეთიდან ევროპისკენ მოძრაობს, საქართველოში გავლით, და ამცირებს ტრანზიტის დროს და ხარჯებს. ანაკლიის პორტის არსებობა გააძლიერებს შუა დერეფნის როლს, გააუმჯობესებს ტვირთების მიმოცვლას და ხელს შეუწყობს საქართველოს როლს გლობალურ ლოჯისტიკაში. პორტის განვითარება ასევე ემთხვევა საქართველოს ფართო ეკონომიკურ სტრატეგიას, რომელიც ორიენტირებულია დივერსიფიკაციასა და გლობალურ ინტეგრაციაზე, რაც საბოლოოდ გაზრდის ქვეყნის გეოპოლიტიკურ და ეკონომიკურ გავლენას.

საკვანძო სიტყვები: ანაკლიის პორტი, საქართველო, შუა დერეფანი, საერთაშორისო ვაჭრობა, ლოჯისტიკა, ტრანსკასპიური დერეფანი, ინფრასტრუქტურა, ეკონომიკური განვითარება, სატრანსპორტო კავშირები, უცხოური ინვესტიციები.

Port of Anaklia - reality, prospects and expectations

Avtandil Tsertsvadze

Junker of Bachelor's Program in Management of
LEPL-David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia

Luka Lipartelian

Junker of Bachelor's Program in Management of
LEPL-David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia

Supervisor: Rusudan Dalakishvili- Chichinadze

Associate Professor of Bachelor's program in Management

Abstract

In the modern global economy, seaports are infrastructure of immense strategic and economic importance. For Georgia, The construction of the Anaklia deep-sea port is one of the significant events that will strengthen the country's international position, improve the Middle Corridor's transport infrastructure, and increase its competitiveness in the transport network of Europe, Asia and Central Asia. The Anaklia port is planned to offer a variety of services enabling the transportation of containers, liquid and bulk cargo, thereby enhancing international transit in the region.

The port also integrates "smart" and "green" technologies, which will help raise operational efficiency and adhere to environmental standards. According to the Georgian government's forecasts, the first phase of the Anaklia port includes building a terminal ensuring the swift and safe transit of cargo. It's fully developed potential involves handling 100 million tons of cargo, which will attract investments and boost employment, logistics and regional cooperation.

The port will significantly contribute to the development of the Middle Corridor, part of the Trans-Caspian International Transport Route (TITR). This route moves from China towards Europe through Georgia, reducing transit time and costs. The existence of the Anaklia port will enhance the role of the Middle Corridor, improve cargo exchange, and promote Georgia's role in global logistics. The development of the port also aligns with Georgia's broader economic strategy focused on diversification and global integration, ultimately increasing the country's geopolitical and economic influence.

Keywords: Anaklia Port, Georgia, Middle Corridor, International Trade, Logistics, Trans-Caspian Corridor, Infrastructure, Economic Development, Transport Links, Foreign Investments.

შესავალი

თანამედროვე გლობალურ და კონკურენტულ მსოფლიო ეკონომიკაში, ყველა ქვეყნის საზღვაო პორტი სასიცოცხლო მნიშვნელობის ინფრასტრუქტურულ ობიექტს წარმოადგენს. მისი ძირითადი დანიშნულება რამდენიმე მიმართულებით შეიძლება განვსაზღვროთ.

- საერთაშორისო ვაჭრობის დაახლოებით 90% საზღვაო გზებით ხორციელდება და პორტი, რომელიც სხვადასხვა სახის ტვირთების (კონტეინერები, ნაყარი ტვირთი, თხევადი ტვირთი) გადაზიდვას უზრუნველყოფს, გლობალური მიწოდების ჯაჭვის კრიტიკულ კვანძს წარმოადგენს;
- საზღვაო პორტი ქმნის სამუშაო ადგილებს, იზიდავს დამატებით ინვესტიციებს და ხელს უწყობს მრეწველობისა და ლოჯისტიკური სექტორის განვითარებას;
- საზღვაო პორტით განისაზღვრება ქვეყნის სტრატეგიული მნიშვნელობა და ძლიერდება რეგიონული თანამშრომლობა;
- თანამედროვე პორტები „ჭკვიანი“ ინფრასტრუქტურის ნაწილია და ოპერაციების ეფექტურობის გაზრდის მიზნით, აქტიურად იყენებს ავტომატიზაციასა და ციფრულ ტექნოლოგიებს;
- დღეს, პორტები ნერგავენ მწვანე ტექნოლოგიებს, ამცირებენ გარემოზე ზემოქმედებას და ხელს უწყობენ ალტერნატიული საწვავის გამოყენებას.

საქართველო გეოგრაფიული მდებარეობით, საზღვაო ქვეყანაა და მისთვის სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე, ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის მშენებლობა 2024 წლის 23 ოქტომბერს დაიწყო. მოსამზადებელი სამუშაოების განხორციელებას გამოცდილი და მაღალი საერთაშორისო რეპუტაციის მქონე ბელგიური კომპანია „Jan De Nul-ი“ ჩაუდგა სათავეში. აღნიშნული პორტის მშენებლობა საქართველოსთვის მნიშვნელოვან როლს შეასრულებს, როგორც ქვეყნის საპორტო ინფრასტრუქტურის განვითარებაში, ისე, შუა დერეფნის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებასა და კონკურენტუნარიანობის ზრდაში, რაც ევროპისა და აზიის სატრანსპორტო სისტემების დაკავშირების პროცესში აისახება. პორტის პროექტი ხელს შეუწყობს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას, გაზრდის საქართველოს რეგიონულ და საერთაშორისო მნიშვნელობას და განამტკიცებს ქვეყნის პოლიტეკონომიკურ უსაფრთხოებას. პორტში პირველი გემის მიღების თარიღად, 2029 წელი დასახელდა.

ანაკლიის პორტი საქართველოში ერთადერთი ღრმაწყლოვანი პორტი იქნება, რომლის საშუალებითაც მრავალი ტრანზიტული მოქმედება განხორციელდება. ეკონომისტთა შეფასებით, ნავსადგური მნიშვნელოვანი სტიმული იქნება წარმოების განვითარების, საგარეო ვაჭრობის გაფართოვების და ეკონომიკური ზრდის მხრივ. პირველ ფაზაში მისი გამტარუნარიანობა 600 000 კონტეინერი იქნება.

ძირითადი ნაწილი

პროგნოზები და მოლოდინები 2020 წელს

საქართველოს მთავრობის განცხადებით, ანაკლიის პორტის სიღრმე 20,5 მეტრი იქნება, რაც პანამაქსისა და პოსტპანამაქსის ტიპის გემების,¹ პორტში შემოსვლის საშუალებას მისცემს. პირველ სამ ეტაპზე (12 წელიწადში) პორტის გამტარუნარიანობა 40 მილიონ ტონას მიაღწევს, ხოლო საბოლოო მიზანია წელიწადში 100 მილიონი ტონა ტვირთის გადამუშავება. პროექტის ღირებულება 2,5 მლრდ აშშ დოლარია და 32 ნავმისადგომის მშენებლობას ითვალისწინებს. პორტი 3000 ჰექტარზე განთავსდება და წელიწადში 60-70 მილიონი ტონა ტვირთის გადამუშავებას შეძლებს.

პორტის პერსპექტივები და გამოწვევები

ანაკლიის პორტის წარმატებას განსაზღვრავს შემდეგი ფაქტორები:

1. **კონკურენცია ფოთის და ბათუმის პორტებთან** – ფოთის პორტს აქვს მრავალმილიონიანი ინვესტიცია და თანამედროვე ინფრასტრუქტურა, ხოლო ბათუმის პორტს – საკონტეინერო და მშრალი ტვირთების ტერმინალები. ამ პირობებში ანაკლიის პორტისთვის მნიშვნელოვანია განავითაროს დამატებითი ღირებულების სერვისები და უკეთესი ინფრასტრუქტურა, რათა კონკურენტუნარიანი იყოს.
2. **მეზობელი ქვეყნების ეკონომიკური სტაბილურობა და სატრანსპორტო კორიდორი** – ანაკლიის პორტის წარმატებისთვის მნიშვნელოვანია აზერბაიჯანისა და სომხეთის მაკროეკონომიკური მდგომარეობა და ახალი აბრეშუმის გზის ფარგლებში სატრანზიტო ტვირთების გაზრდილი მოძრაობა, რაც საქართველოს პორტებზე მოთხოვნას გაზრდის.
3. **სარკინიგზო ინფრასტრუქტურის ინტეგრაცია** – ყარსი-ახალქალაქის სარკინიგზო გზის განვითარებით, საქართველო ევროპის სატრანსპორტო ქსელში ინტეგრირდება. ეს გზა, რომელსაც აქვს ტრანზიტული ტვირთების მოზიდვის პოტენციალი, ანაკლიის პორტისთვის შეიძლება დამატებით სტიმულად იქცეს.
4. **სტრატეგიული თანამშრომლობა და ახალი ტვირთები** – საქართველოს ტრანზიტული ფუნქციის განვითარება მნიშვნელოვანი მიზანია. ეს მოითხოვს საქართველოსა და მეზობელი ქვეყნების მიერ სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ერთობლივ ოპტიმიზაციას, რათა ტრანზიტი გამარტივდეს და გაიზარდოს.

საჭიროდ მიგვაჩნია, მოკლედ შევეხოთ ანაკლიის პორტის გარშემო დღეს არსებულ ვითარებას, კერძოდ:

ცნობები მშენებლობაზე: ანაკლიის პორტის მშენებლობისთვის 70 მილიონი ლარია გამოყოფილი. 2023 წელს მისი მშენებლობისთვის 20 მილიონი ლარი, ხოლო 2024

¹ ჩამკეტების ზომა განსაზღვრავს იმ გემის მაქსიმალურ ზომას, რომელსაც არხში გავლა შეუძლია. საერთაშორისო ვაჭრობაში არხის მნიშვნელობის გამო, ბევრი გემი სწორედ ამ მაქსიმალურ ზომაზეა აგებული. ამ გემებს პანამაქსს უწოდებენ. პანამაქსის სატვირთო გემების დედვეიტ ტონაჟი (DWT, საზომი) 65 000–80 000 ტონაა, მაგრამ მისი რეალური ტვირთი შემცირებულია 52 500 ტონამდე, რადგან არხში გემის კორპუსის წყალქვეშა ნაწილის მაქსიმალური სიღრმე 12,6 მეტრამდეა შეზღუდული. ყველაზე გრძელი გემი, რომელსაც კი ოდესმე არხში გაუვლია იყო ნავთობმზიდი *San Juan Prospector* (ახლა *Marcona Prospector*), მისი სიგრძე 296,57 მეტრია.

წელს 50 მილიონი ლარი ინვესტირდა. წილობრივი მონაცემებით კი, 51% მთავრობის, ხოლო 49% ინვესტორის საკუთრებაში იქნება.

პორტის მიზანი: ანაკლიის პორტი, როგორც საქართველოსთვის უმნიშვნელოვანესი სავაჭრო-საგზაო ცენტრი ცენტრალურ აზიასა, ევროპას და დანარჩენ მსოფლიოს შორის, საერთაშორისო კლასის კომპლექსურ ჰაბად უნდა ჩამოყალიბდეს. (საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო).

ანაკლიის პორტის მიზანი, ქვეყანაში საპორტო ინფრასტრუქტურის განვითარება და სატრანსპორტო ხარჯების შემცირებაა, რაც ადგილობრივი და რეგიონული ეკონომიკური ზრდის წინაპირობა იქნება.

2023 წლის აგვისტოს მდგომარეობით, პორტის პარტნიორების შესახებ ინფორმაცია შემდეგია:

საქართველოს მთავრობა; ამერიკული კომპანია Conti International; ამერიკული კომპანია SSA Marine და ჩინური კომპანია CEFC China Energy Company.

აღნიშნულ კომპანიებს ჰქონდათ კონცესიის უფლება და პასუხისმგებლობა, პორტის მშენებლობისა და ექსპლუატაციაზე, თუმცა 2019 წელს საქართველოს მთავრობამ მათთან კონცესია შეწყვიტა და აღნიშნულ საკითხზე დღემდე სამართლებრივი დავები მიმდინარეობს.

პროგნოზი: ანაკლიის პორტის მშენებლობის შედეგად, პირველი ფაზის განხორციელების შემდეგ, წელიწადში დაახლოებით 7.8 მილიონ ტონა გამტარიანობას უნდა მიაღწიოს, რომლის სიღრმე 16 მეტრი იქნება.

პორტის მშენებლობაში გაწეული წვლილი

დღევანდელი ინფორმაციით, საქართველოს მთავრობამ ა.წ. 29 მაისს ჩინური სახელმწიფო კორპორაცია CCCC, ანაკლიის ინვესტორის შესარჩევ უპირატეს მონაწილედ გამოაცხადა. პორტის მშენებლობის კერძო ინვესტორის შერჩევის კონკურსი, სადაც ჩინური კომპანია CCCC და შვეიცარიული კომპანია (TIL) Terminal Investment Limited holding S.A. იყო წარმოდგენილი, 2024 წლის მაისში დასრულდა, 2024 წლის 29 მაისს კი, საქართველოს ეკონომიკის სამინისტრომ განაცხადა, რომ ანაკლიის პორტის მშენებლობისთვის შეირჩა ჩინური კომპანია CCCC, რომლის საკონტროლო პაკეტი - 51% ხელისუფლებას ეკუთვნის, დარჩენილი 49% კი, კონსორციუმს.²

პროექტის გეგმები: პროექტის მიხედვით, ანაკლიის პორტში პირველი საკონტეინერო გემები 2029 წელს უნდა შევიდნენ. პირველი ფაზის საინვესტიციო ღირებულება 600 მილიონ დოლარს შეადგენს, რომელიც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 600 000 კონტეინერის გამტარობის ტერმინალის მშენებლობას ითვალისწინებს.

² (საქართველოს მთავრობა (2023). ანაკლიის პორტის ინვესტორების შერჩევა).

ჩინური კომპანიის უარყოფითი მხარეები

ჩინური კომპანიის განცხადებით, მას 2021 წლის ივნისიდან, აშშ-ის მხრიდან შეზღუდვები აქვს დაწესებული. ჩინური სამხედრო სამრეწველო კომპლექსის ნაწილად ყოფნის გამო, შეყვანილია აშშ-ის ხაზინის საგარეო აქტივების კონტროლის ოფისის კონსოლიდირებული სანქციების სიაში.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ განცხადებით:

- სანქცირებულ კომპანიებს არ ეზღუდებათ აქტივებზე წვდომა და ფინანსური ტრანზაქციები, თუმცა გარკვეული შეზღუდვები მაინც არსებობს.
- ჩინური კომპანიების ტრანზაქციები აუცილებლად საჭიროებენ აშშ-ის მთავრობის ნებართვას.
- შესაბამისად, საქართველო არ არღვევს სანქციების რეჟიმს, თუ თანამშრომლობს ჩინურ კომპანიასთან.
- თუმცა, სანქცირებული ჩინური კომპანია მაინც ვერ შეიძენს ამერიკული წარმოების კომპონენტებს აშშ-ის მთავრობის ნებართვის გარეშე. („საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ (2023). „ჩინური კომპანია CCCC-ის სანქცირების საკითხი“).

სანქცირებულ კომპანიებს აქტივებზე და ფინანსურ ტრანზაქციებზე წვდომა აქვთ, მაგრამ მათ შეზღუდვები აქვთ აშშ-სთან დაკავშირებულ საქმიანობაზე.

მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტების მშენებლობაზე ორიენტირებული ჩინური კომპანიის სანქცირების მიზეზი, კორუფციულ ფაქტებში, მისი რამდენჯერმე მხილება იყო.

ჩინური კომპანია ამერიკის მხრიდან ასევე მხილებულია სხვადასხვა ქვეყნებში უხარისხო მშენებლობებით, შრომის უფლებების დარღვევით, გარემოს დაზიანებით და დავალიანებებით.

ასევე ნიშანდობლივია საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის განმარტება ჩინურ-სინგაპურული კომპანიის სანქცირების შესახებ: მინისტრმა განმარტა, რომ, კომპანია CCCC წარმოდგენილია „Fortune 500“-ში, ის არის მსოფლიოს 500 წამყვან ყველაზე მსხვილ კომპანიას შორის ერთ-ერთი, რომელსაც აქვს აღნიშნული პროექტის საქართველოში თავისუფლად განხორციელების საშუალება და მსგავსი პროექტების მსოფლიოს ყველა ქვეყანაში შესრულების პრაქტიკა. კომპანიას მართლაც ჰქონდა დაწესებული გარკვეული შეზღუდვები აშშ-ის ორი უწყების მხრიდან. პირველი, - ჩინური კომპანია ირიცხებოდა ამერიკის ვაჭრობის სამინისტროს ბიუროს სიაში, რაც ამერიკული კომპანიებისთვის, აღნიშნული კომპანიისგან კონკრეტული სტრატეგიული პროდუქტების ან მომსახურების მიწოდების შემთხვევაში, ვაჭრობის სამინისტროს ბიუროს მხრიდან თანხმობის მიღებას გულისხმობს. ამასთან, ჩინურ კონსორციუმს არ ეზღუდება ფინანსური გადარიცხვა, ტრანზაქცია, პროექტის განხორციელება და სხვა რამ. როგორც მინისტრმა განაცხადა, აღნიშნული არც ნიშნავს სანქციას, რაც მკაფიოდაა განსაზღვრული, იმ იურიდიულ დასკვნაში, რომელიც საქართველოსთვისაა წარმოდგენილი. მეორე შეზღუდვა ამერიკული კომპანიების მიერ ობლი-

გაციების საჯაროდ ვაჭრობის შემთხვევაში კონკრეტული უწყების თანხმობის მიღებას აშშ-ს ფინანსთა სამინისტროს კონკრეტულ მოთხოვნებს ეხება.

შუა კორიდორი

შუა კორიდორი გადაჭიმულია ჩინეთს ქალაქ სიანიდან ევროპისკენ, გადის ცენტრალურ აზიაში, სამხრეთ კავკასიასა და აღმოსავლეთ ევროპაში. ეს მარშრუტი, რომელიც ასევე ცნობილია, როგორც ტრანსკასპიური საერთაშორისო სატრანსპორტო მარშრუტი (TITR), გვთავაზობს სახმელეთო-საზღვაო კომბინაციას, რომელიც აკავშირებს რკინიგზასა და გადაზიდვის ხაზებს რამდენიმე ქვეყანაში. იგი შექმნილია ტრადიციული ჩრდილოეთ და სამხრეთ დერეფნების შესავსებად, რაც უზრუნველყოფს ალტერნატივას, რომელიც არა მხოლოდ მოკლეა, არამედ თავიდან იცილებს გეოპოლიტიკურ გამოწვევებს, რომლებიც ხშირად ასოცირდება სხვა მარშრუტებთან.

საქონელზე გლობალური მოთხოვნების ზრდასთან ერთად, შუა დერეფანი წარმოიშვა, როგორც გადატვირთული საზღვაო გადაზიდვის ხაზების გადაწყვეტი ალტერნატივა, განსაკუთრებით იმ ხაზების, რომლებიც სუეცის არხზე გადის. ვაჭრობის მზარდი მოცულობა ჩინეთს, ევროპასა და მის ფარგლებს გარეთ, ხაზს უსვამს ეფექტური და საიმედო სატრანსპორტო ვარიანტების აუცილებლობას. შუა დერეფანი გვთავაზობს უპირატესობებს, როგორცაა მოკლე სატრანზიტო დრო და შემცირებული ხარჯები, რაც განსაკუთრებით მიმზიდველია ბიზნესებისთვის რომლებიც ცდილობენ მიწოდების ჯაჭვების გამარტივებას.

ანაკლისის პორტის აშენება არ არის მხოლოდ ქვეყნის ინფრასტრუქტურის განვითარება; ის წარმოადგენს ტრანსფორმაციულ შესაძლებლობას საქართველოსა და უფრო ფართო რეგიონისთვის. ღრმა წყლის შესაძლებლობებით, ანაკლია გათვლილია უფრო დიდი გემების განთავსებისთვის, რაც მას საზღვაო ვაჭრობის ხელშეწყობის მთავარ მოთამაშედ აქცევს.

პორტის მშენებლობა ლოჯისტიკური ჰაბის შექმნის მოლოდინებს ქმნის. ევროპასა და აზიას შორის პირდაპირი კავშირის უზრუნველყოფით, ის აძლიერებს შუა დერეფნის კავშირს. მოსალოდნელია, რომ პორტი მნიშველოვნად შეამცირებს ტრანზიტის დროს და ხარჯებს ამ ორ ძირითად ბაზარს შორის გადაზიდული ტვირთებისთვის. შედეგად, იგი მზად არის მოიზიდოს მნიშველოვანი უცხოური ინვესტიციები და წაახალისოს ეკონომიკური ზრდა რეგიონში. პორტის განვითარება ემთხვევა საქართველოს უფრო ფართო ეკონომიკურ სტრატეგიას, რომელიც ხაზს უსვამს დივერსიფიკაციას და გლობალურ ბაზრებზე ინტეგრაციას. პორტი განიხილება, როგორც ძირითადი კვანძი სატრანსპორტო და ლოჯისტიკური სერვისების უფრო დიდ ქსელში, მათ შორის სარკინიგზო და საავტომობილო კავშირებში, რაც კიდევ უფრო აძლიერებს ხელმისაწვდომობას. ეს ინტეგრირებული მიდგომა საქართველოს შესაძლებლობას მისცემს განვითარებად ბაზრებზე მოიპოვოს წვდომა და თავისი პოზიცია გააძლიეროს საერთაშორისო სავაჭრო ქსელებში.

ეკონომიკური შედეგები

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ანაკლიის პორტის წარმატებულ ფუნქციონირებას შორსმდევალი ეკონომიკური შედეგები აქვს, არა მხოლოდ საქართველოსთვის, არამედ მთელი რეგიონისთვის. ვაჭრობის ეფექტურობის გაზრდით, პორტი გამოიწვევს ტვირთების მოცულობის ზრდას, რაც ხელს შეუწყობს ადგილობრივ ინდუსტრიებს და შექმნის სამუშაო ადგილებს. საპორტო ინფრასტრუქტურაში ინვესტიციების შემოდინება ასევე სტიმულირებას მოახდენს ასოცირებულ სექტორებში, როგორცაა ლოჯისტიკა, ტრანსპორტი და საწყობი.

გარდა ამისა პორტის განვითარება მხარს უჭერს საქართველოს მიზანს გაზარდოს მისი გეოპოლიტიკური მნიშვნელობა. შუა დერეფნის სასიცოცხლო რგოლად პოზიციონირებით, საქართველოს შეუძლია გააძლიეროს ურთიერთობები მეზობელ ქვეყნებთან და უფრო მსხვილ სავაჭრო პარტნიორებთან. ეს პოზიციონირება განსაკუთრებით აქტუალურია გეოპოლიტიკური დამაბულობისა და ეკონომიკური გადაჯგუფების კონტექსტში, რადგან ქვეყნები ეძებენ საიმედო სავაჭრო მარშრუტებს, რომლებიც ნაკლებად ექვემდებარება შეფერხებას.

დასკვნა

საბოლოოდ, შუა დერეფნის სავაჭრო მარშრუტი წარმოადგენს მნიშველოვან ცვლილებას გლობალურ სავაჭრო ქსელში, რომელიც ტრადიციული საზღვაო გზების ალტერნატივას გთავაზობს. ანაკლიის პორტი არის შესაძლებლობა ამ დერეფანში, რომელიც შეძლებს გააძლიეროს ვაჭრობის ეფექტურობა, ეკონომიკური ზრდა და განამტკიცოს საქართველოს როლი, საერთაშორისო ლოჯისტიკაში. რამდენადაც ქვეყნები უფრო მეტად ეძებენ საიმედო სავაჭრო მარშრუტებს, მუდმივად ცვალებადი გლობალური ნავიგაციისთვის, შუა დერეფნის და განსაკუთრებით ანაკლიის პორტის მნიშვნელობა მხოლოდ გაიზრდება.

გამყენებული ლიტერატურა

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო. *ანაკლიის პორტის მშენებლობის პროექტი*. 2024 წ. [WWW] ხელმისაწვდომია: www.economy.gov.ge
„საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“. *„ჩინური კომპანია CCCC-ის სანქციონების საკითხი“*. 2023 წ. [WWW] ხელმისაწვდომია: www.transparency.ge
საქართველოს მთავრობა. *ანაკლიის პორტის ინვესტიციების შერჩევა*, 2023, ეკონომიკის მინისტრის განმარტება ანაკლიის პორტზე;
გიორგი აბაშაშვილი, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო. *ანაკლიის პორტის მშენებლობის პროექტი*. ხელმისაწვდომია 27 ნოემბერი, 2024 წელი. www.economy.gov.ge
ვერა ქობალია, „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“. *„ჩინური კომპანია CCCC-ის სანქციონების საკითხი“*. ხელმისაწვდომია 27 ნოემბერი 2024 წელი. www.transparency.ge
ირაკლი კობახიძე, საქართველოს მთავრობა. *ანაკლიის პორტის ინვესტიციების შერჩევა*. ხელმისაწვდომია: 27 ნოემბერი 2024 წელი. www.gov.ge
ირაკლი კობახიძე, ეკონომიკის მინისტრის განმარტება ანაკლიის პორტზე; ხელმისაწვდომია 27 ნოემბერი 2024 წელი. Ambebi.

მშვიდობა და სტაბილურობის თანამედროვე გამოწვევები და გაერო

მანგია ჭინჭარაული

სსიპ-დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს
ეროვნული თავდაცვის აკადემიის
ბაკალავრიატის თავდაცვისა და უსაფრთხოების მიმართულების იუნკერი

რატი კუკულაძე

სსიპ-დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს
ეროვნული თავდაცვის აკადემიის
ბაკალავრიატის თავდაცვისა და უსაფრთხოების მიმართულების იუნკერი

ხელმძღვანელი: კახა ფუტყარაძე

ბაკალავრიატის თავდაცვისა და უსაფრთხოების
მიმართულების ასოცირებული პროფესორი

აბსტრაქტი

კვლევის ძირითადი მიზანს წარმოადგენს თანამედროვე სამყაროს მშვიდობისა და სტაბილურობის წინაშე მდგარი გამოწვევების შესწავლა და ისეთი საერთაშორისო ელემენტების როლი გლობალური კონფლიქტების პრევენციაში, როგორცაა გაერთიანებული ერების ორგანიზაცია. ნაშრომში განხილულია შემდეგი სახის საკითხები: რეგიონალური კონფლიქტები და მათი ეფექტი გლობალურ უსაფრთხოებაზე, ტერორიზმის საფრთხე და გაეროს უუნარობა არსებული გამოწვევების მიმართ და სხვა. ჩვენ ასევე შევხებით გლობალური მშვიდობის ინდექსის როლს თანამედროვე გამოწვევების მიმართ. წინამდებარე ნაშრომში გაანალიზებულია საერთაშორისო ორგანიზაციების როლი და ეფექტურობა მნიშვნელოვანი საკითხების მართვისას. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა საერთაშორისო ორგანიზაციების როლსა და ძალას დღევანდელ სამყაროში. კვლევის შედეგად შემოთავაზებულია რეკომენდაციები გაეროსა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების ეფექტურად მუშაობისათვის, რაც ემსახურება საერთაშორისო უსაფრთხოების სისტემის გაძლიერებას. ნაშრომის მთავარი აზრია გაეროს ეფექტურობის სისუსტის ჩვენება გლობალიზირებულ სამყაროში.

საკვანძო სიტყვები: გაერო, საერთაშორისო ორგანიზაციაში, მშვიდობა, გამოწვევები

Contemporary Challenges to Peace and Stability

Mangia Tchintcharauli

Junker of Bachelor's Program in Defense and Security of
LEPL-David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia

Rati kukuladze

Junker of Bachelor's Program in Defense and Security of
LEPL-David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia

Supervisor: **Kaxa Phutkaradze**

Associate Professor of Bachelor's Program in Defense and Security

Abstract

This research aims to explore the challenges to peace and stability in the modern world and examine the role of international organizations, particularly the United Nations, in preventing global conflicts. It discusses key issues such as regional conflicts and their effects on global security, the threat of terrorism, and the UN's limitations in addressing these challenges. The paper also examines the significance of the Global Peace Index in understanding contemporary issues.

The study assesses the role and effectiveness of international organizations in addressing major global challenges, focusing on their authority and impact in today's world. Based on the findings, it offers recommendations for improving the performance of the UN and other international organizations to enhance the global security framework. The paper's main argument underscores the shortcomings of the UN's effectiveness in a globalized world.

Keywords: United Nations, International Organizations, Peace, Challenges

შესავალი

თანამედროვე მსოფლიოში მშვიდობისა და სტაბილურობის საკითხები განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. როგორც მოგეხსენებათ მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ აქტიურია კონფლიქტების მიმდინარეობის მაღალი მაჩვენებელი. განსაკუთრებით კი ბოლო წლების განმავლობაში გლობალური მშვიდობა და სტაბილურობა მკვეთრად გაუარესდა, რასაც ღაზასა და უკრაინაში მიმდინარე კონფლიქტებიც მოწმობს. გლობალიზაციის პირობებში, რეგიონული კონფლიქტები და დესტაბილიზაციის კერები პირდაპირ აისახება მსოფლიო წესრიგსა და უსაფრთხოებაზე. საერთაშორისო საზოგადოება, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, უდიდესი გამოწვევების წინაშე დგას, რაც მსოფლიო საზოგადოების ერთობლივ მუშაობას მოითხოვს, რათა ნეიტრალიზებულ იქნეს არსებული რისკები.¹

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ სამყარო „რბილი“ ბიპოლარული სისტემიდან, რომელიც ორი ძალის დომინირებით ხასიათდებოდა (აშშ და სსრკ) და მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ ასევე ძალთა წონასწორობის სისტემაზე გადავიდა, საერთაშორისო ორგანიზაციები, რაც გულისხმობს იმას რომ სუვერენული სახელმწიფოები მოქმედებენ „რეალიზმის საუკეთესო“ ტრადიციის თანახმად - ისინი ცდილობენ მაქსიმალური ძლიერების მიღწევას ანარქიულ საერთაშორისო გარემოში, ცდილობენ საკუთარი უსაფრთხოების უზრუნველყოფას კავშირების შექმნით და საჭიროებისამებრ ომის გზითაც კი.²

დღევანდელ მულტიპოლარულ სისტემაში დიდ როლს, როგორც წესი, უნდა ასრულებდნენ საერთაშორისო ორგანიზაციები, მაგალითად როგორცაა გაერთიანებული ერების ორგანიზაცია - „გაერო“, მაგრამ სურათი სულ სხვანაირ პორტრეტს იძლევა. გაეროს როლი დღითიდღე იკარგება და მცირდება, რადგანაც ორგანიზაცია ვერ ახერხებს ეფექტურ რეაგირებას კრიტიკულ სიტუაციებზე. მან ვერ მოახდინა ისეთი პრობლემების თავიდან აცილება როგორცაა, ისრაელ ჰამასს, ჰესბოლას, ისრაელ ირანის, რუსეთ უკრაინის დაპირისპირებები და ა.შ. ასევე ვერ შეძლო მისი პრევენცია და ვერც კონფლიქტის რეგულირება. ეს განპირობებულია, როგორც ბიუროკრატიული მექანიზმების სიმძიმით, ასევე წევრი ქვეყნების განსხვავებული ინტერესებით. სხვადასხვა რეგიონებში ჩნდებიან პრეტენზიული მოთამაშეები რომლებიც პრეტენზიას აცხადებენ რეგიონულ, და არამარტო რეგიონულ, ლიდერობაზე, რაც ხშირად იწვევს დამაბულობას, ომებს და ინტერესთა ჯახს მეზობელ სახელმწიფოებს შორის.

ამ ყველაფერთან ერთად, ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისში გამოიკვეთა მთელი რიგი ახალი გამოწვევები, რომლებიც მნიშვნელოვნად განსხვავდებიან წინა საუკუნეების საფრთხეებისაგან, რაშიც საერთაშორისო ორგანიზაციების კრაზი გამოიხატა - მათ ვერ შეძლეს თანამედროვე გამოწვევებზე სათანადო რეაგირების მოხდენა. ისეთ მნიშვნელოვან გამოწვევებზე როგორცაა:

¹ Doyle, M. W. (2024, June 18). <https://www.foreignaffairs.com>. Retrieved from <https://www.foreignaffairs.com/world/why-they-dont-fight-doyle>:

² რონდელი, ა. (2006). *საერთაშორისო ურთიერთობები*. თბილისი: „ნეკერი“

- ტექნოლოგიური საფრთხეები - ციფრული ტექნოლოგიის სწრაფი განვითარება ქმნის ისეთ საფრთხეებს რომელიც დაკავშირებულია კიბერუსაფრთხოებასთან, რაც საფრთხეს უქმნის არამხოლოდ სახელმწიფოებს, არამედ კრიტიკული მნიშვნელობის ინფრასტრუქტურასაც კი - საფინანსო სისტემები და პირადი ინფორმაცია.
- ტერორიზმის საფრთხეები და მასთან დაკავშირებული გამოწვევები
- პანდემიური გამოწვევებიც კი - რაც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საერთაშორისო უსაფრთხოებაზე. ასევე, COVID-19-მა გლობალური ჯანდაცვის სისუსტე გამოავლინა.

ძირითადი ნაწილი გაერო

გაერთიანებული ერების ორგანიზაცია მშვიდობისა და უსაფრთხოების დასაცავად შეიქმნა მეორე მსოფლიო ომი შემდეგ 1945 წელს. მისი მისია და საქმიანობა ეფუძნება მიზნებსა და პრინციპებს რომლებიც ჩამოყალიბებულია დამფუძნებელ წესდებაში. გაეროს ძირითადი მისიაა საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების შენარჩუნება, კონფლიქტების პრევენცია, დაპირისპირებული მხარეების სამშვიდობო შეთანხმებამდე მიყვანა და ა.შ.

ორგანიზაციამ მნიშვნელოვანი და ფასდაუდებელი როლი ითამაშა ცივი ომის დროს. იგი იქცა ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ელემენტად საერთაშორისო სისტემაში სადაც დაწყებული საერთაშორისო საზოგადოებით, დამთავრებული ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოებით, შეძლო დაპირისპირებული მხარეების მოლაპარაკებების მაგიდამდე მიყვანა (კონგოს, ბერლინის, კუბის კრიზისი), მაგრამ იყო შემთხვევები როცა მათი რეაგირება უკვე დაგვიანებული აღმოჩნდა, მაგალითად „პრალის გაზაფხულის“ დროს, სადაც სსრკ ჩაერია, მოხდა რეფორმების შეჩერება და გაერომაც ვერაფერი მნიშვნელოვანი ნაბიჯი ვერ გადადგა რადგანაც საბჭოთა კავშირმა ვეტოს უფლება გამოიყენა, თითქმის იგივე განმეორდა უნგრეთის 1956 წლის რევოლუციისასაც. აღსანიშნავია ინდოეთ-პაკისტანის 1971 წლის ომი სადაც გაეროს რეაგირება იმდენად დაგვიანებული იყო რომ ორივე მხარეს უკვე ჰქონდა სერიოზული დანაკარგები და ასობით ათასი ადამიანი იძულებული გახდა ემიგრაციაში წასულიყო.³

გაერო ცივი ომის შემდეგ და 21-ე საუკუნის დასაწყისში, განსაკუთრებით კი ბოლო წლების განმავლობაში მუდმივი კრიტიკის ობიექტი გახდა, თავისი უუნარობისა და უსუსურობის გამო, რათა გავლენა იქონიოს ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე რაც საფრთხეს უქმნის საერთაშორისო მშვიდობასა და უსაფრთხოებას. განსაკუთრებით თვალსაჩინოა უკრაინაში მიმდინარე ომსა და ისრაელის სპეცოპერაციის ფონზე.

სახელმწიფოთა შორის კონფლიქტების კონტექსტში, გაეროს წესდების VI თავი მოითხოვს, რომ ნებისმიერი უთანხმოების შემთხვევაში, რაც მშვიდობასა და უსაფრთხოებას ემუქრება, მხარეებმა მიმართონ მოლაპარაკებას ან სხვა მშვიდობიანი გზის

³ გომი, თ. (2009). *The United Nations: A History*. ბლუმინგტონი: Indiana University Press.

ძიება დაიწყო მის აღმოსაფხვრელად. მიუხედავად იმისა, რომ გაერომ ხელი შეუშალა არაერთი ომის დაწყებას მისი შექმნიდან დღემდე, ორგანიზაციის შესაძლებლობებზე უკმაყოფილება იზრდება.⁴ რუსეთი-უკრაინის ომი საერთაშორისო ორგანიზაციები-სათვის დიდი დარტყმა აღმოჩნდა და პირდაპირი გამოწვევის წინაშე დააყენა როგორც გაერო ისე სხვა დანარჩენი საერთაშორისო ორგანიზაცია.

ყველაზე მნიშვნელოვანი რაშიც გაეროს სისუსტე გამოიხატა არის ის რომ უშიშროების საბჭომ ვერ შეძლო სანქციების დაწესება აგრესორზე, რადგანაც რუსეთი თავად არის საბჭოს მუდმივი წევრი და ვეტოს უფლების გამოყენებით იგი ბლოკავს ნებისმიერ რეზოლუციას, რომელიც მის ინტერესებს ეწინააღმდეგებოდა. მაგალითად, 2022 წლის მარტში გაეროს უშიშროების საბჭომ ვერ შეძლო უკრაინაში რუსეთის ქმედებების დაგმობა და ამას ხელი სწორედ რუსეთის ვეტომ შეუშალა, რითაც მათი რეზოლუცია ჩავარდა.⁵

აღსანიშნავია ისრაელსა და ჰეზბოლას შორის მიმდინარე დაპირისპირება. ისრაელსა და „ჰეზბოლას“ შორის არსებული ომის საფრთხე წლების განმავლობაში მუდმივად იზრდებოდა და იკვეთებოდა. თუმცა გაეროსა და მის წევრ წამყვან ქვეყნებს ამის შესაჩერებლად არაფერი არ გაუკეთებიათ. გაეროს გენერალური მდივნის თქმით, „ლიბანში მძიმე ვითარებაა რაც წლების განმავლობაში დაგროვილი პრობლემების შედეგია“.⁶

გაეროს შეიარაღებული ძალები ლიბანსა და ისრაელს შორის არსებულ საზღვარზე 1978 წელს განთავსდა. 2006 წელს კი მათ მიერ მიღებული (1701) რეზოლუციით, უნდა მომხდარიყო „ჰეზბოლას“ განიარაღება, თუმცა ამ პერიოდში მათი არსენალი ათჯერ გაიზარდა.⁷ ასევე აღსანიშნავია ის ფაქტიც რომ ისრაელის მიმართულებით გაშვებული რაკეტების დიდი ნაწილი გაეროს სამხედრო ბაზების სიახლოვიდან იგზავნება, რაც კვლავ მათ უუნარობაზე მეტყველებს. მათი ძალების იქ ყოფნამ არათუ შეასუსტა ტერორისტთა ძალა არამედ ისინი უფრო გააძლიერა.

ამ კონფლიქტებში ასევე აღსანიშნავია საერთაშორისო სასამართლო მექანიზმების უუნარობა, რომელიც გაეროს ინიციატივით დაფუძნდა. მისი ძირითადი მისია არის მოიკვლიონ სამხედრო დანაშაულები უკრაინასა და ლიბანში, მაგრამ რატომაც უნდა ესეც უშედეგოდ მიმდინარეობს. ამ პროცესს ასევე ართულებს ხანგრძლივობა, ვინაიდან დიდ დროს მოითხოვს და სამართლებრივი დაბრკოლებები. ამ მხრივ კი ეს ორგანიზაცია უძლური აღმოჩნდა დაიცვას მოქალაქეები და შეაჩეროს ძალადობრივი ქმედებები გლობალური მასშტაბით.

⁴ United Nations, <https://www.ohchr.org>. (2022, september)

⁵ Council, U. N. (2022, february 26). *UN fails to adopt resolution on Ukraine*". Retrieved from UN news: <https://news.un.org/en/>

⁶ Laderman, C. (2024, September 30). *The UN has failed Lebanon*. Retrieved from engelsbergidea: <https://engelsbergideas.com/notebook/the-un-has-failed-lebanon/>

⁷ UN resolution 1701, 1701 (Security Council August 11, 2006).

გლობალური მშვიდობის კვლევა და გლობალური მშვიდობის ინდექსის ანალიზი

2024 წლის გლობალური მშვიდობის ინდექსის ანალიზის მიხედვით, განსაკუთრებით თვალსაჩინოა დემოკრატიული მშვიდობის თეორია, რომელიც ამტკიცებს რომ დემოკრატიული სახელმწიფოები ნაკლებად და შესაძლოა ითქვას, რომ თითქმის არ არიან მიდრეკილნი ერთმანეთში ომისკენ, განსხვავებით სხვა მმართველობის ფორმებთან. როგორც წესი დემოკრატიული ქვეყნები უპირატესობას ანიჭებენ დიპლომატიაზე დაფუძნებულ პოლიტიკას, სადაც ადამიანის უფლებები და დემოკრატიული ღირებულებები მაქსიმალურად დაცულია. დემოკრატიის ძირითადი პრინციპები, როგორცაა თანასწორობა, კანონის უზენაესობა, სამართლიანი და თავისუფალი არჩევნები ხელს უწყობენ მშვიდობის შენებას და ამავდროულად აფერხებენ აგრესიას, ტერორიზმს და საკაცობრიო დანაშაულებს.⁸

მშვიდობის გაზომვა აუცილებელია, რათა შეფასდეს უწყობს თუ არა ხელს საერთაშორისო ორგანიზაციების, ასევე სახელმწიფოს ქმედებები და პოლიტიკა მშვიდობის შენებას თუ პირიქით. მშვიდობის შენების ინდექსი ე.წ. GPI წარმოადგენს მთავრობის, არასამთავრობო ორგანიზაციების, საერთაშორისო ორგანიზაციების და კვლევითი ინსტიტუტების მხრიდან ძალადობის ეკონომიკური გავლენის შესაფასებელ საზომს. იგი მთავრობებს და საერთაშორისო ორგანიზაციებს საშუალებას აძლევს, გაანალიზონ თავიანთი პოლიტიკის ეფექტურობა, დადებითი სოციალური შედეგების მიღწევაში.⁹

GPI-ის მთავარი მიგნებაა გლობალური მილიტარიზაციის ზრდა, რაც გამოიხატება იმაში, რომ 50-ზე მეტმა ქვეყანამ შეამცირა შეიარაღების ხარჯები, ხოლო 86-მა ქვეყანამ გაზარდა სამხედრო დაფინანსება, რამაც ხელი შეუწყო დიპლომატიის დაქვეითებას და კონფლიქტების გაჭიანურებას.¹⁰

ასევე აღსანიშნავია ის ფაქტი რომ ბოლო წლების განმავლობაში გაეროს სამშვიდობო ოპერაციების დაფინანსება რადიკალურად შემცირდა, ეს კი იმაში გამოიხატა, რომ 93-მა სახელმწიფო შეამცირა დაფინანსება. 2023-2024 წლებში გაეროს მშვიდობის დაცვის ოპერაციების დამტკიცებული ბიუჯეტი შეადგენს \$6.1 მილიარდს, ხოლო 2021-2022 წლებში ბიუჯეტი შეადგენდა \$6.38 მილიარდს.^{11, 12}

გლობალური სამხედრო ხარჯები მეცხრე წელია განაგრძობს რადიკალურ ზრდას და დღეს \$2.44 ტრილიონს მიაღწია, რაც 2022 წლის მაჩვენებელთან შედარებით 6.8%-

⁸ Doyle, M. W. (2024, June 18). <https://www.foreignaffairs.com>. Retrieved from <https://www.foreignaffairs.com/world/why-they-dont-fight-doyle>

⁹ Schofield, J. (2007, November 7). *Militarization and War*. Retrieved from <https://doi.org>: https://doi.org/10.1007/978-1-137-07719-6_2

¹⁰ Kozłowska, H. (2024, June 19). Retrieved from notesfrompoland.com: <https://notesfrompoland.com/2024/06/19/poland-to-be-natos-biggest-defence-spender-this-year-as-proportion-of-gdp/>

¹¹ Nations, U. (2023, June 30). Retrieved from United Nations: <https://press.un.org/en/2023/gaab4423.doc.htm>

Peacekeeping, U. N. (2024, July 2). *peacekeeping.un.org*. Retrieved from <https://peacekeeping.un.org/en/how-we-are-funded>

¹² Diego Lopes da Silva, N. T. (2024, April 17). Retrieved from Stockholm International Peace Research Institute: <https://www.sipri.org/publications/2024/sipri-fact-sheets/trends-world-military-expenditure-2023>

ით მეტია. ამის პარალელურად, მშვიდობის დაცვის ხარჯები 2023 წელს \$49.6 მილიარდს შეადგენდა, რაც გლობალური სამხედრო ბიუჯეტის მხოლოდ 0.6%-ს აღწევს.¹³

ეს სტატისტიკური მონაცემები მიუთითებს, რომ გლობალური რესურსების უმეტესობა სამხედრო ხარჯებზეა მიმართული, მშვიდობის დამყარებისთვის საჭირო ფინანსები კი მნიშვნელოვნად შეზღუდულია, რამაც კაცობრიობა შეიძლება სავალალო შედეგამდე მიიყვანოს.

დასკვნა

საბოლოო ჯამში შეგვიძლია ვთქვათ, რომ დღევანდელი მსოფლიოს უდიდესი გამოწვევების წინაშე დგას, რომლებიც მოითხოვს ახალი საერთაშორისო სისტემის ჩამოყალიბებას რათა მსოფლიოში უზრუნველყოფილი იყოს მშვიდობა და სტაბილურობა. რეგიონალური კონფლიქტები რომლებიც დღითი დღე მეტად კრიტიკულ ფაზაში შედიან, ცხადყოფენ ისეთი საერთაშორისო ორგანიზაციის, როგორცაა გაერთიანებული ერების უუნარობას თანამედროვე გამოწვევების მიმართ და უმექმედობას. გაერო რომელიც მეოცე საუკუნეში მნიშვნელოვან როლს თამაშობდა საერთაშორისო მშვიდობის შენარჩუნებაში, დღეს ვეღარ ახერხებს კრიტიკულ სიტუაციებზე სათანადო რეაგირებას.

გლობალური მშვიდობის ინდექსის (GPI) მონაცემების მიხედვით თანამედროვე მსოფლიოში გაცილებით მეტი რესურსი იდება სამხედრო ხარჯებში და მისი ინფრასტრუქტურის განვითარებაში, ვიდრე მშვიდობის შენებაში და მის დაცვაში. ეს ტენდენცია ამტკიცებს, თუ როგორ ქვეითდება დიპლომატიის როლი და იზრდება მილიტარიზაციის დონე, რაც კონფლიქტების გაჭიანურებას უწყობს ხელს. სახელმწიფოები უნდა გადაერთონ სამხედრო ხარჯების შემცირებაზე და ეს რესურსები მშვიდობის დამყარებას, განათლებისა და ჯანდაცვის სისტემების გაუმჯობესებას მოახმარონ. ამ ყველაფრის კარგ მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ სკანდინავიური ქვეყნები, რომლებმაც შეძლეს მცირე სამხედრო დანახარჯებით გლობალური მშვიდობის შენაბასა და დიპლომატიაში უდიდესი წვლილის შეტანა.

გასათვალისწინებელია ამავდროულად ის ფაქტი, რომ მშვიდობის შენების პროცესში აუცილებელია დემოკრატიული ღირებულებების გაძლიერება და გავრცელება, რათა სახელმწიფოებმა დიპლომატიას უპირატესობა მიანიჭონ. დემოკრატიული სახელმწიფოების ნაკლები მიდრეკილება კონფლიქტებისკენ და მშვიდობის დაცვისადმი მიმართული პოლიტიკა იმის მაგალითია, თუ როგორ შეიძლება იყოს დემოკრატიული მმართველობა მშვიდობის გარანტი.

გაეროს უშიშროების საბჭოს ვეტოს მექანიზმის გადახედვა აუცილებელია, რათა არც ერთ სახელმწიფოს არ ჰქონდეს უფლება საერთაშორისო მშვიდობის დამყარებაზე კრიტიკული რეზოლუციები დაბლოკოს. ამის მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ ის,

¹³ Peace, I. f. (2024, June 3). Retrieved from economicsandpeace.org: <https://www.economicsandpeace.org/wp-content/uploads/2024/06/GPI-2024-web.pdf>

რომ უკრაინაში მიმდინარე კონფლიქტთან დაკავშირებით სანქციების დაწესება ჩაშალა რუსეთის ვეტომ, რაც მნიშვნელოვნად აზიანებს მშვიდობის დამყარების პროცესს.

დამატებით, მნიშვნელოვანია საერთაშორისო ორგანიზაციების რეფორმირება და მათი მექანიზმების გაძლიერება, რათა მათ გააჩნდეთ ისეთი ბერკეტები, რითაც ისინი შეძლებენ კონფლიქტების პრევენციას და საერთაშორისო ასპარეზზე მშვიდობისა და საყოველთაო კეთილდღეობის შენარჩუნებას. ეს კი შესაძლებელია მხოლოდ საერთო ძალისხმევით, საერთაშორისო თანამეგობრობის კოორდინირებული მუშაობით და რესურსების სამართლიანი გადანაწილებით.

მშვიდობისა და სტაბილურობის შენარჩუნება ვერ მიიღწევა მხოლოდ სამხედრო ძალით, საჭიროა პოლიტიკურ ლიდერებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებს შორის კოორდინირებული თანამშრომლობა და საზოგადოებრივი ფასეულობების დემოკრატიული პრინციპებით გაძლიერება. მხოლოდ ასეთი ნაბიჯებით შეგვიძლია გლობალური მშვიდობის შენარჩუნება და საერთაშორისო უსაფრთხოების სისტემის ხელახალი ფორმირება.

გამოყენებული ლიტერატურა

- გომი, თ. (2009). *The United Nations: A History*. ბლუმინგტონი: Indiana University Press.
- რონდელი, ა. (2006). *საერთაშორისო ურთიერთობები*. თბილისი: „ნეკერი“.
- Council, U. N. (2022, february 26). *UN fails to adopt resolution on Ukraine*". Retrieved from UN news: <https://news.un.org/en/>
- Diego Lopes da Silva, N. T. (2024, April 17). Retrieved from Stockholm International Peace Research Institute: <https://www.sipri.org/publications/2024/sipri-fact-sheets/trends-world-military-expenditure-2023>
- Doyle, M. W. (2024, june 18). <https://www.foreignaffairs.com>. Retrieved from <https://www.foreignaffairs.com/world/why-they-dont-fight-doyle>: <https://www.foreignaffairs.com/world/why-they-dont-fight-doyle>
- <https://www.ohchr.org>. (2022, september 1). Retrieved from <https://www.ohchr.org>: <https://www.ohchr.org/sites/default/files/documents/issues/intorder/peacesecurity/2022-09-01/submission-international-peace-security-hrc51-state-armenia.pdf>
- Kozłowska, H. (2024, June 19). Retrieved from notesfrompoland.com: <https://notesfrompoland.com/2024/06/19/poland-to-be-natos-biggest-defence-spender-this-year-as-proportion-of-gdp/>
- Laderman, C. (2024, September 30). *The UN has failed Lebanon*. Retrieved from [engelsbergideas](https://engelsbergideas.com): <https://engelsbergideas.com/notebook/the-un-has-failed-lebanon/>
- Nations, U. (2023, June 30). Retrieved from United Nations: <https://press.un.org/en/2023/gaab4423.doc.htm>
- Peace, I. f. (2024, June 3). Retrieved from economicsandpeace.org: <https://www.economicsandpeace.org/wp-content/uploads/2024/06/GPI-2024-web.pdf>
- Peacekeeping, U. N. (2024, July 2). *peacekeeping.un.org*. Retrieved from <https://peacekeeping.un.org/en/how-we-are-funded>

Schofield, J. (2007, November 7). *Militarization and War*. Retrieved from https://doi.org/10.1007/978-1-137-07719-6_2
UN resolution 1701, 1701 (Security Council August 11, 2006).

ტურიზმის როლი საქართველოს ეკონომიკაში

ვახტანგ დანელია

სსიპ-დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს
ეროვნული თავდაცვის აკადემიის
ბაკალავრიატის მენეჯმენტის მიმართულების იუნკერი

ბესო შუბითიძე

სსიპ-დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს
ეროვნული თავდაცვის აკადემიის
ბაკალავრიატის მენეჯმენტის მიმართულების იუნკერი

ხელმძღვანელი: **რუსუდან დალაქიშვილი-ჭიჭინაძე**
ბაკალავრიატის მენეჯმენტის მიმართულების ასოცირებული პროფესორი

აბსტრაქტი

ტურიზმი თანამედროვე მსოფლიოს ეკონომიკის ერთ-ერთი ყველაზე მზარდი და მნიშვნელოვანი სექტორია. მისი წარმატება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული მშვიდობასა და სტაბილურობაზე, როგორც მსოფლიოში ასევე საქართველოში. ეს ნაშრომი იკვლევს ტურიზმის როლს საქართველოს ეკონომიკაში, მის წილს ქართულ ეკონომიკაში და განსაკუთრებული აქცენტი გაკეთებულია მშვიდობისა და სტაბილურობის მნიშვნელობაზე ამ სექტორის განსავითარებლად. საქართველოსთვის როგორც დიდი ტურისტული პოტენციალის მქონე ქვეყნისთვის, პოლიტიკური უსაფრთხოება და რეგიონალური მშვიდობა აუცილებელია. კვლევის პროცესში გაანალიზებულია ტურიზმის წილი საქართველოს მშპ-ში, მისი მნიშვნელობა ახალი სამუშაო ადგილების შექმნასა და ინვესტიციების მოზიდვაში. ნაშრომში განსაკუთრებული ყურადღება ენიჭება მშვიდობისა და სტაბილურობის როლს ტურიზმის სექტორისთვის, საქართველოს ურთიერთობებს მის მეზობლებთან და პოლიტიკურ ვითარებას რეგიონში. განხილულია ისეთი ფაქტორები როგორცაა რეგიონალური კონფლიქტები კავკასიის რეგიონში.

ნაშრომი აჩვენებს რომ ტურიზმს შეუძლია საერთაშორისო ასპარეზზე ქვეყნის იმიჯი გააუმჯობესოს, ინვესტიციები მოიზიდოს და სოციალური კეთილდღეობა გააუმჯობესოს. ის ასევე აჩვენებს საქართველოს ურთიერთობებს მის მეზობლებთან, მისი მეზობელი ქვეყნიდან შემოსული ტურისტების რაოდენობას, მათ წილს მთლიანი ტურიზმის სექტორში.

დასკვნის სახით, ეს ნაშრომი ცხადყოფს, რომ ტურიზმის განვითარება საქართველოსთვის სტრატეგიულ მნიშვნელობას ატარებს. ხოლო უსაფრთხოება პირდაპირი პირობაა ტურიზმის წარმატებისთვის, რაც ხელს შეუწყობს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას, ჩვენი კულტურის, ისტორიის და ტრადიციების მსოფლიოსათვის გაცნობას, პარტნიორული ურთიერთობების გაუმჯობესებას და სხვ.

საკვანძო სიტყვები: ტურიზმი, მშვიდობა, სტაბილურობა, ეკონომიკური განვითარება, საქართველო.

The role of tourism in Georgia's Economy

Vakhtang Danelia

Junker of Bachelor's Program in Management of
LEPL-David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia

Beso Shubitidze

Junker of Bachelor's Program in Management of
LEPL-David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia

Supervisor: Rusudan Dalakishvili- Chichinadze

Associate Professor of Bachelor's program in Management

Abstract

Tourism is one of the fastest-growing and most important sectors of the modern global economy. Its success largely depends on peace and stability, both globally and in Georgia. This work examines the role of tourism in Georgia's economy, its contribution to the national economy, and emphasizes the importance of peace and stability for the development of this sector. For Georgia, a country with significant tourism potential, political security and regional peace are essential. The study analyzes tourism's share in Georgia's GDP, its importance of creating new jobs, and its role in attracting investments. Special attention is given to the role of peace and stability in the tourism sector, Georgia's relations with its neighbors, and the political situation in the region. The work also discusses factors such as regional conflicts in the Caucasus and their impact on tourism development.

The paper demonstrates that tourism can enhance the country's image on the international stage, attract investments, and improve social well-being. It also highlights Georgia's relations with its neighbouring countries, the number of tourists arriving from these countries, and their share of overall tourism sector.

In conclusion, this paper reveals that the development of tourism holds strategic importance for Georgia. Security is a fundamental prerequisite for the successes of tourism, which, in turn, will contribute to the country's economical growth, the promotion of Georgia's culture, history, and traditions to the world, the improvement of partnership relations, and more.

Keywords: tourism, peace, stability, economical development, Georgia.

შესავალი

საქართველო, თავისი სტრატეგიული მდებარეობით, უნიკალური კულტურითა და მრავალფეროვანი ბუნებრივი რესურსებით, ტურიზმის განვითარებისთვის ერთ-ერთ ყველაზე პერსპექტიულ ქვეყანად მიიჩნევა. ეს პატარა ქვეყანა, რომელიც ევროპისა და აზიის გზაჯვარედინზე მდებარეობს, საუკუნეების განმავლობაში კულტურათა გადაკვეთის წერტილს წარმოადგენდა და გამორჩეულ მიმზიდველობას ინარჩუნებს როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო ტურისტებისთვის.

ბოლო ათწლეულში ტურიზმის სექტორი საქართველოში ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ეკონომიკურ მიმართულებად იქცა. 2014 წლიდან 2023 წლამდე ტურისტების რაოდენობა განუხრელად იზრდებოდა, გარდა პანდემიის პერიოდში დაფიქსირებული კლებისა. ტურიზმის ზრდამ განსაკუთრებული დინამიკა შეიძინა ინფრასტრუქტურული პროექტების გაფართოებით, საერთაშორისო ბრენდების სასტუმროების გახსნითა და მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებით. 2023 წლის მონაცემებით, საქართველოს მონახულებული ტურისტი საშუალოდ 2100 ლარს ხარჯავს, რაც 2024 წლის პირველ ორ კვარტალში 2250 ლარამდე გაიზარდა.

ტურიზმის სექტორის წარმატების ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორია მეზობელი ქვეყნებიდან, განსაკუთრებით რუსეთის ფედერაციიდან, სომხეთიდან, თურქეთიდან და აზერბაიჯანიდან, ტურისტების სტაბილური ნაკადი. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთთან ურთიერთობა ისტორიულად სირთულეებით აღინიშნება, რუსი ტურისტები საქართველოს ტურისტული ბაზრის 18%-დან 29%-მდე ნაწილს წარმოადგენენ და ამ გზით მნიშვნელოვან წვლილს შეაქვთ ქვეყნის ეკონომიკაში. ამის გათვალისწინებით, საქართველოსთვის აუცილებელია სტრატეგიული ბალანსის შენარჩუნება როგორც პოლიტიკურ, ისე ეკონომიკურ დონეზე.

ტურიზმის მრავალფეროვანი მიმართულებები — კულტურული, სათავგადასავლო, გურმანული და საოჯახო ტურიზმი — საშუალებას აძლევს ქვეყანას სხვადასხვა ინტერესების მქონე ვიზიტორების მიზიდვას. მესტიის, სვანეთის, კახეთისა და ქუთაისის კულტურული ღირსშესანიშნაობები, თბილისისა და ბათუმის ურბანული ხიბლი, კავკასიონის მთების სათავგადასავლო პოტენციალი და ქართული სამზარეულოს უნიკალურობა ქმნის ტურისტული გამოცდილების მრავალფეროვან არჩევანს, რაც საქართველო საერთაშორისო ტურისტულ რუკაზე უფრო გამორჩეულ ადგილად აქცევს.¹

ტურიზმი არა მხოლოდ ეკონომიკური სარგებლის მიღების საშუალებაა, არამედ ქვეყნის იმიჯის და სტაბილურობის განმტკიცების ინსტრუმენტიც. ტურიზმის სწორად განვითარება საქართველოს საშუალებას მისცემს გააძლიეროს რეგიონული ეკონომიკა, შექმნას ახალი სამუშაო ადგილები და განამტკიცოს თავისი რეპუტაცია როგორც უსაფრთხო და საინტერესო ტურისტული მიმართულების.

¹ გელაშვილი, ს., ყორღანაშვილი, ლ. "საქართველოს ეკონომიკა და ტურიზმის როლი მის განვითარებაში"(2021)


ძირითადი ნაწილი

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საქართველოს სტრატეგიული მდებარეობა, უნიკალური კულტურა, ბუნებრივი რესურსები და ისტორიული მემკვიდრეობა ხელსაყრელ პირობებს ქმნის ტურიზმის განვითარებისთვის. 2014 წლიდან მოყოლებული 2023 წლის მონაცემებით ტურისტების რაოდენობა ყოველწლიურად იზრდებოდა (თუ არ ჩავთვლით კოვიდ პანდემიის პერიოდს) ტურისტები საშუალოდ ქვეყანას 5-6 დღის განმავლობაში სტუმრობენ, (გააჩნია ქვეყანას რომლიდანაც ჩამოდიან და ადგილებს რომლებსაც სტუმრობენ ისინი) და საშუალოდ 2023 წლის მონაცემებით შემოსული ტურისტი 2100 ლარს ან (770 აშშ დოლარს) ხარჯავს ხოლო 2024 წლის პირველი ორი კვარტალის მონაცემებით 2250 ლარს რაც (827.2 აშშ დოლარის) ექვივალენტია. ტურისტების უმრავლესობა საქართველოს მეზობელი ქვეყნებიდან : რუსეთიდან, თურქეთიდან, სომხეთიდან და აზერბაიჯანიდან შემოდის, რაც რეგიონალურ მშვიდობასა და სტაბილურობას უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს, ამ ქვეყნებიდან შემოსული ტურისტების რაოდენობა საერთო შემოსული რაოდენობის 60-70%-ს შეადგენს. განსაკუთრებით აღსანიშნავია რუსეთის ფედერაციიდან შემოსული ტურისტების რაოდენობა საიდანაც ყოველწლიურად 2014 წლიდან 2023 წლამდე საქართველოში 0.5 მილიონიდან 1.6 მილიონამდე ტურისტი შემოდიოდა რაც მთლიანი რაოდენობის (18%-29%)მდე მერყეობს და საკმაოდ დიდი წვლილი შეაქვს საქართველოს ეკონომიკაში. თუ გავითვალისწინებთ საქართველოსა და რუსეთის ფედერაციის მტრულ ურთიერთობებს, ოკუპირებულ აფხაზეთისა და სამაჩაბლოს რეგიონებს, მივხვდებით თუ როგორი დამაბულია ურთიერთობა ამ ორ ქვეყანას შორის. შესაბამისად ურთიერთობების გამწვავება დიდ დარტყმას გამოიწვევს ასევე ტურისტულ სექტორზე, რომელშიც რუსი ტურისტების წვლილი საკმაოდ დიდია ისევე როგორც ტურისტული სახის ბიზნესებზე საქართველოში რუსი ინვესტორებისგან. ასე, რომ ურთიერთობების გაუარესება ზიანის მომტანი იქნება ამ სექტორში. ტურიზმი უდიდეს როლს ასრულებს სამუშაო ადგილების შექმნაში, დღევანდელი სტატისტიკით ტურიზმის სექტორში შექმნილია 80 000 ათასამდე მუდმივი ხოლო (120 000-160 000) მდე სეზონური სამუშაო ადგილი. ასევე ტურიზმის აღორძინება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ინფრასტრუქტურული პროექტების განვითარებაზე. ბოლო 5 წლის განმავლობაში მხოლოდ საქართველოში მუშაობა დაიწყო 200-ზე მეტმა სასტუმრომ მათ შორის 10-ზე მეტი საერთაშორისო ბრენდისაა. 2021 წლის მონაცემებით სასტუმროთა რაოდენობა ბოლო 5 წლის მანძილზე 68.5%-ით გაიზარდა ხოლო მომსახურე ოთახების რაოდენობა 60.2%-ით. ამ სექტორის წახალისებით ყოველწლიურად 300 მილიონზე მეტი ინვესტირდება.²


საქართველოში ტურიზმის სხვადასხვა სახეობები ვითარდება, როგორცაა: საოჯახო და კულტურული ტურიზმი: მესტია, სვანეთი, კახეთი და ქუთაისი ცნობილია როგორც ძირითადი კულტურული ტურიზმის ადგილები.

² საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ყოველწლიური ანგარიშები (2014-2023)


ქვეყნის დედაქალაქი თბილისი და ასევე ბათუმი, რომლებსაც თითქმის ყველა უცხოელი ვიზიტორი სტუმრობს, ასევე ცნობილია გურმანული ტურიზმი, რაც ქართული სამზარეულოს უნიკალურობით გამოირჩევა და ასევე სათავგადასავლო ტურიზმი: კავკასიონის მთები და მისი მომხიზვლელობა, სხვადასხვა მაღალმთიანი რეგიონების პოპულარობა მესტია, შატილი, ასევე სათხილამურო კურორტები და სხვ.



სურ. 1




გრაფიკი 1



გრაფიკი 2³

ტურიზმის სექტორი საქართველოსთვის არა მხოლოდ ეკონომიკური შემოსავლის მნიშვნელოვანი წყაროა, არამედ სტაბილურობის განმტკიცების ინსტრუმენტიც. ტურიზმის სწორი პოლიტიკით განვითარება ხელს შეუწყობს ქვეყნის ეკონომიკურ ზრდას, რეგიონების გაძლიერებას და საქართველოს, როგორც უსაფრთხო და საინ-ტერესო ტურისტული მიმართულების, რეპუტაციის ამაღლებას.



სურ. 2

³ <https://tourism.geostat.ge/categories/CDefaultIndicators>

დასკვნა

ასე, რომ როგორც უკვე ავღნიშნეთ ტურიზმის როლი საქართველოს ეკონომიკოში უზარმაზარია, თუმცა მისი მდგრადი განვითარება და მზარდი წარმატება უშუალოდ დამოკიდებულია ქვეყნის თავდაცვის უსაფრთხოებასა და სტაბილურობაზე. უსაფრთხო გარემო და სტაბილურობა აუცილებელია, რათა ქვეყანამ შეინარჩუნოს პოზიტიური საერთაშორისო იმიჯი, უსაფრთხოების მაღალი დონითა და სტაბილურობით საქართველოს ტურიზმის სავაჭრო „ჰაბად“ გადაქცევა შეიძლება, რამაც არამარტო ეკონომიკური სარგებელი არამედ პოლიტიკური და სოციალურ-კულტურული სარგებელი შეიძლება გამოიწვიოს. ამიტომ აუცილებელია, რომ საქართველოს ხელისუფლებამ ყურადღება მიაქციოს ტურიზმის სექტორს, როგორც თავდაცვა-უსაფრთხოებისა და სტაბილურობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს თანამედროვე გამოწვევას. რაც საბოლოო ჯამში ხელს შეუწყობს ქვეყნის მდგრადი ეკონომიკისა და საერთაშორისო მიმზიდველობის გაზრდას.

გამოყენებული ლიტერატურა

- გელაშვილი, ს., ყორღანაშვილი, ლ. "საქართველოს ეკონომიკა და ტურიზმის როლი მის განვითარებაში", 2021.
- მეტრეველი, მ. "ტურიზმის განვითარების თეორია და პრაქტიკა საქართველოში"(2018)
- ნადარეიშვილი, ნ. "საქართველოს ტურისტული პოტენციალი და მისი განვითარების პერსპექტივები", 2019.
- საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ყოველწლიური ანგარიშები, 2014-2023.
- ხარატიშვილი, ლ., "ტურიზმის მენეჯმენტი საქართველოში: გამოწვევები და შესაძლებლობები", 2020.
- Butler, R. W. "Tourism and Resilience in Development: Global Perspectives", 2019.
- Dwyer, L., & Kim, C. "Destination Competitiveness and Development: A Cross Country Analysis", 2019.
- Hall, C. M., & Page, S. J. "The Geography of Tourism and Recreation: Environment, Place and Space", 2017.
- Richards, G. "Cultural Tourism: Global and Local Perspectives", 2018.
- Smith, M., & Robinson, M. "Cultural Tourism in a Changing World: Politics, Participation and (Re)presentation", 2016.
- UNWTO Tourism Highlights - Reports of the United Nations World Tourism Organization, 2014-2023.
- World Bank Group "Tourism in the Post-Pandemic World: Economic Perspectives", 2020.
- World Travel & Tourism Council (WTTC) Annual Reports, 2014-2023.
- European Travel Commission Research Reports, 2019-2023.
- IMF Country Reports on Georgia's Tourism Sector, 2018-2023.
- World Economic Forum's Travel & Tourism Competitiveness Reports, 2015-2023.

წრიული ეკონომიკა – მდგრადობის და განვითარების ეკონომიკური პერსპექტივა

ლუკა ანესაშვილი

სსიპ-დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს
ეროვნული თავდაცვის აკადემიის
ბაკალავრიატის მენეჯმენტის მიმართულების იუნკერი

გიორგი წამალაშვილი

სსიპ-დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს
ეროვნული თავდაცვის აკადემიის
ბაკალავრიატის მენეჯმენტის მიმართულების იუნკერი

შოთა მარკოზაშვილი

სსიპ-დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს
ეროვნული თავდაცვის აკადემიის
ბაკალავრიატის მენეჯმენტის მიმართულების იუნკერი

ხელმძღვანელი: **რუსუდან დალაქიშვილი-ჭიჭინაძე**
ბაკალავრიატის მენეჯმენტის მიმართულების ასოცირებული პროფესორი

აბსტრაქტი

თანამედროვე სამყაროში ეკონომიკური განვითარების და მდგრადობისკენ სწრაფვა ხშირად ტრადიციული მიდგომების გადახედვას მოითხოვს. სწორხაზოვანი ეკონომიკური მოდელი, რომელიც რესურსების მიღებას, გამოყენებას და გადაყრას ემყარება, მნიშვნელოვან ზიანს აყენებს გარემოს და ხელს უწყობს რესურსების ამოწურვას. ამ ფონზე, წრიული ეკონომიკა ეკონომიკური და ეკოლოგიური პრობლემების გადაჭრის პერსპექტიული ალტერნატივა ხდება.

წრიული ეკონომიკა, როგორც მდგრადი განვითარების მოდელი, მიზნად ისახავს რესურსების ეფექტიან გამოყენებას და გარემოს დაცვას. ეს მოდელი ხაზგასმით ეწინააღმდეგება ტრადიციული, ხაზოვანი ეკონომიკის მიდგომებს, რომელიც რესურსების გადაჭარბებულ მოხმარებას და გარემოს დაბინძურებას იწვევს. წრიული მოდელი ხელს უწყობს ნარჩენების შემცირებას, გადამუშავებას, რესურსების ხანგრძლივ გამოყენებას და პროდუქტის სიცოცხლის ციკლის მაქსიმალურ ეფექტიანობას. საქართველოსა და კავკასიის რეგიონში ტრადიციული ეკონომიკური მოდელების გამოყენება კვლავ დომინირებს, თუმცა წრიული ეკონომიკის პრინციპების დანერგვა მნიშვნელოვან სარგებელს მოუტანს როგორც გარემოს, ისე ეკონომიკას.

ამავდროულად, მშვიდობისა და სტაბილურობის საკითხები, რომლებიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ეკონომიკურ ზრდაზე, რეგიონის გამოწვევებად რჩება. უკრაინის ომის მაგალითზე ნათლად ჩანს, როგორ მოქმედებს კონფლიქტები რესურსებზე და ეკონომიკურ სტაბილურობაზე. ამავდროს, კლიმატის ცვლილება და ბუნებრივი რესურსების შემცირება ეკოლოგიური და ეკონომიკური მდგრადობის სერიოზულ გამოწვევას წარმოადგენს.

საქართველოში წრიულ ეკონომიკაზე გადასვლა მდგრადი ნარჩენების მართვის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას, კერძო სექტორის ინფორმირებას და ინვესტიციების სტიმულირებას საჭიროებს. საერთაშორისო პარტნიორების, მათ შორის UNDP-ის დახმარებით, ქვეყანა ცირკულარული ეკონომიკის დანერგვისკენ პირველ ნაბიჯებს დგამს. მდგრადი განვითარების დასაჩქარებლად, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია რეგიონული თანამშრომლობა და ევროკავშირის სტანდარტების გამოყენება.

ნაშრომში ასახულია წრიული ეკონომიკის როლი, როგორც ეკონომიკურ განვითარებაში, ისე სოციალური თანასწორობისა და ეკოლოგიური სტაბილურობის უზრუნველყოფაში.

საკვანძო სიტყვები: მშვიდობა, სტაბილურობა, წრიული ეკონომიკა, გამოწვევები, კონფლიქტი, საფრთხეები.

Circular economy – Economic perspective of sustainability and development

Luka Anesashvili

Junker of Bachelor's Program in Management of
LEPL-David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia

Giorgi Tsamalashvili

Junker of Bachelor's Program in Management of
LEPL-David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia

Shota markozashvili

Junker of Bachelor's Program in Management of
LEPL-David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia

Supervisor: Rusudan Dalakishvili- Chichinadze

Associate Professor of Bachelor's program in Management

Abstract

Economic development in the modern world and the pursuit of sustainability while reviewing trending approaches. A linear economic model based on acquiring, using, and disposing of resources opposes harm to the environment and depletion of beneficial resources. Against this background, the circular economy becomes a promising alternative for solving economic and ecological problems.

Circular economy, as a model of sustainable development, aims at efficient use of resources and environmental protection. This model strongly contrasts with traditional, linear economic approaches that lead to excessive consumption of resources and environmental pollution. The circular model promotes waste reduction, recycling, long-term use of resources and maximum efficiency of the product life cycle. In Georgia and the Caucasus region, the use of traditional economic models still dominates, however, the introduction of circular economy principles will bring significant benefits to both the environment and the economy.

At the same time, peace and stability issues, which significantly affect economic growth, remain challenges for the region. The example of the war in Ukraine clearly shows how conflicts affect resources and economic stability. At the same time, climate change and depletion of natural resources pose a serious challenge to ecological and economic sustainability.

The transition to a circular economy in Georgia requires the improvement of sustainable waste management infrastructure, informing the private sector and stimulating investments. With the help of international partners, including UNDP, the country is taking the first steps towards introducing a circular economy. In order to accelerate sustainable development, regional cooperation and the use of EU standards are particularly important.

The paper describes the role of the circular economy, both in economic development and in ensuring social equality and ecological stability.

Keywords: peace, stability, circular economy, challenges, conflict, threats.

შესავალი

თანამედროვე ეკონომიკური გამოწვევები, რომლებიც ბუნებრივი რესურსების ამოწურვასთან, გარემოს დაბინძურებასა და კლიმატის ცვლილებასთანაა დაკავშირებული, ახალი და უფრო მდგრადი მოდელების დანერგვას მოითხოვს. ტრადიციული სწორხაზოვანი ეკონომიკური მოდელი, რომელიც „მიღება - გამოყენება - გადაყრის“ პრინციპს ემყარება, მნიშვნელოვნად ზრდის რესურსების მოპოვებისა და მოხმარების ტემპს, რაც გლობალური ეკოლოგიური კრიზისის გაღრმავებას იწვევს. ამ ფონზე, წრიული ეკონომიკა, რომელიც ფოკუსირებულია რესურსების მაქსიმალურად ეფექტიან გამოყენებაზე, ნარჩენების შემცირებასა და მასალების გადამუშავებაზე, განვითარების ახალ, უფრო მდგრად ალტერნატივად იქცა.

წრიული ეკონომიკის მოდელი ხელს უწყობს პროდუქტებისა და მასალების დირეზულების შენარჩუნებას ეკონომიკაში რაც შეიძლება დიდხანს და მინიმუმამდე ამცირებს პირველადი რესურსების საჭიროებას. ეს მიდგომა არა მხოლოდ ეკოლოგიური მდგრადობის მიღწევას უწყობს ხელს, არამედ ახალი ეკონომიკური შესაძლებლობების შექმნასაც, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველოსა და კავკასიის რეგიონის ქვეყნებისთვის.

ამავე დროს, რეგიონში ეკონომიკური ზრდა და სტაბილურობა დამოკიდებულია მშვიდობისა და სოციალური თანასწორობის შენარჩუნებაზე. ეკონომიკურმა და პოლიტიკურმა არასტაბილურობამ, როგორცაა უკრაინის ომი ან სხვა რეგიონული კონფლიქტები, მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა რესურსების განაწილებასა და ეკონომიკურ ზრდაზე. მსგავს პირობებში, მდგრადი ეკონომიკური განვითარების მოდელები, როგორცაა წრიული ეკონომიკა, წარმოადგენს ეფექტურ ინსტრუმენტს როგორც გარემოსდაცვითი, ისე სოციალური და ეკონომიკური გამოწვევების დასაძლევად.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ხდება ამ მიდგომების ადაპტაცია საქართველოსთვის, სადაც წრიული ეკონომიკის პოტენციალი ჯერ კიდევ ბოლომდე არ არის ათვისებული. საქართველოს ეკონომიკა დღესაც მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ახალ რესურსებზე, ხოლო გადამუშავებისა და ხელახალი გამოყენების მაჩვენებლები მინიმალურია.

ნაშრომის მიზნია წრიული ეკონომიკის როლის შესწავლა-ანალიზის რეგიონალური მდგრადობის უზრუნველყოფის კონტექსტში, განიხილავს მისი დანერგვის შესაძლებლობებსა და გამოწვევებს, პარალელურად კი შეისწავლის მშვიდობისა და სტაბილურობის მნიშვნელობას როგორც ადგილობრივი, ისე გლობალური განვითარების პროცესებში.

ძირითადი ნაწილი

რა არის წრიული ეკონომიკა?

წრიული ეკონომიკა ეკონომიკური მოდელია, რომლის არსი, პროდუქტებისა და მათი შემადგენელი კომპონენტების წრიული გამოყენების გზით რესურსების ეფექტიანი და გრძელვადიანი გამოყენებისკენ სწრაფვა, მოხმარების შემცირება და პირველ-

ხარისხოვანი რესურსების ფლანგვის შეჩერებაა. ეს მოდელი მდგრადი განვითარების ერთ-ერთ განმახორციელებლად იქცა, რადგან სწორხაზოვანი ეკონომიკა გარემოზე მავნედ მოქმედი და რესურსების ამოწურვის გამომწვევია. წრიული ეკონომიკის ძირითადი პრინციპებია: გარემო ნარჩენების გარეშე, რესურსების მაქსიმალური გამოყენება, ხანგრძლივი შესაძლებელი სიცოცხლისუნარიანობა, გადამუშავება და მატერიალური წრის გამძლეობა, პროდუქტის აღდგენა და გრძელვადიანი განვითარება. ტრადიციული ეკონომიკის სწორხაზოვანი მოდელი ერთ-ერთი კლასიკური ეკონომიკური მოდელია, რომელიც ეკონომიკურ პროცესებს ისე აღწერს, რომ ის საწარმოო ხაზის მიმართ, სწორხაზოვანი დამოკიდებულებით ფასდება. ეს მოდელი რესურსების განაწილებას, პროდუქციის წარმოებას და განაწილებას, მარტივი ფორმით აანალიზებს. ისეთი კლასიკოსი ეკონომისტი, როგორც ადამ სმიტი, მსგავს ხაზოვან მოდელებს რესურსების, ბიუჯეტებისა და ბაზრის ურთიერთობების გასაანალიზებლად იყენებდა. ტრადიციული ეკონომიკის სწორხაზოვანი მოდელი არ აღიქვამს ეკონომიკური აქტივობის ისეთ ცვლილებებსა და დინამიკას, როგორცაა არაცნობიერი მსოფლმხედველობის ტრანსფორმაცია, ინოვაცია, გლობალიზაცია, ბაზრის დისტორციები და სხვა. ამიტომ, თანამედროვე ეკონომიკურმა მოდელებმა გადაამუშავეს სწორხაზოვანი ეკონომიკური მოდელები და გაცილებით რთულ, არასწორხაზოვან ან დინამიკურ მოდელებად აქციეს, რათა უკეთესად ასახონ თანამედროვე ეკონომიკის კომპლექსური ბუნება.

მშვიდობისა და სტაბილურობის გამოწვევები

მშვიდობისა და სტაბილურობის შენარჩუნება ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპის შენარჩუნების ერთ-ერთი მთავარი წინაპირობაა. ომმა უკრაინას მძიმე ეკონომიკური შედეგები მოუტანა. ომის პირველივე წელს უკრაინის ეკონომიკამ 30%-იანი რეცესია განიცადა, რამაც ცხადია, მთელი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური რყევები გამოიწვია. ამავდროულად, მართალია, მოლდოვა უშუალოდ არ არის ომში ჩართული, მაგრამ ომმა უშუალო გავლენა მოახდინა ამ ქვეყნის ეკონომიკაზეც. ბოლო სამი წლის მანძილზე, საქართველომ ცხრა მილიდიარდი დოლარით გაზარდა სხვაობა მოლდოვის ეკონომიკაზე, რაც ნიშნავს, რომ 2,5 მილიარდი დოლარით გაიზარდა სხვაობა საქართველოსა და მოლდოვას ბიუჯეტებს შორის. მშვიდობისა და სტაბილურობის მნიშვნელობაზე, საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი კობახიძემ, ბიზნესასოციაციის კონფერენციაზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.

კლიმატური და ბუნებრივი რესურსების შემცირება პროცესია, რომლის დროსაც კლიმატის ცვლილების გავლენით ბუნებრივი რესურსების რაოდენობა და ხელმისაწვდომობა ცვალებადი და კლებადი ხდება. საკითხი ეხება როგორც კლიმატის ცვლილებას, რომელიც პირდაპირ გავლენას ახდენს ბუნებრივი რესურსების განახლებაზე და გამოყენებაზე, ასევე იმ პროცესებზე, რომლებიც იწვევს რესურსების განადგურებას, შემცირებას და გაუარესებას. კლიმატის ცვლილება პირდაპირ გავლენას ახდენს ბუნებრივი რესურსების სტაბილურობასა და განახლებაზე. გლობალური დათბობა, ოზონის ფენის დარღვევა, წყლის ციკლის ცვლილებები და სხვა კლიმატური მოვლე-

ნები, როგორებიცაა, გვალვები, ძლიერი ნალექები და შტორმები, იწვევს კლიმატურ პირობებში არასტაბილურობას, რაც იწვევს რესურსების შემცირებას. ბუნებრივი რესურსების შემცირება შესაძლოა გამოიწვიოს არა მხოლოდ კლიმატის ცვლილებამ, არამედ ადამიანის საწარმოო აქტივობებმაც, როგორცაა, მასობრივი სარგებლობა, განახლებადი რესურსების ამოწურვა და გარემოს დაბინძურება. კლიმატის ცვლილებებისა და ბუნებრივი რესურსების შემცირების საკითხი, ეკოლოგიური და ეკონომიკური მდგრადობისთვის გადამწყვეტია. მხოლოდ გლობალური და ადგილობრივი ძალისხმევით, მდგრადი განვითარების სტრატეგიების შერჩევით, შესაძლებელია ბუნებრივი რესურსები მომავალი თაობებისთვის შევინარჩუნოთ.

მოხმარებაზე ორიენტირებული ეკონომიკა არის ეკონომიკური მოდელი, რომელშიც ბაზრის ზრდა და ეკონომიკური წარმატება ძირითადად დამოკიდებულია ადამიანების მიერ საქონლისა და სერვისების ხშირ და შეუზღვევად მოხმარებაზე. ეს მოდელი ხშირად მხარს უჭერს სწრაფი ეკონომიკური ზრდის იდეას, მაგრამ მასთან დაკავშირებულია გარკვეული უარყოფითი მხარეებიც, რომლებიც გავლენას ახდენს როგორც გარემოზე, ისე სოციალურ და ეკონომიკურ სისტემაზე. მოხმარებაზე ორიენტირებული ეკონომიკა, მიუხედავად იმისა, რომ მოკლევადიან პერიოდში ეკონომიკური ზრდის შესაძლებლობას ქმნის, გრძელვადიან პერიოდში იწვევს ეკოლოგიურ, სოციალურ და ეკონომიკურ პრობლემებს. მდგრადი განვითარების მიზნით საჭიროა მიკერძოებული მოლოდინის შეცვლა, რაც არ გულისხმობს მხოლოდ მყარ მატერიალებსა და სწრაფ მოხმარებაზე დამოკიდებულებას, არამედ ეფუძნება გარემოსთან ჰარმონიულ ურთიერთობას, მდგრადი რესურსების გამოყენებასა და ადამიანთა კეთილდღეობის გაუმჯობესებას.

წრიული ეკონომიკის როლი მშვიდობასა და სტაბილურობაში

კავკასიის რეგიონში წარმოებისა და მოხმარების არსებული მოდელები ძირითადად სწორხაზოვან ეკონომიკას ეფუძნება. მდგრადი, ნახშირბადის დაბალი შემცველობის, რესურსეფექტიანი და კონკურენტუნარიანი ეკონომიკის განვითარება მოითხოვს ცირკულაციურ (წრიულ) ეკონომიკაზე გადასვლას, სადაც პროდუქტების, მასალებისა და რესურსების ღირებულება რაც შეიძლება დიდხანს ნარჩუნდება ეკონომიკაში და ნარჩენების წარმოქმნა მინიმუმადეა დაყვანილი. CENN (განვითარების რეგიონული ორგანიზაცია, რომელიც სამხრეთ კავკასიის მასშტაბით გარემოს დაცვის მიმართულებით მუშაობს, მდგრადი განვითარებისა და მწვანე ზრდის ხელშეწყობის მიზნით) ეძებს გზებს რეგიონში წრიულ ეკონომიკაზე გადასვლისთვის. ეს ორგანიზაცია ხელს უწყობს რესურსეფექტიან მოდელებს, რისთვისაც ეხმარებიან გადაწყვეტილების მიმღებ პირებს პოლიტიკის ჩარჩოების შემუშავებასა და თანამედროვე მიდგომების დანერგვაში. ისინი აძლიერებენ კერძო სექტორს რესურსეფექტიანი პრაქტიკის დანერგვაში, ნარჩენების შემგროვებელ და გადამამუშავებელ კომპანიებს ბიზნეს ოპერაციების გაუმჯობესებაში და მოსახლეობისთვის ნარჩენების დახარისხების შესაძლებლობების

შექმნაში. (საქართველოს მთავრობა. საქართველოს მწვანე ეკონომიკის პოლიტიკა და მდგრადი განვითარების სტრატეგია.¹

CENN მნიშვნელოვნად ეხმარება საგანმანათლებლო პროგრამებში, წრიული ეკონომიკის კონცეფციის ინტეგრირებას და სხვადასხვა დაინტერესებული მხარეების ცნობიერების ამაღლებას წრიული ეკონომიკისა და ნარჩენების მართვის სათანადო პრაქტიკების მიმართულებით. მათი პროექტებია: თბილისის ცირკულაციული ლაბორატორია, პლასტმასით დაბინძურების შემცირება საქართველოში, ენერგოეფექტურობის შესახებ საინფორმაციო და ცნობიერების ამაღლების კამპანია თბილისში, პლასტმასის ტარის ჩანაცვლება. სოციალური თანასწორობა და ეკონომიკური განვითარება ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია. სოციალური თანასწორობა გულისხმობს ისეთი საზოგადოებრივი პირობების შექმნას, სადაც ყველა მოქალაქეზე სამართლიანად, თანაბრად და უპირობოდაა მორგებული ძირითადი უფლებები და შესაძლებლობები: განათლება, ჯანდაცვა, სამუშაო ადგილები, საზოგადოებრივი მომსახურება, ქალთა, ეთნიკური და სხვა უმცირესობათა უფლებების დაცვა და ა.შ. ეკონომიკური განვითარება ნიშნავს ისეთი პროცესების განხორციელებას, რომელიც აძლიერებს ქვეყნის ეკონომიკას, ზრდის მთლიან შიდა პროდუქტს, ქმნის ახალ სამუშაო ადგილებს, აუმჯობესებს ცხოვრების ხარისხს და უზრუნველყოფს მდგრად განვითარებას. განვითარებადი ეკონომიკისა და სოციალური თანასწორობის სამართლიანობის დამკვიდრება ხელს უწყობს მეტ სოციალურ სტაბილურობას, შესაბამისად, სოციალური თანასწორობა და ეკონომიკური განვითარება ერთმანეთის ხელშემწყობი და განმავითარებელი ფაქტორებია.²

ჩვენ გვინდა მწვანე, სუფთა და ჯანსაღი პლანეტა

UNDP (გაეროს განვითარების პროგრამა) - ის შეუძლია მნიშვნელოვანი დახმარება გაუწიოს ისეთ ქვეყნებს, როგორც საქართველოა, რათა მათ თამამი, ტრანსფორმაციული გადაწყვეტილებები მიიღონ და მდგრადი მომავლის მშენებლობას გზა გაუხსნან. საქართველოს ეკონომიკის ცირკულარობის მაჩვენებელი 1.3 პროცენტს არ აღემატება, რაც საგრძნობლად ნაკლებია ისედაც დაბალ გლობალურ მაჩვენებელზე (7.2 პროცენტი). ცირკულარობის მოკრძალებული წილი მიანიშნებს, რომ საქართველოს ეკონომიკა ახალ რესურსებს ეყრდნობა, ხოლო მასალის გადამუშავებასა და ხელახლა გამოყენებას ნაკლებლად მიმართავს. გასული ათწლეულების მანძილზე, პლასტმასის წარმოება და იმპორტი 71 პროცენტით გაიზარდა, რამაც უკანონო ნაგავსაყრელთა რიცხვის ზრდა გამოიწვია. შავი ზღვის სანაპიროზე დაგროვებული ნარჩენების 95 პროცენტს სწორედ პლასტმასის ნარჩენები შეადგენს. 2020 წლის მონაცემებით, საქართველოში წარმოებუ-

¹ საქართველოს მთავრობა. *საქართველოს მწვანე ეკონომიკის პოლიტიკა და მდგრადი განვითარების სტრატეგია, 2023.

² რ.აბესაძე “წრიული” ეკონომიკა და ნარჩენების მართვა 2022;

<https://eas.tsu.ge/%E1%83%94%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%99%E1%83%90/%E1%83%AC%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%94%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%99%E1%83%90/8745/>

ლი და იმპორტირებული პლასტმასის 93 პროცენტმა თავისი სასიცოცხლო ციკლი ნარჩენის სახით დაასრულა, რამაც გარემოს დაბინძურებაში სავალალო წვლილი შეიტანა. საქართველოს ცირკულარულ ეკონომიკაზე გადასვლას რამდენიმე გამოწვევა ახლავს, რომელთა შორისაა ნარჩენების მდგრადი მართვის ინფრასტრუქტურის ნაკლებობა, შესაბამისი ინვესტიციებისა და სტარტაპ ინიციატივების მაღალი ღირებულება და არასაკმარისი ცნობიერება კერძო კომპანიებს შორის. ამავდროულად ქვეყანას ოპტიმიზმის საფუძელიც აქვს. საქართველოს კერძო სექტორი ევროპული ბაზრების ათვისებას ესწრაფვის, რაც თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებასა და ევროკავშირის წევრობის კანდიდატი ქვეყნის სტატუსს ეფუძნება. ამ მნიშვნელოვანი პერსპექტივის გამოყენება შესაძლებელია ხარისხის ამაღლების გზით, რაც წარმოებისა და შეფუთვის ევროპული სტანდარტების დაცვას, ეკოლოგიურად სუფთა წარმოების განვითარებასა და ცირკულაციური ეკონომიკის პრაქტიკის დანერგვას უკავშირდება. UNDP თანამშრომლობს შვედეთთან, საქართველოსთან, ნორვეგიასა და ევროკავშირის სხვა ქვეყნებთან.

დასკვნა

თანამედროვე ეკონომიკური და გარემოსდაცვითი გამოწვევები, რომლებიც დაკავშირებულია რესურსების ამოწურვასთან, გარემოს დაბინძურებასა და კლიმატის ცვლილებასთან, ისეთი მდგრადი ეკონომიკური მოდელების განვითარებას მოითხოვს, რომელიც ბუნებრივ და ადამიანურ რესურსებს მაქსიმალურად ეფექტურად გამოიყენებენ.

წრიული ეკონომიკის მოდელი ფოკუსირებულია ნარჩენების შემცირებაზე, რესურსების გადამუშავებასა და პროდუქტების ხანგრძლივ სიცოცხლისუნარიანობაზე. ეს მოდელი უზრუნველყოფს როგორც ეკოლოგიურ მდგრადობას, ისე ახალ ეკონომიკურ შესაძლებლობებს, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია განვითარებადი ქვეყნების, მათ შორის საქართველოსთვის. ტრადიციული სწორხაზოვანი მოდელი – "მიღება-გამოყენება-გადაყრა" – ხელს უწყობს რესურსების გადაჭარბებულ მოხმარებას და გარემოზე მავნე ზემოქმედებას. ამის საპირისპიროდ, წრიული ეკონომიკა არა მხოლოდ ამცირებს ბუნებრივ რესურსებზე დამოკიდებულებას, არამედ ხელს უწყობს ეკონომიკური სისტემის მოქნილობას და სტაბილურობას.

საქართველოსთვის, რომელიც ჯერ კიდევ დამოკიდებულია პირველადი რესურსების მოხმარებაზე და სადაც გადამუშავების პრაქტიკა ნაკლებადაა განვითარებული, წრიული ეკონომიკა მძლავრ ინსტრუმენტად შეიძლება იქცეს. რესურსების მდგრადი გამოყენება ქვეყნისთვის შეიძლება გახდეს როგორც ადგილობრივი ეკოლოგიური გამოწვევების დაძლევის, ისე გლობალურ ბაზრებზე ინტეგრაციის საშუალება. საერთაშორისო თანამშრომლობა, კერძოდ, UNDP-ის და ევროპული ქვეყნების დახმარება, ხელს უწყობს გარემოსდაცვითი პოლიტიკის და ნარჩენების მართვის ინფრასტრუქტურის განვითარებას. გარდა გარემოსდაცვითი ასპექტებისა, წრიული ეკონომიკა შეიძლება რეგიონში მშვიდობისა და სოციალური სტაბილურობის შენარჩუნების მნიშვნელოვანი ფაქტორიც იყოს. მდგრადი ეკონომიკური მოდელები, რომლებიც ინოვაცი-

ებსა და რესურსეფექტიანობაზეა ორიენტირებული, ახალ სამუშაო ადგილებს ქმნის, ამცირებს სიღარიბეს და ხელს უწყობენ ეკონომიკური უთანასწორობის დაძლევის. ეს კი, თავის მხრივ, მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს რეგიონული სტაბილურობის უზრუნველყოფაში, რაც აუცილებელია გრძელვადიანი განვითარებისათვის.

საქართველოში წრიული ეკონომიკის განვითარებასთან დაკავშირებული გამოწვევები – ნარჩენების მართვის ინფრასტრუქტურის ნაკლებობა, შესაბამისი ინვესტიციების საჭიროება და ცნობიერების დაბალი დონე – უნდა გადაიჭრას სახელმწიფოს, კერძო სექტორის და საერთაშორისო პარტნიორების ერთობლივი ძალისხმევით. ევროკავშირში გაწევრიანების პერსპექტივა და ევროპული ბაზრების ათვისება ქვეყნისთვის უნიკალურ შესაძლებლობას წარმოადგენს, დაწეროს თანამედროვე ეკოლოგიური და ეკონომიკური სტანდარტები.

ამრიგად, წრიული ეკონომიკა არა მხოლოდ განვითარების ალტერნატიულ გზად, არამედ აუცილებელ სტრატეგიად გვევლინება ეკოლოგიური, სოციალური და ეკონომიკური გამოწვევების დასაძლევად, რაც საქართველოსა და კავკასიის რეგიონის მდგრადი მომავლის უზრუნველყოფას შეუწყობს ხელს.

გამოყენებული ლიტერატურა:

აბესაძე, რ. 2022. "წრიული" ეკონომიკა და ნარჩენების მართვა;

<https://eas.tsu.ge/%E1%83%94%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%99%E1%83%90/%E1%83%AC%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%94%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%99%E1%83%90/8745/>

ტაბატაძე, ლ. 2017. ცირკულაციური ეკონომიკის პრინციპები, სარგებელი და წინაღობები;

<https://conferenceconomics.tsu.ge/?mcat=0&cat=arq&leng=ge&adgi=1573>

საქართველოს მთავრობა. 2023 . „საქართველოს მწვანე ეკონომიკის პოლიტიკა და მდგრადი განვითარების სტრატეგია. <https://gov.ge>

CENN (Caucasus Environmental NGO Network). 2022 . *Promoting Sustainable Resource Management in the South Caucasus*.

Ellen MacArthur Foundation. 2023 . *Circular Economy: A Wealth of Opportunity for Business and the Environment*..

<https://www.ellenmacarthurfoundation.org/>(<https://www.ellenmacarthurfoundation.org/>)

European Environment Agency. 2021 . *Circular Economy in Europe: Status and Perspectives*.

<https://www.eea.europa.eu/>(<https://www.eea.europa.eu/>)

International Monetary Fund(IMF). 2020 . *Peace, Stability, and Economic Development in Post-Conflict Regions*.. <https://www.imf.org/>

United Nations Development Program (UNDP). 2020 . *Sustainable Development Goals and Circular Economy Models* . <https://www.undp.org/>

World Bank. 2019 . *Economic Impacts of Climate Change and Resource Depletion in Developing Countries*.. <https://www.worldbank.org/>

მშვიდობისა და სტაბილურობის თანამედროვე გამოწვევები საზოგადოებასთან ურთიერთობის ჭრილში

ანა ბარაბაძე

კავკასიის უნივერსიტეტის
სოციოლოგიის საბაკალავრო პროგრამის III კურსის სტუდენტი

ნინა ივანიაძე

კავკასიის უნივერსიტეტის
პიარისა და კომუნიკაციის საბაკალავრო პროგრამის III კურსის სტუდენტი

ელენე დოლიძე

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
იურიდიული საბაკალავრო პროგრამის III კურსის სტუდენტი

აბსტრაქტი

თანამედროვე პოლიტიკური და სოციალური პროცესების მართვისას, საზოგადოებასთან ეფექტიანი ურთიერთობა, როგორც კონფლიქტების პრევენციისა და მშვიდობის შენარჩუნების მნიშვნელოვანი სტრატეგია, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. ნაშრომი განიხილავს მშვიდობისა და სტაბილურობის შენარჩუნებასთან დაკავშირებულ მთავარ გამოწვევებს, რომელიც საზოგადოებასთან ურთიერთობის მნიშვნელობას უსვამს ხაზს. მათ შორისაა საზოგადოების ინფორმირების მეთოდები, ცრუ ინფორმაციის გავრცელების საფრთხე, პოლიტიკურად დაძაბული გარემოებები, დეზინფორმაცია, მათი გავლენა სახელმწიფოებრივ სტაბილურობაზე და ჟურნალისტური ქარტიის პრინციპები.

ნაშრომში ყურადღება მახვილდება იმ ფაქტზე, რომ თანამედროვე მსოფლიოს სტაბილურობა ხშირად დამოკიდებულია არა მხოლოდ ეკონომიკურ და პოლიტიკურ ფაქტორებზე, არამედ საზოგადოებასთან ურთიერთობის სტრატეგიებზე, რომელიც ქვეყნებს საშუალებას აძლევს, მართონ სოციალური დაძაბულობა და თავიდან აიცილონ ძალადობრივი კონფლიქტები. საზოგადოების ინფორმირების გამჭვირვალობა, შიდა პოლიტიკურ პროცესებში მოქალაქეების ჩართულობა და ეფექტიანი კომუნიკაცია მთავრობასა და მოსახლეობას შორის მნიშვნელოვნად ამცირებს კონფლიქტების განვითარების ალბათობას. პრობლემური რჩება დეზინფორმაციის და მანიპულირებული ინფორმაციით საზოგადოებაში ნდობის დაკარგვა, რამაც შეიძლება კიდევ უფრო გააძლიეროს პოლიტიკური დაძაბულობა და შეანელოს სტაბილური განვითარება. დეზინფორმაციის გავრცელება სხვადასხვა მედიასაშუალებების, განსაკუთრებით სოციალური მედიის მეშვეობით, სირთულეებს ქმნის მთავრობასა და საზოგადოებრივ ჯგუფებს შორის. როგორ უნდა მოახდინოს ხელისუფლებამ მისი ნდობის აღდგენა და საზოგადოების ინფორმირება ისეთ გარემოში, სადაც მიკერძოებული ინფორმაციის გავრცელება და საზოგადოებრივი მანიპულირება ყოველდღიურ მოვლენად იქცა? როგორ შეიძლება სხვადასხვა სახელმწიფოებს შორის თანამშრომლობისა და მშვიდობის ინიციატივების წარმოდგენა, რათა თავიდან ავიცილოთ საერთაშორისო კონფლიქტები, რომელიც უშუალოდ უკავშირდება საზოგადოებასთან ურთიერთობის სტრატეგიების ხარვეზებს.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, თანამედროვე გამოწვევებზე სახელმწიფოსა და მედიის პარტნიორული ურთიერთობის როლი, რომელიც ხელს შეუწყობს სამართლიანი, არასწორი და განზრახ შეცდომილი ინფორმაციისგან გათავისუფლებული გარემოს შექმნას, რაც თავის მხრივ გააძლიერებს, როგორც შიდა, ისე გარე სტაბილურობის შენარჩუნებას.

საკვანძო სიტყვები: პოლიტიკური და სოციალური პროცესები, კონფლიქტები, სოციალური მედია, საზოგადოება.

Contemporary challenges to peace and stability viewed through the lens of public relations

Ana Barabadze

student of Bachelor's Program in Sociology
Caucasus University

Nina Ivaniadze

student of Bachelor's Program in PR and Communications
Caucasus University

Elene Dolidze

student of Bachelor's Program in Law
LEPL – Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Abstract

This topic is particularly significant in the contemporary political and social context, as effective communication with the public is a critical strategy for conflict prevention and peacekeeping. This paper examines the main challenges related to maintaining peace and stability, which are at the forefront of public relations. These challenges include methods of informing the public, the dangers of misinformation, politically charged environments, disinformation, its impact on state stability, and journalistic ethics.

Firstly, it highlights that the stability of the modern world often depends not only on economic and political factors but also on communication strategies that allow countries to manage social tensions and prevent violent conflicts. Transparency in public communication, citizen involvement in domestic political processes, and effective government-population communication significantly reduce the likelihood of conflict escalation.

However, the persistence of disinformation and the erosion of trust due to manipulated information remain problematic, potentially exacerbating political tensions and reducing stability. The spread of disinformation, particularly through social media, creates challenges between governments and public groups. How can governments restore trust and inform the public in an environment where biased information dissemination and public manipulation have become everyday occurrences?

The paper also discusses how international cooperation and peace initiatives can be promoted between states to avoid international conflicts, which are directly linked to flaws in public communication strategies. Additionally, the role of the partnership between the state and media in addressing contemporary challenges is examined, as it can help create an environment free of wrongful and deliberately misleading information, thereby contributing to both internal and external stability.

An inseparable part of this topic is journalistic ethics, which defines the moral and professional norms that govern media responsibility and role in society. In the modern world, where information spreads quickly through digital media, issues of stability and peace have become one of the main challenges of journalistic practice. Conflicts, social injustice, political polarization, and the spread of disinformation pose serious threats to both individual and global peace and stability. Journalists, therefore, must not only convey facts objectively but also foster harmonious and informed dialogue within society. The paper delves into contemporary challenges associated with journalistic ethical dilemmas as mechanisms for peacebuilding and conflict prevention, as well as for maintaining stability and public trust. The role of media is explored as a powerful force that can either build peace or contribute to its dissolution, and various approaches are presented to shape a new paradigm in journalistic ethics.

Keywords: political and social processes, conflicts, social media, society.

შესავალი

თანამედროვე სამყაროში მშვიდობა და სტაბილურობა, როგორც შიდა, ისე საგარეო პოლიტიკურ კონტექსტში, სახელმწიფოებისა და საზოგადოების განვითარების განუყოფელი ნაწილი უნდა იყოს. სამწუხაროდ, ეს ორი ფუნდამენტური ღირებულება სისტემურ და რთულ გამოწვევებს ეჭიდება, რომლებიც გავლენას ახდენს არა მხოლოდ ქვეყნის შიგნით არსებულ სიტუაციაზე, არამედ საერთაშორისო ურთიერთობებზე. ციფრული მედიისა და ტექნოლოგიური პროგრესის განვითარებასთან ერთად, ინფორმაციის გავრცელების სიჩქარე და მასშტაბი მნიშვნელოვნად გაიზარდა, რაც ახალ და ხშირად რთულ ტენდენციებს ქმნის, როგორც მშვიდობის შენარჩუნების, ისე სტაბილური განვითარების თვალსაზრისით. ეს ტენდენციები, თავის მხრივ, გამოწვევების წინაშე აყენებს საზოგადოებასთან ურთიერთობებსა და ჟურნალისტიკას, რადგან მედია და კომუნიკაცია სწორედ ის მძლავრი ინსტრუმენტია, რომელიც აკონტროლებს და აყალიბებს საზოგადოებრივ აზრს.

საგნობრიობის ერთ-ერთი განუყოფელი ნაწილია ჟურნალისტური ეთიკა, რომელიც წარმოადგენს

იმ მორალურ და პროფესიულ ნორმებს, რომლებიც განსაზღვრავს მედიის პასუხისმგებლობასა და როლს საზოგადოებაში. თანამედროვე მსოფლიოში, სადაც ინფორმაცია სწრაფად ვრცელდება და ციფრული მედიის მეშვეობით გვხვდება, სტაბილურობისა და მშვიდობის საკითხები ჟურნალისტური საქმიანობის ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად იქცა. კონფლიქტები, სოციალური უსამართლობა, პოლიტიკური პოლარიზაცია და დეზინფორმაციის გავრცელება სერიოზულ საფრთხეს უქმნის როგორც ინდივიდუალურ, ისე გლობალურ მშვიდობასა და სტაბილურობას. ამ ვითარებაში, ჟურნალისტებს ევალებათ არა მხოლოდ ფაქტების ობიექტურად გადმოცემა, არამედ საზოგადოებაში ჰარმონიული და ინფორმირებული დიალოგის შექმნა. თანამედროვე გამოწვევები, რომელიც ჟურნალისტიკის ეთიკურ დილემებს ქმნის, დაკავშირებულია, როგორც მშვიდობის უზრუნველყოფისა და კონფლიქტების პრევენციის მექანიზმებთან, ასევე სტაბილურობისა და საზოგადოების სანდოობის ხარისხის შენარჩუნებასთან. აღსანიშნავია, რომ მედიის როლი, ძალისა და გავლენების მატარებელია, რომელიც, ერთდროულად, შეიძლება იყოს როგორც მშვიდობის მომტანი, ისე კონფლიქტების ესკალაციის საშუალება. ჟურნალისტური ეთიკა ახალი პარადიგმის ჩამოყალიბებას მოითხოვს.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ნათლად ჩანს თემის აქტუალობა, რომელიც განპირობებულია არა მხოლოდ ადგილობრივი კონფლიქტებისა და სოციალური დაძაბულობების, არამედ გლობალური არასტაბილურობის გამწვავებით, რასაც ხშირად თან სდევს ფეიკ ნიუსები, დეზინფორმაცია და პოლიტიკური პოლარიზაცია. შედეგად, საზოგადოება ხშირად აღმოჩნდება შეცდომაში შეყვანილი, ხოლო ჟურნალისტი და მედიასაშუალებები, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან რეალური და სწორი ინფორმაციის მიწოდებაზე, უფრო მეტი ზეწოლის ქვეშ აღმოჩნდებიან.

ძირითადი ნაწილი

ნაშრომის მიზანია გაანალიზოს ის გამოწვევები, რომელსაც მედია და საზოგადოებასთან ურთიერთობა ასრულებს სტაბილური განვითარებისა და მშვიდობის საკითხებში. საკითხის შეფასება, ეფუძნება, რამდენიმე ძირითად მეთოდოლოგიურ მიდგომას, რომელიც ანალიზებს მედიის როლს, მედიასა და საზოგადოებასთან ურთიერთობასთან დაკავშირებულ ეთიკურ და პროფესიულ სტანდარტებს, აგრეთვე დეზინფორმაციის გავრცელებასთან დაკავშირებულ პრობლემებს. შეფასებისა და ანალიზის ძირითადი მეთოდებია:

1. **დოკუმენტური ანალიზი** – შევეცადეთ დაგვედგინა, თანამედროვე საერთაშორისო და ეროვნულ დოკუმენტებში მედიის ეთიკის, სტაბილურობის, მშვიდობის და დეზინფორმაციის რეგულირების პოლიტიკები. აქედან გამომდინარე, გავანალიზებთ რეგულაციები და მედიაფართობების სტრატეგიები, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად ხელს უწყობს მშვიდობისა და სტაბილურობის დაცვას.¹

2. **ფოკუს ჯგუფები** – რამდენიმე ფოკუს ჯგუფის საშუალებით შევისწავლეთ საზოგადოების დამოკიდებულება მედიის როლის მიმართ, მათ შორის, ინფორმაციის სანდოობისა და დეზინფორმაციის გავრცელების თემებზე.² ამგვარი კვლევის შედეგად მიღებულმა მონაცემებმა გამოყო საზოგადოების ხედვები და იმედები მედიასთან მიმართებაში.

მიღებული შედეგები: შეფასება-ანალიზის პროცესში მიღებული შედეგები, ნათლად აჩვენებს, რომ ჟურნალისტიკა და საზოგადოებასთან ურთიერთობა, მართლაც, სტაბილურობისა და მშვიდობის შენარჩუნებისთვის კრიტიკულად მნიშვნელოვანია. კერძოდ, გამოვლინდა რამდენიმე ძირითადი ტენდენცია და გამოწვევა, რომელიც ხელს უწყობს როგორც მშვიდობის, ისე დეზინფორმაციის გავრცელების სირთულეებს; კერძოდ:

დეზინფორმაცია და მისი გავლენა საზოგადოებაზე,³ ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა, რომელიც ცალსახად გამოიკვეთა, არის დეზინფორმაციის გავრცელების გავლენა პოლიტიკურ სტაბილურობაზე და საზოგადოებრივ აზრზე. კვლევის მიხედვით, პოლიტიკური პოლარიზაცია, სოციალურ მედია პლატფორმებზე გავრცელებული მცდარი ინფორმაცია და სპამი იწვევს საზოგადოების კონფლიქტურ განწყობებს და შიდა დაძაბულობებს. საზოგადოების დიდი ნაწილი აღიარებს, რომ ციფრული მედია ხელს უწყობს არა მხოლოდ ინფორმაციის სწრაფ გავრცელებას, არამედ მისი სიზუსტის და სანდოობის ნაკლებობას.

¹ საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია (qartia.ge). ორგანიზაცია უზრუნველყოფს მედიის ეთიკური სტანდარტების დაცვის ხელშეწყობასა და ჟურნალისტების პროფესიული პასუხისმგებლობის გაუმჯობესებას საქართველოში.

² ვაშინგტონის უნივერსიტეტი, სოციოლოგიური კვლევების ცენტრი. Focus Groups as a Method in social Research, 2023, ფოკუს ჯგუფების გამოყენების მეთოდოლოგია და მიღებული შედეგების ანალიზი.

³ Wardle, C., & Derakhshan, H Information Disorder: Toward an Interdisciplinary Framework For Research and Policy Making. Council of Europe. დეზინფორმაციის ტიპები და მისი ზეგავლენა საზოგადოებრივ აზრზე, 2017.

მედიის როლი მშვიდობის უზრუნველყოფაში.⁴ მეორე მნიშვნელოვანი შედეგი ის არის, რომ მედია ხშირად ახერხებს და ხშირად ფლობს შესაძლებლობას, რომ შექმნას ტრადიციული არბიტრის როლი და გააძლიეროს მშვიდობის შენარჩუნების პროცესები.

საზოგადოების ნდობის დაკარგვა.⁵ საკითხის კვლევის პროცესში გამოჩნდა, რომ საზოგადოების ნაწილის მხრიდან მედიასთან და ზოგადად საჯარო ინფორმაციასთან მიმართებაში მზარდი უნდობლობა არსებობს. აღსანიშნავია, რომ მედიის დამოუკიდებლობა და სანდოობა მნიშვნელოვნად განაპირობებს საზოგადოების ნდობას, რაც შემდეგ ცვლის საზოგადოებრივ აზრს და რეაქციას პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზე.

საერთაშორისო თანამშრომლობა და სტაბილურობის უზრუნველყოფა. როგორც საკითხის შესწავლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შედეგი, გამოვლინდა საერთაშორისო თანამშრომლობის მნიშვნელობაც. ქვეყნები, რომლებიც აქტიურად თანამშრომლობენ საერთაშორისო ორგანიზაციებთან, ახორციელებენ მედიის რეგულაციის ერთიან სტრატეგიებს და უზრუნველყოფენ არა მხოლოდ ჟურნალისტური დამოუკიდებლობის დაცვას, არამედ საზოგადოებასთან ურთიერთობის გამჭვირვალობას, უფრო მყარ საფუძველს ქმნიან მშვიდობისა და სტაბილურობის შენარჩუნებაში.

პოლიტიკური პოლარიზაცია და საზოგადოებრივი დაძაბულობა. ერთ-ერთი ყველაზე მწვავე გამოწვევა, რომელიც ამჟამად მრავალი ქვეყნის შიგნით ხდება, არის პოლიტიკური პოლარიზაცია. ამის შედეგია, რომ სხვადასხვა პოლიტიკური ძალები ერთმანეთის გამორიცხვის პოლიტიკას მიმართავენ, რასაც შეუძლია საზოგადოებაში კონფლიქტების გაღვივება. თუ ხელისუფლება ვერ მოახდენს საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფების გაერთიანებას და მოლაპარაკებების გზით პრობლემების მოგვარებას, მაშინ ეს სტაბილურობის დაკარგვასა და კონფლიქტების გაღრმავებას გამოიწვევს.

გლობალური და შიდა მიგრაციული პროცესები.⁶ მსოფლიოში ეკონომიკური და სოციალური უთანასწორობა, კლიმატის ცვლილება, პოლიტიკური კრიზისი და სამოქალაქო ომები ხშირად წარმოიქმნება როგორც ძირითადი მიზეზები მიგრაციის პროცესების გასაღრმავებლად. მიგრაცია შეიძლება იყოს, როგორც შიდა, ისე გარე სახელმწიფოებიდან – რაც ქმნის მნიშვნელოვან სტაბილურობის საფრთხეს, როგორც ინდივიდუალურად, ისე გლობალურად.

სახელმწიფო ინსტიტუტებმა, პასუხისმგებლობა უნდა აიღონ მიგრაციის პოლიტიკის განსაზღვრასა და მიგრანტების ინტეგრაციის პროცესებზე. თუკი ეს პროცესები

⁴ Galtung, J., Peace by Peaceful Means : Peace and Conflict, Development and Civilization. Sage Publications. მედიის როლი კონფლიქტების მოგვარებაში.1996.

Lynch J., & McGoldrick, A., Peace Journalism. Hawthorn Press. მედიის, როგორც არბიტრის, როლის განხილვა მშვიდობის შენარჩუნებაში.2005.

⁵ Edleman.Edleman Trust Barometer, კვლევა საზოგადოების ნდობის შესახებ სხვადასხვა ინსტიტუტებისა და მედიის მიმართ, 2024.

⁶ UNHCR. Global Trends: Forced Displacement in, გაეროს ლტოლვილთა სააგენტოს ანგარიში გლობალური მიგრაციის ტენდენციებზე,2023

International Organization For Migration (IOM). World Migration Report, მიგრაციის მიზეზები და მისი გავლენა სტაბილურობაზე, 2024.

სწორად არ იქნა მართული, შესაძლოა გამოიწვიოს შიდა და საერთაშორისო დამაბუ-
ლობები, ეთნიკური კონფლიქტები და საზოგადოების პოლარიზაცია. სახელმწიფომ
უნდა შექმნას მიგრანტთა მიმართ ანტიდისკრიმინაციული და ჰუმანური პოლიტიკა,
რომელიც ხელს შეუწყობს მშვიდობიანი თანამაცხოვრების პირობებს და სოციალური
სტაბილურობის შენარჩუნებას.

კორუფცია და არაკომპეტენტურობა.⁷ კორუფცია და არასამართლიანი მმართველო-
ბა ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი გამოწვევაა, რომელიც მმართველობასთან და-
კავშირებულ ყველა სფეროს საყურადღებოს აქცევს. როდესაც სახელმწიფო ინსტიტუ-
ტები ვერ ახერხებენ საზოგადოებრივი რესურსების სამართლიანად განაწილებასა და
ადმინისტრირებას, მმართველობის სანდოობა და სტაბილურობა ეჭვქვეშ დგება. კო-
რუფცია ხშირად არღვევს საზოგადოების ნდობას, ხელს უწყობს სოციალური უთანას-
წორობის გაღრმავებას და სახელმწიფო ინსტიტუტების პარალიზებას, რაც თავის მხ-
რივ, რისკს უქმნის შიდა და გარე მშვიდობას. ხელისუფლებაში არსებულმა კორუფ-
ციამ შესაძლოა შექმნას ძლიერი პოლიტიკური პოლარიზაცია და ქვეყანა მიიყვანოს
არსებული რესურსების არასამართლიან გადანაწილებამდე. ამგვარი ვითარება, ხში-
რად არასტაბილურობის გამომწვევი ხდება, რაც მმართველობას ბევრად ართულებს.

გლობალური ეკონომიკური კრიზისი და პოლიტიკური ტენდენციები.⁸ მსოფლიო ეკო-
ნომიკის არასტაბილურობა, საერთაშორისო სავაჭრო ომები, სავალუტო კრიზისები და
საპროცენტო განაკვეთების ცვლილებები პირდაპირ ახდენს გავლენას სახელმწიფო-
ების საშინაო პოლიტიკაზე. ეკონომიკური სტაბილურობა აუცილებელია პოლიტიკურ
სტაბილურობასთან ერთად, რადგან იგი ქმნის პირობებს, რათა სახელმწიფოებმა
შეძლონ მშვიდობიანი პოლიტიკის წარმოება. გლობალური ეკონომიკური ეფექტები,
ხშირად დესტაბილიზაციის გამომწვევია, რომელიც საზოგადოებაში ეკონომიკური
მდელვარების წარმოქმნით, არსებული მმართველი სისტემების დისკრედიტაციას
ახდენს. შედეგად, შესაძლოა გაიზარდოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური უკმაყოფი-
ლება, რაც პოლიტიკურ კრიზისში გადაზრდის წინაპირობას წარმოადგენს.

დასკვნა

საზოგადოებასთან ურთიერთობა კრიტიკულად მნიშვნელოვანია არა მხოლოდ
მშვიდობის შენარჩუნების, არამედ ქვეყნის პოლიტიკური სტაბილურობისთვის. მისი
ეფექტური მართვა ხელს უწყობს კონფლიქტების თავიდან აცილებას, მაგრამ ამ პრო-
ცესში არცთუ იშვიათად ჩნდება პრობლემები, რომლებიც საერთაშორისო და შიდა პო-
ლიტიკურ არეულობებს იწვევს. საჭიროა საზოგადოების ნდობის მოპოვება, ეფექტუ-
რი კომუნიკაციის სტრატეგიები და მკაფიო ჩარჩოები, რათა განისაზღვროს საზოგა-

⁷ Transparency International Corruption Perceptions Index, კორუფციის გავლენა მმართველობაზე და სოციალურ
სტაბილურობაზე, 2023.

Kaufmann, D., & Kraay A., The WorldWide Governance Indicators. მსოფლიო ბანკის ანგარიშები, რომელიც მოიცავს
მმართველობის ეფექტიანობასა და კორუფციას, 2019.

⁸ IMF. World Economic Outlook, გლობალური ეკონომიკური გამოწვევები და მათი გავლენა პოლიტიკურ
სტაბილურობაზე, 2024.

World Bank. Global Economic Prospects, მსოფლიო ბანკის ანგარიში საერთაშორისო ეკონომიკური ტენდენციებისა
და სტაბილურობის შესახებ, 2024.

დოებასთან ურთიერთობის ნორმები, რომელიც მშვიდობისა და სტაბილურობის შენარჩუნებაში უმნიშვნელოვანეს როლს შეასრულებს.

მედია და საზოგადოებასთან ურთიერთობა წარმოადგენს ისეთ საკვანძო საყრდენებს, რომელიც უზრუნველყოფს მშვიდობას და სტაბილურობას ქვეყნის როგორც შიდა, ისე გარე სივრცეებში. მხოლოდ ეფექტურმა რეგულაციებმა, პოლიტიკურმა და სოციალურმა მხარდაჭერამ და საერთაშორისო თანამშრომლობამ შეიძლება მოიტანოს სასურველი შედეგების მიღწევა.

საგნობრივი შესწავლა-ანალიზის შედეგებმა დაგვანახა, რომ პოლიტიკური სტაბილურობისა და მშვიდობის შენარჩუნება, უპირველეს ყოვლისა, დამოკიდებულია სახელმწიფოს მმართველობის ხარისხზე, ასევე საზოგადოებასთან ურთიერთობისა და ინფორმაციის მართვის სტრატეგიების ეფექტურობაზე. ქვეყნები, რომლებიც ვერ ახერხებენ ამ გამოწვევების სწორად მართვას, ხშირად ხვდებიან კონფლიქტებსა და საზოგადოებრივ დაძაბულობებში, რაც მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნის ქვეყნის შიდა სტაბილურობას და შეიძლება გამოიწვიოს პოლიტიკური კრიზისი.

აღნიშნული საკითხის სამომავლო კვლევაში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მმართველობის სისტემების გამჭვირვალობას, რომელსაც შეუძლია შექმნას მშვიდობიანი, სტაბილური და ურთიერთგაგების საფუძველზე დამყარებული ურთიერთობა, რაც საბოლოოდ ხელს შეუწყობს უფრო მეტად ჰარმონიული საერთაშორისო ურთიერთობების ჩამოყალიბებას.

პოლიტიკური სტაბილურობისა და მშვიდობის შენარჩუნება დამოკიდებულია არა მხოლოდ პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზე, არამედ სამოქალაქო საზოგადოებასთან, საერთაშორისო პარტნიორებთან და მმართველობით ორგანოებთან თანამშრომლობაზე; რაც საჭიროებს სახელმწიფოთა აქტიურ ჩართულობას, გამჭვირვალობას, ანგარიშვალდებულობას და მყარ სამართლებრივ ჩარჩოებს, რითაც შესაძლოა შეამცირონ არსებული რისკები და უზრუნველყონ საზოგადოების მშვიდობიანი და სტაბილური განვითარება.

გამოყენებული ლიტერატურა

- საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია (qartia.ge). ორგანიზაცია უზრუნველყოფს მედიის ეთიკური სტანდარტების დაცვის ხელშეწყობასა და ჟურნალისტების პროფესიული პასუხისმგებლობის გაუმჯობესებას საქართველოში;
- ვამინგტონის უნივერსიტეტი, სოციოლოგიური კვლევების ცენტრი. Focus Groups as a Method in social Research. ფოკუს ჯგუფების გამოყენების მეთოდოლოგია და მიღებული შედეგების ანალიზი, 2023;
- Wardle, C., & Derakhshan, H., Information Disorder: Toward an Interdisciplinary Framework For Research and Policy Making. Council of Europe. დეზინფორმაციის ტიპები და მისი ზეგავლენა საზოგადოებრივ აზრზე, 2017;
- Galtung, J., Peace by Peaceful Means: Peace and Conflict, Development and Civilization. Sage Publications. მედიის როლი კონფლიქტების მოგვარებაში, 1996;
- Lynch J., & McGoldrick, A., Peace Journalism. Hawthorn Press. მედიის, როგორც არბრიტრის, როლის განხილვა მშვიდობის შენარჩუნებაში, 2005.

Edleman.Edleman Trust Barometer, კვლევა საზოგადოების ნდობის შესახებ სხვადასხვა ინსტიტუტებისა და მედიის მიმართ, 2024;

UNHCR. Global Trends: Forced Displacement in 2023. გაეროს ლტოლვილთა სააგენტოს ანგარიში გლობალური მიგრაციის ტენდენციებზე.

International Organization For Migration (IOM). World Migration Report, მიგრაციის მიზეზები და მისი გავლენა სტაბილურობაზე, 2024;

Transparency International Corruption Perceptions Index. კორუფციის გავლენა მმართველობაზე და სოციალურ სტაბილურობაზე, 2023;

Kaufmann, D., & Kraay A., The WorldWide Governance Indicators. მსოფლიო ბანკის ანგარიშები, რომელიც მოიცავს მმართველობის ეფექტიანობასა და კორუფციას, 2019;

IMF. World Economic Outlook, გლობალური ეკონომიკური გამოწვევები და მათი გავლენა პოლიტიკურ სტაბილურობაზე, 2024;

World Bank. Global Economic Prospects. მსოფლიო ბანკის ანგარიში საერთაშორისო ეკონომიკური ტენდენციებისა და სტაბილურობის შესახებ, 2024.

სოციალური კაპიტალი, როგორც საზოგადოების განვითარებისთვის მნიშვნელოვანი აქტივი

შოთა ყურაშვილი

სსიპ-დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს
ეროვნული თავდაცვის აკადემიის
ბაკალავრიატის მენეჯმენტის მიმართულების იუნკერი

საბა შუბითიძე

სსიპ-დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს
ეროვნული თავდაცვის აკადემიის
ბაკალავრიატის მენეჯმენტის მიმართულების იუნკერი

ხელმძღვანელი: **რუსუდან დალაქიშვილი-ჭიჭინაძე**
ბაკალავრიატის მენეჯმენტის მიმართულების ასოცირებული პროფესორი

აბსტრაქტი

სოციალური კაპიტალი სოციალური ურთიერთობების, ნდობისა და ქსელების ერთობლიობაა, რომელიც ხელს უწყობს საზოგადოების ერთიანობასა და თანამშრომლობას. სოციალური კაპიტალის არსებობა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია საზოგადოებრივი კეთილდღეობისთვის და კონფლიქტების პრევენციისთვის. ნაშრომში განხილულია სოციალური კაპიტალის ისტორიული განვითარება და მისი თეორიული საფუძვლები. აღეჭის დე ტოკვილიდან ჯეიმს კოულმანამდე, სოციალური კაპიტალის კონცეფცია აერთიანებს ისეთ პრინციპებს, როგორც კოლექტიური მიზნების მისაღწევად თანამშრომლობა, სოციალური ნდობის ზრდა და სამოქალაქო ჩართულობა. სოციალური კაპიტალი მოიცავს ისეთ ელემენტებს, როგორცაა „ბონდინგი“ და „ბრიჯინგი“, რომლებიც სხვადასხვა ჯგუფებს შორის ნდობასა და კავშირებს ამყარებს.

ნაშრომი აღწერს სოციალურ კაპიტალს, როგორც ერთ-ერთ ძირითად ფაქტორს პოლიტიკურ სტაბილურობასა და მშვიდობის შენარჩუნებაში. საზოგადოებაში სოციალური კაპიტალის მაღალი დონე ამცირებს სოციალურ კონფლიქტებს და ხელს უწყობს უფრო სტაბილური და დემოკრატიული საზოგადოების ჩამოყალიბებას. მისი მეშვეობით ძლიერდება სამოქალაქო აქტივიზმი და კოლექტიური პასუხისმგებლობა, რაც საშუალებას აძლევს საზოგადოებებს უკეთ მოახდინონ გამოწვევების გადაჭრა. გლობალური მასშტაბით, სოციალური კაპიტალი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გლობალიზაციის, პოლიტიკური პოლარიზაციისა და კლიმატის ცვლილების პირობებში, სადაც სოციალური ქსელების და ურთიერთობათა მეშვეობით საზოგადოებას შეუძლია წინააღმდეგობების დაძლევა.

დასკვნის სახით, სოციალური კაპიტალი კრიტიკულად მნიშვნელოვანია, როგორც პიროვნული, ისე საზოგადოებრივი კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად. ის აყალიბებს ძლიერ საზოგადოებრივ ქსელებს, ხელს უწყობს კოლექტიურ ცვლილებებს და წარმოადგენს საზოგადოების სტაბილურობისა და განვითარების ფუნდამენტს.

საკვანძო სიტყვები: სოციალური კაპიტალი, ნდობა, ურთიერთობები, ბონდინგი და ბრიჯინგი, სოციალური სტაბილურობა, კოლექტიური მოქმედებები, დემოკრატია, გლობალიზაცია, პოლიტიკური სტაბილურობა, კონფლიქტის პრევენცია.

Social capital as an important asset for the development of society

Shota Kurashvili

Junker of Bachelor's Program in Management of
LEPL-David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia

Saba Shubitidze

Junker of Bachelor's Program in Management of
LEPL-David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia

Supervisor: **Rusudan Dalakishvili- Chichinadze**

Associate Professor of Bachelor's program in Management

Abstract

Social capital is a combination of social relationships, trust, and networks that promotes unity and cooperation within society. The existence of social capital is vital for public well-being and conflict prevention. This paper explores the historical development of social capital and its theoretical foundations. From Alexis de Tocqueville to James Coleman, the concept of social capital encompasses principles such as collaboration to achieve collective goals, the growth of social trust, and civic engagement. Social capital includes elements such as "bonding" and "bridging," which establish trust and connections between different groups.

The paper describes social capital as one of the key factors in maintaining political stability and peace. A high level of social capital in society reduces social conflicts and contributes to the formation of a more stable and democratic society. Through it, civic activism and collective responsibility are strengthened, enabling communities to better address challenges. Globally, social capital is especially important in the context of globalization, political polarization, and climate change, where social networks and relationships help societies overcome opposition.

In conclusion, social capital is critically important for both individual and societal well-being. It forms strong social networks, supports collective change, and serves as the foundation for societal stability and development.

Keywords: social capital, trust, relationships, bonding and bridging, social stability, collective actions, democracy, globalization, political stability, conflict prevention.

შესავალი

სოციალური კაპიტალი, როგორც სოციალური ქსელების, ურთიერთობების, ნდობისა და ნორმების ერთობლიობა, მნიშვნელოვან როლს ასრულებს პირებსა და თემებს შორის თანამშრომლობისა და საერთო მოქმედებების შესაძლებლობაში. სოციალური კაპიტალის მნიშვნელობა გამოიხატება არა მხოლოდ პიროვნულ და თემთა დონეზე, არამედ სახელმწიფოს პოლიტიკურ სტაბილურობასა და საზოგადოებრივ კეთილდღეობაშიც, სადაც მისი ინტეგრირებული ბუნება ხელს უწყობს მშვიდობის შენარჩუნებას და კონფლიქტების პრევენციას.

ნაშრომში განვიხილავთ სოციალური კაპიტალის ისტორიულ განვითარებას, მის თეორიულ საფუძვლებს და იმ გზებს, რომლებიც სოციალური კაპიტალის მეშვეობით შეიძლება გამოყენებული იყოს თანამედროვე გლობალური პრობლემების დასაძლევად. სოციალური კაპიტალის კონცეფცია მჭიდროდ უკავშირდება არქაულ-სოციოლოგიურ ნააზრევებსა და ადრეულ ფილოსოფიურ მოსაზრებებს, რომლებშიც ხაზგასმულია ურთიერთდახმარებისა და თანამშრომლობის მნიშვნელობა საზოგადოების ჰარმონიისთვის. ალექსის დე ტოკვილისა და ჯეიმს კოულმანის ნააზრევში სოციალური კაპიტალი აღიქმება, როგორც რესურსი, რომელიც საშუალებას აძლევს საზოგადოებებს ერთობლივი მიზნებისთვის იმუშაონ. მათი აზრით, სოციალური კაპიტალი ქმნის ისეთ ნდობას, რომელიც არა მხოლოდ საზოგადოებრივ კეთილდღეობას უზრუნველყოფს, არამედ საშუალებას აძლევს საზოგადოებებს ეფექტურად უპასუხონ ცვლილებებსა და გამოწვევებს.

სოციალური კაპიტალის როლი განსაკუთრებით აქტუალურია თანამედროვე მსოფლიოში, სადაც გლობალიზაციის, პოლიტიკური პოლარიზაციისა და კლიმატის ცვლილების გამოწვევები გავლენას ახდენს საზოგადოებრივ სტაბილურობაზე. ამ პირობებში, სოციალური კაპიტალი მნიშვნელოვანი ფაქტორია სოციალურ კოეფიციენტსა და ნდობაზე დაფუძნებული საზოგადოებების შენებისთვის, რომელთაც შეუძლიათ ეფექტურად მართონ გლობალური დონის პრობლემები. აქვე განვიხილავთ რობერტ პუტნამის მოსაზრებებს, რომლებიც ხაზს უსვამს სოციალური კაპიტალის მნიშვნელობას, როგორც დემოკრატიული პროცესებისა და სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ხელშემწყობ ელემენტს.

დასკვნით ნაწილში ნაჩვენებია სოციალური კაპიტალის პოტენციალი, როგორც ეფექტური მექანიზმი, რომელიც ხელს უწყობს პოლიტიკურ სტაბილურობას, სოციალური კოოპერაციის გაძლიერებას და კოლექტიური ცვლილებების მიღწევას, რაც დღევანდელი საზოგადოების განვითარებისთვის მნიშვნელოვანია.

ძირითადი ნაწილი

"სოციალური კაპიტალი არის რესურსების ერთობლიობა, რომელიც ჩადებულია ოჯახურ ურთიერთობებში და თემის სოციალურ ორგანიზაციაში და სასარგებლოა

ბავშვის კოგნიტური და სოციალური განვითარებისთვის".¹

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თანამედროვე გააზრებით, სოციალური კაპიტალი ეხება ქსელებს, ურთიერთობებს, ნორმებს და სოციალურ ნდობას, რომელიც საშუალებას აძლევს პირებსა და თემებს ითანამშრომლონ და მიიღონ კოლექტიური მოქმედებები. ეს შეიძლება ჩაითვალოს როგორც სოციუმის „გარკვეული“ ელემენტი, რომელიც ხელს უწყობს თანამშრომლობას, უზრუნველყოფს სოციალური ერთიანობის შენარჩუნებას და ხელს უწყობს მშვიდობას. ნაშრომში განვიხილავთ რამდენიმე საკითხს:

- შეისწავლება სოციალური კაპიტალის ისტორიული ფესვები და ევოლუცია.
- განიხილება ძირითადი თეორიები და ჩარჩოები.
- შეფასდება სოციალური კაპიტალის როლი პოლიტიკური სტაბილურობის, კონფლიქტების პრევენციისა და მშვიდობის შენარჩუნებაში.
- შეისწავლება თანამედროვე გამოწვევები, როგორებიცაა გლობალიზაცია, პოლიტიკური პოლარიზაცია და კლიმატის ცვლილება და როგორ შეიძლება გამოვიყენოთ სოციალური კაპიტალი ამ საკითხებში.

სოციალური კაპიტალი არ არის ახალი კონცეფცია. მისი ფესვები შეიძლება გავყოთ ადრეულ სოციოლოგიურ და ფილოსოფიურ ნაშრომებში. უძველესი ფილოსოფოსები, როგორებიცაა არისტოტელე და კონფუცი, საუბრობდნენ ურთიერთობების, სამოქალაქო მონაწილეობისა და თანამშრომლობის მნიშვნელობაზე საზოგადოების ჰარმონიისთვის. ალექსის დე ტოკვილის დაკვირვებები ადრეული ამერიკული საზოგადოების შესახებ ხაზს უსვამდა მოხალისე ასოციაციებისა და სამოქალაქო მონაწილეობის როლს დემოკრატიული მმართველობის შენარჩუნებაში. ტოკვილი სოციალური კაპიტალის არსად აღიქვამდა ქსელებს, რომლებიც საშუალებას აძლევდნენ მოქალაქეებს ერთად ემუშავათ საერთო მიზნებისთვის. სოციოლოგი ჯეიმს კოულმანი ხშირად ითვლება სოციალური კაპიტალის კონცეფციის ფორმალიზაციის ავტორად 1980-იან წლებში, და მისი ნაშრომი ყურადღებას ამახვილებს იმაზე, თუ როგორ უწყობს ხელს სოციალური კაპიტალი მოქმედებათა ორგანიზებას თემებსა და ოჯახებში. კოულმანის მიხედვით, სოციალური კაპიტალი არის რესურსი, რომელიც ქმნის კოლექტიურ მოქმედებებსა და გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობას. მას შეუძლია გაამარტივოს ფინანსური ან სხვა სახის რისკების გადატანა და უზრუნველყოს უფრო ეფექტური თანამშრომლობა. როდესაც ადამიანები განიცდიან ერთმანეთის ნდობას და სითამამეს, ისინი უფრო მეტ სარგებელს იღებენ ჯგუფური მუშაობით. კოულმანს სჯერა, რომ სოციალურ კაპიტალს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ნდობისა და პირდაპირი თანამშრომლობის ჩამოყალიბებაში. ზმან ნდობა აღიქვა როგორც სოციალური კაპიტალის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტად. როდესაც ადამიანები ენდობიან ერთმანეთს, ისინი მზად არიან გადაიხადონ მეტი რესურსი ან გაუზიარონ მეტი შესაძლებლობა, რაც ზრდის კოლექტიური მოქმედებების ეფექტურობას. სწორედ ეს ნდობა

¹ Coleman, J. S., Foundations of Social Theory. Cambridge, MA: Harvard University Press, 1990.

ქმნის სიღრმისეულ და მყარ სოციალურ ქსელებს, რომლებიც მნიშვნელოვან როლს ასრულებენ როგორც პირად ცხოვრებაში, ისე საზოგადოებაში. კოულმანი მიიჩნევდა, რომ სოციალური კაპიტალი იძლევა შესაძლებლობას ისეთი გადაწყვეტილებების მიღებისათვის, რომლებიც შეიძლება იყოს უფრო ზუსტი, ეფექტური და მშვიდობიანი. ის არ არის ჩვეულებრივი მატერიალური რესურსი, არამედ „არამატერიალური“ ფორმა, რომელიც ქმნის საზოგადოებებში თანამშრომლობას, სოციალურ ნდობასა და სამოქალაქო საზოგადოებას. ასევე, კოულმანი აღნიშნავდა, რომ სოციალური კაპიტალი ამლიერებს ისეთი სახის რესურსებს, როგორცაა ცოდნა, გონივრული გადაწყვეტილებები და მჭიდრო ურთიერთობები. კოულმანი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ სოციალური კაპიტალი სასარგებლოა არა მხოლოდ პიროვნული ზრდისთვის, არამედ აუცილებელია საზოგადოებრივი კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად. მისი მიხედვით, სოციალური კაპიტალი უზრუნველყოფს კომუნიკაციას, თანამშრომლობასა და სოციალური წილის გადანაწილების მსხვილი ფენების შექმნას. სოციალური კაპიტალი ქმნის საიმედო ქსელებსა და ურთიერთობებს, რომლებიც ხელს უწყობს დადებით ცვლილებებს საზოგადოებაში. მისი თეორია დაფუძნებულია იმაზე, რომ ადამიანები, რომლებიც მუშაობენ საერთო მიზნების მისაღწევად, არა მხოლოდ თავიანთი ამოცანებისთვის, არამედ ფართო საზოგადოებრივი კეთილდღეობისთვისაც უკეთეს შედეგებს მიიღებენ. კოულმანი იმეორებდა, რომ სოციალური კაპიტალი ხელმისაწვდომია არა მხოლოდ ყოველდღიურ ურთიერთობებში, არამედ რთულ სოციალურ სიტუაციებშიც, მაგალითად, სხვადასხვა კულტურების ან ეროვნებების წარმომადგენელთა შორის. სოციალური კაპიტალი შეიძლება გამოიყენებოდეს კულტურული ან სოციალური პროცესებისგან გამომდინარე გაორმაგებული პრობლემა-ხიფათებისა და გაუგებრობების გადალახვაში.

პუტნამი მიიჩნევს, რომ სოციალური კაპიტალი ხელს უწყობს ხალხის ერთმანეთთან ურთიერთობას და კოლექტიურ თანამშრომლობას. ის მიიჩნევს, რომ ძლიერი სოციალური კაპიტალი არის საზოგადოების მტკიცე საფუძველი, რომელიც ცვლის მოსახლეობის ურთიერთობებს, წესებს, თუ როგორ მუშაობენ ადამიანები ერთმანეთთან, და ასრულებს სოციალურ საქმიანობებს. პუტნამი გამოარჩევს ორი სახის სოციალურ კაპიტალს: „ბოდინგი“ და „ბრიჯინგი“.

ბოდინგი ეს არის ურთიერთობები, რომელიც ჩამოყალიბებულია ერთგვარ გამოკვეთილ ჯგუფებში, როგორებიცაა: ოჯახები, მეგობრები ან ეთნიკური და სოციალური ჯგუფები. ბოდინგის სოციალური კაპიტალი მნიშვნელოვან როლს თამაშობს ერთიანობაში, პირადი და მცირე ჯგუფების მხარდაჭერაში. თუმცა, ეს კავშირები შეიძლება იყოს მკაცრად დახურული და არ იყოს საკმარისად მოქნილი, რათა ხელი შეუწყოს უფრო ფართო საზოგადოებრივი თანამშრომლობისა და ინკლუზიური აქტივობების განვითარებას. ბრიჯინგი ეს არის სოციალური კაპიტალის სახეობა, რომელიც ქმნის კავშირებს სხვადასხვა ჯგუფებს შორის, ეს უფრო ფართოა და უფრო სუსტად დაკავშირებული. ბრიჯინგის სოციალური კაპიტალი მნიშვნელოვანია სოციალური გლობალიზაციისთვის, რადგან ის მჭიდრო კავშირებს ქმნის სხვადასხვა საზოგადოებ-

ებისა და ჯგუფების კავშირში. იგი ხელს უწყობს განსხვავებული ჯგუფების წარმომადგენლების ურთიერთდახმარებას, რაც აუცილებელია საზოგადოებრივი მოტივაციისა და საზოგადოების განახლებისთვის. წიგნში, „Bowling Alone“, პუტნამი იკვლევს, თუ როგორ გაიზარდა სოციალური კაპიტალი და მისი გავლენა საზოგადოებრივი ცხოვრების ტემპზე. პუტნამი აღნიშნავს, რომ მე-20 საუკუნის ბოლოს სოციალური კაპიტალის დონე შემცირდა აშშ-ში, რამაც გამოიწვია სოციალურ ურთიერთობებში სერიოზული ცვლილებები. მისი მიხედვით, დღეს უფრო ნაკლები ადამიანი მონაწილეობს საზოგადოებრივ საქმიანობებში, როგორც კი მოხდა სოციალური კაპიტალის უკუსვლა. ის აქცენტს აკეთებს იმაზე, რომ სოციალური კაპიტალის კლება ასოცირდება დემოკრატიულ ცხოვრებაში მონაწილეობის შემცირებასთან: „ადამიანები აღარ ხდებიან ისეთი აქტიური მოქალაქეები, როგორებიც იყვნენ წლების წინ“. პუტნამი ხაზს უსვამს, რომ სოციალური კაპიტალი მნიშვნელოვანია დემოკრატიის შენარჩუნებისთვის. მისი აზრით, ძლიერი სოციალური კაპიტალი უტევს იმას, რომ ადამიანები არ მხოლოდ ბიუროკრატიის ან არჩევნების პროცესებში მონაწილეობენ, არამედ ისინი უფრო ჩართული არიან სხვადასხვა სახის საზოგადოებრივ ცხოვრებაში, რათა სტაბილური და წარმატებული საზოგადოება შექმნან. პუტნამის თეორია ასახავს, რომ სოციალური კაპიტალი ხელს უწყობს მოქალაქეთა უფრო აქტიურ მონაწილეობას პოლიტიკურ და სამოქალაქო პროცესებში. ასეთი ქცევა გაზრდის მოსახლეობის ჩართულობას, რაც ამყარებს დემოკრატიულ პროცესებს. სოციოლოგი აღნიშნავს, რომ სოციალური კაპიტალი ხელს უწყობს ეფექტურ გუბერნატორობას, სამოქალაქო პასუხისმგებლობასა და საზოგადოებრივ ცხოვრებას, რაც საბოლოო ჯამში განაპირობებს სტაბილურობას და მშვიდობას.

"სოციალური კაპიტალი მიუთითებს სოციალური ორგანიზაციის მახასიათებლებზე, როგორებიცაა: ქსელები, ნორმები და სოციალური ნდობა, რომლებიც აადვილებენ კოორდინაციასა და თანამშრომლობას საერთო სარგებლისათვის".² ის, როგორც საზოგადოების ქსელები, ურთიერთობები, ნდობა და ურთიერთობათა ნორმები მნიშვნელოვანი ფაქტორია როგორც პოლიტიკური სტაბილურობის, ასევე მშვიდობის შენარჩუნებისთვის. ეს კონცეფცია ხელს უწყობს საზოგადოების წევრებს შორის კოლექტიური მოქმედების, ნდობისა და ურთიერთშეთანხმების შექმნას, რამაც გარდამტეხი როლი შეიძლება ითამაშოს პოლიტიკური პროცესების ოპტიმიზაციაში, კონფლიქტების პრევენციასა და მშვიდობის მშენებლობაში.

პოლიტიკური სტაბილურობა წარმოადგენს საზოგადოებასთან კავშირის შენარჩუნებას და სახელმწიფო ინსტიტუტების ფუნქციონირებას, რაც განსაზღვრავს ქვეყნის სოციალურ და პოლიტიკურ გარემოს. ამ სტაბილურობის მიღწევაში მნიშვნელოვანი როლი შეაქვს სოციალური კაპიტალის მაღალ დონეს, რადგან აღნიშნული კაპიტალი ქმნის:

² Putnam, R. D. Bowling Alone: America's Declining Social Capital. *Journal of Democracy*, 6(1), 65-78., 1995.

- მაღალ ნდობას ინსტიტუტების მიმართ- როდესაც ადამიანებს აქვთ მაღალი სოციალური კაპიტალი, ისინი უფრო მეტად ენდობიან სახელმწიფო ინსტიტუტებს (კანონიერების სისტემა, პოლიცია, სასამართლო), რაც გლობალურად ზეგავლენას ახდენს საზოგადოების სიმშვიდესა და სტაბილურობაზე.
- ემოციების და აზრების გამტარებლობის გაუმჯობესებას- ძლიერი სოციალური კაპიტალი ქმნის კულტურას, რომელიც ხელს უწყობს საზოგადოებრივი საკითხების განხილვას, არგუმენტაციას და საერთო მიზნების მიღწევას. ამის შედეგად, პოლიტიკური გადაწყვეტილებები უფრო ინკლუზიური ხდება, რაც ხალხის მხრიდან მხარდაჭერის გაზრდას განაპირობებს.
- დამოუკიდებლობასა და თანამშრომლობის კულტურას- ძლიერი სოციალური კაპიტალი ხელს უწყობს კოოპერატიულ მმართველობას, სადაც ხელისუფლების წარმომადგენლები თანამშრომლობენ სხვა მხარეებთან და ცდილობენ საერთო მიზნების მისაღწევად. კონფლიქტები და ძალადობა ხშირად წარმოიქმნება ნდობის ნაკლებობის, სოციალური იზოლაციისა და უხეშობის ფონზე, როდესაც ინდივიდები ან ჯგუფები ერთმანეთს არ ექვემდებარებიან თუ არ იღებენ მონაწილეობას საზოგადოებრივ პროცესებში.
- ნდობისა და კომუნიკაციის ზრდას- სოციალური კაპიტალი ხელს უწყობს ნდობის განვითარებას, როგორც პიროვნულ, ისე სოციალურ დონეზე. როდესაც ადამიანებს აქვთ სანდო ურთიერთობები, ისინი უფრო მეტად მიდიან დიალოგის გზით და მიდიან კონფლიქტების მშვიდობიანი გადაჭრისკენ. ეს, თავის მხრივ, უზრუნველყოფს მოლაპარაკებებსა და კომპრომისებს კონფლიქტების მოგვარებისთვის.
- განსხვავებული ჯგუფების შემოერთების მექანიზმებს ძლიერი სოციალური კაპიტალი ხელს უწყობს „ბრიჯინგ“ კავშირების შექმნას, რაც გამოიხატება სხვადასხვა ეთნიკურ, სოციალურ და პოლიტიკურ ჯგუფებს შორის ურთიერთობების გაძლიერებაში. ამის შედეგად, საზოგადოება უფრო ჩართული ხდება საერთო მიზნებში, რაც სერიოზულად ამცირებს დაპირისპირების და ძალადობის ალბათობას.
- პრევენციულ მიდგომებს- როდესაც სახელმწიფო ინვესტირებას ახდენს სოციალური კაპიტალის მექანიზმებში, მაგალითად, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებში, მოხალისეობრივ საქმიანობაში და ადგილობრივ ინიციატივებში, ის ქმნის ინსტრუმენტებს, რომლებსაც შეუძლია ადრეულ ეტაპზე შეაჩეროს კონფლიქტების ესკალაცია. მშვიდობის მშენებლობა ეხება არა მხოლოდ ოფიციალური დოკუმენტების და შეთანხმებების გაფორმებას, არამედ იმ საფუძვლების შექმნას, რომლებითაც საზოგადოება აღადგენს ნდობას და ურთიერთგამოცდილებებს.
- პოსტ-კონფლიქტური პერიოდის სტაბილიზაციას- ის ვითარდება ისეთი პროცესების ხელშეწყობით, როგორებიცაა რეგენერაცია, სამოქალაქო აქტივიზმი და რეკონცილიაციის პროცესები. მაგალითისთვის, გაჩნდა სასამართლოები რუანდაში. იყო პროცესები, სადაც სოციალური კაპიტალი მნიშვნელოვან როლს ასრულებდა სამართლის აღდგენასა და იმ დროს დაშორებული ჯგუფების ურთიერთობების აღდგენაში.

- განახლებულ ინკლუზიურობას- როდესაც სხვადასხვა ჯგუფებს შორის არსებობდა ტრადიციული დიალოგი და თანამშრომლობა, ეს გაზრდიდა შანსებს, რომ კონფლიქტებს თავი არ ეჩინა. სოციალური კაპიტალის მაღალი დონე განაპირობებს უფრო მაღალი საზოგადოებრივი ჩართულობის და პოლიტიკური მონაწილეობისთვის პრიორიტეტებს.
- გადაწყვეტილებების დეოპტიმიზაციას- სანდოობამ შეიძლება გამოიწვიოს დეოპტიმიზაცია. ნდობის გაზრდის პარალელურად გადახურვის პროცესებში სხვა მოლაპარაკებების მეშვეობით.

დღევანდელი გლობალური სამყაროს წინაშე მდგომი გამოწვევები, როგორებიცაა: გლობალიზაცია, პოლიტიკური პოლარიზაცია, კლიმატური ცვლილებები და სოციალური უთანასწორობა, მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მშვიდობისა და სტაბილურობის პროცესებზე. ამ გამოწვევებთან გამკლავება ხშირად დამოკიდებულია საზოგადოების უნარზე შექმნას და გააძლიეროს სოციალური კაპიტალი, რომელიც ხელს უწყობს სოლიდარობას, ნდობას და თანამშრომლობას. სოციალური კაპიტალი არა მხოლოდ აძლიერებს დემოკრატიულ პროცესებს და ხელს უწყობს ინსტიტუციურ მდგრადობას, არამედ გროვდება ადგილობრივ დონეზე, სადაც ადგილობრივ თემებს შეუძლიათ უპასუხონ გლობალურ გამოწვევებს, კერძოდ:

- გლობალიზაციის გავლენა- გლობალიზაცია გულისხმობს ქვეყნებს შორის ეკონომიკურ, კულტურულ და ტექნოლოგიურ ინტეგრაციას, რამაც შეიძლება ან გააძლიეროს სოციალური კაპიტალი, ან პირიქით, შეამციროს. გლობალიზაციის დადებითი მხარეა ეკონომიკური შესაძლებლობების გაფართოება, მაგრამ ამ პროცესს ხშირად ახლავს ადგილობრივი კულტურების და ტრადიციების დაკარგვა, რამაც შეიძლება ზეგავლენას მოახდინოს სოციალური კაპიტალის სტრუქტურაზე.
- სუსტი სოციალური კაპიტალი- როდესაც გლობალიზაცია ამცირებს სოციალური კაპიტალის ადგილობრივ დონეზე, ადამიანები ნაკლებად არიან ჩართულნი ერთობლივ აქტივობებში და კომპლექსურ, ცალკეულ კონტექსტებში. სოციალური ქსელები და მჭიდრო ურთიერთობები ხშირად შეიძლება დაიშალოს, რადგან ადამიანების ყურადღება ხშირად კონცენტრირებულია გლობალური საკითხებისკენ, ნაცვლად იმისა, რომ მათ ადგილობრივი საზოგადოება იყოს ჩართული.
- სოციალური კაპიტალის ახალი ფორმები- მიუხედავად ამისა, გლობალიზაცია იძლევა შესაძლებლობას შექმნას ახალი სახის სოციალური კაპიტალი. სოციალური მედია და ონლაინ პლატფორმები, რომლებიც გლობალურად აკავშირებენ ადამიანებს, შეიძლება გააძლიეროს „ბრიჯინგის სოციალური კაპიტალი“, ანუ ურთიერთობები, რომლებიც სხვადასხვა ჯგუფებს შორის ნდობის აღდგენას უწყობს ხელს. თუმცა, თუ ეს კავშირები ზედაპირულია და არ ქმნის მყარ, ადგილობრივ ნდობის ქსელებს, მათ შეიძლება ჰქონდეთ მხოლოდ მორგებული გავლენა. კლიმატური ცვლილებები ერთ-ერთი ყველაზე რთული გამოწვევაა, რომელიც გლობალურად გავლენას ახ-

დენს მდგრადობაზე, თუმცა სოციალურ კაპიტალს შეუძლია დაეხმაროს საზოგადოების დაძლიერების პროცესში.

- კლიმატური ცვლილებების გავლენა სოციალურ კაპიტალზე- კლიმატური ცვლილებები ხშირად იწვევს რესურსების დეფიციტს, რომელიც შეიძლება გახდეს ძალადობისა და კონფლიქტების მიზეზი. ბუნებრივი კატაკლიზმები, როგორებიცაა წყალდიდობები, გვალვა და ციკლონები, უფრო მძიმე შედეგებს აჩენს, როდესაც ადამიანები არ არიან გაერთიანებული და არ აქვთ მჭიდრო ქსელები ურთიერთმხარდაჭერისა და თანამშრომლობისათვის.
- მოსახლეობის გაძლიერება სოციალური კაპიტალით- ამგვარი გამოწვევების წინაშე მხოლოდ სახელმწიფოსა და საერთაშორისო ორგანიზაციების ძალისხმევა არ იქნება საკმარისი. სოციალური კაპიტალის გაძლიერება ადგილობრივ დონეზე ხდება მაშინ, როცა მეზობლები და თემები ერთიანდებიან, რათა ერთობლივად მოაგვარონ კლიმატური პრობლემები, კლიენტებს დაეხმარება ამ პრობლემის წინაშე მდგარი საერთო მიზნების შერჩევასა და კოლექტიური რეაგირების შექმნაში.
- დესტაბილიზაციის კონტროლი- თუ ადგილობრივ თემებს აქვთ სოციალური კაპიტალი, ისინი უფრო ადვილად შეძლებენ ბუნებრივი კატაკლიზმების შედეგების შემცირებას, რადგან ხალხი უფრო მეტად შეძლებს ერთმანეთის მხარდაჭერას, საჭიროების მიხედვით.

მდგრადი განვითარება, რომელიც მოიცავს ეკოლოგიური, სოციალური და ეკონომიკური თვალსაზრისებით საზოგადოების გრძელვადიან მდგრადობას, ასევე მნიშვნელოვან როლს ასრულებს სოციალურ კაპიტალში. სადაც მაღალია სოციალური კაპიტალი, იქ უფრო ეფექტურია მდგრადი განვითარების პოლიტიკა და მისი მიღწევა. საზოგადოებები, სადაც მოქალაქეები ეთანხმებიან სოციალურ წესებს, მიდიან საერთო მიზნებისკენ და აქვთ მყარად განვითარებული ნდობის ქსელები, უფრო სწრაფად აღწევენ მდგრადი განვითარების მარშუტებს. სოციალური კაპიტალი არის მნიშვნელოვანი კომპონენტი სოციალური ერთიანობის, პოლიტიკური სტაბილურობისა და მშვიდობისთვის. სოციალური კაპიტალის ისტორიული წარმოშობიდან დაწყებული მისი თანამედროვე გამოყენებით მმართველობასა და კონფლიქტების გადაწყვეტაში, სოციალური კაპიტალი რჩება ძლიერ ძალად, რომელიც ხელს უწყობს თანამშრომლობას და კოლექტიურ მოქმედებებს. გლობალურად გადაკრულ სამყაროში, სოციალური კაპიტალის შექმნა და გაძლიერება გახდება კრიტიკული ეტაპი ჩვენი დროის რთული გამოწვევების გადაჭრისთვის, როგორებიცაა: პოლიტიკური არასტაბილურობა, კლიმატის ცვლილება და გლობალური უთანასწორობა. გარე სოციალური კაპიტალის, ინკლუზიური მმართველობის და სამოქალაქო საზოგადოების ზრდა იქნება მნიშვნელოვანი გამძლე საზოგადოების შენების გასაღები.

დასკვნა

სოციალური კაპიტალი თანამედროვე საზოგადოებისთვის აუცილებელ რესურსად გვევლინება, რომელიც უზრუნველყოფს სოციალური კავშირის, ნდობისა და ურ-

თიერთშეთანხმების მტკიცე საფუძველს. მისი როლი მნიშვნელოვნად იზრდება ისეთ გამოწვევებთან მიმართებით, როგორებიცაა გლობალიზაცია, პოლიტიკური პოლარიზაცია, კლიმატის ცვლილება და საზოგადოებრივი უთანასწორობა. სოციალური კაპიტალის მეშვეობით შესაძლებელი ხდება არა მხოლოდ საზოგადოების შიდა ურთიერთობების განმტკიცება, არამედ გლობალური მასშტაბით მეტი სტაბილურობის, მშვიდობისა და ეფექტური თანამშრომლობის დამყარება.

როგორც ჯეიმს კოულმანისა და რობერტ პუტნამის ნააზრევადან ჩანს, სოციალური კაპიტალი წარმოადგენს საზოგადოებრივ საფუძველს, რომელიც განაპირობებს დემოკრატიულ პროცესებს, სამოქალაქო ჩართულობასა და პიროვნულ პასუხისმგებლობას. მისი მეშვეობით ადამიანები უფრო მეტად მზად არიან ჩაერთონ საზოგადოებრივ ცხოვრებაში, მოახდინონ ურთიერთსასარგებლო გადაწყვეტილებები და გააძლიერონ საზოგადოებრივი ნდობა, რაც უზრუნველყოფს სახელმწიფოს სტაბილურ განვითარებას. ძლიერი სოციალური კაპიტალი, რომელიც მოიცავს როგორც „ბოდინგის“, ისე „ბრიჯინგის“ ურთიერთობებს, ხელს უწყობს არა მხოლოდ მცირე ჯგუფების გაერთიანებას, არამედ მათი მრავალფეროვანი კავშირების შექმნას სხვა ჯგუფებთან, რაც აუცილებელია ინკლუზიური საზოგადოებისთვის.

დღეს, როდესაც კლიმატის ცვლილება, რესურსების სიმცირე და გლობალური უთანასწორობა თანამედროვე მსოფლიო გამოწვევებია, სოციალური კაპიტალი განსაკუთრებით საჭირო ხდება. ადგილობრივი და საერთაშორისო თანამშრომლობის მეშვეობით, სოციალური კაპიტალის მექანიზმები ეფექტურ ინსტრუმენტად იქცევა ისეთი საკითხების გადასაჭრელად, რომლებიც მჭიდროდ დაკავშირებულია საზოგადოების სტაბილურობასთან და მდგრად განვითარებასთან. ამდენად, სოციალური კაპიტალის გაზრდა და შენარჩუნება კრიტიკულად მნიშვნელოვანია როგორც ლოკალურ, ისე გლობალურ დონეზე.

საბოლოოდ, სოციალური კაპიტალი წარმოადგენს არა მხოლოდ საზოგადოების გასამყარებელ ძალას, არამედ ღირებულ რესურსს, რომელიც აყალიბებს თანადგომასა და ნდობაზე დაფუძნებულ საზოგადოებას, რომელშიც შესაძლებელი იქნება მეტი ჩართულობა, გრძელვადიანი მშვიდობა და საერთო კეთილდღეობა.

გამოყენებული ლიტერატურა

- ნადარეიშვილი, მ. (2016). სოციალური კაპიტალი და სამოქალაქო საზოგადოება საქართველოში. თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
- წულაძე, ლ. (2018). სოციალური კაპიტალის როლი დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარებაში. სოციალური მეცნიერებები საქართველოში, Bourdieu, P. (1986). The Forms of Capital. In J. Richardson (Ed.), Handbook of Theory and Research for the Sociology of Education (pp. 241-258). New York: Greenwood Press.
- Coleman, J. S. (1990). Foundations of Social Theory. Cambridge, MA: Harvard University Press.
- Putnam, R. D. (1995). Bowling Alone: America's Declining Social Capital. Journal of Democracy, 6(1),
- Putnam, R. D. (2000). Bowling Alone: The Collapse and Revival of American Community. New York: Simon & Schuster.
- Fukuyama, F. (1995). Trust: The Social Virtues and the Creation of Prosperity. New York: Free Press.

ლურჯი ეკონომიკის განვითარების პერსპექტივები საქართველოში

ლუკა ცხადაძე

სსიპ-დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს
ეროვნული თავდაცვის აკადემიის
ბაკალავრიატის მენეჯმენტის მიმართულების იუნკერი

ნიკოლოზ ცინცაძე

სსიპ-დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს
ეროვნული თავდაცვის აკადემიის
ბაკალავრიატის მენეჯმენტის მიმართულების იუნკერი

ხელმძღვანელი: **რუსუდან დალაქიშვილი-ჭიჭინაძე**
ბაკალავრიატის მენეჯმენტის მიმართულების ასოცირებული პროფესორი

აბსტრაქტი

ნაშრომი იკვლევს ლურჯი ეკონომიკის განვითარების პერსპექტივას საქართველოში და ანალიზებს მისი, როგორც მდგრადი განვითარების ინოვაციური მოდელის მნიშვნელობას 21-ე საუკუნის გლობალური გამოწვევების კონტექსტში. მასში განხილულია ლურჯი ეკონომიკის ისტორიული განვითარება, 1994 წლიდან, 2012 წლის "რიო 20"-ის კონფერენციამდე, სადაც აღნიშნული მოდელი, თანამედროვე განვითარების ეკონომიკურ კონცეფციად ჩამოყალიბდა.

ნაშრომი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს საქართველოს პოტენციალს ლურჯი ეკონომიკის განვითარების მიმართულებით, რასაც განაპირობებს ქვეყნის 310 კილომეტრიანი შავი ზღვის სანაპირო ზოლი, მდიდარი ჰიდრორესურსები (26,000-ზე მეტი მდინარე და 850-ზე მეტი ტბა) და სტრატეგიული გეოგრაფიული მდებარეობა ევროპასა და აზიას შორის. აქვე, შესწავლილი და შეფასებულია ლურჯი ეკონომიკის ძირითადი მიმართულებები საქართველოში: თევზჭერა, ტურიზმი, ენერჯეტიკა და საზღვაო ტრანსპორტი.

წინამდებარე ნაშრომში წარმოდგენილია საერთაშორისო გამოცდილების ანალიზიც, კერძოდ ნორვეგიის, სინგაპურისა და ესპანეთის მაგალითები, როგორც სანიმუშო მოდელები საქართველოსთვის. ნაშრომი ასევე აღწერს, აღნიშნული ეკონომიკური მოდელის განვითარებისას არსებულ გამოწვევებს და მკითხველს სთავაზობს კონკრეტულ რეკომენდაციებს შესაბამისი პოლიტიკის შემუშავებისთვის; მათ შორის საერთაშორისო პარტნიორობის გაღრმავებას, საკანონმდებლო ბაზის გაუმჯობესებას, ინფრასტრუქტურულ ინვესტიციებს და ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვას. დასკვნით ნაწილში აღნიშნულია, რომ საქართველოს აქვს მნიშვნელოვანი პოტენციალი გახდეს რეგიონული ლიდერი ლურჯი ეკონომიკის განვითარებაში, რისთვისაც საჭიროა გრძელვადიანი სტრატეგიული მიდგომა და კომპლექსური ღონისძიებების გატარება სახელმწიფო, კერძო სექტორისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მჭიდრო თანამშრომლობით.

საკვანძო სიტყვები: მდგრადი განვითარება, ინოვაციური, პოტენციალი გამოცდილება, ანალიზი.

Perspectives of Blue Economy Development in Georgia

Iuka Tskhadadze

Junker of Bachelor's Program in Management of
LEPL-David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia

nikoloz Tsintsadze

Junker of Bachelor's Program in Management of
LEPL-David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia

Supervisor: **Rusudan Dalakishvili- Chichinadze**

Associate Professor of Bachelor's program in Management

Abstract

The paper examines the development prospects of the blue economy in Georgia and analyzes its significance as an innovative model of sustainable development in the context of 21st-century global challenges. It discusses the historical development of the blue economy, from 1994 to the 2012 "Rio +20" conference, where this model was established as a contemporary economic development concept.

The paper pays particular attention to Georgia's potential in the field of blue economy development, which is determined by the country's 310-kilometer-long Black Sea coastline, abundant hydro-resources (more than 26,000 rivers and over 850 lakes), and strategic geographical location between Europe and Asia. The main sectors of the blue economy in Georgia are also studied and assessed, including fishing, tourism, energy, and maritime transport.

The paper also presents an analysis of international experience, specifically the examples of Norway, Singapore, and Spain, as model examples for Georgia. Additionally, it describes the challenges encountered in the development of this economic model and offers specific recommendations for formulating relevant policies, including the deepening of international partnerships, improving the legislative framework, infrastructure investments, and the introduction of innovative technologies.

The conclusion emphasizes that Georgia has significant potential to become a regional leader in blue economy development, but achieving this requires a long-term strategic approach and the implementation of comprehensive measures through close cooperation between the government, the private sector, and international organization.

Keywords: sustainable development, innovative, potential, experience, analysis.

შესავალი

21-ე საუკუნეში, გლობალური კლიმატური ცვლილებებისა და ეკოლოგიური გამოწვევების ფონზე, მსოფლიო სულ უფრო მეტ ყურადღებას უთმობს მდგრადი განვითარების ალტერნატიულ მოდელებს. ამ კონტექსტში, ლურჯი ეკონომიკა წარმოადგენს ინოვაციურ მიდგომას, რომელიც აერთიანებს ეკონომიკურ განვითარებასა და გარემოსდაცვით პასუხისმგებლობას. ეს კონცეფცია განსაკუთრებით აქტუალურია საზღვაო რესურსებით მდიდარი ქვეყნებისთვის.

ლურჯი ეკონომიკა, როგორც კონცეფცია, პირველად შეიქმნა 2012 წლის „რიო + 20“-ის კონფერენციაზე. მისი მიზანია ოკეანეებისა და წყლის რესურსების მდგრადი გამოყენება ეკონომიკური ზრდის წასახალისებლად.¹

აღსანიშნავია, რომ ბუნების მსოფლიო ფონდმა (World Wide Fund for Nature-WWF) შეიმუშავა დოკუმენტი „მდგრადი ლურჯი ეკონომიკის პრინციპები“, რომელშიც აღწერილია, როგორ უნდა იმართებოდეს მდგრადი ლურჯი ეკონომიკა მმართველობის ყველა დონეზე, როგორც საზოგადოებრივი, ისე კერძო აქტორების მიერ. ლურჯი ეკონომიკის პრინციპები ჰარმონიზებულია გაეროს მდგრადი განვითარების მიზნებთან, თანხვედრაშია ფართოდ მიღებულ კორპორატიულ და ორგანიზაციულ მდგრადი მმართველობის პრინციპებთან და მჭიდროდ უკავშირდება როგორც მწვანე, ისე ცირკულარულ ეკონომიკას.²

საზოგადოების განვითარების კვალდაკვალ იზრდება წყლის რესურსების გამოყენება ეკონომიკურ საქმიანობაში. წყლის რესურსების მართვის კონცეფცია, წყალზე თანაბარი ხელმისაწვდომობისა და გარემოს ეკოლოგიური მდგრადობის კონცეფციებთან ერთად, განსაზღვრავს წყლის გამოყენების ხარჯზე მიღებული ეკონომიკური ღირებულების მაქსიმიზაციას.

ისტორიულად, ცალკეული ცივილიზაციების განვითარებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა წყლის რესურსების არსებობა და ზღვის სიახლოვე. მაგალითად, ძველი ეგვიპტელები, სკანდინავიელები, დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების ინიციატორები და სხვები საუკუნეების განმავლობაში ეყრდნობოდნენ ლურჯ ეკონომიკას. შეიძლება ითქვას, რომ თავად ლურჯი ეკონომიკა შინაარსობრივად არ არის ახალი, თუმცა ინოვაციურია მდგრადი ლურჯი ეკონომიკის კონცეფცია. ტერმინი „ლურჯი ეკონომიკა“ პირველად 1994 წელს გუნტერ პაულიმ გამოიყენა თავის წიგნში "ლურჯი ეკონომიკა 3.0", სადაც ის მოუწოდებს ადამიანებსა და სახელმწიფოებს ახალი ეკონომიკური ინიციატივებისკენ წყლისა და წყალთან დაკავშირებული პრობლემების აღმოფხვრის მეთოდების შესაცვლელად.

მომავალში ლურჯი ეკონომიკის ზრდას განაპირობებს საზღვაო წარმოების საქონელსა და მომსახურებაზე, განახლებადი რესურსების გამოყენების მასშტაბებსა და ვაჭრობაზე მოთხოვნის ზრდა. ის არაპირდაპირ გავლენას მოახდენს ეკონომიკის სხვა სე-

¹ World Bank, *THE POTENTIAL OF THE BLUE ECONOMY*, 2017, მოპოვებულია:

<https://openknowledge.worldbank.org/bitstream/handle/10986/26843/115545.pdf?sequence=1&isAllowed=y>

² World Wildlife Fund - WWF, 2017.

ქტორების განვითარებაზე. სხვადასხვა გათვლებით, 2030 წლის დასაწყისში ოკეანეზე დაფუძნებულ მრავალ ინდუსტრიას აქვს პოტენციალი, გადააჭარბოს გლობალური ეკონომიკის ზრდის მაჩვენებელს, ხოლო სექტორში შექმნილმა დამატებითმა ღირებულებამ მიაღწიოს 3 ტრილიონ აშშ დოლარს.³

საქართველო, თავისი უნიკალური გეოგრაფიული მდებარეობით, 310 კილომეტრიანი შავი ზღვის სანაპირო ზოლით, მდიდარი ჰიდრორესურსებითა და ბიომრავალფეროვნებით, იდეალურ პლატფორმას წარმოადგენს ლურჯი ეკონომიკის განვითარებისთვის. ქვეყნის წყლის რესურსები, რომელიც მოიცავს არა მხოლოდ შავ ზღვას, არამედ 26,000-ზე მეტ მდინარეს და 850-ზე მეტ ტბას, მნიშვნელოვან პოტენციალს ქმნის ეკონომიკური ზრდისთვის.

თანამედროვე მსოფლიოში, სადაც წყლის რესურსების მდგრადი მართვა გლობალური გამოწვევაა, საქართველოს შეუძლია მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს რეგიონული ლურჯი ეკონომიკის განვითარებაში. ეს კი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ კონტექსტში, რომ გეოგრაფიულად ქვეყანა წარმოადგენს დამაკავშირებელ რგოლს ევროპასა და აზიას შორის, რაც დამატებით შესაძლებლობებს ქმნის საზღვაო ლოგისტიკისა და ვაჭრობის განვითარებისთვის.

ლურჯი ეკონომიკის ძირითადი კონცეფცია ეფუძნება წყლის რესურსების მდგრად გამოყენებას ეკონომიკური ზრდის მისაღწევად, რაც გულისხმობს ბალანსის დაცვას ეკონომიკურ განვითარებასა და გარემოს დაცვას შორის. ეს მიდგომა მოიცავს არა მხოლოდ ტრადიციულ საზღვაო საქმიანობებს, არამედ ინოვაციური ტექნოლოგიებისა და მეთოდებს დანერგვას, რომელიც წყლის რესურსების ეფექტიან გამოყენებას უზრუნველყოფს.

ლურჯი ეკონომიკის ძირითადი პრინციპები შეიძლება შემდეგნაირად ჩამოყალიბდეს:

ეკოსისტემების დაცვის ღონისძიებები, რომელიც მოიცავს - ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებას და გაფართოებას; ზღვის ფლორისა და ფაუნის დაცვას; წყლის ხარისხის რეგულარული მონიტორინგის სისტემის დანერგვას; დაცული საზღვაო ტერიტორიების შექმნასა და მართვას; თევზჭერის კვოტების დაწესებასა და კონტროლს და ნარჩენების მართვის თანამედროვე სისტემების დანერგვას სანაპირო ზოლში.

ეკონომიკური განვითარების ღონისძიებების გატარების თვალსაზრისით საჭიროა, - საზღვაო აკვაკულტურის თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა; პორტების ინფრასტრუქტურის მოდერნიზაცია; საზღვაო ტურიზმის ინფრასტრუქტურის განვითარება და განახლებადი ენერჯის პროექტების (ტალღური, ქარის) განხორციელება.

სოციალური ინკლუზიის ღონისძიებების სახით, აუცილებელია, - პროფესიული გადამზადების პროგრამების შექმნა სანაპირო რეგიონის მოსახლეობისთვის; ტრადიციული საზღვაო საქმიანობების შენარჩუნება; საზღვაო სექტორში მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობა; ადგილობრივი თემების ჩართვა გადაწყვეტილების მიღების

³ Ibid. World Bank, *THE POTENTIAL OF THE BLUE ECONOMY*, 2017.

პროცესში და გარემოსდაცვითი განათლების პროგრამების განხორციელება; საზოგადოების ცნობიერების ამაღლება.

ყველა ზემოთაღნიშნული ღონისძიება უნდა განხორციელდეს კომპლექსურად, სახელმწიფო, კერძო სექტორისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მჭიდრო თანამშრომლობით.

თევზჭერას, როგორც საქართველოში მრეწველობის მნიშვნელოვანი დარგის განვითარებას წარმატების პერსპექტივა აქვს. საქართველოს შავ ზღვაში ბიომრავალფეროვნების მაღალი დონე აღინიშნება, რაც მოიცავს თევზის კომერციულად მნიშვნელოვან სახეობებს, როგორცაა ქაშაყი და სკუმბრია. თუმცა, არასწორი მართვის გამო აღნიშნულ სექტორი ვერ იყენებს სრულ პოტენციალს.

პრობლემა: გადაჭარბებული თევზჭერა და ზღვის დაბინძურება.

შესაძლო პერსპექტივა: ბიომრავალფეროვნების დაცვის ინიციატივები და ეკოლოგიურად სუფთა მეთოდების დანერგვა.

ლურჯი ეკონომიკის განვითარების თვალსაზრისით აუცილებლად აღსანიშნავია ტურიზმის როლი და მნიშვნელობა, რადგან ქვეყანაში შემოსული მზარდი ტურისტული ნაკადებისთვის, შავი ზღვის სანაპირო წარმოადგენს მაღალპოტენციურ ზონას. პოპულარულია როგორც საზღვაო, ასევე სამედიცინო (ურეკი) და ეკოტურიზმი.

გამოწვევა: არასაკმარისი ინფრასტრუქტურა და ზღვის სანაპირო ზონის დაბინძურება.

შესაძლებლობა: ახალი ეკოტურისტული და სამედიცინო ტურიზმის მარშრუტების განვითარება.

ენერგეტიკული რესურსების თვალსაზრისით, შავი ზღვის რეგიონი მოიცავს განახლებადი ენერჯის დიდი პოტენციალს, განსაკუთრებით ტალღური ენერჯის მიმართულებით.

მდგომარეობა: არ ხდება ენერგეტიკული რესურსების ეფექტიანი ათვისება;

შესაძლო პერსპექტივა: საერთაშორისო ტექნოლოგიების შემოტანა და პილოტური პროექტების განხორციელება.

რაც შეეხება საზღვაო ტრანსპორტსა და ლოგისტიკას ლურჯი ეკონომიკის განვითარებაში საქართველოში არსებული პორტები (ფოთი და ბათუმი) მნიშვნელოვან როლს ასრულებს შავი ზღვის რეგიონის სავაჭრო ურთიერთობებში.

გამოწვევა: ინფრასტრუქტურის მოდერნიზაციის საჭიროება.

შესაძლებლობა: საქართველოს პორტები შეიძლება გადაიქცეს რეგიონალური ლოგისტიკური ცენტრების მოდელად.

ლურჯი ეკონომიკის განვითარებისთვის მნიშვნელოვანია საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება, შედარება და რაციონალური გადაწყვეტილებების მიღება. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ნორვეგიის თევზჭერის მეურნეობის მართვის გაზიარება, რომელიც მსოფლიოში მდგრადი მეთევზეობის ლიდერია. მისგან საქართველოს ასევე შეუძლია გაიზიაროს ბიომრავალფეროვნების დაცვის პოლიტიკის მოდელები.

აღსანიშნავია, რომ სინგაპური საზღვაო ტექნოლოგიების ინოვაციების ცენტრია და ამ ქვეყნის გამოცდილება შეიძლება საქართველოში არსებული საზღვაო ტრანსპორტის მოდერნიზაციისთვის გამოვიყენოთ. საქართველოსთვის, განსაკუთრებით ღირებული იქნება ესპანეთის მაგალითის გაანალიზება და გათვალისწინება, რადგან ეს ქვეყანა ეკოტურიზმის წარმატებული ლიდერია.

დასკვნა

საქართველოს მნიშვნელოვანი პოტენციალი აქვს ლურჯი ეკონომიკის განვითარებისთვის, თუმცა მისი რეალიზება გრძელვადიან სტრატეგიულ მიდგომას მოითხოვს. ზემოთქმულიდან გამომდინარე აუცილებელია მთავრობის მიერ შესაბამისი პოლიტიკისა და რეგულაციების მომზადება და გატარება, რომელიც შეიძლება რამდენიმე პუნქტით ჩამოყალიბდეს:

- საერთაშორისო პარტნიორობის გაღრმავება, რომელიც ლურჯი ეკონომიკის მიმართულებით. ევროკავშირთან თანამშრომლობას გულისხმობს;
- შესაბამისი კანონმდებლობის გაუმჯობესება და ახალი რეგულაციების შემოღება გარემოს დაცვის და მდგრადი მართვის კუთხით.
- ინფრასტრუქტურული ინვესტიციები, რომელიც საზღვაო ინფრასტრუქტურის მოდერნიზაციას უნდა მოხმარდეს.
- მოწინავე ტექნოლოგიების დანერგვა და ინოვაციური გადაწყვეტილებების ინტეგრაცია, როგორცაა ტალღური ენერჯია და ეკოლოგიურად სუფთა მეთევზეობა.

გამოყენებული ლიტერატურა:

- ბერიძე, თ.(2020)“შავი ზღვის სანაპირო ზოლის ტურისტული პოტენციალის შეფასება და განვითარების პერსპექტივები“. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
- გაბაიზე, მ., & მიქელაძე, გ.(2021).“საქართველოს საზღვაო პოტენციალი და მისი განვითარების პერსპექტივები“.თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის შრომების კრებული.
- გიორგაძე, ვ.(2022). „საქართველოს საზღვაო ტრანსპორტის განვითარების სტრატეგიული მიმართულებები“. თბილისი:საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო.
- მარგველაშვილი, მ (2018).“ საქართველოს ჰიდროენერგეტიკული რესურსები და მათი გამოყენების პერსპექტივები“. ენერჯეტიკისა და მდგრადი განვითარების ინსტიტუტი.
- ჭინჭარაძე, ნ., & კვარაცხელია, ლ.(2019). „საქართველოს წყლის რესურსების მართვის თანამედროვე გამოწვევები“. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის შრომები.
- საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტრო. (2023). შავი ზღვის მდგრადი განვითარების ანგარიში.

UNEP. (2012). The Future of the Blue Economy.

World Bank. (2021). Blue Economy: Development Frameworks and Opportunities.

Norwegian Ministry of Fisheries. (2020). Sustainable Fisheries and Biodiversity.

European Union. (2022). *EU Blue Economy Report.

World Bank.(2017). *THE POTENTIAL OF THE BLUE ECONOMY*. მოპოვებულია:
<https://openknowledge.worldbank.org/bitstream/handle/10986/26843/115545.pdf?sequence=1&isAllowed=y>

უმუშევრობა და შემოსავლის უთანასწორობა: მაკროეკონომიკური გამოწვევები 21-ე საუკუნეში

ნიკოლოზ მაქსიმენკო

სსიპ-დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს
ეროვნული თავდაცვის აკადემიის
ბაკალავრიატის მენეჯმენტის მიმართულების იუნკერი

ირაკლი კვაშილავა

სსიპ-დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს
ეროვნული თავდაცვის აკადემიის
ბაკალავრიატის მენეჯმენტის მიმართულების იუნკერი

ხელმძღვანელი: თინათინ ჟორჟოლიანი

ბაკალავრიატის მენეჯმენტის მიმართულების ასოცირებული პროფესორი

აბსტრაქტი

ნაშრომი მიზნად ისახავს 21-ე საუკუნეში უმუშევრობისა და შემოსავლის უთანასწორობის გამო
გამოწვეული მაკროეკონომიკური გამოწვევების შესწავლას, განიხილავს უმუშევრობისა და შემოსავლე-
ბის უთანასწორობის გადაჯაჭვულ საკითხებს, რომელიც ფოკუსირებულია მათ როლზე, როგორც მი-
რითად მაკროეკონომიკურ გამოწვევებზე 21-ე საუკუნეში. ორივე ფენომენი გადრმავდა ბევრ ქვეყანაში,
რაც გამოწვეულია ისეთი ფაქტორებით, როგორცაა ტექნოლოგიური წინსვლა, გლობალიზაცია და
შრომის ბაზარზე სტრუქტურული ცვლილებები.

ნაშრომში განხილულია თუ როგორ ამძაფრებს მუდმივი უმუშევრობა უთანასწორობას და როგორ
ზღუდავს შემოსავლების სხვაობა, თავის მხრივ, ზღუდავს ეკონომიკურ მობილობას, რაც ხელს უწყობს
გრძელვადიან ეკონომიკურ სტაგნაციას. სხვადასხვა მაკროეკონომიკური პოლიტიკა, რომელიც მიზნად
ისახავს ამ გამოწვევების შერბილებას, როგორცაა შრომის ბაზრის რეფორმები, ფისკალური პოლიტიკა
და საგანმანათლებლო პროგრამები, ფასდება მათი ეფექტურობის კონტექსტში როგორც უმუშევრობის,
ასევე უთანასწორობის დაძლევაში. გარდა ამისა, ნაშრომი განიხილავს ამ ორმაგი საკითხების გავლენას
სოციალურ ერთიანობასა და პოლიტიკურ სტაბილურობაზე, ხაზს უსვამს ეკონომიკური განვითარების
ინკლუზიური და სამართლიანი მიდგომის აუცილებლობას.

საკვანძო სიტყვები: უმუშევრობა, შემოსავლის უთანასწორობა, მაკროეკონომიკური გამოწვევები, სამუ-
შაო ძალა, მაკროეკონომიკური პოლიტიკა.

Unemployment and Income Inequality: Macroeconomic Challenges in the 21st Century

Nikoloz Maksimenko

Junker of Bachelor's Program in Management of
LEPL-David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia

Irakli Kvashilava

Junker of Bachelor's Program in Management of
LEPL-David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia

Supervisor: **Tinatin Zhorjoliani**

Associate Professor of Bachelor's Program in Management

Abstract

The paper aims to examine the macroeconomic challenges posed by unemployment and income inequality in the 21st century, examining the interconnected issues of unemployment and income inequality, focusing on their role as major macroeconomic challenges in the 21st century. Both phenomena have intensified in many countries, driven by factors such as technological advancement, globalization, and structural changes in the labor market.

The paper discusses how persistent unemployment exacerbates inequality and how income inequality, in turn, limits economic mobility, contributing to long-term economic stagnation. Various macroeconomic policies aimed at mitigating these challenges, such as labor market reforms, fiscal policy, and educational programs, are evaluated in the context of their effectiveness in addressing both unemployment and inequality. In addition, the paper discusses the impact of these twin issues on social cohesion and political stability, emphasizing the need for an inclusive and equitable approach to economic development.

Keywords: unemployment, income inequality, macroeconomic challenges, labor force, macroeconomic policy.

შესავალი

უმუშევრობა და შემოსავლების უთანასწორობა არის ორი ყველაზე მნიშვნელოვანი და მუდმივი მაკროეკონომიკური საკითხი, რომელმაც 21-ე საუკუნეში გლობალური ეკონომიკური ლანდშაფტის ფორმირება მოახდინა. უმუშევრობა ეხება სამუშაო ძალის მდგომარეობას, როდესაც პირები, რომლებიც აქტიურად ეძებენ სამუშაოს, ვერ პოულობენ. სამეცნიერო ლიტერატურაში უმუშევრობა კლასიფიცირდება სხვადასხვა ტიპებად: ფრიქციული, სტრუქტურული და ციკლური უმუშევრობა, თითოეული ეკონომიკაში განსხვავებული მიზეზების გამო.¹ მიუხედავად იმისა, რომ უმუშევრობის დონე განსხვავდება ქვეყნებში, რეგიონებში და ეკონომიკურ ციკლებში, გარკვეულმა გლობალურმა ტენდენციებმა, როგორცაა ტექნოლოგიური წინსვლა და ავტომატიზაცია, ხელი შეუწყო გრძელვადიან სტრუქტურულ უმუშევრობას ტრადიციული შრომითი როლების ჩანაცვლებით.

Telegram-ის დაშიფვრა და კონფიდენციალურობის პოლიტიკა გადამწყვეტია პროპაგანდის გამავრცელებელი ჯგუფების მოზიდვაში, მროგორებიც არიან სამთავრობო და არა სამთავრობო აქტორები თუ დამოუკიდებელი ინფლუენსერები. მიუხედავად იმისა, რომ Telegram თავს ასარებს, როგორც უსაფრთხო Messenger პლატფორმას, მისი დაშიფვრის მოდელი არც ისე ცალსახად ეფექტურია როგორც ტავად Telegram გვარწმუნებს ამაში. პლატფორმა გთავაზობთ ორი ტიპის ჩათს: რეგულარული ჩათები, რომლებიც იყენებენ კლიენტ-სერვერის დაშიფვრას (სადაც Telegram ფლობს გასაღებებს) და საიდუმლო ჩატები(Secret Chats), რომელიც უზრუნველყოფს end-to-end დაშიფვრას (E2EE), მაგრამ იგი ხელით უნდა გააქტიურდეს მომხმარებლების მიერ. ეს ორმაგი მიდგომა გათვლილია სხვადასხვა ტიპის აქტორებზე. სახელმწიფო აქტორებისთვის და არასამთავრობო ჯგუფებისთვის მიმზიდველია ნაკლებად რეგულირებულ გარემოში მუშაობის შესაძლებლობა, სადაც შეტყობინებების გაგზავნა შესაძლებელია დაუყოვნებლივ, ზედამხედველობის გარეშე. პლატფორმაზე არსებული ზედამხედველობის ნაკლებობა საშუალებას აძლევს პროპაგანდის გამავრცელებლებს თავსუფლად აწარმოონ პროპაგანდისტული საქმიანობა, განსაკუთრებით ისეთ რეგიონებში სადაც ცენზურა ფაქტიურად ყოფის ყველა ასპექტში ერევა. დამოუკიდებელი ინფლუენსერე-

ბი ასევე სარგებლობენ Telegram-ის კონფიდენციალურობის მახასიათებლებით. E2EE-ს ვარიანტი საიდუმლო ჩათებში უზრუნველყოფს უსაფრთხოების მაღალ დონეს მგრძობიარე შინაარსის მატარებელი ინფორმაციის გაცვლისთვის,⁶ რაც მას მიმზიდველს ხდის მათთვის, ვისაც სურს გაუზიაროს საკამათო ან პოლიტიკურად მგრძობიარე შინაარსის მქონე ინფორმაცია ჩარევის შიშის გარეშე. ამასთან, ის ფაქტი, რომ მომხმარებელთა უმეტესობა არ იყენებს საიდუმლო ჩათებს, ნიშნავს, რომ კომუნიკაციათა უმეტესობა რჩება ხელმისაწვდომი თავად Telegram-ისთვის, რაც ნამდვილად არაა სრული კონფიდენციალურობის გარანტი.

Telegram-ის სტრუქტურა საშუალებას იძლევა ფართო მასებზე ინფორმაციის სწრაფად მიწოდება მოხდეს არხების და ჯგუფების საშუალებით. არხებს შეიძლება ჰყავდეთ შეუზღუდავი რაოდენობის აბონენტები, რაც საშუალებას აძლევს შეტყობინებებს სწრაფად მიაღწიონ უზარმაზარ აუდიტორიას. ეს ფუნქცია განსაკუთრებით სასარგებლოა პროპაგანდის გასავრცელებლად, რადგან ის ადმინისტრატორებს მიმდევრებთან ცალმხრივი კომუნიკაციის საშუალებას აძლევს, საპასუხო ჩართულობის საჭიროების გარეშე. ჯგუფებში Telegram-ზე შესაძლებელია 200,000-მდე წევრის ყოფნა, რაც მომხმარებლებს შორის უფრო ინტერაქტიული დისკუსიების საშუალებას იძლევა. ეს დისკუსიები შეიძლება გახდეს ექო პალატები, სადაც კონკრეტული ნარატივები გაძლიერებულია დახურულ წრეებში. მოდერაციის არსებული მოდელი Telegram-ს იდეალურ გარემოდ აქცევს ექსტრემისტული ჯგუფების ორგანიზებისა და კომუნიკაციისთვის. დიდი საზოგადოებრივი არხებისა და მცირე კერძო ჯგუფების კომბინაცია ქმნის დინამიკას, სადაც შეტყობინებების გავრცელება შესაძლებელია მასიურად, ასევე შესაძლებელია კონტროლირებადი დისკუსიების წარმართვა შერჩეულ მონაწილეებს შორის. მისი ეს ორმაგი ბუნება კარგად წარმოაჩენს რამდენად კარგი საშუალებაა Telegram პროპაგანდის გასავრცელებლად.

ისეთი პლატფორმებისგან განსხვავებით, როგორცაა Facebook ან Twitter, რომლებიც იყენებენ რთულ ალგორითმებს მომხმარებლის ურთიერთქმედების საფუძველზე შინაარსის კურირების მიზნით, Telegram-ის მიდგომა ინფორმაციის გავრცელებისადმი უფრო მარტივია. მიუხედავად იმისა, რომ Telegram იყენებს ზოგიერთ ალგორითმს ინფორმაციის მიწოდების სამართავად - მაგალითად, აქტიური არხებიდან შეტყობინებების პრიორიტეტიზაცია - არ არსებობს ფართო ალგორითმული ფილტრაცია, რომელიც გავლენას ახდენს იმაზე, რასაც მომხმარებლები ხედავენ. ალგორითმული ჩარევის ეს ნაკლებობა ნიშნავს, რომ მომხმარებლები უფრო მეტად ხვდებიან მრავალფეროვან ინფორმაციას, მაგრამ ეს ასევე ხელს უწყობს ექო პალატების ფორმირებას კონკრეტულ არხებში ან ჯგუფებში. შინაარსის მოდერაციის არარსებობა მომხმარებლებს საშუალებას აძლევს წარმართონ საკუთარი საინფორმაციო სივრცე თავიანთი ინტერესებიდან გამომდინარე. მოკლედ, Telegram-ის დაშიფვრის ალგორითმები, ჯგუფური კომუნიკაციის სტრუქტურული მახასიათებლები და მინიმალური ალგორით-

⁶ E2EE – End-to-End Encryption, დაშიფვრის ტიპი, რომელიც გულისხმობს რომ შეტყობინება იშიფრება მხოლოდ ადრესატსა და გამგზავნს შორის, სერვერი ამ შემთხვევაში უბრალოდ გამტარია.

მული ჩარევა ქმნის უნიკალურ გარემოს, რომელიც ხელს უწყობს პროპაგანდის გავრცელებას. ეს მას მნიშვნელოვან პლატფორმად აქცევს სხვადასხვა აქტორებისთვის, რომლებიც ცდილობენ გავლენა მოახდინონ საზოგადოებრივ აზრზე.

ტელეგრამის გამოყენების სოციალური ასპექტები პროპაგანდაში

Telegram- ის სტრუქტურა ხელს უწყობს მომხმარებლებს შორის ავტონომიური ურთიერთობის განცდას, რაც მას განსაკუთრებით მიმზიდველს ხდის იმ პირებისთვის, რომლებიც ავრცელებენ ალტერნატიულ ან რადიკალურ შეხედულებებს. პლატფორმის აქცენტი კონფიდენციალურობასა და უსაფრთხოებაზე საშუალებას აძლევს მომხმარებლებს ჩაერთონ დისკუსიებში ცენზურის ან მეთვალყურეობის შიშის გარეშე, რომელიც ხშირად ასოცირდება მეინსტრიმულ სოციალურ მედიასთან. ეს გარემო ავითარებს უსაფრთხოების გრძნობას, რადგან მომხმარებლებს შეუძლიათ თავისუფლად გამოხატონ თავიანთი მოსაზრებები და გააზიარონ ინფორმაცია, რომელიც შეიძლება ჩაითვალოს საკამათოდ ან მიუღებლად სხვა სოციალურ ქსელში. როგორც ალტერნატიული სოციალური მედიის კვლევაში აღინიშნა, "Telegram უზრუნველყოფს სივრცეს, სადაც მხოლოდ გარკვეული რწმენა და იდეებია მირებული, ქმნის საზოგადოებას, რომელიც აძლიერებს მისი წევრების მსოფლმხედველობას".⁷ ეს ფსიქოლოგიური ასპექტი გადამწყვეტია იმ პირებისთვის, რომლებიც თავს გრძნობენ მარგინალიზებულად მეინსტრიმული ნარატივებით, რადგან Telegram საშუალებას აძლევს მათ იპოვონ თანამოაზრეები და ჩაერთონ დისკუსიებში, რაც განამტკიცებს მათ შეხედულებებს.

Telegram არსებითად ხელს უწყობს ექო პალატების და საზოგადოებების ფორმირებას კონკრეტული ნარატივების გარშემო. ჯგუფებსა და არხებზე მომხმარებლებს შეუძლიათ ადვილად შეიკრიბონ საერთო იდეოლოგიების საფუძველზე. კვლევის შედეგად დადგინდა რომ Telegram-ში ფუნქციონირებს დეცენტრალიზებული ულტრა-მემარჯვენე ჯგუფების ქსელი, სადაც აქტიური პროპაგანდა მიმდინარეობს. ეს კი იწვევს ექსტრემისტული შეხედულებების გაძლიერებას. ეს ექო პალატები ხასიათდება მოწინააღმდეგე შეხედულებების ნაკლებობით, რამაც შეიძლება გამოიწვიოს რადიკალიზაცია. ალგორითმული შინაარსის მოდერაციის არარსებობა ნიშნავს, რომ მომხმარებლები შესაძლოა ჩაიკეტონ კონკრეტულ ნარატივებში და შეზღუდონ თავიანთი საინფორმაციო სივრცის მრავალფეროვნება, რაც მეტი რადიკალიზაციის საქინდარია. როგორც კვლევებშია ხაზგასმული, ასეთი "სივრცეები კონკრეტულ საზოგადოებაზე არიან ორიენტირებული, აზიარებენ ინფორმაციას იმ თემებზე, რომლებიც მხოლოდ კონკრეტული აუდიტორიის ინტერესს ისახავს".⁸ ეს თვითგანმტკიცების ციკლი ხელს უწყობს ისეთი გარემოს შექმნას, სადაც პროპაგანდა ყველაზე შედეგიანი და ის ღრმად იდგავს ფესვებს სუბიექტის გონებაში.

⁷ Walther, Samantha, and Andrew McCoy. "US Extremism on Telegram: Fueling Disinformation, Conspiracy Theories, and Accelerationism." *Perspectives on Terrorism* 15, no. 2 (April 2021). <https://www.icct.nl/sites/default/files/import/publication/walther-and-mccoy-.pdf>.

⁸ Kiforchuk, Kyrlo. "Characterizing and Detecting Propaganda-Spreading Accounts on Telegram." *arXiv*, June 12, 2024. <https://arxiv.org/html/2406.08084v1>

რამდენიმე შემთხვევა გვიჩვენებს, თუ როგორ იქნა გამოყენებული Telegram პოლიტიკური კამპანიების, კონფლიქტებისა და დეზინფორმაციის ტალღების დროს. ერთ-ერთი საყურადღებო მაგალითია Telegram-ის გამოყენება ულტრამემარჯვენე ჯგუფების მიერ დიდ ბრიტანეთსა და აშშ-ში პოლიტიკური მოვლენების დროს. ამ ჯგუფებმა გამოიყენეს Telegram სიძულვილის ენის, შეთქმულების თეორიებისა და დეზინფორმაციის გასავრცელებლად. მაგალითად, COVID-19 პანდემიის დროს, სხვადასხვა ჯგუფები გადავიდნენ Telegram-ში, რათა თავი დაეღწიათ ცენზურისთვის რომელიც ძირითად პლატფორმებზე არსებობდა. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი კვლევა მოიცავს არჩევნებთან დაკავშირებული დეზინფორმაციის გავრცელებას. ბოლო დროს საარჩევნო ციკლის დროს Telegram არხები კანდიდატებისა და ხმის მიცემის პროცესების შესახებ ცრუ ნარატივების გასავრცელებლად გამოიყენეს. ეს მაგალითები ხაზს უსვამს პლატფორმის როლს, როგორც პროპაგანდისტული საქმიანობის ფასილიტატორის, რაც საშუალებას აძლევს სხვადასხვა აქტორებს შექმნან საჯარო დისკურსი თავიანთ სოციალურ სტრუქტურებში მიზნობრივი კამპანიების საშუალებით.

სოციალურ-ტექნიკური ურთიერთქმედება პროპაგანდაში Telegram-ზე

Telegram-ზე შინაარსის მოდერაცია მნიშვნელოვან გამოწვას წარმოადგენს როგორც ტექნიკური, ასევე სოციალური თვალსაზრისით. ტექნიკურად, პლატფორმის დაშიფვრის მახასიათებლები ართულებს ზედამხედველობას, მოდერაციაზე პასუხისმგებლობა ეკისრებათ არხის ადმინისტრატორებს, რომლებსაც ხელთ არც ისე ბევრი ინსტრუმენტი ეწიფებათ. "მოდერატორებს აქვთ წვდომა შეზღუდულ ინფორმაციაზე მათ არხებში... და, როგორც წესი, მუშაობენ ხელით ან იყენებენ მარტივ ავტომატიზაციის პროგრამულ უზრუნველყოფას, რომელიც მიზნად ისახავს უხამსი შეტყობინებების ან ფიშინგის ბმულების წაშლას".⁹ სოციალური თვალსაზრისით, არსებობს ძლიერი წინააღმდეგობა Telegram-ზე გარე ჩარევის მიმართ. მომხმარებლები ხშირად აღიქვამენ გარკვეული შინაარსის მატარებელი ინფორმაციის გავრცელების შეზღუდვას როგორც ცენზურას, რამაც შეიძლება გამოიწვიოს რეაგირება რეგულირების მცდელობების წინააღმდეგ. Telegram-ის დეცენტრალიზებული ბუნება კიდევ უფრო ართულებს ამ პროცესს; როგორც ულტრა-მემარჯვენე ქსელების კვლევაში აღინიშნა, "ულტრა-მემარჯვენე Telegram ქსელის სტრუქტურა დეცენტრალიზებულია".¹⁰ ეს ფრაგმენტაცია ურთულებს ნებისმიერ ერთეულს პლატფორმის მასშტაბით ეფექტური მოდერაციის განხორციელებას. გარდა ამისა, პლატფორმის დიზაინი ხელს უწყობს ანონიმურობისა და ფსევდო-ანონიმურობის კულტურას, რაც მომხმარებლებს საშუალებას აძლევს იმოქმედონ ანგარიშვალდებულების გარეშე. ეს გარემო მიმზიდველია პროპაგანდისტებისთვის, რომლებსაც შეუძლიათ დეზინფორმაციის გავრცელება რეპრესირების შიშის გარეშე. Telegram-ის ტექნიკური მახასიათებლებისა და სოციალური ასპექ-

⁹ Mammadova, Sayyara. "How Telegram Became Russia's Top Propaganda & Disinformation Tool." *Atlantic Council*, 2023. <https://www.youtube.com/watch?v=FdP8SpHTqfw>.

¹⁰ Bovet, Alexandre, et al. "Organization and Evolution of the UK Far-Right Network on Telegram." *PMC*, November 15, 2022. <https://pmc.ncbi.nlm.nih.gov/articles/PMC9667007/>.

ტების ურთიერთქმედება ქმნის უნიკალურ გარემოს, რომელიც ხელს უწყობს პროპაგანდის გავრცელებას და მნიშვნელოვნად ართულებს რეგულირებასა და მოდერაციას.

შედეგები და დისკუსია

Telegram-ის გავლენა საზოგადოებრივ აზრსა და დემოკრატიულ პროცესებზე ძალზედ დიდია. როგორც პლატფორმა, რომელიც ინფორმაციის სწრაფი გავრცელების საშუალებას იძლევა, Telegram გახდა სასიცოცხლო ინსტრუმენტი პოლიტიკური აქტივებისთვის, რომლებიც ცდილობენ გავლენა იქონიონ ამომრჩევლის ქცევაზე და მანიპულირება მოახდინონ საზოგადოების განწყობებით. "დაშიფრული Messenger პლატფორმები გახდა უაღრესად მნიშვნელოვანი ინსტრუმენტები მთელ მსოფლიოში ამომრჩევლებზე მანიპულირებისა და შეცდომაში შეყვანისთვის".¹¹ ამ მანიპულაციამ შეიძლება გამოიწვიოს საზოგადოებრივი აზრის მნიშვნელოვანი ცვლილებები, ხშირად დეზინფორმაციის ან მიკერძოებული ნარატივების საფუძველზე. Telegram-ზე ეფექტური მოდერაციის არარსებობა პროპაგანდის უკონტროლო წარმოების საშუალებას იძლევა, რამაც შეიძლება ძირი გამოუთხაროს დემოკრატიულ პროცესებს. მაგალითად, არჩევნების დროს პროპაგანდისტებს შეუძლიათ გამოიყენონ პლატფორმა კანდიდატების ან ხმის მიცემის პროცედურების შესახებ ცრუ ინფორმაციის გასავრცელებლად, რაც გავლენას ახდენს ამომრჩეველთა აღქმასა და გადაწყვეტილებებზე. ბოლოდროინდელ ანგარიშში ხაზგასმულია, რომ "გამოკითხულ მომხმარებელთა 62%-მა მიიღო პოლიტიკური შინაარსის შეტყობინებები აპლიკაციებზე, როგორცაა Telegram, ამ ინფორმაციის 55% უცნობი წყაროებიდან მოდის".¹² ეს იმაზე მეტყველებს, რომ ბევრი ადამიანი ექვემდებარება პოტენციურად შეცდომაში შემყვან კონტენტს მისი ნამდვილობის გადამოწმების შესაძლებლობის გარეშე, რაც შეშფოთებას იწვევს დემოკრატიულ საზოგადოებებში.

Telegram-ის სხვა პლატფორმებთან შედარებისას, როგორცაა Facebook, WhatsApp და Twitter შეიმჩნევა რამდენიმე ძირეული სხვაობა. Facebook-ისა და Twitter-ისგან განსხვავებით, რომლებიც იყენებენ კომპლექსურ ალგორითმებს მომხმარებლის ურთიერთქმედების საფუძველზე ინფორმაციის ნაკადის კონტროლის მიზნით, Telegram წარმოგიდგენთ შეტყობინებებს ქრონოლოგიური თანმიმდევრობით ალგორითმული პრიორიტეტების გარეშე. ეს ნიშნავს, რომ ჯგუფებსა და არხებზე გაგზავნილი ყველა შეტყობინება მომხმარებლებისთვის ჩანს, რადგან ისინი იქაა განთავსებულია, რაც უფრო პირდაპირი კომუნიკაციის საშუალებას იძლევა ალგორითმული ფილტრაციის გავლენის გარეშე. გარდა ამისა, Telegram-ის ფოკუსირება კონფიდენციალურობასა და უსაფრთხოებაზე იზიდავს მომხმარებლებს, რომლებიც ეძებენ ძირითადი პლატფორმების ალტერნატივას. მიუხედავად იმისა, რომ WhatsApp გთავაზობთ მსგავს შესაძლებლობებს, მას აქვს უფრო მკაცრი პოლიტიკა პოლიტიკური შინაარსის ნარატივების

¹¹ Walther, Samantha, and Andrew McCoy. "US Extremism on Telegram: Fueling Disinformation, Conspiracy Theories, and Accelerationism." *Perspectives on Terrorism*15, no. 2 (April 2021). .

¹² Walther, Samantha, and Andrew McCoy. "US Extremism on Telegram: Fueling Disinformation, Conspiracy Theories, and Accelerationism." *Perspectives on Terrorism*15, no. 2 (April 2021).

გავრცელებასთან დაკავშირებით. მაგალითად, WhatsApp უკრძალავს პოლიტიკურ პარტიებს გამოიყენონ თავისი პლატფორმა კამპანიებისთვის. ამის საპირისპიროდ, Telegram საშუალებას აძლევს ნებისმიერ მსურველს შექმნას არხები და ფართოდ გავრცელოს საკუთარი აზრი, რაც მას პროპაგანდისტებისთვის უფრო მოქნილ პლატფორმად აქცევს.

დასკვნა

ყოველი ზემოთქმულიდან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ, რომ Telegram-ის ეს სოციალურ-ტექნიკური ანალიზი, როგორც თანამედროვე პროპაგანდის ინსტრუმენტისა, ავლენს რამდენიმე ძირითად ასპექტს მის უნიკალურ მახასიათებლებთან დაკავშირებით. Telegram-ის არქიტექტურა, რომელიც ხასიათდება კონფიდენციალურობაზე, არხების დიდ შესაძლებლობებსა და კონტენტის მინიმალურ კონტროლზე აქცენტით, ქმნის გარემოს, რომელიც განსაკუთრებით უწყობს ხელს პროპაგანდის გავრცელებას. პლატფორმის დაშიფვრის პოლიტიკა იზიდავს მომხმარებელთა მრავალფეროვან სპექტრს, მათ შორის სახელმწიფო აქტორებსა და დამოუკიდებელ ინფლუენსერებს, რომლებიც იყენებენ მის ფუნქციებს სასურველი ნარატივების გასავრცელებლად. ხაზი უნდა გაესვას Telegram-ის გავლენას საზოგადოებრივ აზრსა და დემოკრატიულ პროცესებზე. Messenger პლატფორმები, როგორცაა Telegram, მნიშვნელოვანი გახდა ამომრჩევლის აღქმის მანიპულირებისა და პოლიტიკურ შედეგებზე გავლენის მოხდენაში მთელი მსოფლიოს მასშტაბით. გადაუმოწმებელი ინფორმაციის სწრაფად გავრცელების შესაძლებლობამ დამატებით საფრთხეებს უქმნის საზოგადოების სტაბილურობასა და ინფორმირებულობას. Telegram-ის როლი პროპაგანდაში განსხვავდება სხვა პლატფორმებისგან, როგორცაა Facebook და WhatsApp. მიუხედავად იმისა, რომ ეს პლატფორმები იყენებენ კომპლექსურ ალგორითმებს, Telegram-ის ქრონოლოგიური შეტყობინების მიწოდების სისტემა საშუალებას იძლევა ინფორმაცია უფრო პირდაპირ გაუფილტრავდეს მივიღოთ. ეს სტრუქტურა არა მხოლოდ პროპაგანდის სწრაფად გავრცელების საშუალებას იძლევა, არამედ ხელს უწყობს ექო პალატების ჩამოყალიბებას, სადაც მომხმარებლები აძლიერებენ თავიანთ რწმენას განსხვავებული შეხედულებების ზემოქმედების გარეშე. Telegram უნიკალური პლატფორმაა, თავისი ტექნიკური და სოციალური მდგენელების კომბინაციით იგი უნივერსალურ პროპაგანდის მანქანად წარმოგვიდგება. იგი არის სივრცე, სადაც არ არსებობს ცენზურა და გზა ხსნილი ყოველგვარი სახის ინფორმაციისთვის. სწორედ ამიტომ, სამომავლოდ აუცილებელი იქნება ეფექტურ მოდერაციის მეთოდებისა თუ ალგორითმების შემუშავება, რომლებიც ერთდროულად უზრუნველყოფენ მომხმარებელთა პირადულობისა და სიტყვის თავისუფლების დაცვას, ხოლო მეორეს მხრივ შეზღუდავენ დეზინფორმაციასა და საზოგადოებისთვის ძირგამომთხრელ პროპაგანდას.

გამოყენებული ლიტერატურა

- Kiforchuk, Kyrlyo. "Characterizing and Detecting Propaganda-Spreading Accounts on Telegram." *arXiv*, June 12, 2024. <https://arxiv.org/html/2406.08084v1>.
- Walther, Samantha, and Andrew McCoy. "US Extremism on Telegram: Fueling Disinformation, Conspiracy Theories, and Accelerationism." *Perspectives on Terrorism* 15, no. 2 (April 2021).
<https://www.icct.nl/sites/default/files/import/publication/walther-and-mccoy-.pdf>.
- Sardarizadeh, Shayan. "How Telegram Became the Hub of Russian Propaganda." *Coda Story*, April 17, 2024. <https://www.codastory.com/newsletters/how-telegram-became-the-hub-of-russian-propaganda/>.
- "How Russian-Language Pro-Kremlin Telegram Channels Spread Propaganda and Disinformation About Refugees from Ukraine." *Institute for Strategic Dialogue*, 2024. https://www.isdglobal.org/digital_dispatches/a-false-picture-for-many-audiences-how-russian-language-pro-kremlin-telegram-channels-spread-propaganda-and-disinformation-about-refugees-from-ukraine/.
- "What is Telegram? The controversial chat app founded by Pavel Durov." *Evening Standard*, August 27, 2024. <https://www.standard.co.uk/tech/what-is-telegram-app-explained-b1000659.html>.
- Milan, Stefania. "Disguised Propaganda from Digital to Social Media." In *Disguised Propaganda: A New Approach*, edited by Stefania Milan et al., 2021. <https://www.diva-portal.org/smash/get/diva2:1419799/FULLTEXT01.pdf>.
- "Is Telegram a 'harbinger of freedom'? The performance, practices, and perceptions of the messaging platform Telegram as an actor in the 2020 Belarus protests." *Journal of Information Technology & Politics*, 2021. <https://www.tandfonline.com/doi/full/10.1080/1060586X.2022.2030645>.
- "Propaganda through Media." *Wikipedia*, last modified November 11, 2024. https://en.wikipedia.org/wiki/Social_media_propaganda.
- Kiforchuk, Kyrlyo. "Characterizing and Detecting Propaganda-Spreading Accounts on Telegram." *arXiv*, June 12, 2024. <https://arxiv.org/html/2406.08084v1>.
- Sardarizadeh, Shayan. "How Telegram Became the Hub of Russian Propaganda." *Coda Story*, April 17, 2024. <https://www.codastory.com/newsletters/how-telegram-became-the-hub-of-russian-propaganda/>.
- Doesburg, J.W.A. van. "An Alternative Rabbit Hole? An Analysis of the Construction of Echo Chambers within Coronavirus Activism Groups on Telegram." *Student Theses*, 2021. <https://studenttheses.uu.nl/handle/20.500.12932/690>.
- Bovet, Alexandre, et al. "Organization and Evolution of the UK Far-Right Network on Telegram." *PMC*, November 15, 2022.
<https://pmc.ncbi.nlm.nih.gov/articles/PMC9667007/>.

- Walther, Samantha, and Andrew McCoy. "US Extremism on Telegram: Fueling Disinformation, Conspiracy Theories, and Accelerationism." *Perspectives on Terrorism* 15, no. 2 (April 2021).
<https://www.icct.nl/sites/default/files/import/publication/walther-and-mccoy-.pdf>.
- Guhl, Lars, et al. "How Alternative Social Media Platforms Enable Echo Chambers." *Journal of Communication*, 2021. <https://www.tandfonline.com/doi/full/10.1080/19331681.2021.1976129>.
- Kiforchuk, Kyrylo. "Characterizing and Detecting Propaganda-Spreading Accounts on Telegram." *arXiv*, June 12, 2024. <https://arxiv.org/html/2406.08084v1>.
- Vanetik, Natalia, et al. "Propaganda Detection in Russian Telegram Posts in the Scope of the Russian Invasion of Ukraine." *Proceedings of RANLP 2023*.
<https://aclanthology.org/2023.ranlp-1.123.pdf>.
- Mammadova, Sayyara. "How Telegram Became Russia's Top Propaganda & Disinformation Tool." *Atlantic Council*, 2023. <https://www.youtube.com/watch?v=FdP8SpHTqfw>.
- Desmarais, Anna. "Report Shows How Messaging Apps Are Used to Spread Political Propaganda." *Euronews*, October 10, 2024. <https://www.euronews.com/next/2024/10/10/report-shows-how-messaging-apps-are-used-to-spread-political-propaganda>.
- Olaizola Rosenblat, Mariana, et al. "The Spread of Political Propaganda on Encrypted Messaging Apps." *Just Security*, October 11, 2024.
<https://www.justsecurity.org/104072/podcast-propaganda-encrypted-messaging-apps/>.
- Gnet Research Team. "Telegram's Role in Amplifying Tehreek-e-Taliban's Umar Media Propaganda and Sympathizer Outreach." *Gnet Research*, January 30, 2024. <https://gnet-research.org/2024/01/30/telegrams-role-in-amplifying-tehreek-e-talibans-umar-media-propaganda-and-sympathiser-outreach/>.

რუსეთ-უკრაინის ომის შედეგად ემიგრირებულ მოქალაქეთა გავლენა საქართველოს ეკონომიკურ და სოციალურ სტაბილურობაზე

დიმიტრი ბადუაშვილი
სსიპ-დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს
ეროვნული თავდაცვის აკადემიის
მაგისტრატურის სახელმწიფო რესურსების მართვის
მიმართულების მსმენელი

აბსტრაქტი

წინამდებარე სტატიის მიზანია, გავანალიზოთ რუსეთი-უკრაინის ომის შედეგად საქართველოში ემიგრირებული მოქალაქეების გავლენა ქვეყნის ეკონომიკურ და სოციალურ სტაბილურობაზე. რა გამოწვევები, სირთულეები და შესაძლებლობები წარმოიქმნა საქართველოსთვის ემიგრანტების მიღების შედეგად და როგორია მათი ზეგავლენა საქართველოში ეკონომიკურ და სოციალურ სტაბილურობაზე.

სტატიაში გამოყენებულია რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის მეთოდი. მოყვანილია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის და შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემები საქართველოს საზღვრის კვეთის შესახებ. ასევე, ქართული და უცხოური სხვადასხვა ორგანიზაციის სოციალური კვლევები რუსეთის მოქალაქეების დამოკიდებულების შესახებ საქართველოზე და მათი საქმიანობის სამომავლო გეგმებზე. ასევე, საქართველოს მოქალაქეთა დამოკიდებულება რუსეთის მოქალაქეების საქართველოში საქმიანობასთან დაკავშირებით. მოყვანილია არაერთი კვლევა და სტატისტიკური მონაცემი საქართველოში უძრავი ქონების ფასების ურთიერთდამოკიდებულებაზე სხვადასხვა წლებში.

აღნიშნული სტატისტიკებისა და კვლევების საფუძველზე განალიზებულია რუსეთ-უკრაინის ომის შედეგად ჭარბი რაოდენობით ემიგრირებულ მოქალაქეთა როგორც დადებითი ისე უარყოფითი ეფექტი საქართველოს მოსახლეობის სოციალურ და ეკონომიკურ მდგომარეობაზე და სტაბილურობაზე.

საკვანძო სიტყვები: რუსეთ-უკრაინის ომი, ემიგრანტები, სოციალური სტაბილურობა, ეკონომიკური სტაბილურობა, უძრავი ქონება.

The Impact of Citizens Emigrated Due to the Russia-Ukraine War on Georgia's Economic and Social Stability

Dimitri Baduashvili

Student of Master's Program in State Resource Management of
LEPL - David Aghmashenebeli National Defense Academy of Georgia

Abstract

The purpose of this article is to analyze the impact of citizens who emigrated to Georgia as a result of the Russia-Ukraine war on the country's economic and social stability. The article examines the challenges, difficulties, and opportunities that emerged for Georgia due to the reception of emigrants and evaluates their influence on Georgia's economic and social stability.

The article employs both quantitative and qualitative research methods. It includes data from the National Statistics Office of Georgia and the Ministry of Internal Affairs regarding border crossings in Georgia. Additionally, it incorporates social studies conducted by various Georgian and international organizations on the attitudes of Russian citizens toward Georgia and their future plans, as well as the opinions of Georgian citizens about the activities of Russian nationals in Georgia. Research findings and statistical data from various organizations on the correlation of real estate prices in Georgia over different years are also presented.

Based on the presented statistics and studies, the article evaluates both the positive and negative effects of the significant influx of emigrants resulting from the Russia-Ukraine war on the social and economic conditions and stability of Georgia's population.

Keywords: Russia-Ukraine war, emigrants, social stability, economic stability, real estate.

შესავალი

2022 წლის 24 თებერვალს რუსეთმა მასშტაბური ომი წამოიწყო უკრაინის წინააღმდეგ, რითაც მნიშვნელოვნად შეიცვალა, არა მარტო უკრაინის ბედი, არამედ სრულიად მსოფლიოში არსებული გეოპოლიტიკური სიტუაცია და მისი განვითარების ტენდენციები. ომის შედეგები, რომელიც ყოველდღიურად იცვლება, უმძიმესი და საკმაოდ დიდი ზიანის მომტანია როგორც უკრაინისათვის, ისე რუსეთისათვის. ომის დაწყებიდან მალევე, მილიონობით რუსმა და უკრაინელმა მოქალაქემ დატოვა თავისი ქვეყანა და გაემგზავრნენ ემიგრაციაში. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ეს არის პირველი შემთხვევა, როდესაც ე.წ. დევნილთა კრიზისი დაიწყო. 6.3 მილიონზე მეტმა უკრაინელმა დატოვა ქვეყანა და ქვეყნის მოსახლეობის მესამედი იძულებით გადაადგილებული პირი გახდა.¹ ამ მხრივ არც რუსეთია უკეთეს მდგომარეობაში, ძნელია ზუსტი რაოდენობის დასახელება თუ რუსეთის რამდენმა მოქალაქემ დატოვა ქვეყანა. თუმცა, სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით 2022 წლიდან დღემდე რუსეთი დაახლოებით 2,5 მილიონამდე მოქალაქემ დატოვა. ემიგრანტების დიდი ნაწილის არჩევანი საქართველოც გახდა და ამ მოვლენამ ღრმა გავლენა იქონია საქართველოში არსებულ ეკონომიკურ და სოციალურ გარემოსა და სტაბილურობაზე.

ძირითადი ნაწილი

რუსეთის უკრაინაში შეჭრის შემდეგ საქართველო ერთ-ერთ მთავარ ადგილად იქცა იმ ადამიანებისთვის, რომლებმაც ქვეყნიდან გაქცევა გადაწყვიტეს. პირველ რიგში, ეს ეხება რუსეთის მოქალაქეებს, რომლებიც ანტიპუტინისტური პოზიციების გამო ეძებენ თავშესაფარს. აღნიშნულ საზოგადოებაში საქართველოზე განსაკუთრებით მაღალი მოთხოვნა შეიქმნა, რისი ძირითადი მიზეზები გახლავთ ის რომ, საქართველო რუსი მოქალაქეებისათვის ნაკლებ ბარიერს წარმოადგენს როგორც კულტურულ, ისე ენობრივ ასპექტში და ამასთან, საქართველოში უფრო თავისუფალი პოლიტიკური და სოციალური გარემოა აღნიშნული სეგმენტისთვის ვიდრე რუსეთში. ასევე, მნიშვნელოვანი გარემოებაა გამარტივებული სავიზო პოლიტიკა როგორც რუსი, ისე უკრაინელი მოქალაქეებისათვის, მაშინ როცა სხვა ქვეყნებში, მაგალითად, ევროკავშირში ან თურქეთში, მკაცრი სავიზო პოლიტიკაა და გარკვეული ლოგისტიკური ბარიერებიც არსებობს. შინაგან საქმეთა სამინისტორს საქართველოს საზღვრის კვეთის სტატისტიკა გვაჩვენებს რომ, ომის კვალდაკვალ, საქართველოს სახელმწიფო საზღვრის კვეთისას სულ უფრო და უფრო მეტი რუსეთის მოქალაქე ფიქსირდებოდა. 2022 წელს, საქართველოს სახელმწიფო საზღვარი მთლიანობაში გადაკვეთა 1 459 541-მა რუსეთის მოქალაქემ, ხოლო 2023 წელს კი 1 856 236 რუსეთის მოქალაქემ. რაც შეეხება მიმდინარე მონაცემებს, 2024 წლის პირველი სამი კვარტლის მდგომარეობით, საქართველოში შემო-

¹ ალექსანდრა ვაგნერი, „ვინ სად და როგორ გაექცა ომს - უკრაინელი და რუსი მიგრანტები“, რადიო თავისუფლება, (2023 წლის 19 დეკემბერი) <https://shorturl.at/CqKQK> [ბოლოს შესვლის თარიღი: 2024 წლის 10 ნოემბერი].

სულია 1 490 079 რუსი მოქალაქე და გასულია 1 488 438.² მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნაც, რომ საზღვრის გადმომკვეთ ყველა პირს იმიგრანტის სტატუსი არ აქვს. სამწუხაროდ, საქართველოში შემოსული და დარჩენილი რუსეთის მოქალაქეების ზუსტ რიცხვს არ ასაჯაროებს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, რაც ართულებს იმის დადგენას თუ რამდენი რუსეთისა თუ უკრაინის მოქალაქე დარჩა საქართველოში, თუმცა სხვადასხვა სტატისტიკური მონაცემის ანალიზის საფუძველზე, 2022 წლის საწყისი 9 თვის განმავლობაში საქართველოში რუსეთის ფედერაციის 112 ათას მოქალაქეზე მეტი დარჩა.

რუსეთის მოქალაქეების ჭარბი რაოდენობის საქართველოში შემოსვლასთან ერთად რიგ გამოწვევად რჩება იმის გაგებაც, თუ რა სახის ეკონომიკურ აქტივობას ეწევიან საქართველოში და უკავშირებენ თუ არა გრძელვადიან სამომავლო მიზნებს საქართველოს. აღნიშნულზე პასუხის მისაღებად საჭიროა გადავხედოთ სხვადასხვა ორგანიზაციის კვლევებს და გავანალიზოთ მიღებული შედეგები. IDFI³-ის კვლევის მიხედვით, მხოლოდ 2022 წლის სექტემბრამდე, რუსეთის მოქალაქეებმა საქართველოში 15,164 შენობა/ნაგებობა (13,262 ბინა) შეისყიდეს. რუსეთის მოქალაქეების საკუთრებაში გადავიდა 13,850 მიწის ნაკვეთიც. 2022 წლის იანვრიდან ნოემბრამდე პერიოდში, თბილისში, სახლის/ბინის ნასყიდობის ტრანზაქციებში, რუსეთის მოქალაქეების წილი 0.9%-დან 5%-მდე გაიზარდა. ბათუმში ეს ზრდა კიდევ უფრო 17.6%- მდე შეადგინა.⁴

რადიო „თავისუფლების“ მიერ მოპოვებული და გამოქვეყნებული მონაცემების მიხედვით 2022 წლის განმავლობაში, საქართველოში ჯამურად რუსული წარმოშობის 11,000-ზე მეტი ბიზნესი დარეგისტრირდა.⁵

აღნიშნული მონაცემების საფუძველზე ნათელია რომ, რუსეთის მოქალაქეები საქართველოსთან კავშირს ხანგრძლივი დროის პერსპექტივით განიხილავენ. ეს ერთი მხრივ დადებითად უნდა აისახოს საქართველოში ეკონომიკის განვითარებაზე, როგორც უცხოური ინვესტიციების ჩადება ქართულ ბიზნეს სექტორში, თუმცა ეს ფაქტი მეორე მხრივ ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა საქართველოს მოსახლეობისთვისაც და ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოებისთვისაც. ამის თქმის საშუალებას გვაძლევს რუსეთის მოქალაქეების დამოკიდებულება საქართველოსადმი. 2023 წლის მარტში სოციოლოგიური ჯგუფი „after 24“-ის მიერ ჩატარდა კვლევები, რომელთა მიზანი იყო გამოერკვიათ რუსეთის მოქალაქეების დამოკიდებულება და განწყობა საქართველოსადმი. კვლევამ რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი გამოკვეთა, კერძოდ, საქართველოში ემიგრირებული რუსეთის მოქალაქეების უმრავლესობა ამბობს, რომ ის საქართველო-

² შინაგან საქმეთა სამინისტრო, საჯარო ინფორმაცია, „საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე გადაადგილებული პირებისა და ტრანსპორტის სტატისტიკური მონაცემები“, შინაგან საქმეთა სამინისტრო, <https://shorturl.at/LgdMh> (გახსნილია 2024 წლის 01 ნოემბერს).

³ IDFI - ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტიუტი.

⁴ IDFI - ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტიუტი, „რუსული კაპიტალი და რუსული კავშირები ქართულ ბიზნესში“, (2022-2023)“, <https://goto.now/ubbb1> [ბოლოს შესვლის თარიღი: 2024 წლის 05 ნოემბერი].

⁵ ნასტასია არაბული, „ერთ ფიქტიურ მისამართზე 300 რუსული ბიზნესი - რატომ ხდება ასე საქართველოში?“, რადიო თავისუფლება, (2022 წლის 02 დეკემბერი) <https://www.radiotavisupleba.ge/a/32159376.html> [ბოლოს შესვლის თარიღი: 2024 წლის 02 ნოემბერი].

ში ჩამოვიდა ეკონომიკური სანქციების შემსუბუქების ან ომში გაწვევის საფრთხის გამო. ასევე მათ პოლიტიკური პროცესების მიმართ აქვთ პასიური დამოკიდებულება და არ ფლობენ ინფორმაციას რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციასთან დაკავშირებით. ასევე, საჭიროდ თვლიან, რომ საქართველოში შექმნან რუსული საზოგადოება და ამ მიზნით ქმნიან გარკვეულ სივრცეებს (ბარები, კვების ობიექტები), ძირითადად ურთიერთობენ ერთმანეთთან და ნაკლებად საზოგადოებს სხვა ჯგუფებთან.⁶

მაშასადამე მიმდინარე სოციალური გარემოს გათვალისწინებით, იკვეთება რეალური რისკი იმისა, რომ ჩამოყალიბდეს დამოუკიდებელი და განცალკევებული თემი. როდესაც მასპინძელ საზოგადოებაში იმიგრირებული ჯგუფი გარკვეულ ავტონომიას ქმნის საზოგადოების შიგნით, ხოლო ამას თან ერთვის ჯგუფთან მიმართებაში მასპინძელ საზოგადოებაში არსებული უარყოფითი ისტორიული გამოცდილებები და აღქმები, ამან შესაძლოა გამოიწვიოს დაძაბულობის მატება ჯგუფებს შორის და საფრთხე შეუქმნას საზოგადოებრივ სტაბილურობას. ამ რისკის გათვალისწინება მნიშვნელოვანია იმის ფონზე, რომ საქართველოს მოსახლეობის 79% არ ეთანხმება რუსეთის მოქალაქეების უვიზოდ შემოსვლას ქვეყანაში და მათ მიერ კერძო საკუთრების შესყიდვას და ბიზნესის რეგისტრაციას.⁷ ამასთან ქვეყანაში ემიგრირებული, განსაკუთრებით კი რუსი მოქალაქეების, ნაკადმა გარკვეული გავლენა მოახდინა ქვეყნის შინაგან პოლიტიკურ კონფიგურაციაზე. მას შემდეგ, რაც რუსეთისგან ემიგრანტებმა საქართველოში მიგრაცია დაიწყეს, გაიჩვენა, რომ ამ ადამიანების ნაწილი პოლიტიკურად აქტიურია და თავიანთ ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებზე აქვთ კავშირი. ზოგიერთ შემთხვევაში ეს გამოიხატა დემონსტრაციულ აქტებში და მიტინგებში რაც რიგ შემთხვევებში იწვევს დაძაბულობას ადგილობრივ მოსახლეობასთან.

საქართველოსთვის მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება ემიგრანტების ინტეგრაციის უზრუნველყოფა ისე, რომ არ შეიქმნას ადგილობრივი მოსახლეობის გაუცხოება და დაპირისპირება. სოციალური სტაბილურობის დარღვევა კი ყოველთვის ახდენს გავლენას ეკონომიკაზე, რადგან ეცემა ბიზნესის ნდობა, იზრდება ხარჯები და იზრდება ეკონომიკური არასტაბილურობა.

რუსეთ-უკრაინის ომის შედეგად რუსეთიდან საქართველოში ემიგრირებული მოსახლეობა ქვეყნის ეკონომიკაზე მრავალმხრივ გავლენას ახდენს. მიუხედავად იმისა, რომ ახალი ფინანსური ნაკადები, ბიზნეს აქტივობების ზრდა და შრომის ბაზრის გაძლიერება დადებითად აისახება ქვეყნის ეკონომიკაზე, გრძელვადიან პერსპექტივაში არსებობს რისკები და საფრთხეები, რომლებიც საქართველოსთვის მნიშვნელოვანი გამოწვევაა. ინფლაციური ზეწოლა, უძრავი ქონების ბაზრის გაძვირება და სოციალური დაძაბულობა ქმნის დამატებით სირთულეებს ეკონომიკური სტაბილურობისთვის.

⁶ ლანა კოკია, ხატია დავლიანიძე, აკა ზარქუა, „საქართველოში მცხოვრები რუსი მიგრანტების სოციალური პორტრეტი“, *რეალპოლიტიკა*, (2023 წლის 21 მარტი) <https://www.radiotavisupleba.ge/a/32159376.html> [ბოლოს შესვლის თარიღი: 2024 წლის 05 ნოემბერი].

⁷ IRI – INTERNATIONAL REPUBLICAN INSTITUTE, “*National Public Opinion Survey of Residents of Georgia | March 2023*”, (2023 March)“, <https://shorturl.at/tAXO8> [ბოლოს შესვლის თარიღი: 2024 წლის 11 ნოემბერი].

უფრო დეტალურად რომ გავანალიზოთ თუ რა სარგებლისა და გამოწვევების მომტანია აღნიშნული პროცესები, მოვიყვანოთ სტატისტიკური მონაცემები. 2022 წლიდან პანდემიასთან დაკავშირებული თითქმის ყველა შეზღუდვა მოიხსნა, შესაბამისად, მკვეთრად იმატა როგორც რუსეთიდან შემოსულმა ვიზიტორებმა, ასევე რუსეთიდან შემოსული ვიზიტორების მიერ საქართველოში დახარჯულმა თანხებმა, თუმცა ეს მაჩვენებელი მკვეთრად ჩამოუვარდება 2019 წლის მაჩვენებელს. იმისთვის, რომ ნათელი წარმოდგენა შეგვექმნას ტურიზმის ზრდის ობიექტურ შეფასებაზე, შედარება უნდა გაკეთდეს სწორედ რომ 2019 წელზე. 2022 წელს საქართველოში 1,087.2 მილიონი რუსი ტურისტი შემოვიდა, რაც 2019 წელთან შედარებით 26,1%-ით ნაკლებია, თუმცა 2022 წელს რუსეთში გამოცხადებული მობილიზაციის შემდეგ, სექტემბერ-ოქტომბერში ვიზიტორების რიცხვმა 2019 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 14%-ით გადააჭარბა. 2022 წელს შემოსული რუსი ვიზიტორების რაოდენობა საქართველოს ვიზიტორების ჯამური მაჩვენებლის 20%-ია, რაც 2021 წლის მაჩვენებელს თითქმის 2-ჯერ, ხოლო 2019 წლის მაჩვენებელს 4,3%-ით აღემატება. 2022 წლის ეს მაჩვენებელი საქართველოს ჯამური ვიზიტორების რაოდენობაში ბოლო ათწლეულის მაქსიმალური რაოდენობაა.⁸ ბუნებრივია აღნიშნულ პროცესებს დადებითი ეფექტი ახლავს, ვინაიდან მაღალი ვიზიტორების რაოდენობას თან მიღებულ შემოსავლების მაღალი მაჩვენებელიც ახლავს. 2022 წელს რუსი ტურისტებისაგან მიღებულმა სარგებლის მაჩვენებელმა 891 მილიონ დოლარს გადააჭარბა, რაც ჯამურად საერთაშორისო ვიზიტორებისგან შემოსული შემოსავლების 25,34% იყო. აღნიშნული 891 მილიონი აშშ დოლარი 5,8-ჯერ აღემატებოდა 2021 წლის, ხოლო დაახლოებით 14%-ით 2019 წლის მაჩვენებელს. ამ მოვლენების ეფექტი მნიშვნელოვნად გამოიხატა 2022 და 2023 წლებში ლარის გამყარებით დოლართან მიმართებაში, რამაც მნიშვნელოვანი გავლენა იქონია საქართველოს ეკონომიკის სტაბილურობაზე. თუმცა თავის მხრივ აღნიშნულმა მოვლენებმა მნიშვნელოვანი გამოწვევები წარმოშვა პროდუქციის და განსაკუთრებით უძრავი ქონების ფასებზე.

ეკონომიკაში ფინანსური რესურსების მოზღვავებამ ინფლაციური ზეწოლა შეიძლება გამოიწვიოს. როცა ბინების ქირისა და პროდუქტებზე ფასები იზრდება, საბოლოოდ ეს ზრდა სხვა პროდუქციისა და სერვისების ფასებზეც აისახება. ინფლაციის ზრდა ადგილობრივი მოსახლეობის შემოსავლებზე ნეგატიურ გავლენას ახდენს, რაც მათ მყიდველობით უნარს აქვეითებს და ქმნის დამატებით სოციალურ რისკებს. ინფლაციის მართვა და მასზე ზემოქმედების კონტროლი საქართველოს ეკონომიკისთვის რთული გამოწვევაა და საჭიროებს შესაბამის სტრატეგიულ გადაწყვეტილებებს, რათა ფასები არ გახდეს კიდევ უფრო არასტაბილური.

რუსეთიდან ემიგრაციის შემდეგ უძრავი ქონების ბაზარზე მკვეთრი ცვლილებები მოხდა. საცხოვრებელი ფართის მოთხოვნა განსაკუთრებით გაიზარდა დედაქალაქ თბილისში და სხვა დიდ ქალაქებში, რამაც ქირის ფასების მნიშვნელოვან ზრდაც

⁸ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, „უცხოელ ვიზიტორთა სტატისტიკა“, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, <https://shorturl.at/E7JCI> (გახსნილია 2024 წლის 12 ნოემბერს).

გამოიწვია. ეს ზრდა აძვირებს საცხოვრებელ პირობებს ადგილობრივი მოსახლეობისთვის და ქმნის სოციალურ უთანასწორობას. ადგილობრივ მოსახლეობას, განსაკუთრებით საშუალო და დაბალშემოსავლიან სეგმენტებს, უჭირთ ბინების ქირაობა და უძრავი ქონების შეძენა, რაც კიდევ უფრო ამძაფრებს ეკონომიკურ უთანასწორობას და ქმნის სოციალურ დამაბულობას.

პროდუქციაზე ფასების ზრდაზე ბუნებრივია ბევრი ფაქტორი ახდენს გავლენას. მაგალითად გლობალური მიწოდების ჯაჭვის მოშლა და პროდუქციის გართულებული მიმოსვლა, მითუმეტეს იმ ფონზე როდესაც საქართველო ეკონომიკურად დიდ წილადაა დამოკიდებული როგორც უკრაინაზე ისე რუსეთზე. შესაბამისად ომის დაწყების შემდეგ რუსეთისთვის დაწესებულმა სანქციებმა მნიშვნელოვნად გაურთულა საქართველოს რუსეთთან ვაჭრობა, რამაც ასევე იმოქმედა პროდუქციის ფასებზე, თუმცა მოჭარბებული ემიგრანტებიდან გამოწვეული პროდუქციაზე მაღალი მოთხოვნაც გახდა ფასების ზრდის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი. ამის დამადასტურებელი მოვლენაა თბილისსა და ბათუმში საცხოვრებელ ბინებზე ფასების გაორმაგებული ტემპებით ზრდა. სწორედ იმ ქალაქებში სადაც ემიგრანტების დიდ უმრავლესობა დაბინავდა და სწორედ მათი მაღალი მოთხოვნის პირდაპირი გავლენა გახდა ბინების ფასზე, დროის მცირე მონაკვეთში, არაორდინალურად მაღალი ზრდის მიზეზი. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურისა და სხვადასხვა ანალიტიკურ წყაროებზე დაყრდნობით ქვემოთ მოცემულია 2016-2018 და 2021-2024 წლებში თბილისში საცხოვრებელი ბინის კვადრატული მეტრის ღირებულებისა (შავი კარკასი) და გაქირავების საშუალო ფასები. სტატისტიკაში გამოტოვებული 2019 და 2020 წლები კოვიდპანდემიიდან გამომდინარე ეკონომიკური უძრაობის გამო.

ცხრილი N1. საცხოვრებელი ბინის კვადრატული მეტრის საშუალო ფასი თბილისში.^{9, 10, 11}

წელი	საშუალო ფასი (ლარი/მ ²)	ზრდის მაჩვენებელი პროცენტი	საშუალო გაქირავების ფასი (ლარი/მ ²)	ზრდის მაჩვენებელი პროცენტი
2016	1,150 - 1,200	5-6%	12-14 ლარი/მ ²	5-7%
2017	1,250 - 1,300	6-8%	13-15 ლარი/მ ²	6-8%
2018	1,350 - 1,400	7-8%	14-16 ლარი/მ ²	5-7%
2021	1,450 - 1,500	10-12%	15-18 ლარი/მ ²	10-15%
2022	1,600 - 1,700	10-15%	17-20 ლარი/მ ²	10-15%

⁹ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, „საცხოვრებელი უძრავი ქონების ფასების ინდექსი“, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, <https://shorturl.at/4FOlq> (გახსნილია 2024 წლის 01 ნოემბერს).

¹⁰ TBC CAPITAL, “თბილისის საცხოვრებელი უძრავი ქონება: ყოველთვიური მიმოხილვა”, (2023 წლის 27 მარტი) <https://shorturl.at/8cOSj> (გახსნილია 2024 წლის 01 ნოემბერს).

¹¹ შოთა ტყემელაშვილი, „უძრავი ქონების ფასი თბილისში ზრდას გააგრძელებს - ბაზრის კვლევა“, <https://jam-news.net>, (2019 წლის 03 აპრილი) <https://shorturl.at/SgI8G> [ბოლოს შესვლის თარიღი: 2024 წლის 01 ნოემბერი].

2023	1,800 - 1,900	8-10%	18-22 ლარი/მ²	8-10%
2024	2,000 (მინიმუმ)	5-8%	20-24 ლარი/მ²	5-8%

როგორც სტატისტიკიდანაც ჩანს 2016-2018 წლებში, როგორც გაქირავების ისე შესყიდვის ფასი მზარდია, თუმცა მზარდია სტაბილურად და მერყეობს 5-დან 8 პროცენტამდე. 2021 წელს ეს მაჩვენებელი იზრდება თითქმის ორჯერ რაც აიხსნებოდა კოვიდპანდემიის შემდეგ მოსახლეობაში არსებული მოთხოვნის რეაბილიტაციით, მათი გაზრდილი მოთხოვნებით. თუმცა როგორც მოსალოდნელი იყო ზრდის ტემპების შემცირება მომდევნო 2022 წლიდან, ეს ასე არ მოხდა, რადგან აქ სხვა გარემოება იჩენს თავს, რომელიც რუსეთ-უკრაინის ომის შედეგად დევნილი მოსახლეობის უძრავ ქონებაზე მაღალი მოთხოვნაა. სწორედ ამიტომ გაორმაგებული ფასების ზრდა გრძელდება არა მარტო 2022 წელს არამედ ეს ტემპი ნარჩუნდება 2023 წელსაც და წინა წელთან შედარებით ზრდა 2023 წელსაც 10% აღწევს. ზრდის მაჩვენებელი თავის ნორმალურ გარემოს 5-8% ნიშნულს მხოლოდ მიმდინარე წელსდა უბრუნდება, სწორედ მაშინ როდესაც ემიგრანტების ჭარბი შემოდინება აღარ ფიქსირდება. რა თქმა უნდა 5-8% ზრდის ტენდენცია გრძელდება, რაც ზოგადად უძრავი ქონების ფასის ზრდის ბუნებრივი მახასიათებელია, თუმცა ამ თანმიმდევრული და მეთოდური ზრდის მაჩვენებლის გაორმაგებული ტემპებით დროის მოკლე მონაკვეთში გაზრდამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ადგილობრივი მოსახლეობის სოციალურ მდგომარეობაზე.

აღნიშნული ვითარება საკმაოდ მტკივნეულად აისახება ადგილობრივ მოსახლეობაზე, რადგან გაზრდილი ფასები უარყოფით გავლენას ახდენს მოქალაქეების სოციალურ მდგომარეობაზე, რასაც მოსახლეობის უმრავლესობა სწორედ რუსი და უკრაინელი მოქალაქეების ჭარბი რაოდენობით შემოდინებას უკავშირებს, და წარმოშობს სოციალურ უთანასწორობას და უკმაყოფილების განცდას პოპულაციაში.

დასკვნა

ზემომდებარე სტატისტიკური მონაცემების ანალიზმა ცხადყო, რომ რუსეთ-უკრაინის ომის შედეგად საქართველოში შემოსული დიდი რაოდენობის ტურისტების ნაწილი სულაც არ არიან ტურისტები და საქართველოს სხვა გრძელვადიან მიზნებს უკავშირებენ, რაც გამოიხატა უძრავი ქონების შემენით, ბიზნესის წამოწყებითა და სხვა და სხვა სოციალური აქტივობებით. აღნიშნულმა პროცესებმა გამოიწვია ადგილობრივი მოსახლეობისათვის სოციალური მდგომარეობის გაუარესება, რაც თავის მხრივ საზოგადოებაში უკმაყოფილებისა საბაზი გახდა. ეს ყოველივე კი გამოწვევაა საქართველოს სოციალური და ეკონომიკური სტაბილურობისათვის.

მეორე მხრივ, ჭარბი მოსახლეობის შემოდინებას დამატებით უცხოური კაპიტალის დაბანდება მოჰყვა, რაც დადებითად აისახა ტურიზმისა და სამშენებლო ბიზნეს სექტორის განვითარებაზე. შესაბამისად ჩნდება ეკონომიკის მდგრადი განვითარების შესაძლებლობა, რომლის მიღწევაც სწორი და პრაგმატული პოლიტიკის გატარებითაა შესაძლებელი. თუმცა, იმისათვის, რომ არ მოხდეს ადგილობრივი მოსახლეობის სო-

ციალური ჩაგვრა, სახელმწიფოს მხრიდან საჭიროა გარკვეული ტიპის ჩარევები, რაც ძირითადად სოციალური გარემოს შემსუბუქებას უნდა ემსახურებოდეს. ეს შესაძლოა გამოიხატოს საერთო ფასების დარეგულირების გზით და ადგილობრივი მოსახლეობისათვის უძრავი ქონებისა თუ მიწების შეძენისას სუბსიდირებით, რაც გარკვეულწილად დააბალანსებს სოციალურ უთანასწორობას.

გამოყენებული ლიტერატურა

არაბული, ნასტასია, „ერთ ფიქტიურ მისამართზე 300 რუსული ბიზნესი - რატომ ხდება ასე საქართველოში?“, *რადიო თავისუფლება*, (2022 წლის 02 დეკემბერი) <https://www.radiotavisupleba.ge/a/32159376.html> [ბოლოს შესვლის თარიღი: 2024 წლის 02 ნოემბერი].

ვაგნერი, ალექსანდრა, „ვინ სად და როგორ გაექცა ომს - უკრაინელი და რუსი მიგრანტები“, *რადიო თავისუფლება*, (2023 წლის 19 დეკემბერი) <https://shorturl.at/CqKQK> [ბოლოს შესვლის თარიღი: 2024 წლის 10 ნოემბერი].

კოკაია ლანა, დავლიანიძე ხატია, ზარქუა აკა, „საქართველოში მცხოვრები რუსი მიგრანტების სოციალური პორტრეტი“, *რეალპოლიტიკა*, (2023 წლის 21 მარტი) <https://www.radiotavisupleba.ge/a/32159376.html> [ბოლოს შესვლის თარიღი: 2024 წლის 05 ნოემბერი].

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, „საცხოვრებელი უძრავი ქონების ფასების ინდექსი“, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, <https://shorturl.at/4FOlq> (გახსნილია 2024 წლის 01 ნოემბერს).

ტყემელაშვილი, შოთა, „უძრავი ქონების ფასი თბილისში ზრდას გააგრძელებს - ბაზრის კვლევა“, <https://jam-news.net>, (2019 წლის 03 აპრილი) <https://shorturl.at/SgI8G> [ბოლოს შესვლის თარიღი: 2024 წლის 01 ნოემბერი].

შინაგან საქმეთა სამინისტრო, საჯარო ინფორმაცია, „საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე გადაადგილებული პირებისა და ტრანსპორტის სტატისტიკური მონაცემები“, შინაგან საქმეთა სამინისტრო, <https://shorturl.at/LgdMh> (გახსნილია 2024 წლის 01 ნოემბერს).

IDFI - ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი, „*რუსული კაპიტალი და რუსული კავშირები ქართულ ბიზნესში*“, (2022-2023)“, <https://goto.now/ubbhI> [ბოლოს შესვლის თარიღი: 2024 წლის 05 ნოემბერი].

IRI - INTERNATIONAL REPUBLICAN INSTITUTE, “*National Public Opinion Survey of Residents of Georgia / March 2023*”, (2023 March)“, <https://shorturl.at/tAXO8> [ბოლოს შესვლის თარიღი: 2024 წლის 11 ნოემბერი]

TBC CAPITAL, “თბილისის საცხოვრებელი უძრავი ქონება: ყოველთვიური მიმოხილვა”, (2023 წლის 27 მარტი) <https://shorturl.at/8cOSj> (გახსნილია 2024 წლის 01 ნოემბერს).

გაეროს როლი მშვიდობის შენარჩუნებაში და მისი თანამედროვე გამოწვევები

მერაბ ხიმშიაშვილი

სსიპ-დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს
ეროვნული თავდაცვის აკადემიის
მაგისტრატურის სახელმწიფო რესურსების მართვის
მიმართულების მსმენელი

აბსტრაქტი

"გლობალური მშვიდობისა და უსაფრთხოების შენარჩუნება არის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გამოწვევა თანამედროვე საერთაშორისო სისტემაში. ამ კონტექსტში, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ისეთ საერთაშორისო ორგანიზაციას, როგორცაა გაერთიანებული ერების ორგანიზაცია „გაერო“. მოზრდილი გლობალური გამოწვევების პირობებში, გაეროს როლი მშვიდობის და უსაფრთხოების შენარჩუნებაში კრიტიკულად მნიშვნელოვანია. ეს ნაშრომი ყურადღებას ამახვილებს გაეროს როლზე მშვიდობის შენარჩუნების პროცესში, მიმოიხილავს მის ისტორიულ და თანამედროვე მნიშვნელობას, სტრუქტურას, ფუნქციებს და საქმიანობას, რომელიც მიმართულია გლობალური სტაბილურობის ხელშეწყობისკენ. გარდა ამისა, გაეროს საქმიანობის მიმდინარე გამოწვევებს, როგორცაა გლობალური კონფლიქტები, სერიოზული პრობლემები აქვს ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში. კვლევა ასევე განსაზღვრავს, როგორ შეიძლება ეფექტურად განვითარდეს გაეროს მიდგომები და ფილოსოფია მშვიდობის შენარჩუნებაში, რათა დაეხმაროს მსოფლიო საზოგადოებას გამოწვევებთან გამკლავებაში. გაერო, აღიარებულია როგორც ყველაზე ფართომასშტაბიანი და ყოვლისმომცველი საერთაშორისო ორგანიზაცია, რომლის ძირითადი მიზანი არის საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფა. გაეროს უშიშროების საბჭო წარმოადგენს მშვიდობის შენარჩუნების მთავარ ორგანოს, რომელიც მანდატების მეშვეობით ახორციელებს მშვიდობისმყოფელ ოპერაციებს მსოფლიოს სხვადასხვა კონფლიქტურ ზონებში. ამავდროულად, გაერო მნიშვნელოვან როლს ასრულებს კონფლიქტების პრევენციაში, ჰუმანიტარული კრიზისების მოგვარებაში და ადამიანის უფლებების დაცვის უზრუნველყოფაში, რაც მშვიდობისმყოფელობის პროცესის განუყოფელი ნაწილია. მნიშვნელოვანია აგრეთვე გაეროს გამოყენება სხვადასხვა გლობალური პრობლემების გადაჭრაში, რომელიც მოიცავს სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებას, გარემოს დაცვას და პანდემიის წინააღმდეგ ბრძოლას, იგულისხმება მისი უნივერსალური მიდგომები, რომელიც საჭიროებს საერთაშორისო თანამშრომლობას. ამასთან ორგანიზაცია ცდილობს აღმოეფხვრას ისეთ კონფლიქტების წარმოშობის ძირითადი მიზეზები, როგორცაა პოლიტიკა, ეკონომიკა და სოციალურ-კულტურული უთანხმოება. თუმცა, გაეროს ეფექტიანობის საკითხები ხშირად კრიტიკის ქვეშ ექცევა, განსაკუთრებით უახლესი მოვლენების მიმდინარეობისას, როგორცაა სირიელი და იემენური კონფლიქტები, ისრაელ პალესტინის კონფლიქტი და რათქმაუნდა რუსეთ უკრაინის საომარი მოქმედებები, რომლებიც ცხადყოფს, რომ ორგანიზაციის სირთულეები ხშირად მისი შემადგენელი წევრი ქვეყნების პოლიტიკურ ინტერესებზეა დამოკიდებული. გაერო ცდილობს საერთაშორისო პრობლემების გადაჭრას, მაგრამ ხშირად მისი ძალაუფლება გარკვეულწილად არაეფექტური ხდება. გასული წლების განმავლობაში, ერაყში ინტერვენციები და ავღანეთში ნატოს ოპერაციის რეალობამ აჩვენა, რომ საერთაშორისო ძალების ჩარევამ შეიძლება ვერ უზრუნველყოს სწორი და გრძელვადიანი მშვიდობა. იმისათვის, რომ მიღწეული იქნას გრძელვადიანი მშვიდობა, რომელთა მიღწევაც საზოგადოებას სჭირდება, აუცილებელია გაეროს რეფორმირება. ეს რეფორმები უნდა მოიცავდეს უკეთესი პრევენციული დიალოგისა და საერთაშორისო თანამშრომლობის სტრატეგიების დანერგვას, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს აღდგენის პროცესებს იმ ქვეყნებში, რომლებსაც განსაკუთრებული მხარდაჭერა სჭირდებათ.

საკვანძო სიტყვები: გაერო, მსოფლიო სტაბილურობა, საერთაშორისო თანამშრომლობა, ადამიანის უფლებები, ჰუმანიტარული კრიზისები.

The UN's role in maintaining peace and its contemporary challenges

Merab Khimshiashvili

Student of Master's Program in State Resource Management of
LEPL - David Aghmashenebeli National Defense Academy of Georgia

Abstract

Maintaining global peace and security remains a critical challenge within the modern international system, with the United Nations (UN) playing a central role in these efforts. As global challenges intensify, the UN's responsibility in promoting peace and security has become increasingly significant. This paper examines the UN's role in peacekeeping, its historical and contemporary impact, and the structure, functions, and activities that underpin its mission for global stability. The study also addresses contemporary challenges faced by the UN, such as ongoing global conflicts and issues in human rights protection, while exploring ways to strengthen the UN's philosophy and approaches to better support the global community.

Recognized as the largest and most comprehensive international organization, the UN's primary purpose is to ensure international peace and security. The UN Security Council, as the main peacekeeping authority, deploys peacekeeping missions in conflict zones worldwide. Additionally, the UN is pivotal in conflict prevention, humanitarian crisis response, and human rights protection—each essential to its peacekeeping mission. Beyond conflict resolution, the UN addresses global issues like socioeconomic development, environmental protection, and pandemic response, emphasizing collaborative, universal approaches.

The organization also seeks to address root causes of conflicts, including political, economic, and socio-cultural disparities. However, the UN's effectiveness has been frequently criticized, especially in the context of recent crises like the Syrian and Yemeni conflicts, the Israeli-Palestinian conflict, and the Russia-Ukraine war, where geopolitical interests of member states often impede action. Moreover, past interventions, such as in Iraq and Afghanistan, have shown that international forces alone cannot guarantee lasting peace.

To achieve the sustainable peace that global society seeks, reform within the UN is essential. Such reforms should prioritize improved preventive diplomacy and international cooperation, facilitating recovery and support for nations in need.

Keywords: UN, world stability, international cooperation, human rights, humanitarian crises.

შესავალი

გლობალური მშვიდობის შენარჩუნება და საერთაშორისო უსაფრთხოების უზრუნველყოფა თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობების ფუნდამენტური გამოწვევებია. მიუხედავად იმისა, რომ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ საერთაშორისო საზოგადოების მიზანი იყო გლობალური უსაფრთხოების ხელშეწყობა და ომების პრევენცია, მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში მიმდინარე სამხედრო კონფლიქტები, ტერორიზმი, და რეგიონალური დაპირისპირებები დღემდე მნიშვნელოვან პრობლემად რჩება. „დიდ სახელმწიფოებს ერთმანეთის ეშინიათ. ისინი ერთმანეთს ეჭვით უყურებენ და შიშობენ რომ ომი შეიძლება ახლო მომავალში იყოს მოსალოდნელი“.¹⁰⁸ თანამედროვე ეპოქაში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს საერთაშორისო ორგანიზაციები, განსაკუთრებით კი გაეროს როლი, რომელიც მშვიდობისა და უსაფრთხოების მხარდაჭერის ერთ ერთ ძირითად ინსტრუმენტად გვევლინება. გაერთიანებული ერების ორგანიზაცია (გაერო) დაარსდა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, რომლის მთავარი მიზანი იყო საერთაშორისო თანამშრომლობის ხელშეწყობა და გლობალური მშვიდობისა და უსაფრთხოების შენარჩუნება. ათწლეულების განმავლობაში, ის განვითარდა და აიღო გადამწყვეტი როლი სამშვიდობო ოპერაციებში მთელს მსოფლიოში. ეს ოპერაციები შექმნილია იმისთვის, რომ დაეხმაროს ქვეყნებს კონფლიქტის მშფოთვარე შედეგების გადალახვაში, ხელი შეუწყოს სტაბილური მმართველობითი ინსტიტუტების ჩამოყალიბებას და ადამიანის უფლებების დაცვას. სამშვიდობო მისიები გახდა გაეროს მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი, რომელიც მოიცავს სამხედრო, პოლიციისა და სამოქალაქო პერსონალის ნაზავს, რომლებიც ერთად მუშაობენ ხანგრძლივი მშვიდობისთვის ხელსაყრელი პირობების შესაქმნელად. თანამედროვე კონფლიქტები ხშირად ხასიათდება რთული დინამიკით, როგორცაა ეთნიკური დაძაბულობა, ტერორიზმი და სამოქალაქო არეულობა, რაც ართულებს ტრადიციული სამშვიდობო მეთოდების ეფექტურობას. გარდა ამისა, არასახელმწიფო აქტორების გავრცელება, ასიმეტრიული ომის გაძლიერება და კლიმატის ცვლილების გავლენა უსაფრთხოებაზე მატებს სირთულის ფენებს, რომლითაც გაერომ უნდა იმოქმედოს თავის ოპერაციებში. უფრო მეტიც, გაეროს სამშვიდობო მისიების ეფექტურობა მოექცა ყურადღების ცენტრში, კრიტიკა მათი ოპერატიული მანდატების, რესურსების შეზღუდვისა და შემთხვევების შესახებ, როდესაც მისიებმა ვერ დაიცვა მშვიდობიანი მოქალაქეები ან მიაღწიეს დასახულ მიზნებს. ომის ცვალებადი ხასიათი, ჩვეულებრივი ბრძოლებიდან ჰიბრიდულ და საინფორმაციო ომამდე, დამატებით გამოწვევებს უქმნის სამშვიდობო ძალებს, რომლებიც ხშირად არასაკმარისად არიან აღჭურვილი ასეთი სცენარებისთვის. გაერო ეყრდნობა წევრი ქვეყნების თანამშრომლობას, რომელთა ეროვნული ინტერესები ზოგჯერ შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს სამშვიდობო მისიის კოლექტიურ მისიას. ანგარიშვალდებულების, გამჭვირვალობისა და გაეროს სისტემაში რეფორმების საჭიროების საკითხები სულ უფ-

¹⁰⁸ არტი რობერტ, ჯერვერსი რობერტ, 2011 „საერთაშორისო პოლიტიკა, მუდმივი ცნებები და თანამედროვე საკითხები“ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

რო აქტუალური ხდება, რადგან ორგანიზაცია ცდილობს შეინარჩუნოს თავისი შესაბამისობა და ეფექტურობა გლობალური მშვიდობისა და სტაბილურობის ხელშეწყობაში. ამგვარად, გაეროს როლის გააზრება სამშვიდობო უზრუნველყოფაში, ისევე როგორც მისი წინაშე არსებული თანამედროვე გამოწვევები, აუცილებელია თანამედროვე კონფლიქტების მოგვარების სირთულის შესაფასებლად. აუცილებელია შეისწავლოს არა მხოლოდ სამშვიდობო ძალისხმევის ისტორიული კონტექსტი, არამედ გაანალიზდეს მიმდინარე ტენდენციები, გამოწვევები და პოტენციური გზები გაეროს ეფექტურობის გასაუმჯობესებლად მდგრადი მშვიდობის ხელშეწყობაში ინფორმირებული და ადაპტირებული სტრატეგიების მეშვეობით. „ქვეყნის სუვერენიტეტის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გამოხატულება დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკის წარმოების უნარია“.¹⁰⁹ „გაეროს როლი მშვიდობის შენარჩუნებაში კვლავ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს, თუმცა ორგანიზაციამ სახელმწიფოებს უნდა შესთავაზოს ინოვაციური და ადაპტირებული მიდგომები თანამედროვე საერთაშორისო კონფლიქტების შესაჩერებლად, რათა ეფექტურად უპასუხოს ახალ გამოწვევებს, როგორცაა ჰიბრიდული და საინფორმაციო ომები“

ძირითადი ნაწილი

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, მსოფლიოსთვის ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა იყო იმგვარი სისტემის ჩამოყალიბება, რომელიც უფრო ეფექტურად დაადასტურებდა მშვიდობის დაცვას, საერთაშორისო თანამშრომლობასა და კონფლიქტების მშვიდობიან გადაწყვეტას. 1945 წელს შეიქმნა გაერო, რომელიც შეიცავდა 51 წევრი სახელმწიფოს, ხოლო ახლა მისი წევრები 193 ქვეყანას აერთიანებს. „უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა მოთხოვნა გაეროს მომსახურებაზე საერთაშორისო უსაფრთხოების სფეროში“.¹¹⁰ გაეროს მიზნები განსაზღვრულია მისი დამფუძნებელი აქტის, გაეროს ქარტიის, პირველი მუხლით. ეს მიზნები მოიცავს, მსოფლიო მშვიდობისა და უსაფრთხოების დაცვას - გაერო მიზნად ისახავს, რომ საერთაშორისო კონფლიქტები აღკვეთოს ან თუნდაც მინიმუმამდე შემციროს. ამისათვის შექმნილია უშიშროების საბჭო, რომელსაც აქვს ბირთვული სანქციების, სამხედრო ოპერაციების და სამშვიდობო ძალების განსახორციელებლად იურიდიული უფლებები. ადამიანის უფლებების დაცვა - გაერო თვლის, რომ მშვიდობა შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა ადამიანები თავისუფლები იქნებიან შიშისა და შიმშილისგან. ამიტომ, გაერო დიდ ყურადღებას აქცევს ადამიანის უფლებების დაცვის საკითხებს, მათ შორის ყველა საერთაშორისო კონვენციის შესრულებას. ეკონომიკური და სოციალური განვითარება - მდგრადი განვითარებისთვის ეკონომიკური სტაბილურობა და ჰუმანიტარული დახმარება ძალზედ მნიშვნელოვანია. გაერო ხელსუწყობს მდგრად განვითარებას, რათა შეამციროს ნგრე-

¹⁰⁹ აფიციური რამაზი, კომახია მამუკა, დევდარიანი ჯაბა, ლორთქიფანიძე გოჩა, 2000, „გაეროს რეფორმა და საქართველო, თანამშრომლობის შესაძლებლობები“ საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი

¹¹⁰ რობერტ არტი, რობერტ ჯერვერსი, „საერთაშორისო პოლიტიკა, მუდმივი ცნებები და თანამედროვე საკითხები“ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2011

ვისა და სოციალურ პრობლემების რისკები, რომლებიც შეიძლება კონფლიქტებს უწყობდეს ხელს. „გაერო დღეს დღეობით წარმოადგენს უნივერსალურ ორგანიზაციას რომელიც აერთიანებს საერთაშორისო დონეზე აღიარებულ ყველა სახელმწიფოს“¹¹¹

გაეროს მშვიდობისმყოფელთა ოპერაციები ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი და ფართოდ აღიარებული ფუნქციაა გაეროს საქმიანობაში. გაეროს მშვიდობისმყოფელები (ცნობილი როგორც "Blue Helmets") არიან მოლაპარაკებების პროცესში ჩართულ ექსპერტთა ჯგუფი, რომელიც ჩნდება მაშინ, როდესაც სახელმწიფოს აღარ შეუძლია ან არ სურს უზრუნველყოფოს მშვიდობა. გაეროს ოპერაციები ძირითადად მოიცავს შემდეგი ასპექტებს: სამხედრო ძალის გამოყენება - მშვიდობისმყოფელთა ოპერაციები ხშირად გულისხმობს სამხედრო ჩარევას, როგორც უკანონო ძალადობის გადაჭრის ეფექტურ საშუალებას. ამ ოპერაციებში გაერო საერთაშორისო ძალას იყენებს როგორც შიდა ჩარევის, ისე საერთაშორისო კონფლიქტებში მონაწილე მხარეების შერიგებისთვის. მოლაპარაკების ხელშეწყობა - გაერო მუშაობს მხარეებს შორის კონფლიქტების განხილვაზე, მოლაპარაკებების დასაწყებად. იგი წყვეტს კონფლიქტს ზრუნვით, რათა მხარეებს შორის შეთანხმებები მიღწეული იყოს. ჰუმანიტარული დახმარება - კონფლიქტის გავლენით დაზარალებულ მოსახლეობას გაერო ჰუმანიტარულ დახმარებას აწვდის. ეს ჩარევა მოიცავს საკვებს, სამედიცინო დახმარებას, წყლისა და საცხოვრებელ პირობებს. სამართლის აღდგენა და დემოკრატიის მხარდაჭერა - კონფლიქტების შემდეგ, როცა ქვეყანა დამანგრეველი სიტუაციაშია, გაერო დემოკრატიული სისტემების და სამართლის აღდგენას ცდილობს, რათა ქვეყნის სტაბილურობა აღდგეს.

გაეროს უშიშროების საბჭო, რომელიც 15 წევრისგან შედგება, მათ შორის 5 მუდმივი წევრი (აშშ, რუსეთი, ჩინეთი, საფრანგეთი და ბრიტანეთი), ერთ-ერთი მთავარი ორგანოა, რომელიც პასუხისმგებელია საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე. 1992 წელს გენერალურმა მდივანმა ბუტროს გალიმ შეიმუშავა მოხსენება რომელიც საფჭოს მოთხოვნასა და პოსტკონფლიქტური მშვიდობის დამყარების საკითხებს ეხებოდა.¹¹² უშიშროების საბჭო განიხილავს კონფლიქტებს, რომელსაც შეუძლია მსოფლიოს სტაბილურობის საფრთხე შეუქმნას. მისი მანდატები მოიცავს: სანქციების დაწესება - რომლებსაც შეუძლია ხელი შეუწყოს ან მიუთითოს ქვეყნებს რათა საერთაშორისო უფლებების დარღვევის საკითხებთან მიმართებაში მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგან. სამხედრო ძალის გამოყენება - უშიშროების საბჭო უფლებამოსილია დაუყოვნებლივ დანიშნოს სამშვიდობო ოპერაციები, ჩართოს საერთაშორისო ძალები და მიიღოს გადაწყვეტილებები. მშვიდობის დამყარების ოპერაციების დანიშვნა - უშიშროების საბჭო უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება გაეროს ოპერაციების შესახებ, რომლებიც განკუთვნილია კონკრეტული კონფლიქტის შერიგებისთვის.

¹¹¹ ფიქრია ასანიშილი, „გაერთიანებული ერების ორგანიზაცია“ ჟურნალი ჩემი სამყარო, 2014

¹¹² რამაზი აფიციაური, მამუკა კომანია, ჯაბა დევდარიანი, გოჩა ლორთქიფანიძე, „გაეროს რეფორმა და საქართველო, თანამშრომლობის შესაძლებლობები“ საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი, 2000

გაეროს მშვიდობისმყოფელთა მისიები წარმოადგენენ ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ინსტრუმენტს, რომლის მეშვეობითაც გაერო ცდილობს საერთაშორისო მშვიდობის და უსაფრთხოების დაცვას. ამ მისიებს გააჩნია გრძელვადიანი მიზნები, რომლებიც ითვალისწინებს არა მხოლოდ კონფლიქტების დასრულებას, არამედ მათი პრევენციას, დემოკრატიის განვითარების ხელშეწყობას და ქვეყანაში ჰუმანიტარული კრიზისების დაძლევას. მშვიდობისმყოფელთა ოპერაციები განხორციელდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მხარეები შეთანხმდებიან, რომ გაერო ჩაერთვება და მხარს დაუჭერს სამშვიდობო პროცესს. ეს ნიშნავს, რომ გაერო არ ახდენს პირდაპირ ჩარევას კონფლიქტში, თუ ამას მხარეები არ მოითხოვენ ან კონფლიქტი არ მიაღწევს ისეთ მასშტაბებს, რაც გამართავს ინტერვენციას. მშვიდობისმყოფელთა ოპერაციების მიზნები, როგორც წესი, სხვადასხვა სახის გამოწვევებს გულისხმობს, ამიტომ მისია ხშირად სხვადასხვა კომპონენტისგან შედგება, რომლებიც ერთმანეთთან არის დაკავშირებული და მომდევნო პროცესებში გადადის.

გაეროს ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი და მნიშვნელოვანი ფუნქცია არის სამშვიდობო ოპერაციები. მისი მიზანია დაეხმაროს ქვეყნებს, რომლებიც კონფლიქტების შედეგებს განიცდიან, დაიცვან მშვიდობა და თავიდან აიცილონ ძალადობის ესკალაცია. გაეროს სამშვიდობო მისიები მოიცავს სამხედროთა, პოლიციისა და სამოქალაქო პერსონალის განლაგებას კონფლიქტურ რეგიონებში, რომლებიც ცდილობენ - კონფლიქტის მხარეების დაშორებას, ჰუმანიტარული დახმარების უზრუნველყოფას, ადგილობრივი უსაფრთხოების სტაბილიზაციას და პოლიტიკური დიალოგის მხარდაჭერას. გლობალიზაციის ეპოქაში, როდესაც სახელმწიფოთა სუვერენიტეტის დაცვა გარკვეულწილად საერთაშორისო ინსტიტუტების საზრუნავია, წინა პლანზე გამოდის ეროვნული უსაფრთხოების სწორედ არასამხედრო ასპექტები.¹¹³

გაერო მნიშვნელოვანი პლატფორმაა საერთაშორისო დიპლომატიისთვის. გაეროს გენერალური ასამბლეა და უშიშროების საბჭო აერთიანებენ ქვეყნებს, რათა განიხილონ და გადაჭრან გლობალური პრობლემები. გაერო ეხმარება ქვეყნებს, რომ მოლაპარაკებების გზით მოაგვარონ კონფლიქტები, და ამ პროცესში იყენებს - კონფლიქტების პრევენციისთვის დიპლომატიურ მექანიზმებს, მედიაციასა და მოლაპარაკებებს მხარეებს შორის, ზავის და შეთანხმებების მონიტორინგს.

გაერო ასევე პასუხისმგებელია იმაზე, რომ უზრუნველყოს ჰუმანიტარული დახმარება კონფლიქტურ და კრიზისულ რეგიონებში. ორგანიზაციის სხვადასხვა სააგენტოები (მაგალითად, გაეროს ბავშვთა ფონდი – UNICEF, გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატი – UNHCR) ეხმარებიან დაზარალებულ მოსახლეობას საკვებით, სამედიცინო დახმარებით და სხვა საჭირო რესურსებით. გაეროს ასევე აქვს სპეციალური პროგრამები მდგრადი განვითარების ხელშეწყობისთვის, რაც გრძელვადიან სტაბილურობასა და მშვიდობას ემსახურება.

¹¹³ ზურაბი აბაშიძე, „ნატო საქართველო - უტოფიიდან რეალობისკენ“ საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი, 2000,

გაეროს მანდატი მოიცავს ადამიანის უფლებების დაცვასა და საერთაშორისო სამართლის პრინციპების დამყარებას. გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისარიატი და სასამართლო ორგანოები ეხმარებიან ქვეყნების მთავრობებს, გააუმჯობესონ ადამიანის უფლებათა დაცვის დონე და კანონის უზენაესობა, რაც წარმოადგენს გრძელვადიან სტაბილურობის საფუძველს. ეს მუშაობა ხელს უწყობს კონფლიქტების პრევენციას და მშვიდობიან საზოგადოებათა შექმნას.

გაეროს უშიშროების საბჭოს აქვს ძალაუფლება შემოიღოს სანქციები ქვეყნების ან პირების წინააღმდეგ, რომლებიც მშვიდობას და საერთაშორისო უსაფრთხოებას საფრთხეს უქმნიან. საჭიროების შემთხვევაში გაეროს შეუძლია, სანქციების გარდა, სამხედრო ჩარევის მანდატიც გასცეს, რათა უზრუნველყოს საერთაშორისო წესრიგი და მშვიდობა. სახელმწიფოს მიერ ნეიტრალიტეტის გამოცხადებას მაშინ აქვს მნიშვნელობა, თუ მას აღიარებენ მეზობელი დიდი სახელმწიფოები, რომლებიც, ამასთანავე, მოცემული ქვეყნის ნეიტრალიტეტის გარანტორებს უნდა წარმოადგენდნენ.¹¹⁴

თანამედროვე კონფლიქტები ხშირად უფრო რთული და დინამიკურია. ტრადიციული ომები სახელმწიფოებს შორის იცვლება შიდა კონფლიქტებით, ტერორისტული ორგანიზაციების მიერ წარმოებული ომებით და არატრადიციული სამხედრო საშუალებების გამოყენებით, როგორცაა ჰიბრიდული ომები. გაერო ცდილობს, ამ ახალ გამოწვევებს მოერგოს. ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა, გაერო ტერორიზმის პრევენციისა და კონფლიქტურ რეგიონებში ტერორისტული ქსელების წინააღმდეგ მუშაობს. ამისთვის აქტიურად იყენებს სანქციებს, საერთაშორისო შეთანხმებებს და რეგიონალურ თანამშრომლობას. ჰუმანიტარული კრიზისების მართვა, კონფლიქტები ხშირად იწვევს მასობრივ მიგრაციასა და ჰუმანიტარულ კრიზისებს. გაერო ამ მხრივ აყალიბებს საერთაშორისო სტანდარტებს, როგორცაა ლტოლვილთა და მიგრაციის დახმარების პროგრამები, მათ შორის გაეროს ლტოლვილთა სააგენტო.

გაერო ცდილობს არა მხოლოდ კონფლიქტების მოგვარებას, არამედ მათ პრევენციასაც გრძელვადიან პერსპექტივაში. ამ მიზნის მისაღწევად გაერთიანება ავითარებს სხვადასხვა პროგრამებს, რომლებიც მიმართულია მდგრადი განვითარების მიზნების შესრულებისკენ, რაც გულისხმობს ისეთი ფაქტორების გაუმჯობესებას, როგორცაა სიღარიბის დაძლევა, უთანასწორობის შემცირება და განათლების ხელშეწყობა. ამ მიზნების მიღწევა კონფლიქტების ძირეულ მიზეზებს ებრძვის, რადგან სიღარიბე, უთანასწორობა და ეკონომიკური უთანასწორობა ხშირად არის ძალადობისა და კონფლიქტების მიზეზები.

დასკვნა

21-ე საუკუნის საერთაშორისო კონფლიქტები განსხვავებულია ისტორიულად ცნობადი კონფლიქტებისაგან. ჰიბრიდული ომები და საინფორმაციო ბრძოლები მოითხოვს, რომ გაერო ადაპტირდნენ ახალ რეალობებთან და თანამედროვე ტექნოლო-

¹¹⁴ ელენე გოცაძე, თამარ მედულაშვილი, „NATO და ევროკავშირი - საქართველოს საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტები“ საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი, 2015

გიებთან. ტრადიციული სამხედრო მოქმედებების გვერდით, საჭიროება გაჩნდა მასშტაბური, მრავალფეროვანი ინსტრუმენტების და რესურსების გამოყენების. პრეფორმირების მიზანია გაეროს ეფექტიანობის გაზრდა, რაც გულისხმობს მდგრადი და პრაქტიკული მიდგომების შემუშავებას. სავარაუდოდ ცვლილებები უნდა მოიცავდეს პოლიტიკურ, სამართლებრივი და ადმინისტრაციულ მიმართულებებს, რაც გაძლიერებს ორგანიზაციის უნარს რეაგირება მოახდინოს ახალ გამოწვევებზე. გაერომ უნდა გამოიყენოს ახალი ტექნოლოგიები, როგორცაა მონაცემების ანალიზი, ხელოვნური ინტელექტი და სოციალური მედიის მონიტორინგი, რათა გაიზარდოს ეფექტიანობა საინფორმაციო ომების წინააღმდეგ ბრძოლაში. უნდა განვითარდეს პლატფორმები, რომლებიც მოახდენს სწრაფ რეაგირებას მოვლენებზე, რაც შეიძლება იყოს როგორც რეგიონული, ასევე გლობალური. გაუმჯობესდეს დიპლომატიური პროცესები, რაც მოიცავს მხარეების მოლაპარაკებებს და ჰუმანიტარულ დახმარებას, განსაკუთრებით შერეული კონფლიქტებისას. უნდა განვითარდეს „ყოფის ზომის“ მიდგომები, რაც მოიცავს ადგილობრივი თემების, ქალების და ახალგაზრდების მონაწილეობის გაზრდას გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

გაერო უნდა მოახდინოს ზეგავლენა პარტნიორებზე, საერთაშორისო ვაჭრობის, რეგიონული ორგანიზაციებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების მეშვეობით, რათა შექმნას ახალ პარტნიორობითი ქსელი ინფორმაციის და რესურსების გაზიარების მიზნით. მრავალმხრივი და შეთანხმებითი მიდგომები საჭიროებენ ინკლუზიურ გარემოს, სადაც ყველა მხარე მონაწილეობის შესაძლებლობას მიიღებს. გაიზარდოს სამოქალაქო საზოგადოების, აკადემიური წრეების და კერძო სექტორის ჩართულობა, რაც ხელს შეუწყობს ინოვაციურ იდეებზე და გადაწყვეტილებების მექანიზმებზე მუშაობას. სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ მონაწილეობა პროგრამებში, რომლებიც მიმართულია ადგილობრივი კონფლიქტების პრევენციისკენ, ახალი ინიციატივების და სტრატეგიების განხორციელების მიზნით. უნდა მოახდინოს დაინტერესებული მხარეებისთვის ეკონომიური და ტექნოლოგიური რესურსების გაზრდა, რათა გაზარდოს მხარდამჭერი გარემო გაეროს მუშაობისთვის. გაეროს რეფორმირება აუცილებელია იმისათვის, რომ ორგანიზაციამ შეინარჩუნოს თავისი როლი საერთაშორისო მშვიდობის დაცვის პროცესში. ინოვაციურ და ადაპტირებულ მიდგომებმა უნდა მოგვცეს შესაძლებლობა, თუ როგორ უნდა უპასუხოთ ახალ გამოწვევებს, როგორცაა ჰიბრიდული და საინფორმაციო ომები. მხოლოდ ეფექტური რეაგირების და საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავების შემთხვევაში, გაერო შეძლებს მოერგოს თანამედროვე სამყაროს საჭიროებებს და დააბალანსოს მშვიდობის შენარჩუნება მსოფლიოს მასშტაბით.

გაეროს სამშვიდობო მისიები საჭიროებენ მუდმივ რეფორმას, რათა უკეთ უპასუხოთ თანამედროვე კონფლიქტების გამოწვევებს. კრიტიკა ხშირად მიმართულია მისიების ეფექტურობისკენ, გაეროს უშიშროების საბჭო ცდილობს, გააუმჯობესოს მისიების მანდატები, მათი სამხედრო და ფინანსური მხარდაჭერა.

ამრიგად, გაეროს როლი მშვიდობის შენარჩუნებაში უმნიშვნელოვანესია, მდგომარეობის მართვის, სამშვიდობო ოპერაციების, საერთაშორისო დიპლომატიის, ჰუმანიტარული დახმარების და ადამიანის უფლებების დაცვასთან მიმართებაში. მიუხედავად იმისა, რომ ორგანიზაციის წინაშე უწყვეტად დგას ახალი გამოწვევები, როგორცაა გლობალური კონფლიქტების დინამიკა და საერთაშორისო ტერორიზმი, მისი ეფექტურობა მშვიდობის მშენებლობაში კვლავ მნიშვნელოვანი რჩება. მნიშვნელოვანია, რომ გაერომ განაგრძოს საკუთარ სისტემათა რეფორმირება, გადრმავოს პარტნიორობა და ინოვაციური მიდგომები კონფლიქტების პრევენციის მიზნით. თანამედროვე გლობალური გამოწვევების ფონზე, როგორცაა კლიმატის ცვლილება, ადამიანი უფლებების დაცვის პრობლემები და პოლიტიკური დაპირისპირებები, გაეროს რეფორმა აუცილებელია, რათა ორგანიზაციამ შეძლოს დარჩეს ახლებური მოთხოვნების შესაბამისობაში. გაეროს თავდაპირველ სამუშაოზე და ეფექტური მოლაპარაკებების მექანიზმების შექმნაზე უნდა იყოს დამოკიდებული. გლობალური მშვიდობის უზრუნველყოფა, სამართლებრივი სტანდარტები და საერთაშორისო საზოგადოებაში სტაბილურობის შენარჩუნება სწორედ ამ რეფორმების წარმატებაზეა დამოკიდებული. თანამედროვე მსოფლიოს გლობალიზებულ და ინტეგრირებულ ხასიათში, გაეროს წინაშე მდგარი გამოწვევების მართვა უფრო მეტად კომპლექსური ხდება. კონფლიქტების პრევენცია და მდგრადი განვითარება ერთმანეთთან დაკავშირებული საკითხებია, რომელთა გადაწყვეტაც, რეფორმებსა და ინოვაციური მიდგომების გამოყენებას მოითხოვს. გარდა ამისა, გაეროს როლი მშვიდობის შენარჩუნებაში საჭიროებს ახალი მიდგომებისა და თავდაპირველი ინიციატივების დანერგვას, რათა წარმატებით და ეფექტურად გაუმკლავდეს თანამედროვე გამოწვევებს. ეს მოიცავს საერთაშორისო კანონმდებლობის გამაძლიერებელ ინსტიტუტებს, ჯანსაღი მოლაპარაკებების პროცესებისა და ღია დიალოგების შექმნას.

გამოყენებული ლიტერატურა

- აბაშიძე ზ., (2000, 1005 – 106), „ნატო საქართველო - უტოფიიდან რეალობისკენ“ თბილისი, ნატოსა და ევროკავშირის საინფორმაციო ცენტრი;
- არტი, რ., ჯერვისი, რ., (2011, 286 - 287), „საერთაშორისო პოლიტიკა“, თბილისი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- ასანიშვილი ფიქრია, (2014, 5-8), „გაერთიანებული ერების ორგანიზაცია“ ჟურნალი ჩემი სამყარო;
- გოცაძე ე., მედულაშვილი თ., (2015, 48-50), „NATO და ევროკავშირი - საქართველოს საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტები“ თბილისი, ნატოსა და ევროკავშირის საინფორმაციო ცენტრი;
- დე სენარკლინი პ., არიფენი, ი., (2011, 46 - 50), „საერთაშორისო პოლიტიკა“, თბილისი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- როლანდ დ. ასმუსი, (2010, 29-38), „მცირე ომი რომელმაც მსოფლიო შეძრა, საქართველო, რუსეთი და დასავლეთის მომავალი“, თბილისი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი;

დეზინფორმაცია საქართველოში: საგარეო ჩარევის გამოწვევები ევროინტეგრაციის კონტექსტში

ნინო გოგილავა

სსიპ-დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს
ეროვნული თავდაცვის აკადემიის
მაგისტრატურის სახელმწიფო რესურსების მართვის
მიმართულების მსმენელი

აბსტრაქტი

დეზინფორმაცია საქართველოში წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევას ქვეყნის ევროინტეგრაციის პროცესში, რადგან საგარეო ჩარევები და ფეიკნიუსები საფრთხეს უქმნის როგორც სახელმწიფო უსაფრთხოებას, ისე საზოგადოებრივ ნდობას დემოკრატიული ინსტიტუტების მიმართ. ამ ნამუშევარში განხილულია, როგორ ახორციელებენ უცხოური ძალები დეზინფორმაციის კამპანიებს, რომლებიც მიმართულია საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების, პოლიტიკისა და ეკონომიკის დესტაბილიზაციისკენ, და როგორ მოქმედებენ ისინი ეროვნული ინტერესების წინააღმდეგ. ევროინტეგრაციის კონტექსტში, დეზინფორმაცია ზიანს აყენებს საქართველოს მისწრაფებებს ევროკავშირსა და ნატოში გაწევრიანებისკენ, რადგან იგი ართულებს ქვეყნის ევროატლანტიკური მიმართულების მხარდაჭერას. ნაშრომში ასევე განხილულია საქართველოს მიერ განხორციელებული რეგულაციები და ღონისძიებები დეზინფორმაციის წინააღმდეგ, მათ შორის სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების როლი ინფორმაციული სუვერენიტეტის დაცვის კუთხით. გარდა ამისა, დეზინფორმაციის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო გამოცდილება და მასშტაბური თანამშრომლობა ევროპულ სტრუქტურებთან და ნატო-სთან გამოკვეთილია როგორც კრიტიკულ ფაქტორებად, რომლებიც ხელს უწყობენ საქართველოში სანდო და გამჭვირვალე ინფორმაციული გარემოს შექმნას.

საკვანძო სიტყვები: დეზინფორმაცია, საგარეო ჩარევა, ევროინტეგრაცია, ინფორმაცია და უსაფრთხოება, საქართველოს პოლიტიკა.

Disinformation in Georgia: Challenges of foreign interference in the context of European integration

Nino Gogilava

Student of Master's Program in State Recourse Management of
LEPL-David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia

Abstract:

Disinformation in Georgia represents one of the significant challenges in the country's European integration process, as foreign interference and fake news pose threats to both national security and public trust in democratic institutions. This paper discusses how foreign powers conduct disinformation campaigns aimed at destabilizing Georgia's civil society, politics, and economy, and how these efforts work against the national interests. In the context of European integration, disinformation damages Georgia's aspirations for membership in the European Union and NATO, as it undermines support for the country's Euro-Atlantic orientation. The paper also examines the regulations and measures implemented by Georgia to combat disinformation, including the role of government and non-governmental organizations in protecting information sovereignty. Furthermore, the international experience in combating disinformation and large-scale cooperation with European structures and NATO is highlighted as critical factors in creating a trustworthy and transparent informational environment in Georgia.

Keywords: Disinformation, foreign interference, European integration, information and security, Georgian politics

შესავალი

უკანასკნელი ორი ათწლეულის განმავლობაში დეზინფორმაცია მნიშვნელოვან გამოწვევად იქცა თანამედროვე სახელმწიფოებისათვის, განსაკუთრებით ქვეყანაში მიმდინარე დემოკრატიულ პროცესებში ჩარევის კონტექსტში საგარეო აქტორების მხრიდან. ევროკომისიის 2023 წლის 8 ნოემბრის ბოლო რეკომენდაცია, რომელიც ევროკავშირში გაწევრიანების კანდიდატად საქართველოს დასახელებას მოჰყვა, ხაზს უსვამს დეზინფორმაციასთან ბრძოლის კრიტიკულ მნიშვნელობას, როგორც ევროკავშირში წარმატებული ინტეგრაციის წინაპირობას. აღნიშნული რეკომენდაცია ხაზს უსვამს საქართველოს მიერ დეზინფორმაციასთან ბრძოლისა და უცხოური ორგანიზაციების მიერ ორგანიზებული ინფორმაციის მანიპულირების მიზნით, პროაქტიული ზომების მიღების აუცილებლობას. უფრო მეტიც, ის ხაზს უსვამს საქართველოს მიერ, იმ ღირებულებებისა და პრინციპების დაცვის აუცილებლობას, რაც ევროკავშირს საფუძვლად უდევს, განსაკუთრებით მიმდინარე დეზინფორმაციული კამპანიების ფონზე, რომლებიც საფრთხეს უქმნის არა მხოლოდ ვიწრო ეროვნულ ინტერესებს, არამედ უფრო ფართო ევროპულ პროექტსაც.

დეზინფორმაციის გავრცელების საფრთხის წინააღმდეგ ეფექტური ბრძოლის მიზნით, სახელმწიფომ უნდა შეიმუშავოს და განახორციელოს ინტეგრირებული თუ კოორდინირებული მიდგომა, რომელიც საზოგადოების სხვადასხვა სექტორს მოიცავს. აღნიშნულში მოიაზრება, არა მხოლოდ მთავრობის მიერ გადადგმული ნაბიჯები, არამედ სამოქალაქო საზოგადოებისა და მედიის აქტიური მონაწილეობა მდგრადი საინფორმაციო ეკოსისტემის შექმნის პროცესში, რომელსაც შეუძლია უცხოური მავნე ნარატივების წინააღმდეგ ბრძოლა. ასეთი ერთობლივი ძალისხმევის მაგალითი, რომელიც მიზნად ისახავს საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას და დეზინფორმაციისადმი წინააღმდეგობას, ინფორმაციის მთლიანობის უზრუნველყოფაზე ორიენტირებული კოალიციების შექმნაა, როგორც საქართველოში რეფორმების ხელშეწყობის ასოციაცია (GRASS) შეგვიძლია მივიჩნიოთ. გარდა ამისა, ამ ბრძოლაში უმნიშვნელოვანესია სოციალურ ქსელებთან კოორდინაცია. აღნიშნული მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ყალბი ინფორმაციის გავრცელების იდენტიფიცირებასა და პრევენციაში ალგორითმებისა და ფაქტების შემოწმების მეშვეობით არსებული ყალბი ნარატივის კორექტირების თვალსაზრისით. საქართველოს ევროინტეგრაციის გზაზე განხილული აქტორების კოორდინაცია, კიდევ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს, მით უფრო ქვეყანაში არსებული მძაფრად პოლარიზებული პოლიტიკური სისტემისა და რეგიონში არსებული ცხელი კონფლიქტის ფონზე.

არსებულიდან გამომდინარე ნაშრომი მიზნად ისახავს გამოავლინოს და შეისწავლოს საზოგადოებრივი აზრის მანიპულირების ტენდენციები, ყურადღება ეთმობა ციფრული ლანდშაფტის სხვადასხვა მონაწილეების მიერ გამოყენებულ სტრატეგიებს, რომლებიც მიზნად ისახავს შეცვალონ მიმდინარე პროცესების ჯანსაღი აღქმა და გავლენა მოახდინონ პოლიტიკურ დისკურსზე. კვლევისთვის საჭირო მონაცემების უმეტესობა არასამთავრობო ორგანიზაციების ანგარიშებსა და სამეცნიერო კვლევებს ეყრ-

დნობა, რომლებიც მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაწვდიან დეზინფორმაციის განვითარებადი ტაქტიკისა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მიერ გამოყენებული საპასუხო ზომების ეფექტურობის შესახებ. სტატიის პირველ ნაწილში ასახულია კვლევის საგნის თეორიული და კონცეპტუალური საფუძვლები. შემდეგი ნაწილი მოიცავს ინფორმაციას ამ თემაზე შექმნილი პუბლიკაციების შესახებ და მათი გავლენის ანალიზს საზოგადოების ინფორმირებულობასა და ჩართულობაზე. ამ ანალიზს მოჰყვება კონკრეტული შემთხვევების კვლევები, რომლებიც, უზრუნველყოფს ყოვლისმომცველ მიმოხილვას, თუ როგორ მოახდინა დეზინფორმაციამ გავლენა ბოლოდროინდელ პოლიტიკურ მოვლენებზე. დასკვნით ნაწილში კი ნაშრომის ძირად შედეგებს და რამდენიმე რეკომენდაციას გვთავაზობს.

ძირითადი ნაწილი

ციფრული კომუნიკაციების განვითარებამ რადიკალურად შეცვალა საინფორმაციო ლანდშაფტი და დეზინფორმაციას, ყალბ ამბებთან ერთად გლობალურ კონტექსტში შესძინა აქტუალურობა. მეცნიერები და პოლიტიკოსები უფრო და უფრო მეტ ყურადღებას უთმობენ ამ ფენომენებს დემოკრატიის, სოციალური ერთიანობისა და ინსტიტუტებისადმი საზოგადოების ნდობაზე ზემოქმედების კონტექსტში.

დეზინფორმაციის გავლენა მეტია ვიდრე უბრალო ცრუ ინფორმაციის გავრცელებას შეიძლება ჰქონდეს - ის ანგრევს საზოგადოებრივი დისკურსის სტრუქტურას და შეიძლება ჰქონდეს შორს მიმავალი შედეგები დემოკრატიულ პროცესებზე, სოციალურ ერთიანობასა და მედიისადმი ნდობაზე.¹ დეზინფორმაციის კამპანიები ხშირად შექმნილია ემოციების სამართავად და არა ლოგიკური მსჯელობისთვის, ისეთი ტექნიკის გამოყენებით, როგორცაა სენსაციონალიზმი, მოვლენების შერჩევითი გაშუქება და გამოსახულებით მანიპულაცია, რაც მიზნად ძალადობრივი რეაქციების გამოწვევას ისახავს. ციფრულ ეპოქაში დეზინფორმაციის სწრაფ გავრცელებას ხელს უწყობენ სოციალური მედიის პლატფორმები, რომელთა მეშვეობით ინფორმაცია ვირუსულად ვრცელდება, რაც ხშირად ართულებს ნამდვილი ინფორმაციის გაყალბებულისგან გარჩევას. ციფრული პლატფორმების განვითარებამ კორექტული ინფორმაციის ნაცვლად ვირუსულობის პრინციპზე განვითარებამ კიდევ უფრო გაართულა დეზინფორმაციასთან ბრძოლა.² ეს ალგორითმები, მიზნად ისახავს ტრენდული ინფორმაციის გავრცელებას და რიგ შემთხვევაში არ მოიაზრებს მის ვერიფიკაციას. ამგვარად დეზინფორმაცია კიდევ უფრო სწრაფად ვრცელდება, მისი შეკავების ნაცვლად კი ვიღებთ სურათს, როდესაც იგი შესაძლოა სხვადასხვა ტრენდის ნაწილადაც კი იქცეს.

განსახილველი თემის ფარგლებში მნიშვნელოვანია ინფორმაციული ეკოსისტემის კონცეფცია, რომელიც მოიაზრებს გარემოს, რომელშიც ინფორმაცია ვრცელდება

¹ Pennycook, Gordon, and David G. Rand. "Fighting Fake News: A Role for Cognitive Science in the Battle Against Misinformation." *Perspectives on Psychological Science* 13, no. 5 (2018): 1–25.

² Benkler, Yochai, Robert Faris, and Hal Roberts. *Network Propaganda: Manipulation, Disinformation, and Radicalization in American Politics*. New York: Oxford University Press, 2018.

და მუშავდება. ეს ეკოსისტემა მოიცავს არა მხოლოდ ტრადიციულ მედიას, როგორცაა ტელევიზია, გაზეთები და რადიო, არამედ ციფრულ პლატფორმებს, მათ შორის სოციალურ ქსელებს, ბლოგებს და ონლაინ ფორუმებს. ციფრული სფეროს განვითარებამ შეცვალა საინფორმაციო ეკოსისტემა, რაც უზრუნველყოფს შინაარსის სწრაფ გავრცელებას ინდივიდების ფართო ქსელებში.

კერძოდ, ციფრულმა პლატფორმებმა ფუნდამენტურად შეცვალეს ინფორმაციის გავრცელების მეთოდიკა. სოციალური მედიის საიტები, როგორცაა Facebook, Twitter და YouTube, მათი უზარმაზარი მომხმარებლის ბაზით და ალგორითმული შინაარსის მენეჯმენტით, დეზინფორმაციის გავრცელებისთვის იდეალურ გარემოს ქმნიან.³ ეს პლატფორმები შექმნილია იმისთვის, რომ კონტენტი პრიორიტეტული იყოს ჩართულობის იმგვარი მახასიათებლების საფუძველზე, როგორცაა მოწონებები, პოსტები და კომენტარები, ვიდრე გადაცემული ინფორმაციის სანდობა. დეზინფორმაციის სწრაფ და უკონტროლო გავრცელებას ამ ეკოსისტემებში კიდევ უფრო ამძაფრებს ის ფაქტი, რომ აუდიტორიის უმეტესობა იღებს ინფორმაციას იმ წყაროებიდან, რომლებსაც ენდობიან, როგორცაა ოჯახი ან მეგობრები და არა პროფესიონალური ფაქტების შემოწმების პლატფორმები.⁴ ეს არაფორმალური განაწილების მოდელი აძლიერებს დეზინფორმაციის გავრცელებას, რადგან ადამიანები უფრო მეტად ენდობიან თავიანთ უშუალო სოციალურ გარემოს, ვიდრე ტრადიციულ საინფორმაციო საშუალებებს, რაც კიდევ უფრო აფერხებს ფაქტებსა და გამოგონილს შორის არსებულ ხაზს.

საინტერესოა ასევე ინფორმაციული უწყესრიგობის კონცეფცია, რომელიც სხვადასხვა გზებს აღწერს, რომლის ცრუ ინფორმაცია შესაძლოა საზოგადოების შეხედულებების დამახინჯებას ემსახურობდეს ამა თუ იმ მოვლენასთან მიმართებაში:

- მისინფორმაცია: მოიაზრებს ცრუ ან არაზუსტ ინფორმაციას, რომელიც ვრცელდება შეცდომაში შეყვანის განზრახვის გარეშე. მაგალითად, ადამიანს შეუძლია გაუცნობიერებლად გაუზიაროს ყალბი ამბები ან მოძველებული სტატისტიკა იმის გაცნობიერების გარეშე, რომ ეს ინფორმაცია არასწორია.
- დეზინფორმაცია: მისინფორმაციისგან განსხვავებით, დეზინფორმაცია არის ცრუ ინფორმაციის მიზანმიმართული შექმნა და გავრცელება სხვების შეცდომაში შეყვანის მიზნით. დეზინფორმაციის კამპანიები ხშირად მიზნად ისახავს კონკრეტულ პოლიტიკურ, სოციალურ ან ეკონომიკურ შედეგებს, რათა გავლენა მოახდინოს საზოგადოებრივ აზრზე ან ქცევაზე.

ამ კატეგორიის ინფორმაციული უწყესრიგობა ხელს უწყობს დაბნეულობისა და პოლარიზაციის გავრცელებას. ინფორმაციის უწყესრიგობის გავლენა განსაკუთრებით შესამჩნევია ციფრულ ეპოქაში, როდესაც ინფორმაციის სიჩქარე და მიღწევა არ არის

³ Ibid. Benkler, Yochai, Robert Faris, and Hal Roberts. 2018

⁴ Friggeri, Adrien, Ravi Kumar, and David R. K. 2014. "Rumor Cascades." *Proceedings of the Eighth International Conference on Weblogs and Social Media*.

მეორე და როდესაც ადამიანებს შეუძლიათ განიცადონ, როგორც ლეგიტიმური, ასევე ცრუ შინაარსის მუდმივი ნაკადი.⁵

დეზინფორმაცია გულისხმობს განზრახ ცრუ ინფორმაციის გავრცელებას, რომლის მიზანს პროცესებით მანიპულირება ან ზიანის მიყენება წარმოადგენს. აღნიშნული ხშირად პოლიტიკურადაა მოტივირებული და სტრატეგიულად გამოიყენება დემოკრატიული ინსტიტუტებისადმი ნდობის შესუსტების, საზოგადოებრივ აზრზე გავლენის მოხდენის ან უთანხმოების გაღვივების მიზნით.⁶ მეორეს მხრივ, უნდა გვესმოდეს, რომ დეზინფორმაცია წარმოადგენს არასწორ ან შეცდომაში შემყვან ინფორმაციის უნებურად გავრცელებაც. აღნიშნული შესაძლოა ინფორმაციის არასწორი ინტერპრეტაციის, გაუგებრობის ან დაუდევრობის შედეგი იყოს.⁷ ყალბი ამბები უფრო სპეციფიკური ფენომენია, რომელიც გამოგონილ ამბებს მოიაზრებს, რომლებიც ლეგიტიმურ საინფორმაციო წყაროებს ბაძავენ, თუმცა არ გააჩნიათ სანდოობა. ეს გამოგონილი ისტორიები ხშირად სენსაციებად გვევლინება, რაც მიზნად ყურადღების მიპყრობას ისახავს.⁸

აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში საქართველოში მომხდარი ფაქტებისადმი მიძღვნილ ლიტერატურაში ყველა ეს ცნება განიხილება ანალიზის ორ განზომილებაში: ადგილობრივი და უცხოური. ადგილობრივი განზომილება ყურადღებას ამახვილებს საქართველოს უნიკალურ კულტურულ და პოლიტიკურ ლანდშაფტზე, იკვლევს რა ადგილობრივ სტიმულებს, შეცდომაში შემყვან ინფორმაციის გავრცელებაში მონაწილე აქტორებისთვის. ქვეყანაში დეზინფორმაციის ადგილობრივი ასპექტის შესწავლისას ძალზე მნიშვნელოვანია იმ პოლიტიკური მოღვაწეების როლის აღიარება, რომლებსაც შეუძლიათ დეზინფორმაციის გამოყენება საკუთარი ეგოისტური მიზნებისთვის, ხშირად საზოგადოების ნდობის შერყევა და საზოგადოებაში უთანხმოების გამწვავება.⁹ "საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო" ყურადღებას ამახვილებს ხელისუფლების წარმომადგენელთა შორის პოლიტიკური ნების შემაშფოთებელ ნაკლებობაზე, რათა მოხდეს ამ საკითხების მოსაგვარებლად კონკრეტული ნაბიჯების გადადგმა, რაც არა მხოლოდ ხელს უშლის პროგრესს, არამედ აძლიერებს საგარეო გავლენას დეზინფორმაციული კამპანიების მეშვეობით. გარდა ამისა, სამოქალაქო ორგანიზაციებთან და მედიასთან სათანადო თანამშრომლობის წარუმატებლობა ზღუდავს დეზინფორმაციის წინააღმდეგ ერთიანი ფრონტის შექმნის შესაძლებლობას, მაშინ როდესაც ეს ორგანიზაციები მნიშვნელოვანი მოკავშირეები არიან გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფის კონტექსტში. ამრიგად, სამთავრო-

⁵ Wardle, Claire, and Hossein Derakhshan. *Information Disorder: Toward an Interdisciplinary Framework for Research and Policymaking*. Strasbourg: Council of Europe, 2017

⁶ Romanova, T. A., N. I. Sokolov, and Y. Y. Kolotaev. "Disinformation (Fake News, Propaganda) as a Threat to Resilience: Approaches Used in the EU and Its Member State Lithuania." *Baltic Region* 12, no. 1 (2020): 53–67. <https://doi.org/10.5922/2079-8555-2020-1-4>

⁷ Ibid. Wardle and Derakhshan, 2017.

⁸ Ibid. Romanova, & Kolotaev, 2020

⁹ Kollár, Dávid. "Disinformation as a Contemporary Key Security Challenge in the Context of the Russian-Ukrainian Conflict." *Politické vedy* 25, no. 3 (2022): 87–109. <https://ouci.dntb.gov.ua/en/works/4yE5vVr4/>.

ბო უწყებებსა და არასამთავრობო დაინტერესებულ მხარეებს შორის თანამშრომლობის გაძლიერება ხდება ინფორმირებული მოქალაქეების ჩამოყალიბების წინაპირობა, რომლებსაც შეუძლიათ ფაქტების სიცრუისგან გარჩევა, რითაც დემოკრატიული ღირებულებების განმტკიცება რთული საინფორმაციო ომის კონტექსტში, საფრთხეს უქმნის საქართველოს ევროატლანტიკურ მისწრაფებებს.

მეორეს მხრივ, საგარეო ასპექტი შეისწავლის, თუ როგორ აყალიბებს ნარატივს გარე ფაქტორები, როგორიცაა საერთაშორისო მედია და უცხოური მთავრობები, რომლებიც პოტენციურად ხელს უწყობს ყალბი ამბების გავრცელებას ქვეყანაში. ვინაიდან საქართველო დეზინფორმაციის ფართო საფრთხის წინაშე დგას, მნიშვნელოვანია ციფრული პლატფორმების როლის აღიარება ამ პრობლემების გაძლიერებასა და საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებაში. სოციალური მედიის საშუალებით ცრუ ინფორმაციის სისტემატური გავრცელება არა მხოლოდ საზოგადოების პოლარიზებას იწვევს, არამედ ძირს უთხრის ნდობას ლეგიტიმური საინფორმაციო წყაროებისა და ინსტიტუტების მიმართ. გარდა ამისა, ხელისუფლების წარმომადგენლებს შორის პოლიტიკური ნების არარსებობა სამოქალაქო საზოგადოებასთან კონსტრუქციულად ურთიერთობის ჩამოყალიბების თვალსაზრისით, ამძაფრებს სიტუაციას, რაც უცხოურ ნარატივებს საშუალებას აძლევს შეუფერხებლად გაიდგას ფესვები. ამ კონტექსტში, მედია-წიგნიერების გაუმჯობესება უმნიშვნელოვანესი ხდება; მოქალაქეების მომზადება კრიტიკული ინფორმაციის შეფასების უნარების შეძენის მიზნის ხელს შეუწყობს მედეგობის ზრდას მანიპულაციური ტაქტიკის მიმართ, რომელსაც იყენებენ როგორც ადგილობრივი, ისე უცხოელი აქტორები.

დეზინფორმაციული კამპანიების განხილვა

21 ოქტომბერს, ევროკავშირის წარმომადგენელმა საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხებში, პიტერ სტანომ განაცხადა, რომ ევროკავშირი მხარს უჭერს საქართველოს რუსული დეზინფორმაციის წინააღმდეგ ბრძოლაში, რაც არ მუშაობს ეფექტურად მას შემდეგ რაც საქართველოს ხელისუფლებამ დაიწყო დეზინფორმაციული კამპანიები ევროკავშირის წინააღმდეგ. კითხვაზე, უზრუნველყოფს თუ არა ევროკავშირი საქართველოს იგივე მხარდაჭერას რუსული დეზინფორმაციის წინააღმდეგ ბრძოლაში, რომელსაც მოლდოვას უწყევს, სტანომ განაცხადა: "ჩვენი მხარდაჭერა საქართველოსადმი ასევე ყოვლისმომცველი იყო და ჩვენ მჭიდროდ ვთანამშრომლობდით პარტნიორებთან საქართველოში, განსაკუთრებით საქართველოს მთავრობაში ბოლო დრომდე."¹⁰. მან აღნიშნა, რომ მას შემდეგ მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა, რაც დაკავშირებული იყო საქართველოს ხელისუფლების მიერ წამოწყებულ დეზინფორმაციის კამპანიაზე ევროკავშირის წინააღმდეგ, რის გამოც ურთიერთობებმა ოდნავ განსხვავებული დინამიკა შეიძინა. ეს განცხადება არის ერთ-ერთი მრავალი მტკიცებულება შორის, თუ რამდენად მჭიდროდაა გადაჯაჭვული დეზინფორმაციის ზემოთ განხილული ორი განზომილება საქართველოში.

¹⁰ *InterPressNews*, March 10, 2024.

მომდევნო თავში განხილული იქნება დეზინფორმაციის სამი ძირითადი შემთხვევა საქართველოში 2024 წლისთვის. ეს ნარატივები ნათლად წარმოაჩენს არა მხოლოდ შიდა პოლიტიკურ ლანდშაფტს, არამედ ხაზს უსვამს უფრო ფართო გეოპოლიტიკურ დამაბულობას, რომელიც გავლენას ახდენს საზოგადოების აღქმასა და პოლიტიკაზე რეგიონში.

ეგრეთ წოდებული კანონი უცხოელი აგენტების შესახებ დაპირისპირების საგანი გახდა 2023 წელს, რამაც მასობრივი პროტესტი და დებატები გამოიწვია უცხოური ძალების ქვეყნის შიდა საქმეებში ჩარევის შესახებ. ამ კანონის აქტუალიზაცია არა მხოლოდ პერმანენტული მასობრივი პროტესტების საფუძვლად იქცა, არამედ გამოავლინა საზოგადოებაში არსებული მძლავრი დაპირისპირება სუვერენიტეტისა და გარე გავლენის აღქმასთან დაკავშირებით. ეს საკამათო კანონმდებლობა ლაკმუსის ქაღალდს წარმოადგენს საქართველოს დემოკრატიული ღირებულებებისადმი ერთგულების კონტექსტში, განსაკუთრებით დასავლური პარტნიორობის მიმართ მზარდი სკეპტიციზმის ფონზე, რომელიც გამოწვეულია როგორც მთავრობის, ისე უცხოელი აქტორების მიერ გავრცელებული დეზინფორმაციული გზავნილებით.¹¹ ა/ო "საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო"-ოს თანახმად რამდენიმეთვიანი საპროტესტო მოძრაობის პარალელურად დეზინფორმაციული კამპანიის არა ერთი ფაქტი დაფიქსირდა, რომელშიც აქტიურად იყვნენ ჩართული, როგორც სხვადასხვა თანამდებობის პირები, ასევე სხვადასხვა ჯგუფები სამოქალაქო საზოგადოებისა და მედიის სახით.¹² უფრო მეტიც, სახელმწიფო აქტორების მიერ დეზინფორმაციის სტრატეგიული გამოყენება კიდევ უფრო ართულებდა სიტუაციას და ქმნიდა გარემოს, რომელშიც მოქალაქეებსთვის რთულია ფაქტის გამორჩევა ალუზიისგან, რაც საბოლოოდ აფერხებს მათ შესაძლებლობას სრულად მიიღონ მონაწილეობა დემოკრატიულ პროცესებში.¹³ ამდენად, მედიაწიგნიერების გაზრდა და გამჭვირვალე კომუნიკაციის ხელშეწყობა ნდობის აღდგენის მნიშვნელოვან კომპონენტებად იქცევა და უზრუნველყოფს, რომ ევროინტეგრაციის მომხრე ხმები მოისმინოს და დეზინფორმაციული კამპანიებით არ დაიხრჩოს.

გასულ წელს ქართულ პოლიტიკაში შემოტანილი ახალი ტერმინი - "გლობალური ომის პარტია" - სპეკულაციის კიდევ ერთ საგნად გახდა. ამ ტერმინის ირგვლივ ფორმირებული შეთქმულების თეორიები კიდევ ერთ ნათელ დემონსტრირებად იქცა დეზინფორმაციის ეფექტურ უნარზე საზოგადოებრივი დისკურსის ჩამოყალიბებისა და პოლიტიკური ერთგულების მოპოვების კონტექსტში. მოსაზრება, რომ "გლობალური ომის პარტია" აწყობს მოვლენებს გეოპოლიტიკური შედეგებით მანიპულირების მიზნით, ფართოდ გავრცელდა მოქალაქეებში, რამაც ნათლად წარმოაჩინა თუ რამდენად დიდი გავლენა შეიძლება ჰქონდეს სხვადასხვა გავლენიანი ფიგურის მიერ გაჟღერებულ ამა თუ იმ ინფორმაციას.¹⁴ ეს ფენომენი ასახავს მთელ მსოფლიოში დაფიქსირე-

¹¹ Social Justice Center, Eden Cole. *Disinformation in Georgia: Challenges and Solutions*, 2024.

¹² Transparency International Georgia. *Fighting Disinformation in Georgia* (2019).

¹³ Ibid. Social Justice Center, Eden Cole, 2024.

¹⁴ Kollár, Dávid. "Disinformation as a Contemporary Key Security Challenge in the Context of the Russian-Ukrainian Conflict." *Politické vedy* 25, no. 3 (2022): 87–109. <https://ouci.dntb.gov.ua/en/works/4yE5vVr4/>.

ბულ უფრო ფართო ტენდენციებს, სადაც დეზინფორმაცია გამოიყენება არა მხოლოდ დაყოფის ინსტრუმენტად, არამედ ექსტრემისტული იდეოლოგიების გავრცელების საშუალებადაც. ამ ნარატივების გავრცელებით ძლიერდება ისედაც პოლარიზებული პოლიტიკური დისკურსი, რაც სულ უფრო და უფრო მეტად უშლის ხელს კონსტრუქციული დიალოგის დაწყებას და საზოგადოების სხვადასხვა ნაწილს შორის საერთო ენის პოვნას.¹⁵ ამგვარი რიტორიკა მძლავრი იარაღია გარკვეული პოლიტიკური სუბიექტებისთვის, რომლებიც თავიანთი ოპონენტების სტიგმატიზებას ეწევიან და ცდილობენ ამ გზით გაზარდონ საკუთარი პოპულარობა.

ბოლო თვეების განმავლობაში, ახალი ელექტრონული ხმის მიცემის სისტემის კონფიდენციალურობის დარღვევის თემატიკა კიდევ ერთ დეზინფორმაციულ კამპანიას წარმოადგენდა, რომელმაც პოტენციურად მნიშვნელოვანი გავლენა იქონია საზოგადოებაზე. ეს უკანასკნელი პოლარიზების კონტექსტის გარდა, ნათელი მაგალითია იმისა, თუ რამდენად ეფექტური შეიძლება აღმოჩნდეს ცრუ ინფორმაცია დემოკრატიული პროცესების ეროზიის თვალსაზრისით. არჩევნების უსაფრთხოების შესახებ დაუსაბუთებელი ცნობების გავრცელებამ შეიძლება გამოიწვიოს ამომრჩეველთა აქტივობის შემცირება და არჩევნების შედეგებისადმი ნდობის შელახვა, რაც საბოლოოდ ძირს უთხრის დემოკრატიის იმ საფუძვლებს, რომელთა გაძლიერებასაც საქართველო ევროინტეგრაციის მეშვეობით ცდილობს. ეს დინამიკა ეხმიანება მთელ მსოფლიოში დაფიქსირებულ უფრო ფართო ტენდენციებს, სადაც დეზინფორმაციის კამპანიები სისტემატურად გამოიყენება პოლიტიკური სტაბილურობისა და საზოგადოებებში განხეთქილების შესამცირებლად.

ამ უკანასკნელი დეზინფორმაციული კამპანიის მთავარ გზავნილს წარმოადგენდა ის, რომ არჩევნებზე მისული ამომრჩევლის ხმის ფარულობა უზრუნველყოფილი არ იქნებოდა. აღნიშნულის საპასუხოდ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ არაერთი საინფორმაციო ღონისძიება ჩატარდა, მათ შორის არაერთხელ დაეთმო ვრცელი დისკუსია ამ საკითხს სხვადასხვა, მათ შორის ოპოზიციურ მედია პლატფორმებზე. რადიო „თავისუფლება“-ს მიერ გავრცელებული სტატია, რომელიც არჩევნების წინა დღეს გამოქვეყნდა, ერთ-ერთ პუნქტად განხილულია, რომ არსებული ტექნოლოგიების საფუძველზე შეუძლებელია მოხდეს ამომრჩევლის არჩევნის გასაჯაროება. ამ შინაარსის ინფორმაცია პერმანენტულად ვრცელდებოდა სხვადასხვა საინფორმაციო საშუალებების მეშვეობით, რამაც თავისი წვლილი შეიტანა არჩევნებზე დაფიქსირებული მაღალი აქტივობის თვალსაზრისით. იმის მიუხედავად, რომ რამდენიმე დადასტურებული ცალკეულ შემთხვევაში მარკერისა თუ ბიულეტენის დაბალი ხარისხის შედეგად ხმის ადგილი ჰქონდა ხმის ფარულობის დარღვევას, დადასტურდა დეზინფორმაციული კამპანიის მთავარი გზავნილების აბსურდულობა. ამასთანავე საგულისხმოა, რომ მიღებული შედეგის ეფექტურობა განპირობებული იყო, ერთის

¹⁵ Kollár, Dávid. "Disinformation as a Contemporary Key Security Challenge in the Context of the Russian-Ukrainian Conflict." *Politické vedy* 25, no. 3 (2022): 87–109. <https://ouci.dntb.gov.ua/en/works/4yE5vVr4/>.

მხრივ სახელმწიფო უწყებების მაღალი ჩართულობითა და ინსტიტუციების პროაქტიული მუშაობით, ასევე სამოქალაქო საზოგადოებისა და მედია საშუალებების მაღალი აქტიურობით.

დასკვნა

დასასრულს, აუცილებელია იმის აღიარება, რომ დეზინფორმაციით გამოწვეული მნიშვნელოვანი გამოწვევა საქართველოს ერში თავს იჩენს მრავალმხრივ საფრთხედ, რომელიც საფრთხეს უქმნის არა მხოლოდ ქვეყნის დემოკრატიული ინსტიტუტების მთლიანობას, არამედ მის სერიოზულ მისწრაფებებს ევროპულ საზოგადოებაში ინტეგრაციისკენ. როგორც საფუძვლიანად იყო ხაზგასმული წინა ანალიზში, დეზინფორმაციის, როგორც ადგილობრივი, ისე უცხოური განზომილების რთული გადაჯაჭვება ემსახურება ამ აქტუალური საკითხის სირთულის და ნიუანსის ხაზგასმას, რაც მოითხოვს კოორდინირებული და ყოვლისმომცველი რეაგირების განხორციელებას, რომელიც ეფექტურად ჩაერთვება საზოგადოების სხვადასხვა სექტორში. კვლევის შედეგად მიღებული დასკვნები მიუთითებს, რომ როგორც შიდა პოლიტიკური აქტორები, ასევე გარე გავლენები აქტიურად არიან ჩართულნი საჯარო ნარატივების ფორმირებაში, რაც ხშირად იწვევს უარყოფით შედეგებს დემოკრატიულ პროცესებსა და საზოგადოებრივ ერთიანობაზე, რაც საგანგაშო ტენდენციაა, რომელიც იმსახურებს ყურადღებას. ჰორიზონტზე 2024 წელს დაგეგმილი გადამწყვეტი არჩევნები, ფართოდ გავრცელებული დეზინფორმაციული კამპანიების პოტენციური საზოგადოების აღქმის მანიპულირებისა და საარჩევნო მექანიზმებისადმი ნდობის მკვეთრად შელახვის მიზნით განსაკუთრებით შემაშფოთებელია და აჩენს მნიშვნელოვან შეშფოთებას დემოკრატიული პროცესის მთლიანობის შესახებ. აქედან გამომდინარე, აუცილებელია მცდელობები, რომელიც ხელს შეუწყობს მედიაწიგნიერებას მოსახლეობაში და გააძლიერებს თანამშრომლობას სამთავრობო ინსტიტუტებს, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებსა და მედია საშუალებებს რათა პრიორიტეტული იყოს, გადამწყვეტი ნაბიჯი დეზინფორმაციის გავრცელებული საფრთხის წინააღმდეგ მდგრადობის ასამაღლებლად. რამდენადაც საქართველო გულმოდგინედ მიიწევს კომპლექსურ გზას ევროკავშირში გაწევრიანებისკენ, ამ უზარმაზარი გამოწვევების მოგვარება გადამწყვეტი იქნება არა მხოლოდ ეროვნული სტაბილურობის უზრუნველსაყოფად, არამედ უფრო ფართო ევროპულ პროექტში წვლილის შესატანად, რითაც გააძლიერებს მუდმივი სიფხიზლისა და განვითარების აუცილებლობას. ადაპტური სტრატეგიები დეზინფორმაციის წინააღმდეგ მიმდინარე ბრძოლაში.

გამოყენებული ლიტერატურა

- Benkler**, Yochai, Robert Faris, and Hal Roberts. *Network Propaganda: Manipulation, Disinformation, and Radicalization in American Politics*. New York: Oxford University Press, 2018.
- Friggeri, Adrien, Ravi Kumar, and David R. K. 2014. "Rumor Cascades." *Proceedings of the Eighth International Conference on Weblogs and Social Media*.

- Lewandowsky, Stephan, John Ecker, and Karen M. Cook. "Beyond Misinformation: Understanding and Coping with the Dissemination of False Information." *Psychological Science in the Public Interest* 18, no. 3 (2017): 102–137.
- Pennycook, Gordon, and David G. Rand. "Fighting Fake News: A Role for Cognitive Science in the Battle Against Misinformation." *Perspectives on Psychological Science* 13, no. 5 (2018): 1–25.
- Wardle, Claire, and Hossein Derakhshan. *Information Disorder: Toward an Interdisciplinary Framework for Research and Policymaking*. Strasbourg: Council of Europe, 2017.
- Romanova, T. A., N. I. Sokolov, and Y. Y. Kolotaev. "Disinformation (Fake News, Propaganda) as a Threat to Resilience: Approaches Used in the EU and Its Member State Lithuania." *Baltic Region* 12, no. 1 (2020): 53–67. <https://doi.org/10.5922/2079-8555-2020-1-4>
- Kollár, Dávid. "Disinformation as a Contemporary Key Security Challenge in the Context of the Russian-Ukrainian Conflict." *Politické vedy* 25, no. 3 (2022): 87–109. <https://ouci.dntb.gov.ua/en/works/4yE5vVr4/>.
- "Peter Stano: Unfortunately, Disinformation Comes from the Official Side of the Ruling Government of Georgia." *InterPressNews*, March 10, 2024. <https://www.interpressnews.ge/en/article/134098-peter-stano-unfortunately-disinformation-comes-from-the-official-side-of-the-ruling-government-of-georgia-we-hope-that-it-will-be-possible-to-resume-full-cooperation-with-the-government-of-georgia/>.
- Social Justice Center, Eden Cole. *Disinformation in Georgia: Challenges and Solutions*, 2024.
- Transparency International Georgia. *Fighting Disinformation in Georgia* (2019). https://www.transparency.ge/sites/default/files/dezinpormaciis_cinaagmdeg_brzola_sakartvelos_hi-e-web.pdf.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან მომდინარე საფრთხეები და მათი შემცირების გზები

პაატა მაისურაძე

სსიპ-დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს
ეროვნული თავდაცვის აკადემიის
მაგისტრატურის სახელმწიფო რესურსების მართვის
მიმართულების მსმენელი

აბსტრაქტი

სამეცნიერო ნაშრომის მიზანია წარმოაჩინოს გამოწვევები, რომლებიც წარმოიქმნა რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე. ნაშრომი არა მარტო იკვლევს მომდინარე საფრთხეებს, არამედ ხაზს უსვავს ყოვლისმომცველი მიდგომის აუცილებლობას მათ შესამცირებლად. ოკუპაციის შედეგად წარმოქმნილი საფრთხეები ერთ-ერთი ყველაზე მწვავე გამოწვევაა საქართველოსთვის. აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებში რუსული სამხედრო ბაზების არსებობა ხელს უწყობს მუდმივ დაძაბულობასა და ძირს უთხრის რეგიონალურ სტაბილურობას, ვინაიდან სამხედრო კონფლიქტის განახლების პოტენციური კვლავ მნიშვნელოვან რისკად რჩება. სამხედრო მილიტარიზაცია რუსეთის გეოპოლიტიკური სტრატეგიის ბერკეტს წარმოადგენს. შესაბამისად, საქართველომ პრიორიტეტულად უნდა მიიჩნიოს თავისი სამხედრო შესაძლებლობების გაძლიერება და გაზარდოს დიპლომატიური ძალისხმევა რისკების შესამცირებლად. ეკონომიკური თვალსაზრისით ოკუპაციამ უარყოფითი ზეგავლენა მოახდინა საქართველოზე. ქვეყანამ დაკარგა ბუნებრივი რესურსები, სასოფლო-სამეურნეო მიწები და მნიშვნელოვანი სავაჭრო გზები. უკანონო ბორდერიზაციამ კიდევ უფრო დაამძიმა ოკუპირებულ ტერიტორიებზე და საზღვრისპირა რეგიონებში მცხოვრები ეთნიკური ქართველების მდგომარეობა. სწორედ ამიტომ, საქართველოს ხელისუფლებამ ამ ტერიტორიებთან ახლოს უნდა განახორციელოს ინვესტირება ეკონომიკური შესაძლებლობების გაზრდის მიზნით. ასევე, მჭიდროდ ითანამშრომლოს უფლებადამცველ ორგანიზაციებთან, რათა მოხდეს დამკვირვებლებისა და ჰუმანიტარული დახმარების ხელმისაწვდომობა. რუსეთის მიერ წარმოებული საინფორმაციო ომი და კიბერშეტევები კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევაა საქართველოსთვის. პროპაგანდა, დეზინფორმაცია და კიბერ თავდასხმები უარყოფითად აისახება ქვეყნის სამომავლო განვითარებაზე.

აღნიშნული ნაშრომი გვიჩვენებს, რომ ოკუპაციის შედეგად წარმოქმნილ საფრთხეებთან ბრძოლა მოითხოვს მრავალმხრივ მიდგომას, რომელიც მოიცავს დიპლომატიას, სამხედრო მზადყოფნას, ეკონომიკურ მდგრადობასა და ადამიანების უფლებების დაცვას. საქართველოს გრძელვადიანი სტრატეგია ფოკუსირებული უნდა იყოს ქვეყნის შიდა ძლიერებისა და ერთიანობის ჩამოყალიბებაზე და ამავე დროს შეინარჩუნოს საერთაშორისო საზოგადოების მხარდაჭერა.

საკვანძო სიტყვები: ოკუპაცია, სამხედრო ბაზები, ბორდერიზაცია, ბუნებრივი რესურსები, საინფორმაციო ომი, სახალხო დიპლომატია.

Treats coming from occupied territories of Georgia and ways to reduce them

Paata Maisuradze

Student of Master's Program in State Recourse Management of
LEPL-David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia

Abstract

The aim of the scientific work is to present the challenges that arose in the territories occupied by the Russian Federation in Georgia. This work not only examines the emerging threats, but also emphasizes the need for a comprehensive approach to reduce them. The dangers arising from the occupation are one of the most acute challenges for Georgia. The presence of Russian military bases in Abkhazia and Tskhinvali regions contributes to ongoing tensions and undermines regional stability, because the potential of renewed military conflict remains as a significant risk. Military militarization is a lever of Russia's geopolitical strategy. Accordingly, Georgia should set a priority of strengthening its military capabilities and increase diplomatic efforts to reduce the risks. From the economic point of view, the occupation had a negative impact on Georgia. The country lost natural resources, agricultural lands and important trade routes. Illegal bordering has aggravated the condition of ethnic Georgians living in the occupied territories and border regions. That is why the government of Georgia should invest near these areas in order to increase economic opportunities. Also, the government should cooperate closely with human rights organizations to ensure the availability of observers and humanitarian aid. The information war and cyber attacks from Russia are another important challenge for Georgia. Propaganda, disinformation and cyber attacks will have a negative impact on the future development of the country.

This scientific work shows that combating the threats posed by the occupation requires a multifaceted approach that includes diplomacy, military readiness, economic sustainability, and human rights protection. Georgia's long-term strategy should be focused on building the country's internal strength and unity while maintaining the support of the international community.

Keywords: occupation, military bases, bordering, natural resources, information war, public diplomacy.

შესავალი

აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის რეგიონები, რომლებიც განლაგებულია საქართველოს ჩრდილო-დასავლეთ და ცენტრალურ რაიონებში, საუკუნეების განმავლობაში მისი შემადგენელი ნაწილი იყო. ოსურ-აფხაზური სეპარატიზმი სათავეს ჯერ კიდევ მას შემდეგ იღებს, რაც საქართველოს სამეფო-სამთავროები რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შევიდა. თავდაპირველად მეფის რუსეთის, შემდეგ კი საბჭოთა ხელისუფლების ძალისხმევით. რუსეთის ფედერაციამ ორივე რეგიონში ყველა ღონე იხმარა იმისთვის, რომ ანტიქართული პროპაგანდით, საქართველოს სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ შენელებული მოქმედების ნაღმები ჩაედო. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, რუსეთი მაქსიმალურად ცდილობდა არ დაეკარგა ზეგავლენა პოსტსაბჭოთა ქვეყნებზე. ამ მიზნის მიღწევას იგი არეულობისა და დესტაბილიზაციის გამოწვევით ცდილობდა. რუსეთი აქტიურად უჭერდა მხარს საქართველოში სეპარატისტულ მოძრაობებს და ეხმარებოდა მათ, როგორც მატერიალურად, ასევე საბრძოლო ტექნიკით. შესაბამისად, აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში მომხდარი ეთნიკური კონფლიქტებიც მის მიერ იყო ინსცენირებული. რუსეთის ფედერაცია მუდმივად აწყობდა პროვოკაციებს და ამწვავებდა კონფლიქტურ სიტუაციას ე.წ. სამშვიდობო ძალების მეშვეობით. მას შემდეგ რაც, საქართველომ ევრო-ატლანტიკური კურსი აირჩია რუსეთის პოლიტიკა კიდევ უფრო ხისტი გახდა მასთან მიმართებაში.¹ აღნიშნულმა რეგიონებმა ფედერაციის წაქეზებით დამოუკიდებლობა გამოაცხადეს, რამაც გამოიწვია ინტენსიური და გახანგრძლივებული კონფლიქტები, რის შედეგადაც გაიზარდა ქვეყანაში დესტაბილიზაციის რისკი. მიუხედავად ცეცხლის შეწყვეტისა და სამშვიდობო შეთანხმებისა, ორივე რეგიონი რჩება რუსეთის მიერ მხარდაჭერილი სეპარატისტული რეჟიმების დე ფაქტო კონტროლის ქვეშ. ვითარება კიდევ უფრო დამძიმდა ფედერაციის მიერ მათი დამოუკიდებლობის აღიარებით 2008 წელს, რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ. რუსეთის ამ ნაბიჯმა გაართულა საქართველოს საერთაშორისო და დიპლომატიური ძალისხმევა ამ ტერიტორიებზე სუვერენიტეტის აღდგენასთან დაკავშირებით. გარდა ამისა, არასტაბილურმა ვითარებამ შეაფერხა ინვესტიციების მოზიდვის შესაძლებლობა და ეკონომიკური განვითარება. ომმა და საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციამ უარყოფითი გავლენა მოახდინა ქვეყნის ნატო-სა და ევროკავშირში გაწევრიანებაზე, რადგან მოუფვარებელმა ტერიტორიულმა კონფლიქტებმა გაზარდა რისკები და შეამცირა საერთაშორისო ორგანიზაციების წევრობის შესაძლებლობა. ასეთ ვითარებაში მნიშვნელოვანია სწორად შეფასდეს, თუ რა საფრთხეები მომდინარეობს ოკუპირებული ტერიტორიებიდან და რამდენად ეფექტურია საქართველოს უსაფრთხოების სისტემა მათთან გამკლავების თვალსაზრისით. ეს საკითხი განსაკუთრებით აქტუალურია, ვინაიდან რუსეთი აღნიშნული პოლიტიკით მუდმივად ცდილობს საქართველოს გავლენის ქვეშ მოქცევას. უფრო მეტიც, მისი მიზანია აფხაზეთისა და ცხინვალის

¹ანი ჯინჭარაძე. „სეპარატიზმის გავლენა საქართველოს ეროვნულ და რეგიონალურ უსაფრთხოებაზე.“ სამაგისტრო ნაშრომი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი. თბილისი: კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2021

რეგიონების სამუდამო ანექსია, რაც იმას გულისხმობს, რომ ეს ტერიტორიები აღარ იყოს საქართველოს ნაწილი და მსოფლიომ ეს ფაქტი მიიღოს. ამის მიღწევას კი ეფექტიანი სახელმწიფო ინსტიტუტების მოშლითა და შიდაპოლიტიკური სტაბილურობის შესუსტებით ცდილობს.² შესაბამისად, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ოკუპაცია საფრთხეს უქმნის საქართველოს ეროვნულ უსაფრთხოებასა და რეგიონალურ სტაბილურობას. ოკუპირებულ რეგიონებში უცხო ქვეყნის სამხედრო ძალის არსებობა და სამხედრო ბაზების განლაგება ძალისმიერი კონფლიქტის განახლების მუდმივ რისკს წარმოადგენს. სასაზღვრო ინციდენტები, ეთნიკური ქართველების იძულებით გადაადგილება და სხვა მრავალი ფაქტორი კიდევ უფრო ამძაფრებს არსებულ დამაბულობასა და ძირს უთხრის კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარებას. ოკუპაცია აფერხებს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას, არღვევს სოციალურ ერთიანობას და ხელს უშლის ადამიანის უფლებების დაცვას თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად. ამ გამოწვევების მოგვარება მნიშვნელოვანია არა მხოლოდ საქართველოს სუვერენიტეტისა და მთლიანობის გასამყარებლად, არამედ სამხრეთ კავკასიის რეგიონის სტაბილურობისთვის. ოკუპირებული ტერიტორიებიდან მომდინარე საფრთხეები მოითხოვს მრავალმხრივ მიდგომასა და ყოვლისმომცველ სტრატეგიას, რომელიც მოიცავს დიპლომატიურ, პოლიტიკურ, სოციალურ, ეკონომიკურ და ჰუმანიტარულ ზომებს მშვიდობისა და სტაბილურობის უზრუნველსაყოფად.

ძირითადი ნაწილი

პირველ რიგში უნდა ითქვას, რომ რუსული სამხედრო ბაზების არსებობა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ოკუპირებულ ტერიტორიებზე მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნის საქართველოს ეროვნულ უსაფრთხოებას. სამხედრო ბაზები საშუალებას აძლევს რუსეთს შეინარჩუნოს დომინანტური მდგომარეობა, საჭიროების შემთხვევაში განახორციელოს სწრაფი გადაადგილება და ესკალაცია. ბაზების სტრატეგიული განლაგება ხელს უწყობს, არა მხოლოდ ადგილობრივი კონტროლის განხორციელებას, არამედ იძლევა უფრო ფართო რეგიონალური გავლენის შესაძლებლობას, რაც ძირს უთხრის საქართველოს სუვერენიტეტსა და უსაფრთხოებას. რეგულარული სამხედრო წვრთნები და თანამედროვე საბრძოლო სისტემების დანერგვა ქმნის ზეწოლისა და დაშინების გარემოს. რუსული სამხედრო სიძლიერე წარმოადგენს შემაკავებელ ფაქტორს დასავლეთთან ინტეგრაციის კუთხით და ხელს უწყობს დაუცველობის განცდას ადგილობრივ მოსახლეობაში. პოტენციური სამხედრო ესკალაცია მუდმივ საფრთხედ რჩება, ვინაიდან შესაძლოა ნებისმიერი კონფლიქტი სწრაფად გადაიზარდოს ფართო სამხედრო დაპირისპირებაში. რუსული სამხედრო ძალების ოკუპირებულ ტერიტორიებზე ყოფნა შეიცავს განზრახ თუ შემთხვევით სწრაფი ესკალაციის შესაძლებლობას. აღნიშნული საფრთხის შესამცირებლად, პირველ რიგში მნიშვნელოვანია საქართველოს თავდაცვისუნარიანობის გაძლიერება და სამხედრო ინფრასტრუქტურის მოდერნიზე-

²ნონა ხუციშვილი. „საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების ძლიერი და სუსტი მხარეები.“ სამაგისტრო ნაშრომი, თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტი. თბილისი: თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2020

ბა, რათა აგრესიის შემთხვევაში შესაძლებელი იყოს მოწინააღმდეგეს შეკავება და ქვეყნის სუვერენიტეტის შენარჩუნება. ამის მიღწევა კი შესაძლებელია საერთაშორისო პარტნიორებთან სამხედრო თანამშრომლობის გაძლიერებით. სამხედრო თვალსაზრისით საქართველომ უნდა შეძლოს და მოიპოვოს ძლიერი საერთაშორისო მხარდაჭერა რუსეთის წინააღმდეგ.

ბორდერიზაციის პროცესი, რომელიც ხასიათდება ფიზიკური ბარიერებისა და სადემარკაციო ხაზების აღმართვით ოკუპირებული ტერიტორიების ადმინისტრაციული საზღვრების გასწვრივ, მუდმივი კონფლიქტებისა და დაძაბულობის წყაროა, ვინაიდან აღნიშნული ქმედება ზღუდავს, როგორც საზღვრისპირა მოსახლეობის, ასევე შინაური ცხოველების თავისუფალ გადაადგილებას. ბორდერიზაციის უარყოფითი შედეგები მრავალმხრივია. ადგილობრივი მოსახლეობისთვის არღვევს ყოველდღიური ცხოვრების წესს, ხელს უწყობს ეკონომიკურ გაჭირვებასა და სოციალურ ფრაგმენტაციას, წყვეტს ხელმისაწვდომობას ძირითად სამომხმარებლო სერვისებზე, სასოფლო-სამეურნეო მიწებზე, ოჯახურ და რელიგიურ კავშირებზე. გარდა ამისა, დე ფაქტო ხელისუფლების მიერ პირობითი საზღვრის დარღვევის მიზეზით საქართველოს მოქალაქეების დაკავებისა და გატაცების შემთხვევები კიდევ უფრო ამძაფრებს დაძაბულობასა და ხელს უწყობს უარყოფითი კლიმატის ჩამოყალიბებას. მაგალითად, აღნიშნული ბრალდებით მხოლოდ გასულ წელს უკანონოდ დაკავებული იქნა 31 საქართველოს მოქალაქე, რაც 2022 წლის ამავე მაჩვენებელზე თითქმის 2-ჯერ მაღალია.³ ზემო აღნიშნული გამოწვევების გარდა სასაზღვრო კონფლიქტებს აქვს უფრო ფართო გეოპოლიტიკური დატვირთვა, რადგან ისინი წარმოადგენენ მუდმივ შეხსენებას ოკუპირებული ტერიტორიების გადაუჭრელი სტატუსის შესახებ და ხელს უშლიან მშვიდობიანი შერიგებისკენ მიმავალ ნებისმიერ პროცესს. ბორდერიზაციასთან დაკავშირებული საფრთხეების მოსაგვარებლად საჭიროა მრავალმხრივი მიდგომა. სხვა და სხვა ფორუმებისა და ორგანიზაციების გამოყენება, პარტნიორი სახელმწიფოების დროული ინფორმირებულობა და მყისიერი რეაგირება ფედერაციის მიერ საერთაშორისო სამართლის დარღვევებზე. აღნიშნული ქმედებები დაეხმარება საქართველოს ზეწოლის შენარჩუნებაში. უკანონო ბორდერიზაციასთან დაკავშირებით საქართველოს მხრიდან უნდა მიმდინარეობდეს მუდმივი მონიტორინგი და მიღებული ინფორმაცია მიეწოდებოდეს საერთაშორისო საზოგადოებას. გარდა ამისა, საზღვრისპირა მოსახლეობის მხარდასაჭერად უნდა შემუშავდეს ისეთი სოციალური პროექტები, რომელიც გააუმჯობესებს მათი ცხოვრების დონეს და ასევე მიზიდველი იქნება პირობითი საზღვრის საპირისპირო მხარეს მყოფი ეთნიკური აფხაზი და ოსი მოსახლეობისთვისაც. მნიშვნელოვანია მრავალმხრივი მოლაპარაკებები ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობით კონფლიქტების მოგვარებისა და ნდობის აღდგენის ღონისძიებების განსახორციელებლად, რომლებიც ხელს შეუწყობენ დიალოგს ქართველებს, ოსებსა და აფხაზებს შორის. რა თქმა უნდა პროცესი საწყის ეტაპზე შესაძლოა არ იყოს პროდუქტი-

³ელენე მინდიაშვილი. „საოკუპაციო ხაზთან არსებული ვითარების მიმოხილვა.“ კრემლის პოლიტიკის გზამკვლევი აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში. 20 თებერვალი, 2024

ული, თუმცა გარკვეულწილად დაეხმარება დამაბულობის შემცირებასა და დროთა განმავლობაში ნდობის ჩამოყალიბებას.

ოკუპირებული ტერიტორიებიდან მომდინარე ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან საფრთხეს წარმოადგენს ბუნებრივი რესურსების უნებართვო მოპოვება და ექსპლუატაცია. აღნიშნული რეგიონები მდიდარია ისეთი რესურსებით, როგორცაა ხე-ტყე, სამთო მინერალები და წყალი, რომელთა ექსპლუატაცია ხორციელდება საქართველოს ხელისუფლების ზედამხედველობის გარეშე. მაგალითად, ხე-ტყის უკანონო მოპოვება არა მხოლოდ ანადგურებს საქართველოს ფლორას და ფაუნას, არამედ იწვევს მნიშვნელოვან ეკონომიკურ ზარალს. გარდა ამისა, ისეთი მინერალური რესურსების გადაჭარბებული მოპოვება, როგორცაა ძვირფასი ლითონები და ქვები, გარდა პოტენციური შემოსავლის დაკარგვისა იწვევს ნიადაგის დეგრადაციასა და წყლის დაბინძურებას, რაც უარყოფითად აისახება სოფლის მეურნეობის პროდუქტიულობასა და საზოგადოებრივ ჯანმრთელობაზე. წყლის რესურსები, რომლითაც იწარმოება ჰიდროენერგია შეზღუდულია. მისი უკონტროლო მოხმარება აფხაზური მხარის მიერ ძლიერ ფინანსურ ტვირთს წარმოადგენს საქართველოს ბიუჯეტისთვის. მაგალითად, ენგურჰესის მოვლა-პატრონობასა და რეაბილიტაციას მხოლოდ ქართული მხარე ახორციელებს საკუთარი ხარჯებით, ხოლო აფხაზეთში მცხოვრები ადამიანები ოთხჯერ მეტ ელექტროენერგიას მოიხმარენ, ვიდრე საქართველოს დანარჩენი რეგიონის მაცხოვრებლები.⁴ ოკუპირებული რეგიონების ეკონომიკური ბლოკადა მნიშვნელოვან უარყოფით ზეგავლენას ახდენს საქართველოზე. მისი როგორც ევროპასა და აზიას შორის სატრანზიტო კვანძის შესაძლებლობა შეზღუდულია და საქართველო ვერ ახერხებს სრულად გამოიყენოს თავისი გეოგრაფიული პოტენციალი. ეკონომიკური ბლოკადა ასევე ხელს უწყობს სოციალურ უთანასწორობას ქვეყნის შიგნით. ოკუპირებულ ტერიტორიებზე მოსახლეობის ცხოვრების ძალიან დაბალი დონეა, რაც ტვირთავს ეროვნულ ეკონომიკას, რადგან საქართველოს მთავრობა ცდილობს მოსახლეობის ჰუმანიტარულ დახმარებას, რაც კიდევ უფრო ამძიმებს ქვეყნის ბიუჯეტს და აფერხებს ეკონომიკურ განვითარებას. აღნიშნული საფრთხე საკმაოდ რთული და კომპლექსურია, თუმცა საქართველოს შეუძლია გამოიყენოს საერთაშორისო სამართლებრივი ჩარჩოები და ინსტიტუტები ბუნებრივი რესურსების არასანქცირებულ მოპოვებასთან მიმართებაში. იმისათვის რომ, მხარდაჭერა იყო მყარი საჭიროა გლობალური პლატფორმების გამოყენებით, როგორცაა გაერო, ევროკავშირი და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციები, მსოფლიო საზოგადოების ცნობიერების ამაღლება რესურსების უკანონო ექსპლუატაციასთან დაკავშირებით. კომუნიკაცია პარტნიორი სახელმწიფოების ჩართულობით ისეთ ქვეყნებთან, რომლებიც შეიძლება ირიბად იყვნენ ჩართული ბუნებრივი რესურსების მოპოვებასა და რეალიზაციაში, ხელს შეუწყობს უკანონო ვაჭრობის შეფერხებასა და აღნიშნულ ბაზარს გახდის ნაკლებ მიმზიდველს.

⁴ერეკლე შუბითიძე, გურამ ლობჟანიძე. „საქართველოს ელექტროენერჯის სექტორის გამოწვევები და შესაძლებლობები.“ ISET კვლევითი ინსტიტუტი. 28 დეკემბერი, 2020

ოკუპირებული ტერიტორიებიდან მომდინარე მწვავე საფრთხეებს შორის არის საინფორმაციო ომი, რომელიც მოიცავს პროპაგანდასა და დეზინფორმაციას. თითოეული მათგანი, არა მხოლოდ პოლიტიკური დესტაბილიზაციის იარაღია, არამედ წარმოადგენს უფრო ფართო სტრატეგიის ნაწილს, რომელიც მიზნად ისახავს შელახოს საქართველოს სუვერენიტეტი და გავლენა მოახდინოს მის საშინაო და საგარეო პოზიციაზე. სწორედ მათი სახით ხდება წინასწარ შერჩეული და დამუშავებული ინფორმაციის მიწოდება ადრესატამდე, რომელიც ზეგავლენას ახდენს ცნობიერებაზე და ხელს უწყობს მცდარი აზრის ჩამოყალიბებას, რიგ შემთხვევაში კი აჩენს უნდობლობასა და განხეთქილებას ქმნის საზოგადოებაში. კონფლიქტის ეს ფორმა გულისხმობს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებას მოტყუებისა და მანიპულაციის მოხდენის მიზნით, როგორც საქართველოს მოსახლეობაზე, ისე საერთაშორისო საზოგადოებაზე. ოკუპირებული რეგიონები გამოიყენება პროპაგანდის გასავრცელებლად, რომელიც ემსახურება ამ ტერიტორიებზე რუსული სამხედრო ბაზების ლეგიტიმაციას. ტრადიციული და სოციალური მედია პლატფორმებისა და სხვა არხების მეშვეობით რუსეთი ცდილობს წარმოაჩინოს საქართველო აგრესორად, ხოლო სეპარატისტული რეგიონები ჩაგვრის მსხვერპლად. ეს ნარატივი მიზნად ისახავს საქართველოს მთავრობის მიმართ საერთაშორისო საზოგადოების ნდობის შესუსტებას, რაც უარყოფითად აისახება მათ მიერ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერაზე. პროპაგანდისტული მცდელობები საკმაოდ დახვეწილია, რომელიც აშკარა ტყუილთან ერთად მცირე დოზით სიმართლესაც მოიცავს. მაგალითად, რუსული ნარატივი ხაზგასმით აღნიშნავს ქართველებს, აფხაზებსა და ოსებს შორის ისტორიულ წყენას, რომელიც საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ სამხედრო დაპირისპირებაში გადაიზარდა, თუმცა არაფერს ამბობს იმის თაობაზე, თუ ვის მიერ იქნა პროვოცირებული აღნიშნული ქმედება და ამით ცდილობს გადაფაროს სამხედრო ინტერვენცია და კონფლიქტების გახანგრძლივების ხელშეწყობა. რუსეთის ფედერაციის მიერ წარმოებული დეზინფორმაცია გულისხმობს ცრუ ან შეცდომაში შემყვანი ინფორმაციის მიზანმიმართულ გავრცელებას სტრატეგიული მიზნების მისაღწევად. ოკუპირებული ტერიტორიების კონტექსტში ხშირად გამოიყენება აღნიშნული კამპანია საქართველოში შიდა უთანხმოების შესაქმნელად. მაგალითად, პერიოდულად ვრცელდება ყალბი ცნობები სამხედრო აქტივობების, ეკონომიკური კრიზისების ან პოლიტიკური არასტაბილურობის შესახებ, რომლის მიზანია პროტესტისა და არეულობის პროვოცირება.⁵ დეზინფორმაციულ კამპანიებს ხშირად ხელს უწყობს საქართველოში სხვა და სხვა პოლიტიკურ ჯგუფებს შორის არსებული დაპირისპირება. საზოგადოება, რომელიც უკვე პოლარიზებულია და გააჩნია განსხვავებული შეხედულებები ისეთ საკითხებზე, როგორცაა რუსეთთან ურთიერთობა, ევროინტეგრაცია და შიდა მმართველობა, დეზინფორმაცია კიდევ უფრო აძლიერებს დამაბულობასა და აღრმავებს უნდობლობას მოქალაქეებს შორის, რაც ასუსტებს და აზიანებს საქართველოს ერთიან ერ-

⁵ნინო ახალაია. „კონფლიქტის მიზეზები აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში.“ სამაგისტრო ნაშრომი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი. თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2021

ოვნულ ინტერესებს. კიდევ ერთ მნიშვნელოვან საფრთხეს წარმოადგენს ოკუპირებული ტერიტორიებიდან მომდინარე კიბერშეტევები. საქართველო მუდმივად არის კიბეროპერაციების ხშირი სამიზნე, რომელთაგან უმეტესობა როგორც ვარაუდობენ მომდინარეობს ოკუპირებულ რეგიონებში დაფუძნებულ და მხარდაჭერილ აქტორებზე. თავდასხმები მერყეობს მარტივი მანიპულაციებიდან დაწყებული დახვეწილ ოპერაციებამდე, რომელიც მიზნად ისახავს, როგორც კრიტიკული ინფრასტრუქტურისა და საკომუნიკაციო ქსელების მოშლას, ასევე მნიშვნელოვან ინფორმაციაზე წვდომას. კიბერშეტევები გამოიყენება საქართველოს მთავრობის ფუნქციონირების ჩაშლის მიზნით, რათა გაართულოს კრიზისულ სიტუაციებზე რეაგირება და საზოგადოებრივი წესრიგის შენარჩუნება. გარდა ამისა, კიბერ ჯაშუშური საქმიანობა მტრულად განწყობილ აქტორებს აძლევს წვდომას ღირებულ ინფორმაციაზე, რომელიც გამოიყენება ქვეყნის შემდგომი დესტაბილიზაციისთვის და პოლიტიკური პროცესების მანიპულირებისთვის. მაგალითად, 2008 წლის ომამდე და განსაკუთრებით ომის შემდგომ პერიოდში რუსული კამპანია აქტიურ რეჟიმში ფუნქციონირებდა. სხვა და სხვა პროპაგანდისტული მესიჯების გარდა, პერიოდულად ხდებოდა კრემლის მიერ კონტროლირებადი კიბერ შეტევები საქართველოს სახელმწიფო ინსტიტუტებზე და ინტერნეტ სერვერებზე. რუსული სპეცსამსახურების აქტიური კიბერ თავდასხმებით შესაძლებელი გახდა სხვა და სხვა საჯარო უწყებაში დახურულ და დაცულ ინფორმაციაზე წვდომა, რომელმაც მნიშვნელოვნად დააზარალა ქართული მხარის ინტერესები.⁶ ზემო აღნიშნული საფრთხეების შესამცირებლად საჭიროა საქართველოს ხელისუფლებამ განახორციელოს საგანმანათლებლო კამპანიები, რომლებიც დაეხმარება მოქალაქეებს კრიტიკულად შეაფასონ ინფორმაციის წყაროები, ამოიცნონ დეზინფორმაცია და გადაამოწმონ ფაქტები. სწორედ ამიტომ აღნიშნული კამპანია ინტეგრირებული უნდა იყოს სასწავლო-საგანმანათლებლო პროგრამებში. საფრთხეებთან გასამკლავებლად საჭიროა საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება, რათა მათ ჰქონდეთ ინფორმაცია დეზინფორმაციის საშიშროების შესახებ, გამოავლინონ და დაუპირისპირდნენ მას. საჯარო სერვისების გამოყენება, სემინარების გამართვა და საზოგადოებრივი ლიდერების ჩართულობა ხელს შეუწყობს ზუსტი ინფორმაციის გავრცელებას. რუსული საინფორმაციო ომი დაფუძნებულია იმ სისუსტეებზე, რომელიც ქართულ საზოგადოებაშია. ამიტომ, მაქსიმალურად უნდა მოხდეს საზოგადოების კონსოლიდირება ერთიანი ეროვნული აზრისა და ღირებულებების ირგვლივ. დამოუკიდებელი ჟურნალისტიკა გადამწყვეტ როლს თამაშობს პროპაგანდის წინააღმდეგ ბრძოლაში, შესაბამისად დამოუკიდებელი მედია საშუალებების გაძლიერება და მხარდაჭერა მნიშვნელოვანი ფაქტორია საფრთხეებთან საბრძოლველად. ინვესტიცია კიბერუსაფრთხოების ინფრასტრუქტურაში კრიტიკული სისტემების დასაცავად მოიცავს, როგორც პროგრამული უზრუნველყოფის რეგულარულ განახლებას, ასევე პროფესიონალი კადრების მომზადებასა და გადამზადებას საჯარო და კერძო სექტორში. აღნიშნული ქმედებების განხორციელებით საქარ-

⁶ოთარ ჯავახიძე. „რუსეთის საინფორმაციო ომი საქართველოს წინააღმდეგ.“ სამაგისტრო ნაშრომი, თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტი. თბილისი: თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2021

თველო შეძლებს მდგრადობის გაზრდას ოკუპირებული ტერიტორიებიდან მომდინარე პროპაგანდის, დეზინფორმაციისა და კიბერშეტევების მუდმივი საფრთხეების წინააღმდეგ.

ოკუპირებული ტერიტორიებიდან მომდინარე საფრთხეების დარეგულირების საკითხში სახალხო დიპლომატიას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია, ვინაიდან ეფუძნება სამშვიდობო პოლიტიკის პრაქტიკასა და მისი გამოყენება წამყვანი სახელმწიფოების მიერ არის რეკომენდირებული. ასეთი მიდგომა იმით გამოირჩევა, რომ გვერდს უვლის პოლიტიკურ საკითხებსა და ემყარება ადამიანებს შორის ურთიერთობებსა და პოზიტიურ განწყობებს, რაც ხელს უწყობს დაპირისპირებულ მხარეთა საერთო საჭიროებების ირგვლივ ურთიერთობების დარეგულირებას. სახალხო დიპლომატია შეიძლება განხილული იქნას, როგორც გადამწყვეტი მექანიზმი კონფლიქტის მოგვარებაში, ვინაიდან ის მუშაობს მაშინ, როცა ოფიციალურ მხარეებს შორის კონტაქტი მოშლილია და კონფლიქტი გაყინულია. მაშინ როცა, ოფიციალური არხები დახურულია და პოლიტიკოსებს არ შეუძლიათ ერთმანეთთან საუბარი, ადგილობრივი და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციები, სამოქალაქო საზოგადოება და დამოუკიდებელი ექსპერტები ერთვებიან მიმდინარე პროცესებში. ისინი იღებენ საკუთარ თავზე პოზიციათა დაახლოების ძიებას და არაფორმალური დიალოგის მეშვეობით, საერთო ინტერესებიდან გამომდინარე ხდება სხვა და სხვა პოლიტიკური გადაწყვეტილებების მოსინჯვა. მაგალითად, სახალხო დიპლომატიის პირველი პოზიტიური გამოვლინება ჯერ კიდევ 1994-95 წლებში მოხდა, როდესაც ბრიტანული ორგანიზაციის ხელშეწყობით ქართველები, აფხაზები და ოსები ომის შემდგომ პირველად აჭარაში შეხვდნენ ერთმანეთს. შეხვედრის ფარგლებში გამოიკვეთა, რომ მონაწილეებს პიროვნულ დონეზე ერთმანეთთან პრობლემა არ ჰქონდათ და რეალურ პრობლემად მხარეები რუსეთის იმპერიულ პოლიტიკას ასახელებდნენ.⁷

დასკვნა

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ოკუპირებული ტერიტორიები მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენენ საქართველოს სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობისა და უსაფრთხოებისთვის. ოკუპაციის შედეგად მომდინარე საფრთხეები მრავალმხრივია, რაც მოიცავს ეკონომიკურ გამოწვევებს, ადამიანის უფლებების მძიმე დარღვევებსა და უსაფრთხოების მაღალ რისკებს. ამ საფრთხეების დარეგულირება მოითხოვს ყოვლისმომცველ მიდგომას, რომელიც მოიცავს დიპლომატიურ ძალისხმევას, სამხედრო მზადყოფნასა და გრძელვადიან სოციალურ-ეკონომიკურ მდგრადობას. ეთნიკური კონფლიქტები, რომელსაც ჯერ კიდევ მეფის რუსეთის დროს ჩაეყარა საფუძველი, კიდევ უფრო გამწვავდა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ გარე ძალის მიერ, რომელიც ცდილობდა და დღესაც ცდილობს თავისი გავლენის გაფართოებას რეგიონში. რუსეთის ფედერაციის ჩართვა აფხაზეთისა

⁷შალვა ბერიანიძე. „სახალხო დიპლომატიის გამოწვევები და შესაძლებლობები ქართულ-აფხაზურ და ქართულ-ოსურ კონფლიქტებში (1993 წლიდან დღემდე)“. ეროვნული უსაფრთხოების აქტუალური საკითხები 9-22. საკონფერენციო ნაშრომთა კრებული, 2022

და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტში, მხოლოდ სეპარატისტული მოძრაობების მხარდაჭერას არ გულისხმობს. ის ასევე არის სამხრეთ კავკასიაში გავლენის სფეროს შენარჩუნების ფართო სტრატეგიის ნაწილი, რეგიონში შავ ზღვასთან სიახლოვის, ენერგორესურსებისა და სატრანზიტო გზების გამო. 2008 წლის ომმა არა მხოლოდ გამოიწვია სეპარატისტული რეგიონების დამოუკიდებლობის აღიარება, არამედ გააძლიერა რუსეთის სამხედრო ყოფნა ამ ტერიტორიებზე, რომელიც იქცა მუდმივი დაძაბულობის წყაროდ, როგორც საქართველოსთვის, ასევე მისი მოკავშირეებისთვისაც. არსებობს სამხედრო კონფლიქტის განახლების მუდმივი საფრთხე, რადგან არასტაბილური გარემოა, სადაც მცირე ინციდენტებიც კი შეიძლება გადაიზარდოს ფართო დაპირისპირებაში. სწორედ ამიტომ, საქართველომ უნდა გააგრძელოს ოპტიმალური გადაწყვეტილებების ძიება საერთაშორისო პარტნიორების ჩართულობით, რუსეთზე ზეწოლის გაზრდის მიზნით, რაც არაღიარების მტკიცე პოზიციის შენარჩუნებასა და ოკუპაციის მშვიდობიანი გზით მოგვარებას შეუწყობს ხელს. შემფოთებას იწვევს ოკუპირებულ ტერიტორიებზე და მის სიახლოვეს ადამიანის უფლებების დარღვევის საგანგაშო სტატისტიკა. განსაკუთრებით ეთნიკური ქართველები განიცდიან დისკრიმინაციულ დამოკიდებულებასა და შეზღუდული აქვთ თავისუფალი გადაადგილება. თვითნებური დაკავებების, წამებისა და სხვა ძალადობრივი ქმედებების შესახებ ცნობები ფართოდაა გავრცელებული და ამ ტიპის დარღვევები დღესაც გრძელდება. ამ კუთხით საქართველოს ხელისუფლებამ საერთაშორისო დონეზე უნდა გამოიყენოს ყველა პლატფორმა და გააგრძელოს ადამიანის უფლებათა დამცველ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა. მიუხედავად იმისა, რომ სიტუაციის მყისიერი გაუმჯობესების ალბათობა ამ ეტაპზე ნაკლებ სავარაუდოა, გრძელვადიან პერსპექტივაში პოზიტიური ცვლილებები მოსალოდნელია. საქართველომ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა საერთაშორისო პარტნიორებთან ძლიერი ურთიერთობების ჩამოყალიბებაში. ეს ალიანსები გადამწყვეტია რუსეთზე ზეწოლის შესანარჩუნებლად და იმის უზრუნველსაყოფად, რომ ტერიტორიული მთლიანობის საკითხი გლობალური დღის წესრიგში დარჩეს. საფრთხეების შემცირების ერთ-ერთი პოტენციური გზა არის ნდობის აღდგენის მცდელობა. მიუხედავად იმისა, რომ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო ხელისუფლებებთან პირდაპირი მოლაპარაკების პერსპექტივა შეზღუდულია, საქართველომ არ უნდა მიატოვოს დიალოგის მცდელობა. საწყის ეტაპზე ეს შეიძლება მოიცავდეს ისეთ ინიციატივებს, როგორცაა კულტურული და ეკონომიკური თანამშრომლობა.⁸ გარდა ამისა, აქცენტი უნდა გაკეთდეს ქვეყნის შიგნით ერთიანობის, საერთო მიზნის ჩამოყალიბებისა და ეროვნული იდენტობის გაძლიერებაზე. ოკუპირებული ტერიტორიები და მათგან მომდინარე საფრთხეები საქართველოსთვის წარმოადგენენ ყველაზე მნიშვნელოვან გამოწვევას. საფრთხეები მრავალრიცხოვანია და რთული გადასაჭრელია, თუმცა მრავალმხრივი მიდგომით, საქართველოს შეუძლია არა მხოლოდ გადალახოს წინა-

⁸ეკატერინე ჩიკვილაძე. „აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის ინტეგრაციის სახელმწიფო პოლიტიკა.“ სამაგისტრო ნაშრომი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. თბილისი: ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2019

აღმდეგობები, არამედ საფუძველი ჩაუყაროს მომავალს, რომელშიც მისი ტერიტორიული მთლიანობა სრულად აღდგება.

გამოყენებული ლიტერატურა

ახალაია, ნინო. 2021. „კონფლიქტის მიზეზები აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში.“ სამაგისტრო ნაშრომი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი. თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.

[https://eprints.iliauni.edu.ge/10686/2/Pages from %pdf](https://eprints.iliauni.edu.ge/10686/2/Pages%20from%20%0.pdf)

ბერიანიძე, შალვა. 2022. „სახალხო დიპლომატიის გამოწვევები და შესაძლებლობები ქართულ-აფხაზურ და ქართულ-ოსურ კონფლიქტებში (1993 წლიდან დღემდე).“ ეროვნული უსაფრთხოების აქტუალური საკითხები 9-22. საკონფერენციო ნაშრომთა კრებული. 2022.

https://eta.edu.ge/uploads/konferenciebis_krebulebi/2022.07.20_erovnuli_usafrtxoebis_aqtualuri_sakitsxebi.pdf

მინდიაშვილი, ელენე. 2024. კრემლის პოლიტიკის გზამკვლევი აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში. „საოკუპაციო ხაზთან არსებული ვითარების მიმოხილვა.“ 20 თებერვალი, 2024.

<https://kremlin-roadmap.gfsis.org/ge/monthly-review/display/1588>

შუბითიძე, ერეკლე. გურამ ლობჯანიძე. 2020. ISET კვლევითი ინსტიტუტი. „საქართველოს ელექტროენერჯის სექტორის გამოწვევები და შესაძლებლობები.“ 28 დეკემბერი, 2020.

<https://www.iset-pi.ge/ka/about-us>

ჩიკვილაძე, ეკატერინე. 2019. „აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის ინტეგრაციის სახელმწიფო პოლიტიკა.“ სამაგისტრო ნაშრომი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. თბილისი: ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

[https://openscience.ge/bitstream/1/1397/1/% politmecni.pdf](https://openscience.ge/bitstream/1/1397/1/%20politmecni.pdf)

ხუციშვილი, ნონა. 2020. „საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების ძლიერი და სუსტი მხარეები.“ სამაგისტრო ნაშრომი, თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტი. თბილისი: თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის გამომცემლობა.

<https://openscience.ge/handle/1/2098>

ჯავახაძე, ოთარ. 2021. „რუსეთის საინფორმაციო ომი საქართველოს წინააღმდეგ.“ სამაგისტრო ნაშრომი, თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტი. თბილისი: თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის გამომცემლობა.

[https://openscience.ge/bitstream/1/2922/1/Otar Javakhadze Samagistro.pdf](https://openscience.ge/bitstream/1/2922/1/Otar_Javakhadze_Samagistro.pdf)

ჯინჭარაძე, ანი. 2021. „სეპარატიზმის გავლენა საქართველოს ეროვნულ და რეგიონალურ უსაფრთხოებაზე.“ სამაგისტრო ნაშრომი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი. თბილისი: კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის გამომცემლობა.

<https://openscience.ge/handle/1/2750>

დეზინფორმაცია როგორც ჰიბრიდული ომის იარაღი

სოფია სივსივაძე

სსიპ-დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს
ეროვნული თავდაცვის აკადემიის
მაგისტრატურის სახელმწიფო რესურსების მართვის
მიმართულების მსმენელი

აბსტრაქტი

წინამდებარე სტატიაში განხილულია ჰიბრიდული ომის განვითარება და მასში დეზინფორმაციის კრიტიკული როლი. ასევე, ჰიბრიდული საფრთხეების სირთულეები და დეზინფორმაციის სტრატეგიული გამოყენების მიზნები საზოგადოების დესტაბილიზაციისა და ქაოსის შესაქმნელად. ნაშრომში გაანალიზებულია სახელმწიფო და არასახელმწიფო აქტორების მიზნები დეზინფორმაციული ტაქტიკის გამოყენებისას, განსაკუთრებით გლობალური კონფლიქტების კონტექსტში. აგრეთვე, გაანალიზებულია დეზინფორმაციის მექანიზმები ჰიბრიდულ ომში, მათ შორის ტექნოლოგიის გამოყენება და პროპაგანდის გამოყენება საზოგადოების აღქმის მანიპულირებისთვის.

ნაშრომი აგრეთვე ხაზს უსვამს ჰიბრიდული ომის განვითარებაში დეზინფორმაციის კრიტიკულ როლს და ამ საფრთხის წინააღმდეგ საბრძოლველად ეფექტური კანონზომიერების შემუშავების საჭიროებას. ჰიბრიდული ომის განუყოფელი ნაწილია დეზინფორმაცია. დეზინფორმაციული კამპანიები გამოიყენება ნარატივების ჩამოსაყალიბებლად, საზოგადოებრივ აზრზე ზემოქმედებისა და აღქმების მანიპულირებისთვის, ხშირად აგრესორის სტრატეგიულ ინტერესებს ემსახურება. შეცდომაში შემყვანი ან ყალბი ინფორმაციის გავრცელებით აგრესორებს შეუძლიათ გააკონტროლონ ნარატივი თავიანთი ქმედებების გარშემო, მოახდინონ მოწინააღმდეგე შეხედულებების დისკრედიტაცია და სამიზნე ქვეყანაში სოციალური განხეთქილების გაძლიერება. დეზინფორმაცია ქმნის ფსიქოლოგიური ომის ფენას, აფუჭებს ნდობას სამთავრობო ინსტიტუტების, მედიისა და სხვა სოციალური სტრუქტურების მიმართ. მაგალითად, რუსეთის მიერ უკრაინაში დეზინფორმაციის გამოყენება მიზნად ისახავდა დაბნეულობის წარმოქმნას, საზოგადოების პოლარიზაციას და უკრაინის მთავრობისადმი რწმენის შელახვას.

დეზინფორმაცია ჰიბრიდულ ომში არ არის მხოლოდ ტაქტიკა ან დამხმარე კომპონენტი, არამედ ძირითადი ნაწილი, რომელიც აყალიბებს აღქმის ბრძოლის ველს, რაც უზრუნველყოფს, რომ ჰიბრიდული ომი დარჩეს ეფექტური და ძნელად დასაძლევად. ჰიბრიდული ომის სფეროში დეზინფორმაცია გამოირჩევა, როგორც ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი და ადაპტირებადი იარაღი. ომის ტრადიციული ფორმებისგან განსხვავებით, რომლებიც ეყრდნობა ფიზიკურ ძალას, დეზინფორმაცია მოქმედებს ინფორმაციულ და ფსიქოლოგიურ სფეროებში, ქმნის არასტაბილურობას და ძირს უთხრის ერის სოციალურ და პოლიტიკურ საფუძვლებს.

ეროვნული უსაფრთხოების მდგრადობის ასამაღლებლად და სხვადასხვა საფრთხეების დასაძლევად მნიშვნელოვანია კომპლექსური მიდგომის შემუშავება. ტრადიციული მიდგომების არაეფექტურობა თვალსაჩინოა მიმდინარე გლობალური კონფლიქტების ფონზე. შესაბამისად, მნიშვნელოვანია ყურადღება გამახვილდეს ამ საფრთხეების დაძლევაზე რაც დეზინფორმაციული კამპანიების წინააღმდეგ საბრძოლველად ეფექტურად იქნება გამოყენებული.

საკვანძო სიტყვები: დეზინფორმაცია, მანიპულაცია, საინფორმაციო ომი, ჰიბრიდული ომი, ეროვნული უსაფრთხოება,

Disinformation as a weapon of hybrid warfare

Sofia Sivsivadze

Student of Master's Program in State Recourse Management of
LEPL-David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia

Abstract

This article examines the development of hybrid warfare and the critical role of disinformation in it. Also, the complexities of hybrid threats and the strategic use of disinformation to destabilize society and create chaos. The paper analyzes the goals of state and non-state actors in using disinformation tactics, especially in the context of global conflicts. Also, disinformation mechanisms in hybrid warfare are analyzed, including the use of technology and the use of propaganda to manipulate public perception.

The paper also emphasizes the critical role of disinformation in the development of hybrid warfare and the need to develop effective regulations to combat this threat. Disinformation is an integral part of hybrid warfare. Disinformation campaigns are used to shape narratives, influence public opinion, and manipulate perceptions, often serving the aggressor's strategic interests. By spreading misleading or false information, aggressors can control the narrative around their actions, discredit opposing viewpoints, and exacerbate social divisions in the target country. Misinformation creates a layer of psychological warfare, eroding trust in government institutions, the media, and other social structures. For example, Russia's use of disinformation in Ukraine was intended to create confusion, polarize society, and undermine faith in the Ukrainian government. Disinformation in hybrid warfare is not just a tactic or a supporting component, but a core part that shapes the perception battlefield, ensuring that hybrid warfare remains effective and hard to defeat. In the field of hybrid warfare, disinformation stands out as one of the most powerful and adaptable weapons. Unlike traditional forms of warfare that rely on physical force, disinformation operates in the informational and psychological realms, creating instability and undermining the social and political foundations of a nation.

In order to increase the resilience of national security and to overcome various threats, it is important to develop a complex approach. The ineffectiveness of traditional approaches is evident in the context of current global conflicts. Therefore, it is important to focus on overcoming these threats, which will be used effectively to fight against disinformation campaigns. Keywords: disinformation, manipulation, information war, hybrid war, national security,

Keywords: Disinformation, Manipulation, Information Warfare, Hybrid Warfare, National Security,

შესავალი

ტექნოლოგიური განვითარების კვალდაკვალ გაფართოვდა მასობრივი ინფორმაციის საშუალებების სახეები. გაზეთები, ჟურნალები, ტელე-რადიო პროგრამები და სხვა პერიოდული ან ერთჯერადი გამოცემები იყენებენ ვებგვერდებს, სოციალურ ქსელებს და სხვადასხვა ელექტრონულ ფორმატებს ინფორმაციის საჯარო გავრცელებისთვის. ცრუ ინფორმაციის გავრცელება შეიძლება უნებლიედაც მოხდეს. თუმცა, დეზინფორმაცია წარმოადგენს განზრახ არასწორი ან შეცდომაში შემყვანი ინფორმაციის გავრცელებას საზოგადოებაში. დეზინფორმაცია თანამედროვე სამყაროს ანგარიშგასაწევი გამოწვევაა, რომელიც ხელს უშლის დემოკრატიის განვითარებას და ჩამოყალიბებას ნებისმიერ სახელმწიფოში. ის შექმნილია საზოგადოების მოტყუების მანიპულირების და უთანხმოების დათესვის განზრახვით. მისი მთავარი მიზანია კონკრეტული მოგების მიღება ან ინფორმაციის გავრცელება, რომელიც საზოგადოების აზრის ჩამოყალიბებაზე მოახდენს გავლენას და შეცვლის ადამიანების ქმედებებს. ჰიბრიდული ომის კონცეფცია წარმოადგენს გარდამავალს ჩვეულებრივი სამხედრო კონფლიქტებიდან არასტანდარტული ტაქტიკის კომპლექსურ ნაზავს. ეს ტაქტიკა მიზანში იღებს სისუსტეებს სახელმწიფოს სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ სტრუქტურებში. შესაბამისად, ჰიბრიდული ომის პირობებში, როდესაც მხარე იყენებს ერთდროულად მის ხელთ არსებულ სხვადასხვა კომპონენტებს, როგორცაა ეკონომიკური, კულტურული, რელიგიური თუ სხვა. ის აუცილებლად ასევე, იყენებს საინფორმაციო საშუალებებს. ჰიბრიდული ომის მონაწილეები სტრატეგიულად იყენებენ დეზინფორმაციას, როგორც ინსტრუმენტს, რომელიც ფოკუსირებულია და გავლენას ახდენს გლობალურ უსაფრთხოებაზე და დემოკრატიულ ინსტიტუტებზე. დეზინფორმაციული კამპანიები სულ უფრო მეტად აღიარებულია, როგორც საფრთხეების მნიშვნელოვანი კომპონენტი, რომელიც აერთიანებს სამხედრო და არასამხედრო საშუალებებს სტრატეგიული მიზნების მისაღწევად ღია კონფლიქტის გარეშე.

მოწინააღმდეგეებისა და კონკურენტების ჰიბრიდული ომის ხელსაწყოების ნაკრების განუყოფელი ნაწილია დეზინფორმაცია. გავლენის ოპერაციებთან ერთად დეზინფორმაცია მნიშვნელოვან როლს ასრულებს ჰიბრიდული ომის კონცეფციაში, როგორც საფრთხის, ასევე საკუთარი გამძლეობის თვალსაზრისით. ჰიბრიდული ომი და მასთან დაკავშირებული საფრთხეები კონკრეტულად ფოკუსირებულია ინფორმაციული ომის, დეზინფორმაციის, მოტყუების ასპექტებზე.¹

პოლიტიკური სისტემების, მედიის და სამოქალაქო საზოგადოების განვითარების თვალსაზრისით, მათი მრავალფეროვნების მიუხედავად, მსოფლიოს ქვეყნები მსგავსი გამოწვევების წინაშე დგანან, როდესაც საქმე ეხება დეზინფორმაციას. ერთ-ერთი აქტუალური საკითხია დეზინფორმაციის განმარტებასთან დაკავშირებული სამართლებრივი ბუნდოვანება, რაც ართულებს ბალანსის დამყარებას არასწორი ინფორმაცი-

¹ Sascha-Dominik Dov Bachmann, Dries Putter and G. Duczynski. „Hybrid warfare and disinformation: A Ukraine war perspective.“ Global Policy. 2023.

ის წინააღმდეგ ბრძოლასა და ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვას შორის, როგორცაა გამოხატვის თავისუფლება და ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა. ცალსახად ჩამოყალიბებული კანონმდებლობა კი აუარესებს ჟურნალისტებისა და უფლებადამცველების მდგომარეობას, რომლებიც ცდილობენ საინფორმაციო კრიზისის გადაჭრის გზები მოიძიონ.²

ბოლო წლების განმავლობაში ჰიბრიდულ ომში დეზინფორმაციის მაგალითები სულ უფრო თვალსაჩინო ხდება, დაწყებული რუსეთის გავლენის ოპერაციებიდან აღმოსავლეთ ევროპაში, გაგრძელებული ჩინეთის ნარატიული კონტროლისა. ეს მცდელობები ცხადყოფს დეზინფორმაციის შესაძლებლობას ძირი გამოუთხაროს სტაბილურობას პოლარიზებული საზოგადოებების შექმნით, შეთქმულებების თეორიების გავრცელებით და მედიისა და მმართველობისადმი მოქალაქეების ნდობის შელახვით. ამ კამპანიების სიჩქარე, მასშტაბი და დახვეწილობა მხოლოდ ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად გაიზარდა, რაც სერიოზულ გამოწვევებს უქმნის მთავრობებსა და ორგანიზაციებს, რომლებიც ცდილობენ დაიცვან თავიანთი ინფორმაციული მთლიანობა. აღნიშნული ტექნიკა გამოიყენება ისეთი ქვეყნების მიერ, როგორცაა რუსეთი და ჩინეთი, პოლიტიკური და სტრატეგიული მიზნებისთვის, როგორც შიდა, ისე საერთაშორისო დონეზე ქმნის დაუცველობას და ჰიბრიდული ომის კონტექსტში საფრთხეს. დეზინფორმაციული კამპანიები შექმნილია ემოციებით მანიპულირებისთვის, უნდობლობის დასათესად და ქაოსის შესაქმნელად, რათა იქონიოს გავლენა საზოგადოებრივ და პოლიტიკურ აზრზე.

ნაშრომი იკვლევს დეზინფორმაციის, როგორც იარაღის როლს ჰიბრიდულ ომში, შეისწავლის ისტორიულ პრეცედენტებს, მექანიზმებს და ტექნიკას დეზინფორმაციული კამპანიის უკან. შემთხვევის შესწავლისა და მიმდინარე მოვლენების ანალიზის საშუალებით, ის ცდილობს გაიგოს დეზინფორმაციის შორსმომავალი გავლენა ეროვნულ და გლობალურ უსაფრთხოებაზე. საბოლოო ჯამში, ეს ნაშრომი გასცემს კითხვას პასუხს თუ რატომ იქცა დეზინფორმაცია ასეთ ძლიერ იარაღად ჰიბრიდული კონფლიქტების ეპოქაში და რატომ უქმნის საფრთხეს საერთაშორისო არენაზე მშვიდობასა და სტაბილურობას.

ძირითადი ნაწილი

დეზინფორმაციას, როგორც საზოგადოებრივი აზრის ფორმირებისა და პოლიტიკური დღის წესრიგის წინსვლის იარაღს, აქვს ხანგრძლივი ისტორია, რომელიც ციფრულ ეპოქამდეც არსებობდა. პროპაგანდა ეს არის კომუნიკაციის ფორმა, რომლის მიზანია ადამიანების რწმენის და ქცევის ჩამოყალიბება კონკრეტული რაიმე საკითხის მიმართ. პროპაგანდა ხშირად გამოიყენება საზოგადოების შეცდომაში შეყვანის და მცდარი შეხედულებების ჩამოსაყალიბებლად. გებელსის მეთოდებმა საფუძველი ჩაუყარა დღეს გამოყენებულ ბევრ დეზინფორმაციულ სტრატეგიას, რაც აჩვენებს, თუ

² Zana Idrizi, Niamh Hanafin. „Navigating the landscape of increased disinformation in Europe and Central Asia.“ UNPD.org. 2023

როგორ შეიძლება პროპაგანდის გამოყენება მთელი მოსახლეობის მანიპულირების-თვის და გეოპოლიტიკური მიზნების მისაღწევად. გებელსის დეზინფორმაციული სტრატეგიის სიძლიერე მდგომარეობდა მის უნარში, გამოიყენოს მანამდე არსებული საზოგადოებრივი განხეთქილება და მიკერძოება. მაგალითად, ანტისემიტური პროპაგანდა მორგებული იყო ცრურწმენების გასაძლიერებლად, ებრაელი ხალხის წარმოჩენით, როგორც განტევების ვაცად გერმანიის ეკონომიკური და პოლიტიკური გამოწვევებისთვის. ნარატივის კონტროლით და განსხვავებული ხმების ჩახშობით, გებელსი დარწმუნდა, რომ ნაცისტური გზავნილი დომინირებდა საჯარო დისკურსში, რაც მცირე ადგილს ტოვებდა კრიტიკული შემოწმებისთვის. 1933 წელს პროპაგანდის მინისტრი ნაცისტური გერმანიის მთავრობაში იოზეფ გებელსი მიიჩნევა, როგორც პროპაგანდის ფუძემდებელი. მისი სამინისტროს დაქვემდებარებაში იყო ლიტერატურა, პრესა, თეატრი, რადიომაუწყებლობა, საგანმანათლებლო დაწესებულებები და კინო ინდუსტრია. გებელსის ბასრი იარაღი სწორედ რადიომაუწყებლობა იყო. იგი სწორედ ამ გზით ახდენდა მოსახლეობის ფართო მასებზე ზეგავლენას. გებელსი იყო საზოგადოების აზრის შექმნის ინსტრუმენტი, იგი ამბობდა: “რაც უფრო ამაზრზენია ტყუილი, მით უფრო გულთხრელად ადამიანებს.”³

საბჭოთა კავშირი და ამერიკის შეერთებული შტატებიც პროპაგანდას აქტიურად იყენებდნენ ცივი ომის პერიოდში საინფორმაციო ომში იდეოლოგიური და სტრატეგიული უპირატესობების მოსაპოვებლად. საბჭოთა კავშირმა, კერძოდ, შეიმუშავა „აქტიური ზომების“ დახვეწილი სისტემა ცრუ ინფორმაციის გასავრცელებლად და დასავლური დემოკრატიების ძირის გამოსათხრელად. ეს ზომები მოიცავდა უცხოურ მედიაში ყალბი ისტორიების დათესვას, დოკუმენტების გაყალბებას და შეთქმულების თეორიების გავრცელებას დაბნეულობისა და უნდობლობის შესაქმნელად.⁴

საბჭოთა დეზინფორმაციის ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითი იყო ოპერაცია INFEKTION, კამპანია 1980-იან წლებში, რომელიც ცრუდ აცხადებდა, რომ შეერთებულმა შტატებმა შექმნა აივ/შიდსის ვირუსი, როგორც ბიოლოგიური იარაღი. ეს ნარატივი გავრცელდა საბჭოთა პუბლიკაციების მეშვეობით და მარტივად შეაღწია მედიაში, რამაც გააძლიერა ანტიამერიკული განწყობები მსოფლიოს ზოგიერთ ნაწილში. ამგვარმა ოპერაციებმა აჩვენა, თუ როგორ შეიძლებოდა დეზინფორმაციის გამოყენება არა მხოლოდ მოწინააღმდეგეებზე თავდასხმისთვის, არამედ გლობალურ საზოგადოებრივ აზრზე და პოლიტიკურ ალიანსებზე ზემოქმედებისთვის.⁵

ჰიბრიდული ომი არის სტრატეგიული მიდგომა, რომელიც აერთიანებს ტრადიციულ სამხედრო ძალას მრავალფეროვან არასამხედრო ტაქტიკებთან პოლიტიკური და სტრატეგიული მიზნების მისაღწევად. ჩვეულებრივი ომისგან განსხვავებით, სადაც

³ Heiber, Helmut. *britannica.com*. 25 10. <https://www.britannica.com/biography/Joseph-Goebbels>.2024.

⁴ Krzak, Andrzej. <https://www.tandfonline.com/>. 22 03.

<https://www.tandfonline.com/doi/full/10.1080/08850607.2021.2014280>.2022.

⁵ Boghard, Thomas. „Soviet Bloc Intelligence and Its AIDS Desinformation Campaign, *Studies in Intelligence*.“ *Soviet Bloc Intelligence and Its AIDS Desinformation Campaign, Studies in Intelligence*, 10 12. 2009.

სამხედრო ოპერაციები ღია და ხშირად მკაფიოა, ჰიბრიდული ომი მოიცავს სამხედრო და სამოქალაქო ძალისხმევის უფრო შერეულ მოდელს, ისეთი ინსტრუმენტების გამოყენებით, როგორცაა ეკონომიკური ზეწოლა, კიბერშეტევები, პროპაგანდა და დეზინფორმაცია მოწინააღმდეგეების დესტაბილიზაციისა და დასუსტების მიზნით. ჰიბრიდული ომი იყენებს დაუცველობას პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და საინფორმაციო სფეროებში, რაც საშუალებას აძლევს აგრესორებს შეინარჩუნონ დამაჯერებელი უარყოფის ხარისხი თავიანთი მიზნების განსახორციელებლად. ჰიბრიდული ომის კონცეფცია უფრო თვალსაჩინო გახდა ბოლო წლებში. 2014 წელს რუსეთმა გამოიყენა სამხედრო და არასამხედრო ტაქტიკის კომბინაცია, მათ შორის დეზინფორმაციული კამპანიები ყირიმის ანექსიისა და აღმოსავლეთ უკრაინის ინფრასტრუქტურაზე და პროპაგანდის გავრცელებას კონფლიქტის ხელსაყრელ ჭრილში მოყვანის მიზნით. ამ ოპერაციებმა აჩვენა ჰიბრიდული ომის ეფექტურობა სტრატეგიული მიზნების მისაღწევად სრულმასშტაბიანი სამხედრო შემოჭრის საჭიროების გარეშე, რაც ხაზს უსვამს არატრადიციული ტაქტიკის მზარდ როლს.⁶ როდესაც მსგავსი „გაურკვეველობა“ ემართება ქვეყანას მშვიდობასა და კონფლიქტს შორის ზღვარი ბუნდოვანი ხდება. მსგავსი თავდასხმების კომპონენტები ერთმანეთისგან დამოუკიდებლად შეიძლება გამოიყურებოდეს შეუსაბამოდ, თუმცა ერთად თავმოყრისას ისინი ქმნიან ზეწოლად, რომელიც ახდენს სამიზნის დესტაბილიზაციას. ჰიბრიდული ომის განმსაზღვრელი მახასიათებელია მისი დამოკიდებულება გაურკვეველობაზე. ჰიბრიდული ოპერაციები ხშირად მიზნად ისახავს აგრესორის განზრახვების ჭეშმარიტი ბუნების დამალვას, რაც ქმნის დაბნეულობას და ართულებს ერთიან პასუხს სამიზნე სახელწმიფოებისა თუ საერთაშორისო აქტორების მხრიდან. ჰიბრიდული ომის განუყოფელი ნაწილია დეზინფორმაცია. დეზინფორმაცია ქმნის ფსიქოლოგიური ომის ფენას, აფუჭებს ნდობას სამთავრობო ინსტიტუტების, მედიისა და სხვა სოციალური სტრუქტურების მიმართ. მაგალითად, რუსეთის მიერ უკრაინაში დეზინფორმაციის გამოყენება მიზნად ისახავდა დაბნეულობის წარმოქმნას, საზოგადოების პოლარიზაციას და უკრაინის მთავრობისადმი რწმენის შელახვას.⁷

რამდენადაც ჰიბრიდული ომი უფრო დახვეწილი ხდება, ახალმა ტექნოლოგიებმა და პლატფორმებმა გააფართოვეს ამ ტაქტიკის წვდომა და გავლენა. კიბერ ომი და ციფრული პრატიფორმები საშუალებას იძლევა რეალურ დროში ჩაერთონ გლობალურ აუდიტორიასთან, ხოლო ხელოვნურ ინტელექტს შეუძლია გააძლიეროს და დახვეწოს დეზინფორმაციის მცდელობები, რაც ჰიბრიდულ ომს გახდის როგორც გამჭირვალეს, ასევე რთულად საბრძოლველს. ჰიბრიდული ომის განხილვა მოითხოვს არა მხოლოდ ტექნოლოგიურ საპირისპირო ზომებს, არამედ ფოკუსირებას საზოგადოების მდგრადობის მედიაწიგნიერებისა და უფრო ძიერი, გამჭვირვალე ინსტიტუტების შექმნაზე,

⁶ Flake, L. „Rus‘Hybrid Warfare’ and the Annexation of Crimea: The Modern Application of Soviet Political Warfare.“ The Journal of Slavic Military Studies 384 - 385. 2002.

⁷ Espaliú-Berdud, Carlos. „Use of disinformation as a weapon in contemporary international relations: accountability for Russian actions against states and international organizations.“ El Profesional de la información. 2023

რომლებსაც შეუძლიათ წინააღმდეგობა გაუწიონ დეზინფორმაციას და ადადგინონ საზოგადოების ნდობა.

დეზინფორმაციის ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენს შეთხზული ამბების ან შინა-არსის შექმნა და გავრცელება. მაგალითისთვის შეგვიძლია გავიხსენოთ ყალბი ამბავი „ჯვარცმული დონეცკელი ბიჭუნას“ შესახებ რომელსაც 2014 წელს ავრცელებდა მისი ასევე ყალბი მოწმე (მას შემდეგ რაც უკრაინელმა სამხედროებმა გაანთავისუფლეს სლავიანსკის ოლქი) სლავიანსკიდან დევნილი ქალი-გალინა პაშნიაკი. რუსეთის პირველი არხის გადამღებ ჯგუფთან იგი ტირილით საუბრობდა ჯვარცმულ ბიჭუნაზე: “შეიპყრეს სამი წლის ბიჭუნა, შორტებსა და მოკლე მაისურში და იესოსავით გააკრეს განცხადების ბოძზე, ორი აკავებდა, ერთი აჭედებდა ლურსმანს, და ეს ყველაფერი დედის თვალწინ ხდებოდა“-აცხადებდა იგი. თითიდან გამოწოვილი ამბავი სამი წლის ბიჭუნაზე- რომელიც შემდგომ მრავალი ლიტერატურული ნაწარმოების პერსონაჟად იქცა.⁸ დეზინფორმაციის ფორმას წარმოადგენს აგრეთვე, მანიპულირებული მედია. განსაკუთრებით სურათები და ვიდეო კონტენტის საშუალებით, რომელიც დეზინფორმაციის განსაკუთრებულ მძლავრ იარაღს წარმოადგენს. ხელოვნური ინტელექტის მიერ გენერირებული ვიდეოები, რომლებსაც შეუძლიათ რეალისტურად წარმოაჩინონ ადამიანები. მსგავსმა ტექნოლოგიურმა განვითარებამ ახალ განზომილებაში გადაიყვანა დეზინფორმაცია. ზოგჯერ გავრცელებული ცრუ ინფორმაცია არ ეყრდნობა მთლიანად ტყუილს. დეზინფორმაციის ზოგიერთი ტაქტიკით ჭეშმარიტი ინფორმაციის შერჩევითი და კონტექსტიდან ამოვარდნილი ინფორმაციის გავრცელებასაც მოიცავს, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნას რეპუტაციის დასაზიანებლად.

დეზინფორმაცია, როგორც წესი, პროპაგანდა ხდება აქტორთა ქსელის მეშვეობით, რომელიც შეიძლება მოიცავდეს სახელწმიფო უწყებებს, კერძო ორგანიზაციებს და ინდივიდებს. ჰიბრიდულ ომში სახელმწიფო აქტორები ხშირად თამაშობენ ცენტრალურ როლს, ავრცელებენ დეზინფორმაციას სხვა ქვეყნების დასუსტების ან მანიპულაციის მიზნით ღია კონფლიქტის გარეშე. ამასთან, დეზინფორმაციის გავრცელების ყველაზე ეფექტურ არხებს შორისაა: Facebook, Twitter და Youtube. ამ პლატფორმების ვირუსული ბუნება, კომბინირებული ალგორითმებთან, რომლებიც პრიორიტეტს ანიჭებს სენსაციურ შინაარსს, აადვილებს ყალბი ინფორმაციის სწრაფად მიღწევას დიდ აუდიტორიაზე. შეტყობინების გაგზავნის აპლიკაციები, როგორცაა WhatsApp და Telegram ასევე, თამაშობენ განსაკუთრებულ როლს იმ რეგიონებში სადაც ხალხი ამ პლატფორმებს ეყრდნობა სიახლეების გასაცნობად. დაშიფრული და პირადი ეს პლატფორმები საშუალებას აძლევს დეზინფორმაციას სანდო წრეებში გავრცელდეს, რაც ართულებს აღმოჩენას და წინააღმდეგობას. აგრეთვე, უნდა აღინიშნოს, რომ დეზინფორმაციული კამპანიები წარმატებას აღწევენ არა მარტო სიცრუით, არამედ ფსიქოლოგიური მანიპულირებით, ინდივიდების ემოციებით, შიშებით და სხვა. ემოციებით მანიპულირება დეზინფორმაციის საკვანძო ნაწილია, რადგან შინაარსი, რომელიც იწვევს ძლიერ რეაქციებს - როგორცაა სიბრაზე, შიში, აღშფოთება - უფრო სწრაფად ვრ-

⁸ news, fake. youtube.com. 11 04. <https://www.youtube.com/watch?v=N8LY1dtSWFk&t=37s>.

ცელდება და მეტ ყურადღებას იპყრობს. ჰიბრიდულ ომში ემოციების მსგავსი მანიპულირება სტრატეგიულია, რომლის მიზანია სოციალური ჯგუფების დაშლა და სამიზნე საზოგადოების დესტაბილიზაცია შიგნიდან. მრავალფეროვანი ინსტრუმენტებისა და პლატფორმების გამოყენებით, დეზინფორმაციული კამპანიები ქმნიან ფსიქოლოგიური ომის გავრცელებულ და გამძლე ფორმას, რომელსაც შეუძლია საზოგადოებების დაშლა და დესტაბილიზაცია პირდაპირი დაპირისპირების გარეშე. ამ მექანიზმების გაგება აუცილებელია კონტროლების შემუშავებისთვის, რადგან დეზინფორმაციული ტაქტიკის სირთულე განსაკუთრებით ართულებს მათ აღმოჩენას, გამოწვევას და განეიტრალებას.

დეზინფორმაციის საშუალებებით აგრესორებს შეუძლიათ მიაღწიონ სტრატეგიულ მიზნებს, როგორცაა მოწინააღმდეგეების დასუსტება, საზოგადოებების გაყოფა და საერთაშორისო ნარატივების ჩამოყალიბება - ღია კონფლიქტების თავიდან აცილების და დამაჯერებელი უარყოფის შენარჩუნებისას. ამ ეფექტურობამ დეზინფორმაცია აქცია თანამედროვე ჰიბრიდული სტრატეგიების ქვაკუთხედად, განსაკუთრებით კონფლიქტებში, რომელშიც მონაწილეობენ სახელმწიფოები და არასახელმწიფო აქტორები, რომლებიც მიზნად ისახავს ოპონენტების ჩაშლას პირდაპირი დაპირისპირების გარეშე.

დეზინფორმაციას დიდი ხანია იყენებენ, როგორც იარაღს საერთაშორისო კონფლიქტებში, მაგრამ ცივი ომის დროს მან მნიშვნელოვანი გავრცელება მოიპოვა. როგორც შეერთებულმა შტატებმა, ისე საბჭოთა კავშირმა აწარმოეს ფართო პროპაგანდისტული კამპანიები, რომლებიც მიზნად ისახავდა ერთმანეთის პოლიტიკური სისტემების შელახვას და იდეოლოგიის გავრცელებას მთელ მსოფლიოში. ეს კამპანიები მოიცავდა ყალბი ამბების გამოქვეყნებას, მანიპულირებულ მოვლენებს და მედია არხებში შეღწევას საზოგადოებრივი აზრის ერთი მხარის სასარგებლოდ ჩამოყალიბების მიზნით ან მეორის მიმართ ნდობის გაქრობის მიზნით. მიუხედავად იმისა, რომ ტექნოლოგია შეზღუდული იყო, ამ კამპანიების ეფექტურობამ ხაზი გაუსვა ინფორმაციის კონტროლის სტრატეგიულ ღირებულებას, რაც ასახავს უფრო მოწინავე დეზინფორმაციის ტაქტიკას, რომელიც დღეს ჰიბრიდულ ომში ჩანს.⁹

ცივი ომის შემდეგ ციფრული ტექნოლოგიების განვითარებამ, განსაკუთრებით ინტერნეტმა და სოციალურმა მედიამ, შექმნა ახალი ინსტრუმენტები და პლატფორმები დეზინფორმაციის უფრო სწრაფად, ეფექტურად და ფარულად გასავრცელებლად. ბოლო წლების განმავლობაში, დეზინფორმაცია ძირითადად იდეოლოგიური ინსტრუმენტიდან გადაიქცა ჰიბრიდულ ომში ტაქტიკურ აქტივად, რაც საშუალებას აძლევს აქტორებს ჩამოაყალიბონ არა მხოლოდ ნარატივები, არამედ მთელი მოსახლეობის აღქმა და ქმედებები. ეს ტრანსფორმაცია ასახავს იმას, თუ როგორ გახდა დეზინფორმაცია არა მხოლოდ დამხმარე ტაქტიკა, არამედ გეოპოლიტიკური მიზნების

⁹ DeDominicis, B. „Hybrid Warfare And Public Diplomacy: Cold War Propaganda Blowback Legacies For Bulgaria And Beyond.“ *The Global Journal of Business Research* 39-67. 2002.

მიღწევის აუცილებელი და ძლიერი საშუალება მსოფლიოში, სადაც ფიზიკურ დაპირისპირებას ხშირად ერიდებიან.

რუსეთის ქმედებები უკრაინაში, განსაკუთრებით ყირიმის ანექსია 2014 წელს, აჩვენებს დეზინფორმაციის სტრატეგიულ გამოყენებას სამხედრო და პოლიტიკური მიზნების მისაღწევად. რუსული მედია და სახელმწიფოს მიერ მხარდაჭერილი სოციალური მედიის ანგარიშები ავრცელებდნენ ცრუ ნარატივებს სიტუაციის შესახებ, წარმოაჩენდნენ უკრაინის მთავრობას, როგორც არალეგიტიმურს, ხოლო ყირიმის ანექსიას, როგორც პოპულარულ არჩევანს მოსახლეობაში. დეზინფორმაციული კამპანიები მიზნად ისახავდა უკრაინის საზოგადოების პოლარიზაციას, ეროვნული გადაწყვეტილების შესუსტებას და საერთაშორისო ნარატივის შექმნას, რომელიც ამართლებდა რუსეთის ინტერვენციას. დასავლურ დემოკრატიულ ქვეყნებში რუსეთი, სავარაუდოდ, იყენებდა მსგავს ტაქტიკას არჩევნებზე ზემოქმედებისა და უთანხმოების დასათესად, იყენებდა სოციალური მედიის კამპანიებს, რომლებიც იყენებდა არსებულ სოციალურ და პოლიტიკურ განხეთქილებას დემოკრატიული ინსტიტუტებისადმი საზოგადოების ნდობის შელახვის მიზნით.¹⁰

ირანმა გამოიყენა დეზინფორმაცია თავისი გავლენის ოპერაციებში ახლო აღმოსავლეთში, რათა მხარი დაუჭიროს თავის რეგიონალურ მოკავშირეებს და ძირითად მოწინააღმდეგეებს. ისეთ ქვეყნებში, როგორცაა ერაყი, სირია და ლიბანი, ირანის მიერ მხარდაჭერილი მედია და სოციალური მედიის ქსელები ავრცელებენ ნარატივებს, რომლებიც ასახავს ირანს, როგორც სტაბილიზირებულ ძალას, ხოლო მის მოწინააღმდეგეებს, როგორც დესტაბილიზაციას. დეზინფორმაცია აქ გამოიყენება საზოგადოების აღქმის ჩამოყალიბებისთვის, ირანის გავლენის გასამართლებლად და უცხოური ინტერვენციის წინააღმდეგ. ამ კამპანიებმა საშუალება მისცა ირანს დახვეწილად მოეხდინა გავლენა რეგიონულ დინამიკაზე, გაეძლიერებინა თავისი მოკავშირეები და გაეძლიერებინა თავისი სტრატეგიული პოზიცია აშკარა სამხედრო ჩარევის გარეშე.¹¹

დეზინფორმაციის ეფექტი განსაკუთრებით ძლიერია მისი ფსიქოლოგიური და სოციალური გავლენის გამო სამიზნე საზოგადოებაზე. დეზინფორმაციული კამპანიები ემყარება ემოციურად გამომწვევ ფაქტორებს, იყენებს საზოგადოების განხეთქილებას, ისტორიულ წყენას და იდენტობის კონფლიქტებს, რათა გაზარდოს უნდობლობა მოქალაქეებს შორის. სადავო საკითხების ირგვლივ ნარატივების მანიპულირებით, როგორცაა იმიგრაცია, ეკონომიკური უთანასწორობა ან სამთავრობო პოლიტიკა. როდესაც დეზინფორმაცია გადაუმოწმებლად ვრცელდება, ის იწვევს ცინიზმს და უნდობლობას საინფორმაციო წყაროების მიმართ, რის გამოც ინდივიდები არ არიან დაწინაურებული, რისი სჯეროდეთ ან ვის ენდონ. ნდობის ამ ეროზიას შეიძლება მძიმე შედეგები მოჰყვეს, რადგან მოქალაქეებმა შეიძლება საერთოდ უარი თქვან ფაქტობრივ ინფორმაციაზე, გახდნენ უფრო მგრძობიარენი შეთქმულების თეორიების მიმართ, ან

¹⁰ Kuko, Sinisha. „The Russian factor in Ukrainian identity.“ Political Studies. 2023

¹¹ Barkho, Leon. „Investigating Disinformation in Middle East Mainstream News – Operationalization, Detection, and Implication.“ Open Information Science 250 - 262. 2021.

⁸ Kaplan, R. D. (2009). The revenge of geography: What the map tells us about coming conflicts and the battle against fate. Random House.

გება იძლევა ხელსაყრელი პოზიციების იდენტიფიცირების საშუალებას, საიდანაც უნდა ჩატარდეს ოპერაციები. მაღალი ადგილი, ჩახშობის წერტილები და ბუნებრივი ბარიერები შეიძლება გამოყენებულ იქნას ტაქტიკური უპირატესობების მოსაპოვებლად. გეოგრაფიული გრავიტაციის ცენტრი აწვდის გადაწყვეტილებებს იმის შესახებ, თუ სად უნდა მოხდეს ძალების კონცენტრირება, სად დაამყაროს თავდაცვითი პოზიციები და სად დაიწყოს შეტევა. ამრიგად, გეოგრაფიული მდებარეობა თავისებურად მოქმედებს სამხედრო სტრატეგიების შემუშავებაზე. ტაქტიკა ხშირად ყალიბდება გეოგრაფიული გრავიტაციის ცენტრის მიხედვით, გარემოსთან ადაპტაციის აუცილებლობის გამო. მაგალითად, ურბანული ომი წარმოადგენს უნიკალურ გამოწვევებს, რომლებიც მოითხოვს განსხვავებულ ტაქტიკას სოფლის ან მთიან რელიეფთან შედარებით. ურბანულ გარემოში მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ისეთი ფაქტორები, როგორცაა შენობების სიმჭიდროვე, სამოქალაქო ყოფნა და ინფრასტრუქტურა. გეოგრაფიული მდებარეობა განსაზღვრავს, თუ როგორ ხდება ძალების განლაგება, როგორ იწყება ჩართულობა და როგორ მიიღწევა მიზნები. გარდა ამისა, გეოგრაფიული გრავიტაციის ცენტრი გავლენას ახდენს ტექნოლოგიებისა და იარაღის სისტემების გამოყენებაზე. მნიშვნელოვანი გეოგრაფიული შეზღუდვების მქონე გარემოში, გარკვეული შესაძლებლობები შეიძლება იყოს მეტ-ნაკლებად ეფექტური. მაგალითად, საჰაერო უპირატესობა შეიძლება ნაკლებად გადამწყვეტი იყოს ძლიერ ტყიან ადგილებში, ღია დაბლობებთან შედარებით, სადაც საჰაერო მეთვალყურეობა და საჰაერო მხარდაჭერა შეიძლება დომინირებდეს ბრძოლის ველზე.⁹ გეოგრაფიულ კონტექსტთან ადაპტაციამ შეიძლება გააძლიეროს სამხედრო ოპერაციების ეფექტურობა. ლოგისტიკა სამხედრო წარმატების ფუნდამენტური კომპონენტია და გეოგრაფიული გრავიტაციის ცენტრი მნიშვნელოვან როლს ასრულებს ლოგისტიკური დაგეგმარებაში. მიწოდების ხაზების, სატრანსპორტო ქსელების და დამხმარე ბაზების მდებარეობა უნდა შეესაბამებოდეს ოპერატიული გარემოს გეოგრაფიულ რეალობას. თუ გეოგრაფიული გრავიტაციის ცენტრი მდებარეობს ლოგისტიკური ჰაბებისგან შორს, მას შეუძლია მნიშვნელოვანი გამოწვევა შეუქმნას სამხედრო ოპერაციების შენარჩუნებას. გარდა ამისა, გრავიტაციის ცენტრის გეოგრაფიული მდებარეობა ხშირად კარნახობს ადგილობრივი რესურსების ხელმისაწვდომობას. პორტებთან, გზებთან და რკინიგზაზე წვდომამ შეიძლება ხელი შეუწყოს ჯარების სწრაფ გადაადგილებას და მომარაგების ძალისხმევას. პირიქით, რთულმა რელიეფმა შეიძლება შეაფერხოს ლოგისტიკური ოპერაციები, რაც საჭიროებს ალტერნატიულ სტრატეგიებს და რესურსების განაწილებას ოპერატიული ტემპის შესანარჩუნებლად. ისტორიის მანძილზე, სხვადასხვა სამხედრო კამპანიამ აჩვენა გეოგრაფიული გრავიტაციის ცენტრების ღრმა გავლენა სამხედრო დინამიკაზე. მაგალითად, მეორე მსოფლიო ომის დროს, მოკავშირეებმა აღიარეს, რომ ევროპის გეოგრაფიული გრავიტაციის ცენტრი იყო არა მხოლოდ გერმანიის ცენტრი, არამედ კრი-

https://www.academia.edu/9338216/The_Revenge_of_Geography_What_the_Ma_Tells_Us_A_out_Coming_Conflicts_and_the_Battle_Against_Fate

(ბოლოს გადამოწმებულ იქნა 25.11.24)

⁹ ნიკა ჩიტაძე. „გეოპოლიტიკა“. გამომცემლობა „უნივერსალი“ თბილისი (2011).

ტიკული სატრანსპორტო ქსელები, როგორცაა მდინარე რაინი. ამ მარშრუტებზე კონტროლი არსებითი იყო როგორც ჯარების გადაადგილებისთვის, ასევე რესურსების მომარაგებისთვის, რაც აყალიბებდა ძირითად ბრძოლებში გამოყენებულ სტრატეგიებს. ანალოგიურად, წყნარი ოკეანის თეატრში, გეოგრაფიული გრავიტაციის ცენტრი შეიცვალა, როდესაც შეერთებული შტატები ცდილობდა კონტროლის დამყარებას კუნძულებზე, რომლებიც ემსახურებოდნენ საჰაერო და საზღვაო ოპერაციების სტრატეგიულ ბაზებს. მიდუეისა და ივო ჯიმას მსგავსი კუნძულების ხელში ჩაგდება გადაწყვეტი იყო იმისთვის, რომ იაპონურ ძალებს აეკრძალათ წყნარ ოკეანეში ძალაუფლებისა და ლოგისტიკის პროექციის შესაძლებლობა. გეოგრაფიული გრავიტაციის ცენტრი არის კრიტიკული ფაქტორი, რომელიც აყალიბებს სამხედრო სტრატეგიებსა და ტაქტიკას. გეოგრაფიის გავლენის გაგება სამხედრო დინამიკაზე მეთაურებს საშუალებას აძლევს მიიღონ ინფორმირებული გადაწყვეტილებები, რაც მაქსიმალურად გაზრდის მათი ოპერაციების ეფექტურობას.¹⁰ სტრატეგიული დაგეგმვიდან ტაქტიკურ შესრულებამდე, გეოგრაფიული მდებარეობა კარნახობს ჩართულობის ხასიათს, ლოგისტიკას და საერთო სამხედრო წარმატებას. სამხედრო ოპერაციების განვითარებასთან ერთად, გეოგრაფიული გრავიტაციის ცენტრის მუდმივი აქტუალობა ცხადი რჩება, რაც ხაზს უსვამს სამხედრო დამგეგმავების საჭიროებას, ჩართონ გეოგრაფიული მოსაზრებები თავიანთ ჩარჩოებში ოპერატიული წარმატებისთვის.

გრავიტაციის ცენტრის კონცეფცია, განსაკუთრებით გეოგრაფიული მდებარეობის კონტექსტში, ემსახურება როგორც საკვანძო ელემენტს, რომელიც გავლენას ახდენს სხვადასხვა დინამიკაზე გლობალური მასშტაბით. კონკრეტული შემთხვევის შესწავლის გზით, ეს ნაწილი გამოავლენს, თუ როგორ აყალიბებდნენ გეოგრაფიული გრავიტაციის ცენტრები ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სამხედრო შედეგებს სხვადასხვა რეგიონში. პანამის არხი ემსახურება როგორც გეოგრაფიული გრავიტაციის ცენტრის მნიშვნელოვანი მაგალითი, რომელმაც მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ეკონომიკურ და სამხედრო დინამიკაზე. 1914 წელს დასრულებული ეს ხელოვნური წყლის გზა აკავშირებს ატლანტისა და წყნარი ოკეანეებს, ძირეულად ცვლის გლობალურ სავაჭრო მარშრუტებს. არხი ამცირებს საზღვაო მოგზაურობას ამერიკის აღმოსავლეთ და დასავლეთ სანაპიროებს შორის დაახლოებით 8000 საზღვაო მილით, რაც მას აქცევს საერთაშორისო გადაზიდვებში.¹¹ ეკონომიკური თვალსაზრისით, არხმა ხელი შეუწყო ვაჭრობას სატვირთო გემების უფრო ეფექტური ტრანზიტის მიცემით. ამ ეფექტურობას მნიშვნელოვანი გავლენა აქვს გლობალურ ეკონომიკაზე, რადგან ის იძლევა საქონლის სწრაფ მოძრაობას, აძლიერებს მიწოდების ჯაჭვის ლოჯისტიკას და ამცირებს ტრანსპორტირების ხარჯებს. საზღვაო ვაჭრობაზე დამოკიდებულმა ქვეყნებმა აღიარეს არ-

¹⁰ Kaplan, R. D. (2009). *The revenge of geography: What the map tells us about coming conflicts and the battle against fate*. Random House.

https://www.academia.edu/9338216/The_Revenge_of_Geography_What_the_Map_Tells_Us_About_Coming_Conflicts_and_the_Battle_Against_Fate

(ბოლოს გადამოწმებულ იქნა 25.11.24)

¹¹ Zabecki, D. T. (2015). *Germany at War: 400 Years of Military History*. Santa Barbara, CA: ABCLIO. <https://www.bloomsbury.com/us/author/david-t-zabecki-118671> (ბოლოს გადამოწმებულ იქნა 25.11.24)

ხის სტრატეგიული მნიშვნელობა, რამაც გამოიწვია ინვესტიციები ინფრასტრუქტურაში და სავაჭრო პარტნიორობა, რომელიც ორიენტირებულია ამ გეოგრაფიული აქტივის გარშემო. პოლიტიკურად, პანამის არხის კონტროლი იყო კამათის წყარო, განსაკუთრებით მე-20 საუკუნეში. შეერთებულმა შტატებმა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა პანამასა და არხზე 1970-იანი წლების ბოლომდე, ურთიერთობა ხასიათდება პოლიტიკური ინტერვენციითა და სამხედრო ყოფნით. სუვერენიტეტის შესახებ მოლაპარაკებებმა კულმინაციას მიაღწია ტორიოს-კარტერის ხელშეკრულებებით, რასაც მოჰყვა კონტროლის გადაცემა პანამისთვის 1999 წელს. ეს შემთხვევა ხაზს უსვამს იმას, თუ როგორ შეიძლება მოჰყვეს გეოგრაფიულ გრავიტაციის ცენტრებს რთული პოლიტიკური მოლაპარაკებები, ალიანსები და კონფლიქტები. სამხედრო თვალსაზრისით, არხი იყო სტრატეგიული აქტივი მეორე მსოფლიო ომის დროს, რაც საშუალებას აძლევდა საზღვაო ფლოტების სწრაფ მოძრაობას ოკეანეებს შორის. მისმა გეოგრაფიულმა მდებარეობამ განაპირობა ის, როგორც კრიტიკული წერტილი სამხედრო ლოგისტიკისა და ოპერაციებისთვის. აშშ-ს არმიამ ფართოდ გამოიყენა არხი წყნარი ოკეანის თეატრში მისი ჩართულობის მხარდასაჭერად, გეოგრაფიული მდებარეობის სამხედრო სტრატეგიასთან კვეთის ჩვენებით.

დასკვნა

ამ შემთხვევის შესწავლა ხაზს უსვამს გეოგრაფიული გრავიტაციის ცენტრების ღრმა გავლენას ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სამხედრო დინამიკაზე. პანამის არხის სტრატეგიული როლიდან ვაჭრობაში, სამხრეთ ჩინეთის ზღვაში გეოპოლიტიკური დამაბულობებით და შუა აღმოსავლეთის ისტორიული მნიშვნელობით, ეს მაგალითები ასახავს გეოგრაფიული პოზიციონირების მრავალმხრივ შედეგებს. როგორც სამყარო აგრძელებს განვითარებას, გეოგრაფიული გრავიტაციის ცენტრების აქტუალობა კრიტიკულად რჩება საერთაშორისო ურთიერთობების სირთულეების გაგებაში და გლობალურ ეტაპზე ძალაუფლების ურთიერთქმედება. პოქაში, რომელსაც ახასიათებს სწრაფი გლობალიზაცია და გეოპოლიტიკური პეიზაჟების შეცვლა, გეოგრაფიული გეოგრაფიული ცენტრის კონცეფცია რჩება მნიშვნელოვან ელემენტად, რომელიც აყალიბებს ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სამხედრო დინამიკას. როგორც ჩვენ გამოვიკვლიეთ მთელი ამ ნარკვევის, გეოგრაფიული ადგილმდებარეობა ემსახურება არა მხოლოდ როგორც ფიზიკურ სივრცეს, არამედ როგორც ძალაუფლებისა და გავლენის განმსაზღვრელი, ხელმძღვანელობს ერების და მსახიობების მოქმედებებსა და სტრატეგიებს გლობალურ ეტაპზე. გრავიტაციის გეოგრაფიული ცენტრების მუდმივი მნიშვნელობა შეიძლება შეინიშნოს სხვადასხვა კონტექსტში, ისტორიული იმპერიებიდან დაწყებული თანამედროვე ერი-სახელმწიფოებამდე.¹² ეს ადგილები ხშირად ემსახურება როგორც კრიტიკულ კერებს ვაჭრობის, რესურსების განაწილებისა და სტრატეგიული სამხედრო პოზიციონირებისთვის. ასეთ სფეროებზე კონტროლს აქვს შორს მიმავალი

¹²ირაკლი გორგილაძე. „გეოპოლიტიკის საფუძვლები“. გამომცემლობა „უნივერსალი“ თბილისი (2009).

შედეგები, რაც გავლენას ახდენს ყველაფერზე საერთაშორისო ურთიერთობებიდან ეკონომიკურ სტაბილურობამდე. მაგალითად, საზღვაო საკვანძო მარშრუტებზე ან სასიცოცხლო ბუნებრივ რესურსებზე წვდომის მქონე ქვეყნებმა ისტორიულად მიიღეს მნიშვნელოვანი უპირატესობები, რაც მათ შესაძლებლობას აძლევდა პროექტის განხორციელება და გავლენა მოახდინონ თავიანთ საზღვრებს მიღმა. უფრო მეტიც, ეკონომიკური, პოლიტიკური და სამხედრო განზომილებების ურთიერთდამოკიდებულება ხაზს უსვამს თანამედროვე გლობალური ურთიერთქმედებების სირთულეს.¹³ გრავიტაციის გეოგრაფიული ცენტრები არ მოქმედებს იზოლირებულად; უფრო მეტიც, ისინი ერწყმის სხვადასხვა ქსელებს და ურთიერთობებს, რომლებიც განსაზღვრვენ თანამედროვე გლობალურ წესრიგს. ადგილმდებარეობის სტრატეგიული მნიშვნელობა შეიძლება მკვეთრად შეიცვალოს პოლიტიკური ცვლილებების, ეკონომიკური განვითარებების ან სამხედრო კონფლიქტების გამო, რაც ხაზს უსვამს ამ გეოგრაფიული ფაქტორების მუდმივი გადახედვის აუცილებლობას. ბოლო წლების განმავლობაში, ახალი უფლებამოსილების აღზევებამ, ალიანსების შეცვლამ და განვითარებამ ტექნოლოგიებმა კიდევ უფრო გაართულეს ლანდშაფტი. გრავიტაციის გეოგრაფიული ცენტრი არ შემცირებულა შესაბამისობაში; ამის ნაცვლად, ის განვითარდა. მაგალითად, კიბერ ომის ზრდამ ახალი განზომილება შემოიტანა გრავიტაციის გეოგრაფიულ ცენტრში, სადაც ციფრული პეიზაჟები შეიძლება გახდეს საბრძოლო მოედნები გავლენის და კონტროლისთვის. როგორც ერები ამ ცვლილებებთან ერთად იკავებენ, გეოგრაფიული რეალობების გაგების და სტრატეგიულად ნავიგაციის აუცილებლობა რჩება კრიტიკულად. გრავიტაციის გეოგრაფიული ცენტრი არის დროული კონცეფცია, რომელიც აგრძელებს გავლენას თანამედროვე მსოფლიოში ძალაუფლების დინამიკაზე. მისი აქტუალობა გადალახავს ისტორიულ ეპოქებსა და გეოპოლიტიკურ ძვრებს, რაც წარმოადგენს ფუნდამენტურ ელემენტს ეკონომიკური, პოლიტიკური და სამხედრო სტრატეგიების ურთიერთკავშირის გაგებაში. მომავლისკენ რომ ვუყურებთ, გეოგრაფიული გრავიტაციის ცენტრების შედეგების აღიარება აუცილებელი იქნება პოლიტიკის შემქმნელებისთვის, სტრატეგიებისა და მეცნიერებისათვის, იმის უზრუნველსაყოფად, რომ ისინი აღჭურვილია მუდმივად ცვალებადი გლობალური ლანდშაფტის სირთულეებზე.

გამოყენებული ლიტერატურა

ჩიტაძე ნ. „გეოპოლიტიკა“. გამომცემლობა „უნივერსალი“ თბილისი, 2011.

გორგილაძე ი. „გეოპოლიტიკის საფუძვლები“. გამომცემლობა „უნივერსალი“ თბილისი, 2009.

Zabecki, D. T. (2015). *Germany at War: 400 Years of Military History*. Santa Barbara, CA: ABC CLIO. <https://www.bloomsbury.com/us/author/david-t-zabecki->

¹³ Kaplan, R. D. (2009). *The revenge of geography: What the map tells us about coming conflicts and the battle against fate*. Random House.

https://www.academia.edu/9338216/The_Revenge_of_Geography_What_the_Map_Tells_Us_About_Coming_Conflicts_and_the_Battle_Against_Fate

(ბოლოს გადამოწმებულ იქნა 25.11.24)

Kaplan, R. D. (2009). The revenge of geography: What the map tells us about coming conflicts and the battle against fate. Random House.

[https://www.academia.edu/9338216/The Revenge of Geography What the Ma Tells Us A out Coming Conflicts and the Battle Against Fate](https://www.academia.edu/9338216/The_Revenge_of_Geography_What_the_Map_Tells_Us_About_Coming_Conflicts_and_the_Battle_Against_Fate) (ბოლოს გადამოწმებულ თქნა 15.11.24)

მცოცავი ოკუპაცია საქართველოში

მიხეილ მეზვრიშვილი

სსიპ-დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს
ეროვნული თავდაცვის აკადემიის
მაგისტრატურის თავდაცვის ანალიზის მიმართულების მსმენელი

ხელმძღვანელი: ნიკოლოზ სამხარაძე
მაგისტრატურის თავდაცვის ანალიზის
მიმართულების პროფესორი

აბსტრაქტი

აღნიშნულ ნაშრომში წარმოდგენილია მცოცავი ოკუპაცია საქართველოში, ოკუპირებული აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონი და ამ პროცესებთან დაკავშირებული გამოწვევები. საქართველოში მცოცავი ოკუპაცია გულისხმობს რუსეთის მიერ კონტროლირებადი ტერიტორიების თანდათანობით გაფართოებას საქართველოს საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში, კონკრეტულად აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის რეგიონებში. 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ, რუსეთმა ამ რეგიონებში განათავსა ჯარები და ააშენა სასაზღვრო ბაზები. ამლიერებს მათ სტატუსს, როგორც სეპარატისტულ ტერიტორიებს და აფართოებს დე ფაქტო საზღვრებს მიწის თანდათანობით მიტაცებით, ბორდერიზაციის ჩათვლით. ადმინისტრაციულ საზღვარზე გაავლო მავთულხლართები და აღმართა მწვანე ბანერები წარწერით „სახელმწიფო საზღვარი“. ეს ყოველივე გავლენას ახდენს ეკონომიკურ საარსებო წყაროებზე და იწვევს შეშფოთებას, რაც იწვევს ადამიანის უფლებების დარღვევას. ოკუპაციის ეს ფორმა, მიუხედავად იმისა, რომ ნაკლებად აგრესიულია, ვიდრე სამხედრო თავდასხმები, წარმოადგენს გამოწვევებს როგორც საქართველოსთვის, ასევე ევროკავშირსა და ნატოსთვის. ოკუპირებული რეგიონების განხილვა მოითხოვს საერთაშორისო რეაგირებას. მცოცავი ოკუპაციის პრევენციის მიზნით საჭიროა დიპლომატიური გზით საერთაშორისო მხარდაჭერის გაზრდა და მოლაპარაკებების გადრმავევა აფხაზეთის და ეგრედ წოდებულ „სამხრეთ ოსეთის“ დეფაქტო ხელისუფლებასთან.

საკვანძო სიტყვები: მცოცავი ოკუპაცია, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიები, სამხედრო აგრესია, გამოწვევები, პრევენცია, დიპლომატია, საერთაშორისო მხარდაჭერა.

Creeping occupation in Georgia

Mikheil Mezvrishvili

Student of Master's Program in Defense Analysis of
LEPL-David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia

Supervisor: **Nikoloz Samkharadze**

Professor of Master's Program in Defense Analysis

Abstract

This paper presents the creeping occupation in Georgia, the occupied Abkhazia and Tskhinvali region and the challenges related to these processes. The creeping occupation in Georgia refers to the gradual expansion of Russian-controlled territories within the internationally recognized borders of Georgia, specifically in the regions of Abkhazia and South Ossetia. After the 2008 Russia-Georgia war, Russia deployed troops and built border bases in these regions. reinforces their status as separatist territories and expands de facto borders through gradual land grabs, including borderisation. Along the administrative border, they passed barbed wire and erected green banners with the inscription "State border". All of these affect economic livelihoods and lead to security concerns that lead to human rights violations. This form of occupation, although less aggressive than military attacks, poses challenges not only for Georgia, also the European Union and NATO. Addressing the occupied regions requires an international response. In order to prevent creeping occupation, it is necessary to increase international support through diplomatic means and to deepen negotiations with the government of Abkhazia and the so-called "South Ossetia".

Keywords: Creeping occupation, occupied territories of Georgia, military aggression, challenges, prevention, diplomacy, international support.

შესავალი

„რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს ტერიტორიების ოკუპაცია ხელყოფს საქართველოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას ამასთანავე, წარმოადგენს დესტაბილიზაციის მთავარ წყაროს. ოკუპირებულ ტერიტორიებზე საერთაშორისო სამშვიდობო ძალების არარსებობა და აღნიშნული ტერიტორიების მილიტარიზაცია ზრდის პროვოკაციებისა და სამხედრო აგრესიის განახლებულ რისკებს.“¹

რუსეთ-საქართველოს ომი არ დაწყებულა 2008 წელს, კონფლიქტი დაიწყო 1991 წლიდან, როდესაც საქართველომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა. რუსეთი მხარს უჭერდა აფხაზ და ოს სეპარატისტებს და ცდილობდა ეთნიკური დაძაბულობის, დაპირისპირების გაღრმავებას მათსა და ქართველ მოსახლეობას შორის.² ომის ერთ-ერთი მთავარი გამომწვევი მიზეზი იყო დავა საქართველოს შემადგენლობაში აფხაზეთის სტატუსზე. რუსეთის ჩართულობამ გადამწყვეტი როლი ითამაშა აფხაზეთის ომის დაწყებაში. რუსეთს ჰქონდა და დღესაც აქვს ინტერესები აფხაზეთის რეგიონში მისი სტრატეგიული მდებარეობისა და ისტორიული კავშირების გამო.³ სამწუხაროდ, ამ ომის შედეგად დავკარგეთ აფხაზეთის რეგიონზე კონტროლი. რაც შეეხება რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომს, რუსეთმა მოახდინა საქართველოს გარკვეული ტერიტორიების, მთლიანად ჯამში 20%-ის ოკუპაცია, რაც არის სამართლებრივად დადასტურებული ფაქტი. 2008 წლის ომის შემდეგ ქართულმა სახელმწიფომ კონტროლი დაკარგა 151 დასახლებულ პუნქტზე, კერძოდ, 135-ზე სამხრეთ ოსეთში და 16-ზე კოდორის ხეობაში.⁴ შესაბამისად, საქართველოს მოსახლეობის საკმაოდ დიდმა ნაწილმა დაკარგა წვდომა საკუთარ სახლებსა და სასოფლო-სამეურნეო მიწებზე. გარდა ამისა, ტერიტორიების ოკუპაციამ გამოიწვია დევნილთა ახალი ტალღა ქვეყანაში, რადგან ადგილობრივი მაცხოვრებლების დიდ ნაწილს მოუწია სახლების დატოვება.

საფრანგეთის პრეზიდენტის დახმარებით, რუსეთმა და საქართველომ მიაღწიეს კონფლიქტის დასასრულებლად ექვსპუნქტიან შეთანხმებას, თუმცა მალევე, ამავე შეთანხმების დარღვევით რუსეთმა ოკუპირებული აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი ეგრედ წოდებული „სამხრეთ ოსეთი“ დამოუკიდებელ სახელმწიფოებად გამოაცხადა.⁵ ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებიდან მალევე რუსეთმა ასევე დაიწყო ადმინისტრაციული საზღვრის გავლება ოკუპირებული ტერიტორიებიდან, რასაც ბორდერიზაცია ეწოდება. რუსეთმა საოკუპაციო ზოლის გასწვრივ განათავსა სასაზღვრო ნიშნები, ღობეები და მავთულხლართები.⁶ უმეტეს შემთხვევაში, ბორდერიზაცია მოხდა ცხინვალის რეგიონის განმსაზღვრელი ადმინისტრაციული საზღვრის გასწვრივ ან მის მახლობლად, თუმცა დაფიქსირდა ბორდერიზაციის შემთხვევები აფხაზეთის მიმართულელებითაც. ქვემოთ მოცემული რიცხვები, შესაძლოა არასრული იყოს, იქიდან გამომდინარე, სა-

¹ საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, 2014. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2477984?publication=0>

² საქართველოში მომხდარ კონფლიქტთან დაკავშირებული ფაქტების დამდგენი დამოუკიდებელი საერთაშორისო მისია. 2009.

³ იქვე.

⁴ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი. 2015.

⁵ Dickinson 2021.

⁶ Civil, 2023.

ქართველოს მთავრობას არ მიუწვდება ხელი სრულ ინფორმაციაზე. სიტუაციას ართულებს ისიც, რომ რუსეთი ოკუპირებულ ტერიტორიებზე შესვლის უფლებას არ აძლევს ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიას.

აღსანიშნია, რომ ბორდერიზაციის პროცესის ათვლის წერტილად 2009 წელი ფიქსირდება.⁷ განსაკუთრებით მასშტაბური კი 2013 წლის გაზაფხულზე დაწყებული ბორდერიზაციის სერია იყო. რუსმა ჯარისკაცებმა და ოსურმა მილიციამ სამხრეთ ოსეთის დემარკაციის მიზნით მავთულხლართები დაამონტაჟეს.⁸ ამით საოკუპაციო ზოლი უფრო ღრმად გადმოწიეს საქართველოს ტერიტორიაზე, დაიპყრეს ტერიტორიის ის ნაწილი, რომელიც იქამდე საქართველოს კონტროლის ქვეშ იყო. პროცესი ინტენსივობით გაიზარდა 2015 წლის ზაფხულიდან, როდესაც რუსმა ჯარისკაცებმა და ოსურმა მილიციამ სოფელ წითელუბანში და ადმინისტრაციულ ზოლის გასწვრივ სასაზღვრო ნიშნები „მწვანე ბანერები წარწერით სახელმწიფო საზღვარი“ დაამონტაჟეს. დაფიქსირდა ადმინისტრაციული ზოლი სოფლების დიცისა და ხურვალეთის გასწვრივ.⁹ 2017 წლისთვის კი ჯამში დაფიქსირებული იყო ბორდერიზაციის 30-ზე მეტი შემთხვევა, რაც გულისხმობს ცხინვალის რეგიონის გასწვრივ დამატებით 33 წართმეულ სოფელს, ხოლო აფხაზეთის რეგიონის გასწვრივ დამატებით 7 ანექსირებულ სოფელს.¹⁰ ამ პროცესს, დროდადრო მიწების მიტაცებას, მცოცავი ოკუპაცია ეწოდება, რომელიც უდიდეს გამოწვევას წარმოადგენს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტისთვის. რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიების, კერძოდ, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მიმდინარე ოკუპაციამ რეგიონში არასტაბილური ვითარება შექმნა. მიუხედავად იმისა, რომ პოსტ-საბჭოთა სივრცეში გაყინული კონფლიქტების არსებობა გამოცდილი რუსული ტაქტიკაა, მცოცავი ოკუპაცია, რასაც საქართველოს მიმართ 2008 წლის ომის შემდეგ აქტიურად იყენებს, სიახლეს წარმოადგენს საქართველოსთვის და საერთაშორისო საზოგადოებისთვის.

აქვე, მნიშვნელოვანია განიმარტოს თუ რა სტრატეგიული მიზნების მიღწევას ცდილობს რუსეთი მცოცავი ოკუპაციით¹¹

- წარმატებულად აწარმოოს ფსიქოლოგიური ომი ქართული საზოგადოების წინააღმდეგ. მიზანი - აიძულოს ქართული საზოგადოება დაკარგოს ნდობა ხელისუფლების მიმართ.
- შეაფერხოს საქართველოს ნატო-ში ინტეგრაცია საქართველოს ტერიტორიაზე მუდმივი კონფლიქტის კერების შექმნის გზით.

⁷ (Judgment Georgia v. Russia (IV) - multiple violations concerning human-rights toll caused by hardening of boundary lines after 2008 conflict 2024)

⁸ Netgazeti, 2017.

⁹ Factcheck, 2017.

¹⁰ Netgazeti, 2017.

¹¹ Kakachia, Korneli. 2018. „How the West Should Respond to Russia's "Borderization" in Georgia.“ *Ponars Eurasia* PONARS Eurasia Policy Memo No. 523. https://www.ponarseurasia.org/wp-content/uploads/attachments/Peppm523_Kakachia_April2018.pdf.

- აჩვენოს საქართველოს საზოგადოებას, რომ ნატო და ევროკავშირი მათ პრობლემებს ვერ გადაჭრიან. მიზანი - საქართველოს მოსახლეობამ დაკარგოს რწმენა დასავლური ცივილიზაციის მიმართ.

გარდა დაკარგული ტერიტორიებისა, ბორდერიზაციის შედეგად ხშირია ფაქტები საქართველოს მოქალაქეების დაკავების ეგრედ წოდებული ადმინისტრაციული საზღვრის გადაკვეთის დროს. საზღვრის პირას მცხოვრებ სოფლებში ქართველი მოსახლეობის ბაღები, საფლავეები და სალოცავები დარჩა საზღვრის იქით. რუსები აკავებენ ყველას ვინც ამ ადმინისტრაციულ საზღვარს გადაკვეთენ.¹² სამწუხაროდ რუსი სამხედროების მხრიდან საქართველოს მოქალაქის მოკვლის ბოლო ფაქტი 2023 წლის ნოემბერში, გორის რაიონ სოფელ კირბალში დაფიქსირდა. თამაზ გინტური, რომელიც ლომისის ეკლესიის ნიშთან სანთლის ასანთებად იყო ასული, რუსმა სამხედროებმა მოკლეს.¹³

შესაბამისად, ყოველი ახალი მიტაცებული მეტრი რუსეთის მხრიდან კარგად გააზრებულ მიზანს ემსახურება და წარმოადგენს წინასწარ დაგეგმილი პროვოკაციას. აქედან გამომდინარე, საქართველოს პასუხი ყოველთვის უნდა იყოს მყისიერი, თუმცა ფრთხილი. მიუხედავად იმისა, რომ 2015 წლიდან მინიმუმამდეა შემცირებული ბორდერიზაციის ფაქტები, რისკი იმისა, რომ მომავალში რუსეთის მხრიდან კვლავ განხორციელდება მსგავსი ქმედებები, რა თქმა უნდა არსებობს. მცოცავი ოკუპაციის პრევენციის მიზნით, საქართველოსთვის გადაწყვეტია ერთის მხრივ დიპლომატიური ურთიერთობების გაძლიერებით საერთაშორისო მხარდაჭერის გაზრდა, ხოლო მეორეს მხრივ აფხაზებისა და ოსების წარმომადგენლებთან მოლაპარაკებების წარმოება და მათი საქართველოსთან რეინტეგრაციის ხელშეწყობა.

ძირითადი ნაწილი

საქართველომ უფრო აქტიურად უნდა გააძლიეროს დიპლომატიური ძალისხმევა საერთაშორისო მხარდაჭერის მოსაპოვებლად, გამოიყენოს საერთაშორისო ფორუმები და შუამავლები, რათა ხაზი გაუსვას მის ტერიტორიებზე უცხოური ძალების ყოფნის არალეგიტიმურობას. უკრაინის მიმართ რუსეთის მიერ განხორციელებულმა აგრესიამ აჩვენა, რომ რუსეთის იმპერიალისტური მისწრაფებები, რეალურია და საფრთხეს უქმნის მთელ პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნებს. დასავლეთის განწყობაც, რომ რუსეთთან დიპლომატია იმუშავებს ან და მოლაპარაკებების გზით რუსეთი უარს იტყვის საკუთარ გეოპოლიტიკურ ამბიციებზე მცდარი აღმოჩნდა. ჰიბრიდული მეთოდების გამოყენებით, როგორც ეს გერასიმოვის დოქტრინაშია აღწერილი, კონვენციური გზით და სამხედრო აგრესიით, პუტინის მიზანია შექმნას ახალი იმპერია.¹⁴ უკრაინის კონფლიქტი ნამდვილად დაეხმარა საერთაშორისო საზოგადოებას გადაეაზრებინა რუსეთ-

¹² Judgment Georgia v. Russia (IV) - multiple violations concerning human-rights toll caused by hardening of boundary lines after 2008 conflict. 2024..

¹³ რადიო თავისუფლება 2023.

¹⁴ Temnycky, 2023

თან მიდგომა. საკუთარი მიზნების მისაღწევად, რუსეთი მზადაა ნებისმიერ დროს მისი მეზობელი ქვეყნების მიმართ დაიწყოს არაპროვოცირებული ომი.

შესაბამისად, რუსეთის, როგორც ოკუპანტი ქვეყნის იმიჯი საერთაშორისო არენაზე, დამკვიდრებულია და საქართველოსთვის უფრო მარტივია იმის მტკიცება და ჩვენება თუ რა საფრთხეს წარმოადგენს რუსეთი საქართველოსთვის და ზოგადად, დასავლური ცივილიზაციისთვის. საქართველომ უნდა შეახსენოს დასავლურ საზოგადოებას, რომ თანამედროვე რუსეთის აგრესიის პირველი მსხვერპლი გახდა საქართველო და რომ საქართველოს მიმართ მცოცავი ოკუპაციის სახით, აგრესია დღემდე გრძელდება. 2024 წელს სტრასბურგის სასამართლომ რუსეთი 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომში დამნაშავედ სცნო, საქართველოს ტერიტორიებზე დანაშაულის ჩადენა და ბორდერიზაციის უკანონობა დამტკიცებულია სასამართლოს მიერ. ასევე დამტკიცდა, რომ ადგილი ჰქონდა ადამიანის უფლების რამდენიმე მუხლის დარღვევას.¹⁵

საქართველომ უნდა სცადოს და ხელი შეუწყოს დასავლური ქვეყნების მობილიზებას სანქციების დაწესების თაობაზე საქართველოს შემთხვევაშიც, რომ რუსეთმა გაიყვანოს ჯარები საქართველოს ტერიტორიებიდან, მათ შორის, აფხაზეთიდან და ოსეთიდან. ამ მიზნით, კარგი იქნება თუ საქართველო უმაჰსინძლებს მასშტაბურ საერთაშორისო ფორუმებს საქართველოში, ჩამოიყვანს მკვლევარებს, პოლიტიკოსებს, გადაწყვეტილების მიმღებ პირებს და ადგილზე აჩვენებს მცოცავი ოკუპაციის შედეგებს. საქართველომ უნდა შეძლოს და უკრაინასთან ერთად, აქტიურად დარჩეს პოლიტიკურ დღის წესრიგში, როდესაც საუბარი ეხება რუსულ აგრესიას და ამ აგრესიის შესაჩერებლად სანქციების დაწესებას.

დიპლომატია და მოლაპარაკებები იყო და არის ყველაზე ცივილური და მშვიდობიანი გზა კონფლიქტების მოსაგვარებლად. კოლუმბია 2016, სიერა ლეონი 2002, ჩრდილოეთ ირლანდია 2002 და ბოსნია და ჰერცეგოვინა 1995 სწორედ ის მაგალითებია, სადაც დიპლომატიამ იმუშავა და მრავალწლიანი კონფლიქტი დაასრულა მოლაპარაკების გზით. განსაკუთრებით საინტერესო და რელევანტური ბოსნია ჰერცეგოვინაა. ქვეყანაში მიმდინარე ეთნიკურმა კონფლიქტმა 200.000 ადამიანი შეიწირა, ხოლო 2 მილიონი კი ლტოლვილად აქცია. როდესაც კონფლიქტის მოგვარებაში ჩაერია ნეიტრალური მხარე ამერიკის შეერთებული შტატების სახით, რომელსაც რეგიონში არ ჰქონია რაიმე პოლიტიკური ინტერესები, გარდა მშვიდობისა, კონფლიქტი მოგვარდა.¹⁶

საოკუპაციო ძალების წარმომადგენლებთან, აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის შესაბამის ხელმძღვანელობასთან მოლაპარაკებების გაღრმავებით, შესაძლოა, ხელი შეეწყოს კონფლიქტის მოგვარებას და მათ რეინტეგრაციას საქართველოში. მოლაპარაკებები ორიენტირებული უნდა იყოს ორმხრივად მისაღები გადაწყვეტილებების მოძიებაზე, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დაცვით. ამჟამად, საქართველო ახორციელებს სხვადასხვა მოლაპარაკებებს კონფლიქტების მოგვარების მიზნით საო-

¹⁵ Judgment Georgia v. Russia (IV) - multiple violations concerning human-rights toll caused by hardening of boundary lines after 2008 conflict. 2024.

¹⁶ U.S Embassy. 2022.

კუპაციო ძალებთან, ხშირად ნეიტრალური შუამავლების დახმარებით. ჟენევის საერთაშორისო დისკუსიები ემსახურება უსაფრთხოებისა და ჰუმანიტარული საკითხების განხილვას აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში. ნეიტრალური შუამავლები, მათ შორის ევროკავშირი, გაერო და ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია (ეუთო), ხელს უწყობენ ამ დისკუსიებს. მისი მიზანია მშვიდობიანი გადაწყვეტილებების მოძიება და ხელის შეწყობა ნდობის აღდგენის მიზნით საქართველოსა და ოკუპირებულ ტერიტორიებზე დე ფაქტო ხელისუფლებას შორის. საქართველო ასევე მონაწილეობს ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმებში ოკუპირებული ტერიტორიების მიმდებარე ტერიტორიებზე. ეს მექანიზმები მიზნად ისახავს დამაბულობის ესკალაციის თავიდან აცილებას და უსაფრთხოების ინციდენტების მოგვარებას დიალოგისა და თანამშრომლობის გზით. ნეიტრალური შუამავლებისა და საერთაშორისო დამკვირვებლების ჩართვა ხელს უწყობს კომუნიკაციისა და დეესკალაციის მცდელობებს.

საქართველოს მთავრობა ცდილობს როგორც ორმხრივი, ისე საერთაშორისო მოლაპარაკებებით მიაღწიოს სასურველ შედეგს ოკუპირებულ რეგიონებში, თუმცა ჯერჯერობით ძალიან მწიკი ხელშესახები შედეგების მიღება რუსეთის ფაქტორისა და რეგიონში რუსული ინტერესების არსებობიდან გამომდინარე. ნებისმიერ მოლაპარაკებებზე აფხაზ და ოს წარმომადგენელთან ერთად ასევე წარმოდგენილია ოფიციალური მოსკოვი. რუსეთის მოლაპარაკებებში ჩართვა, რა თქმა უნდა, ართულებს პროცესების ჯანსაღად და საქართველოს ინტერესების დაცვით წარმართვას. თუ კი მხარე იქნება ნეიტრალური, მაშინ, უშუალოდ აფხაზეთთან და ოსებთან მოლაპარაკებებით შესაძლებელი გახდება გადაკვეთის წერტილების განსაზღვრა და საბოლოო ჯამში, კონფლიქტის დეესკალაცია და აღნიშნული ტერიტორიების საქართველოს საზღვრებში რეინტეგრაცია. მანამდე კი, სანამ რუსეთი მხარეა და საქართველოს უჭირს პოლიტიკური მიზნების მიღწევა, გამოსავალი ერთადერთია, რომ ხელი შეეწყოს ხალხის დაახლოებას, რომ ახალგაზრდა აფხაზებმა, ოსებმა და ქართველებმა ახლიდან გაიცნონ ერთმანეთი.

მართლაც, ოკუპირებულ რეგიონებსა და დანარჩენ საქართველოს შორის სოციალური და კულტურული ურთიერთობის გაცვლის ხელშეწყობას შეუძლია მნიშვნელოვანი როლი ითამაშოს არა მხოლოდ, პრევენციულ ძალისხმევაში, არამედ ერების დაახლოებაში.

კულტურული ღონისძიებების წახალისება, საგანმანათლებლო გაცვლითი პროგრამები და სასოფლო სამეურნეო თანამშრომლობა ხელს შეუწყობს ზემოთ ხსენებულ მიზნებს. კარგი იქნება თუ მოხერხდება სპორტში აფხაზი და ოსი სპორტსმენების აქტიურად ჩართვა, რომლებიც საქართველოს სახელით იასპარეზებენ მნიშვნელოვან საერთაშორისო ღონისძიებებზე. საბოლოო ჯამში კი, როდესაც დაიწყება რეინტეგრაციის პროცესი, შემდეგ აუცილებელია პოლიტიკური პროცესების სწორად წარმართვა, მათი ჩართვა გადაწყვეტილებების მიღებებში, მნიშვნელოვან თანამდებობებზე აფხაზი და ოსი ადამიანების დანიშვნა როტაციული პრინციპით.

დიპლომატიურ ძალისხმევას და მოლაპარაკებების წარმოებას შეიძლება ჰქონდეს შეზღუდული ეფექტურობა მცოცავი ოკუპაციის პრევენციისთვის, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საქმე გვაქვს რუსეთის ინტერესებთან, რომელსაც გადაწყვეტილი აქვს მიაღწიოს თავის გეოპოლიტიკურ მიზნებს ხისტი ძალის გამოყენებით. რუსეთი პოსტ-საბჭოთა ტერიტორიას აღიქვამს თავის გავლენისა და ინტერესების სფეროდ, საკუთარ ტერიტორიებად, შესაბამისად, ამ ინტერესების უგულვებელყოფა მარტივი არაა. დღესაც, რუსეთ-უკრაინის ომის დაწყების დღიდან, ამდენი წნეხის და სანქციების მიუხედავად, საერთაშორისო საზოგადოებამ ვერ შეძლო რუსეთის დასმა მოლაპარაკებების მაგიდასთან უკრაინის ტერიტორიული მთლიანობის დაცვის გათვალისწინებით. ასეთ შემთხვევებში, მხოლოდ დიპლომატიურ ურთიერთობებზე დაყრდნობა შეიძლება აღმოჩნდეს არასაკმარისი მცოცავი ოკუპაციის ეფექტურად შესაჩერებლად.

გარდა ამისა, უსაფრთხოების კუთხით გარე აქტორებზე ზედმეტად დამოკიდებულებამ შესაძლოა შეზღუდოს საქართველოს შესაძლებლობა, დამოუკიდებლად მოაგვაროს თავისი გამოწვევები ამ მიმართულებით. საერთაშორისო მოკავშირეებს შორის გეოპოლიტიკური ცვლილებების ან პრიორიტეტების შეცვლის შემთხვევაში, საქართველო შეიძლება აღმოჩნდეს შემცირებული მხარდაჭერით, რაც კიდევ უფრო გაართულებს ამოცანას „მცოცავ ოკუპაციის“ წინაშე. ოკუპირებულ ტერიტორიებზე დე ფაქტო ხელისუფლების არსებობა ართულებს დიპლომატიურ ურთიერთობებს და მოლაპარაკებებს, რაც გავლენას ახდენს საქართველოს უნარზე, აღადგინოს თავისი სუვერენიტეტი. დე ფაქტო ხელისუფლებები მოქმედებენ საკუთარი ინტერესებით, რომლებიც საკმაოდ ახლოსაა რუსულ ინტერესებთან, შესაბამისად, მათთან პირდაპირი მოლაპარაკებები ხელშესახებ ცვლილებებს ვერ მოიტანს. გარდა ამისა, მცოცავი ოკუპაცია აძლიერებს სოციალურ განხეთქილებას და აფერხებს კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ მოსახლეობას შორის შერიგების მცდელობას. ფიზიკური ბარიერების, საგუმაგოების და გაყოფილი მოსახლეობის არსებობა ხელს უშლის განსხვავებების გადალახვის მცდელობებს, დიალოგის ხელშეწყობას და ურთიერთგაგების ჩამოყალიბებას.

ამ გამოწვევების მოგვარება მოითხოვს ისეთ მიდგომას, რომელიც აერთიანებს დიპლომატიურ ინიციატივებს, ჰუმანიტარულ დახმარებას და საერთაშორისო მხარდაჭერას. საქართველო აგრძელებს მუშაობას „მცოცავი ოკუპაციის“ შედეგად წამოჭრილი საკითხების მშვიდობიანი გადაწყვეტის მოსაძებნად, მაგრამ სიტუაციის სირთულე ხაზს უსვამს ამ გამოწვევების მუდმივ ხასიათს.

დიპლომატიური ძალისხმევის და მოლაპარაკებების მიმართ სკეპტიკურ დამოკიდებულებას ზურგს უმაგრებს ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (ეუთოს) მისიის წარუმატებლობა საქართველოში. ეუთოს მისია, რომლის მიზანსაც წარმოადგენდა საქართველოსა და სამხრეთ ოსეთის რეგიონს შორის კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარება, ქვეყანაში 17 წლიანი მუშაობის შემდეგ, ოფიციალურად დაიხურა 2008 წლის ბოლოს. მისიის დახურვის მთავარ მიზეზად გამოცხადდა მისი

უუნარობა კონფლიქტის ესკალაციის თავიდან ასარიდებლად, რაც საბოლოოდ აგვისტოს ომით დასრულდა.¹⁷

მიუხედავად ამისა, დიპლომატიური ურთიერთობების გაძლიერება საქართველოს საშუალებას მისცემს ჩაერთოს კონსტრუქციულ დიალოგში, მხარი დაუჭიროს თავის ინტერესებს და შექმნას ხელსაყრელი გარემო კონფლიქტების მოგვარებისთვის. ძლიერი დიპლომატიური ურთიერთობები აძლიერებს საქართველოს უნარს გაუმკლავდეს გეოპოლიტიკურ გამოწვევებს. საერთაშორისო მხარდაჭერის გაძლიერება ქმნის შემაკავებელ ეფექტს კოლექტიური რეაგირების გზით. საერთაშორისო საზოგადოებამ ყურადღება უნდა მიაპყროს რუსეთის მიერ 2008 წლის ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების შეუსრულებლობას და გაზარდოს მოწოდებები ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის ოფიციალური პირების აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში შესვლის თაობაზე. ყველა მხარე უნდა იყოს წახალისებული, გააგრძელონ კონსტრუქციული მოლაპარაკებები, მათ შორის, გაეროს ჟენევის ფორმატის მეშვეობით. ყველა ეს ნაბიჯი ხელს შეუწყობს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

რაც შეეხება ეუთოს მისიის წარუმატებლობას, საქართველოში, აუცილებელია ვეძებოთ და დავაიდენტიფიციროთ მისი წარუმატებლობის მიზეზები, რომელთა შორისაც ოფიციალურად ცხადდება არასაკმარისი ინსტრუმენტების ქონა, ხოლო მთავარ შეცდომად გამოიკვეთა ის ფაქტი, რომ მისია კონფლიქტის მონაწილედ განიხილავდა მხოლოდ საქართველოს და მის ავტონომიურ რესპუბლიკებს (სამხრეთ ოსეთს და აფხაზეთს), ხოლო მხედველობის მიღმა რჩებოდა მთავარი აქტორი - რუსეთი. 2008 წლის ომმა ეს ყველაფერი ცხადყო. ხოლო რუსეთის მიერ სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დამოუკიდებელ რესპუბლიკებად გამოცხადებამ შეუძლებელი გახადა მისიის გაგრძელება მისი სამართლებრივი საფუძვლებიდან გამომდინარე.¹⁸

გარდა ამისა, საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანებამ, შესაძლოა, უმნიშვნელოვანესი როლი ითამაშოს აფხაზ და ოს მოსახლეობასთან დაახლოებასა და ურთიერთობების აღდგენაში. როგორც ცნობილია, ევროკავშირში გაწევრიანებას საქართველოს ბევრ ეკონომიკურ სარგებელს მოუტანს,¹⁹ რითიც სარგებლობა აფხაზ და ოს მოსახლეობასაც შეეძლება საქართველოს პასპორტის აღების შემთხვევაში. გარდა იმისა, რომ უვიზოდ იმოგზაურებენ მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში, საშუალება ექნებათ მიიღონ უკეთესი სამედიცინო სერვისი და განათლება საქართველოში. ცნობილია, რომ ევროკავშირი დიდ ფინანსურ რესურსს ხარჯავს კულტურისა და ენის შენარჩუნებაზე. აფხაზეთში 10 ამდე ქართული სკოლა იყო, მაგრამ 2017 წლისთვის უკვე ყველა მათგანი დახურეს. აფხაზური და ოსური ენები და კულტურა მართლაც გადაშენების პირასაა და ახალი თაობები მხოლოდ რუსულადლა საუბრობენ.²⁰ ასევე, უნდა წარმოჩნდეს განათ-

¹⁷ Stober, Silvia. 2010. „The Failure of the OSCE Mission to Georgia - What Remains?“ *OSCE Yearbook*, (OSCE Yearbook 2010) 203-220.

¹⁸ Ibid.

¹⁹ ISET Economist Blog, 2023.

²⁰ Nikoladze, 2022.

ლების პერსპექტივები, უფლებათა დაცვის გარანტია და ასე შემდეგ²¹ გარდა აღნიშნულისა, ასევე, შესაბამისი მნიშვნელობით უნდა წარმოჩნდეს საქართველოს შემადგენლობაში ყოფნით, ჩრდილო-ატლანტიკურ ალიანსში (NATO) გაწევრიანების პერსპექტივა და მისი სიკეთეები, რომელთა შორის უმთავრესია პოლიტიკური და სამხედრო მოქმედებებით გაერთიანების წევრების უსაფრთხოების უზრუნველყოფა, პრობლემების მშვიდობიანად მოგვარების ხელშეწყობა და ურთიერთნდობის საფუძველზე, გრძელვადიანი სტაბილურობის შენარჩუნება.²² შესაბამისად, მსგავსი საკითხების ახსნითა და სარგებლის შეთავაზებით, უნდა ვაჩვენოთ აფხაზებსა და ოსებს, რომ მათ ერს საქართველოს შემადგენლობაში უფრო აქვთ გადარჩენის შესაძლებლობა, ვიდრე ცალკე, დამოუკიდებელ, არაღიარებულ ტერიტორიად და მითუმეტეს რუსეთის შემადგენლობაში შესვლის შემთხვევაში.

დასკვნა

დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ რუსეთის მიერ მცოცავი ოკუპაციის პრევენციის მიზნით საჭიროა დიპლომატიური ურთიერთობების გაძლიერებით საერთაშორისო მხარდაჭერის გაზრდა და ასევე აფხაზებისა და ოსების წარმომადგენლებთან მოლაპარაკებების წარმოება. მცოცავი ოკუპაცია მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნის საქართველოს სუვერენიტეტს, სტაბილურობასა და რეგიონულ მშვიდობას. ის ამძაფრებს ჰუმანიტარულ გამოწვევებსაც, განსაკუთრებით იძულებით გადაადგილებულ პირებთან (დევნილებთან). ოკუპაცია ზღუდავს ხელმისაწვდომობას აუცილებელ სერვისებზე ოკუპირებულ რაიონში დარჩენილ ქართველ მოსახლეობაზე, აფერხებს დევნილთა დაბრუნებას საკუთარ სახლებში და ქმნის სოციალურ-ეკონომიკურ სირთულეებს და ზარალებული მოსახლეობისთვის.

დიპლომატიური ურთიერთობების დახმარებით, საქართველო შეძლებს მცოცავი ოკუპაციის პრევენციას შემდეგნაირად: კერძოდ, საქართველომ, როგორც, რუსული აგრესიის ერთ-ერთმა პირველმა მსხვერპლმა, უნდა შეძლოს საერთაშორისო საზოგადოების მობილიზაცია რუსეთის წინააღმდეგ 2008 წლის ომის გარშემო, რომლის საბოლოო მიზანი იქნება რუსული ჯარების გაყვანა საქართველოს ტერიტორიებიდან.

როგორც ზემოთ ავღნიშნე რუსეთ-საქართველოს შორის კონფლიქტი ბევრად ადრე დაიწყო ვიდრე 2008 წლის ომი მოხდებოდა. რუსეთი ვერ შეეგუა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებას 1991 წელს და მაშინვე დაიწყო კონფლიქტის გაღვივება აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონში. ამ სტრატეგიის პარალელური ტაქტიკური სვლა უნდა იყოს აფხაზ და ოსი მოსახლეობის დაახლოება საქართველოსთან და ქართულ საზოგადოებასთან სხვადასხვა საგანმანათლებლო თუ სოციალური პროგრამების დახმარებით. როდესაც რუსეთის ფაქტორი დღის წესრიგიდან გაქრება და დაიწყება საუბარი აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის რეინტეგრაციაზე, ქართული მხარე

²¹ European Union. 2024. *An official website of the European Union*. წვდომილი 2024 წლის 13 04. https://european-union.europa.eu/priorities-and-actions/eu-priorities/achievements_en.

²² NATO. 2024. *North Atlantic Treaty Organization*. წვდომილი 2024 წლის 13 04. <https://www.nato.int/nato-welcome/>.

ამ პროცესებს მომზადებული უნდა შეხვდეს. გარდა ამისა, საქართველოს სვლა ევროკავშირისკენ, რომელიც ასოცირებულია მრავალ ეკონომიკურ სარგებელთან საქართველოს მოქალაქეებისთვის, დამატებითი მოტივაცია შეიძლება რომ გახდეს აფხაზეებისა და ოსებისთვის, რომ აიღონ საქართველოს პასპორტი და რომ მათი მომავალი საქართველოს შემადგენლობაში განიხილონ.

დასასრულს რომ შევაჯამოთ, მცოცავი ოკუპაცია დღესდღეისობით რჩება ყველაზე დიდ გამოწვევად საქართველოსთვის. საქართველო ხაზს უსვამს კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარებას. პრევენციის მიზნით საჭიროა მოიძებნოს გამოსავალი აფხაზეებისა და ეგრედ წოდებულ „სამხრეთ ოსეთის“ დეფაქტო ხელისუფლებასთან მოლაპარაკებების სახით და საერთაშორისო მხარდაჭერის გაზრდით.

გამოყენებული ლიტერატურა

- European Union. 2024. *An official website of the European Union*. წვდომილი 2024 წლის 13 04. https://european-union.europa.eu/priorities-and-actions/eu-priorities/achievements_en.
- Judgment Georgia v. Russia (IV) - multiple violations concerning human-rights toll caused by hardening of boundary lines after 2008 conflict*. 2024. (application no. 39611/18) (European Court of Human Rights, 09 04). [https://hudoc.echr.coe.int/eng--press#%22itemid%22:\[%22003-7919335-11025976%22\]](https://hudoc.echr.coe.int/eng--press#%22itemid%22:[%22003-7919335-11025976%22])}.
- Kakachia, Korneli. 2018. „How the West Should Respond to Russia's "Borderization" in Georgia.“ *Ponars Eurasia* PONARS Eurasia Policy Memo No. 523. https://www.ponarseurasia.org/wp-content/uploads/attachments/Peppm523_Kakachia_April2018.pdf.
- NATO. 2024. *North Atlantic Treaty Organization*. წვდომილი 2024 წლის 13 04. <https://www.nato.int/nato-welcome/>.
- Stober, Silvia. 2010. „The Failure of the OSCE Mission to Georgia - What Remains?“ *OSCE Yearbook* (OSCE Yearbook 2010) 203-220. <https://ifsh.de/file-CORE/documents/yearbook/english/10/Stoeber-en.pdf>.
- ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი. 2015. „საქართველოს შეცვლილი საზღვრები ოკუპაციის შემდეგ.“ *IDFI*. <https://idfi.ge/ge/changed-borders-of-georgia-after-occupation>.
- საქართველოს თავდაცვის სამინისტრო. 2014. „საქართველოს ეროვნული სამხედრო სტრატეგია.“ https://www.gov.ge/files/382_43019_165623_413-119.06.14.pdf.
- საქართველოში მომხდარ კონფლიქტთან დაკავშირებული ფაქტების დამდგენი დამოუკიდებელი საერთაშორისო მისია. 2009. *ანგარიში*. თბილისი: შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი. <https://smr.gov.ge/uploads/prev/66c4e7.pdf>.

ისრაელი-ირანი დაპირისპირება ახლო აღმოსავლეთში

პაატა ჩინჩალაძე

სსიპ-დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს
ეროვნული თავდაცვის აკადემიის
მაგისტრატურის სახელმწიფო რესურსების მართვის
მიმართულების მსმენელი

აბსტრაქტი

ისრაელის და ირანის დაპირისპირებას დიდი ისტორია აქვს, მაგრამ 2023 წლის 7 ოქტომბერი იყო ახალი პირველი ეტაპი, განახლებული კონფლიქტის დაწყების. გარდამტეხი აღმოჩნდა თავდასხმა პირველ არპილს, როდესაც ისრაელმა სირიის დედაქალაქში ირანის საელჩო დაბომბა, რასაც ირანის მმართველი რგოლი შეეწირა, გენერალი მოჰამედ რეზა და ექვსი ირანელი. ორივე ქვეყანას აქვს კრიტიკული შეზღუდვები სამხედრო და სტრატეგიულ რესურსებზე. ორივე ქვეყნის შეიარაღებული ძალები შეკავებისთვის და თავდაცვისთვის არის მზად. მათ არ აქვთ იმის რესურსი, რომ შეუტიონ ერთმანეთს და აწარმოონ დიდი კონფლიქტი. ბირთვულ სფეროში კი ირანი ვერ რისკავს იარაღის ფლობას, ხოლო ისრაელი ვერ რისკავს მის გამოყენებას. ფაქტია, ორივე მხარეს აქვს შეზღუდვები და სურვილი გააგრძელოს დაპირისპირება და მოიპოვოს გავლენა რეგიონში. კარგად ჩანს, რომ ორივე ქვეყანა ერთმანეთის პროვოკაციაზე წამოგებას ცდილობს, მაგრამ მათ არ გააჩნიათ საკმარისი შესაძლებლობა ყოვლისმომცველი ომისათვის.

ირანი ცდილობს მოიპოვოს დომინაცია და სწორედ ამიტომაც განახორციელა სარაკეტო იერიში ისრაელზე, ღაზას სექტორსა და ლიბანში ისრაელის მოქმედებების საპასუხოდ. ირანი ისრაელის პასუხის მოლოდინში იმუქრება, რომ თუ ისრაელი მას დაარტყამს, ის თავს დაესხმევა სარაკეტო იერიშით მსოფლიოში ნავთობის მწარმოებელ უმსხვილეს ქვეყნებს, როგორცაა ერაყი, არაბთა გაერთიანებული საამიროები, კუვეიტი და საუდის არაბეთი. ირანის ლიდერების განცხადებით ის ჩაკეტას ჰორმუზის სტრატეგიულ სრუტეს, სადაც ნავთობის მსოფლიო მარაგების მეხუთედი გადის.

აღნიშნული კრიზისი ძალზედ საინტერესოა, ვინაიდან აღნიშნულ კონფლიქტს მხარეს უჭერენ სხვადასხვა ქვეყნები ორივე მხრიდან. ისრაელს მხარს უჭერს დასავლეთი და სუპერ სახელმწიფო ამერიკის შეერთებული შტატები, ხოლო ირანს მხარს უჭერენ მუსულმანური ქვეყნები და ტერორისტული ორგანიზაციები.

ირანის რევოლუციის შემდგომ 1979 წლიდან, ირანის ისლამური რევოლუციის გვარდიის გუმაგთა კორპუსი ეხმარება ლიბანის ჰეზბოლას დაარსებაში, უგზავნის აღჭურვილობას, ურიცხავს ფულს და ატარებს სწავლებებს. ფაქტიურად ირანის ხელი ურევია ახალშობილი შიიტური ორგანიზაციის წარმოქმნაში. ჰეზბოლა არის ორგანიზაცია, რომელმაც ისრაელის წინააღმდეგ გაატარა ირანის ინტერესები და მოახდინა არააერთი თავდასხმა ისრაელზე.

საკვანძო სიტყვები: ისრაელის; ირანის; კრიზისი, ახლო აღმოსავლეთი; აშშ.

Israeli-Iranian confrontation in the Middle East

Paata Chincaladze

Student of Master's Program in State Recourse Management of
LEPL-David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia

Abstract

The long-standing conflict between Israel and Iran reached a new phase on October 7, 2023, marking the start of an intensified struggle. The escalation began on April 1, when Israel bombed the Iranian embassy in Syria's capital, resulting in the death of key Iranian officials, including General Mohammad Reza and six others. Both nations face significant constraints in terms of military and strategic assets. Their armed forces are ready for deterrence and self-defense but lack the resources to launch full-scale attacks or engage in a large conflict. Regarding nuclear capabilities, Iran cannot afford to possess weapons, and Israel cannot risk using them. Both sides are clearly limited but continue to seek dominance and regional influence. While they provoke each other, neither side has the means to engage in an all-out war.

Iran is striving for supremacy, which prompted it to launch a missile strike on Israel in retaliation for Israeli actions in Gaza and Lebanon. Iran has warned that if Israel attacks, it will target the world's major oil-producing nations, such as Iraq, the United Arab Emirates, Kuwait, and Saudi Arabia, with missile strikes. Iranian leaders have also stated they would close the strategic Strait of Hormuz, through which 20% of global oil supplies pass.

This ongoing crisis is notable because it has drawn support from different global powers. Israel receives backing from the West and the United States, while Iran is supported by various Muslim nations and militant groups. Since the 1979 Iranian Revolution, Iran's Islamic Revolutionary Guard Corps has played a key role in the formation of Hezbollah in Lebanon, providing weapons, money, and training. Iran's involvement has been crucial in the establishment of this Shiite group, which has carried out numerous attacks against Israel in furtherance of Iran's regional goals.

Keywords: Israel; Iran; crisis; Middle East; USA.

შესავალი

ისრაელ ირანის დაპირისპირება, როგორც ავღნიშნე 1979 წლიდან იწყება. ირანი იწყებს შიიტური ჰეზბოლას დაფინანსებას და ეხმარება მას დაარსებაში. ჰეზბოლა მუდმივად ანხორციელებდა თავდასხმებს ისრაელზე და მის მოქალაქეებზე მთელს მსოფლიოში. აღნიშნული კონფლიქტი გადაიზარდა ყოვლისმომცველ ომში 2006 წელს, რასაც მოჰყვა 100 ებრაელი და ჰეზბოლას 500 მებრძოლის სიკვდილი. გარკვეული დროის მანძილზე სერიოზული შეტაკებები აღარ მომხდარა, მაგრამ 2023 წლის 7 ოქტომბერს, ჰამასმა შეუტია ისრაელს და აგრძნობინა ებრაელებს დაუცველობა. ისრაელმა დაიწყო ფიქრი ჰეზბოლას შესაძლებლობებზე, თუკი ახლად შექმნილ ჰეზბოლას შეეძლო ასობით ებრაელი მოქალაქის მოკვლა, რას მოუტანდა ისრაელს გაძლიერებული, კარგად გაწვრთნილი ტერორისტული ორგანიზაცია.⁷ ოქტომბრის თავდასხმას ისრაელმა სერიოზული პასუხი გასცა, მისი თავდასხმის შედეგად ისრაელ-ლიბანის საზღვრის ორივე მხარეს 150 000 ადამიანის გადასახლება მოხდა, მათ შორის იყო 62 000 მშვიდობიანი მოქალაქე ჩრდილოეთ ისრაელიდან და 92 000 მეტი სამხრეთ ლიბანიდან.

ჰეზბოლას ლიდერი ჰასან ნასრალა და ბრიგადის გენერალი აბას ნილფორუშანი დაილუპნენ, როდესაც ისრაელმა დაბოძა შენობა, რომელშიც ისინი იმყოფებოდნენ ლიბანის დედაქალაქ ბეირუთში, 27 სექტემბერს. ჰამასის პოლიტიკური ლიდერი ისმაილ ჰანიე 31 ივლისს დაილუპა აფეთქების შედეგად, როდესაც ის იმყოფებოდა თეირანში. ირანმა ამ თავდასხმაში ისრაელი დაადანაშაულა, თუმცა ისრაელი არც ადასტურებს და არც უარყოფს მონაწილეობას.

აღნიშნული კოფნლიქტის წინაპირობა არის ირანის მოქმედებები 1 ოქტომბერს, როდესაც მან 180 რაკეტა ესროლა ისრაელს. აშშ-ს დახმარებით ისრაელმა შეძლო და შეაჩერა გასროლილი რაკეტების უმეტესობა, მაგრამ გარკვეულმა მათგანმა სამიზნეს მაინც მიაღწია.

ებრაელი ლიდერების ძირითადი მიზანია გაანადგურონ ირანის სატელიტი ორგანიზაცია. ისრაელის მიზანია შეამციროს ჰეზბოლას შესაძლებლობები და შეაკავოს ორგანიზაცია. ისრაელის თავდაცვის მინისტრმა იოავ გალანტმა განაცხადა, რომ ისრაელის მთავარი მიზანია გაანადგუროს ჰეზბოლას შესაძლებლობები, რომელიც 20 წელზე მეტია არსებობს და საფრთხეს უქმნის ებრაელებს. ეს არის იყო მხოლოდ განცხადება, ვინაიდან ისრაელმა ჰეზბოლას უდიდესი ზიანი მიაყენა და ფაქტიურად ორგანიზაციის არსებობა ეჭვქვეშ დააყენა.

ძირითადი ნაწილი

ფეჰლევციანების დინასტიის დროს 1925-1979 წწ-ებში ისრაელის და ირანის ურთიერთობები სტაბილური იყო. ფაქტობრივად ირანი ამ პერიოდში იყო მეორე მუსულმანური ქვეყანა, რომელმაც ისრაელი 1948 წელს დაარსების შემდგომ აღიარა. 1947 წ გაეროს სპეციალური კომიტეტი შეიქმნა 11 წევრისაგან შემდგარი, რომლის წევრიც იყო ირანი. აღნიშნული კომიტეტის მიზანი იყო პალესტინის პრობლემის მოგვარება, მას

შემდგომ რაც იქ ბრიტანეთის კონტროლი დასრულდა. ირანი მხარს უჭერდა გაეროს პალესტინის გაყოფის გეგმასთან დაკავშირებით.

ირანი ინდოეთთან და იუგოსლავიასთან ერთად, გამოვიდა ალტერნატიული გეგმით, რომელიც გულისხმობდა პალესტინის შენარჩუნებას, როგორც ერთი სახელმწიფოს ერთი პარლამენტით, მაგრამ ის დაყოფილი იქნებოდა არაბულ და ებრაულ ადმინისტრაციულ ერთეულებად, ე.წ კანტონებად. ირანის აღნიშნული გადაწყვეტილება გამომდინარეობა მუსულმანურ ქვეყნებთან დადებითი ურთიერთობების შესანარჩუნებლად.

ორი წლის შემდგომ 1948 წლის მიწურულს, ისრაელმა დაიწყო ტერიტორიების მიტაცება და სიონისტური პოლიციის დახმარებით 700 000-ზე მეტი პალესტინელი გამოსახლა და გადაადგილა იძულებით.

ურთიერთობები დაიძაბა მას შემდგომ, რაც ირანის სათავეში პრემიერ მინისტრად 1951 წელს მოვიდა მოჰამედ მოსადეყი. ის სათავეში ჩაუდგა ნავთობის ინდუსტრიის ნაციონალიზაციას, რომელიც ბრიტანეთის მიერ იყო მონოპოლიზირებული. მოსადეყმა გადაწყვიტა ყველანაირი კავშირი გაეწყვიტა ისრაელთან, რადგანაც ის ფიქრობდა, რომ ისრაელი ემსახურებოდა დასავლეთის ინტერესებს რეგიონში. მოსადეყი თვლიდა, რომ ისრაელის დასავლეთთან ურთიერთობა ნავთობის ნაციონალიზაციას დიდ პრობლემებს უქმნიდა. ქვეყნის შიგნით მიმდინარეობდა ანტისიონისტური მობილიზაცია. მოწინააღმდეგე მხარე თვლიდა, რომ ისრაელის დაარსება დიდი შეცდომა იყო. მოსადეყის მთავარი მიზანი იყო, არაბული ქვეყნების მხარდაჭერა ნავთობის საკითხზე და ბრიტანეთთან ბრძოლა კონტროლის წასართმევად.¹

მოულოდნელად 1953 წ. მოსადეყის ხელისუფლება ჩამოაგდეს ბრიტანეთის და აშშ-ს სადაზვერვო სამსახურების მიერ ორგანიზებული გადატრიალების გზით. გადატრიალების შედეგად მმართველობა ხელჩი ჩაიგდო შაჰმა, რომელიც გახდა დასავლეთის მტკიცე მოკავშირე რეგიონში. სიტუაცია იმდენად შეიცვალა, რომ ისრაელმა თეირანში დაარსა საელჩო 1970 წ. სავაჭრო კავშირები მათ შორის გაიზარდა, დაარსდა მილსადენი, რომლითაც ირანი ნავთობს გზავნიდა ისრაელში და შემდგომ ევროპაში. თეირანმა და თელ-ავივმა შეიმუშავეს ერთიანი სამხედრო გეგმა რეგიონში სამხედრო კონფლიქტის აცილების მიზნით.

ირანისათვის ისრაელთან ურთიერთობა სასარგებლო იყო, ვინაიდან ეს იყო კარგი გზა აშშ-სთან ურთიერთობის დასალაგებლად. ასევე ისრაელს ჭირდებოდა პარტნიორი ახლო აღმოსავლეთში.

შაჰი რევოლუციის შედეგად 1979 წელს ჩამოაგდეს და წარმოიქმნა ახალი ისლამური რესპუბლიკა. აიათოლა რუჰოლა ხომეინი თვლიდა, რომ პრიორიტეტი იყო ისლამი და სხვა „ამპარტავანი“ მსოფლიო ძალები იყვნენ მათი მოწინააღმდეგეები, რომლებიც ჩაგრავდნენ პალესტინელებს. თეირანმა გაწყვიტა კავშირი ისრაელთან, აკრძალა ფრენები და ისრაელის საელჩო თეირანში გადააკეთა პალესტინის საელჩოდ. ხომეინმა გამოაცხადა მუსლიმთა წმინდა თვის რამადანის ყოველი ბოლო პარასკევი, რო-

¹ Kaye, Dalia Dassa, and A., N. *A Brief History of Israeli-Iranian Cooperation and Confrontation*. RAND Corporation, 2011.

გორც ყუდსის დღე, რაც ნიშნავდა ყოველ პარასკევს მიტინგების გამართვას ირანში პალესტინელების მხარდასაჭერად.

ირანი აფინანსებდა ებრაელი მაღალჩინოსნების ლიკვიდირებას. ლიბანიდან პალესტინელების თავდასხმის საპასუხოდ 1979-1982 წწ ისრაელი შეიჭრა ლიბანში. ისრაელი 2000 წლამდე იკავებდა სამხრეთ ლიბანს შიიტური სამხედროების წინააღმდეგ საბრძოლველად. ირანის დაფინანსებით 1982 წ იქმენა ორგანიზაცია ჰეზბოლა. 1985 წლის ჰეზბოლას მანიფესტში ასახული იყო მიზნები, რომელიც ხაზგასმით აღნიშნავდა დასავლეთის გაძევებას რეგიონიდან, ისრაელის განადგურებას და ის აღუთქვამდა ირანის უზენაეს ლიდერს ერთგულებას, ასევე ირანის პოლიტიკური იდეოლოგიის გავლენით ისლამური მთავრობის შექმნას.

რევოლუციის შემდგომ 1979 წ ირანმა შეწყვიტა თანამშრომლობა ისრაელთან, დასავლეთის ქვეყნებთან და ფარულად დაიწყო ბირთვულ პროგრამაზე მუშაობა. 2002 წელს უკვე მასშტაბური აქტივობები გამოვლინდა ბირთვულ საკითხებში ირანის მხრიდან. 2011 წლის ნოემბერში ირანი დაადანაშაულეს ოფიციალურად ატომური იარაღის შექმნასა და ექსპერიმენტებში. ატომურმა ენერჯის საერთაშორისო სააგენტომ განაცხადა, რომ მრავალი მცდელობებისა ვერ იპოვა ირანში ბირთვული პროგრამის მტკიცებულებები.

მოსადმა 2018 წელს მოიპარა უსაფრთხო საწყობიდან ბირთვული საიდუმლოებები, რომელიც შეიცავდა 50 000 გვერდისგან შემდგარ დოკუმენტებს და 163 მყარ დისკს.

აღნიშნულით შემფოთებულმა დასავლეთის ქვეყნებმა და ისრაელმა გადაწყვიტეს არასტაბილური ირანისაგან, ძალით შეეწყვიტათ ბირთვული პროგრამა. 2020 წლის 27 ნოემბერს მოკლული იქნა მოჰსენ ფახრიზადი, რომელიც იყო წამყვანი ირანელი ბირთვული მეცნიერი, რომელიც ხელმძღვანელობდა მოსადის გუნდს.

ისრაელის წინააღმდეგ 1987 წელს დაარსებულ იქნა მორიგი მოძრაობა ჰამასი. ჰამასი აქტიურად თანამშრომლობს ისლამურ ქვეყნებთან. 2020 წელს თურქეთის პრეზიდენტი ერდოღანი შეხვდა ჰამასის ლიდერს ისმაილ ჰანიას.

ჰამასმა ისრაელის მიწაზე ყველაზე დიდი ტერორისტული თავდასხმა განახორციელა 2023 წლის 7 ოქტომბერს ისლამური ქვეყნების დაფინანსებით. ევროკავსირი და აშშ ჰამასს მიიჩნევენ ტერორისტულ დაჯგუფებად. ჰამასი შეიჭრა 7 ოქტომბერს ისრაელში და მოკლა 1189 ადამიანი, დაჭრა 7500 და მძევლად აიყვანა 251. ამ ქმედების საპასუხოდ ისრაელმა დაიწყო აქტიური მოქმედებები პალესტინის წინააღმდეგ, ვინაიდან პალესტინიდან და ღაზას სექტორიდან გასროლილ იქნა ისრაელის წინააღმდეგ ათასობით უმართავი რაკეტა და ჭურვი. ღაზას სექტორის დაკავების შემდგომ 2024 წლის 1 ოქტომბერ ისრაელი შეიჭრა სამხრეთ ლიბანში, რათა მოეხდინა ტერორისტული ორგანიზაციების განადგურება.

ირანმა ახლო აღმოსავლეთში შექმნა მოკავშირე მარიონეტული ძალების ქსელი, რომელიც ირანის თქმით წარმოადგენს „წინააღმდეგობის ღერძს“, რომელიც აპროტესტებს ისრაელის და აშშ-ის ინტერესებს რეგიონში. აღნიშნულ ძალებსა და ორგანი-

ზაციებს ირანი სხვადასხვა კუთხით უჭერს მხარეს, იქნება ეს პოლიტიკური განცხადებები თუ მათი ბიუჯეტის დაფინანსება.² სირია არის ირანის ყველაზე მნიშვნელოვანი მოკავშირე რეგიონში. სირია ვალშია ირანთან ვინაიდან ის რუსეთთან ერთად დაეხმარა სირიის მთავრობას ბაშარ ალ-ასადს ქვეყანაში მიმდინარე ათწლეულის სამოქალაქო ომში მოეპოვებინა გამარჯვება და შეენარჩუნებინა ხელისუფლება.

ირანის ურთიერთობა რუსეთთან დღითიდღე უფრო და უფრო მნიშვნელოვანი ხდება. რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ განაცხადა, რომ დეკემბერში ირანის და რუსეთის ურთიერთობა გადავა ახალ ფაზაში და ისინი ხელს მოაწერენ ახალ სახელმწიფოთაშორისო შეთხმემას, რაც იქნება წინ გადადგმული ნაბიჯი ირანსა და რუსეთს შორის. ხაზგასასმელია ფაქტი, რომ ირანმა რუსეთს მიაწოდა შაჰედის თავდასხმითი დრონები, ასევე ირანისაგან რუსეთმა მიიღო ბალისტიკური რაკეტება, რომელსაც ის აქტიურად იყენებს რუსეთ-უკრაინის ომში, ლოგიკურია ირანმა აღნიშნული ფაქტი უარყო. აღნიშნული არის სამხედრო ბარტერი, ვინაიდან რუსეთი გეგმავს ირანს მიაწოდოს მაღალტექნოლოგიური ტიპის ავიაგამანადგურებლები. არაბული ქვეყნები აშშ-სთან ეკონომიკური კავშირების მიუხედავად იწყებენ შეშფოთებას და ფიქრს, ვინაიდან რეგიონში ისრაელმა ფაქტიურად გაანადგურა ჰეზბოლა და ჰამასი, შეუტია ღაზას სექტორს და სამხრეთ ლიბანს, აღნიშნული ფაქტი არაბულ ქვეყნებს უბიძგებს გადადგან საპასუხო ნაბიჯები და რეაგირება მოახდინონ ირან-ისრაელის დაპირისპირებაზე. ვენესუელა არის ირანის მმხარდამჭერი, ვინაიდან ის ცდილობს შეინარჩუნოს თავისი ნავთობის ინდუსტრია ახლო აღმოსავლეთში.

ჩინეთი აღიქმება ირანის მოკავშირედ და მხარდამჭერად, ვინაიდან ჩინელმა დიპლომატებმა გამოხატეს მხარდაჭერა ირანის მიმართ, განსაკუთრებით ფართო კონფლიქტის ფონზე, რომელიც მიმდინარეობს ჰეზბოლასა და ისრაელს, ლიბანსა და ისრაელს შორის. ჩინეთი ეწინააღმდეგება გარე ჩარევას აღნიშნულ კონფლიქტში და მოითხოვს არ დაუწესდეს სანქციები ირანს, ამავდროულად ის მხარს უჭერს ცეცხლის შეწყვეტად და სამართლიანობის აღდგენას ღაზას სექტორში.

ისრაელის მოკავშირეებზე საუბარსისას მნიშვნელოვანია ავღნიშნოთ მასშტაბური პაკეტების ავტორი და პირველი ქვეყანა, რომელმაც აღიარა ისრაელის ახალი სახელმწიფო 1948 წლის 14 მაისს. ისრაელი-აშშ-ს ურთიერთობები გადაიზარდა ორმხრივ მომგებიან ალიანსში, ეკონომიკურ, სტრატეგიულ და სამხედრო ასპექტებში.

შეერთებულმა შტატებმა მხარი დაუჭირა ისრაელის საომარ გეგმებს ახლო აღმოსავლეთში, მათ შორის ჰამასის განადგურებას. აშშ აქტიურად ეხმარება ისრაელს და გასცემს მრავალ მილიარდიან დახმარებას ყოველწლიურად. მიუხედავად აშშ-ს ოფიციალური პირების მოწოდებებისა, რათა დაიცვან მშვიდობიანი მოსახლეობა, ისრაელის თავდასხმები სამოქალაქო ინფრასტრუქტურაზე, საავადმყოფოებზე, სკოლებზე და დევნილთა ბანაკებზე დღემდე არ შემცირებულა.

ფაქტია, რომ აშშ-ს მიერ პროგრამების ზრდამ, ვაჭრობამ, ერთობლივმა ძალისხმევამ და აშშ-ს ჩარევამ ისრაელის ეკონომიკურ სისტემაში, შეერთებული შტატები და

² Bard, Mitchell D. P., "How Special Is the U.S.-Israel Relationship?" *Middle East Forum*, 2024.

ისრაელი განახადა ურთიერთდამოკიდებულნი. ამ ყოველივეს განაპირობებს მრავალი ფაქტი, მაგრამ ერთი ფაქტი განსაკუთრებით აყალიბებს ურთიერთობას. აშშ-ს სენატში მრავლად არიან წარმოდგენილნი ებრაული წარმომავლობის სენატორები. ისრაელს პროცენტულად ახლო ნათესავები უფრო მრავლად ყავს წარმოდგენილი შეერთებულ შტატებში, ვიდრე სხვა ნებისმიერი ქვეყნის მოქალაქეებს. ისრაელი ერთადერთი ქვეყანაა, სადაც ამერიკელებს უფლება აქვთ დაიკავონ საჯარო თანამდებობები და კვლავ შეინარჩუნონ აშშ-ს მოქალაქეობა.

დასკვნა

ირანის და ისრაელის დამაბულობა ახლო აღმოსავლეთში გრძელვადიანია, ვინაიდან ისრაელსაც და ირანსაც მოკავშირეებად ჰყავთ სუპერ სახელმწიფოები. აღნიშნული სახელმწიფოების ინტერესები იკვეთება რეგიონში, როგორცაა შეერთებული შტატები, რუსეთი, ჩინეთი, დიდი ბრიტანეთი. აღნიშნული ქვეყნებს ირანსა და ისრაელში აქვთ სახელმწიფოებრივი ინტერესები. ძირითადი ინტერესები გამომდინარეობს ნავთობიდან ვინაიდან ისრაელი არის უმსხვილესი ექსპორტიორი ნავთობის, რომელშიც მრავალი კომპანიაა ჩართული. ირანის და ისრაელის დამაბულობა ფრიად საინტერესოა, ვინაიდან ისინი არ მქომედებენ ღიად და მათი მოქმედებები ერთმანეთის მიმართ არის თავდასხმა სატელიტ ქვეყნებსა და ორგანიზაციებზე. მოსალეოდნელია სამომავლოდ ირანისა და ისრაელის ფართომასშტაბიანი დაპირისპირება, ვინაიდან ირანი არ აპირებს შეწყვიტოს ბირთვული პროგრამა, სწორედ ირანი არის არაპროგნოზირებადი სახელმწიფო, რომლის ხელშიც ბირთვული იარაღი არის საშიში და ცივილური სამყაროსთვის შემაშფოთებელი.

გამოყენებული ლიტერატურა

- Kaye, Dalia Dassa, and A. N. 2011. *A Brief History of Israeli-Iranian Cooperation and Confrontation*. Santa Monica, CA: RAND Corporation.
- Bard, Mitchell D. P. 2024. "How Special Is the U.S.-Israel Relationship?" *Middle East Forum*. October 28, 2024. <https://www.meforum.org/middle-east-quarterly/how-special-is-the-us-israel-relationship>.
- Bertrand, Natasha, and Alex Marquardt. 2024. "Leaked Documents Show US Intelligence on Israel's Plans to Attack Iran, Sources Say." *CNN*. October 20, 2024. <https://edition.cnn.com/2024/10/19/politics/us-israel-iran-intelligence-documents/index.html>.
- Bennett, Tom. 2024. "What We Know About Israel's Attack on Iran." *BBC News*. October 28, 2024. <https://www.bbc.com/news/articles/cgr0yvrx4qpo>.
- Tisdall, Simon. 2024. "Iran-Israel's Shadow War Is Out in the Open and Will Only Escalate Unless Causes Are Addressed." *The Guardian*. October 26, 2024. <https://www.theguardian.com/world/2024/oct/26/iran-israel-shadow-war-out-in-open>.

გლობალიზაციის გავლენა საერთაშორისო მშვიდობის უზრუნველყოფაში

ბესიკ ხატიაშვილი

სსიპ-დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს
ეროვნული თავდაცვის აკადემიის
მაგისტრატურის უსაფრთხოების კვლევების მიმართულების მსმენელი

ხელმძღვანელი: შადიმან ბიწაძე

მაგისტრატურის უსაფრთხოების კვლევების
მიმართულების ასოცირებული პროფესორი

აბსტრაქტი

გლობალიზაცია არის ტერმინი, რომელიც თანამედროვე სამყაროში ერთ-ერთი აქტუალური საკითხია, რომელიც აღვივებს ინტერესს, ამბაფრებს დისკუსიასა და ზრდის მის პრაქტიკულ გავლენას სამყაროში მიმდინარე მოვლენებზე. ტერმინი მოიცავს ეკონომიკას, კულტურას და საერთაშორისო სოციალურ ურთიერთობებს. გლობალიზაციის, როგორც მომხრეები, ასევე მოწინააღმდეგეები თანხმდებიან, რომ გლობალიზაცია ხელს უწყობს კომუნიკაციის, ტრანსპორტის და ტექნოლოგიის განვითარებას. გლობალიზაციამ განავითარა მრავალი ქვეყნის სავაჭრო ურთიერთობები და წარმატება მოუტანა მათ ეკონომიკას, რაც თავის მხრივ აისახა მათ კულტურაზე. აღნიშნული მიღწევების მიუხედავად, საერთაშორისო საზოგადოებაში, ასევე აქტუალურია გლობალიზაციის ნეგატიური გავლენების განხილვა, რაც მათი შეხედულებით იძლევა შემფოთების საფუძველს, რადგან უარყოფითად აისახება სამყაროს სტაბილურობის შენარჩუნებაზე და საფრთხეს უქმნის მრავალი ქვეყნის უსაფრთხოებას. რუსეთ-უკრაინის და ახლო აღმოსავლეთის მიმდინარე მოვლენების ფონზე, არანაკლებ აქტუალურია ტერმინი მშვიდობა და მისი ურთიერთდამოკიდებულება გლობალიზაციასთან. მათ შორის რთული და მრავალმხრივი ურთიერთობა არსებობს. ერთის მხრივ, როგორც უკვე იქნა აღნიშნული, გლობალიზაციას აქვს პოტენციალი, ხელი შეუწყოს საერთაშორისო საზოგადოების ურთიერთ თანამშრომლობას, შეამციროს სიღარიბე, გაზარდოს კულტურათაშორისი გაგება, აამაღლოს ტოლერანტობა და ხელი შეუწყოს გლობალურ მშვიდობას, ხოლო მეორე მხრივ, გლობალიზაცია შეიძლება გახდეს გამომწვევი მიზეზი ეკონომიკის, კულტურული დაპირისპირების, დამაბულობისა და სიღარიბის.

საკვანძო სიტყვები: გლობალიზაცია, გავლენა, ეკონომიკა, საზოგადოება, ტრადიციები.

Impact of Globalization in Ensuring International Peace

Besik Khatiashvili

Student of Master's Program in Security Studies of
LEPL-David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia

Supervisor: Shadiman Bitsadze

Associate Professor of Master's program in Security Studies

Abstract

Globalization is a term that is one of the most relevant in the modern world, which arouses interest, intensifies the discussion and increases its practical impact on the current events in the world. The term includes economy, culture and international social relations. Both proponents and opponents of globalization agree that globalization promotes the development of communication, transportation, and technology. Globalization has developed the trade relations of many countries and brought success to their economies, which in turn reflected on their cultures. Despite the mentioned achievements, in the international community, it is also relevant to discuss the negative effects of globalization, which in their opinion gives grounds for concern, as it negatively affects the maintenance of world stability and threatens the security of many countries. Against the background of current events in Russia-Ukraine and the Middle East, the term peace and its relationship with globalization are no less relevant. There is a complex and multifaceted relationship between them. On the one hand, as already mentioned, globalization has the potential to promote mutual cooperation of the international community, reduce poverty, increase intercultural understanding, increase tolerance and promote global peace. On the other hand, globalization can become the cause of worsening economy, cultural conflict, tension and deepening poverty.

Keywords: Globalization, Influence, Economy, Society, Traditions.

შესავალი

გლობალიზაცია არის ტერმინი, რომელიც აქტუალური საკითხი გახდა თანამედროვე სამყაროში. ეს თემა დიდ ინტერესს იწვევს, ხდება კამათის მიზეზი, მისი პრაქტიკული გავლენა რეგიონალურ და გლობალურ მოვლენებზე. იგი მოიცავს, მიმართულებების ფართო სპექტრს, მათ შორის ეკონომიკას, კულტურას და საერთაშორისო სოციალურ ურთიერთობებს. გლობალიზაციის მომხრეები და მოწინააღმდეგეები აღიარებენ, რომ ის ხელს უწყობს კომუნიკაციის, ტრანსპორტირებისა და ტექნოლოგიების წინსვლას. გლობალიზაციამ, ასევე გააძლიერა ქვეყანებს შორის სავაჭრო ურთიერთობები და ხელი შეუწყო მათ ეკონომიკურ წარმატებას, რამაც, თავის მხრივ, გავლენა მოახდინა მათ კულტურულ ლანდშაფტზე.

მიუხედავად ამ მიდწევებისა, საერთაშორისო თანამეგობრობაში მზარდი დისკურსი გლობალიზაციის უარყოფით შედეგებთან დაკავშირებით. კრიტიკოსები ამტკიცებენ, რომ ეს ზემოქმედება სერიოზულ შემფოთებას იწვევს, ძირს უთხრის გლობალურ სტაბილურობას და საფრთხეს უქმნის მრავალი ქვეყნის უსაფრთხოებას. მიმდინარე მოვლენების ფონზე, როგორცაა რუსეთ-უკრაინის კონფლიქტი და ახლო აღმოსავლეთის საკითხები, განსაკუთრებით აქტუალური გახდა მშვიდობის კონცეფცია და მისი ურთიერთობა გლობალიზაციასთან. ეს ურთიერთობა რთული და მრავალმხრივია. ერთის მხრივ, გლობალიზაციას აქვს პოტენციური ხელი შეუწყოს საერთაშორისო თანამშრომლობას, შეამციროს სიღარიბე, გააძლიეროს კულტურათაშორისი გაგება, ხელი შეუწყოს ტოლერანტობას და ხელი შეუწყოს გლობალურ მშვიდობას. მეორე მხრივ, მას შეუძლია გააძლიეროს ეკონომიკური უთანასწორობა, გააძლიეროს კულტურული კონფლიქტები, გაზარდოს დამაბულობა და გააღრმავოს სიღარიბე.

ძირითდი ნაწილი

ამ სტატიაში ჩვენ განვიხილავთ გლობალიზაციის როგორც ნეგატიურ, ისე პოზიტიურ ასპექტებს, რომლებიც გავლენას ახდენენ მშვიდობისა და მისი შენარჩუნების პერსპექტივაზე. ჩვენ განვიხილავთ საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობებს, ტექნოლოგიებისა და კომუნიკაციების როლს, გლობალიზაციასთან დაკავშირებულ გამოწვევებსა და რისკებს და ამ დინამიკის ეფექტებს პოლიტიკურ ჯგუფებსა და ინდივიდებზე, რომლებიც ისწრაფვიან მშვიდობიანი თანაარსებობისთვის მზარდი ურთიერთდაკავშირებულ სამყაროში. ამ ანალიზის საშუალებით ჩვენი მიზანია განვსაზღვროთ გლობალიზაციასა და მშვიდობას შორის ურთიერთმიმართება, ხაზგასმით აღვნიშნოთ მისი როგორც სასარგებლო, ასევე მავნე შედეგების მოგვარების მნიშვნელობა.

მეთოდოლოგია: სტატისტიკისათვის ჩატარდა თვისობრივი მეთოდის კვლევა. კვლევის პროცესში მოხდა მეორადი წყაროები და უცხოურ მედიაში მოძიებული მასალების ანალიზი.

მიზანი: ამ კვლევის მიზანს წარმოადგენს, მოხდეს გლობალიზაციის მიმართულებების შესაბამისი ფაქტების და თეორიების ანალიზი, რათა მოხდეს ობიექტური დასკვნების გაკეთება მათ გავლენებზე. საზოგადოების და საერთაშორისო პოლიტიტი-

კური ერთეულების აღქმები გლობალიზაციის დადებით და უარყოფით გავლენებზე მსოფლიო მშვიდობის უზრუნველყოფაში.

სტატიაში უნდა უპასუხოს კითხვებს:

- ✓ რომელ სფეროებზე ახდენს გავლენას გლობალიზაცია?
- ✓ როგორ გავლენას ახდენს გლობალიზაცია მსოფლიო მშვიდობაზე?

დამოუკიდებელი ცვლადი: მსოფლიო გლობალიზაცია.

დამოკიდებული ცვლადი: მშვიდობის განმტკიცება.

გლობალიზაციის პოზიტიური გავლენა მშვიდობაზე

სხვადასხვა ერების, ჯგუფებისა და ინდივიდების, გამოწვეული მიზეზით გაზრდილი ურთიერთდამოკიდებულება, რომლის დროსაც ხდება კულტურული ურთიერთ გავლენე, არის გლობალიზაცია. თანამედროვე სამყაროს, გაზრდილი სოციალურ-ეკონომიკურ-პოლიტიკური ინტერაქციის გამო, გლობალიზაციის გავლენის ტემპი იმდენად მაღალია, რომ ცვლილებების აღქმა ხშირად ხდება ანალიზის გარეშე, რაც იწვევს ნეგატიურ განწყობებს. სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები არის გლობალიზაციის ძირითადი გენერატორი, რადგან ურთიერთობების გაღრმავების გამო, ჩართული მხარეების სწავლობენ პარტნიორის სოციალურ-კულტურულ, ტრადიციულ, პოლიტიკურ-სამართლებრივ ნიუანსებს. მჭიდრო სავაჭრო ურთიერთობები, არის სახელმწიფო უსაფრთხოების ერთ-ერთი ძირითადი ელემენტი და ამიტომ მდგომარეობის შენარჩუნებისთვის, პარტნიორი ქვეყნები პატივს სცემენ ერთმანეთის ღირებულებებს. სხვადასხვა ეროვნებისა და განსხვავებული სოციალური შეხედულების ადამიანები ამყარებენ მჭიდრო ურთიერთობებს, როგორც ინდივიდისათვის, ასევე სახელმწიფოებისათვის, ხოლო მშვიდობიანი ურთიერთობები კრიტიკულად მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს. შესაბამისად, მაქსიმალურ ძალისხმევას დებენ მშვიდობის შენარჩუნებისთვის.¹

ემპირიული კვლევა მხარს უჭერს თეორიას, რომელიც აჩვენებს, რომ მაღალი ეკონომიკურ ურთიერთდამოკიდებულების ქვეყნები ნაკლებად აწარმოებენ ომს ერთმანეთთან.² ასევე მსოფლიო ბანკის მიერ ჩატარებული კვლევა აჩვენებს, რომ მაღალი ურთიერთვაჭრობის მქონე ქვეყნები, ერთმანეთთან კონფლიქტის წარმოების ნაკლებ ალბათობას წარმოადგენენ. ეკონომიკურად მჭიდრო ურთიერთობებში მყოფი ქვეყნები, საკუთარი ინვესტიციების დასაცავად ძალისხმევას არ აკლებენ მშვიდობის შენარჩუნებას და ნაკლებად სავარაუდოა, რომ ხელი შეუწყონ ურთიერთ კონფლიქტის გაღვივებას, რის ნათელ მაგალითს წარმოადგენს ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები. მეორე მსოფლიო ომის შემდგომ, გაღრმავებული ეკონომიკური ურთიერთობების პარალელურად, მათი ღირებულებები, დემოკრატიის აღქმა, ადამიანის უფლებები და სამართალი ურთიერთავსებადია, რაც თეორიულადაც კი გამორიცხავს ერთმანეთში შე-

¹ Basiga, Brenda. "Globalization and Peace Education." *Canadian social studies* 38, no. 3 (2004): n3.

² Galtung, Johan. "Peace by peaceful means: Peace and conflict, development and civilization." (1996): 1-292.

იარაღებულ დაპირისპირებას. ჩინეთი, ქვეყანა, რომელიც ავტოკრატიული სისტემით დამაბულობას იწვევს მსოფლიოს ისეთ დიდ ქვეყნებში როგორებიც არიან აშშ და ინდოეთი, შეიარაღებული დაპირისპირების მცდელობები არ ქონია, რადგან ერთდება ეკონომიკურ ზარალს.³

ზემოთ მოყვანილი, მაგალითები ცხადყოფს, გლობალიზაცია ხელს უწყობს ეკონომიკის განვითარებას, რაც თავის მხრივ ეროვნული ძალის ერთ-ერთ მთავარ ელემენტს წარმოადგენს. შესაბამისად ყველა მხარე ცდილობს შეინარჩუნოს მშვიდობა, რათა გაიზარდოს სარგებელი. ამიტომ პრობლემების და დამაბულობის გადაწყვეტა ხდება პოლიტიკური გზებით და არა ომის საშუალებით.

გლობალიზაცია, ფინანსური ინტერესის გარდა, ხელს უწყობს კულტურის და ტრადიციების გაცვლას, ასევე ერებს შორის დაახლოებასა და რელიგიურ შორის ტოლერანტობის ჩამოყალიბებას. საქართველოს დედაქალაქი თბილისი, საუკუნეების განმავლობაში იყო ცივილიზაციათა გადაკვეთის ადგილი, სადაც კარგად ჩანს ურთიერთ პატივისცემა ევროვნულობას, კანის ფერსა და აღმსარებლობის მიმართ, რაც ტოლერანტობის თეორიულ გაგება და პრაქტიკული შესრულება თანაბრად ვალიდურია.⁴ შედეგად, ურთიერთპატივისცემა, ამცირებს დამაბულობას და ამყარებს მშვიდობისთვის მნიშვნელოვან გარემოს.

თანამედროვე ტექნოლოგიებმა, ინტერნეტმა, ინტერნეტ სივრცეში ინფორმაციის მოძიების შესაძლებლობამ, კიდევ უფრო გაზარდა გლობალიზაციის როლი. აღნიშნული შესაძლებლობა ხელს უწყობს პროცესების გამარტივებას და ურთიერთ თანაგრძნობის გაღვივებას. ინტერნეტში განთავსებული მასალები, საშუალებას იძლევა მოძიებულ იქნას ინფორმაცია, სხვადასხვა ცივილიზაციების განსხვავებებზე და მათ ისტორიაზე, რაც ამცირებს კულტურათაშორის სტერეოტიპულ შეხედულებებს, ცრურწმენებს და გაუგებრობებს. უფრო მეტიც, ხდება განსხვავებების ინტეგრირება და ცივილიზაციათა დაახლოება. თანამედროვე, საშუალებების კულტურული დაახლოების ერთ-ერთ მაგალითს წარმოადგენს იაპონია, რომლის მკაცრი კულტურა, არაეთვაროვან აღქმებს იწვევდა და ერთ-ერთ ყველაზე მკაცრ კულტურათა შორის იკავებდა ადგილს, ხოლო თანამედროვე ტექნოლოგიებით ქვეყნის პოპულარიზაციამ იგი ტურისტების საყვარელ ადგილად აქცია.

გლობალიზაცია, ასევე უწყობს ხელს საერთო ღირებულებების გავრცელებას სხვადასხვა პოლიტიკურ და სოციალურ ერთეულებს შორის. ამის ნათელი მაგალითი არის დემოკრატია და ადამიანის უფლებები, რადგან საერთაშორისო საზოგადოებების ურთიერთობა ახდენს როგორც პირდაპირ ასევე ირიბ ზეწოლას და ხშირ შემთხვევაში დემოკრატია უბიძგევს გლობალიზაციისკენ.⁵ გლობალურ სამყაროში, ყალიბდება საერთო კულტურულ-პოლიტიკური ღირებულებები და იქმნება საერთაშორისო ორგანიზაციები, ალიანსები ერთიანი სტანდარტებით, მაგალითად ნატო და ევროკავშირი.

³ Levi, Werner. *Modern China's foreign policy*. U of Minnesota Press, 1953.

⁴ ზაქროშვილი, თამარ. "საქართველოში მცხოვრები რელიგიური უმცირესობების მიმართ ტოლერანტობა." PhD diss., Ivane Javakishvili Tbilisi State University, 2017.

⁵ Barber, Benjamin R. "Can democracy survive globalization?." *Government and Opposition* 35, no. 3 (2000): 275-301.

ზემოთ აღნიშნულ პოზოტიურ გავლენებთან მნიშვნელოვანია აღინიშნოს გლობალიზაციის დადებითი გავლენა განათლების გავრცელებაზე, რაც უზრუნველყოფს ადამიანის უფლებების მნიშვნელობის, დემოკრატიული ღირებულებების, ურთიერთპატივისცემის, სტაბილურობის ზრდის სურვილსა და გლობალური მშვიდობის გაძლიერებას.

გლობალიზაციის ნეგატიური გავლენა მშვიდობაზე

მიუხედავად არსებული პოტენციური სარგებლისა, გლობალიზაცია ასევე წარმოშობს გამოწვევებს მშვიდობისა და სტაბილურობისთვის. გლობალური თავისუფალი ვაჭრობა, ყველა ქვეყნისთვის თანაბარი განვითარების შესაძლებლობებს არ იძლევა და შედეგად იზრდება ეკონომიკური უთანასწორობა, რაც გამოწვეულია, რესურსების, ვაჭრობის წარმოების და ინვესტიციების არაკონკურენტული გარემოსგან.⁶ გლობალიზაცია მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში ქმნის ეკონომიკური განვითარების შესაძლებლობებს, თუმცა ასევე ამძაფრებს უთანასწორობას. განვითარებად სახელმწიფოებს სჭირდებათ განვითარებული ქვეყნების ტექნოლოგიები, რათა შეძლონ პროგრესი, ხოლო განვითარებულ ქვეყნებს კი სჭირდებათ განვითარებისათვის რესურსები. გლობალიზაციის ნეგატიური გავლენა კი აისახება რესურსების და ადამიანების სწრაფად და შეუფერხებლად გადაადგილებაში, რა დროსაც ღარიბი ქვეყნები პირველ ეტაპზე ნახულობენ სარგებელს, ხოლო მალევე რადიკალურად განსხვავებული შედეგი დგება. ამ ფაქტს ადასტურებს ინდოეთის და ჩინეთის სწრაფი განვითარება, რომელთაც გამოიყენეს აფრიკის სახელმწიფოთა რესურსები და ნაცვლად იმისა, რომ აფრიკულ ქვეყნებსაც ესარგებლათ გაუარესებულ მდომარეობაში აღმოჩნდნენ.⁷

ეკონომიკური უთანასწორობა ქმნის სოციალურ დამაბულობას და უკმაყოფილებას, განსაკუთრებით მარგინალიზებულ ჯგუფებს შორის, რომლებიც თავს გრძნობენ გამოყენებულად და შემდეგ მიტოვებულად გლობალური ძალების მხრიდან. ამ გარემოებამ შეიძლება გამოიწვიოს სოციალური არეულობა, პოლიტიკური არასტაბილურობა და ძალადობა. მაგალითად, ახლო აღმოსავლეთში და ჩრდილოეთ აფრიკაში, არაბული გაზაფხულის აჯანყებები ნაწილობრივ გამოწვეული იყო ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესებით და იმედგაცრუებით კორუმპირებული და რეპრესიების გამტარებელი მთავრობების მიმართ.⁸

გლობალიზაცია, ასევე საფრთხეს წარმოადგენს მშვიდობიან გარემოზე. საქონლის, ადამიანების და ინფორმაციის გაზრდილი მოძრაობა მთელს მსოფლიოში, იწვევს რესურსებზე უფრო მეტ მოთხოვნას, გარემოს დაზინძურებას და კლიმატის ცვლილებას. გარემოს დაცვითი გამოწვევები აძლიერებს კონკურენციას მწირ რესურსებზე, როგორც არის წყალი, მიწა და ენერჯო რესურსები, კონკურენცია კი იწვევს დაპირის-

⁶ Huntington, Samuel P., and Robert Jervis. "The clash of civilizations and the remaking of world order." *Finance and Development-English Edition* 34, no. 2 (1997): 51-51.

⁷ Hamdi, Fairouz Mustafa. "The impact of globalization in the developing countries." *Developing Country Studies* 3, no. 11 (2013): 142-144.

⁸ Collier, Paul, and David Dollar, eds. *Globalization, growth, and poverty: Building an inclusive world economy*. World Bank Publications, 2002.

პირებებს მათ დაუფლებასა და კონტროლზე. იზრდება ტრანსნაციონალური კრიმინალი, რაც განვითარებადი ქვეყნებისათვის ხშირ შემთხვევაში გადაულახავ პრობლემას წარმოადგენს.⁹

გლობალიზაცია ანგრევს ტრადიციებს, ერებში არსებულ კულტურას და იდენტობას, ხოლო თუ ეს ცვლილებები სწრაფი ტემპებით მიმდინარეობს, პროცესი იწვევს სოციალური ერთობის დაკარგვის გრძობას. ადამიანების დაქვემდებარება ახალ იდეებთან, ღირებულებებთან და ცხოვრების საერთო, წესთან იწვევს საკუთარი კულტურული მემკვიდრეობის და ტრადიციების გაუფასურებას, რაც ადამიანებში აღვივებს წინააღმდეგობრივი გრძობების გამძაფრებას. შედეგად იქმნება გაუცხოების აღქმა და ხელს უწყობს მოქალაქეებში კონფლიქტებისა და დაპირისპირების გაღვივებას.

გლობალიზებულ სამყაროში მშვიდობის მშენებლობის შედეგები

გლობალიზაციასა და მშვიდობას შორის რთული და მრავალმხრივი ურთიერთობის გათვალისწინებით, აუცილებელია განვიხილოთ ამ დინამიკის გავლენა საერთო ღირებულებების დამყარებისას. გლობალიზაციის ერთ-ერთი მთავარ გამოწვევას წარმოადგენს, მისი ნეგატიური ასპექტების განეიტრალება, რის გარეშეც გლობალიზაცია გადაიქცევა დაპირისპირების და განხეთქილების წყაროდ.

გლობალიზებულ სამყაროში, მშვიდობის ხელშეწყობის მნიშვნელოვან ინსტრუმენტს წარმოადგენს საერთშორისო ინსტიტუტები, რომელთა ძალისხმევით შესაძლებელია კონფლიქტების პრევენცია და მოგვარების მექანიზმების ეფექტური გამოყენება. ეს მოიცავს ისეთი ორგანიზაციების მხარდაჭერას, როგორცაა გაერო, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია და რეგიონალური ორგანიზაციები, ევროკავშირი. ისინი გადამწყვეტ როლს თამაშობს მშვიდობის, უსაფრთხოებისა და ქვეყნებს შორის თანამშრომლობის ხელშეწყობაში.

მნიშვნელოვანი სტრატეგიას წარმოადგენს ინკლუზიური და მდგრადი განვითარების ხელშეწყობა, რომელიც სარგებელს მოუტანს საზოგადოების ყველა ფენას. ამ სეგმენტებს წარმოადგენს განათლება, ჯანდაცვა და სოციალური სერვისების განვითარება სიღარიბის და უთანასწორობის დასაძლევად, გარემოს დაცვა და რესურსების მართვის ხელშეწყობა. კონფლიქტისა და არასტაბილურობის ძირეული მიზეზების მოგვარებით, შესაძლებელია უფრო გამძლე და მშვიდობიანი საზოგადოების აშენება.

აუცილებელია კულტურათაშორისი დიალოგი და ურთიერთგაგების ხელშეწყობა, რათა დაძლეულ იქნას მხარეებს შორის განხეთქილება და აღდგეს ან გამყარდეს ნდობა. იგი მოიცავს კულტურათაშორისი გაცვლითი პროგრამების ხელშეწყობას, მშვიდობის დამყარების მიზნით ფართო ინიციატივების მხარდაჭერას და ურთიერთ თანაგრძობისა და პატივისცემის ხელშეწყობას. ერთიანი ძალისხმევით შესაძლებელია გლობალიზაციის ნეგატიური გავლენების შემცირებით დამაბულობის განეიტრალება,

⁹ Friedrichs, David O., and Jessica Friedrichs. "The World Bank and crimes of globalization: A case study." *Social Justice* 29, no. 1/2 (87-88 (2002): 13-36.

ხოლო პოზიტიური გავლენების დახმარებით სამყაროში მშვიდობიანი თანაცხოვრების ხელშეწყობა.

დასკვნა

დასასრულს, გლობალიზაციას აქვს როგორც დადებითი, ასევე ნეგატიური გავლენა მშვიდობასა და სტაბილურობაზე. მიუხედავად იმისა, რომ მას აქვს პოტენციური ხელი შეუწყოს თანამშრომლობას, ეკონომიკურ ზრდასა და კულტურულ-ტექნოლოგიური მიღწევების გაცვლას, ის ასევე წარმოადგენს რისკებს, როგორცაა უთანასწორობის გაფართოება, გარემოს გაუარესება და სოციალური დანაწევრება. გლობალიზაციის შეუქცევადი პროცესის გათვალისწინებით, შესაბამისი ძალისხმევის გაზრდა, რათა მომავალი თაობებისთვის შეიქმნას მშვიდობიანი და მდგრადი განვითარებული სამყარო.

გამოყენებული ლიტერატურა

- ზაქროშვილი, თამარ. "საქართველოში მცხოვრები რელიგიური უმცირესობების მიმართ ტოლერანტობა." PhD diss., Ivane Javakhishvili Tbilisi State University, 2017.
- Barber, Benjamin R. "Can democracy survive globalization?." *Government and Opposition* 35, no. 3 (2000): 275-301.
- Basiga, Brenda. "Globalization and Peace Education." *Canadian social studies* 38, no. 3 (2004): n3.
- Collier, Paul, and David Dollar, eds. *Globalization, growth, and poverty: Building an inclusive world economy*. World Bank Publications, 2002.
- Friedrichs, David O., and Jessica Friedrichs. "The World Bank and crimes of globalization: A case study." *Social Justice* 29, no. 1/2 (87-88 (2002): 13-36.
- Galtung, Johan. "Peace by peaceful means: Peace and conflict, development and civilization." (1996): 1-292.
- Goldman, Michael. *Imperial nature: The World Bank and struggles for social justice in the age of globalization*. Yale University Press, 2005.
- Hamdi, Fairouz Mustafa. "The impact of globalization in the developing countries." *Developing Country Studies* 3, no. 11 (2013): 142-144.
- Huntington, Samuel P., and Robert Jervis. "The clash of civilizations and the remaking of world order." *Finance and Development-English Edition* 34, no. 2 (1997): 51-51.
- Keohane, Robert O., and Joseph S. Nye. "Power and interdependence revisited." *International organization* 41, no. 4 (1987): 725-753.
- Levi, Werner. *Modern China's foreign policy*. U of Minnesota Press, 1953.
- <https://www.aura.ge/348-leqsebi-tbilisze/16224-petre-gruzinski--sadc-ginda-iq-iloce.html> (ბოლოს ნანახია 14.11.2024)

რუსული ჰიბრიდული ომი და უსაფრთხოების გამოწვევები სამხრეთ კავკასიაში

გიორგი ტულუში

სსიპ-დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს
ეროვნული თავდაცვის აკადემიის
მაგისტრატურის უსაფრთხოების კვლევების
მიმართულების მსმენელი

ხელმძღვანელი: ვიცე-პოლკოვნიკი ლევან გოზალიშვილი
მაგისტრატურის უსაფრთხოების კვლევების
მიმართულების უფროსი

აბსტრაქტი

დღევანდელი გეოპოლიტიკური ცვლილებებიდან გამომდინარე სამხრეთ კავკასიის რეგიონში აღმოცენდა გამოწვევების ახალი სახეობა: ჰიბრიდული საფრთხეები. ეს მოიცავს მთელ რიგ ოპერაციებს, რომელიც აერთიანებს არატრადიციულ და ჩვეულებრივ მეთოდებს სტრატეგიული მიზნების მისაღწევად. ჰიბრიდული ომის ტაქტიკა განისაზღვრება, როგორც ასიმეტრიული ოპერაციების გამოყენება მოწინააღმდეგის სისუსტეების გამოსაკვეთად და გამოსაყენებლად არასამხედრო საშუალებებით (როგორცაა პოლიტიკური ზეწოლა, ეკონომიკური დაშინება, საინფორმაციო მანიპულირება და ა.შ.),¹⁹⁷ რომელსაც მხარს უჭერს არატრადიციული და ჩვეულებრივი სამხედრო საშუალებების ერთობლიობა.

გლობალურ პოლიტიკურ ასპარეზზე ტერმინი „ჰიბრიდული ომი“ ცნობადი გახდა უკრაინაში რუსეთის შეჭრისა და 2014 წელს ყირიმის უკანონო ანექსიის შემდეგ. ამის შემდეგ დასავლეთში მოღვაწე პოლიტიკოსები, ექსპერტები და მედია საშუალებები მოიხსენიებენ „ჰიბრიდს“, როგორც ყველაზე შესაფერის ტერმინს ამ ოპერაციის დროს რუსეთის მიერ გამოყენებული მეთოდების აღსაწერად.

რუსული მიდგომა გულისხმობს და მოიცავს არარეგულარული და ჩვეულებრივი საბრძოლო ოპერაციების კომბინაციას, ასევე პოლიტიკური წინააღმდეგობის, ეკონომიკური შანტაჟის, კიბერთავდასხმებისა და დეზინფორმაციის კამპანიის მხარდაჭერასა და ორგანიზებას. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე ჰიბრიდული ომი თავისი ბუნებით ასიმეტრიული ხასიათისაა.

რუსული ჰიბრიდული ომი მიზნად ალტერნატიული რეალობის შექმნას და სიცრუესა და ჭეშმარიტებას შორის ხაზების გაქრობას.¹⁹⁸ სამიზნე სახელმწიფოებში არსებული სოციალური დაუცველობის გამოყენებით, ცდილობს სახელმწიფო ინსტიტუტების დასუსტებას და ამით მირს უთხრის მთავრობის ლეგიტიმურობას. გარდა ამისა, აღნიშნული ტაქტიკა შეიძლება მოიცავდეს კომპიუტერულ ვირუსებს, საბანკო სისტემის პარალიზებას, ეკონომიკური ბაზრისა და ვალუტის მანიპულირებას, ლოკალურ ტერორიზმს, მედიის დეზინფორმაციასა და მანიპულირებას, არაკინეტიკური საშუალებების გამოყენებით ფარულ ქმედებებს ფსიქოლოგიური და ფიზიკური უპირატესობების მოსაპოვებლად. ყველაზე მთავარი და მიმზიდველი ინსტრუმენტი რუსეთისთვის - არის ეკონომიკური ბერკეტი, რის საშუალებითაც მოსკოვი ცდილობს ზეგავლენის მოხდენას ქვეყნის პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზე. რუსეთის ბოლოდროინდელი ქმედებები რეგიონში იმაზე მეტყველებს, რომ მოსკოვი პოზიციონირებს და არა უკან იხევს. პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ იზოლაციას ის მართავს და იყენებს სხვა რეგიონულ ძალებთან ურთიერთობების, თანამშრომლობისა და კონკურენციის დაბალანსებითა და გამყარებით.

საკვანძო სიტყვები: ჰიბრიდული საფრთხეები, ჰიბრიდული ომი, საინფორმაციო მანიპულირება, ეკონომიკური ბერკეტი.

¹⁹⁷ Gevorg Melikyan, 30 October 2023 page 1,2

¹⁹⁸ Ibid.

Russian hybrid warfare and security challenges in the South Caucasus

Giorgi Tugushi

Student of Master's Program in Security Studies of
LEPL-David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia

Supervisor: **Lieutenant Colonel Levan Gozalishvili**
Head of Master's Program in Security Studies

Abstract

Due to today's geopolitical changes, a new type of challenges has emerged in the South Caucasus region: hybrid threats. This includes a range of operations that combine unconventional and conventional methods to achieve strategic objectives. Hybrid warfare tactics are defined as the use of asymmetric operations to identify and exploit an adversary's weaknesses through non-military means (such as political pressure, economic¹⁹⁹ intimidation, information manipulation, etc.) supported by a combination of unconventional and conventional military means.

In the global political arena, the term "hybrid war" became recognizable after the Russian invasion of Ukraine and the illegal annexation of Crimea in 2014. Western politicians, pundits, and media outlets have since cited "hybrid" as the most appropriate term to describe the methods used by Russia in this operation.

The Russian approach implies and includes a combination of irregular and conventional combat operations, as well as the support and organization of political resistance, economic blackmail, cyber attacks and disinformation campaigns. Based on all the above, the hybrid war is asymmetric in nature.

Russian hybrid warfare aims to create an alternative reality and blur the lines between lies²⁰⁰ and truth. By exploiting social insecurity in target states, it seeks to weaken state institutions and thereby undermine government legitimacy. In addition, these tactics may include computer viruses, paralyzing the banking system, economic market and currency manipulation, local terrorism, media disinformation and manipulation, covert actions using non-kinetic means to gain psychological and physical advantages. The most important and attractive tool for Russia is economic leverage, through which Moscow tries to influence the country's political decisions. Russia's recent actions in the region suggest that Moscow is positioning itself, not retreating. It is managing and exploiting its political and economic isolation by balancing and strengthening relations, cooperation, and competition with other regional powers.

Keywords: hybrid threats, hybrid warfare, information manipulation, economic leverage.

¹⁹⁹ Ibid. Gevorg Melikyan.

²⁰⁰ Ibid.

შესავალი

სამხრეთ კავკასიაში დეზინფორმაციული კამპანიები, ყალბი ამბები „FAKE NEWS“, და პროპაგანდა გაჩნდა, როგორც ძლიერი იარაღები, რომლებსაც რუსეთი იყენებს ნარატივებით მანიპულირებისთვის და უთანხმოების დასათესად. მოცემულ სტატიაში განვიხილავ რუსეთის მხრიდან წარმოებული ჰიბრიდული საფრთხეების სირთულეებზე სამხრეთ კავკასიაში და აქცენტს გავაკეთებ სომხეთის, აზერბაიჯანისა და საქართველოს მაგალითზე.

2022 წლის თებერვალში უკრაინაში რუსეთის სრულმასშტაბიანი შეჭრის ფონზე, მოსკოვის ძალა და გავლენა სამხრეთ კავკასიაში შემცირდა. ეს აშკარა და თვალნათელია რეგიონის სამივე ქვეყანაში, რადგან მოსკოვის სულ უფრო და უფრო შემცირებული რესურსები ამცირებს მის ბერკეტს, რაც გამოიხატება შემდეგში: საქართველო აგრძელებს გზას ევროკავშირის წევრობისკენ; აზერბაიჯანს გლობალურ პოლიტიკურ არენაზე მანევრირების ადგილი ეზრდება; სომხეთი კი ახალი პარტნიორების მოძებნას ცდილობს და ეტაპობრივად ცდილობს ურთიერთობების დალაგებას ევროკავშირთან და ნატოსთან. ამგვარად, რეგიონალური ძალთა ბალანსი რუსეთისგან ნელნელა გადავიდა რეგიონში სხვა აქტორებისკენ, განსაკუთრებით თურქეთის, აზერბაიჯანისა და ევროკავშირისკენ. რუსეთს იზოლაციის გათვალისწინებით, მოსკოვმა უნდა გადახედოს თავის სტრატეგიებსა და პრიორიტეტებს. მიუხედავად ამისა, სხვადასხვა ფაქტორი მიუთითებს იმაზე, რომ რუსეთი დარჩება რეგიონში და ეცდება ძირითად ძალად წარმოჩინდეს.

მიუხედავად იმისა, რომ უკრაინასთან ომის პირობებში რუსეთის რბილი ძალა შემცირდა, რეგიონში მოსკოვს ისევ რჩება ძალა ჰიბრიდული ომის სხვადასხვა ინსტრუმენტების გამოყენებით მოახდინოს ზეგავლენა და განახორციელოს კონტროლი. ეს მოიცავს სამივე ქვეყანაში ეკონომიკური და სამხედრო ბერკეტების გაგრძელებას, ჰიბრიდული საფრთხეების სხვადასხვა ფორმებს და დესტაბილიზაციის მნიშვნელოვან პოტენციალს. რუსეთის ყოფნის შემცირების სურვილის მიუხედავად, სამივე ქვეყანა აგრძელებს მოსკოვზე დამოკიდებულებას განსაკუთრებით ეკონომიკურ აპსექტში, ასევე პოლიტიკურად ცდილობენ დასავლეთთან დაახლოებას, რათა მაქსიმალურად გამოიყენონ საკუთარი შანსი და მიიღონ არსებულ სიტუაციაში მაქსიმალური პოლიტიკური თუ ეკონომიკური სარგებელი. უფრო მეტიც, საქართველო, სავარაუდოდ, რუსული სამხედრო მოქმედებების განახლების უფრო დიდი რისკის ქვეშ იმყოფება, რადგან უკრაინაში წარუმატებლობის კომპენსაციის მიზნით მოსკოვს სრული ბერკეტი ექნება განახორციელოს სამხედრო აგრესია, ან მეორე შემთხვევაში იმის გამო, რომ უკრაინაში წარმატების მიღწევის შემდეგ რუსეთს სრული ამბიციაც ექნება მიზანში ამოიღოს შემდეგი მსხვერპლი და მნიშვნელოვანი სამხედრო რესურსების გამოთავისუფლებით მიაღწიოს მიზანს.

გარდა ამისა, წარმოადგენს თუ არა რეგიონში რუსეთის შემცირებული გავლენა ხანგრძლივ ცვლილებას თუ უბრალოდ ხანმოკლე შეფერხებას, ამ ეტაპზე პასუხის გაცემა რთულია.

ბევრი რამ არის დამოკიდებული უკრაინის წინააღმდეგ ომში განვითარებულ მოვლენებზე. საქართველოს, აზერბაიჯანსა და დასავლეთს შორის კავშირები კვლავ რთულია, რუსეთის ძირითად მიზანს კი წარმოადგენს დასავლეთის რეგიონული ყოფნის მინიმუმამდე შემცირება, რაც ამ მოცემულობით რუსეთისთვის მიღწევადი რჩება. მაშ, როგორ ვითარდება რუსეთის მიზნები, საშუალებები და შესაძლებლობები სამხრეთ კავკასიაში? ამ კითხვის ანალიზს წარმოადგენთ ქვემოთ რეგიონში არსებული სიტუაციის ფონზე.

რუსეთის სამომავლო მიზნები სამხრეთ კავკასიაში

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ რუსეთი პოზიციონირებდა სამხრეთ კავკასიაში ძალთა ბალანსის გასაკონტროლებლად. მან დაიკავა წამყვანი როლი ადგილობრივ ეკონომიკაში და იყო უსაფრთხოების მთავარი გარანტი, რომელიც ინარჩუნებდა კონფლიქტების მოგვარების გასაღებს. ეს ფაქტორები უზრუნველყოფდა მის დომინანტურ პოზიციას რეგიონში. თუმცა დღეს რუსეთი არ არის ერთადერთი ძალა, რომელიც განსაზღვრავს რეგიონულ ბალანსს და შუამავალს კონფლიქტებში. ცნობილი რუსული გამონათქვამი პოსტსაბჭოთა ქვეყნებზე, „არსად არ მიდიან“, არასოდეს ყოფილა ნაკლებად აქტუალური ვიდრე ის არის დღეს.

მრავალი წლის განმავლობაში რუსეთი სამხრეთ კავკასიას თავისი პოსტსაბჭოთა სივრცის ნაწილად განიხილავდა. კრემლმა მიიღო და შეიმუშავა რეგიონის მიმართ ერთიანი მიდგომა, იყენებს ეკონომიკურ, სამხედრო და მის ხელთ არსებულ სხვა ინსტრუმენტებს დომინირების მოსახდენად. დღევანდელმა გაურკვეველმა გარემომ გამოიწვია მისი რეგიონული პრიორიტეტების გადახედვა. სომხეთი და მთიანი ყარაბაღის კონფლიქტი მეორეხარისხოვანი გახდა და რუსეთი ახლა თავის სამხრეთ კავკასიის დღის წესრიგს დასავლეთთან დაპირისპირების ერთიან პრიზმაში უყურებს. მოსკოვს აღარ აქვს მკაფიო სტრატეგია რეგიონში.

რუსეთის მთავარი პირობა ძალთა ბალანსის ცვლილებების მისაღებად რეგიონში არის ნებისმიერი დასავლური ყოფნის სრული გამორიცხვა. ბრიუსელისა და ვაშინგტონის დამორება სამხრეთ კავკასიაში ჩართულობისგან არა მხოლოდ უზრუნველყოფს რუსეთის ლოკალური ინტერესების დაკმაყოფილებას, არამედ გლობალურ ფონზე უზრუნველყოფს მის დომინანტურ პოზიციას, მარტო ან არადასავლურ აქტორებთან ერთად, უკრაინის ომის შემდგომი წესრიგის ჩამოსაყალიბებლად.

როგორ დაიცავს რუსეთი თავის პოზიციას რეგიონში

სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის სამშვიდობო შეთანხმების ხელმოწერა ევროპული ან აშშ-ის ხელშეწყობით მიანიშნებს რუსეთის, როგორც მთავარი სამშვიდობო შუამავლის პოზიციის დაკარგვას პოსტკონფლიქტურ ფაზაში, დასავლეთის სასარგებლოდ. რუსეთისთვის არსებითად მნიშვნელოვანია რათა აღნიშნული პროცესი შემდგომში სრულად იქნას თავიდან აცილებული.

პოლიტიკურად, რუსეთი ცდილობდა თავისი ლიდერული პოზიციის შენარჩუნებას რეგიონში ირანისა და თურქეთის ჩართვით. 2022 წლის მთიანი ყარაბაღის ომის

დროს მოსკოვმა წინააღმდეგობა გაუწია თეირანისა და ანკარას მცდელობებს ჩართულიყვნენ მოლაპარაკებების პროცესში. თურქეთის უშუალო ჩართვამ კონფლიქტში, როგორც აზერბაიჯანის მოკავშირე განაპირობა ის, რომ შეიქმნა ერთობლივი რუსულ-თურქული მონიტორინგის ცენტრი. ირანი პროცესის მიღმა დარჩა, მაგრამ ეს ყველაფერი შეიცვალა 2023 წელს. რუსეთი ახლა მხარს უჭერს ფორმატს "3+3" - კონფლიქტის მოლაპარაკებების პლატფორმას, რომელშიც მონაწილეობენ სამი კავკასიური ქვეყანა (სომხეთი, საქართველო და აზერბაიჯანი) ¹ და სამი რეგიონალური ძალა (რუსეთი, ირანი და თურქეთი), რითაც ქმნიან ვითარებას თეირანისა და ანკარას უშუალო მონაწილეობით რეგიონის მომავლის განსაზღვრაში. რუსეთი სამხრეთი მოლაპარაკებების პლატფორმის (სომხეთი-აზერბაიჯანი-რუსეთი) შენარჩუნებით ცდილობს პოზიციის განმტკიცებას, რასაც დამატებით ინსტრუმენტად ხედავს. ზოგიერთი შეთანხმება მიღწეული იქნა ევროპულ და ამერიკულ ფორმატში, მაგრამ 2023 წლის სექტემბრიდან აზერბაიჯანმა, როგორც ჩანს, უარყო ევროკავშირის და შესაძლოა აშშ-ის მოწვევა მოლაპარაკებაზე და განაცხადა, რომ უპირატესობას ანიჭებს მოლაპარაკებებს ორმხრივ ან რეგიონულ ძალებთან. აზერბაიჯანმა უარი თქვა 2023 წლის ოქტომბერში გრანადაში გამართული ევროპული პოლიტიკის თანამეგობრობის შეხვედრაში მონაწილეობაზე, 2024 წლის იანვარში დათანხმდა საგარეო საქმეთა მინისტრების შეკრებას ვაშინგტონში, მაგრამ შემდეგ უარი თქვა აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის უფროსის მოწვევაზე.

ყველაზე მთავარი და მიმზიდველი ინსტრუმენტი რუსეთისთვის - არის ეკონომიკური ბერკეტი, რის საშუალებითაც მოსკოვი ცდილობს ზეგავლენის მოხდენას ქვეყნის პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზე. მსგავსი ეკონომიკური დინამიკა შეინიშნება სომხეთ-რუსეთის ურთიერთობებში, თუმცა სომხეთის რუსეთზე დამოკიდებულების დონე სურათს შედარებით ბუნდოვან ხდის. მოსკოვი ერევნის უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორია. ქვეყნებს შორის სავაჭრო ბრუნვა 2023 წლის იანვარ-ოქტომბერში გაიზარდა 40 პროცენტზე მეტით და 5,4 მილიარდ აშშ დოლარი შეადგინა. 2023 წლის პირველ ნახევარში სომხეთს 20 წლის განმავლობაში პირველად ჰქონდა სავაჭრო ზრდა რუსეთთან. რუსეთს სომხური ექსპორტის 52 პროცენტი და ტურისტების დაახლოებით 50 პროცენტი უკავია. ამ მაჩვენებლებმა ხელი შეუწყო სომხეთის მთლიანი შიდა პროდუქტის გაზრდას (14,2 პროცენტით 2022 წელს). ამავდროულად, მაშინ, როცა სომხეთი ცდილობს თავისი ვაჭრობის, ენერგეტიკისა და ინვესტიციების წყაროების დივერსიფიკაციას, ის კვლავ დიდად არის დამოკიდებული რუსეთზე.

მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის არმია შედარებით გამოფიტული და დასუსტებულია, რეგიონში მისი ინტერესების დასაცავად კვლავ ინარჩუნებს აქტუალურობას. რეგიონში მოსკოვს ამჟამად არ შეუძლია იმოქმედოს როგორც უსაფრთხოების ექსკლუზიური დამბალანსებელი. რუსული შემაკავებელი ძალა ნაკლებად მნიშვნელოვანია, როგორც სომხური უსაფრთხოების არქიტექტურის ფაქტორი აზერბაიჯანისა და თურქეთის წინააღმდეგ. მოსკოვი ასევე ვერ ახერხებს სომხეთში ყოფნის შენარჩუნებას სამ-

¹ "3+3" რეგიონული თანამშრომლობის პლატფორმა კონფლიქტური საგარეო პოლიტიკური პრეფერენციები ჯავახიშვილი, ე. (2022)

ხედრო-ტექნიკური თანამშრომლობით. ომი უკრაინაში ნიშნავს, რომ სომხეთის მიერ შეკვეთილი და გადახდილი შეიარაღება რუსეთს არ მიუწოდებია. (მცირე რაოდენობის იარაღი მიიტანეს 2024 წლის იანვარში.)

ბოლო ორი წლის განმავლობაში სომხეთი აძლიერებდა უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებულ დიპლომატიურ ძალისხმევას უსაფრთხოების სფეროში ახალი პარტნიორების ძიებით. ინდოეთი და საფრანგეთი გამოჩნდნენ სომხეთის მთავარ პარტნიორებად სამხედრო-ტექნიკურ თანამშრომლობაში. ევროკავშირის სამოქალაქო მისია აზერბაიჯანის საზღვარზე გაფართოვდა. 2022 წლის ნოემბერში სომხეთმა არ მიიღო CSTO (კუხო)-ს შეთავაზება მისიის გაგზავნის შესახებ და ამის ნაცვლად ევროკავშირს მიმართა აღნიშნული საკითხის გადასაჭრელად.

როგორც ჩანს, მოსკოვი ნელ-ნელა იღებს კონფიგურაციის ცვლილებას, რადგან ჩნდება ახალი არარეგიონული აქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ ძალთა ბალანსზე სამხრეთ კავკასიაში. რუსეთი, ალბათ, თავს კომფორტულად იგრძნობს, სანამ სომხეთში მისი უსაფრთხოების არქიტექტურის სამი საყრდენი შენარჩუნდება: 102-ე სამხედრო ბაზა, სასაზღვრო ჯარები და სომხეთის CSTO(კუხო)-ს წევრობა. 2023 წლის სექტემბრიდან რუსეთმა შეამცირა ადგილზე ყოფნა სამხრეთ კავკასიაში, ხოლო ევროკავშირის, თურქეთის, ირანის, ინდოეთის და საფრანგეთის ჩართულობა გააქტიურდა. გრძელვადიან პერსპექტივაში რუსეთი ყურადღებას გაამახვილებს ეკონომიკურ თანამშრომლობაზე, რათა შეინარჩუნოს ლიდერის როლი სამხრეთ კავკასიაში.

რუსეთის შესუსტებული გავლენა სამხრეთ კავკასიაში

რუსეთის გავლენა სამხრეთ კავკასიაში სტაბილურად იკლებს უკრაინაში 2022 წლის თებერვალში მისი სრულმასშტაბიანი შეჭრის შემდეგ. დაწყებული აზერბაიჯანის სამხედრო წარმატებებიდან ყარაბაღში სომხეთის სანდო მოკავშირეების ძიებამდე, მოსკოვისთვის სულ უფრო რთული ხდება თავისი ნების აღსრულება რეგიონში. ბოლო ორი წლის განმავლობაში, კრემლის სტრატეგია იყო შემდეგი, ემართა თავისი რეგიონალური სტატუსი მსხვილ სახელმწიფოებთან ურთიერთსასარგებლო ეკონომიკურ და უსაფრთხოების პარტნიორობაში ჩართულობით, თუნდაც მათთვის დიდი გეოპოლიტიკური სივრცის დათმობის ხარჯზე, რათა თავიდან აეცილებინა რეგიონში დასავლეთის შემოსვლა. რუსეთი მოელის, რომ უკრაინაში სამხედრო წარმატება მისცემს მას შესაძლებლობას ადადგინოს თავისი რეგიონალური ჰეგემონია მოკლე და საშუალოვადიან პერიოდში. ამ დროისთვის, სამხრეთ კავკასიაში სუსტი რუსეთი ნიშნავს სომხეთის, აზერბაიჯანისა და საქართველოს დემოკრატიის განმტკიცებას და უფრო დიდ ზღვარს მოსკოვთან ურთიერთობაში, მესამე ძალის ყოფნას რეგიონში და უფრო დიდ გეოპოლიტიკურ გაურკვევლობას, რომელსაც აქვს პოტენციალი, ისედაც მყიფე რეგიონალური სტაბილურობა კიდევ უფრო გაურკვეველი და დამაბული გახადოს.

აზერბაიჯანის სამხედრო გამარჯვების შემდეგ, რუსეთს მოუწია რეგიონში ახალი სტატუს კვოს მიღება. ომმა დრამატულად გააძლიერა თურქეთის, როგორც რეგიონალური ძალაუფლების წარმომადგენელი, რადგან მისი მხარდაჭერა გადამწყვეტი იყო ბაქოს წარმატებისთვის. ამან თავისი საბოლოო დადასტურება ბაქოსა და ანკარის მიერ

ხელმოწერილ შუშას დეკლარაციაში მიიღო. მოსკოვი თურქეთთან ინტერესთა ახალი ბალანსის პოვნის აუცილებლობის წინაშე აღმოჩნდა. თუმცა, დასავლეთთან მზარდი დაპირისპირების ფონზე, რუსი პოლიტიკოსები, როგორც ჩანს, ამას უმცირეს პრობლემად მიიჩნევენ და თვლიან, რომ რადგან ანკარას პოლიტიკა სამხრეთ კავკასიის მიმართ დამოუკიდებელია და ხშირად ეწინააღმდეგება დასავლურ მიდგომას, ეს უფრო მოსახერხებელია და რუსეთს ლავირების საშუალებას უტოვებს.

რუსეთის ამჟამინდელი გავლენა რეგიონში ზოგადად შეიძლება დახასიათდეს, როგორც ეტაპობრივი დაღმასვლა. მოსკოვის შესაძლებლობა პირდაპირი ზეგავლენა მოახდინოს სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოებზე შემცირდა, მაგრამ არა მხოლოდ უკრაინაში ომის გამო. რუსეთს შეეძლო დაესკვნა, რომ ბაქოდან, ერევნიდან ან თბილისიდან ყველაფრის მოპოვების მცდელობის ხარჯები მნიშვნელოვნად აღემატება სარგებელს - და აქ ხარჯები მოიცავს არა მხოლოდ მატერიალურ ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია ეკონომიკურ ძალასთან, არამედ მისი ურთიერთობების გარდაუვალ გაუარესებას რეგიონულ აქტორებთან, პირველ რიგში თურქეთთან და ირანთან.

ბოლოდროინდელმა გამოცდილებამ ასევე აჩვენა, რომ სამხრეთ კავკასიაში რუსეთის გავლენის ზოგიერთი ასპექტი არასწორად იქნა განმარტებული. სინამდვილეში, მოსკოვის შეიარაღებული ძალების როლი, როგორც წესი, გადაჭარბებულია, როგორც ეს აზერბაიჯანმა დაამტკიცა 2023 წლის სექტემბერში, როდესაც მან ეფექტურად განეიტრალა რუსი სამშვიდობოები ყარაბაღში ელვისებური ოპერაციის დროს. ანალოგიურად, რუსული რბილი ძალის გავლენა არ არის ისეთი ეფექტური, როგორც ხშირად სჯერათ. ბაქოს გამოცდილება გვთავაზობს, რომ რუსული კულტურული და საგანმანათლებლო გავლენისთვის სივრცის შენარჩუნება გარკვეულ ბერკეტს იძლევა რუსეთის ელიტებზე გავლენის მოხდენისთვის და მოსკოვის მხრიდან უფრო ხელსაყრელი დამოკიდებულების უზრუნველსაყოფად. ამის საპირისპიროდ, რუსეთის ეკონომიკური გავლენა არასაკმარისად არის შეფასებული. ის კვლავ აძლევს მოსკოვს სერიოზულ ბერკეტებს საქართველოსა და სომხეთზე ზემოქმედების მოსახდენად. საილუსტრაციოა, რომ აზერბაიჯანი, ქვეყანა სამხრეთ კავკასიაში, რომელიც ეკონომიკურად ყველაზე ნაკლებად არის დამოკიდებული რუსეთზე, მიდრეკილია აწარმოოს ყველაზე დამოუკიდებელი და გაბედული საგარეო პოლიტიკა. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის ზემოქმედება დაკნინებულია, მოსკოვი კვლავ რჩება რეგიონალურ აქტორად, რომელსაც აქვს ყველაზე დიდი ენერჯის პროექციის შესაძლებლობები სამეზობლოში. რუსეთის შეცდომებმა უკრაინაში ის უფრო არაპროგნოზირებად მოთამაშედ აქცია, რაც გარკვეულწილად ხსნის სამხრეთ კავკასიის რესპუბლიკების ბალანსირებულ და თავშეკავებულ პოლიტიკას ჩრდილოეთ მეზობლის წინააღმდეგ. ბოლო ორი წლის განმავლობაში სომხეთმა დიდი გზა გაიარა რუსეთზე სამხედრო დამოკიდებულების შესამცირებლად. თუმცა, ერევანი ფრთხილობს, რომ არ მოახდინოს რუსეთთან მისი კავშირების დეინსტიტუციონალიზაცია, რადგან ამას სერიოზული შედეგები მოჰყვება მისი, როგორც დამოუკიდებელი სუბიექტის გადარჩენაზე.

² კავკასია: რეგიონული უსაფრთხოების გზაჯვარედინზე 2024 წლის დასაწყისში გელა ვასაძე 2024 წლის 12 მარტი

აზერბაიჯანის ხელმძღვანელობამ ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ რუსეთს მხარი დაეჭირა, ან სულაც არ ჩაეყენებინა ის საპირისპირო ბანაკში, როცა მან ყარაბაღში სამხედრო ოპერაცია განახორციელა. 2022 წლის თებერვალში, უკრაინაში შეჭრის დაწყებამდე ორი დღით ადრე, მოსკოვთან მოკავშირეთა ურთიერთობის შესახებ ხელმოწერილი დეკლარაცია ადასტურებს ბაქოს მცდელობებს, რომ არაპროგნოზირებად კრემლთან პოლიტიკური არხები ღია და მზარდი დარჩეს.

აზერბაიჯანის მიერ 2023 წლის სექტემბერში ლაჩინის დერეფანზე და საბოლოოდ ყარაბაღის რეგიონზე სრული კონტროლის აღდგენამ რუსეთს ბაქოზე გადამწყვეტი ბერკეტები ჩამოართვა. თუმცა, მოსკოვის სამხედრო ყოფნის ეროზია ყარაბაღში არ იყო ერთადერთი სფერო, რომელშიც შემცირდა რუსეთის შესაძლებლობები, გავლენები მოეხდინა ბაქოზე. ტრადიციულად, რუსეთი ეყრდნობოდა ეთნიკური უმცირესობების საკითხებს, აზერბაიჯანულ დიასპორას, პრორუსულ მედია რესურსებს და აზერბაიჯანის ელიტარულ ჯგუფებს, რათა ბაქო დაემორჩილებინა. ყარაბაღის მეორე ომის შემდეგ, ან ამ ინსტრუმენტებმა დაკარგეს მიმზიდველობა კრემლისთვის მისი რეგიონალური გეგმების განხორციელებისას, ან მათმა გამოყენებამ გამოიწვია ბაქოს მკაცრი პასუხი, რითაც აზიანებდა მოსკოვის ისედაც დასუსტებულ იმიჯს ქვეყანაში. აზერბაიჯანის მთავრობაში პრორუსული ძველი გვარდიის ძირითადი ფიგურები თანამდებობიდან გაათავისუფლეს. ამ ყველაფრის ფონზე კი თურქეთის ყოფნა ქვეყანაში სტაბილურად გაიზარდა. უკრაინაზე რუსეთის თავდასხმის შემდეგაც დაზარალდა ადგილობრივი დამოკიდებულება რუსეთის მიმართ, რადგან მოსახლეობის უმრავლესობა თანაუგრძნობდა კიევს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისთვის ბრძოლაში.

ბაქო, გააგრძელებს რეგიონული პოლიტიკის მზარდი სირთულის გამოყენებას რუსული გავლენის შესაზღვრად. მისი ბოლოდროინდელი აქტიური მიმართვა სამხრეთ კავკასიაში ე.წ. 3+3 ფორმატზე (სამი რესპუბლიკა პლუს რუსეთი, თურქეთი და ირანი) მიზნად ისახავს მოსკოვის მტკიცე ოპოზიციის განეიტრალებას დასავლეთის ყოფნის მიმართ, რაც მოსკოვს გაუგზავნის სიგნალს, რომ იგი იზიარებს თავის ვალდებულებას „ექსტრარეგიონული ძალების“ გავლენის შემცირების შესახებ. ამავდროულად, მოსკოვი-ანკარა-თეირანის სამკუთხედის ჩამოყალიბების სირთულის გათვალისწინებით, სტაბილური ჩარჩოს აშენება თითქმის შეუძლებელი ჩანს, ამიტომ აზერბაიჯანი თვლის, რომ შეძლებს შეინარჩუნოს მნიშვნელოვანი მოქნილობა თავის საერთაშორისო პოლიტიკურ თანასწორობებში და გაატაროს მისთვის სასურველი დაბალანსებული პოლიტიკა.

რა სურს რუსეთს სამხრეთ კავკასიაში

სამხრეთ კავკასიაში რუსეთის პოლიტიკის გასაგებად საუკეთესო გზა არის მათი შედარება ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის (EaP) ინიციატივასთან.³ EaP-ის იდეა არის ხელი შეუწყოს სტაბილურობას და კეთილდღეობას ევროკავშირის აღმოსავლეთ სამეზობლოში იქ დემოკრატიული პროცესების მხარდაჭერით. იმ ქვეყნებს,

³ სტრატეგიული კომუნიკაციები 17.03.2022წ

რომლებიც დაინტერესდნენ უფრო მჭიდრო პარტნიორობით, მიეცათ საშუალება ხელი მოეწერათ ასოცირების შეთანხმებას, ჩართულიყვნენ ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის ზონაში (DCFTA) და მინიჭებოდათ კანდიდატის სტატუსი ევროკავშირში წევრობისთვის. რუსეთის მიზანი იყო ზუსტად საპირისპირო - თავიდან აეცილებინა სტაბილური და სუვერენული დემოკრატიების ჩამოყალიბება მკაცრი ძალის გამოყენებით, კონფლიქტების წაქეზებით, პოლიტიკური, სამხედრო და ეკონომიკური კონტროლის შესანარჩუნებლად. მისი ეკონომიკური შეზღუდვების გამო (განსაკუთრებით 1990-იან წლებში) თუ დიდი ხნის იმპერიული ტრადიციების გამო, რუსეთი ძირითადად ეყრდნობოდა თავის დესტრუქციულ შესაძლებლობებს, აქედან გამომდინარე, რუსეთის ნომერ პირველი ინსტრუმენტი სომხეთში, აზერბაიჯანსა და საქართველოში დამოუკიდებლობის განმტკიცების თავიდან ასაცილებლად იყო კონფლიქტის წაქეზება და გახანგრძლივება.

ისტორიულად რუსეთი საქართველოს მიიჩნევდა მთელი კავკასიის გასაღებად და გრავიტაციის ცენტრად. ამან საქართველო განსაკუთრებული აგრესიული მოპყრობის სამიზნე გახადა ორი ძირითადი მიზეზის გამო: საქართველოს გეოპოლიტიკური როლი, როგორც კარიბჭე ხმელეთზე გასასვლელი აზერბაიჯანისა და სომხეთისა და პოტენციურად ცენტრალური აზიის ქვეყნებისკენ; და მისი არჩევანი პროდასავლური პოლიტიკის შესახებ 2000-იანი წლების დასაწყისიდან. რუსეთი უკიდურესად უარყოფით როლს თამაშობს საქართველოს თანამედროვე განვითარებაში. ეს გამოსახულია საქართველოს ტერიტორიის 20%-ის დე-ფაქტო ანექსიით და ასევე მუდმივი მცდელობებით შეცვალოს, როგორც საქართველოს მიერ გაკეთებული საგარეო პოლიტიკური არჩევანი, ასევე შიდა პოლიტიკურ პროცესებში სხვადასხვა მეთოდების აშკარა გამოყენებით გადაჭარბებული გავლენით ჩარევა, მათ შორის აგრესიითაც.

რუსეთის ქმედება საქართველოს მიმართ უნიკალური არ არის. რუსეთი ისევე ექცევა საკუთარ მეზობლებს, მათ შორის, ვინც მათ ოფიციალურ მოკავშირედ ითვლება. რუსეთის მიზანი სატელიტური სახელმწიფოების დაყოფილი ყოლაა საბჭოთა იმპერიის ტერიტორიაზე, რომელიც გარკვეულ ბუფერად უნდა იქცეოდეს დანარჩენი მსოფლიოს მიმართ. მოსკოვის ერთპიროვნული სტატუსის აღდგენით რუსეთის ხელისუფლება ცდილობს დაჩრდილოს ქვეყანაში რეფორმების მნიშვნელობა და საზოგადოებრივი აზრი ქვეყნის შიდა პრობლემებიდან საგარეო პროცესებზე გადაიტანოს. მიუხედავად იმისა, თუ რა არის რუსეთის მოტივაცია, სამხრეთ კავკასიის ქვეყნები განიცდიან გავლენას - რუსეთის მმართველი რეჟიმის მიერ წარმატებული სახელმწიფოს არსებობა აღქმულია, როგორც პირდაპირ საფრთხედ და ამდენად რუსეთი იყენებს ყველა მექანიზმს მის ჩამოსაშლელად.

რუსული რბილი ძალის პროპაგანდა საქართველოში

საქართველოს გაღრმავებულ ევროატლანტიკურ ინტეგრაციასთან ერთად, რუსული SOFT POWER სულ უფრო აქტიურად იზრდება ქვეყანაში. 2015 წელს მეოთხე და საბოლოო ანგარიში გამოაქვეყნა ევროკომისიამ ვიზალიბერალიზაციის სამოქმედო

დო გეგმაზე, სადაც აღნიშნულია, რომ სახელმწიფომ შეასრულა ყველა ვალდებულება. ამ გადაწყვეტილებით, ევროკავშირმა ფაქტობრივად მწვანე შუქი აანთო ქვეყნის მოკლევადიანი უვიზო მიმოსვლისთვის საქართველოს მოქალაქეებისთვის შენგენის წევრ ქვეყნებში. 2023 წლის 14 დეკემბერს ევროპულმა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭების თაობაზე, აღნიშნული ფაქტით კი რუსეთი ნაკლებად იქნებოდა კმაყოფილი.

პოლიტიკური მითი რუსული პროპაგანდის მთავარი იარაღია საქართველოში. ძალიან ემოციური და ირაციონალური ეფექტი აქვს, რომელიც საშუალებას აძლევს ანტიდასავლური პროპაგანდის ორგანიზატორებს აიყვანონ პოლიტიკური დისკურსისთვისობრივად განსხვავებულ დონეზე, რომლის წინააღმდეგაც ინფორმაციის ჩვეულებრივი მეთოდების გამოიყენება არაეფექტურია და ვერც შესაბამის დაცვას უზრუნველყოფს.

მაგალითად, 2014 წლის გაზაფხულზე, ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების ხელმოწერამდე, პრორუსულმა მედიასაშუალებებმა და ბლოგერებმა, ამ დოკუმენტის რაციონალური და არსებითი კრიტიკის ნაცვლად, განავითარეს მითი, რომ ევროპა და აშშ ითხოვდნენ ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონებას საქართველოში. ქვეყანაში, სადაც ეკლესიის გავლენა მასიურია დასავლურ ქვეყნებთან შედარებით, ამ მითმა ძლიერი ემოციური რეაქცია შექმნა.

კრემლის პროპაგანდისტული აქტივობების შესწავლისას შესამჩნევი განსხვავებები ვლინდება ცენტრში(თბილისი) და რეგიონებში არსებულ საქმიანობებში. კვლევების შედეგად ნათელი ხდება, რომ კრემლის პოლიტიკა ამ მიმართულებით სულ უფრო აქტიური ხდება და ძალიან რთულ და განსხვავებულ ხერხებს იყენებს ადამიანების ხედვებსა და განწყობებზე ზემოქმედებისთვის. ქვემოთ წარმოგიდგენთ ყველაზე გავრცელებულ სტერეოტიპებს, რომლებიც რუსული პროპაგანდის ნათელი მაგალითია:⁴

- ბალტიისპირეთის ქვეყნებმა ეკონომიკური ვარდნა დაიწყო და ევროკავშირში გაწევრიანების შემდეგ გადარიბდნენ;
- ნატო სამხედრო ორგანიზაციაა, რომელიც ატარებს აგრესიულ და დამპყრობლურ პოლიტიკას;
- საქართველოს ევროპაში ბანანის ექსპორტი შეუძლია;
- ნატოში გაწევრიანების შემდეგ საქართველო ბრძოლის ველად გადაიქცევა;
- ევროკავშირი და ნატო არ დაეხმარნენ საქართველოს 2008 წლის ომის დროს;

მიუხედავად ამ მოსაზრებებისა, საზოგადოების უმეტესი ნაწილი ევროკავშირში გაწევრიანების მომხრეა და მათ უნდათ, რომ მომავალმა თაობამ დასავლეთში მიიღონ განათლება, ვინაიდან საზოგადოება ხედავს მოსახლეობის სიმდიდრისა და კეთილდღეობის ხარისხს ევროპულ ქვეყნებში. ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში პრორუსული განწყობები, რომ არ გადაიქცეს მყარ და დომინანტურ ნარატი-

⁴ International Journal of Social Science and Humanity, Vol. 7, No. 5, May 2017 L. Makhashvili

ვად, საქართველოს ხელისუფლებამ უნდა უზრუნველყოს კომპლექსური და აქტიური ჩართულობა, რათა ერთის მხრივ მის მოსახლეობას მიაწოდოს ობიექტური და მიუკერძოებელი ინფორმაცია და მეორე მხრივ, ხელი შეუწყოს რეგიონების ეკონომიკურ განვითარებას, რაც ადგილობრივი მოსახლეობისთვის ღირსეული ცხოვრების პირობების შექმნას შეუწყობს ხელს. რუსეთი ცდილობს გამოიყენოს კომპლექსური მეთოდები და იყენებს სისტემურ მიდგომებს პოლიტიკური გავლენის მოპოვების კუთხით საქართველოში, აღნიშნული კი გავლენას ახდენს ქვეყნის დასავლურ ვექტორზე. რეგიონში რუსეთის შემდგომი წონა დიდწილად დამოკიდებულია საქართველოს ევროპული მომავლის პერსპექტივაზე. თუ საქართველო შესძლებს და გაწევრიანდება ევროკავშირში, ეს პირდაპირ გამოიწვევს სომხეთის საგარეო პოლიტიკური კურსის ცვლილებას და სწრაფი ტემპებით დაახლოებას დასავლეთთან, რაც შავ ზღვაზე ეკონომიკური-სამხედრო კუთხით რუსეთს სრულად მოაქცევს იზოლაციაში.

დასკვნა:

დასკვნის სახით წარმოგიდგინებ, რომ რუსეთი ჰიბრიდული ომის საშუალებით მაქსიმალურად ცდილობს არ დაუშვას რეგიონში ევროპული ძალების შემოსვლა და ცდილობს სხვადასხვა ჰიბრიდული მეთოდების გამოყენებით დაძაბოს და გააფუჭოს სამხრეთ კავკასიის ქვეყნების მისწრაფება ევროპისა და ჩრდილოატლანტიკურ ორგანიზაციებში გაწევრიანების გზაზე.

ყოველივე ზემოთქმული სამხრეთ კავკასიის სამივე ქვეყნისთვის უზარმაზარ შესაძლებლობებსა და ასევე მაღალ რისკებს ქმნის. რუსეთის მომავალი ქმედებები რეგიონში დიდწილად იქნება დამოკიდებული მის წარმატებასა თუ წარუმატებლობაზე უკრაინაში. სომხეთმა, აზერბაიჯანმა და განსაკუთრებით საქართველომ უნდა გამოიყენოს ყველა შესაძლებლობა, რათა მაქსიმალურად უზრუნველყონ, რომ საბოლოოდ შეზღუდონ რუსეთის დომინირება სამხრეთ კავკასიაში, შეამცირონ პოლიტიკური და ეკონომიკური დამოკიდებულება რუსეთზე და გზა გაუხსნან ევროპულ აქტორებს, რათა რეგიონში შენარჩუნებულ იქნეს ძალთა ბალანსი, რაც გრძელვადიან პერსპექტივაში მშვიდობისა და სტაბილურობის უპირობა გარანტორია.

გამოყენებული ლიტერატურა

<https://www.commonspace.eu/navigating-hybrid-threats-south-caucasus> (30 October 2023 Gevorg Melikyan page 1,2) (accessed 09 11,2024).

<https://besacenter.org/the-caucasus-regional-security-crossroads-at-the-beginning-of-2024/>(accessed 09 11,2024).

<https://www.freiheit.org/south-caucasus/geopolitical-future-south-caucasus>(accessed(0911,2024).

<https://www.understandingwar.org/report/russian-hybrid-warfare>(accessed 09 11,2024).

[https://www.ssoar.info/ssoar/bitstream/handle/document/86942/ssoar-caucasusad-2022-128-javakhishvili-The 33 Platform for Regional.pdf?sequence=1&isAllowed=y&lnkname=ssoar-caucasusad-2022-128-javakhishvili-The 33 Platform for Regional.pdf](https://www.ssoar.info/ssoar/bitstream/handle/document/86942/ssoar-caucasusad-2022-128-javakhishvili-The%2033%20Platform%20for%20Regional.pdf?sequence=1&isAllowed=y&lnkname=ssoar-caucasusad-2022-128-javakhishvili-The%2033%20Platform%20for%20Regional.pdf) (accessed 09 11,2024).

<https://www.semanticscholar.org/paper/The-Russian-Information-War-and-Propaganda-in-the-%E2%80%99-Makhashvili/eafeab7b7743cbb20404768b00bfd4c5be99a68b> (International Journal of Social Science and Humanity, Vol. 7, No. 5, May 2017)(accessed 09 11,2024).
https://www.eeas.europa.eu/eeas/eastern-partnership_en (accessed 09 11,2024).

უპილოტო საფრენი აპარატების როლი ეროვნულ უსაფრთხოებაში

ივლიანე რევიშვილი

სსიპ-დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს
ეროვნული თავდაცვის აკადემიის
მაგისტრატურის უსაფრთხოების კვლევების
მიმართულების მსმენელი

აბსტრაქტი

წინამდებარე ტექსტში განხილულია უპილოტო უპილოტო საფრენი აპარატების როლი ეროვნული უსაფრთხოებისთვის საჭირო სტრატეგიების უზრუნველსაყოფად. აღნიშნულია თუ რა მნიშვნელოვანი როლი გააჩნია უპილოტო საფრენ აპარატებს, ბარჟირებად საბრძოლო მასალას, უპილოტო სახმელეთო და საზღვაო საშუალებებს ეროვნული უსაფრთხოების განმტკიცებაში და მისთვის საჭირო მოქმედებების განხორციელებაში. წარმოდგენილია სხვადასხვა ტიპის და დანიშნულების უპილოტო საშუალებები და მათი გამოყენების მაგალითები ყარაბაღის მესამე ომში და რუსეთ-უკრაინას შორის არსებულ დაპირისპირებაში. საომარი მოქმედებების გარდა, წარმოდგენილია უპილოტო საშუალებები, რომელთა გამოყენებაც შესძლოა საგანგებო სიტუაციების, კრიზისების და სხვა სახელმწიფოსთვის მნიშვნელოვანი მოქმედებების დროს. ამავდროულად ყურადღება გამახვილებულია, უპილოტო საშუალებების შექმნის და წარმოების სიიაფეზე და მათ საჭიროებაზე სახელმწიფოს პოლიტიკური და სტრატეგიული მიზნებიდან გამომდინარე. კვლევის პრობლემას წარმოადგენს სადაზვერვო და საბრძოლო უპილოტო საშუალებების წინააღმდეგ ბრძოლა, განსაკუთრებით უპილოტო საფრენ აპარატებთან, ვინაიდან მცირე ზომების და სპეციალური კომპონენტებიდან გამომდინარე საკმაოდ რთულდება მათი აღმოჩენა და მწყობრიდან გამოყვანა. რაც თანამედროვე კონფლიქტებიდან გამომდინარე მნიშვნელოვან პრობლემად იქცა.

საკვანძო სიტყვები: უპილოტო საფრენი აპარატები, დრონები, ეროვნული უსაფრთხოება

The role of unmanned aerial vehicles in national security

Ivliane Revishvili

Student of Master's Program in Security Studies of
LEPL-David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia

Abstract

The text discusses the role of unmanned aerial vehicles in ensuring strategic necessities for national security. It highlights the significant role that drones, guided munitions, unmanned ground, and maritime systems play in strengthening national security and executing required actions. Various types and purposes of unmanned systems are presented, along with examples of their use in the Third Nagorno-Karabakh War and the ongoing conflict between Russia and Ukraine. In addition to military operations, unmanned systems that can be used during emergencies, crises, and many other actions that might be crucial for the state. At the same time, attention is drawn to the affordability of acquiring and producing unmanned systems and their necessity based on the state's political and strategic goals. The research problem is the counteraction against reconnaissance and combat unmanned systems, particularly unmanned aerial vehicles, as their small size and special components make detection and neutralization challenging. This is a significant issue to modern conflicts.

Keywords: unmanned aerial vehicles, drones, national security

შესავალი

ეროვნული უსაფრთხოება

შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ ეროვნული უსაფრთხოების არსებობა აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს მოსახლეობისთვის უსაფრთხო გარემოს ჩამოსაყალიბებლად და ზოგადად სახელმწიფო დაცვის და სტაბილურობის უზრუნველსაყოფად. მთლიანობაში ეროვნული უსაფრთხოება ყოვლისმომცველი მიდგომაა სახელმწიფოს, როგორც შიდა, ისე გარე ფაქტორებიდან გამომდინარე, რაც სხვადასხვა სტრატეგიებს და მახასიათებლებს მოიცავს. ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიები ერის სუვერენიტეტზე და ინტერესებზე დაყრდნობით ყალიბდება და მნიშვნელოვან როლს თამაშობს ერის უსაფრთხოების უზრუნველყოფაში. ინფორმაციების შეგროვება და ანალიზი, პოტენციური საფრთხეების იდენტიფიცირება და დროული რეაგირება, საერთაშორისო ურთიერთობების დარეგულირება, მსოფლიოში მშვიდობის განვითარებაში წვლილის შეტანა, ალიანსებთან კოორდინაცია, სახელმწიფო საზღვრების მონიტორინგი, ტრეფიკინგის და არალეგალური იმიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლა, კონტრტერორისტული ოპერაციები, ტერორისტული ქმედებების დემონტაჟი, შესაძლო ექსტრემისტული დაჯგუფებების ორგანიზების ხელის შეშლა, საგანგებო სიტუაციებთან დაკავშირებული გეგმების და რესურსების არსებობა, ეკონომიკური უსაფრთხოება, საზოგადოებრივი უსაფრთხოება წესრიგის შესანარჩუნებლად ასევე პოტენციური დანაშაულებების თავიდან ასარიდებლად, მოწესრიგებული პოლიტიკა და კანონმდებლობა ეროვნული უსაფრთხოების დასარეგულირებლად, ეფექტური კიბერუსაფრთხოება ციფრული ინფრასტრუქტურის არსებობა და კიბერთავდასხმებზე მყისიერი რეაგირება, სამხედრო შესაძლებლობების განვითარება და ქმედუნარიანი შეიარაღებული ძალების არსებობა გარე საფრთხეებზე გასამკლავებლად, კრიზისების მენეჯმენტი და შესაძლო გარემო საფრთხეებზე კოორდინირებული რეაგირება ასევე სხვა სტრატეგიების თუ მახასიათებლების ეფექტური მუშაობა საბოლოო ჯამში უზრუნველყოფს ეროვნული უსაფრთხოების ჩამოყალიბებას. თითოეული ფუნქცია ერთობლივად უზრუნველყოფს ეროვნული ინტერესების დაცვას და მოქალაქეებისთვის უსაფრთხო გარემოს აყალიბებს. ტექნოლოგიურ განვითარებასთან ერთად ეროვნული უსაფრთხოების გარემოს ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ თანამედროვე მოწყობილობებს და სისტემებს.

ძირითდი ნაწილი

უპილოტო საფრენი აპარატები, ე.წ. დრონები მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებენ უსაფრთხოების დარგში და მასთან დაკავშირებულ სხვადასხვა სფეროებში. ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია ეფექტური დაზვერვის არსებობა, რომელიც სხვადასხვა ასპექტებთან ერთად ინფორმაციის შეგროვებას და ანალიზს მოიცავს. უპილოტო საფრენი აპარატების გამოყენებით შესაძლოა რეალურ დროში, საკმაოდ დიდ ტერიტორიაზე თვალთვალის და მონიტორინგის განხორციე-

ლება პერსონალის რისკთან დაკავშირებული სირთულეების გრემე¹. უპილოტო საფრენი აპარატების გამოყენებით შესაძლოა მოწინააღმდეგის ობიექტებზე დაკვირვება დღის და ღამის პირობებში, რაც საფრენი აპარატის ტაქტიკურ-ტექნიკურ მახასიათებლებთან არის დაკავშირებული, ასევე მოწინააღმდეგის აქტივობების დროული აღმოჩენა, მათ ინფრასტრუქტურაზე, გადაადგილებაზე და სხვა მნიშვნელოვან გარემო პირობებზე დაკვირვება. უპილოტო საფრენ აპარატებზე შესაბამისი სპეციალური მოწყობილობების დამონტაჟებით, შესაძლებელი გახდა რადიოელექტრონული ბრძოლის წარმოება და რადიოტექნიკური დაზვერვის განხორციელება. მოწინააღმდეგეზე დაკვირვების გარდა უპილოტო საფრენი აპარატების გამოყენება შესაძლოა საბრძოლო ოპერაციებშიც. უპილოტოების შეიარღვეულ კონფლიქტებში გამოყენების ფაქტები ახალი არ არის, მათ უკვე იყენებდნენ სხვადასხვა სახელმწიფოები, მათ შორის ამერიკის შეერთებული შტატები², მაგრამ მათი რაოდენობა მკვეთრად გაიზარდა 2020 წლის შემდგომ მომხდარ კონფლიქტებში, რასაც ყარაბაღის და რუსეთ-უკრაინის ომებიც ადასტურებენ.³ დამრტყმელ უპილოტო საფრენ აპარატებს, კამიკაძე დრონებს იგივე **ბარჟრებად საბრძოლო** მასალას თავიანთი ოპტიკურ-ელექტრონული, ინფრაწითელი და ლაზერული დამიზნების მქონე საბრძოლო მასალის გამოყენებით ზუსტი დარტყმების განხორციელება შეუძლია მოწინააღმდეგის ოპერატიულ სიღრმეში არსებულ მაღალი ღირებულების სამიზნეებზე. მაგალითისთვის შეგვიძლია ავიღოთ მთიანი ყარაბაღის მესამე ომი, სადაც უპილოტო საფრენი აპარატების მასიურად გამოყენების ფაქტები რეგიონში პირველად დაფიქსირდა. აზერბაიჯანის შეიარაღებული ძალები სხვადასხვა მომწოდებლების წყალობით (თრქეთი, ისრაელი) აწვითარებდა საკუთარ უპილოტო შესაძლებლობებს. 2020 წლის 27 სექტემბერს დაწყებულ ომში აზერბაიჯანს უკვე გააჩნდა თურქული კომპანია Bykar-ის მიერ წარმოებული საკმაოდ ცნობილი დამრტყმელი უპილოტო საფრენი აპარატი Byraktar TB-2,⁴ და ისრაელის სამხედრო ინდუსტრიის IMI-ს მიერ წარმოებული, როგორც კამიკაძე დრონები, ისე ბარჟრებადი საბრძოლო მასალა (Harop/Harpy) ასევე ებრაული კომპანიების Aeronautics Defence Systems-ის მიერ წარმოებული Orbiter-1K, Elbyt systems-ის მიერ წარმოებული Elbyt SkyStriker Early, Elbyt SkyStryker Late და სხვა ტიპის საშუალებები.⁵ აზერბაიჯანი ყარაბაღის მესამე ომში იყენებდა თურქულ კამიკაძე დრონებს (Kargu) და საკუთარი წარმოების Qovan-ის ტიპის უპილოტო საფრენ აპარატებსაც.⁶ რისი წყალობითაც აზერბაიჯანელები ზუ-

¹ John W.R. Taylor, John F Guilmartin, Unmanned aerial vehicles (UAV) in military aircraft, https://eta.edu.ge/uploads/kvleviti centri/2023naSromis_hsesrulebis_standarti.pdf, (გახსნილია 2024 წლის 20 ოქტომბერს).

² Imperial War Museum, A Brief History of Drones, <https://www.iwm.org.uk/history/a-brief-history-of-drones>, (გახსნილია 2024 წლის 20 ოქტომბერს).

³ Part of Ij Infantry Group, © 2024, Drones in the Nagorno-Karabagh War Analyzing the Data, Eado Heachl-Israel Defence Forces Tactical Command College, <https://www.militarystrategymagazine.com/article/drones-in-the-nagorno-karabakh-war-analyzing-the-data/>, (გახსნილია 2024 წლის 20 ოქტომბერს).

⁴ Oryx, Death From Above-Azerbaijan's Killer Drone Arsenal, <https://www.oryxspioenkop.com/2021/12/death-from-above-azerbaijans-killer.html>, (გახსნილია 2024 წლის 20 ოქტომბერს).

⁵ Azerbaijan Joins World Defense Show 2024, <https://turdef.com/article/azerbaijan-joins-world-defense-show-2024>, 05/02/24, (გახსნილია 2024 წლის 20 ოქტომბერს).

⁶ Oryx, Death From Above-Azerbaijan's Killer Drone Arsenal, <https://www.oryxspioenkop.com/2021/12/death-from-above-azerbaijans-killer.html>, (გახსნილია 2024 წლის 20 ოქტომბერს).

სტ დარტყმებს აყენებდნენ მოწინააღმდეგეს ოპერატიულ სიღრმეში, ანადგურებდნენ ჰაერსაწინააღმდეგო მობილურ და სტაციონალურ სისტემებს, სხვადასხვა სიშორეზე მოქმედ რადიოლოკაციურ სადგურებს, საარტილერიო საშუალებებს, იერიშები მიჰქონდათ მოწინააღმდეგის თავშეყრის რაიონებზე, ლოჯისტიკური მომარაგების კვანძებზე, კავშირის საშუალებებზე და სხვა მნიშვნელოვან ობიექტებზე. აზერბაიჯანის შეიარაღებაში დამრტყმელი უპილოტო საფრენი აპარატების და კამიკაძე დრონების გარდა, სადაზვერვო უპილოტო საფრენი აპარატებიც შედიოდა. მათ გააჩნდათ ებრაული Hermes-200, Hermes-450, Hermes-900, Aeronautics Aerostar, Aeronautics Orbiter 1, Aeronautics Orbiter 3, Bluebird Aero ThunderB, Elbyt Skylark და სხვა ტიპის დრონები. პარალელურად აზერბაიჯანელები იყენებდნენ სამამულო წარმოების დრონებსაც, რომლებიც ებრაელებთან მიღწეული შეთანხმების შედეგად შექმნეს. სადაზვერვო დრონების წყალობით აზერბაიჯანელები ადგენდნენ მოწინააღმდეგის პოზიციების ზუსტ კოორდინატებს რეალურ დროში, დღის და ღამის პირობებში, ხოლო შემდეგ მათ საჰაერო ძალებს, საარტილერიო ბატარეებს და დამრტყმელი უპილოტო საფრენი აპარატების ოპერატორებს აწვდიდნენ. უპილოტო საფრენი აპარატების გამოყენებით მოპოვებული ინფორმაციის გაცვლა ხდებოდა შეტევაში მყოფ სახმელეთ ქვედანაყოფებთანაც, რაც რეალურ დროში საბრძოლო მოქმედებების ზუსტი სურათის შედგენას აიოლებდა და სხვადასხვა ოპერაციების წარმატებულად განხორციელებისთვის მყარ საფუძველს ქმნიდა. ყარაბაღის მესამე ომმა თანამედროვე ომებში უპილოტო საშუალებების გამოყენების მაღალეფექტურობას გაუსვა ხაზი.

უკრაინაში 2014 წლის შემდეგ მიმდინარე პოზიციური ბრძოლები საბოლოო ჯამში 2022 წელს რუსეთის შეჭრის შედეგად სრულმასშტაბიან ომში გადაიზარდა. უკრაინელებს აგრესორი სახელმწიფოს შეტევების მოსაგერიებლად მხარს უჭერენ დასავლური სახელმწიფოები, რომელთა დახმარებითაც უკრაინის არსენალში საკმაოდ დიდი რაოდენობის სხვადასხვა ტიპის და დანიშნულების თანამედროვე შეიარაღება გაჩნდა⁷. თანამედროვე შეიარაღების ფართო სიაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია სხვადასხვა ქვეყნების (გერმანია, ამერიკის შეერთებული შტატები, ნორვეგია, ჰოლანდია, საფრანგეთი, პოლონეთი, დიდი ბრიტანეთი და ა.შ.) მიერ წარმოებულ დამრტყმელ და სადაზვერვო უპილოტო საშუალებებს. პარალელურად უკრაინელებმა რთული სტრატეგიული სურათის მიუხედავად, შეძლეს საკუთარი უპილოტო საფრენი აპარატების წარმოება და საკმაოდ ეფექტურად იყენებენ მოწინააღმდეგის ოპერატიულ სიღრმეში არსებულ სხვადასხვა ობიექტებზე იერიშების მისატანად. საჰაერო უპილოტო საშუალებების გარდა უკრაინელებმა შეძლეს წყალზე და წყალქვეშა უპილოტოების წარმოებაც, რისი მეშვეობითაც შეძლეს მოწინააღმდეგის მიერ კონტროლირებულ ღრმაწყლოვან პორტში შეღწევა, ხოლო შემდეგ პორტში ბაზირებულ წყალქვეშა და წყალზე და ხო-

⁷ BBC, Ukraine Weapons: What arms are the UK and other countries supplying, <https://www.bbc.com/news/world-europe-62002218>, 6/9/24/, (გახსნილია 2024 წლის 20 ოქტომბერს).

მაღდეზე იერიშების მიტანა და მათი მწყობრიდან გამოყვანა⁸. განსაკუთრებული წარმატებით გამოირჩეოდა Magura-ს ტიპის უპილოტო წყალზედა საშუალებები, რომელთა საბრძოლო მასალაც სამიზნე ობიექტთან შეჯახების შედეგად მოდის მოქმედებაში.⁹ წყალზედა საშუალებების რუსეთის მიერ კონტროლირებად პორტებზე და რუსული ფლოტის წინააღმდეგ გამოყენებამ, მნიშვნელოვანი გავლენა იქონია შავი ზღვის აკვატორიაში არსებულ სტრატეგიულ ბალანსზე. უკრაინელებმა საარტილერიო ჭურვების დეფიციტიდან და მოწინააღმდეგის მასირებული იერიშებიდან გამომდინარე საკმაოდ იაფფასიან ხერხს მიმართეს, რაც სამოქალაქო მოხმარების დრონებზე სხვადასხვა ტიპის და დანიშნულების საბრძოლო მასალის დამაგრებას მოიცავს (FPV).¹⁰ ამგვარი ტაქტიკა მნიშვნელოვან ეფექტს იძლევა მოწინააღმდეგის ჯავშანტექნიკის ან სხვა საბრძოლო საშუალებების წინააღმდეგ საბრძოლველად. უპილოტო საფრენი აპარატების გარდა უკრაინელები იყენებენ სახმელეთო უპილოტო საშუალებებსაც. საერთო ჯამში უკრაინის ომმა უპილოტო საშუალებების როლი თანამედროვე კონფლიქტებში კიდევ უფრო გაზარდა. უპილოტო საფრენი აპარატების გამოყენება ამცირებს ადამიანური რესურსის დაკარგვის რისკებს და ამასთან ერთად დადებითად აისახება ფინანსურ მხარეზეც, ვინაიდან ფასი ეფექტურობის პრინციპის გათვალისწინებით თუ ვიმსჯელებთ, უპილოტო საშუალებებს შეუძლიათ ძვირადღირებული ტექნიკის განადგურება, ხოლო თავად აპარატების წარმოება ან შექმნა საკმაოდ იაფი ჯდება. შედარებისთვის ერთი რუსული T-90M-ის ტიპის ტანკის საბაზრო ფასი საშუალოდ 4,5 მილიონ დოლარს აღწევს, ხოლო საბრძოლო FPV დრონის დამზადება რამდენიმე ასეულ დოლარად არის შესაძლებელი. განსხვავებით დამრტყმელი უპილოტო საფრენი აპარატებისგან, რომელთა საბაზრო ღირებულება გაცილებით დიდ თანხას შეადგენს, ვიდრე FPV დრონები. დრონები შეიძლება გამოყენებული იქნას სამხედრო პერსონალის მომზადებისთვისაც.

სამხედრო ოპერაციებში უპილოტო აპარატებს, დამრტყმელი ფუნქციების გარდა შეუძლია სხვა მნიშვნელოვანი ოპერაციების ჩატარებაც, როგორებიცაა უზრუნველყოფის, დაჭრილთა ევაკუაციის, განაღმვითი და სხვა სახის ოპერაციები¹¹. არსებობს სხვადასხვა ტიპის სახმელეთო ტექნიკა, რომელიც უსაფრთხო ადგილიდან იმართება ოპერატორის მიერ და გააჩნია სპეციალური ხელსაწყოები, რისი მეშვეობითაც საკუთარი ძალებისთვის საჭირო გარკვეული რაოდენობის ტვირთის მიწოდებას, ან ბრძოლის

⁸ Choloe Hoorman and Elise Vincent, Le Monde: Ukrainian naval drone attacks force Russian fleet out of crimea, https://www.lemonde.fr/en/international/article/2024/07/22/ukrainian-naval-drone-attacks-force-russian-fleet-out-of-crimea_6694576_4.html, 22/07/24/, (გახსნილია 2024 წლის 20 ოქტომბერს).

⁹ 20 ოქტომბერს).

¹⁰ Anita Hawser, Defence Procurement International: Inside Ukraine's drone warfare: The rise of first-person view drones Ukraine's use of FPV drones is described as 'game-changing' by Baltic countries, which are building drone armies, <https://www.defenceprocurementinternational.com/features/air/ukraines-fpv-drones-fitted-with-grenades-and-anti-tank-mines-are-a-game-changer-on-the-battlefield>, 07/18/24, (გახსნილია 2024 წლის 20 ოქტომბერს).

¹¹ Drones for Civilian Applications: Our SKELDAR unmanned systems can assist with complex missions in civilian domains such as coastguard monitoring, search and rescue and border control, <https://umsskeldar.aero/capabilities/drones-for-civilian-applications/>, (გახსნილია 2024 წლის 20 ოქტომბერს).

ველიდან დაჭრილების ევაკუაციას უზრუნველყოფს.^{12,13} ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად იზრდება დრონების ფუნქციები და მათი შესაძლებლობების ნომენკლატურაც უფრო და უფრო ფართოვდება. დღესდღეისობით დრონების გამოყენება კიბერუსაფრთხოების დარგშიც შესაძლებელი გახდა. არსებობს თანამედროვე სენსორებით აღჭურვილი უპილოტო აპარატები, რაც კიბერთავდასხმის დროული გამოვლენის, მონიტორინგის და შეფასების საშუალებას იძლევა. დრონებს შეუძლიათ შეითავსონ ტრანსპორტირების როლიც, რაც ამცირებს ტრანსპორტირებისთვის საჭირო სახსრებს და დროს. დრონების გამოყენება შესაძლებელია ინფრასტრუქტურის ინსპექტირების მიზნითაც, მაგალითად ხიდების, გზების, ელექტროგადამცემი ხაზების და ა.შ. შესამოწმებლად, რათა გაიზარდოს უსაფრთხოება და მომსახურე პერსონალისთვის შემცირდეს ზიანის რისკები. არსებობენ უპილოტო საშუალებები, რომელთაც შეუძლიათ შეაგროვონ მონაცემები გარემოსდაცვითი კვლევებისთვის. უპილოტო საფრენი აპარატები ხშირად გამოიყენება სოფლის მეურნეობაშიც, მოსავალის შეწამვის, მონიტორინგის და რესურსების მართვისთვის, რაც ფერმერებს უადვილებს პრაქტიკის ოპტიმიზაციას და მოსავლიანობასაც უწყობს ხელს. უპილოტოებს იყენებენ სამართალდამცავებიც, როდესაც საჭიროა სხვადასხვა ღონისძიებაზე დაკვირვება, დანაშაულის ანალიზი და ა.შ. სხვადასხვა დანიშნულების და ტიპის უპილოტოების გამოყენება შესაძლებელია საგანგებო სიტუაციების დროსაც, მაგალითად სამძებრო-სამაშველო ოპერაციების განხორციელებაში, ხანძარსაწინააღმდეგო მოქმედებებში, კატასტროფების მიერ მიყენებული ზიანის შეფასებაში და ასე შემდეგ. ამერიკის შეერთებულ შტატებში აწარმოებენ დრონებს, რომელთაც შეუძლიათ არა მარტო სადაზვერვო და დამრტყმელი ფუნქციების შეთავსება, არამედ აქვთ ჰაერში საწვავით გამართვის და საჰაერო ორთაბრძოლებში უპირატესობის მოპოვების შესაძლებლობებიც.^{14,15}

დასკვნა

უპილოტო საშუალებები თავდაპირველად ძვირადღირებულ და მაღალტექნოლოგიურ საშუალებებს წარმოადგენდა და მათი პრაქტიკაში გამოყენების ფუფუნება, მხოლოდ რამდენიმე სახელმწიფოს თუ შეეძლო. განსხვავებული სიტუაციაა დღეს, ვინაიდან მკვეთრად გაიზარდა იმ სახელმწიფოთა რიცხვი, რომლებიც იყენებენ უპილოტო ტექნიკას. ოცდამეერთე საუკუნის კონფლიქტებმა გვაჩვენა, რომ დრონები საკმაოდ ეფექტურ საშუალებებს წარმოადგენენ. მაღალტექნოლოგიური და ძვირადღირებული დრონების გარდა არსებობენ საკმაოდ იაფი უპილოტო საშუალებები, რომელთა წარმოება ან შექმნა საკმაოდ იოლია. სიიაფის, მობილურობის, მრავალფუნქციურობის, რთულად შესამჩნევობის, ეფექტურობის და უსაფრთხოების თვალსაზრისიდან გამომ-

¹² Avilus, MEDEVAC Grille: The German Resque Drone, <https://avilus.com/solution>, (გახსნილია 2024 წლის 20 ოქტომბერს).

¹³ Dylan Malyasov, Defence Blog: Ukrainians develop MEDEVAC robot to save lives on the battlefield, <https://defence-blog.com/ukrainians-develop-medevac-robot-to-save-lives-on-the-battlefield/>, 10/27/23, (გახსნილია 2024 წლის 21 ოქტომბერს).

¹⁴ The Boeing Company, MQ-25TM, <https://www.boeing.com/defense/mq25#ready-mission>, (გახსნილია 2024 წლის 21 ოქტომბერს).

¹⁵ The Boeing Company, MQ-28, <https://www.boeing.com/defense/mq28>, (გახსნილია 2024 წლის 21 ოქტომბერს).

დინარე საერთო ჯამში სახმელეთო, საჰაერო და საზღვაო უპილოტო საშუალებები მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ოპერატიული ეფექტიანობის, სტრატეგიული მოქნილობის და ეროვნული უსაფრთხოებისთვის საჭირო სხვა მნიშვნელოვანი ასპექტების განხორციელებაში.

გამოყენებული ლიტერატურა

- John W.R. Taylor, John F Guilmartin, Unmanned aerial vehicles (UAV) in military aircraft, <https://eta.edu.ge/uploads/kvleviti centri/2023naSromis hsesrulebis standarti.pdf>, (გახსნილია 2024 წლის 20 ოქტომბერს).
- Imperial War Museum, A Brief History of Drones, <https://www.iwm.org.uk/history/a-brief-history-of-drones>, (გახსნილია 2024 წლის 20 ოქტომბერს).
- Part of Ij Infantry Group, © 2024, Drones in the Nagorno-Karabagh War Analyzing the Data, Eado Heachl-Israel Defence Forces Tactical Command College, <https://www.militarystrategymagazine.com/article/drones-in-the-nagorno-karabakh-war-analyzing-the-data/>, (გახსნილია 2024 წლის 20 ოქტომბერს).
- Oryx, Death From Above-Azerbaijan's Killer Drone Arsenal, <https://www.oryxspioenkop.com/2021/12/death-from-above-azerbajians-killer.html>, (გახსნილია 2024 წლის 20 ოქტომბერს).
- Azerbaijan Joins World Defense Show 2024, <https://turdef.com/article/azerbaijan-joins-world-defense-show-2024>, 05/02/24, (გახსნილია 2024 წლის 20 ოქტომბერს).
- Oryx, Death From Above-Azerbaijan's Killer Drone Arsenal, <https://www.oryxspioenkop.com/2021/12/death-from-above-azerbajians-killer.html>, (გახსნილია 2024 წლის 20 ოქტომბერს).
- BBC, Ukraine Weapons: What arms are the UK and other countries supplying, <https://www.bbc.com/news/world-europe-62002218>, 6/9/24/, (გახსნილია 2024 წლის 20 ოქტომბერს).
- Chloe Hoorman and Elise Vincent, Le Monde: Ukrainian naval drone attacks force Russian fleet out of crimea, https://www.lemonde.fr/en/international/article/2024/07/22/ukrainian-naval-drone-attacks-force-russian-fleet-out-of-crimea_6694576_4.html, 22/07/24/, (გახსნილია 2024 წლის 20 ოქტომბერს).
- Anita Hawser, Defence Procurement International: Inside Ukraine's drone warfare: The rise of first-person view drones Ukraine's use of FPV drones is described as 'game-changing' by Baltic countries, which are building drone armies, <https://www.defenceprocurementinternational.com/features/air/ukraines-fpv-drones-fitted-with-grenades-and-anti-tank-mines-are-a-game-changer-on-the-battlefield>, 07/18/24, (გახსნილია 2024 წლის 20 ოქტომბერს).
- Drones for Civilian Applications: Our SKELDAR unmanned systems can assist with complex missions in civilian domains such as coastguard monitoring, search and rescue and border control, <https://umsskeldar.aero/capabilities/drones-for-civilian-applications/>, (გახსნილია 2024 წლის 20 ოქტომბერს).
- Avilus, MEDEVAC Grille: The German Rescue Drone, <https://avilus.com/solution>, (გახსნილია 2024 წლის 20 ოქტომბერს).

Dylan Malyasov, Defence Blog: Ukrainians develop MEDEVAC robot to save lives on the battlefield, <https://defence-blog.com/ukrainians-develop-medevac-robot-to-save-lives-on-the-battlefield/>, 10/27/23, (გახსნილია 2024 წლის 21 ოქტომბერს).

The Boeing Company, MQ-25TM, <https://www.boeing.com/defense/mq25#ready-mission>, (გახსნილია 2024 წლის 21 ოქტომბერს).

The Boeing Company, MQ-28, <https://www.boeing.com/defense/mq28>, (გახსნილია 2024 წლის 21 ოქტომბერს).

ჩინეთისა და ამერიკის გეოპოლიტიკური მდგომარეობა აღმოსავლეთ ევროპაში

ლევან მენაბდიშვილი

სსიპ-დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს
ეროვნული თავდაცვის აკადემიის
მაგისტრატურის უსაფრთხოების კვლევების მიმართულების მსმენელი

აბსტრაქტი

სტატიის ძირითად მიზანს წარმოადგენს, გლობალური ძალის ცენტრების, კერძოდ ჩინეთისა და ამერიკის გეოპოლიტიკური მდგომარეობის წარმოჩენა, აღმოსავლეთ ევროპაში, განსაკუთრებით, უკრაინაში მიმდინარე რუსეთთან სამხედრო დაპირისპირების ფონზე. ორივე სახელმწიფოს ინტერესებიდან გამომდინარე არის როგორც თანხვედრის ასევე საწინააღმდეგო პრიორიტეტები, რაც კიდევ უფრო რთულს ხდის სტაბილურობის შენარჩუნებას. კვლევა დაეყრდნო სოციალური კვლევის თვისებრივ მეთოდს. ნაშრომში წარმოდგენილია კვლევის შედეგად იდენტიფიცირებული ძირითადი მიმართულებები, რომლებიც საფრთხეს უქმნის სტაბილური გარემოს არსებობას აღმოსავლეთ ევროპაში. ეს მიმართულებებია: პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო ინტერესები. უკრაინაში მიმდინარე კონფლიქტმა, უკანა პლანზე გადაიტანა ყურადღება, ამერიკისა და ჩინეთის ურთიერთობებთან მიმართებაში. თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ მათი ინტერესები შეიცვალა და საფრთხის ალბათობა აღარ არსებობს. ზემოხსენებული ძირითადი მიმართულებების განხილვა, შესაძლებელს გახდის კიდევ უფრო თვალსაჩინოდ წარმოაჩინოს ამერიკისა და ჩინეთის მიდგომები, აღმოსავლეთ ევროპის მიმართ, სადაც ინტერესები თანხვედრაში არ მოდის. უკრაინაში მიმდინარე ომმა, გეოპოლიტიკური თვალსაზრისით გავლენა მოახდინა როგორც, ჩინეთზე ასევე ამერიკაზე, რაც კიდევ უფრო მოწყვლადს ხდის აღმოსავლეთ ევროპის რეგიონს და სტაბილური გარემოს შექმნას უყენებს სხვადასხვა გამოწვევებს.

საკვანძო სიტყვები: ჩინეთ-ამერიკის ურთიერთობები, აღმოსავლეთ ევროპა, გეოპოლიტიკური დაპირისპირება.

The geopolitical situation of China and the America in Eastern Europe

Levan menabdishvili

Student of Master's Program in Security Studies of
LEPL-David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia

Abstract

The main goal of the article is to present the geopolitical situation of the global power centers, namely China and America, against the background of the ongoing military confrontation with Russia in Eastern Europe, especially in Ukraine. There are both congruent and conflicting priorities in the interests of both states, which makes maintaining stability even more difficult. The research was based on the qualitative method of social research. The paper presents the main directions identified as a result of the research, which threaten the existence of a stable environment in Eastern Europe. These directions are: political, economic and military interests. The ongoing conflict in Ukraine has shifted attention to the background in relation to the relations between America and China. However, this does not mean that their interests have changed and the possibility of danger no longer exists. The discussion of the above-mentioned main directions will make it possible to show even more visibly the approaches of America and China towards Eastern Europe, where the interests do not coincide. The ongoing war in Ukraine has affected both China and America from a geopolitical point of view, which makes the Eastern European region even more vulnerable and poses various challenges to creating a stable environment.

Keywords: Sino-American relations, Eastern Europe, geopolitical confrontation.

შესავალი

მსოფლიოში არსებული რეგიონებიდან გამომდინარე, შესაძლებელია ითქვას, რომ ერთ-ერთი ყველაზე რთული და კონფლიქტური მიმართულება არის აღმოსავლეთ ევროპა. შესაბამისად ყოველთვის აქტუალურ საკითხს წარმოადგენს მშვიდობისა და სტაბილურობის გამოწვევების განხილვა ზემოხსენებულ რეგიონში. აღმოსავლეთ ევროპა თავისი ისტორიული გამოცდილებიდან გამომდინარე, თითქმის ყოველთვის მოვლენების ეპიცენტრში იყო და სწორედ ამის დასტურია მსოფლიო ომების მიმდინარეობა, აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოების ტერიტორიაზე. გეოპოლიტიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, მსოფლიოში საკმაოდ მნიშვნელოვან ტერიტორიულ ერთეულს წარმოადგენს, აქედან გამომდინარე, ინტერესიც მაღალია საერთაშორისო სისტემაში არსებული გლობალური დონის სახელმწიფოების მხრიდან და შეიძლება ითქვას, რომ ხშირად ხდება დაპირისპირების ობიექტიც. 21-ე საუკუნის დასაწყისში, აქტიურ ფაზაში გადავიდა ჩინეთის ეკონომიკური კეთილდღეობის ზრდა, რამაც თავისთავად, კიდევ უფრო მეტის სურვილი გაუჩინა ქვეყანას. აღმოსავლეთ ევროპა არის მიმართულება, სადაც დასავლეთის ინტერესები მაღალია, ჩინეთი კი წარმოადგენს სახელმწიფოს, რომელსაც უნდა გავლენები გაზარდოს საკუთარი რეგიონის ფარგლებს გარეთ და სწორედ აღმოსავლეთის სახელმწიფოები წარმოადგენენ დაინტერესების ობიექტს. არის მიმართულებები, სადაც დასავლეთის და ჩინეთის ინტერესები არ მოდის თანხვედრაში, ესენია: ეკონომიკური, პოლიტიკური და სამხედრო. მნიშვნელოვანი ფაქტორი ეკონომიკურ კონკურენციაზე გადის, რასაც გასული წლების ურთიერთობები ადასტურებს, ჩინეთსა და ამერიკას შორის. აღმოსავლეთ ევროპაში, უკრაინარუსეთის ომის ფონზე, უკანა პლანზე გადავიდა ჩინეთისა და დასავლეთის ურთიერთობების ფაქტორი, რამაც შესაძლოა კიდევ უფრო არასტაბილური გახადოს რეგიონი. აქედან გამომდინარე საკმაოდ საინტერესოა, როგორ შეცვალა და რა გავლენა მოახდინა უკრაინაში მიმდინარე ომმა, ჩინეთისა და დასავლეთის ურთიერთობებისა თუ გამოწვევების მიმართულებით. სტატიაში მოცემულია ამერიკის და ჩინეთის ურთიერთობების განვითარება სამი მიმართულებით: პოლიტიკური ეკონომიკური და სამხედრო კუთხით, უკრაინაში მიმდინარე ომის ფონზე.

მოცემული სტატიის მიზანს წარმოადგენს განიხილოს და წარმოაჩინოს ჩინეთ-დასავლეთის, ის ძირითადი მიმართულებები, რაც გავლენას ახდენს მშვიდობასა და სტაბილურობაზე აღმოსავლეთ ევროპაში, უკრაინაში მიმდინარე ომის პარალელურად.

ჩინეთის და ამერიკის პოლიტიკური ურთიერთობები აღმოსავლეთ ევროპაში

ჩინეთის და ამერიკის ურთიერთობა საკმაოდ კომპლექსური ხასიათისაა, რაც თავის მხრივ აერთიანებს სხვადასხვა სფეროებსა თუ მიმართულებებს. ხსენებულ ორ სახელმწიფოს შორის მთავარი კონკურენციის ველი ეკონომიკური და პოლიტიკური თვალსაზრისით ხასიათდება. მიმდინარე საუკუნის დასაწყისში უკვე მზარდი ტენდენციები ჩანდა ჩინეთის ეკონომიკური გაძიერების პოტენციალის მიმართ, რასაც სხვა დანარჩენი მსოფლიო აკვირდებოდა. განსაკუთრებით საყურადღებო აღმოჩნდა ამერიკისთვის, რადგან პირდაპირი მეტოქე აღმოჩნდა ჩინეთი მისთვის, რაც ბოლო ათწლეუ-

ულში უკვე ოფიციალურ საგარეო პოლიტიკის დოკუმენტებშიც აღწერილია. ერთ-ერთი საინტერესო გავლენის სფეროა აღმოსავლეთ ევროპა, სადაც უმეტესად ეკონომიკური თვალსაზრისით განვითარებადი სახელმწიფოები არიან, ეს კი ნებისმიერი ძლიერი ქვეყნისთვის მომხიბვლელი რეგიონია. აქედან გამომდინარე ჩინეთისა და ამერიკის ინტერესები იკვეთება, რაც გულისხმობს, იმას რომ რომელი სახელმწიფოც იქნება ეკონომიკური თვალსაზრისით ლიდერ პოზიციაზე, პოლიტიკურადაც მეტად მოახდენს გავლენას, საკუთარი ინტერესების გასატარებლად.

აღსანიშნავია, რომ 2022 წლის, რუსეთის მხრიდან უკაინაზე სამხედრო თავდასხმის შემდეგ, შეიცვალა მიდგომები, აღმოსავლეთ ევროპასთან დაკავშირებით და შესაბამისად ყველასთვის პოტენციურად არასტაბილურ გარემოს წარმოადგენდა. ამ ყველაფერმა გავლენა მოახდინა, როგორც პოლიტიკურ, ისე ეკონომიკურ თუ სამხედრო სფეროებზეც, რაც სახელმწიფოებისთვის უმთავრეს მიმართულებებს წარმოადგენს. რუსეთის უკრაინაში შეჭრამდე ჩინეთის პოლიტიკა აღმოსავლეთ ევროპის მიმართულებით სტაბილურ მოცემულობაში იყო, რის შენარჩუნებასაც ცდილობდა ომის შემდეგ, თუმცა რთულია შეინარჩუნო ურთიერთობები, როგორც რუსეთთან ისე დასავლეთთან რადგან მათი მიდგომები სრულიად ურთიერთსაპირისპიროა. ჩინეთი დიპლომატიური თვალსაზრისით რუსეთს უჭერს მხარს, მიუხედავად იმისა, რომ უშუალოდ არ ემხრობოდა უკრაინაში სამხედრო ესკალაციას. „სტრატეგიული თვალსაზრისით, ჩინეთის ინტერესი ევროპის კონტინენტზე საკუთარი პოლიტიკური და ეკონომიკური გავლენის გავრცობაშიმდგომარეობს, რითაც ისეთი საერთაშორისო წესრიგის შექმნას შეუწყობს ხელს, რომელშიც აშშ დომინანტი არ იქნება“ (დავლიანიძე 2024). ზემოხსენებულიდან გამომდინარე, ჩინეთის პოლიტიკა სტრატეგიული გადმოსახედიდან თანხვედრაში მოდის რუსულთან, რაც გულისხმობს იმას, რომ ერთად უნდა დაუდგნენ დასავლური გავლენების გაძლიერებას და იმ საერთაშორისო წესრიგის შეცვლაზე უნდა იზრუნონ, რასაც ამერიკამ და ცივილურმა სამყარომ ჩაუყარა საფუძველი. აქედან გამომდინარე, ჩინეთი ცდილობს შეინარჩუნოს ურთიერთობა რუსეთთან და ამავე დროს მიიღოს სარგებელი აღმოსავლეთ ევროპაში განვითარებული მოვლენებიდან. პოლიტიკური თვალსაზრისით ამერიკის შეერთებული შტატები, მხარს უჭერს უკრაინას როგორც პოლიტიკური, ისე სამხედრო თუ ეკონომიკური კუთხით. მიმდინარე ომის პერიოდში, ჩინური გავლენები შედარებით შესუსტდა, თუმცა გაძლიერდა იქ, სადაც პრორუსული განწყობები მაღალია. მაგალითად, სერბეთში და უნგრეთში, მოცემულ სახელმწიფოებში კიდევ უფრო გაიზარდა პოლიტიკური თანამშრომლობა ჩინეთის მხრიდან, რასაც ადასტურებს სი ძინპინის ვიზიტი უნგრეთში. „ჩინეთმა და უნგრეთმა სტრატეგიული პარტნიორობის შეთანხმება გააფორმეს და გარედა ამისა, ეკონომიკური და კულტურული თანამშრომლობის გაღრმავების მიზნით 18 ხელშეკრულებას მოაწერეს ხელი“.¹ პოლიტიკური მიმართულებით, ჩინეთი ცდილობს მაქსიმალური გავლენები მოიპოვოს იმ ქვეყნებში, სადაც თუნდაც დოებით დასავლეთი დაკარგავს კონტროლს. ამის შესაძლებლობა განჩნდა უკრაინაში მიმდინარე ომის დროს, როდესაც შეერ-

¹ დავლიანიძე, ხატია. "სი ძინპინის კლუბი ევროპაში: უნგრეთი და სერბეთი." *civili georgia*, 2024.

თეზული შტატების ძირითადი ძალისხმევა მიმართულია უკრაინაზე შედარებით სხვა ქვეყნები უკანა პლანზე აღმოჩნდნენ, რამაც ჩინეთს შესაძლებლობა მისცა, აეთვისებინა ეს ყველა სივრცე, როგორც პოლიტიკური ისე ეკონომიკური თვალსაზრისით. ამის მაგალითია ჩინეთის და საქართველოს ურთიერთობა, რუსეთ-უკრაინის ომის დაწყების შემდეგ, 2023 წელს გაფორმდა სტრატეგიული პარტნიორობის ხელშეკრულება, რაც საქართველოსა და ჩინეთს კიდევ უფრო დაახლოებს ერთმანეთთან, პირველ რიგში პოლიტიკური თვალსაზრისით. ყველა განხილულ ფაქტორთან ერთად, ჩინეთს გაუჩნდა ამბიციის, რაც ინიციატივის სახით, წარადგინა, თუ როგორ უნდა დაესრულებინა, აღმოსავლეთ ევროპაში, რუსეთ-უკრაინის ომი სამშვიდობო ხელშეკრულებით. „ომის დასრულების ჩინეთის გეგმა შეიცავს 12 პუნქტს, რომლებიც, პეკინის აზრით, ხელს შეუწყობს საომარი მოქმედებების დასრულებას“.² აქედან გამომდინარე, ჩინეთი ცდილობს თავისი გარემო შექმნას და გლობალურ დონეზე წარადგინოს სამშვიდობო ინიციატივები.

ჩინეთ-ამერიკის ეკონომიკური და სამხედრო ინტერესები აღმოსავლეთ ევროპაში

ეკონომიკური ურთიერთობები ჩინეთსა და შეერთებულ შტატებს შორის აღმოსავლეთ ევროპაში რამდენიმე კომპლექსური ფაქტორით არის ჩამოყალიბებული, მათ შორის გეოპოლიტიკური მიზნებიდან გამომდინარე. როგორც ვახსენეთ, ჩინეთის სურვილია გასცდეს თავის რეგიონს და გავლენები გაზარდოს ყველა მიმართულებით სადაც კი ამის პერსპექტივას დაინახავს, ასეთი დაინტერესების ობიექტი არის აღმოსავლეთ ევროპა. ჩინეთს გააჩნია სტრატეგიული ხედვა, თუ როგორ უნდა მოაქციოს სახელმწიფოები, თავისი გავლენების ქვეშ. ეკონომიკა არის ის მიმართულება, რაც მისი მიზნების შესრულებას უწყობს ხელს. „Belt and Road Initiative (BRI)“ ჩინეთი ცდილობს გააფართოვოს თავისი ეკონომიკური გავლენები, აღმოსავლეთ ევროპაში ინფრასტრუქტურული პროექტების მეშვეობით, როგორცა (BRI), სარტყელის და გზის ინიციატივის სახელით ცნობილი პროექტით. რაც გულისხმობს ჩინეთის მხრიდან დახმარებას სხვა სახელმწიფოებზე, ინფრასტრუქტურული თუ ენერგეტიკული სამუშაოების დაფინანსებით. ჩინეთმა ინვესტიცია განახორციელა სატრანსპორტო ინფრასტრუქტურაში (რკინიგზა, პორტები, მაგისტრალები), ენერგეტიკულ პროექტებსა და საწარმოო ჰაბებში. აქედან გამომდინარე, ზემოხსენებული მიდგომა, მომხიბვლელად ჩანს, თუმცა რეალურად ეს სხვა ქვეყნებს ჩინეთზე მეტად დამოკიდებულს ხდის და გავლენების გაზრდაში ეხმარება, რისი მიღწევაც, რა თქმა უნდა, მის ინტერესებში შედის. მსგავსი პროექტები განხორციელებული აქვს აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში როგორცაა პოლონეთი, უნგრეთი და სერბეთი. გაიზარდა ვაჭრობა ჩინეთსა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს შორის, ჩინეთი ახორციელებს ტექნიკის, ელექტრონიკის და სამომხმარებლო საქონლის ექსპორტს. აღმოსავლეთ ევროპის ზოგიერთი ქვეყანა, განსაკუთრებით ის, ვინც არ არის ევროკავშირში, იყო ჩინეთის სესხების მიმღები ფართომასშტაბი-

² რეხვიაშვილი, ჯიმშერ. "ვის ემუქრება ჩინური მშვიდობა?!" რადიო თავისუფლება, 2023.

ანი ინფრასტრუქტურული პროექტებისთვის, როგორცაა გზები, ხიდები და ენერგეტიკული ობიექტები. ეს დაწყებული იყო 2022 წლამდე, თუმცა მას შემდეგ გარკვეულწილად შეფერხდა რიგ ქვეყნებში, ეს გამოიწვია რუსეთის თავდასხმამ უკრაინაზე. ამის მიუხედავად, სერბეთში და უნგრეთში უფრო გაიზარდა ჩინური გავლენები, რასაც ეკონომიკური ურთიერთობები ადასტურებს ამ სახელმწიფოებს შორის.

უკრაინაში მიმდინარე ომმა, რომელიც დაიწყო 2022 წელს რუსეთის შეჭრით, მკვეთრად შეცვალა აღმოსავლეთ ევროპის გეოპოლიტიკური ლანდშაფტი. კონფლიქტმა გააძლიერა რეგიონის სტრატეგიული მნიშვნელობა, განსაკუთრებით შეერთებული შტატებისა და ჩინეთისთვის, რომლებსაც აქვთ ეკონომიკური და სამხედრო ინტერესები. ამერიკა აქტიურადაა ჩართული აღმოსავლეთ ევროპაში, როგორც ეკონომიკური, ისე სამხედრო თვალსაზრისით, რაც ქმნის მის დომინირებას რეგიონში. ამის დასტურია ევროკავშირთან და ნატოსთან მჭიდრო ურთიერთობები, თუმცა, რა თქმა უნდა არიან სახელმწიფოები, სადაც ამერიკის გავლენა ნაკლებია და სწორედ ეს აძლევს ჩინეთს იმის შესაძლებლობას, საკუთარი ინტერესები მოიყვანოს სისრულეში. სამხედრო მიმართულებით, ჩინეთის შესაძლებლობები საკმაოდ დაბალ დონეზეა აღმოსავლეთ ევროპაში და შეიძლება ითქვას, რომ არ აქვს გავლენები ამ მხრივ, მისი სიძლიერე განისაზღვრება უფრო პოლიტიკურ და ეკონომიკურ საკითხებში. უკრაინაში მიმდინარე ომმა, შეაფერხა ჩინეთის ეკონომიკური პროექტები, განსაკუთრებით ის, რომლებიც აღმოსავლეთ ევროპას უკავშირდებოდა უკრაინის გავლით, ასევე ომის დასრულებამდე სამომავლო პერსპექტივების განსაზღვრაც საკმაოდ რთულია. დამაბულობის მიუხედავად, ჩინეთი აგრძელებს სავაჭრო ურთიერთობების გაფართოებას აღმოსავლეთ ევროპასთან, ფოკუსირებულია წარმოებაზე, ენერგეტიკასა და ტექნოლოგიაზე. თუმცა, უკრაინის ომმა რეგიონი უფრო ფრთხილი გახადა ჩინეთის გავლენის მიმართ, განსაკუთრებით ისეთ საკითხებთან დაკავშირებით, როგორც არის 5G ინფრასტრუქტურა, სადაც ჩინურ კომპანიებს, სანდოობის ნაკლებობა აქვთ. ჩინეთის სამხედრო ინტერესები აღმოსავლეთ ევროპაში უფრო შეზღუდულია, ვიდრე აშშ-ის და ძირითადად ორიენტირებულია დიპლომატიურ და ეკონომიკურ ჩართულობაზე, ვიდრე უშუალო სამხედრო ჩართულობაზე. ჩინეთის ჩაურევლობის პოლიტიკა, რუსეთთან და დასავლეთთან კარგი ურთიერთობების შენარჩუნების სურვილი, მის სამხედრო პოზიციას აღმოსავლეთ ევროპაში დიდწილად პასიურს ხდის, მიუხედავად მისი მზარდი ეკონომიკური გავლენისა. უკრაინაში კონფლიქტმა ასევე გაზარდა აშშ-ის ფოკუსირება ერთიანი დასავლური ფრონტის შენარჩუნებაზე, მათ შორის რეგიონში ჩინეთის გავლენის წინააღმდეგ ბრძოლაზე. ჩინეთის მიდგომა აღმოსავლეთ ევროპაში განპირობებულია მისი ორმაგი ინტერესით, შენარჩუნოს ძლიერი კავშირები რუსეთთან და ასევე ეკონომიკური ინტერესების წინსვლა ევროკავშირთან და ნატოს წევრებთან. უკრაინის ომი ართულებს ჩინეთის დამაბალანსებელ აქტს, რადგან ის ცდილობს თავიდან აიცილოს რომელიმე მხარის გაუცხოება.

დასკვნა

დასკვნის სახით, რომ შევაჯამოთ, ჩინეთის და ამერიკის ინტერესები, აღმოსავლეთ ევროპაში ურთიერთსაპირისპიროა, რაც გარკვეულწილად ქმნის მათი დაპირისპირების წინაპირობებს, შეიძლება ეს არ იყოს სამხედრო ესკალაცია, თუმცა არასტაბილური გარემოს შექმნას უწყობს ხელს. ამერიკას აქვს ძლიერი გავლენები აღმოსავლეთ ევროპაში, რასაც ჩინეთი უპირისპირებს თავის ეკონომიკურ სტრატეგიას და ცდილობს შეამციროს ამერიკის გავლენები. ორ დიდ სახელმწიფოს შორის მეტოქეობა მიმდინარეობს როგორც, პოლიტიკური ისე ეკონომიკური და სამხედრო მიმართულებით. უკრაინის ომმა მნიშვნელოვნად იმოქმედა ჩინურ-ამერიკულ ეკონომიკურ და სამხედრო ინტერესებზე აღმოსავლეთ ევროპაში, ორივე ქვეყანამ შეცვალა თავისი სტრატეგიები განვითარებული კონფლიქტის საპასუხოდ. აშშ-სთვის პრიორიტეტად რჩება რუსეთის აგრესიის წინააღმდეგობა და ნატოს აღმოსავლეთი ფლანგის გაძლიერება, ხოლო ჩინეთისთვის აქცენტი კეთდება ეკონომიკური მიღწევის გაგრძელებაზე, მიუხედავად ომისგან გამოწვეული რისკებისა. კონფლიქტმა ასევე გააძლიერა გეოპოლიტიკური კონკურენცია აშშ-სა და ჩინეთს შორის, რადგან თითოეული ძალა ცდილობს გააძლიეროს თავისი გავლენა რეგიონის პოლიტიკურ და ეკონომიკურ მომავალზე, განსაკუთრებით ინფრასტრუქტურის, თავდაცვისა და ენერგეტიკული უსაფრთხოების სფეროებში.

გამოყენებული ლიტერატურა

- დავლიანიძე, ხატია. "სი ძინპინის კლუბი ევროპაში: უნგრეთი და სერბეთი." *civili georgia*, 2024.
- პერტაია, ლუკა. "როგორც ჩანს, რაღაც გამოვტოვეთ" - რაში სჭირდება ჩინეთს საქართველოსთან სტრატეგიული პარტნიორობა." *რადიო თავისუფლება*, 2023.
- რეხვიაშვილი, ჯიმშერ. "ვის ემუქრება ჩინური მშვიდობა?!" *რადიო თავისუფლება*, 2023.
- ქენქაძე, კახი. "ანალიტიკური ინფორმაციები ჩინეთის საგარეო პოლიტიკაზე." *ჯეოქეისი*, 2023.
- ძამუკაშვილი, სოსო. "არსებობს თუ არა ჩინეთთან თანამშრომლობის ალტერნატივა ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებისთვის?" *forbes*, 2022.

წინააღმდეგობის როლი საქართველოს ეროვნულ უსაფრთხოებაში

ლუკა შამუგია

სსიპ-დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს
ეროვნული თავდაცვის აკადემიის
მაგისტრატურის უსაფრთხოების კვლევების მიმართულების მსმენელი

აბსტრაქტი

წინამდებარე კვლევაში განხილულია წინააღმდეგობის მოძრაობა, როგორც ტოტალური თავდაცვის მნიშვნელოვანი ელემენტი. განსაზღვრულია თუ რა როლი აკისრია წინააღმდეგობას საქართველოს უსაფრთხოების უზრუნველყოფაში. წარმოდგენილია წინააღმდეგობის სტრუქტურა, კომპონენტები და ფაზები, თუ როგორ უნდა განხორციელდეს ეფექტური წინააღმდეგობა. მოყვანილია შესაბამისი მაგალითები, თუ რა სახის გამოწვევების წინაშე დგას ხელისუფლება წინააღმდეგობის ძალების განხორციელების პროცესში. წარმოდგენილია წინააღმდეგობის მოძრაობის აქტივაციისთვის რა წინაპირობები უნდა შექმნან საქართველოს თავდაცვის პოლიტიკის დამგეგმარებლებმა. ამავდროულად განსაკუთრებული ყურადღება მახვილდება წინააღმდეგობის როლის მნიშვნელობაზე, როგორც მოწინააღმდეგის კონვენციური ძალების შემოჭრამდე, ასევე ქვეყნის სრული ან ნაწილობრივი ოკუპაციის დროს, სახელმწიფოს დაცემისგან დახსნაში. უშუალოდ კვლევის პრობლემას წარმოადგენს საკითხის სპეციფიკურობა, ვინაიდან წინააღმდეგობის პროცესი წარმოადგენს მკაცრად გასაიდუმლოებულ მოქმედებებს, კვლევაში რთული აღმოჩნდა ზღვარის პოვნა იმ მასალის გასასაჯაროებლად რითაც შესაძლოა ჩამოყალიბდეს ეფექტური წინააღმდეგობის ძალები საქართველოში.

საკვანძო სიტყვები: წინააღმდეგობა, პარტიზანული ომი, იატაკქვეშეთი.

The role of resistance in national security of Georgia

Luka Shamugia

Student of Master's Program in Security Studies of
LEPL-David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia

Abstract

In the following study, resistance movement is discussed as a significant element of total defense. It is determined what role the resistance has in ensuring Georgia's security. The resistance structure, components and phases of how to conduct an effective resistance are presented. Relevant examples are given of what kind of challenges the government is facing in the process of implementing resistance forces. It is presented what prerequisites Georgian defense policy planners should create for the activation of the resistance movement. At the same time, special attention is paid to how important the role of resistance is, both before the invasion of the enemy's conventional forces, and during the full or partial occupation of the country, in saving the state from collision. The problem of the research is the specificity of the issue, since the process of resistance is a strictly secret action, it was difficult to find a limit in the research to make public the material, how could form effective resistance forces in Georgia.

Keywords: Resistance, Guerrilla war, Underground.

შესავალი

ეროვნული უსაფრთხოების ერთ-ერთ მიმართულებას სახელმწიფო თავდაცვა წარმოადგენს. სწორედ თავდაცვის დაგეგმვამ უნდა უზრუნველყოს მშვიდობიანობის პერიოდში იმ მექანიზმების ჩამოყალიბება, რომელიც საჭიროების შემთხვევაში ქვეყნის მობილიზებას სწრაფად და ეფექტურად მოახდენს. თავდაცვის დაგეგმვა გულისხმობს სახელმწიფო რესურსების კოორდინებულ გამოყენებას, რაც თავის მხრივ გამოიხატება პასუხისმგებლობების გადანაწილებაში თავდაცვის ძალებს, სახელმწიფო უწყებებსა და მოსახლეობას შორის. საქართველოს თავდაცვის პოლიტიკის მიმდინარე პრინციპი კი ტოტალური თავდაცვის სახელით არის ცნობილი.

საქართველოში ტოტალური თავდაცვის კონცეფციის პირველივე პარადიგმების გაჩენისას გამოიყო საზოგადოების ორი პოლუსი. ნაწილი, რომელიც კონცეფციას აღიქვამდა, როგორც არსებულ გამოწვევებზე ეფექტურ პასუხად და მეორე მხარე, რომელიც კატეგორიულად უარყოფითად იყო განწყობილი. ტოტალური თავდაცვისადმი კრიტიკა გამოწვეული იყო საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან გამომდინარე, ვინაიდან საქართველოს უსაფრთხოების კონცეფციის პირველივე ეროვნული ინტერესი ეხება ოკუპირებულ ტერიტორიებს და დეოკუპაციის საკითხს, სტრატეგიაც პასუხს უნდა სცემდეს არსებულ გამოწვევებს. კერძოდ, გეგმიურ პროცესად უნდა იყოს ჩამოყალიბებული, რომელიც ეტაპობრივად მოგვცემს პრობლემის გადაჭრის გზას. ტოტალური თავდაცვის სტრატეგია კრიტიკოსთა ხედვით აცდენილია ეროვნულ უსაფრთხოების კონცეფციას, ვინაიდან მათი თქმით ტოტალური თავდაცვა უზრუნველყოფს სტატუს ქვოს უზრუნველყოფას, სადაც არ შედის ოკუპირებული ტერიტორიები.

მოცემული ნაშრომის მთავარი იდეა არ მდგომარეობს ტოტალური თავდაცვის ნეგატიურ ან პოზიტიური ასპექტების განხილვაში, არამედ, შეეხება ტოტალური თავდაცვის შემადგენელ ქვაკუთხედს: წინააღმდეგობის ძალებს! ვინაიდან სახელმწიფოში წინააღმდეგობის ძალების არსებობა უზრუნველყოფს მისი გრავიტაციული ცენტრის მდგრადობას.

სტატიის საკვლევ კითხვებს წარმოადგენს:

- რას წარმოადგენს წინააღმდეგობა?
- რა გამოწვევების წინაშე დგას საქართველოს ხელისუფლება წინააღმდეგობის მობრუნების დაორგანიზების პროცესში?

კვლევის ეფექტურად წარსამართად გამოყენებული იქნება სიტუაციის შესწავლის მეთოდი.

ძირითადი ნაწილი წინააღმდეგობის კონცეფცია

კარლ ფონ კლაუზევიცმა „ომის შესახებ“ -ში შემოიღო გრავიტაციული ცენტრის ცნება. მისი თქმით ყველა ერს თუ სახელმწიფოს გააჩნია გარკვეული ცენტრი, რისი მორყევა ან განადგურება მთლიანად სახელმწიფოს დაცემას განაპირობებს. გრავიტაციული ცენტრი შეიძლება იყოს კონკრეტული პიროვნება, (მაგალითად შუა საუკუნეებში მეფე), ასევე, შესაძლოა იყოს რომელიმე ქალაქი, (დედაქალაქი, შუასაუკუნეებში რომელიმე ციხესიმაგრე) რომლის დაცემაც მოწინააღმდეგეს ბრძოლის ნებას უქვეითებს. თუმცა ყველაზე რთული მაშინ არის სიმძიმის ცენტრის მორყევა, როდესაც თავად მოსახლეობა წარმოადგენს სიმძიმის ცენტრს¹. რას ნიშნავს ეს? მოწინააღმდეგის მიმართ დაუმორჩილებლობა ერს აიძულებს ბრძოლას. აღნიშნული ტიპის ბრძოლაში დანებება ერის განადგურებას ნიშნავს. ერში ბრძოლა აღიქმება ეგზისტენციალური მდგომარეობიდან დაღწევის ერთადერთ გზად. როდესაც მოწინააღმდეგის კონვენციური შესაძლებლობები გაცილებით აღემატება საკუთარს, ბუნებრივია კონვენციურ ომში გამარჯვების პინა მოწინააღმდეგის მხარეს იქნება, თუმცა წინააღმდეგობის ელემენტის შემოღების შემთხვევაში ომის ტრადიციული აღქმის საზღვრები იცვლება. იქმნება კითხვა რას გულისხმობს წინააღმდეგობის მოძრაობა?

ხშირად ზღვარის აღმოჩენა ამბოხებასა და წინააღმდეგობას შორის რთულია, თუმცა უმჯობესია თავიდანვე განვსაზღვროთ ეს ორი ფენომენი. ამბოხება არის ორგანიზებული ძალისხმევა საკუთარი ხელისუფლების ჩამოსაგდებად. წინააღმდეგობა კი წარმოადგენს ამბოხების სპეციალურ ტიპს რომელიც პირდაპირ მიმართულია ოკუპაციის წინააღმდეგ! თუმცა მათი წარმოების მეთოდები თითქმის იდენტურია.

როდესაც მოსახლეობა არ ეგუება ოკუპანტს ან ძალას, რომელიც ცდილობს ქვეყნის ოკუპირებას, მასში ჩნდება რეაქცია, რომელიც შესაძლოა როგორც ძალადობრივი, ასევე, არაძალადობრივი სახის იყოს. არაძალადობრივი წინააღმდეგობის მოქმედებები შეიძლება იყოს აქციები, მანიფესტები, საინფორმაციო მანიპულაციები. რაც შეეხება ძალადობრივ წინააღმდეგობას, აქ საქმე გვაქვს გაცილებით კომპლექსურ და ორგანიზებულ ოპერაციებთან. აღნიშნული ტიპის წინააღმდეგობის მოძრაობა შედგება იატაკქვეშეთისგან და პარტიზანული ძალებისგან. ნებისმიერი ტიპის ომში საჭიროა „ძალადობის მენეჯმენტის“² გაწევა. წინააღმდეგობის ომში ტვინად, „ძალადობის მენეჯერად“, გვევლინება იატაკქვეშეთი. სწორედ ზემოთნახსენებმა ორგანიზაციამ უნდა განსაზღვროს წინააღმდეგობის მოძრაობის სტრატეგია, სადაც უნდა შევიდეს მნიშვნელოვანი (VIP) პერსონები და სტრატეგიული ინფრასტრუქტურა, რომლის განადგურება თავის მხრივ დაევალება პარტიზანებს. პარტიზანები წარმოადგენენ წინააღმდეგობის ძალების შეიარაღებულ ფრთას, რომელთა ძირითადი დავალებები წარმოადგენს: ინდივიდების ლიკვიდაციას და სტრატეგიულ ინფრასტრუქტურაზე საბოტაჟებს. აღ-

¹ Clausewitz, Carl Von. 2007. *On War*. London: Oxford University Press

² ჰანტიგტონი, სემუელ. 2005. *სამოქალაქო-სამხედრო ურთიერთობათა თეორია და პოლიტიკა*. თბილისი: საარი.

ნიშნული ოპერაციების განსახორციელებლად მათ უწევთ არაკონვენციური ოპერაციების მთელი რიგი ამოცანების შესრულება, როგორცაა არასტანდარტული ლოჯისტიკური ქსელების შექმნა, არასტანდარტული კავშირის დამყარება, მუდმივი რეკრუტირება. წინააღმდეგობის მოძრაობის არსი ეფუძნება მოწინააღმდეგის გამოფიტვას და ფსიქოლოგიურ ტერორს. ამის შემდეგ კი არაკონვენციური ელემენტები უნდა გარდაიქმნან კონვენციურებად და განდევნონ ოკუპანტები.³

მშვიდობიანობის პერიოდში საქართველოს თავდაცვის პოლიტიკის დაგეგმარებისას მნიშვნელოვანია წინააღმდეგობის მოძრაობისთვის საჭირო სწავლებებთან ერთად ყურადღება გამახვილდეს ერის მედეგობაზე. ვინაიდან მოსახლეობის გრავიტაციული ცენტრის სიმყარის უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია ერს წინააღმდეგობის სურვილთან ერთად გააჩნდეს ამტანობაც. თუ ერში მედეგობის კოეფიციენტი არ არის მაღალი, ნაკლებად სავარაუდოა, რომ მოსახლეობამ დიდ ხანს შეინარჩუნოს ნება. როდესაც მოსახლეობა დიდი ხნის მანძილზე ცხოვრობს რეპრესიულ გარემოში, ის ეტაპობრივად განიცდის ასიმილაციას. აქედან გამომდინარე დამგეგმავებმა უნდა გააცალკევონ მოსახლეობის მორალური აზრი მოწინააღმდეგეზე და სურვილი ერთმანეთისგან. სწორედ მედეგობის მიმართულებაში, ლოჯისტიკურად გრძელვადიანი მარაგების შექმნასთან ერთად მნიშვნელოვანია ერის ფსიქოლოგიური მომზადება, რომ საჭიროების შემთხვევაში გაიღონ რისკი საკუთარი ღირებულებებისა და ქვეყნის ინტერესების დასაცავად. ფსიქოლოგიური ოპერაციები პირდაპირ მიმართული უნდა იყოს საერთო იდეოლოგიის შექმნაზე, რადგანაც წინააღმდეგობის პირობებში სწორედ იდეოლოგია ასრულებს ბრძოლაში ჩაბმის ფუნქციას. თუ დამგეგმარებლებმა იდეოლოგია და მოტივაცია ერთმანეთს ვერ დაუკავშირეს მთლიანობა დაირღვევა და წინააღმდეგობის მოძრაობა იქნება ქაოტური.

წინააღმდეგობის მოძრაობა აერთიანებს მრავალ ურთიერთდაკავშირებულ მიზანს. ეს მიზნები შეიძლება დაიყოს სტრატეგიულ, ოპერატიულ და ტაქტიკურ დონეებად. სტრატეგიულ მიზანს შეიძლება ვუწოდოთ, სასურველი საბოლოო შედეგი. ანუ მდგომარეობა, როდესაც ლეგიტიმურ მთავრობა მოვა ხელისუფლების სათავეში და ოკუპანტი ძალები იქნებიან განდევნილი სახელმწიფოს საზღვრიდან. ყველაზე წვრილი დონე ტაქტიკური განსაკუთრებით ყურადღებას მოითხოვს, ვინაიდან აუცილებელია სიფრთხილით განხორციელდეს ამ დონის შესაბამისი ამოცანები, რომლებმაც ოპერატიული გარემო უნდა შექმნას. მაგალითისათვის, ტაქტიკური ტიპის ამოცანად შეიძლება ჩაითვალოს ცალკეული რეიდი ან საბოტაჟის აქტი. ტაქტიკურ დონეზე ძალებმა უნდა უზრუნველყონ საკუთარი ფარულობის და სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნება, ვინაიდან ისინი ოპერაციის შემდეგ ისევ უნდა დაბრუნდნენ საკუთარ ჯიბაზე⁴. თუ ფარულობა იქნა დარღვეული და მათი დისლოკაციის ადგილი გამოაშკარავდა, ამოცანა ოპერატიულ დონეზე ჩავარდება.

³ Fiala, Otto. 2020. *Resistance Operational Concept (ROC)*. Macdill Air Force Base, Florida: JSOU Press.

⁴ პარტიზანთა ბაზა

ისევე როგორც სამხედრო გადაწყვეტილების მიღების პროცესში (MDMP), ასევე, წინააღმდეგობის მოძრაობის დაგეგმვის პროცესში, როგორც სტრატეგიულ, ისე ტაქტიკურ დონეზე ადგილმდებარეობის გარემო ფაქტორებს და სამოქალაქო საკითხებს ჯეროვანი როლი ენიჭება. წინააღმდეგობის ძალებმა შეიძლება ჯიბაზე შექმნან როგორც სოფლის ტიპის, ასევე, ქალაქური ტიპის დასახლებაში. თითოეულ მათგანს გააჩნია როგორც დადებითი ისე უარყოფითი მხარე. მაგალითისათვის, სოფლის ტიპის გარემოში პარტიზანული ბაზის უსაფრთხოება უზრუნველყოფილია რთულად მიღწევადობით, რაც მთავარი გზებისგან სიმორითა და ბუნებრივი დაბრკოლებების სიუხვით გამოიხატება. რაც შეეხება ნაკლოვანებებს: ლოჯისტიკური ხაზები ნელია და ნაკლებად მობილური, ასევე ხშირად არის კავშირგაბმულობის პრობლემები. ურბანულ ტერიტორიებზე შესაძლებელია სწრაფი ლოჯისტიკური და კავშირგაბმულობის ხაზებით სარგებლობა, ასევე შესაძლებელია მჭიდროდ დასახლებული უბნების გამოყენება თავშესაფრად, თუმცა აღნიშნული ტიპის გარემოში რთულდება პარტიზანთა მომზადება.

წინააღმდეგობის სტრუქტურის სიღრმისეული განსაზღვრისას გამოკვეთილია 3 კომპონენტი. იატაკქვეშეთი, პარტიზანული მოძრაობა და დამხმარე ძალები. იატაკქვეშეთის უნიკალურობა გამოიხატება შესაძლებლობით, რომ იმუშაონ ისეთ ადგილებში, რომლებიც კონტროლირებადია ოკუპანტების მიერ. იატაკქვეშეთის წევრები არ ითვლებიან კომბადანტებად, ისინი არიან საზოგადოების ჩვეულებრივი ფენა, რომლებსაც აქვთ სამოქალაქო სამსახური და სტანდარტული ცხოვრების წესი. ორგანიზაციის ფარულობას განსაზღვრავს მისი საიდუმლო ბუნება. შესაძლებელია რომელიმე დანაყოფის ლიდერი, მაგალითად, ოპერატიული უჯრედის დანაყოფის ლიდერი არ იცნობდეს მის წევრებს. ის იყენებს შუამავალს დავალებების გადასაცემად, რომელსაც თავის მხრივ უშუალოდ უჯრედის ლიდერი ჰყავს და დაყავს აღნიშნული დავალება უჯრედის წევრებზე. უფრო გასაიდუმლოებული მოდელია სადაზვერვო უჯრედი, ვინაიდან აქ თვითონ უჯრედის ლიდერებიც იყენებენ შუამავლებს, რომლებიც დავალებას დაიყვანენ წევრებზე. აღსანიშნავია, რომ სადაზვერვო უჯრედში შესაძლოა წევრებმაც არ იცოდნენ საერთო უჯრედში მუშაობის შესახებ. ერთი და იგივე ამოცანა შეიძლება ისე შეასრულონ, რომ წარმოდგენა არ ჰქონდეთ ერთმანეთის შესახებ. დავალების დონის მიხედვით, შესაძლოა ამ სქემის კიდევ უფრო გაზრდა შუამავლებით. ამდაგვარი გასაიდუმლოების საჭიროება არ ნიშნავს იმას, რომ ნდობა არ არის უჯრედებში, არამედ ამოცანის ჩავარდნის ან რომელიმე წევრის გამოაშკარავების შემთხვევაში არ გამოაშკარავდეს მთლიანი უჯრედი. აღნიშნული მიდგომით უჯრედი წევრების დაკარგვის მიუხედავად ფარულად არსებობას მაინც განაგრძობს. უშუალოდ რაც შეეხება იატაკქვეშეთის ფუნქციებს ესენია: უჯრედული ქსელების ჩამოყალიბება, რადიოელექტრონული ბრძოლა, საინფორმაციო ფსიქოლოგიური ოპერაციები, ლოჯისტიკური მარშრუტების კონტროლი, კრიტიკული ობიექტებისა და პიროვნებების განსაზღვრა.

დამხმარე ძალები შეიძლება გავაიგივოთ ორგანიზმში სისხლის ფუნქციასთან. ისინი არიან მოსახლეობის ნაწილი, მოხალისეები, რომლებიც ეხმარებიან როგორც

პარტიზანებს, ისე იატაკქვეშეთს. როგორც წესი მათ ავალეებენ პროპაგანდის გავრცელებას, ლოჯისტიკურ შესყიდვებს, წინააღმდეგობის ძალების მონაწილეების ფარულ ტრანსპორტირებას, კონსპირაციული ადგილების მენეჯმენტს, ასევე, ითავსებენ კურიერების ფუნქციას. მათ ევალეებათ საფრთხის აღმოჩენის შემთხვევაში დროული გაფრთხილება. მაგალითისათვის, სოფლის ტიპის დასახლებაში არსებულ ჯიბაზაზე თუ მოწინააღმდეგემ დააპირა თავდასხმა, ისინი ერთგვარ გუშაგის ფუნქციას ასრულებენ და დროული, სიტუაციის შესაბამისი ხერხების გამოყენებით აცნობენ პარტიზანებს მოახლოებული საფრთხის შესახებ.

იშვიათია წინააღმდეგობის ძალებმა საგარეო მხარდაჭერის გარეშე მიაღწიონ სასურველ შედეგს. მხარდაჭერა კი შესაძლოა სამნაირად გამოიხატოს:⁵

1. საერთაშორისო სამიტებზე და ფორუმებზე, როგორც მორალურად, ასევე პოლიტიკურად. თუ წინააღმდეგობის ძალების ჩრდილოვანმა მთავრობამ ლეგიტიმაცია ვერ მოიპოვა, წინააღმდეგობის მებრძოლები მარტივად წარმოჩინდებიან როგორც ტერორისტები, ამიტომ მნიშვნელოვანია სწორედ საგარეო მხარდაჭერით მათი ლეგიტიმაციის მოპოვება.
2. თუ წინააღმდეგობის მოძრაობა ფართომასშტაბიანი და ხანგრძლივი სახე მიიღო აუცილებელი იქნება მათი გარე მხარდაჭერით ლოჯისტიკური უზრუნველყოფა, რაც შეიძლება გამოიხატოს ჰუმანიტარული დახმარების სახით, საბრძოლო მასალების მიწოდების ან მებრძოლთა მომზადებით.
3. შესაძლებელია დამხარე სახელმწიფო გამოყენებული იქნას ლეგიტიმური მთავრობის თავშესაფრად, ან შესაძლებელია სასწავლო ადგილების მოსაწყობად. მაგალითად პაკისტანი თალიბანისთვის.

ქვეყნის ოკუპაციის შემთხვევაში წინააღმდეგობა შესაძლოა დაიყოს 3 ფაზად:

I ფაზა - ფარული ან საწყისი ფაზა. აღნიშნულ ფაზაში ყურადღება მახვილდება საიდუმლო ინფრასტრუქტურის შექმნაზე. წინააღმდეგობის ლიდერები ამ ფაზაში ძირითადად იყენებენ არაძალადობრივი წინააღმდეგობის მეთოდებს: დემონსტრაციებს, პროპაგანდას, ბოიკოტებს და სხვა ფსიქოლოგიური ოპერაციების მეთოდებს. ასევე, მნიშვნელოვანი ყურადღება ექცევა კადრების მოძიებას და დაკომპლექტებას. მაგალითად, პოლიტიკურად აქტიური ახალგაზრდები, სავაჭრო გაერთიანებების წარმომადგენლები, სასულიერო პირები, და თითქმის ყველა პროდუქტიული პატრიოტი. ასევე, ფაზის აუცილებელი ნაწილია უჯრედების (ერთგვარი ქსელები) ჩამოყალიბება როგორცაა: სადაზვერვო, ოპერატიული, ლოჯისტიკური, ფიჭური. მნიშვნელოვანია ფინანსების მოძიებაც, რომლის ძირითად წყაროს წარმოადგენენ ფონდები. აღნიშნულ ფაზაში მიზანშეწონილი არ არის ღია პარტიზანული მოქმედებები, შესაძლებელია მცირე პარტიზანული ოპერაციების ჩატარება მხოლოდ იმისთვის, რომ საბრძოლო გამოც-

⁵ საქართველოს თავდაცვის სამინისტრო თავდაცვის ძალების წვრთნებისა და სამხედრო განათლების სარდლობა. 2020. სპეციალური ძალების მიერ არაკონვენციური ომის წარმოება. თბილისი: დოქტრინების განვითარების ცენტრი.

დილება აიმაღლონ პარტიზანებმა და არა რაიმე საბრძოლო უპირატესობის მისაღებად, ვინაიდან აღნიშნულ ფაზაში გადამწყვეტია ფარულობა. არაძალადობრივი მეთოდების გამოყენებისას, ოკუპანტების მხრიდან საპასუხო რეაქცია შეიძლება იქნას კომპრომისზე წასვლა ან რეპრესია. ორივე შემთხვევაში წინააღმდეგობის ლიდერს შეუძლია სიტუაციის წინააღმდეგობისთვის სასიკეთოდ გამოყენება. თუ მარიონეტი ხელისუფლება კომპრომისზე წამოვიდა ეს იმას ნიშნავს, რომ წინააღმდეგობის ძალების გავლენა იზრდება და არსებული ხელისუფლების კი მცირდება. იმ შემთხვევაში თუ მოსახლეობის გასატეხად რეპრესიას მიმართა, ზუსტად ბასკური ტერორიზმის ანალოგი სიტუაციას მივიღებთ, სადაც ბასკი ტერორისტული მხარე ძალადობრივი წინააღმდეგობის მეთოდებს მიმართავდა ფრანკოს რეჟიმის წინააღმდეგ, საპასუხოდ რეჟიმი მოსახლეობაზე ახორციელებდა რეპრესიებს. რეპრესირებული მოსახლეობის მოქმედება კი უფრო დიდი მასშტაბის ზიანის მომტანი იყო ფრანკოს რეჟიმისთვის. სხვანაირად რომ ვთქვათ ეტას ლიდერებმა პროვოკაციული ქმედებების გამოყენებით რევოლუციურ მდგომარეობამდე მიიყვანეს კატალონია⁶. აქედან გამომდინარე წინააღმდეგობის ლიდერი ხვდება მომგებიან, ეგრეთ წოდებულ „Win win” პოზიციაში.

II ფაზა - პარტიზანული ომი. მას შემდეგ რაც პირველ ფაზაში საიდუმლო ინფრასტრუქტურა და უჯრედები შეიქმნება, აქცენტი უკვე გადადის უშუალოდ კინეტიკურ მეთოდებზე. თუ პირველ ფაზაზე პარტიზანული ოპერაციები არ იყო მიზანშეწონილი, ამჯერად პარტიზანული ომი ინტენსიურ და მასშტაბურ ხასიათს იძენს. პარტიზანული მოქმედებებით მაქსიმალურად უნდა დაზიანდეს ოკუპანტების ძალოვანი აპარატი. ეს პროცესი კი უნდა გაგრძელდეს მოწინააღმდეგის სრულ დამარცხებამდე და განდევნამდე. საბოტაჟებისა და დივერსიების წარმატებულობა პირდაპირპროპორციული არის მოსახლეობის მხარდაჭერის მოპოვების. ოკუპირებულ სახელმწიფოში, წინააღმდეგობის პირობებში, მოსახლეობის განწყობის შემდეგნაირი განსაზღვრა შეიძლება: წინააღმდეგობის მხარდამჭერი მოსახლეობის რაოდენობა თითქმის ექვივალენტური იქნება წინააღმდეგობის წინააღმდეგი მოსახლეობის. ასევე აღსანიშნავია, რომ რაოდენობრივად ყველაზე მეტი პროცენტი მოსახლეობის ნეიტრალურ ან პასიურ ფენას აქვს. ნეიტრალური კურსის წარმომადგენლები ძირითადად არიან ფინანსურად ძლიერი საზოგადოება ან პოლიტიკური ავტორიტეტის მქონე პირები. ისინი ცდილობენ საკუთარი ძალაუფლების შენარჩუნებას და ვიდრე ქვეყნაში მიმდინარე მოვლენები ამკარა კულმინაციას არ მიუახლოვდება, ამკარად არცერთ მხარეს არ ირჩევენ. ზუსტად წინააღმდეგობის წარმატებით განხორციელება წარმოადგენს ბიძგს და იმპულსს მოსახლეობის მხარდაჭერის მოსაპოვებლად, რაც გულისხმობს, რომ პასიური მოსახლეობა აქტიურდება და ერთვება წინააღმდეგობაში. გავლენიანი პირები როდესაც ამჩნევენ, რომ წინააღმდეგობა წარმატებით მიმდინარეობს და მათი სასურველი საბოლოო შედეგის მიღწევის ალბათობა იზრდება, ისინი იაზრებენ, რომ თუ მოძრაობას მხარი არ დაუჭირეს, შესაძლოა მათთვისაც პროცესი ფატალურად დასრულდეს. აქედან გამომდინარე,

⁶ ბაია, კაპანაძე. 2020. ბასკების სამშობლო და თავისუფლება. თბილისი: საქართველოს სტრატეგიისა და განვითარების ფონდი GSCF.

აღნიშნული პირების მიმართ წინააღმდეგობის მოძრაობის მონაწილეებს ბუნებრივია ნდობის საკითხი აშკარად ექნებათ, თუმცა ამ პიროვნებების გამოყენება გასამარჯვებლად ერთ-ერთ გადამწყვეტ ფაქტორს წარმოადგენს.

III ფაზა - მანევრული ომი. პარტიზანული ომის წარმატებულობის შემთხვევაში, ოკუპანტი ძალა პერიოდულად იფიტება. აღნიშნულ ფაზაში პარტიზანული ძალები უნდა გარდაიქმნან კონვენციურ სამხედროებად. მოწინააღმდეგის დარჩენილი ძალების სრული განდევნა სწორედ უნდა მოხდეს კონვენციური სამხედრო მოქმედებებით. ამის შემდეგ მარიონეტი ხელისუფლება უნდა ჩანაცვლდეს ლეგიტიმური ხელისუფლებით. წინააღმდეგობის ლიდერებმა უნდა უზრუნველყონ სახელმწიფო ინსტიტუციების ამოქმედება. ისინი პასუხისმგებელი ხდებიან სახელმწიფო რესურსების განკარგვაზე: მოსახლეობის, ტერიტორიის და რესურსების კონტროლზე. თუ მათ ეფექტურად ვერ გაართვეს თავი ზემოხსენებულ ამოცანას, ისინი დაკარგავენ საკუთარი მოსახლეობის ნდობას და ვითარება საწყის ფაზას დაუბრუნდება. შეიძლება ითქვას წინააღმდეგობის მოძრაობის ყველაზე რთულად განსახორციელებელი მესამე ფაზაა, ვინაიდან თუ წინააღმდეგობის პროცესში მარადიურობა და კრიმინალი გადარჩენის ერთადერთი გზა იყო, ამ შემთხვევაში აღნიშნული წარმოადგენს დანაშაულს. მოსახლეობაში კი წინააღმდეგობის ტალღა იმდენად იქნება გამჭდარი, რომ თუ შეამჩნიეს მოქმედი ხელისუფლების არაეფექტურობა ამბოხს მოაწყობენ და ეს პროცესი იქნება შეუქცევადი, ვიდრე მოქმედი ძალა არ დაიბრუნებს კონტროლს. სახელმწიფოს ცხოველქმედების გასაგრძელებლად აუცილებელია მმართველმა ძალამ მიაღწიოს შემდეგ მიზნებს: უნდა ჩამოაყალიბოს ეფექტური სამოქალაქო ადმინისტრაცია, აღადგინოს დისციპლინირებული სამხედრო სტრუქტურა და ფეხი აუწყოს სახელმწიფოს სოციო-ეკონომიკურ განვითარებას⁷.

ზემოთქმული ფაზები ემყარება მოცემულობას, სადაც სახელმწიფო სრულად ან ნაწილობრივ არის ოკუპირებული, თუმცა მნიშვნელოვანია მშვიდობიანობის პერიოდშივე დაიწყოს წინააღმდეგობისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის და მოსახლეობის მომზადება. საქართველოს შემთხვევაში მნიშვნელოვანია მოსახლეობის მასების მედეგობის მიმართულებით მომზადება, ასევე წინააღმდეგობის მიმართულებით კონტიგენტის ზრდა და რაც მთავარია შეიქმნას გრძელვადიანი ქაშეები. ქაშე წარმოადგენს ერთგვარ სამალავს, სადაც უნდა მოხდეს საბრძოლო მასალების, კავშირგაბმულობის საშუალებების და ზოგადად ნებისმიერი კლასის მარაგების განთავსება⁸. აღნიშნული ადგილმდებარეობა უნდა იყოს მკაცრად გასაიდუმლოებული, რომელთა აქტივაცია უნდა მოხდეს წინააღმდეგობის მოძრაობის დაწყებისას. ვინაიდან წინააღმდეგობისა და ამბოხების წარმოების ხერხები იდენტურია, ხელისუფლება ერთგვარ დილემაშია მშვიდობიანობის დროს, ვინაიდან შეიძლება რომელიმე ანტისახელისუფლო ძალამ გამოიყენოს აღნიშნული ქაშეები და წინააღმდეგობისთვის მომზადებული მოსახლე-

⁷ საქართველოს თავდაცვის სამინისტრო თავდაცვის ძალების წვრთნებისა და სამხედრო განათლების სარდლობა. 2020. სპეციალური ძალების მიერ არაკონვენციური ომის წარმოება. თბილისი: დოქტრინების განვითარების ცენტრი.

⁸ Headquarters, Department of Army. 2021. Resistance Advisor Guide. Washington DC.: Army Publishing Directorate.

ობა საკუთარი მიზნის მისაღწევად, რაც ხელისუფლების დამხობას და ძალაუფლების სადავეების ხელში ჩაგდებას გულისხმობს. აღნიშნულის შიშით თუ ხელისუფლებამ უარი თქვა წინააღმდეგობის ძალების განვითარებაზე, ეს პირდაპირ დესპოტური ძალის გამოყენების ფუნქციაა. საქართველოს ხელისუფლებამ წინააღმდეგობის მოძრაობა უნდა აღიქვას, როგორც ერთ-ერთ ინსტიტუციად და მაქსიმალურად ეცადოს მის გასაძლიერებლად.

დასკვნა

ტოტალური თავდაცვის კონცეფციიდან გამომდინარე საქართველოს უსაფრთხოების უზრუნველყოფა მთლიანად ერმა უნდა ითავოს. საქართველოს ხელისუფლებამ უნდა უზრუნველყოს მედეგობისა და წინააღმდეგობის საფუძვლების გათავისება ერთში. მშვიდობიანობის პერიოდში კონვენციურ ძალებთან ერთად, მოსახლეობაც უნდა მომზადდეს გრძელვადიანი ომისთვის. იდეოლოგიის ფაქტორის გამოყენებით, სიმძიმის ცენტრი უნდა გახდეს მყარი, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს მოსახლეობის ნების ინდექსს. თუ ერთი გახდა მედეგი, მათ შეეძლება წინააღმდეგობის გაწევა ოკუპანტების მიმართ და ოკუპაციის მიუხედავად ბრძოლა, ვიდრე დეოკუპაცია არ მოხდება. მნიშვნელოვანია მშვიდობიანობის პერიოდში დაიწყოს წინააღმდეგობის მოძრაობის პირველი ფაზა, რაც რეკრუტირებას, კადრების მომზადებას და საჭირო ინფრასტრუქტურის შექმნას გულისხმობს. აღნიშნული საშუალებას მოგვცემს მოწინააღმდეგის შემოჭრისთანავე გააქტიურდეს წინააღმდეგობა საქართველოში. წინააღმდეგობის ორგანიზებისას საქართველოს ხელისუფლების მთავარ გამოწვევას წარმოადგენს პროცესის რისკი, ვინაიდან წინააღმდეგობისთვის მომზადებულმა პირებმა შესაძლებელია აღნიშნული ცოდნა გამოიყენონ თავად ხელისუფლების წინააღმდეგ და რევოლუციური გზით დაამხონ ხელისუფლება.

გამოყენებული ლიტერატურა

Clausewitz, Carl Von. 2007. *On War*. London: Oxford University Press.

Fiala, Otto. 2020. *Resistance Operational Concept (ROC)*. Macdill Air Force Base, Florida: JSOU Press.

Headquarters, Department of Army. 2021. *Resistance Advisor Guide*. Washington DC.: Army Publishing Directorate.

ბაია, კაპანაძე. 2020. *ბასკების სამშობლო და თავისუფლება*. თბილისი: საქართველოს სტრატეგიისა და განვითარების ფონდი GSCF.

საქართველოს თავდაცვის სამინისტრო თავდაცვის ძალების წვრთნებისა და სამხედრო განათლების სარდლობა. 2020. *სპეციალური ძალების მიერ არაკონვენციური ომის წარმოება*. თბილისი: დოქტრინების განვითარების ცენტრი.

ჰანტიგტონი, სემუელ. 2005. *სამოქალაქო-სამხედრო ურთიერთობათა თეორია და პოლიტიკა*. თბილისი: საარი.

ისრაელის როლი ახლო აღმოსავლეთის უსაფრთხოების გარემოში

საბა დოლიძე

სსიპ-დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს
ეროვნული თავდაცვის აკადემიის
მაგისტრატურის უსაფრთხოების კვლევების მიმართულების მსმენელი

ხელმძღვანელი: **ქეთევან ჩახავა**
მაგისტრატურის უსაფრთხოების კვლევების
მიმართულების ასისტენტ პროფესორი

აბსტრაქტი

ისრაელ-პალესტინელთა ომი ცხადყოფს, რომ საჭიროა სწორი ანალიზი და ზუსტი ინფორმაცია ისრაელის, სიონიზმისა და არაბ-ისრაელის კონფლიქტის ისტორიის შესახებ. ომი გრძელდება, ისტორიული კონტექსტისა და მიმდინარე მოვლენების შესახებ ინფორმირებულობა გადამწყვეტია მეტი ანალიზის გაკეთების მიზნით. სტატიაში განხილული გვექნება ახლო აღმოსავლეთში ებრაული სახელმწიფოს დაარსების მიზეზები. მისი შექმნის მნიშვნელობა არაბული სამყაროს მუსლიმური ქვეყნებისთვის, რომელთათვისაც ისრაელი ყოველთვის წარმოადგენდა რეგიონში უცხო ძალის პლაცდარმს და ახლო აღმოსავლეთში დასავლეთის სამხედრო და პოლიტიკურ შტაბ-ბინას. ასევე ვისაუბრებთ, თუ როგორ აისახება ისრაელის შიდა და საგარეო პოლიტიკა რეგიონზე და რა ამბიციები არსებობს გაფართოებასთან დაკავშირებით. არსებობს შესაძლებლობა, რომ ისრაელ-ჰამასის დაპირისპირება, რომელიც გადაიზარდა უფრო ფართო მასშტაბებში, წითელი ხაზი აღმოჩნდეს მუსლიმური სამყაროსთვის, განსაკუთრებით კი ირანისთვის. საბოლოოდ სტატია ცდილობს, უპასუხოს კითხვას, თუ რატომ არის ისრაელის სიონისტური პოლიტიკის არსებობა და მათი მოქმედებები ახლო აღმოსავლეთის რეგიონისთვის უსაფრთხოების ერთ-ერთი ყველაზე დიდი გამოწვევა.

ახლო აღმოსავლეთში კონფლიქტის ესკალაციამ კიდევ ერთი ჰუმანიტარული კრიზისი გამოიწვია. მიმდინარე კონფლიქტი, რომელიც დაიწყო 2023 წლის 7 ოქტომბერს, როდესაც ჰამასის ძალები თავს დაესხნენ ისრაელის ფერმერულ თემებს, გადაინაცვლა ლიბანში. ძალადობის ამ ციკლის პარაპელურად, ირანმა ახლახან ისრაელის მიმართულებით სულ მცირე 180 რაკეტა გაისროლა. 2024 წლის 1 ოქტომბრის მონაცემებით, დაახლოებით 3 მილიონი ადამიანი ისრაელში, დაზასა და ლიბანში იძულებული გახდა დაეტოვებინა სახლები და ათასობით ადამიანი დაიღუპა ან დაშავდა.

საკვანძო სიტყვები: ახლო აღმოსავლეთი, იმპერიალიზმი, დიდი ისრაელი, ირანი, პალესტინა.

Israel's role in the Middle East security environment

Saba Dolidze

Student of Master's Program in Security Studies of
LEPL-David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia

Supervisor: **Ketevan Chakhava**

Assistant Professor of Master's Program in Security Studies

Abstract

The Israeli-Palestinian War demonstrates the need for accurate information about the history of Israel, Zionism, and the Arab-Israeli conflict. As the war continues, being well-informed about the historical context and current events is critical to fostering greater understanding and informed opinions. The reasons for the establishment of the Jewish state in the Middle East will be discussed in the article. The importance of its creation for the Muslim countries of the Arab world, for whom Israel has always been a springboard of a foreign power in the region and the military and political headquarters of the West in the Middle East. We will also talk about how Israel's domestic and foreign policy affects the region and what ambitions there are regarding expansion. There is a possibility that the Israel-Hamas conflict, which has escalated into a wider scale, will be a red line for the Muslim world, and especially for Iran. Finally, the article attempts to answer the question why the existence of Israel's Zionist policies and their actions are one of the greatest security challenges for the Middle East region.

The escalation of the conflict in the Middle East has led to another humanitarian crisis. The ongoing conflict, which began on October 7, 2023, when Hamas forces attacked Israeli farming communities, has shifted to Lebanon. Parallel to this cycle of violence, Iran has recently fired at least 180 rockets into Israel. As of October 1, 2024, approximately 3 million people in Israel, Gaza, and Lebanon have been forced to flee their homes, and thousands have been killed or injured.

Keywords: Middle East, Imperialism, Greater Israel, Iran, Palestine.

ჰიპოთეზა: ისრაელის ექსტრემისტი სიონისტი მმართველების მიერ „დიდი ისრაელი“-ს ოცნების ახდენის მიზნით ათეულობით წლის განმავლობაში გატარებულმა პოლიტიკამ, ისრაელი როგორც სახელმწიფო აქცია აგრესორად, რომელიც ცალმხრივად აფართოებს ტერიტორიებსა და გავლენებს ადგილობრივი პალესტინელებისა და მისი მეზობელი სახელმწიფოების ხარჯზე. შედეგად ისრაელი ჩამოყალიბდა რეგიონის უსაფრთხოების გამოწვევად.

საკვლევი კითხვა: როგორ უწყობს ისრაელის აგრესიული ქმედებები და სადავო პოლიტიკა ახლო აღმოსავლეთში არასტაბილურობის გაღრმავებას?

კვლევის მიზანი: საბოლოოდ სტატია ამტკიცებს, რომ ეს ფაქტორები ძირს უთხრის რეგიონულ სტაბილურობასა და მშვიდობას. ამ ანალიზის მეშვეობით, უფრო მკაფიო გაგება გამოჩნდება ისრაელის როლის ნეგატიური შედეგების შესახებ, რაც გავლენს რთულ ურთიერთკავშირს ეროვნულ ინტერესებსა და უფრო ფართო გეოპოლიტიკურ შედეგებს შორის.

კვლევის მეთოდოლოგია: ნაშრომში გამოყენებულია სამაგიდე კვლევის მეთოდი, რომელიც გულისხმობს ცალკეული დოკუმენტების, სტატიების, ინტერნეტ მასალების კლასიფიცირებას, შესწავლასა და გაანალიზებას. ასევე, სტატიაში გამოყენებულია კონტენტ-ანალიზი, რომელიც უზრუნველყოფს შინაარსის გააზრებას და არგუმენტირებულად გადმოცემას.

შესავალი

ახლო აღმოსავლეთის უსაფრთხოების გარემოს რთულ დინამიკაზე დიდი ხანია გავლენას ახდენს მრავალი ფაქტორი, მაგრამ ისრაელი გამოირჩევა თავისი ღრმა გავლენით. ისტორიულად, ისრაელის ქმედებებმა და პოლიტიკამ ჩამოაყალიბა რეგიონალური ურთიერთობები, რაც ხშირად იწვევს მტრობას. მისმა სამხედრო ინტერვენციებმა, სადავო დასახლებებისა და ტერიტორიების გაფართოებამ და დიპლომატიურმა მანევრებმა შექმნა დაძაბულობითა და არასტაბილურობით გამორჩეული მრავალმხრივი ლანდშაფტი. შესაბამისად, ისრაელის სტრატეგიული გადაწყვეტილებები არამარტო გავლენას ახდენს მის უშუალო მეზობლებზე, არამედ მთელ რეგიონზეც აისახება, რაც ართულებს მცდელობებს ხანგრძლივი მშვიდობის მისაღწევად.

იმისათვის, რომ სწორად გავაანალიზოთ პრობლემა, საუბარი უნდა დავიწყოთ საკვანძო ისტორიული ფაქტების მიმოხილვით. 1517 წელს ოსმალეთის იმპერიის იმპერატორ სელიმ III გააჩნდა ორი არჩევანი: ერთი ის, რომ გაეფართოებინა თავისი იმპერია ქრისტიანული ევროპის ხარჯზე ან გაფართოებულიყო სამხრეთ-აღმოსავლეთით. იმპერატორმა თავისი ღრმად მორწმუნეობის გამო გადაწყვიტა დაეკავებინა რელიგიურად მნიშვნელოვანი ადგილები, მათ შორის იერუსალიმი. შედეგად მან დაიკავა ახლო აღმოსავლეთი და ეგვიპტე. ამ დროისთვის საერთაშორისო ებრაელობას მრავალი მოთხოვნა გააჩნდა ცალკე ებრაული სახელმწიფოს შექმნასთან დაკავშირებით, რაც მრავალჯერ დაიბლოკა ოსმალეთის იმპერიის მიერ, რადგან არცერთ სულთანს არ სურდა იერუსალიმი გადაცემოდა არამუსლიმებს. თუმცა ებრაელი ხალხი კვლავ მისდევდა სახელმწიფოს შექმნის იდეას იმ დისკრიმინაციის ფონზე, რასაც ისინი განიც-

დიდნენ მსოფლიოს სხვადასხვა წერტილში. ისინი იდევნებოდნენ გვარის, წარმომავლობისა და რელიგიის გამო.

მე-20 საუკუნის დასაწყისიდან საერთაშორისო ებრაელობისა და მათი ლიდერებისთვის სახელმწიფოს შექმნა ხდება თვითმიზანი, რასაც უკვე აფიქსირებენ პირველ სიონისტთა კონგრესზე თეოდორ ჰერცლის ხელმძღვანელობით. თუმცა პირველი მსოფლიო ომის შედეგად მოვლენები დადებითად განვითარდა; გაქრა ოსმალეთის იმპერია და ბრიტანეთის პროტექტორატის ქვეშ დამოუკიდებლობა მოიპოვა რეგიონის მრავალმა სახელმწიფომ. ბრიტანეთისა და გერმანიის იმპერიების ძალაუფლებისთვის ბრძოლამ ახლო აღმოსავლეთში და შემდეგ ნაცისტურმა ჰოლოკოსტმა, რომელმაც მილიონობით ებრაელი გაანადგურა ევროპაში, კიდევ ერთხელ დაამტკიცა ებრაული სახელმწიფოს შექმნის გადაუდებელი აუცილებლობა, რომელსაც უნდა გადაეჭრა ებრაელთა უსახლკარობის პრობლემა ყველა ებრაელისთვის სახელმწიფოს შექმნით. ჰოლოკოსტმა გადააწყვეტინა გაერთიანებული ერების ორგანიზაციას, მხარი დაეჭირა პალესტინის ტერიტორიაზე ევროპელი ებრაელების დასახლებისთვის, რითაც დასავლეთი შეიძენდა ერთგულ მოკავშირეს რეგიონში. ებრაელების მზარდმა რიცხვმა და დემოგრაფიამ ადგილობრივ პალესტინელებში, ვინც ამ მიწაზე დიდი ხანია ცხოვრობდა, გამოიწვია დიდი გულისწყრომა, რასაც მოჰყვა მრავალი სამოქალაქო არეულობა და დაპირისპირება. არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ, როდესაც ებრაელებით დატვირთული გემები მიადგა პალესტინის სანაპიროს, მათი ერთადერთი თხოვნა იყო, შეეფარებინა და შეეწყნარებინა პალესტინელებს ყველას მიერ შევიწროებული და დევნილი ებრაელი ხალხი.¹

მას შემდეგ, რაც ისრაელმა 1948 წლის 14 მაისს გამოაცხადა თავისი დამოუკიდებლობა, ბრძოლები გაძლიერდა სხვა არაბული ძალების მხრიდან, რომლებიც შეუერთდნენ პალესტინელ არაბებს ყოფილი პალესტინის მანდატის ტერიტორიებზე თავდასხმაში. 14 მაისის წინა დღეს არაბებმა საჭაერო თავდასხმა დაიწყეს თელ-ავივზე, რასაც ისრაელელებმა წინააღმდეგობა გაუწიეს. ამ ქმედებას მოჰყვა ყოფილი პალესტინის მანდატზე არაბული ჯარების შექრა ლიბანიდან, სირიიდან, ერაყიდან და ეგვიპტიდან. საუდის არაბეთმა გაგზავნა ფორმირებები, რომელიც იბრძოდნენ ეგვიპტის დაქვემდებარებაში. ადრეული დაძაბული ბრძოლების შემდეგ, ისრაელის ძალებმა შეძლეს შეტევის განხორციელება.

1948 წლის ომის შემდეგ დაახლოებით 700 000 პალესტინელი იძულებით გადაადგილებული იყო ქვეყნაში დევნისა და ძალადობის გამო, რამაც გამოიწვია მნიშვნელოვანი დემოგრაფიული ცვლილება ახლო აღმოსავლეთში. მიუხედავად იმისა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ შუამავლის როლი მოიგო და შეძლო ორჯერ ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების მიღწევა, ბრძოლა გაგრძელდა. ისრაელმა და არაბულმა ქვეყნებმა თებერვლამდე ვერ მიაღწიეს ოფიციალური ზავის შეთანხმებას. ისრაელსა და მეზობელ სახელმწიფოებს - ეგვიპტეს, ლიბანს, ტრანსიორდანიასა და სირიას შორის ცალკეული მოლაპარაკებების თანახმად, ეს მოსაზღვრე ქვეყნები შეთანხ-

¹ <https://www.paradata.org.uk/media/2517>

მდნენ ზავის ოფიციალურ ხაზებზე. ისრაელმა მოიპოვა გარკვეული ტერიტორია, რომელიც ადრე პალესტინელ არაბებს მიენიჭა გაეროს რეზოლუციით 1947 წელს. ეგვიპტემ და იორდანამ შეინარჩუნა კონტროლი დაზას სექტორსა და დასავლეთ სანაპიროზე. ეს ზავი გაგრძელდა 1967 წლამდე. შეერთებული შტატები უშუალოდ არ ჩართულა საზავო მოლაპარაკებებში, რადგან იმედოვნებდა, რომ ახლო აღმოსავლეთში არასტაბილურობა ხელს არ შეუშლიდა ძალაუფლების საერთაშორისო ბალანსს საბჭოთა კავშირსა და შეერთებულ შტატებს შორის.

აქედან იწყება ისრაელისა და დანარჩენი ახლო აღმოსავლეთის რეგიონის ქვეყნების სისხლიანი ისტორია, რომელიც ითვლის მუდმივი ომებისა და კონფლიქტების 76 წელს. არაბული ქვეყნების მცისიერი და ერთდროული მტრული რეაქცია ისრაელის მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადებაზე, ნათლად მიუთითებს მათ შეუვალობასა და უკომპრომისობაზე ამ საკითხთან დაკავშირებით. მტრობა და სიმწვავე ურთიერთობებში დროის გასვლასთან ერთად არ ქრება, არამედ პირიქით, ორივე მხარე ერთმანეთის დამარცხების გზების მუდმივ ძიებაშია. დღესდღეობით ისრაელის შიდა და საგარეო პოლიტიკა ატარებს თავდასხმით ხასიათს და არა თავდაცვითს, რაც იწვევს მეზობელი სახელმწიფოებისა და განსაკუთრებით ირანის გაღიზიანებას, რომელიც ცდილობს წარმოდგენილი იყოს შევიწროებული პალესტინელების მფარველის როლში.

ძირითადი ნაწილი

ისრაელი მსოფლიო სისტემაში ერთ-ერთ უდიდეს გამონაკლისად ითვლება, არც ეროვნული სახელმწიფოა და არც საერთაშორისო ნორმებისა და წესების დაცვით აღიარებული. გაეროს წევრი 28 ქვეყანა დღემდე არ აღიარებს მას სუვერენულ სახელმწიფოდ. ისრაელის ხუთი მთლიანი პოტენციური სახმელეთო საზღვრიდან მხოლოდ ორია საერთაშორისოდ აღიარებული და უდავო, ხოლო დანარჩენი სამი კვლავ სადავოა. მისი სასაზღვრო დავების უმეტესი ნაწილი სათავეს იღებს ტერიტორიულ ცვლილებებში, რომლებიც მოხდა 1967 წლის არაბულ ქვეყნებსა და ისრაელს შორის ომის შედეგად, რომლის დროსაც ისრაელმა დაიპყრო ტერიტორიის დიდი ნაწილი. მსოფლიოს ყველა სხვა ეროვნული სახელმწიფოსგან განსხვავებით, ისრაელის საზღვრები უცნობია. მეორე მხრივ, ისრაელი არ არის მისი მოქალაქეების სახელმწიფო. პირიქით, ეს არის ყველა ებრაელის სახელმწიფო, სადაც ისინი ცხოვრობენ. ამდენად, ის არღვევს ეროვნული სახელმწიფოებრიობის ორ ძირითად წინაპირობას: ტერიტორიულობასა და მოქალაქეობას. მიუხედავად იმისა, რომ ის ფლობს ბირთვულ ქობინს, მას არ სურს, რომ სხვა რეგიონულმა ქვეყანამ, კერძოდ, ირანმა, შექმნას ბირთვული იარაღი. ისრაელის ოფიციალური პირების მსგავსად, რომლებიც დაემუქრნენ ბირთვული იარაღის გამოყენებით არაბული სახელმწიფოებს (ეგვიპტე) 1973 წლის ომ კიპურის ომის დროს,² ისრაელის მაღალი დონის ოფიციალური პირები დაემუქრნენ ბირთვული იარაღის გამოყენებით პალესტინელ ხალხს.

² <https://www.bbc.com/news/world-middle-east-54116567>

ისრაელ-პალესტინის ინტენსიური კონფლიქტი ძირითადად არის სიონისტური ისრაელის იმპერიალისტური მისწრაფებების შედეგი, რომელსაც აპროტესტებს და უპირისპირდება პალესტინელები და არაბული სამყაროს დიდი ნაწილი. ყველაზე ამბიციური ოცნება, რომელსაც ისრაელი ახორციელებს, არის მისი სრული ტრანსფორმაცია ებრაულ სახელმწიფოდ. აქ ბევრი შეიძლება კამათობდეს და ეჭვქვეშ აყენებდეს ამ განცხადებას, რადგან ისრაელი ჯერ კიდევ არის აღიარებული როგორც დემოკრატიული, სეკულარული და პლურალისტური სახელმწიფო, რომელიც აერთიანებს სხვადასხვა კულტურებს, რელიგიებსა და ეთნოსებს, თუმცა თავად სიონისტური იდეოლოგია, რომელიც იყო სახელმწიფოს დაფუძნების საფუძველთა საფუძველი, ისრაელს განიხილავს როგორც „ადექიმულ მიწას“ მხოლოდ ებრაელებისთვის, სადაც იუდაიზმი ემსახურება როგორც ეროვნებას, ასევე რელიგიას. ყველა სიონისტი მტკიცედ მიიჩნევს ებრაელებს ღვთის „რჩეულ“ ხალხად, ხოლო ისრაელს, როგორც მათზე დალოცვილ განსაკუთრებულ ძღვენს. მათი რწმენის სისტემის მიხედვით, ებრაელებს უფრო მეტი უფლებები და პრივილეგიები აქვთ, ვიდრე მის საზღვრებში მცხოვრებ ნებისმიერ სხვა თემს. სიონისტური პოლიტიკური იდეოლოგია, რომელიც ოცნებობს "დიდ ისრაელზე", წლების განმავლობაში აკონტროლებდა ისრაელის მთავრობებს, განსაკუთრებით დღევანდელ სახელმწიფო ხელისუფლებას, რომელიც ძირითადად "სიონისტური მემარჯვენეების" ბანაკს მიეკუთვნება. ისრაელის შექმნის დღიდან ამ იდეოლოგიამ გამოიწვია ქვეყანაში ებრაელი მოსახლეობის სწრაფი ზრდა, რაც დღეს ათჯერ გაიზარდა 1948 წლის დაარსების წელთან შედარებით.³

ბევრი მკვლევარი მიიჩნევს, რომ სიონისტები დიდი ისრაელის შექმნის იდეას ხორცს ასხამენ, რაც გამოიხატება იმაში, რომ ისრაელი ნელ-ნელა და სტრატეგიულად ითვისებს უფრო და უფრო მეტ მიწას თავისი მეზობლებისგან, განსაკუთრებით პალესტინისგან. „Greater Israel“-ის კონცეფცია მოიცავს პალესტინას, ტრანსიორდანიას, სინას ნახევარკუნძულს, ლიბანს, არაბეთის ჩრდილო-დასავლეთს, სირიისა და ერაყის დიდ ნაწილს.⁴ თუმცა დღევანდელი მდგომარეობით ნეთანიაჰუსა და მისი გუნდისთვის პრიორიტეტია 1923 წლის ბრიტანეთის მანდატით გათვალისწინებული ტერიტორიის აღდგენა, რომელიც მოიცავს მდინარე იორდანეს დასავლეთ და აღმოსავლეთ (ტრანსიორდანიას) ნაწილებს, ასევე გოლანის სიმაღლეებს.⁵

დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან დღემდე ისრაელის მიერ წარმოებულმა პოლიტიკამ და სამხედრო ოპერაციებმა იძულებული გახადა ადგილობრივი პალესტინელები დაეტოვებინათ საკუთარი მიწა. მხოლოდ 1948 წლის კონფლიქტის შედეგად პალესტინელების 85% დატოვა ტერიტორია, რის შემდეგაც მუდმივად გრძელდება ექსპანსიონიზმი. მიმდინარე კონფლიქტში 2024 წლის 24 მარტის მდგომარეობით ხუთთვიანი სამხედრო ოპერაციების შემდეგ ისრაელმა გაანადგურა ღაზა. დაიღუპა 30000-ზე მეტი პალესტინელი, მათ შორის 13000-ზე მეტი ბავშვი. სავარაუდოდ, 12000-

³ https://www.jstor.org/stable/48712329?read-now=1&seq=3#page_scan_tab_contents

⁴ <https://www.jagranjosh.com/general-knowledge/what-is-greater-israel-why-is-the-idea-not-acceptable-to-the-muslim-community-1621507466-1>

⁵ <https://bit.ly/4edsWOk>

ზე მეტი დაიღუპა და 71000 დაშავდა, ბევრი მათგანი დასახიჩრდა. განადგურებულია საცხოვრებელი ფართის 70 პროცენტი⁶. მთელი მოსახლეობის (2.3 მილიონი) 80 პროცენტი იძულებით გადაადგილებულია. ათასობით ოჯახმა დაკარგა საყვარელი ადამიანები ან განადგურდა. ბევრმა ვერ შეძლო ნათესავების დაკრძალვა და გლოვა, ამის ნაცვლად იძულებული გახდა დაეტოვებინა ცხედრები სახლებში, ქუჩაში ან ნანგრევების ქვეშ. ათასობით ადამიანი დააპატიმრეს და სისტემატურად ექვემდებარებოდნენ არაადამიანურ და ღირსების შემლახველ მოპყრობას. გაუთვალისწინებელი კოლექტიური ტრავმა მომავალ თაობებს გაჰყვება მემკვიდრეობით.

ისრაელის ღაზაზე თავდასხმის გადამეტებული ბუნება, მასშტაბები და ცხოვრების დამანგრეველი პირობები, რაც მან გამოიწვია, ცხადყოფს პალესტინელების, როგორც ჯგუფის, ფიზიკური განადგურების განზრახვას. არსებობს გონივრული საფუძველი იმის დასაჯერებლად, რომ ბარიერი, რომელიც მიუთითებს ღაზაში პალესტინელების წინააღმდეგ გენოციდის აქტების ჩადენაზე, გადალახულია: სამოქალაქოების მკვლელობა; მძიმე სხეულის ან ფსიქიკური ზიანის მიყენება და განზრახ შექმნილი ცხოვრების გაუსაძლისი პირობები, რომლებიც გათვლილია მის ფიზიკურ განადგურებაზე მთლიანად ან ნაწილობრივ. გენოციდური აქტები დამტკიცდა და ძალაში შევიდა უმაღლესი სამხედრო და სამთავრობო ოფიციალური პირების მიერ გენოციდური განზრახვის შემცველი განცხადებების შემდეგ. ისრაელი ცდილობდა, დაემალა საომარი მოქმედებების ეთნიკური წმენდის ხასიათი, რომელიც მიუთითებს საერთაშორისო დანაშაულების ჩადენაზე. ისრაელი დე ფაქტოდ განიხილავს მთელ ჯგუფებსა და მის ინფრასტრუქტურას, როგორც "ტერორისტულ" ან "ტერორისტების მხარდამჭერს", რითაც გარდაქმნის ყველას და ყველაფერს სამიზნედ, შესაბამისად მოსაკლავად ან გასანადგურებლად. ამგვარად, არცერთი პალესტინელი ღაზაში არ არის დაცული. ამას მოჰყვა დამანგრეველი, მიზანმიმართული შედეგები, ათიათასობით პალესტინელის სიცოცხლე გაანადგურა, ღაზაში ცხოვრების სტრუქტურამ გამოუსწორებელი ზიანი მიაყენა მთელ მის მოსახლეობას. ისრაელი ცდილობს, ღაზაში ცხოვრება შეუძლებელი გახადოს. შვიდი ათწლეულის მანძილზე ეს პროცესი ახშობდა პალესტინელ ხალხს, როგორც ჯგუფს - დემოგრაფიულად, კულტურულად, ეკონომიკურად და პოლიტიკურად - რომელიც ცდილობს მის იძულებით გადაადგილებას და ექსპროპრიაციას და აკონტროლებს მის მიწასა და რესურსებს.

ღაზაში სამხედრო ოპერაციის შემდეგ 2024 წელის 27 სექტემბრის საღამოს, ისრაელმა დაიწყო ერთ-ერთი ყველაზე დიდი შეტევა ლიბანზე მას შემდეგ, რაც მან გააძლიერა ოპერაციები მის ჩრდილოეთ ფრონტზე. თავდასხმის სამიზნე იყო ჰეზბოლას ცენტრალური სარდლობა ბეირუთის დაჰიეს გარეუბანში ინტენსიური საჭაერო თავდასხმებით, რომლებმაც გაანადგურეს ექვსი საცხოვრებელი კოშკი და მოკლეს ჰეზბოლას გენერალური მდივანი ჰასან ნასრალა. ორგანიზაციამ დაადასტურა მისი მკვლელობა მომდევნო დღეს გავრცელებულ განცხადებაში. თავდასხმის შედეგად ასევე დაიღუპა ჰეზბოლას სხვა ლიდერები, ისლამური რევოლუციის გვარდიის კორპუსის

⁶ <https://bit.ly/4fpxBO7>

(IRGC) მეთაურის მოადგილე და ლიბანში ისლამური რესპუბლიკის ყუდსის ძალების მეთაური და მშვიდობიანი მოქალაქეები. ამის შემდეგ თუ ჰესბოლა გადაწყვეტს, რომ უკან დაიხიოს და გაიყვანოს თავისი ძალები სასაზღვრო ტერიტორიებიდან და შეწყვიტოს ჰამასის მხარდაჭერა, ეს ფაქტი განამტკიცებს მისი სისუსტის აღქმას, რაც პოტენციურად გამოავლენს მას და მისი მოკავშირეების მოწყვლადობას, მათ შორის ირანის და წახალისებს ისრაელის უფრო ფართო სამხედრო მოქმედებებს.

ეს ვითარება ირანს, როგორც წინააღმდეგობის ღერძის მთავარ მოთამაშეს, აყენებს დილემის წინაშე. თუ ირანი გადაწყვეტს არ უპასუხოს, როგორც ეს გააკეთა თეირანში ისმაილ ჰანიეს მკვლელობის დროს, ის საფრთხეს უქმნის ჰესბოლას, მარტო დაუპირისპირდეს ისრაელს. ისრაელი, რომელიც ჰესბოლას მიიჩნევს ყველაზე საშიშ სამხედრო საფრთხედ, რომელსაც აწყდება მის სიახლოვეს სარაკეტო არსენალის სიდიდის გამო, დაინახავს ამ დაჯგუფების სამხედრო შესაძლებლობების კიდევ უფრო შესუსტების შესაძლებლობას. ირანის მიერ სიტუაციის რეაგირების გარეშე დატოვება ასევე წახალისებს ისრაელს, შემდგომ ეტაპზე, შეუტიოს ისლამური რესპუბლიკის ბირთვულ ობიექტებსა და სარაკეტო პროგრამებს, რადგან ჰამასის და ჰესბოლას დასუსტება ირანს ჩამოართმევს იმ შემაკავებელ ფაქტორებს, რომელთა გაძლიერებაზეც მუშაობდა ისრაელის წინააღმდეგ ბოლო ათწლეულების განმავლობაში და დატოვებს ქვეყანას უფრო მეტიც, ირანის ყოყმანი პასუხის გაცემაზე კიდევ უფრო გაანადგურებს მისი მოკავშირეების ნდობას, რაც ფაქტობრივად ნიშნავს წინააღმდეგობის ღერძის დემონტაჟს და ირანს საკუთარი თავის გაყვანისკენ უბიძგებს, რაც არის ისრაელის საბოლოო მიზანი.

თუ ირანი გადაწყვეტს არსებითად ჩაერიოს დაპირისპირებაში, ეს ნიშნავს, რომ კონფლიქტში შემოდის მესამე მხარე (რეგიონალური მოთამაშე) და იარსებებს დიდი ალბათობა იმისა, რომ ეს ომი გადაიზრდება რეგიონში მასიურ ომში. თუ მოვლენები ამ სცენარით განვითარდა, დილემის წინაშე დადგება ამერიკის შეერთებული შტატები, როგორც ისრაელის მთავარი მოკავშირე და მეორე მხრივ, რუსეთი, როგორც ირანის მოკავშირე. ასეთ ვითარებაში კი რაციონალური გადაწყვეტილების მიღება გართულებულია, მაგრამ თუ შევხედავთ აშშ ისრაელის მოკავშირეობის მყარ ისტორიასა და ისრაელის უკომპრომისობას, ყველაფრის ფასად იბრძოლოს დიდი ისრაელის იდეისთვის, დავინახავთ, რომ ირანი უფრო მნიშვნელოვანი და მწვავე დილემის წინაშე დადგება. „დემოკრატიული“ ისრაელი კი აშშ-ს ჩრდილის ქვეშ აგრძელებს თავისი ქმედებებით გამოიწვიოს თითქმის მთელი რეგიონის უსაფრთხოების გარემო, რასაც ამტკიცებს ნეთანიაჰუს განცხადება, რომ „ისრაელის ხელი ახლო აღმოსავლეთში ყველას მიწვდება“.

ახლო აღმოსავლეთი სრულფასოვანი ეთნო რეგიონალური კონფლიქტის ზღვარს უახლოვდება. დასავლეთის მცდელობები ისრაელსა და ჰესბოლას შორის ცეცხლის შეწყვეტის უზრუნველსაყოფად წარუმატებელი იქნება ისრაელზე ზეწოლის გარეშე, დათანხმდეს ცეცხლის შეწყვეტას. მიუხედავად იმისა, რომ ირანმა გამოხატა თავისი სურვილი, თავიდან აიცილოს პირდაპირი დაპირისპირება ისრაელის წინააღმდეგ, შესაძლოა ირანი საბოლოოდ იძულებული გახდეს, გააძლიეროს თავისი სამხედრო მხარ-

დაჭერა ჰეზბოლას მიმართ, რომელიც დევს ირანის შეკავების სტრატეგიის ცენტრში როგორც ისრაელის, ასევე აშშ-ს წინააღმდეგ. ნაკლებად სავარაუდოა, რომ თეირანი დაეთანხმოს მისი მთავარი რეგიონალური პარტნიორის განადგურებას და შეიძლება ისრაელი ჩაითრიოს გაფართოებულ და დაუსრულებელ ომში, განსაკუთრებით, თუ გავითვალისწინებთ ისრაელის მუდმივ დარტყმებს ირანის ობიექტებზე და IRGC-ის პერსონალზე სირიაში. ირანის უფრო დიდი ჩართულობა ჰეზბოლას მხარდასაჭერად, გამოიწვევს პირდაპირი ფართომასშტაბიანი დაპირისპირების პროვოცირებას ისრაელთან და პოტენციურად მიიზიდავს აშშ-ს, რომლის ძალები რეგულარულად ხდება პროირანული ჯგუფების სამიზნე სირიასა და ერაყში. ეს იქნება კომმარული სცენარი ევროპელებისათვისაც, თუ გავითვალისწინებთ ღრმა დესტაბილიზაციას მთელ ახლო აღმოსავლეთში.

დასკვნა

ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე ტურბულენტობის ცენტრალური ნაწილში ისრაელის ქმედებებს აქვს ღრმა და გრძელვადიანი გავლენა რეგიონულ უსაფრთხოებაზე. მისი სამხედრო ოპერაციები, რომლებიც ხშირად გამართლებულია როგორც თავდაცვითი ზომები, ხშირად ამწვავებს დაძაბულობას მეზობელ სახელმწიფოებთან და არასახელმწიფო აქტორებთან. ისრაელ-პალესტინის მუდმივმა კონფლიქტმა, რომელიც ხასიათდება ძალადობის ციკლებით და შეფერხებული სამშვიდობო მოლაპარაკებებით, ხელი შეუწყო არასტაბილური ატმოსფეროს გავრცელებას, არაბულ ქვეყნებს შორის მტრობასა და უკმაყოფილებას. გარდა ამისა, ისრაელის სტრატეგიულმა ალიანსებმა, განსაკუთრებით დასავლურ ძალებთან, გამოიწვია რეგიონში პოლარიზაცია, ხშირად სხვა ერების გაუცხოება და სექტანტური განხეთქილების გაღრმავება. დროთა განმავლობაში, ამ დინამიკამ შესაძლოა დაარღვიოს მთლიანად რეგიონის უსაფრთხოების ლანდშაფტი, რომელიც გამოირჩეოდა არა მხოლოდ უშუალო კონფლიქტით, არამედ რეგიონის ქვეყნებს შორის ნდობის უფრო ფართო ეროზიით. საბოლოო ჯამში, ისრაელის ქმედებებმა გააძლიერა შურისძიების ციკლი და დაუცველობა, რაც მნიშვნელოვან გამოწვევებს უქმნის ახლო აღმოსავლეთში ნებისმიერ გრძელვადიან კონფლიქტის გადაწყვეტას.

ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტის მოგვარებისთვის მნიშვნელოვანია კომპლექსური მიდგომა, რომელშიც პირველ რიგში გათვალისწინებული იქნება პოლიტიკური, კულტურული და რელიგიური ასპექტები, ასევე ისრაელი უნდა დაეთანხმოს 1948 წლიდან პალესტინელი ხალხის იძულებითი ემიგრაციის შემდეგ მათ დაბრუნებას საკუთარ სახლებში. კონფლიქტის მოგვარებაში დიდი როლი ეკისრება პოლიტიკოსებსა და სასულიერო პირებს, რადგან ისინი არიან იდეოლოგიური თვალსაზრისით ამ დაპირისპირების ავტორები. მათი ქადაგებები და მოწოდებები სავსეა სიძულვილის ენით. ასევე ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტის მოგვარება აგებულია დეესკალაციის საფეხურებზე: შიდა დონეზე დაახლოება, პალესტინელი ხალხის ლეგიტიმური მოთხოვნების დაკმაყოფილება, ორივე მხარის მზაობა ურთიერთობების დადებით კონტექსტში გაგრძელებისთვის, ხალხთა შორის ტოლერანტობის გაზრდა. ისრაელმა უარი

უნდა განაცხადოს თავის ამბიციურ გეგმებზე რეგიონში (დიდი ისრაელის შექმნის პროექტი) და ადგილობრივი პალესტინელებთან ერთად შეძლოს მშვიდობიანი თანაცხოვრება.

გამოყენებული ლიტერატურა

BBC. 10 11, 2023. <https://www.bbc.com/news/world-middle-east-54116567> (accessed 10 29, 2024).

Council, Human Rights. *UNITED NATIONS*. 04 05, 2024.

<https://www.un.org/unispal/document/anatomy-of-a-genocide-report-of-the-special-rapporteur-on-the-situation-of-human-rights-in-the-palestinian-territory-occupied-since-1967-to-human-rights-council-advance-unedited-version-a-hrc-55/> (accessed 10 29, 2024).

FORCES, AIRBORNE. *AIRBORNE ASSAULT*. 04 16, 1947. <https://www.paradata.org.uk/media/2517> (accessed 10 29, 2024).

GROUP, CRISIS. *CRISIS GROUP*. 02 27, 2024. <https://www.crisisgroup.org/middle-east-north-africa/east-mediterranean-mena/israelpalestine/danger-regional-war-middle-east> (accessed 10 29, 2024).

RAHMAN, ARPITA SINGHA AND UZMA ANAM. *JSTOR*. 09 2022.

https://www.jstor.org/stable/48712329?read-now=1&seq=3#page_scan_tab_contents (accessed 10 29, 2024).

TANDON, TULIKA. *JAGRAN JOSH*. 05 21, 2021. <https://www.jagranjosh.com/general-knowledge/what-is-greater-israel-why-is-the-idea-not-acceptable-to-the-muslim-community-1621507466-1> (accessed 10 29, 2024).

World, Israeli Missions Around The. *Israeli Missions Around The World*. 1923.

https://embassies.gov.il/MFA/AboutIsrael/Maps/Pages/The%20League%20of%20Nations%20Mandate%20for%20Palestine%20-%201920.aspx?itid=lk_inline_enhanced-template (accessed 10 29, 2024).

ხელოვნური ინტელექტისა და ავტონომიური სისტემების გამოყენება და მათი პოტენციური გავლენა კონფლიქტის დინამიკაზე

ირაკლი ხარებაშვილი

სსიპ-დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს
ეროვნული თავდაცვის აკადემიის
მაგისტრატურის უსაფრთხოების კვლევების მიმართულების მსმენელი

ხელმძღვანელი: პროფესორი ზურაბ აგლაძე

მაგისტრატურის უსაფრთხოების კვლევების მიმართულების პროფესორი

აბსტრაქტი

ამ ნაშრომის კვლევის მიზანია შეისწავლოს ხელოვნური ინტელექტისა და ავტონომიური სისტემების გავლენა თანამედროვე კონფლიქტის დინამიკაზე. ხელოვნური ინტელექტი და ავტონომიური სისტემები გარდაქმნის სამხედრო ინდუსტრიას მონაცემთა დამუშავების უპრეცედენტო სიჩქარითა და დამოუკიდებელი ოპერატიული შესაძლებლობებით. ეს ტექნოლოგიები ზრდის ოპერაციულ ეფექტურობას რეალურ დროში ანალიზის, პროგნოზირებადი მოდელირებისა და ავტონომიური გადაწყვეტილების მიღების, ლოგისტიკის, ტაქტიკური დაგეგმვისა და კონფლიქტის სტრატეგიების განვითარების გზით.

კვლევაში განხილულია ხელოვნური ინტელექტისა და ავტონომიური სისტემების გამოყენება კონფლიქტების დროს, როგორც სტრატეგიულ, ასევე ტაქტიკურ დონეზე. მათი გავლენა პროცესებზე და განვითარების პერსპექტივები.

საკვანძო სიტყვები: ხელოვნური ინტელექტი; ავტონომიური სისტემები; დრონები; ლეტალური ავტონომიური სისტემები; კონფლიქტის სტრატეგიული და ტაქტიკური დონეები;

The use of artificial intelligence and autonomous systems and their potential impact on conflict dynamics

Irakli Kharebashvili

Student of Master's Program in Security Studies of
LEPL-David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia

Supervisor: Zurab Agladze

Professor of Master's Program in Security Studies

Abstract

The purpose of this paper is to examine the impact of artificial intelligence and autonomous systems on the dynamics of modern conflict. Artificial intelligence and autonomous systems are transforming the military industry with unprecedented data processing speed and independent operational capabilities. These technologies increase operational effectiveness through real-time analysis, predictive modeling and autonomous decision-making, logistics, tactical planning and the development of conflict strategies.

The study discusses the use of artificial intelligence and autonomous systems during conflicts, both at the strategic and tactical levels. Their impact on processes and development prospects.

Keywords: Artificial Intelligence; Autonomous Systems; Drones; Lethal Autonomous Systems; Strategic and Tactical Levels of Conflict.

შესავალი

ხელოვნური ინტელექტი და ავტონომიური სისტემები არიან ტექნოლოგიური მიღწევების ავანგარდში, ისინი რევოლუციას ახდენენ საზოგადოების სხვადასხვა სექტორში, მათ შორის სამხედრო ინდუსტრიაშიც. წამყვანი ქვეყნები უკვე ცდილობენ მსგავს ტექნოლოგიების ინტეგრაციას სამხედრო მიმართულებით და განაგრძობენ მათ განვითარებას. ხელოვნური ინტელექტის შესაძლებლობას დაამუშავოს მონაცემები უპრეცედენტო სიჩქარით და ავტონომიური სისტემების დამოუკიდებლად ფუნქციონირების უნარს შეუძლია შეცვალოს გლობალური უსაფრთხოების პარადიგმები.

ხელოვნური ინტელექტის გამოყენება სამხედრო კონტექსტში ავითარებს გაძლიერებულ ოპერაციულ ეფექტურობას რეალურ დროში მონაცემთა ანალიზის, პროგნოზირებადი მოდელირებისა და ავტონომიური გადაწყვეტილების მიღების გზით. ეს შესაძლებლობები არა მხოლოდ აუმჯობესებს ლოგისტიკასა და ტაქტიკურ დაგეგმვას, არამედ ნერგავს ომის ახალ განზომილებებს, უპილოტო მანქანებიდან კიბერ ოპერაციებამდე, კონფლიქტების მართვისა და თავდაცვის სტრატეგიების ტრადიციული ცნებების გამოწვევას.

ხელოვნური ინტელექტი არის ინტეგრირებული სამხედრო ოპერაციებში მრავალი გზით. ერთ-ერთი ძირითადი გამოყენება არის ავტონომიურ სისტემებში, როგორცაა უპილოტო საფრენი აპარატები და უპილოტო სახმელეთო მანქანები. ამ პლატფორმებს შეუძლიათ შეასრულონ მისიები ადამიანის მინიმალური ჩარევით, დაწყებული დაზვერვითა და მეთვალყურეობიდან საბრძოლო ოპერაციებამდე. ეს მოწყობილობები ახდენენ ნავიგაცია რთულ გარემოში, შეუძლიათ ამოიცნონ სამიზნეები და მიიღონ გადაწყვეტილებები რეალურ დროში, რითაც იზრდება ოპერაციული ეფექტურობა და მცირდება ადამიანთა დაღუპვის ან დაშავების რისკები.

მსგავსი სისტემების შესაძლებლობიდან და პოტენციალიდან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ხელოვნური ინტელექტისა და ავტონომიური სისტემების გამოყენება მნიშვნელოვან როლს ასრულებს თანამედროვე კონფლიქტების დინამიკაზე.

ძირითადი ნაწილი

ტექნოლოგიური განვითარების პირობებში ხელოვნური ინტელექტი გახდა თანამედროვე სამხედრო ოპერაციების მნიშვნელოვანი კომპონენტი. სიტუაციური ცნობიერების ამაღლების თვალსაზრისით, მას შეუძლია მონაცემების გაფართოებული დამუშავება და ანალიზი. სიტუაციური ცნობიერება, ჩვენს ირგვლივ არსებული გარემოს აღქმისა და გაგების უნარი გადამწყვეტია სამხედრო კონტექსტში, სადაც გადაწყვეტილებები უნდა იქნას მიღებული სწრაფად და ზუსტად, რათა უზრუნველყოს მისიის წარმატება და პერსონალის უსაფრთხოება.

სამხედრო ოპერაციების მსვლელობისას წარმოიქმნება დიდი რაოდენობით მონაცემები სხვადასხვა წყაროებიდან, როგორცაა სენსორები, თანამგზავრები, უპილოტო მანქანები და სადაზვერვო თვითმფრინავები. მონაცემთა ეს ნაკადი მოიცავს რეალურ დროში გამოსახულებებს, კომუნიკაციების გადაჭერის შედეგად მიღებულ ინფორმაციას და სხვა ტიპის მასალებს. მონაცემების უზარმაზარი მოცულობა მნიშვნე-

ლოვანი გამოწვევაა ანალიტიკოსებისთვის, რათა დროულად დაამუშავონ და შექმნან სრულყოფილი ანალიტიკური პროდუქტი. სპეციალურად შემუშავებული ალგორითმების მეშვეობით ხელოვნურ ინტელექტს შეუძლია ადამიანურ შესაძლებლობებზე გაცილებით სწრაფად მოახდინოს ამ ნაკადის დამუშავება და ანალიზი. წინასწარ გაწერილი ბრძანებების მეშვეობით ის ახდენს შაბლონების იდენტიფიცირება, მონაცემთა კლასიფიცირებას და მნიშვნელოვანი ინფორმაციის მოპოვებას, რაც მომავალში ეხმარება სამხედრო თუ პოლიტიკურ მენეჯმენტს გადაწყვეტილებების მიღებაში. ტაქტიკურ დონეზე მეთაურებს ადგილზე აქვთ შესაძლებლობა იყვნენ ინფორმირებულები და მიიღონ გადაწყვეტილებები ჯარების გადაადგილების, მიზნების პრიორიტეტებისა და სხვა ტიპის სავალე სიტუაციური გადაწყვეტილებების.

უპილოტო საფრენი აპარატით ბრძოლის ველის დაზვერვისას, იმ საფრენ მოწყობილობას, რომელიც აღჭურვილია ხელოვნური ინტელექტით, შეუძლია დამოუკიდებლად გააანალიზოს საჰაერო გამოსახულებები ინტერესის ობიექტების იდენტიფიცირებისთვის და კლასიფიკაციისთვის. შესაძლებლობა აქვს გაარჩიოს მტრის ცოცხალი ძალა ან მანქანები, იარაღის საწყობები და სხვა მნიშვნელოვანი ობიექტები.

ხელოვნური ინტელექტი გადაწყვეტ როლს თამაშობს თანამედროვე კიბერ ოპერაციებში და ელექტრონულ ომში, რომელიც სცილდება ტრადიციულ ვიზუალური დაზვერვის საკითხებს. მასზე დაფუძნებული კიბერუსაფრთხოების სისტემები წარმოადგენს თავდაცვის კრიტიკულ ხაზს სამხედრო ქსელების და მგრძობიარე ინფორმაციის დაცვაში განვითარებადი კიბერ საფრთხეებისგან. ეს სისტემები იყენებენ სპეციალურ ალგორითმებს, რათა მუდმივად აკონტროლონ და გააანალიზონ ქსელის ნაკადის დიდი რაოდენობა, განსაზღვრონ პოტენციური თავდასხმების ან მოწყვლადობის ნიშნები, რომლებიც შეიძლება მიუთითებდეს არაავტორიზებული წვდომის მცდელობებზე. რეალურ დროში საექვო მოქმედებების ავტონომიური გამოვლენით და რეაგირებით, ხელოვნური ინტელექტი აძლიერებს სამხედრო ქსელების მდგრადობას, პრევენციულად ამსუბუქებს საფრთხეებს, სანამ ისინი გავლენას იქონიებენ ოპერაციულ უსაფრთხოებაზე.

გარდა ამისა, მანქანური დასწავლის მეთოდები ხელს უწყობს დაუცველობის ტესტირებას და შეფასებას სამხედრო კიბერ ინფრასტრუქტურაში. შეღწევადობის ავტომატური ტესტირებისა და იმიტირებული თავდასხმის სცენარების მეშვეობით, ამ ინსტრუმენტებს შეუძლიათ გამოავლინონ სისუსტეები ქსელის დაცვაში, პროგრამული უზრუნველყოფის კონფიგურაციაში და მომხმარებლის წვდომის კონტროლში. ეს პროაქტიული მიდგომა საშუალებას აძლევს სამხედრო ინფორმაციული ტექნოლოგიების გუნდებს პრიორიტეტულად მიიჩნიონ და დაუყოვნებლად მოახდინონ რეაგირება მოწყვლადობებზე, გააძლიერონ დაცვა კიბერ საფრთხეებისგან, დაწყებული მავნე პროგრამებიდან ან ფიშინგის შეტევებიდან და დამთავრებული სხვა სახელმწიფოს მიერ ორგანიზებული დახვეწილი შეღწევებით. შესაბამისად სამხედროებს შეუძლიათ შეინარჩუნონ ოპერაციული უწყვეტობა, დაიცვან სენსიტიური მონაცემები და კრიტიკული ინფრასტრუქტურის მთლიანობა ციფრულ ბრძოლის ველზე.

მოწინავე ტექნოლოგიები ასევე გამოიყენება ელექტრონულ ომში ელექტრომაგნიტური სიგნალების ანალიზის სიჩქარისა და სიზუსტის მნიშვნელოვნად გაუმჯობესებით. ელექტრომაგნიტური დაზვერვის ოპერაციები მოიცავდა სიგნალების ხელით სკანირებას და გამოვლენას, რაც საკმაოდ შრომატევადი პროცესია და ნაკლებად დაცულა შეცდომებისკენ. ხელოვნური ინტელექტის საშუალებით, ეს პროცესები ავტომატიზირებულია, რაც საშუალებას იძლევა რეალურ დროში აღმოაჩინოს და კლასიფიცირდეს სხვადასხვა საკომუნიკაციო პროტოკოლები და ელექტრონული აქტივობები, რომლებიც გამოიყენება მოწინააღმდეგე ძალების მიერ. მას შეუძლია სწრაფად ამოიცნოს და განასხვავოს რადარის გამოსხივება, საკომუნიკაციო სიგნალები და სხვა ელექტრონული აქტივობები, რაც საშუალებას აძლევს შესაბამის სამხედრო პერსონალს სწრაფად შეაფასონ საფრთხეები და გადადგან ეფექტური ნაბიჯები.

ხელოვნური ინტელექტი აძლიერებს ელექტრომაგნიტური შესაძლებლობებს მონაცემების მუდმივი სწავლით, მისი ალგორითმების დახვეწით, რათა მოერგოს განვითარებად ტაქტიკასა და ტექნოლოგიებს, რომლებსაც იყენებენ პოტენციური მოწინააღმდეგეები. ადაპტაციის შესაძლებლობა გადამწყვეტია თანამედროვე ომის მსვლელობისას სადაც სიჩქარე და სიზუსტე უმთავრესია. შესაბამისად სამხედროებს შეუძლიათ მიიღონ მნიშვნელოვანი ტაქტიკური უპირატესობა, რაც უზრუნველყოფს სწრაფ და ამომწურავ ინფორმაციას და უზრუნველყოფს ოპერაციულ უპირატესობას რთულ ელექტრომაგნიტურ გარემოში.

ტაქტიკურთან ერთად სტრატეგიულ დონეზე, ხელოვნური ინტელექტის პროგნოზირებადი ანალიტიკური შესაძლებლობები მნიშვნელოვნად გარდაქმნის სამხედრო დაგეგმვისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესებს. წარსულის ჩანაწერების, რელიეფის მახასიათებლების, სატელიტური გამოსახულების და რეალურ დროში ღია წყაროებიდან მიღებული დიდი რაოდენობით მონაცემების სინთეზით, შესაძლებელია მტრის პოტენციური მოძრაობების პროგნოზირება უპრეცედენტო სიზუსტით. ეს პროგნოზირების უნარი საშუალებას აძლევს სამხედრო ხელმძღვანელობას განჭვრიტონ მოწინააღმდეგის ქმედებები, სტრატეგიულად განათავსონ ძალები, რათა გამოიყენონ მტრის სისუსტეები ან განახორციელონ სპეციალური ოპერაციები.

ხელოვნური ინტელექტი აძლიერებს სტრატეგიული რესურსების განაწილებას პერსონალის, აღჭურვილობისა და ლოჯისტიკის განლაგების ოპტიმიზაციის გზით, წინასწარ განსაზღვრული სცენარების საფუძველზე. პროგნოზირებადი ანალიტიკის გამოყენება არა მხოლოდ რეალურ საბრძოლო ვითარებაში, არამედ სასწავლო გარემოშიც ხდება. სცენარების დაგეგმვა და საომარი სიმულაციები საშუალებას აძლევს სამხედრო დამგეგმავებს მოახდინონ სხვადასხვა შედეგების სიმულაცია და დახვეწონ სტრატეგიები კონტროლირებად გარემოში, სანამ მათ რეალურ პირობებში განახორციელებენ.

ინფორმაციის სწრაფი ანალიზი საშუალებას აძლევს გადაწყვეტილების მიმღებებს, გააკეთონ ინფორმირებული არჩევანი სწრაფად და თავდაჯერებულად. ის არა მხოლოდ აძლიერებს სიტუაციის ცნობიერებას, არამედ უზრუნველყოფს სტრატეგი-

ულ უპირატესობას, რთულ და დინამიურ ოპერაციულ გარემოში განვითარებად საფრთხეებზე ქმედითი ნაბიჯების გადასადგმელად. ეს შესაძლებლობა სულ უფრო მნიშვნელოვანია თანამედროვე ომში, სადაც სიჩქარე, სიზუსტე და ადაპტირება აუცილებელია მისიის წარმატების მისაღწევად და ბრძოლის ველზე უპირატესობის შესანარჩუნებლად.

სტრატეგიულ დონეზე დიდი მნიშვნელობა ენიჭება ქვეყნის მიერ თანამედროვე შეიარაღების ათვისებას და მის შეიარაღებაში მიღებას. ქვეყნებს, რომელთაც აქვთ ეს უნარი შეუძლიათ ანგარიშგასაწევი ძალა გახდნენ საერთაშორისო პოლიტიკაში. ავტონომიური სისტემების გაჩენამ ღრმად შეცვალა თანამედროვე ომის დინამიკა, მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ერების აღქმაზე და მათ სამხედრო შესაძლებლობებზე საერთაშორისო ასპარეზზე. ეს ტრანსფორმაცია ნათლად გამოჩნდა ყარაბაღის მესამე ომის დროს, სადაც აზერბაიჯანის მიერ ავტონომიური ტექნოლოგიების ეფექტურმა გამოყენებამ გადამწყვეტი როლი ითამაშა მის სწრაფ გამარჯვებაში.

ავტონომიურმა სისტემებმა, დაწყებული უპილოტო საფრენი აპარატებიდან სახმელეთო რობოტებით დამთავრებული, აზერბაიჯანს საშუალება მისცა მიეღწია ოპერატიული ეფექტურობის უპრეცედენტო დონეს. ეს სისტემები გამოირჩევიან ისეთი შესაძლებლობებით, როგორცაა დაზვერვა, სამიზნეების აღმოჩენა და ზუსტი დარტყმების განხორციელება, რაც იძლევა სწრაფი გადაწყვეტილების მიღებისა და რეალურ დროში კორექტირების საშუალებას ბრძოლის ველზე. ამ შესაძლებლობების გამოყენებით აზერბაიჯანმა შეძლო შეენარჩუნებინა ინიციატივა და აჯობა თავის მოწინააღმდეგეს, მოიპოვა სტრატეგიული უპირატესობა, რომელიც გადამწყვეტი აღმოჩნდა კონფლიქტში.

საერთაშორისო საზოგადოებამ გაითვალისწინა აზერბაიჯანის წარმატება და აჩვენა, თუ როგორ შეუძლიათ ავტონომიურ სისტემებს აამაღლონ ერის სამხედრო ძლევამოსილება და სტრატეგიული გავლენა. მოწინავე ტექნოლოგიების განლაგების შესაძლებლობა არა მხოლოდ აძლიერებს ოპერატიულ შესაძლებლობებს, არამედ ასევე მიანიშნებს ინოვაციებისა და თავდაცვის სტრატეგიების მზადყოფნაზე. აზერბაიჯანის შემთხვევაში, ავტონომიური სისტემების გამოყენებამ არა მხოლოდ ხელი შეუწყო სამხედრო წარმატებას, არამედ წარმოაჩინა ტექნოლოგიური დახვეწილობისა და სტრატეგიული შორსმჭვრეტელობის იმიჯი.

გარდა ამისა, ავტონომიური სისტემების გამოყენებამ ყარაბაღის მესამე ომში ხაზი გაუსვა 21-ე საუკუნეში ომის განვითარებას. ქვეყნები, რომლებიც ავითარებენ ამ ტექნოლოგიებს, ეფექტურად აჩვენებენ თავიანთ უნარს ადაპტირდნენ თანამედროვე გამოწვევებთან და შეინარჩუნონ კონკურენტული უპირატესობა გლობალურ უსაფრთხოების გარემოში. ეს შესაძლებლობა არა მხოლოდ აძლიერებს შეკავებას, არამედ აყალიბებს ეროვნული ძალაუფლებისა და გავლენის აღქმას, აძლიერებს ტექნოლოგიური ინვესტიციების და სტრატეგიული შორსმჭვრეტელობის მნიშვნელობას საერთაშორისო პოზიციის შესანარჩუნებლად.

აზერბაიჯანის მიერ ავტონომიური სისტემების გამოყენება ყარაბაღის მესამე ომის დროს ასახავს იმას, თუ როგორ შეუძლია ამ ტექნოლოგიებს დაეხმაროს სახელმწიფოს სამხედრო ოპერაციებში და აამაღლოს ერის პოზიცია გლობალურ ასპარეზზე. სამხედრო მიზნების მიღწევის გარდა, ავტონომიური სისტემები ხაზს უსვამს მოწინავე და ინოვაციური ქვეყნის იმიჯს, რაც გავლენას ახდენს აღქმაზე და სტრატეგიულ გათვლებზე როგორც საერთაშორისო დამკვირვებლებს, ისე პოტენციურ მოწინააღმდეგეებს შორის.

მიუხედავად იმისა, რომ სამხედრო ოპერაციებში ხელოვნური ინტელექტისა და ავტონომიური სისტემების ინტეგრაციას უდაო უპირატესობები მოაქვს, მას თან სდევს საფრთხეებიც კიბერუსაფრთხოებასთან, პერსონალური ინფორმაციისა და ადამიანის უფლებების დაცვასთან დაკავშირებით. ურთიერთდაკავშირებულ მოწყობილობებზე დამოკიდებულება და მონაცემების საფუძველზე გადაწყვეტილების მიღება აძლიერებს სამხედრო და სამოქალაქო ქსელების დაუცველობას კიბერ საფრთხეების მიმართ. მოწინააღმდეგეებს შეუძლიათ გამოიყენონ ეს დაუცველობა ოპერაციების ჩაშლის, სენსიტიური ინფორმაციის მოპარვის ან ავტონომიური სისტემების მავნე მიზნებისთვის მანიპულირებისთვის. ამიტომ, ტექნოლოგიურ წინსვლასთან ერთად, მტკიცე კიბერთავდაცვის სტრუქტურები აუცილებელია ეროვნული უსაფრთხოების და ეთიკური სტანდარტების დასაცავად.

პერსონალური ინფორმაციისა და ადამიანის უფლებების დაცვა სულ უფრო რთული ხდება, რადგან მსგავსი სისტემები აგროვებენ დიდი რაოდენობით ინფორმაციას. მონაცემთა შეგროვება, შენახვა და ანალიზი უნდა შეესაბამებოდეს მკაცრ რეგულაციებს და ეთიკურ მითითებებს, რათა თავიდან იქნას აცილებული ბოროტად გამოყენება და არაავტორიზებული წვდომა. მონაცემთა დამუშავების პრაქტიკაში გამჭვირვალობის უზრუნველყოფა გადამწყვეტია საზოგადოების ნდობის შესანარჩუნებლად და კონფიდენციალურობის დარღვევის ფაქტების აღმოსაფხვრელად როგორც სამხედრო, ასევე სამოქალაქო კონტექსტში.

ხელოვნური ინტელექტის დანერგვა ბადებს კითხვებს ამ ტექნოლოგიების ანგარიშვალდებულებასა და გადაწყვეტილების მიღების პროცესებთან დაკავშირებით. ავტონომიური სისტემების პოტენციური ავტონომიურად ჩაერთონ სასიკვდილო ქმედებებში, მაგალითად, მოითხოვს ანგარიშვალდებულების მკაფიო სახელმძღვანელო მითითებებს და მექანიზმებს საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალთან და ეთიკურ ნორმებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად. სამხედრო ეფექტურობის ეთიკურ მოსაზრებებთან დაბალანსება მოითხოვს მუდმივ დიალოგს და თანამშრომლობას პოლიტიკის შემქმნელებს, ინჟინრებსა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის, რათა შეიქმნას ჩარჩოები, რომლებიც პრიორიტეტულნი არიან ადამიანის უსაფრთხოებასა და ღირსებაზე.

დასკვნა

შეჯამებისთვის, ხელოვნური ინტელექტი და ავტონომიური სისტემები უდავოდ ფლობენ უზარმაზარ პოტენციალს, რათა შეცვალონ თანამედროვე კონფლიქტების ლა-

ნდშაფტი, მიუხედავად გარკვეული გამოწვევებისა. მართალია, ეს ტექნოლოგიები აწყდება სირთულეებს, როგორცაა კიბერ დაუცველობა და არავტორიზებული კონტროლის მოპოვების საშიშროება, მაგრამ მათი სტრატეგიული და ტაქტიკური განვითარება წარმოადგენს გადამწყვეტ ინვესტიციას ეროვნული უსაფრთხოების გასამდიერებლად.

სტრატეგიულ დონეზე, ხელოვნური ინტელექტი საშუალებას იძლევა უფრო ზუსტი და ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღების. მის ალგორითმებს შეუძლიათ მონაცემთა უზარმაზარი ნაკრების ანალიზი, რათა იწინასწარმეტყველონ შედეგები და გააუმჯობესონ რესურსების განაწილება, რითაც იზრდება საერთო ოპერატიული ეფექტურობა. გარდა ამისა, ავტონომიურ სისტემებს შეუძლიათ დამოუკიდებლად შეასრულონ ამოცანები დაზვერვიდან დაწყებული ლოგისტიკის ჩათვლით, შეამცირონ ადამიანის საფრთხეზე ზემოქმედება ბრძოლის ველზე ოპერატიული ტემპისა და მოქნილობის შენარჩუნებისას.

ტაქტიკურად, ავტონომიური სისტემები გვთავაზობენ რეალურ დროში სიტუაციის ცნობიერების და სწრაფი რეაგირების შესაძლებლობებს. ხელოვნური ინტელექტით აღჭურვილ უპილოტო სატრანსპორტო საშუალებებსა და თვითმფრინავებს შეუძლიათ მისიების შესრულება დისტანციურად ან ავტონომიურად, აქვთ უნარი შეაგროვონ საჭირო ინფორმაცია და შეასრულონ მისიები რთულ პირობებში. ამ ტექნოლოგიების გამოყენებით, ქვეყნებს შეუძლიათ შეამსუბუქონ რისკები და ჰყავდეთ უფრო ეფექტური საბრძოლო ძალა.

მუდმივი ინვესტიცია ხელოვნური ინტელექტისა და ავტონომიური სისტემების განვითარებაში აუცილებელია იმისთვის, რომ სახელმწიფომ შეძლოს წამყვანი პოზიციების დაკავება კონკურენტუნარიან გლობალურ უსაფრთხოების ლანდშაფტში. ქვეყნები, რომლებიც პრიორიტეტს ანიჭებენ კვლევას, განვითარებას და ამ ტექნოლოგიების ინტეგრაციას, მიაღწევენ მნიშვნელოვან სტრატეგიულ უპირატესობას.

გამოყენებული ლიტერატურა

გვანცა ფორჩხიძე, ხელოვნური ინტელექტი - ახალი რეალობა, მედია და ციფრული კომუნიკაციების სააგენტო, 2024.

<https://clp.ge/khelovnuri-intelekti-ai/> (11.19.2024)

გიგი მეფარიშვილი, *ხელოვნური ინტელექტის საფრთხეები და სტარტაპები, რომლებიც მათ თავიდან არიდებს ცდილობენ*, მედიალაბი, 2021.

<https://medialab.ge/news/startapebi-romlebits-khelovnur-intelekttan-dakavshirebuli-riskebis-tavidan-aridebaze-mushaoben> (11.19.2024)

დავით ბერაძე, 4 მთავარი რისკი, რაც ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგიის განვითარებას თან ახლავს, ფორბს ჯორჯია, 2023.

<https://forbes.ge/4-mthavari-riski-rats-khelovnuri-inteleqtis-teqnologiis-ganvitharebas-than-akhlavs/> (11.19.2024)

რესურსები, როგორც კონკურენტული უპირატესობის საფუძველი

ლუკა ასანაშვილი

სსიპ-დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს
ეროვნული თავდაცვის აკადემიის
ბაკალავრიატის მენეჯმენტის მიმართულების იუნკერი

ამირან ბაბუციძე

სსიპ-დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს
ეროვნული თავდაცვის აკადემიის
ბაკალავრიატის მენეჯმენტის მიმართულების იუნკერი

ხელმძღვანელი: **რუსუდან დალაქიშვილი-ჭიჭინაძე**
ბაკალავრიატის მენეჯმენტის მიმართულების ასოცირებული პროფესორი

აბსტრაქტი

არსებული დღის წესრიგიდან გამომდინარე, მშვიდობისა და სტაბილურობისკენ სწრაფვა რესურსების სტრატეგიული მართვით, დღითიდღე აქტუალური ხდება, მნიშვნელობა არ აქვს, ამას ბიზნესის, თუ სახელმწიფოს ჭრილში განვიხილავთ. რესურსების ეფექტიანი ათვისება და მისი ოპტიმიზაციის უნარი, უზრუნველყოფს კონკურენტულ უპირატესობას და შეფერხებების წინააღმდეგ მდგრადობას. ნაშრომში განხილულია რესურსების ეფექტიანი განაწილებიდან, კონკურენტული უპირატესობის მოპოვებამდე არსებული გზები, რომლებიც მოიცავს (RBV) და VRIO-ს მსგავსი მოდელების ინტეგრაციას. ასევე საუბარია იმაზე, თუ, როგორ ხდება ორგანიზაციული წარმატების, ეროვნული უსაფრთხოების, მშვიდობისა თუ სტაბილურობის მიღწევა.

საკვანძო სიტყვები: მშვიდობა, სტაბილურობა, კონკურენტული უპირატესობა, ბიზნესი, სტრატეგია.

Resources as the basis of competitive advantage

Luka Asanashvili

Junker of Bachelor's Program in Management of
LEPL-David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia

Amiran Babutsidze

Junker of Bachelor's Program in Management of
LEPL-David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia

Supervisor: Rusudan Dalakishvili- Chichinadze

Associate Professor of Bachelor's program in Management

Abstract

Based on the existing agenda, the pursuit of peace and stability through strategic resource management is becoming more and more relevant day by day, regardless of whether we consider it from the perspective of business or the state. The effective use of resources and the ability to optimize them provide competitive advantage and resilience against disruptions. The paper discusses the existing paths from the effective allocation of resources to gaining competitive advantage, which include the integration of models such as (RBV) and VRIO. It also discusses how organizational success, national security, peace, and stability are achieved.

Keywords: peace, stability, competitive advantage, business, strategy.

შესავალი

რესურსების როლი კონკურენტული უპირატესობის უზრუნველყოფაში

რესურსების განმარტება და კლასიფიკაცია ეროვნულ და ბიზნეს კონტექსტში.

რესურსები თავის თავში მოიაზრებს აქტივებს, შესაძლებლობების სპექტრს, გარდამქმნელ პროცესებსა და ცოდნას, ტექნოლოგიას, მიდგომების ერთობლიობას, რის საფუძველზეც ორგანიზაციებს თუ ერებს, ეძლევათ შესაძლებლობა საკუთარი მიზნების მიღწევის და კონკურენტული უპირატესობის მოპოვების, რაც მთავარი მექანიზმია, როგორც ბიზნეს სამყაროში, ისე მის მიღმა წარმატების მისაღწევად. ამ მიმდინარეობის კლასიფიკაცია შესაძლებელია და იგი სამ ძირითად ასპექტს მოიცავს, როგორებიცაა: 1. მატერიალური რესურსები - იგივე ფიზიკური აქტივები, მაგ.: მიწა, შენობები, მანქანა დანადგარები, თუ ფინანსური კაპიტალი, რაც ხელშესახებია და მასზე ინფორმაციის მოპოვება არ წარმოადგენს რაიმე სახის დაბრკოლებას. ყველა ის არამატერიალური რესურსი, რომელზეც სახელმწიფოს თუ ორგანიზაციას ხელი მიუწვდება. აქ თავისთავად, მიჩნეულია არაფიზიკური აქტივები, მათ შორის ინტელექტუალური საკუთრება (პატენტები, სავაჭრო ნიშნები) თუ სამეცნიერო მიღწევები, რომლებსაც ერთიორად შესწევთ ძალა მიმდინარე მოვლენებზე მოახდინონ ზეგავლენა, ასევე რეპუტაცია და კორპორატიული კულტურა, რაც შეეხება ამ უკანასკნელს სწორედ მისი განვითარებით ხდება გრძელვადიანი პერსპექტივების დასახვა და კონკურენტული უპირატესობის შენარჩუნება.

ნებისმიერი ორგანიზაცია - დაწესებულებისთვის, სამუშაო ძალის უნარი განსაზღვრავს ძალიან ბევრ რამეს. შესაძლებელია მობილიზებული გვექონდეს სხვა ყველა გარემოება, თუმცადა ამ კომპონენტში გამონაკლისმა სრულიად გააუფასუროს ჩვენს მიერ შესაფერისად შემზადებული გარემო. გამოცდილება და საქმისადმი კომპეტენტურობა ის ღირებულებებია, რომელიც საფუძველს უქმნის ნებისმიერი წარმატებული საქმიანობის განხორციელებას. შესაბამისად, ყველაფრის დანიშნულება ბოლოს ხომ ისევ ადამიანურ მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად არის მიმართული. რაც შეეხება თანამშრომლების ინოვაციურ და პრობლემების გადაჭრის უნარებს, უმნიშვნელოვანესია, რადგან სწორად ამ უნარ-თვისებებზე დგას ყოველდღიური თუ სამომავლო პერსპექტივაში შესასრულებელი სამუშაო.

რესურსების დივერსიფიცირებული კლასიფიკაციის გააზრება, საშუალებას იძლევა ბიზნეს-ანალიზის, თუ სახელმწიფოს სტრატეგიული დაგეგმარების პროცესი წარმატებული აღმოჩნდეს, რადგან ასეთი მიდგომის დროს ნათლად ჩანს ჩვენი ძლიერი და სუსტი მხარეები. შესაბამისად, გვაქვს ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით შესაძლებლობა, მივიღოთ ეფექტური და სწორი გადაწყვეტილებები.

რესურსებზე დაფუძნებული ხედვის თეორიული საფუძვლები (RBV)

რესურსებზე დაფუძნებული ხედვა, გულისხმობს იმ სტრატეგიული მიმართულებების ჩამოყალიბებას, რაც ხელთ არსებული საშუალებებით არის შესაძლებელი. შესაბამისად, შედეგის წინასწარი განზრახვა მეტად მარტივდება, შედარებით იმ შემთხვევასთან, როდესაც აბსტრაქტული, წარმოსახვითი შესაძლებლობების გამოყენებას

შევუდგებით და მათზე დაყრდნობით ჩამოვაცალიებთ ჩვენს სამოქმედო გეგმას, უფრო კონკრეტულად ეს იქნება ქვეყნის, თუ ორგანიზაციის დონეზე. ხაზგასმა ხდება იმ შიდა რესურსების მნიშვნელობა-გამოყენებაზე, რომელსაც შეუძლია მდგრადი კონკურენტული უპირატესობის მოტანა, საერთაშორისო ბაზარზე და მსოფლიოში სწორი პოზიციონირება.

ამის განსასაზღვრად, არსებობს ისეთი მექანიზმები, როგორცაა: VRIO Framework, რომლის დროსაც ვიგებთ რესურსების ღირებულებას, მის იშვიათობას, რამდენად ხელმისაწვდომია კონკურენტებისთვის, ექვემდებარება თუ არა იმიტირებას, ანუ შესაძლებელია თუ არა მარტივად მისი კოპირება და სხვა სისტემაში დანერგვა, და ბოლოს, რამდენად ორგანიზებულია სხვა რესურსები მიმართ; შესაძლებელია თუ არა მისი, როგორც სისტემაში გამოყენება. ჰეტეროგენულობა და უმოძრაობა (RBV)-ს თვალსაწიერში კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მიმდინარეობაა, რაც გულისხმობს კონკურენტების მხრიდან მსგავსი სისტემის გადატანის პრობლემატურობას, ან თუნდაც ერთი კონკრეტული რესურსის მსგავსად გამოყენებას, რაც კომპანიასა თუ სახელმწიფოს სერიოზულ დიფერენცირებულ პოზიციას ანიჭებს და მისი მდგრადობა საკმაოდ მაღალია ამ შემთხვევაში, რაც შეეხება მდგრად კონკურენტულ უპირატესობას, იგი უნიკალური და ღირებული რესურსების ექსპლუატაციით; ფირმისთვის შესაძლებლობას ქმნის მისი საკვანძო და უმაღლესი პოზიციის შენარჩუნებისა და დროთა განმავლობაში ამ მდგომარეობის გამყარებაში შექმნას სიღრმისეული საფუძველი, რაც გარანტი იქნება ზემოაღნიშნულის განსახორციელებლად.

RBV-ს გამოყენების მასშტაბები ვრცელია, თუ ის ინდუსტრიულ-სახელმწიფოებრივ ჭრილში ეფექტურ სამუშაოს ასრულებს. სტრატეგიული დაგეგმარება რთული წარმოსადგენია იმ მიმართულებების გაუთვალისწინებლად, რასაც ეს მექანიზმი გვთავაზობს, რადგან ამ მეთოდიკის საფუძველზე ხდება რესურსების ანალიზი და მათი შერჩევა გამოყენებისთვის, თუ რომელ მათგანს აქვს იმის უნარი, უზრუნველყოს მდგრადი კონკურენტული უპირატესობა.

სტრატეგიული რესურსების იდენტიფიკაცია და განვითარება

რესურსების შეფასების სისტემა VRIO

VRIO ჩარჩო არის სტრატეგიული ანალიზის ინსტრუმენტი, რომელიც გამოიყენება ორგანიზაციის რესურსებისა და შესაძლებლობების შესაფასებლად, რათა განისაზღვროს, თუ რამდენად უწყობენ ხელს ისინი კონკურენტული უპირატესობის მიღწევას. VRIO აკრონიმია, რომელიც აღნიშნავს ოთხ ძირითად კრიტერიუმს:

1. Value (ღირებულება)
2. Rarity (იშვიათობა)
3. Imitability (იმიტირების სირთულე)
4. Organization (ორგანიზაცია)

როგორ გამოიყენება თითოეული კრიტერიუმი რესურსების შესაფასებლად?

1. Value (ღირებულება):

რესურსი უნდა ეხმარებოდეს კომპანიას შესაძლებლობების გამოყენებაში ან საფრთხეების ნეიტრალიზებაში. ის უნდა წარმოადგენდეს ღირებულ რესურსს კომპანიისთვის.

2. Rarity (იშვიათობა):

თუ ბევრ კონკურენტს აქვს ერთი და იგივე რესურსი, ის ვერ იქნება კონკურენტული უპირატესობის წყარო. რაც უფრო იშვიათია პროდუქტი, მით უფრო კონკურენტუნარიანს ხდის კომპანიას და უფრო მეტიც, ანიჭებს მას კონკურენტულ უპირატესობას

3. Imitability (იმიტირების სირთულე):

რაც უფრო რთულია რესურსის იმიტირება, კოპირება, მით უფრო ხანგრძლივი შეიძლება იყოს კონკურენტული უპირატესობა.

4. Organization (ორგანიზაცია):

კომპანიას უნდა ჰქონდეს შესაბამისი სტრუქტურა, სისტემები და კულტურა რესურსის პოტენციალის მაქსიმალურად გამოსაყენებლად.

რესურსების შეფასების პროცესი VRIO ჩარჩოს გამოყენებით:

1. აუცილებელია იდენტიფიცირდეს, გამოვლინდეს კომპანიის ძირითადი რესურსები და შესაძლებლობები.
2. თითოეული რესურსისთვის უნდა დაისვას VRIO კითხვები:
 - ✓ არის თუ არა ღირებული?
 - ✓ არის თუ არა იშვიათი?
 - ✓ არის თუ არა რთული იმიტირებისთვის?
 - ✓ არის თუ არა კომპანია ორგანიზებული მის გამოსაყენებლად?
3. რესურსის პასუხების კომბინაცია განსაზღვრავს მის სტრატეგიულ მნიშვნელობას:
 - ✓ თუ ყველა კითხვაზე პასუხია "დიახ", რესურსი შეიძლება იყოს მდგრადი კონკურენტული უპირატესობის წყარო.
 - ✓ თუ რესურსი ღირებულია, მაგრამ არ არის იშვიათი, ის შეიძლება იყოს კონკურენტული პარიტეტის წყარო.
 - ✓ თუ რესურსი არ არის ღირებული, ის შეიძლება იყოს კონკურენტული სისუსტე.
4. ანალიზის შედეგების საფუძველზე, კომპანიამ უნდა შეიმუშაოს სტრატეგიები თავისი ძლიერი მხარეების გასაძლიერებლად და სუსტი მხარეების გასაუმჯობესებლად.

VRIO ჩარჩოს გამოყენება ეხმარება კომპანიებს გააანალიზონ თავიანთი რესურსები სტრატეგიული პერსპექტივიდან და განსაზღვრონ, რომელი მათგანი შეიძლება გახდეს კონკურენტული უპირატესობის წყარო.

უნიკალური და ძნელად მიზამვადი რესურსების შექმნის სტრატეგიები

უნიკალური რესურსების შექმნა, თავის მხრივ, მოიაზრებს ინოვაციების ხელშეწყობას, მასზე ორიენტირებას, რადგან კომპანია ბაზრის ლიდერიც რომ იყოს, თუ ის არ სთავაზობს ბაზარს რაიმე ახალს, აუცილებლად გამოჩნდება ბაზარზე ახალი კომპა-

ნია ინოვაციური, რომლებიც დროთა განმავლობაში აუცილებლად მოიპოვებს კონკურენტულ უპირატესობას ინოვაციების შეთავაზებით. უფრო მეტი თვალსაჩინოებისთვის შეგვიძლია მოვიყვანოთ პრაქტიკული მაგალითები Apple და Tesla-ს სახით. მათ მოახერხეს და ინოვაციური ტენდენციების დანერგვით ბაზარზე გახდნენ მისი ლიდერები, შექმნეს ძლიერი ბრენდის იდენტობა და შესთავაზეს ბაზარს უნიკალური სიახლე, რომლის კოპირებაც სხვა კომპანიებისთვის რთული აღმოჩნდა.

აქედან გამომდინარე, ვფიქრობთ, რომ ქვეყნებმა უნდა განავითარონ სტრატეგიული რესურსები, მაგალითად, როგორცაა განახლებადი ენერჯის ინდუსტრია, რათა შეამცირონ დამოკიდებულება გარეშე ძალებზე და ამით წაართვან მათ ასეთ ქვეყნებზე ზემოქმედების მაგალითად, არსებული რეალობა რუსეთ-უკრაინას შორის, ალტერნატიული საშუალება, რომ არსებობდეს რუსული ბუნებრივი აირის ჩანაცვლების, უდიდეს იარაღს დაკარგავს ამით იგი. ამრიგად, ყოველი ასეთ სფეროში ინოვაციური წინ გადადგმული ნაბიჯი, შესაძლოა კონკურენტული უპირატესობის მოპოვების მთავარი ფაქტორიც კი გახდეს.

რესურსების ეფექტური მენეჯმენტი კონკურენტული უპირატესობისთვის რესურსების ოპტიმიზაცია და სინერჯის მიღწევა.

რესურსების ეფექტური მართვა გულისხმობს მისი პოტენციალის გააზრებას და რაც მთავარია, საჭირო დროს და ადგილზე მის გამოყენებას, რაც თავის მხრივ ზრდის მის არსებულ ღირებულებას, ხელმისაწვდომობას და შესაბამისად ხდება ოპტიმიზაციის ისეთი სახით განხორციელება, რომელიც უზრუნველყოფს პროდუქტიულობის მაქსიმალურ დონეზე აყვანას და სინერჯის ეფექტის მიღწევას. სინერჯის ეფექტი მდგომარეობს შემდეგში: რესურსების ერთობლივი ექსპლუატაციის შემთხვევაში მიღებული შედეგი, როდესაც აღემატება ამ სისტემის გარეთ, თუნდაც მოქმედი ელემენტების შედეგიანობას, საქმე გვაქვს სინერჯისთან. ვერტიკალური ინტეგრაციის კონტექსტში, სახელმწიფოსა თუ ორგანიზაციას აქვს შესაძლებლობა გააკონტროლოს ფასეულობათა ჯაჭვის რამდენიმე ეტაპი, ანუ უშუალოდ პროცესი, ან მასში მოახდინოს გარკვეული ცვლილებები, რაც შეამცირებს ხარჯებს, ამასთანავე გააუმჯობესებს კომუნიკაციას და კოორდინირების უნარს. შედეგად მივიღებთ უკეთეს პოზიციონირებას ბაზარზე და კონკურენტული უპირატესობის მოპოვების შანსს. მაგალითისთვის, ენერჯეტიკის სექტორში ფართოდ გამოყენებადი მეთოდია ვერტიკალური ინტეგრაცია, რადგან მიწოდების ჯაჭვს ეძლევა რესურსების უკეთ განაწილების შესაძლებლობა და შესაბამისად ვიღებთ სინერჯის ეფექტს. რაც უფრო მნიშვნელოვანია - გარე საფრთხეებისგან მეტად დაცულია. ამგვარად, ხარჯების შემცირებასთან ერთად ვიღებთ გაცილებით მოქნილ და უსაფრთხო სისტემას, რომელიც სახელმწიფოსთვის ერთ-ერთი პრიორიტეტია.

დინამიური შესაძლებლობები და რესურსების ადაპტაცია ცვალებად გარემოში

ცვალებადი შესაძლებლობები დღევანდელი არსებული რეალობის ჩვეულებრივი შემადგენელი ნაწილია, შესაბამისად, როდესაც ორგანიზაციას, თუ სახელმწიფოს,

შესწევს უნარი, გაუმკლავდეს და მოახდინოს საკუთარი რესურსების ეფექტიანი მართვა, გარემოს საპასუხოდ, მნიშვნელოვანი ასპექტია მისი განვითარებისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფაში, რაც გულისხმობს შესაძლებლობებისა და საფრთხეების ანალიზს და სწორ შეფასებას. ასეთი ინფორმაციის გამოყენება რესურსების რეკონფიგურაციის შესაძლებლობას იძლევა და სამიზნე სუბიექტამდე მის წარმატებით ექსპლუატაციას უქმნის საფუძველს, რაც საწინდარია კონკურენტუნარიანობის შენარჩუნებისა. მაგალითისთვის შეგვიძლია გავიხსენოთ COVID-19 პანდემიის დროს, რა ადაპტაციის გავლა მოუწია არა მხოლოდ თითოეულ ორგანიზაციასა თუ სახელმწიფოს, არამედ გლობალურად რა ტრანსფორმაცია განიცადა მიმდინარე მოვლენების დღის წესრიგმა, ბევრმა ფირმამ სწრაფად გადაანაწილა რესურსები ციფრულ პლატფორმებზე, რამაც უზრუნველყო ბიზნესისა, თუ სახელმწიფო აპარატის ფუნქციონირების უწყვეტობა. სწორედ ამ დროს გამოჩნდნენ ისეთი პიონერები, რომლებმაც მოახერხეს და არსებული რეალობა სასიკეთოდ გამოეყენებინათ და გამოწვევებით მოცული გარემო წარმატებით აითვისეს. ეროვნულ დონეზე დინამიური შესაძლებლობები საშუალებას აძლევს სახელმწიფოს უპასუხონ გეოპოლიტიკურ და ეკონომიკურ გამოწვევებს, შეძლონ მათი პრევენცია და საჭიროების შემთხვევაში გაატარონ შესაბამისი ღონისძიებები, დაიცვან მათი სტაბილურობა და უსაფრთხოება.

დასკვნა

საბოლოოდ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ რესურსების სტრატეგიული მენეჯმენტი არის კონკურენტული უპირატესობის და ამასთანავე, მშვიდობისა და სტაბილურობის მთავარი გარანტი, ფაქტობრივად კრიტიკული განმსაზღვრელიც კი, ისეთი მოდულების გამოყენება როგორებიცაა RBV და VRIO, საშუალებას აძლევს ორგანიზაციასა თუ ხელისუფალთ იდენტიფიცირება მოახდინონ რისკებისა, განავითარონ მათ ხელთ არსებული რესურსები და ოპტიმიზირდნენ თანამედროვე ეფექტური ნავიგაციისთვის. არ აქვს მნიშვნელობა იქნება ეს უნიკალური ღონისძიებების გატარება, თუ სინერჯის ეფექტის მიღწევა, ან/და დინამიური შესაძლებლობების გამომუშავება. რაც არ უნდა იყოს, რესურსების სტრატეგიული მართვა გადამწყვეტ როლს ასრულებს ეფექტური პოზიციონირებისთვის და მდგრადი განვითარების უზრუნველსაყოფად. გამომდინარე იქიდან, რომ გლობალური გარემო აგრძელებს მუდმივ განვითარებას, შეზღუდული რესურსების პირობებში, მაშინ, როდესაც მოთხოვნა მუდმივად მზარდია, რესურსების სტრატეგიული მენეჯმენტი რჩება საფუძველი კონკურენტუნარიანობის შესანარჩუნებლად და ამავდროულად მშვიდობისა და სტაბილურობის გარანტიად.

გამოყენებული ლიტერატურა

- Barney, J. B. (1991). ფირმის რესურსები და მდგრადი კონკურენტული უპირატესობა. „ჟურნალი მენეჯმენტის“, 17(1), 99–120.
- Teece, D. J., Pisano, G., & Shuen, A. (1997). დინამიური შესაძლებლობები და სტრატეგიული მენეჯმენტი. „სტრატეგიული მენეჯმენტის ჟურნალი“, 18(7), 509–533.

- Porter, M. E. (1985). „კონკურენტული უპირატესობა: უმაღლესი შესრულების შექმნა და შენარჩუნება.“ თავისუფალი პრესა.
- გრანტი, R. M. (1991). რესურსებზე დაფუძნებული კონკურენტული უპირატესობის თეორია: შედეგები სტრატეგიის ფორმულირებაზე. „კალიფორნიის მენეჯმენტის მიმოხილვა“, 33(3), 114–135.

ჩრდილოატლანტიკური ალიანსი (NATO) და ცვალებადი სამხედრო-პოლიტიკური გარემო

მარიამ სოფრომაძე

სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს
ეროვნული თავდაცვის აკადემიის
ბაკალავრიატის თავდაცვა და უსაფრთხოების იუნკერი

ხელმძღვანელი: ლევან გეგეშიძე

ბაკალავრიატის თავდაცვა და უსაფრთხოების პროფესორი

აბსტრაქტი

ნაშრომის მიზანია განიხილოს და ხაზი გაუსვას ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ირგვლივ ცვალებად სამხედრო - პოლიტიკურ გარემოს. დღეს ნატოს საზღვრებთან არასტაბილური პოლიტიკური გარემოა, რაც პირდაპირ უკავშირდება ალიანსისა და მისი წევრი სახელმწიფოების უსაფრთხოებისა და სტაბილურობის გამოწვევებს. ახლო აღმოსავლეთიდან ნატოსა და არა მარტო მისი წევრი, ასევე მოკავშირე სახელმწიფოებისათვის საფრთხეს წარმოადგენს ტერორიზმი და არასახელმწიფოებრივი შეიარაღებული დაჯგუფებები. მათი მიზანია მაქსიმალური რეზონანსისა და დესტაბილიზაციის გზით მიაღწიონ გარკვეულ პოლიტიკურ, იდეოლოგიურ და რელიგიურ მიზნებს. მათ სამიზნე კატეგორიას უდანაშაულო მოსახლეობა წარმოადგენს და მათზე ზეწოლით, დაშინებით ისინი ზეგავლენის მოხდენას ცდილობენ სხვადასხვა სახელმწიფოების მთავრობებსა თუ საერთაშორისო ორგანიზაციებზე. მათი მოღვაწეობა და არსებობა საფრთხის ქვეშ აყენებს ისევე როგორც ნატოს წევრ და მოკავშირე სახელმწიფოებს, ასევე მთელს მსოფლიოს. დღეს ალიანსის უსაფრთხოებისა და სტაბილურობის გამოწვევა რუსეთ-უკრაინას შორის მიმდინარე სამხედრო კონფლიქტსაც უკავშირდება. 2022 წლის თებერვალში რუსეთმა უკრაინის წინააღმდეგ, ნატოს აღმოსავლეთ საზღვართან ახლოს, წამოიწყო ფართომასშტაბიანი სამხედრო შეიარაღებული ოპერაციები და უკანონოდ შეიჭრა უკრაინის ტერიტორიაზე. მათ შორის სამხედრო დაპირისპირება დღემდე გრძელდება. უკრაინა ესაზღვრება ოთხ ნატოს წევრ სახელმწიფოს. ალიანსმა და მისმა წევრმა სახელმწიფოებმა მხარი დაუჭირეს უკრაინას ისევ როგორც სამხედრო თვალსაზრისით, ასევე პოლიტიკურ-ეკონომიკურ ჭრილშიც. მათ დაუწესეს აგრესორ სახელმწიფოს სანქციები, რათა აღეკვეთათ მისი წინსვლა და ომის საწარმოებლად საჭირო რესურსების ფლობა. უკრაინას გაუწიეს საკმაოდ დიდი ფინანსური დახმარება და ამავდროულად გადასცეს ომის საწარმოებლად მნიშვნელოვანი სამხედრო აღჭურვილობა, როგორებიცაა: საარტილერიო დანადგარები, სარაკეტო დანადგარები, კავშირგაბმულობისა და სამედიცინო დახმარებისათვის საჭირო რესურსები. არსებობს რუსული მუქარაც, ბირტვული იარაღის გამოყენების თაობაზე. ისინი იარაღს გამოიყენებენ საფრთხის წყაროს გასანეიტრალებლად. ნატოს მიზანია მისი წევრი სახელმწიფოებისათვის 360 გრადუსზე დამყარებული კოლექტიური მშვიდობისა და სტაბილურობის უზრუნველყოფა.

საკვანძო სიტყვები: კოლექტიური უსაფრთხოება, სტაბილურობა, უსაფრთხოების გამოწვევა, ტერორიზმი, ბირტვული მუქარა.

North Atlantic Alliance (NATO) and the changing military-political environment

Mariam Sopromadze

Junker of Bachelor's Program in Defense and Security of
LEPL-David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia

Supervisor: **Levan Gegeshidze**

Professor of Bachelor's Program in Defense and Security

Abstract

The aim of the paper is to discuss and highlight the changing military-political environment around the North Atlantic Alliance. Today, there is an unstable political environment along NATO's borders, which is directly related to the security and stability challenges of the Alliance and its member states. Terrorism and non-state armed groups pose a threat to NATO and not only its member states, but also allied states, from the Middle East. Their goal is to achieve certain political, ideological and religious goals through maximum resonance and destabilization. Their target category is the innocent population, and by putting pressure on them, they try to influence the governments of different states or international organizations. Their activity and existence endangers NATO member and allied states as well as the whole world. Today, the challenge to the security and stability of the alliance is also related to the ongoing military conflict between Russia and Ukraine. In February 2022, Russia launched large-scale armed military operations against Ukraine, near NATO's eastern border, and illegally invaded Ukrainian territory. The military conflict between them continues to this day. Ukraine borders four NATO member states. The Alliance and its member states supported Ukraine militarily, politically and economically. They imposed sanctions on the aggressor state to prevent it from advancing and possessing the resources necessary to wage war. Ukraine was given considerable financial aid and at the same time was given important military equipment for the war, such as: Artillery installations, rocket installations, communications and medical resources. There is also a Russian threat to use nuclear weapons. They will use weapons to neutralize the source of danger. NATO's goal is to provide 360-degree collective peace and stability for its member states.

Keywords: Collective security, stability, security challenge, terrorism, nuclear threat.

შესავალი

მადრიდში ჩატარებულ 2022 წლის სტრატეგიული კონცეფციის სამიტზე, ნატომ კიდევ ერთხელ გამოკვეთა თავისი მიზანი და ამოცანა. მათ მტკიცე მიზანსა და მისწრაფებას წარმოადგენს, წევრი სახელმწიფოების თავისუფლებისა და უსაფრთხოების დაცვა, კოლექტიური უსაფრთხოების უზრუნველყოფა 360 გრადუსიანი მიდგომის საფუძველზე,¹ რაც იმას გულისხმობს, რომ მათი ამოცანაა შეკავება და თავდაცვა, კრიზისების პრევენცია, მათი მართვა და თანამშრომლობის საფუძველზე დამყარებული უსაფრთხოება. მიუხედავად მათი გონივრული ქმედებისა კოლექტიური უსაფრთხოების შენარჩუნების საკითხში, ნატო დღეს მრავალი უსაფრთხოებისა და სტაბილურობის გამოწვევის წინაშე დგას, რაც განსაკუთრებით გამოკვეთილია რუსეთ-უკრაინის ომის და ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე მოვლენების ფონზე. ეს გამოწვევები მოიცავს როგორც სამხედრო, ისე პოლიტიკური და ეკონომიკური ასპექტების კომპლექსურობას, რაც საჭიროებს ნატოს სერიოზულ ადაპტაციას და რეაგირებას.

რუსეთის აგრესია უკრაინის მიმართ წარმოადგენს ყველაზე მნიშვნელოვან საფრთხეს ევროპული უსაფრთხოებისათვის. 2014 წელს ყირიმის ანექსიის შემდეგ, ნატომ გააძლიერა თავისი სამხედრო ყოფნა აღმოსავლეთ ევროპაში, რათა დაიცვას წევრი ქვეყნები და უზრუნველყოს მათი უსაფრთხოება. 2022 წლის სრულმასშტაბიანი ომის დაწყების შემდეგ, ნატომ კიდევ უფრო გააძლიერა თავისი თავდაცვითი პოზიცია. რაც შეეხება ახლო აღმოსავლეთს, ამ ტერიტორიაზე სერიოზული პრობლემები აქვს ისეთ საკითხებს, როგორებიცაა, პოლიტიკური თავისუფლება, ადამიანების უფლებების დაცვა, დემოკრატია. გვხვდება ცენტრალიზებული ხელისუფლებებიც. რეგიონის არასტაბილური პოლიტიკური მდგომარეობა ხელს უწყობდა, არასახელმწიფოებრივი ჯგუფების ჩამოყალიბებას, მაგალითად როგორებიცაა შეიარაღებული ფორმირებები და ყველაზე საშიში, ტერორისტული ჯგუფები.

უნდა გამოიკვეთოს ბოლო პერიოდის მოვლენები, როდესაც 2023 წლის 7 ოქტომბერს ჰამასმა (ტერორისტული ორგანიზაცია) დაიწყო სასიკვდილო შეტევა ისრაელზე. ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე კონფლიქტი კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია, რომელიც გავლენას ახდენს ნატოს უსაფრთხოების პოლიტიკაზე. ომის მსვლელობისას გამოიკვეთა ტერორისტული ჯგუფები და ასევე უდანაშაულო მოსახლეობის მიმართ მიმართული ძალადობა. ეს კონფლიქტი აჩვენებს, რომ რეგიონალური სტაბილურობა პირდაპირ უკავშირდება გლობალურ უსაფრთხოებას და რომ ნატო უნდა იყოს მზად რეაგირებისთვის. ცვალებადი გეოპოლიტიკური და სამხედრო-პოლიტიკური სივრციდან გამომდინარე, ნატო დღეს მრავალი გამოწვევის წინაშე დგას, რაც მოითხოვს სწრაფ რეაგირებას და ადაპტაციას როგორც რუსეთ-უკრაინის ომის, ისე ისრაელში მიმდინარე მოვლენების ფონზე. ამ გამოწვევების გადაჭრა საჭიროებს საერთაშორისო თანამშრომლობას, ძლიერი თავდაცვითი პოლიტიკის განვითარებას და წევრ ქვეყნებს შორის მჭიდრო კავშირების შენარჩუნებას. მხოლოდ ერთობლივი ძალისხმე-

¹ NATO. 2022. „ნატოს 2022 წლის“. NATO. 29 06. წვდომილი 2024 წლის 01 10. file:///D:/Users/User/Downloads/290622-strategic-concept-georgian%20NATO.pdf.

ვით შეიძლება უზრუნველყოფილი იყოს მშვიდობა და სტაბილურობა ევროპასა და მის ფარგლებს გარეთ. ნაშრომი შეეცდება პასუხი გასცეს შემდეგ კითხვებს:

1. ახლო აღმოსავლეთსა და უკრაინაში მიმდინარე მოვლენების ფონზე, საინტერესოა, რა უსაფრთხოების გამოწვევის წინაშე დგას ნატო და რა პრევენციულ გზებს მიმართავს?
2. როგორ არიან ჩართულები, მისი წევრი სახელმწიფოები, უსაფრთხოებისა და სტაბილურობის შენარჩუნების საკითხში?

ნატოს უსაფრთხოებისა და სტაბილურობის გამოწვევები (ახლო აღმოსავლეთი)

ნატოს უსაფრთხოებისა და სტაბილურობის გამოწვევები ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე კონფლიქტების ფონზე მრავალფეროვანია და მოიცავს როგორც სამხედრო, ისე პოლიტიკურ და ეკონომიკურ ასპექტებს. რეგიონში არსებული დაძაბულობები, ტერორიზმი, ჰიბრიდული საფრთხეები და არასტაბილური გეოპოლიტიკური სივრცე პირდაპირ ზემოქმედებენ ნატოს უსაფრთხოების პოლიტიკაზე. ნატოს 2022 წლის უსაფრთხოების კონცეფციაში ვხვდებით ჩანაწერს, რომ არასტაბილურობა, არსებული კონფლიქტები და დაუცველობა ახლო აღმოსავლეთში, უსაფრთხოების პრობლემას ქმნის ალიანსისათვის. ეს რეგიონი დღეს დემოგრაფიული, ეკონომიკური და პოლიტიკური გამოწვევების წინაშე დგას. თითოეული სისტემური გაუმართაობა არასახელმწიფოებრივ აქტორებს ნიადაგს უქმნის იმისათვის, რომ ლეგიტიმურ მთავრობას მოქმედებაში ხელი შეუშალოს ან საერთოდაც ზეგავლენა მოახდინონ მასზე. საბოლოოდ მივდივართ ისეთ რეალობამდე, სადაც მრავლად არიან არასახელმწიფოებრივი შეიარაღებული დაჯგუფებები და მათ შორის ტერორისტული ორგანიზაციებიც, რომლებიც არა მხოლოდ რეგიონალური, ასევე ნატოს წევრი სახელმწიფოების, უსაფრთხოების გამოწვევას წარმოადგენენ, არის დემოკრატიის ნაკლოვანება და მკაცრად ირღვევა ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები.

ტერმინ ტერორიზმს ორასზე მეტი განმარტება აქვს, იგი არის ისეთი ძალადობრივი ქმედება, რომელიც მიმართულია საზოგადოების დიდი მასების დასაშინებლად პოლიტიკური, რელიგიური ან იდეოლოგიური მიზნების მისაღწევად. ტერორისტულ დაჯგუფებებს შესაძლოა ჰქონდეთ სხვადასხვა სტრუქტურა. შესაძლოა იყოს იერარქიული, ჰორიზონტალური ან ქსელური.² ამ არასახელმწიფოებრივი და დესტაბილიზაციისაკენ მიმართული ორგანიზაციის ლიდერებისა და წევრების გამოაშკარავება, დაკავება დიდ ძალისხმევას, რესურსებსა და სადაზვერვო ინფორმაციის ფლობას მოითხოვს. 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტის შემდეგ, ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის მოკავშირეებმა, პირველად გამოიყენეს ვაშინგტონის ხელშეკრულების მე-5 მუხლი, რაც გულისხმობს კოლექტიურ თავდაცვას (იგი დღემდე ფუნქციონირებს).³

² სუჯაშვილი, დავით. 2018. საერთაშორისო ტერორიზმის ანატომია და საქართველო. თბილისი: საგამომცემლო-პოლიგრაფიული ცენტრი, "საარი".

³ STATE, U.S. DEPARTMENT of. 2001. North Atlantic Treaty Organization (NATO). 01 20. Accessed 10 01, 2024. <https://2001-2009.state.gov/s/ct/intl/io/nato/>.

გამოვყოთ ახლო აღმოსავლეთიდან მომდინარე რამდენიმე ტერორისტული საფრთხე. ISIS ინარჩუნებს ტერორისტული თავდასხმების განხორციელების შესაძლებლობას ევროპაში (თუმცა მისი ძალები საგრძნობლად არის შესუსტებული და განსაკუთრებულ საფრთხეს აღარ წარმოადგენს) და მის ფარგლებს გარეთ. ჯგუფს აქვს ქსელი, რომელსაც შეუძლია შთააგონოს ან კოორდინაცია გაუწიოს თავდასხმებს ნატოს წევრი ქვეყნების წინააღმდეგ, ხშირად იყენებს სოციალურ მედიას რეკრუტირებისა და პროპაგანდისთვის. მიუხედავად იმისა, რომ ISIS-მა დაკარგა ტერიტორიული კონტროლი ერაყსა და სირიაში, ის აგრძელებს ფუნქციონირებას, როგორც დეცენტრალიზებული ქსელი. ჯგუფმა მოახდინა თავისი ტაქტიკის ადაპტაცია, გადავიდა ჩვეულებრივი ომიდან პარტიზანულ შეტევებზე და შთააგონა "მარტოხელა მგლების" თავდასხმები ნატოს წევრ ქვეყნებში, რაც ართულებს გამოვლენისა და პრევენციის მცდელობებს. მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე მდიდარ ტერორისტულ ორგანიზაციაში, ISIS-ში გაერთიანებულ მებრძოლებს შორის არიან ნატოს წევრი რამდენიმე სახელმწიფოს მოქალაქეები, მაგალითად როგორებიცაა: საფრანგეთი, გერმანია, დიდი ბრიტანეთი.⁴

ალ-ქაიდა ზრდის საფრთხეს რეგიონში მისი ფილიალების მეშვეობით, განსაკუთრებით ისეთ ადგილებში, როგორცაა იემენი და სირია. ამ ჯგუფებმა შესაძლოა პირდაპირ ან ირიბად ნატოს ინტერესებს წინააღმდეგობა გაუწიონ ადგილობრივი აჯანყებების წახალისებით, რომლებიც ეწინააღმდეგებიან დასავლურ გავლენას. მიუხედავად იმისა, რომ ჯერ კიდევ არის დავა იმის თაობაზე, რომ ტერორიზმი უნდა იყოს თუ არა ნატოს უმთავრესი გამოწვევა, რეალობა მაინც ის არის, რომ რადიკალური, დესტაბილიზაციისაკენ მიმართული ჯგუფები, რომელთაც პოლიტიკური, იდეოლოგიური ან თუნდაც რელიგიური მიზნები გააჩნიათ, ყოველთვის საფრთხის წყარო იქნებიან არა მხოლოდ ნატოს არაწევრი სახელმწიფოებისათვის, არამედ თავად ნატოსთვისაც.

ალიანსი ატარებს ტერორიზმისაკენ მიმართულ პრევენციულ პოლიტიკას. ნატომ შექმნა ტერორისტული საფრთხის დაზვერვის განყოფილება, რათა გააუმჯობესოს წევრ ქვეყნებს შორის ინფორმაციის გაზიარება ახლო აღმოსავლეთიდან პოტენციური საფრთხეების შესახებ. მათ გაზარდეს სამხედრო მზადყოფნა და რეაგირების შესაძლებლობები ნებისმიერი პოტენციური ტერორისტული საფრთხის სწრაფად აღმოსაფხვრელად, რაც უზრუნველყოფს წევრ ქვეყნებს კოლექტიური რეაგირების საჭიროების შემთხვევაში.

მიუხედავად იმისა, რომ ბოლო პერიოდში ნატოს საზღვრებს შიგნით არ მომხდარა ისეთი ტერორისტული აქტი, რომელიც უსაფრთხოების უმთავრესი გამოწვევა შეიძლება გამხდარიყო, ისეთი არასამართლებრივი ჯგუფების არსებობა, რომლებიც დესტაბილიზაციისა და რეზონანსისაკენ არიან მიმართულნი ყოველთვის იქნებიან საფრთხის წყარო.

ნატოს პოლიტიკიდან გამომდინარე, ტერორიზმის საფრთხეები საგრძნობლად შემცირებულია. დღეს არსებობს ახალი პრობლემა, გამოწვევა, რომელიც ომს, ნგრევას,

⁴ ქარჩავა, თამთა. 2017. კოალიციური ომი - NATO ISIS-ის წინააღმდეგ ბრძოლაში ერთგება. 05 26. Accessed 10 10, 2024. <https://for.ge/view/47761/koaliciuri-omi---NATO-ISIS-is-winaaRmdeg-brZolaSi-erTveba.html>.

უდანაშაულო მოსახლეობის სიცოცხლის მოსპობასა და დემოკრატიის ნაკლებობას მოიცავს. ისრაელსა და პალესტინას შორის ღაზას სექტორი დიდი ხნის განმავლობაში სადაო საკითხს წარმოადგენდა. 2023 წლის 7 ოქტომბერს ჰამასმა (პალესტინური შეიარაღებული დაჯგუფება და პოლიტიკური მოძრაობა ღაზას სექტორში. აშშ-ს, დიდი ბრიტანეთის, ისრაელისა და სხვა უამრავი სახელმწიფოს მიერ, იგი აღიარებულია, როგორც ტერორისტული ორგანიზაცია.) განახორციელა ისრაელის უდანაშაულო მოსახლეობის წინააღმდეგ არასამართლებრივი ქმედება, რამაც გამოიწვია მათი ფიზიკური დაზიანება. თავდასხმას დაახლოებით 1200 უდანაშაულო ადამიანი შეეწირა.⁵ ამ ქმედებამ გააღვივა დაძაბულობა და გამოიწვია სამხედრო ძალების ჩართვა. ჰამასი თავის ქმედებას აღწერს, როგორც პასუხს ისრაელისათვის, ღაზას სექტორის კონტროლისა და პალესტინელების დახოცვისათვის. ისრაელ-პალესტინის ომს საკმაოდ დიდი მსხვერპლი მოჰყვა. ღაზას სექტორში უამრავი ადამიანი დაიღუპა და დაშავდა, მათ დაკარგეს საცხოვრებელი ადგილები, დაზარალებულთა შორის არის უამრავი ბავშვი.

ჰამასის ქმედების საპასუხოდ, ისრაელმა დაიწყო ფართო მასშტაბით საკუთარი სამხედრო ძალების გამოყენება. მათ შეტევები დაიწყეს საჰაერო თავდასხმით, რასაც სახმელეთო შეტევებიც მოჰყვა. ისრაელის პრემიერ მინისტრმა განაცხადა, რომ მათი მიზანია განადგუროს ჰამასი, იმისათვის რომ ისრაელს სამომავლოდ საფრთხე აღარ დაემუქროს. გარკვეულ წყაროებზე დაყრდნობით, ის ინფორმაცია გავრცელდა, რომ ისრაელის სამხედრო ძალებმა, შეძლო ჰამასის ლიდერის, იაჰია სინვარის ლიკვიდაცია.⁶

დაძაბულობა ისევ პიკშია და ადამიანების სიცოცხლე საფრთხის ქვეშ დგას. ეს კონფლიქტური გარემო ქმნის სხვადასხვა საფრთხეებს რეგიონის გარე სამყაროსთვისაც. იზრდება სახელმწიფოებს შორის დაპირისპირების რისკები, ლტოლვილთა ნაკადების ზრდის ალბათობა და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმების უგულვებელყოფა. ისევე როგორც ისრაელმა, ასევე პალესტინამაც გამოიყენეს ისეთი სამხედრო შესაძლებლობები, რომლებმაც გამოიწვია უამრავი ადამიანის, ქალების, ბავშვების, მოხუცებისა და უდანაშაულო მოქალაქეების ფიზიკური განადგურება, დაშავება, უსახლკაროდ დატოვება.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ რეგიონი საკმაოდ მდიდარია ბუნებრივი რესურსებით, მაგალითად როგორცაა ნავთობი და გაზი, შესაბამისად ამ რეგიონის დესტაბილიზაცია, რიგ პრობლემებთან არის დაკავშირებული (მაგ: ბუნებრივ რესურსებზე ფასის ზრდა, რაც უკვე რუსეთის წინააღმდეგ სანქციებმა გამოიწვია, თუმცა ევროპამ შეძლო ახალი მიმწოდებლის პოვნა. მიუხედავად ამისა რეგიონს საკმაოდ დიდი და საჭირო ბუნებრივი რესურსი გააჩნია). შესაბამისად, რეგიონი გლობალური ეკონომიკის

⁵ BBC. 2024. *What is Hamas and why is it fighting with Israel in Gaza?*<https://www.bbc.com/news/world-middle-east-67039975>.(03/11/2024).

⁶ Staff, Al Jazeera. 2024. *How did Israel kill Hamas leader Yahya Sinwar? What we know so far.* წვდომილი 2024 წლის. <https://www.aljazeera.com/news/2024/10/18/how-was-yahya-sinwar-killed-what-we-know-so-far>.(05/11/2024)

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტია და იქ არსებული დესტაბილიზებული გარემო საფრთხეს უქმნის მას.

ნატოს უსაფრთხოებისა და სტაბილურობის გამოწვევები (ომი უკრაინაში)

2022 წლის 24 თებერვალს რუსეთი შეიჭრა უკრაინის ტერიტორიაზე, მან განახორციელა სრულმასშტაბიანი სამხედრო ოპერაციები. რუსეთის არასამართლებრივი ქმედება უკრაინის ტერიტორიაზე დღემდე გრძელდება. აღმოსავლეთ ევროპაში, ნატოს საზღვართან მიმდინარე სამხედრო შეიარაღებული კონფლიქტი, ალიანსისა და რუსეთის დასავლელი მეზობლებისათვის აღქმულ იქნა როგორც საფრთხის წყარო. უკრაინა ესაზღვრება ნატოს წევრ ოთხ სახელმწიფოს, ესენია: პოლონეთი, სლოვაკეთი, უნგრეთი და რუმინეთი, შესაბამისად ევროპის ერთ-ერთი უდიდესი სახელმწიფოს წინააღმდეგ წამოწყებული სამხედრო ოპერაციები, პირდაპირ თუ ირიბად აღიქმება როგორც სიგნალი უსაფრთხოების საკითხების გადახედვისა. მათ შორის ნეიტრალიტეტის მქონე სახელმწიფოებმა, ფინეთმა და შვედეთმა ნატოში გაწევრიანების სურვილი გამოთქვეს, რაც დაკმაყოფილდა. ალექსანდრე სტაბმა (ფინეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრი) განაცხადა რომ, „დროთა განმავლობაში, რეალობა, რომ რუსეთს სურს შექმნას უფრო დიდი ქაოსი ჩვენს რეგიონში, კიდევ უფრო ნათელი გახდა. ამიტომ ნატო-ში გაწევრიანება ხდება პრაგმატული ვარიანტი“.⁷

ომის საწყის ეტაპზე ნატოს წევრმა, ბევრმა, სახელმწიფომ სანქციები დააწესა რუსული აგრესიის აღსაკვეთად და მისი არასამართლებრივი ქმედების შესაჩერებლად. რუსეთმა გამოიყენა თავისი უპირატესობა ევროპაზე და მათზე მანიპულირებას ახდენდა. რუსულმა მანიპულაციებმა გამოიწვიეს ინფლაციის ზრდა ევროპაში, ბუნებრივ აირსა და საწვავზე ფასების ზრდა, თუმცა პრევენციული გზებით მალევე დაარეგულირეს და დღეს რუსეთი აღარ წარმოადგენს ბუნებრივი რესურსებით ევროპის მომმარაგებელ მთავარ სახელმწიფოს.

ნატოს ახალმა გენერალურმა მდივანმა მარკ რუტერმა, თავის პირველ პრეს კონფერენციაზე განაცხადა, რომ უკრაინისათვის მხარდაჭერის გამოცხადება მნიშვნელოვანია და სწორი გადაწყვეტილებაა, „ასევე ეს არის ინვესტიცია ჩვენი უსაფრთხოებისათვის“.⁸ მან თავის რამდენიმე დღის წინანდელ სატელევიზიო ინტერვიუში ხაზი გაუსვა იმასაც, რომ უკრაინა მომავალში აუცილებლად გახდება ნატოს წევრი სახელმწიფო. ნატოს ტერიტორიული გაფართოება იმისკენ არის მიმართული, რომ გაზარდონ მოკავშირე სახელმწიფოთა რიცხვი, შესაბამისად გააძლიერონ კოლექტიური თავდაცვა და ხელი შეუშალონ რუსულ აგრესიას, რომელიც დღეს აღმოსავლეთ ევროპის უსაფრთხოებას პრობლემას უქმნის. თუმცა საზღვრების გაფართოება გარკვეულ რისკებსაც მოიცავს. ისევე როგორც უკრაინა, ასევე საქართველო უკვე მრავალი წელია ცდილობენ მიიღონ ნატოში გაწევრიანების სამოქმედო გეგმა (MAP), თუმცა ჯერ კიდევ არსებობს

⁷ ცქიფურიშვილი, ნათია. 2022. რას ნიშნავს ფინეთის ნატოში შესვლა რუსეთისთვის, თავად ალიანსისა და საქართველოსთვის. 05 13. Accessed 10 13, 2024. <https://netgazeti.ge/life/610286/>.

⁸ NATO Secretary General Mark Rutte's first press conference, 01 OCT 2024. <https://www.youtube.com/watch?v=7HT48o2LAAE&t=259s>

შემაფერხებელი პოლიტიკურ-ეკონომიკური ფაქტორები. გარდა ამისა უკრაინასაც და საქართველოსაც აქვთ ოკუპირებული ტერიტორიები. სწორედ ეს რეგიონები წარმოადგენენ უსაფრთხოების გამოწვევას ალიანსისათვის. მათი მიდგომაა კოლექტიური თავდაცვის უზრუნველყოფა, შესაბამისად, ალიანსის წევრ ქვეყნებს მოუწევთ სამხედრო ოპერაციების განხორციელება ოკუპირებული რეგიონების არა უკრაინისა თუ საქართველოსათვის, არამედ ჩრდილო ატლანტიკური ხელშეკრულების ალიანსის წევრი სახელმწიფოსათვის, დაბრუნება. მართალია ალიანსის გაფართოება ხელს შეუწყობს კოლექტიური თავდაცვის უზრუნველყოფას, თუმცა ასევე გაზრდის ნატოს სამხედრო კონფლიქტში ჩართვის რისკებს.

შეიარაღებული სამხედრო კონფლიქტის გარდა კიდევ არსებობს რუსული აგრესიიდან მომდინარე საფრთხე, რომელსაც ბირთვული ძალა ჰქვია. პუტინმა უკვე არაერთხელ დააფიქსირა თავის გამოსვლებში, რომ რუსეთსაც გააცნია სარაკეტო სისტემა და სევე ბირთვული იარაღიც და საჭიროების შემთხვევაში შეუძლიათ „საკადრისი“ პასუხი გასცენ რუსეთისა და რუსეთის მოქალაქეების მტრებს. რუსეთის პრეზიდენტმა თავის ბოლო დროინდელ გამოსვლაში, მსოფლიოს აუწყა რომ მათ შეცვალეს ბირთვული იარაღის გამოყენების პოლიტიკა. მან გამოიყენა ტერმინი „ერთობლივი შეტევა“⁹ სადაც ის გულისხმობს ბირთვული იარაღის არ მქონე და ამ იარაღის მქონე სახელმწიფოების გაერთიანებას, რომლებიც იბრძვიან რუსეთის წინააღმდეგ. ნათელია, რომ მისი მუქარა მიმართულია ნატოს წევრი, შეერთებული შტატებისაკენ, ვინაიდან ამ უკანასკნელმა საკმაოდ დიდი სამხედრო, პოლიტიკური და ეკონომიკური დახმარება გაუწია (დღემდე ეხმარება) უკრაინას და აამაღლა მისი თავდაცვისუნარიანობა. „ჩვენ ვიტოვებთ უფლებას, რომ გამოვიყენოთ ბირთვული იარაღი რუსეთისა და ბელარუსის, როგორც მოკავშირისაკენ, მომართული აგრესიის წინააღმდეგ.“¹⁰ ამ განცხადებით რუსეთი იტოვებს დასავლეთზე მანიპულაციის კიდევ ერთ გზას და უქმნის ნატოს უსაფრთხოებისა და სტაბილურობის ჩამოშლის საფრთხე. შესაბამისად ბირთვული უსაფრთხოება უმნიშვნელოვანესი გამოწვევაა ჩრდილო ატლანტიკური ხელშეკრულების ალიანსისათვის.

დასავლური მხარდაჭერა უკრაინას

მას შემდეგ, რაც რუსეთი უკრაინის ტერიტორიაზე შეიჭრა და დაარღვია სახელმწიფოს სუვერენიტეტი, მისი ტერიტორიული მთლიანობა და წამოიწყო ფართომასშტაბიანი სამხედრო ოპერაცია, ნატო კოორდინაციას უწევდა და უწევს მისი წევრი და მოკავშირე სახელმწიფოებიდან ჰუმანიტარულ, ეკონომიკურ და სამხედრო დახმარების მიწოდებას უკრაინაზე. ალიანსმა CAP-ისა (ყოვლისმომცველი დახმარების პაკეტი) და დამატებითი სახსრების მეშვეობით, წევრმა სახელმწიფოებმა გამოყვეს დაახლოებით 800 მილიონი ევრო, უკრაინის კრიტიკული საჭიროებების დასაკმაყოფილებლად. მაგალითად როგორებიცაა: შესაბამისი ტანსაცმელი, ჯავშანი, საწვავი, სატრანსპორტი

⁹ Putin's Massive Change To Nuclear Attack Policy: Threat Against USA Letting Ukraine Do Deep Strikes? <https://www.youtube.com/watch?v=glz6h4p5BCs>. (10/10/2024)

ორტო საშუალებები, უსაფრთხო კომუნიკაციისათვის საჭირო აპარატები, განადმვისა და სამედიცინო დახმარების აღმოჩენისათვის საჭირო აღჭურვილობა.¹¹ ნატოს წევრი სახელმწიფოები დიდ პოლიტიკურ მხარდაჭერასაც უწევენ უკრაინას. მათ გაწყვიტეს გარკვეული ტიპის ეკონომიკური ურთიერთობები რუსეთთან და გამოუცხადეს სანქციები, რათა შეეჩერებინათ მისი აგრესია უკრაინაში. ალიანსის წევრი სახელმწიფოები უკრაინას ამარაგებენ სამხედრო აღჭურვილობით. მას აწვდიან მძიმე და მსუბუქ სამხედრო აღჭურვილობას, მათ შორის ტანკ საწინააღმდეგო და საჰაერო თავდაცვის სისტემებს, დრონებსა და საფრენ აპარატურებს. ყველაზე დიდ სამხედრო და ეკონომიკურ დახმარებას ამერიკის შეერთებული შტატები უწევს უკრაინას. გასული წლის მონაცემებით ამერიკამ უკრაინისათვის დაახლოებით 46,68 ბილიონი დოლარი დახარჯა.¹² მათ უკრაინაში გაგზავნეს ისევე როგორც ჰუმანიტარული დახმარება, ასევე ომის მსვლელობაში უკრაინისათვის უმნიშვნელოვანესი სამხედრო აღჭურვილობა, მაგალითად როგორცაა საარტილერიო დანადგარები, ტანკები, ჰაიმარსები, აბრამსები, გრძელ მანძილზე მოქმედი სარაკეტო დანადგარები.¹³ ასევე უკრაინაში გერმანიიდან და დიდი ბრიტანეთიდანაც გაიგზავნა სამხედრო აღჭურვილობა.

დასკვნა

დღეს ნატო მრავალი უსაფრთხოებისა და სტაბილურობის გამოწვევის წინაშე დგას, ვინაიდან მის საზღვრებთან და ინტერესებთან ახლოს არის ცხელი კერები, რომლებიც ალიანსისა და მისი წევრი სახელმწიფოებისაგან გარკვეულ ძალისხმევას მოითხოვს. არსებობს ტერორიზმის, საზღვრების უკანონოდ გადმოლახვის, სამხედრო კონფლიქტში ჩართვისა და გარკვეულწილად ბირთვული ომის დაწყების საფრთხეები, რომლის პრევენცია ნატოს პირდაპირ ინტერესებში შედის, კოლექტიური უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. ებრძვიან ტერორიზმსა სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ მიმართულ შეიარაღებულ ჯგუფებს და აქტიურად არიან ჩართულნი უკრაინის ომში. რუსეთის აგრესიისა და ნატოს აღმოსავლეთ საზღვართან სამხედრო, შეიარაღებული კონფლიქტის ლოკალიზება-შეჩერება, დღეს ალიანსისათვის ერთ-ერთ უმთავრეს გამოწვევას წარმოადგენს. ეკონომიკური სამხედრო თუ პოლიტიკური მხარდაჭერით ალიანსის წევრი სახელმწიფოები წინააღმდეგობას უწევენ მზარდ რუსულ აგრესიას. დაუწესეს სანქციები, ჰქონდათ მცდელობა შეექმნათ ეკონომიკური ვაკუუმი რუსეთისათვის, რათა მას ვეღარ მოეხერხებინა ომის დაფინანსება. უკრაინას მიაწოდეს მნიშვნელოვანი სამხედრო აღჭურვილობა, მათ შორის ჰუმანიტარული რესურსებიც. ალიან-

¹¹ NATO. 2024. NATO's response to Russia's invasion of Ukraine. https://www.nato.int/cps/en/natohq/topics_192648.htm.(10/10/2024)

¹² Vox. How Western weapons transformed the war in Ukraine. <https://www.youtube.com/watch?v=5tjV4RkBEwE>(10/10/2024)

¹³ ეტრიაშვილი, ალექს. 2023. *საერთაშორისო დახმარების მნიშვნელობა უკრაინის ბრძოლაში რუსეთის წინააღმდეგ*. 11 06. წვდომილი 2024 წლის 08 10.

<https://gfsis.org/?s=%E1%83%92%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98+%E1%83%93%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90+%E1%83%A3%E1%83%99%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%>

სი და მისი წევრი სახელმწიფოები გამოწვევების წინააღმდეგ პრევენციულ ზომებს იღებენ და უზრუნველყოფენ 360 გრადუსიან მიდგომაზე დამყარებულ კოლექტიურ უსაფრთხოებას.

გამოყენებული ლიტერატურა

NATO Secretary General Mark Rutte's first press conference, 01 OCT 2024.

[https://www.youtube.com/watch?v=7HT48o2LAAE&t=259s\(10/03/2\)](https://www.youtube.com/watch?v=7HT48o2LAAE&t=259s(10/03/2))

Putin's Massive Change to Nuclear Attack Policy: Threat Against USA Letting Ukraine Do Deep Strikes? <https://www.youtube.com/watch?v=glz6h4p5BCs>. (10/10/2024)

თ. გ.

BBC. 2024. *What is Hamas and why is it fighting with Israel in Gaza?* 21 10. წვდომილი 2024 წლის 03 11. <https://www.bbc.com/news/world-middle-east-67039975>.

NATO. 2024. *NATO's response to Russia's invasion of Ukraine*. 03 10. წვდომილი 2024 წლის 10 10. https://www.nato.int/cps/en/natohq/topics_192648.htm.

—. 2022. „ნატოს 2022 წლის“. *NATO*. 29 06. წვდომილი 2024 წლის 01 10.

<file:///D:/Users/User/Downloads/290622-strategic-concept-georgian%20NATO.pdf>.

Staff, Al Jazeera. 2024. *How did Israel kill Hamas leader Yahya Sinwar? What we know so far*. 18 10. წვდომილი 2024 წლის 05 11. <https://www.aljazeera.com/news/2024/10/18/how-was-yahya-sinwar-killed-what-we-know-so-far>.

STATE, U.S. DEPARTMENT of. 2001. *North Atlantic Treaty Organization (NATO)*. 20 01.

წვდომილი 2024 წლის 01 10. <https://2001-2009.state.gov/s/ct/intl/io/nato/>.

პეტრიაშვილი, ალექს. 2023. *საერთაშორისო დახმარების მნიშვნელობა უკრაინის ბრძოლაში რუსეთის წინააღმდეგ*. 11 06. წვდომილი 2024 წლის 08 10.

<https://gfsis.org/?s=%E1%83%92%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98+%E1%83%93%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90+%E1%83%A3%E1%83%99%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%>

სუჯაშვილი, დავით. 2018. *საერთაშორისო ტერორიზმის ანატომია და საქართველო*.

თბილისი: საგამომცემლო- პოლიგრაფიული ცენტრი, "საარი".

ქარჩავა, თამთა. 2017. *კოალიციური ომი - NATO ISIS-ის წინააღმდეგ ბრძოლაში ერთვება*. 26 05. წვდომილი 2024 წლის 10 10. <https://for.ge/view/47761/koaliciuri-omi---NATO-ISIS-is-winaaRmdeg-brZolaSi-erTveba.html>.

ცეციფურიშვილი, ნათია. 2022. *რას ნიშნავს ფინეთის ნატოში შესვლა რუსეთისთვის, თავად ალიანსისა და საქართველოსთვის*. 13 05. წვდომილი 2024 წლის 13 10.

<https://netgazeti.ge/life/610286/>.

რადიო სიხშირის ჩამხშობი სისტემები

მარიამ ტერტერაშვილი

სსიპ-დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს
ეროვნული თავდაცვის აკადემიის
ბაკალავრიატის მექანიკის ინჟინერიის მიმართულების იუნკერი

ხელმძღვანელი: თორნიკე ქიმერიძე

ბაკალავრიატის მექანიკის ინჟინერიის მიმართულების
მოწვეული სპეციალისტი

აბსტრაქტი

დღევანდელ მსოფლიოში რადიოტალღებზე დაფუძნებული ტექნოლოგიები უდიდეს როლს ასრულებენ, როგორც პირად ისე სახელმწიფოებრივ სფეროებში. ეს სისტემები განსაკუთრებული მნიშვნელობისაა უსაფრთხოების, სამხედრო, სამოქალაქო და ინდუსტრიული მიზნებისათვის, სადაც კრიტიკულად მნიშვნელოვანია პოტენციურად საფრთხის შემცველი სიგნალების ამოცნობა და მისი თავიდან აცილება. დღესდღეობით უამრავი ქვეყანა იყენებს ამ ტიპის სისტემებს, რათა მაქსიმალურ დონეზე დაიცვას უსაფრთხოება და მოახდინოს არეალის კონტროლი.

ნაშრომში განხილულია რადიოტალღების ჩამხშობი სისტემების მუშაობის მექანიზმი, ფუნდამენტური პრინციპები, მეთოდები და სტრატეგიები. განსაკუთრებით აღნიშნულია კრიტიკული ინფრასტრუქტურის დაცვა, სამხედრო ოპერაციებში გამოყენების პრაქტიკულობა, დრონების მართვის ჩახშობა, კონფიდენციალურობის უზრუნველყოფა და მთლიანად სისტემის სამართლებრივი შეზღუდვები, რადგან აღსანიშნავია, რომ ამ სისტემების გამოყენებას მნიშვნელოვანი სამართლებრივი და ეთიკური გამოწვევები ახლავს თან. უამრავი ქვეყანაში სიგნალის ჩახშობა რეგულირებულია.

გარკვეული უარყოფითი ასპექტების გარდა, რომელთაც შემდგომში განვიხილავთ, ჩამხშობი სისტემების უსაფრთხოების სფეროში გამოყენება მნიშვნელოვნად აუმჯობესებს საზოგადოებრივ უსაფრთხოებას. გარდა ამისა, ახალი ტექნოლოგიების განვითარება საშუალებას იძლევა შეიქმნას უფრო დახვეწილი, დაცული და ეფექტური სისტემები, რომლებიც ნაკლებ ზიანთან იქნება დაკავშირებული და მიმართული იქნება მხოლოდ ჩვენი ამოცანის შესრულებისაკენ, რაც თავიდან აგვარიდებს დამატებითი უარყოფით შედეგებს.

ჩამხშობი სისტემები აქტიურად გამოიყენება სამხედრო სფეროში მტრის კომუნიკაციების დასახშობად და სიგნალების დასაბლოკად, რათა ხელი შევეშალოთ მათ კოორდინაციაში. ასევე, გამოიყენება რადიომართვადი ასაფეთქებელი მოწყობილობების ნეიტრალიზაციისათვის (IED), რათა ვერ შეძლონ შორს მართვადი ასაფეთქებელი მოწყობილობების ამოქმედება. როგორც აქტიური, ისე პასიური სისტემები გამოიყენება ასევე, სამართალდამცავ ორგანოებში, სხვადასხვა სპეცოპერაციებში, საპატიმროებში, მაღალი დონის საჯარო ღონისძიებებზე და აეროპორტებში, რათა თავიდან აიცილონ საფრენ ზონაში არასასურველი სიხშირეების არსებობა.

აღნიშნული საკითხებიდან, მზარდი ტექნოლოგიური ფონიდან და უსაფრთხოების მაღალი მოთხოვნილებიდან გამომდინარე შეიძლება გაგვიჩნდეს კითხვა არის თუ არა RF ჩამხშობი სისტემები ჩვენი მომავალი? მიგვაჩნია, რომ დიახ. მსოფლიოში ყოველთვის იყო და იქნება კონფიდენციალურობის დაცვის მოთხოვნილება, სამხედრო თავდაცვითი აუცილებლობა და უსაფრთხოების მზარდი საჭიროება. ეს ყველაფერი კი ქმნის სიხშირის ჩამხშობი სისტემების აუცილებლობას და მთელ რიგ საჭიროებებს, რომლებზეც ვისაუბრებთ ნაშრომში.

საკვანძო სიტყვები: ჩამხშობი, რადიო სიხშირე, სიგნალი, გადაცემა, კომუნიკაცია, სიმძლავრე, ამოცნობა.

Radio frequency jamming systems

Mariam Terterashvili

Junker of Bachelor's Program in Mechanical Engineering of
LEPL-David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia

Supervisor: Tornike Kimeridze

Invited specialist of Bachelor's Program in Mechanical Engineering

Abstract

In today's world, radio wave-based technologies play a major role, both in the private and state spheres. These systems are of particular importance for security in the military, civil, and industrial spheres, where it is critically important to identify and prevent potentially threatening signals. Currently many countries use these types of systems to ensure maximum security and control areas.

This paper discusses the mechanism of operation of radio wave jamming systems, fundamental principles, and some methods and strategies for wave-based technologies. Particular attention is paid to the protection of critical infrastructure, the practicality of their use in military operations, suppression of drone control, and noting confidentiality and legal restrictions of the systems. This is because it is important to understand that the use of these systems is accompanied by significant ethical challenges, and signal jamming is regulated in many countries.

The use of jamming systems in the security sector significantly improves public safety. Additionally, the development of new technologies allows for the creation of more sophisticated, secure and effective systems that will be associated with less volatility and will be singularly aimed at fulfilling our task and avoiding unwanted negative consequences. We believe that radio frequency (RF) systems have become a fundamental element of modern security. They aid in maintaining security by detecting threats efficiently and reliably. By regulating their use and adhering to ethical standards, it is possible to make the technology both useful and safe to modern society.

Jamming systems are actively used in the military to suppress enemy communications and block signals, with the goal to prevent enemy coordination. They are also used to neutralize radio-controlled explosive devices (IEDs) so that they cannot trigger these devices. Both active and passive systems are also used by law enforcement agencies, in various special operations, prisons, high-profile public events, and airports, aiming to prevent the presence of unwanted frequencies in the flight zone.

Based on the above issues, the growing technological background and the high security requirements, we may ask whether RF jamming systems are our future? We believe that the answer is yes. The world has always had and will continue to have the need for privacy protection, military defense needs and the growing need for security. All this creates the need for frequency jamming systems and other systems related to radio-wave based technologies that will be discussed in this paper.

Keywords: Jamming, radio frequency, signal, transmit, communication, power, detection.

შესავალი

თავდაპირველად დავიწყოთ იმით თუ რა ტიპის ჩამხშობი სისტემები არსებობს, ხოლო შემდეგ განვიხილოთ თითოეული მათგანი. რადიო სიხშირის ჩამხშობი სისტემები ორ ძირითად ტიპად იყოფა: პასიური და აქტიური სისტემები. პასიური ჯემინგის სისტემა სიგნალებს მხოლოდ აღიქვამს და ანალიზებს, თუმცა არ ახდენს აქტიურ ჩარევას ან შეფერხებას. მისი მთავარი მიზანია გარემოში არსებული სიხშირეების მონიტორინგი და პოტენციური მავნე სიგნალების გამოვლენა. აქტიური ჩამხშობის სისტემა უშუალოდ ჩარევას ახდენს მიზანმიმართულ სიხშირეზე, რათა შეაჩეროს ან დაბლოკოს სიგნალის გადაცემა. ეს სისტემა გამოიმუშავებს მაღალი სიმძლავრის სიგნალს, რომელიც ჭარბობს ან აღემატება მიზანმიმართულ სიგნალს.

აქვე განვიხილოთ დეტალურად თუ როგორ მუშაობს აქტიური სისტემა:

1. მოქმედების პრინციპი: RF ჩამხშობა გულისხმობს მძლავრი სიგნალის გადაცემას იმავე სიხშირით, როგორც სამიზნე საკომუნიკაციო სიგნალი. ეს შეფერხების სიგნალი შეიძლება იყოს უწყვეტი (დაბალ სიხშირიანი ჩამხშობა) ან განსხვავდებოდეს სიხშირით (სიხშირის ნახტომისებრი შეცვლა) სიგნალებში ჩარევის მიზნით.
2. ჩამხშობის ტექნიკის სახეები:
 - Barrage Jamming: ეს ტექნიკა გულისხმობს ფართო დიაპაზონიან "ხმაურის" სიგნალის გადაცემას სიხშირეების დიაპაზონში, რათა ჩაშალოს ნებისმიერი კომუნიკაცია ამ დიაპაზონში.
 - ტონური შეფერხება: ერთი სიხშირის ტონი გადაიცემა კონკრეტულ საკომუნიკაციო არხში ჩარევისთვის.
 - Sweep Jamming: შეფერხების სიგნალი ვრცელდება სიხშირეებზე, რათა ფარავდეს უფრო ფართო დიაპაზონს, მიზნად ისახავს მრავალ არხს.
 - Protocol-Aware Jamming: ეს მოწინავე ტექნიკა იყენებს სამიზნე კომუნიკაციის პროტოკოლის ცოდნას სიგნალის უფრო ეფექტურად ჩაკეტვის მიზნით სამიზნის სიხშირის ცვლილებებთან სინქრონიზაციის გზით.
3. ჩამკეტი სიგნალის თანაფარდობა (JSR): შეფერხების ეფექტურობა ხშირად რაოდენობრივად ფასდება JSR-ის გამოყენებით, რომელიც ზომავს შეფერხების სიგნალის ძალას ლეგიტიმური სიგნალის სიმძლავრესთან შედარებით. უმაღლესი JSR მიუთითებს წარმატებული ჩამხშობის დიდ ალბათობაზე.
4. ზემოქმედება კომუნიკაციაზე: როდესაც შეფერხების სიგნალი საკმარისად ძლიერია, ამან შეიძლება გამოიწვიოს საკომუნიკაციო სისტემაში ბიტის შეცდომის მაღალი სიხშირე (BER), რაც ართულებს ან შეუძლებელს გახდის მიმღებისთვის განკუთვნილი სიგნალების გაშიფვრას. ამან შეიძლება გამოიწვიოს უპილოტო საფრენი აპარატების ან სხვა დისტანციური სისტემების კონტროლის დაკარგვა.
5. დანერგვა: თანამედროვე ჩამხშობის სისტემები ხშირად იყენებენ პროგრამული უზრუნველყოფის განსაზღვრულ რადიოს (SDR) ტექნოლოგიას, რომელიც მოქნილი და დინამიური კორექტირების საშუალებას იძლევა, რაც აადვილებს ადაპტაციას სხვა-

დასხვა საკომუნიკაციო პროტოკოლებთან და უპილოტო საფრენი აპარატების მიერ გამოყენებულ სიხშირეებთან.

რაც შეეხება პასიურ სისტემებს პასიური ჩამხშობები ხელახლა ასხივებენ რადარის სიგნალს, მისი "დამახინჯების" შემდეგ, დაამატებენ ან სწრაფად შეიცვლიან სიხშირეს, რის შედეგადაც გამოვლინდება მოწინააღმდეგის სიხშირე. პასიური ჩამხშობი არ წარმოქმნის ან ამლიერებს სიგნალს, მხოლოდ ასახავს ან გადაამისამართებს რადარის ენერჯიას უკან რადარისკენ.

იმისთვის, რომ ამ მეთოდმა იმუშაოს, ჩამხშობის ანტენა უნდა იყოს მინიმუმ ისეთივე დიდი, როგორც მანქანა, რაც იწვევს მის არაპრაქტიკულობას. გარდა ამისა, ჩამხშობი ანტენა უნდა იყოს თითქმის იდეალურად გასწორებული რადარის ანტენასთან და არა ზედაპირულად. პასიური ჯემერები (ჩამხშობები) აბსოლუტურად არ მოქმედებს ნებისმიერ რადარზე არავითარ შემთხვევაში.

1997 წელს FCC-მ დაადგინა, რომ პასიური ჩამკეტები არღვევენ ფედერალურ რეგულაციებს, რადგან ჩამკეტები ასხივებენ ენერჯიას, რომელიც, ან სულ მცირე, გამიზნულია, უარყოფითად იმოქმედოს სამართალდამცავი ორგანოების უნარზე დაიცვან საზოგადოებრივი უსაფრთხოება მაგისტრალეებზე. ამ მმართველობამდე პასიური ჯემერები არ ითვლებოდა გადამცემად და არ იყო დაფარული FCC-ის რეგულაციებით.

რადიოსიხშირული შეფერხების პრინციპები

როგორც აბსტრაქტში აღვნიშნეთ ვისაუბრებთ RF ჩახშობის პრინციპებზე, სადაც უკეთ დავინახავთ ეტაპებსა და საჭიროებებს პროცესის წარმართვისა თუ ეფექტურობისათვის.

1. სიგნალში "ჩარევა;"

როგორც უკვე ვახსენეთ RF jamming მუშაობს საკომუნიკაციო გარემოში ჩარევის შექმნის პრინციპით.

ჩამხშობი გადასცემს ხმაურს ან "მატყუარა" სიგნალებს იმავე სიხშირის დიაპაზონში, როგორც სამიზნე სისტემა.

2. სიხშირის დამთხვევა;

კომუნიკაციის ეფექტიანად შეფერხებისთვის, შეფერხების სიგნალი უნდა შეესაბამებოდეს სამიზნე მოწყობილობის ან სისტემის სიხშირეს.

ჩვეულებრივ მიზანმიმართულ სიხშირეებს მიეკუთვნება ის, რაც გამოიყენება:

Wi-Fi (2.4 გჰც, 5 გჰც)

მობილური ქსელები (მაგ., GSM, LTE)

GPS (L1, L2 ზოლები)

3. სიმძლავრის დომინირება

ჩახშობის წარმატება დამოკიდებულია სიგნალის გადაცემაზე საკმარისი სიმძლავრით, რათა დაჩრდილოს წამოსული საკომუნიკაციო სიგნალი. ეს რაოდენობრივად განისაზღვრება სიგნალ-ხმაურის თანაფარდობით (SNR):

ლეგიტიმური კომუნიკაცია ირღვევა, როდესაც ჩამხშობის სიგნალი ზრდის ხმაურის დონეს, ამცირებს SNR-ს საიმედო კომუნიკაციისთვის საჭირო ზღურბლზე ქვემოთ.

5. ხედვის არეალი;

RF სიგნალები მოძრაობს ხედვის არეალის გასწვრივ, რაც ნიშნავს, რომ ეფექტური შეფერხება მოითხოვს მინიმალურ დაბრკოლებებს ჩამკეტსა და სამიზნეს შორის.

გარემო ფაქტორებმა, როგორცაა შენობები, რელიეფი და ატმოსფერული პირობები, შეიძლება გავლენა იქონიოს ეფექტურობაზე.

6. მანძილი და მისი გავლენა ჩახშობაზე;

ჯემერის ეფექტური დიაპაზონი განპირობებულია შემდეგი ფაქტორებით:

გადამცემის სიმძლავრე;

ანტენა;

სამიზნე მოწყობილობის მიმღების მგრძობელობა.

7. შეფერხების საწინააღმდეგო სისტემები

თანამედროვე სისტემები ხშირად აერთიანებს წინააღმდეგობის გაწევის ისეთ ზომებს, როგორცაა:

Frequency Hopping Spread Spectrum (FHSS): სწრაფად ცვლის სიხშირეს ჩარევის თავიდან ასაცილებლად.

პირდაპირი მიმღევრობის გავრცელების სპექტრი (DSSS): ავრცელებს სიგნალს სიხშირის ფართო დიაპაზონში, რათა ის უფრო მოქნილი იყოს წინააღმდეგობის გასაწევად.

RF ჩახშობი სისტემის გამოყენება სამხედრო სფეროში

სამხედრო ოპერაციებში რადიოსიხშირული (RF) ჩახშობა არის გადამწყვეტი ტაქტიკა, რომელიც გამოიყენება მოწინააღმდეგის კომუნიკაციების, სარადარო სისტემების და ელექტრონული ნავიგაციის ჩაშლის, დეგრადაციის ან უარყოფისთვის. ეს სტრატეგია სასიცოცხლო როლს ასრულებს ელექტრონულ ომში (EW). აღნიშნული საშუალებას აძლევს ქვეყნებს მიიღონ მნიშვნელოვანი უპირატესობა ბრძოლის ველზე.

“If you're losing in electronic warfare, your forces will turn into a 19th-century army,” adds Yaroslav Kalinin, chief executive of Infozahyst, a company that produces electronic warfare systems for the Ukrainian army. “You will be 10 steps behind your enemy.”¹

ჩახშობა უკრაინაში ყოველდღიური ბრძოლის მნიშვნელოვანი ელემენტია, სადაც ის ითვლება ყველაზე ეკონომიურ გზად უპილოტო სისტემების გასანიტრალებლად. მას შეუძლია შეაფერხოს მტრის დრონის სიგნალები, აიძულოს ისინი დაეშვას და შეამციროს საზენიტო რაკეტების ან იარაღის საჭიროება. ასევე, ჩახშობს მოწინააღმდეგის დისტანციურად მართვადი ასაფეთქებელი მოწყობილობების (IED) სიგნალები.

სანამ უკრაინა და რუსეთი ჩართულია საბრძოლო მოქმედებებში, აშშ იყენებს ამ შესაძლებლობას და ახდენს ობსერვაციას რადიო სიხშირეების მართვასა და ჩახშობაში.

¹ <https://www.rfglobalnet.com/doc/what-the-u-s-military-is-learning-about-jamming-from-the-war-in-ukraine-0001>

ისინი მუშაობენ ჩინეთთან ან რუსეთთან პოტენციური კონფლიქტებისთვის მომზადების პროცესში ჩახშობის უნარის გასაძლიერებლად. “Not having control of spectrum leads to fatalities, leads to getting killed. And we’ve seen that time and time again in that conflict.”²

სამართლებრივი და ეთიკური მოსაზრებები

1997 წელს FCC-მ დაადგინა, რომ პასიური ჩახშობები არღვევენ ფედერალურ რეგულაციებს, რადგან ასხივებენ ენერჯიას და ასევე, უარყოფითად მოქმედებს სამართალდამცავი ორგანოების უნარზე დაიცვან საზოგადოებრივი უსაფრთხოება, მოქმედებს შეფერხებაზე ავიაციაში და საზოგადოებრივ ქსელებში. შესაძლოა გამოიწვიოს სხვადასხვა კრიტიკული შემთხვევები. მაგალითად: მობილური ქსელების ჩახშობამ შეიძლება ხელი შეუშალოს მოსახლეობას გადაუდებელი დახმარების გამოძახებაში.

დასკვნა

RF ჩახშობა არის თანამედროვე ელექტრონული ომის ქვაკუთხედი, რომელიც უზრუნველყოფს სამხედრო ძალების ელექტრომაგნიტურ სპექტრზე დომინირების შესაძლებლობას. მისი გამოყენება მოითხოვს ბალანსს სტრატეგიულ ზემოქმედებასა და არასასურველი შედეგების მინიმალიზაციას შორის. ტექნოლოგიის განვითარებით, RF ჩახშობა განაგრძობს განვითარებას, როგორც სამხედრო ოპერაციების კრიტიკული კომპონენტი. აღნიშნული სისტემა არა მხოლოდ საფრთხის დროულ აღმოჩენას, არამედ უსაფრთხოების შენარჩუნებასაც უწყობს ხელს. ამავდროულად, მათი გამოყენების რეგულირებით და ეთიკური ნორმების დაცვით, შესაძლებელია, ტექნოლოგია მაქსიმალურად სასარგებლოდ იქცეს თანამედროვე საზოგადოებისთვის.

გამოყენებული ლიტერატურა

- <https://www.rfglobalnet.com/doc/what-the-u-s-military-is-learning-about-jamming-from-the-war-in-ukraine-0001>
- https://www.sciencedirect.com/science/article/pii/S1877050922008924?ref=pdf_download&fr=RR-2&rr=8e8918175d6fed48
- <https://copradar.com/chapts/chapt6/jammers.html#:~:text=Passive%20jammers%20are%20suppose%20to,energy%20back%20toward%20the%20radar.>
- <https://journals.co.za/doi/pdf/10.10520/EJC120716>
- <https://repositorio-aberto.up.pt/bitstream/10216/85677/2/149648.pdf>
- <file:///D:/Users/User/Desktop/Jamming-of-UAV-Remote-Control-Systems-Using-Software-Defined-Radio.pdf>
- <https://ieeexplore.ieee.org/abstract/document/8398711>

² <https://www.rfglobalnet.com/doc/what-the-u-s-military-is-learning-about-jamming-from-the-war-in-ukraine-0001>

ისრაელის ომი ჰესბოლასა და ჰამასის წინააღმდეგ 2023 წელს

ბექა შაიშმელაშვილი

სსიპ-დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს
ეროვნული თავდაცვის აკადემიის
ბაკალავრიატის თავდაცვისა და უსაფრთხოების მიმართულების იუნკერი

ალექსანდრა ბარბაქაძე-დეკანოსიძე

სსიპ-დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს
ეროვნული თავდაცვის აკადემიის
ბაკალავრიატის თავდაცვისა და უსაფრთხოების მიმართულების იუნკერი

ხელმძღვანელი: ლევან გეგეშიძე

ბაკალავრიატის თავდაცვისა და უსაფრთხოების მიმართულების პროფესორი

აბსტრაქტი

ნაშრომის მიზანია შეაფასოს და გაანალიზოს ისრაელ-პალესტინას 2023 წლის კონფლიქტი თანამედროვე გეოპოლიტიკური ვითარების ასპარეზზე. დაპირისპირება, რომელიც ათეული წელია სამხრეთ-დასავლეთ აზიის ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად გველვინება, უდიდესი გავლენის მატარებელია როგორც აზიის, ასევე ევროპულ სახელმწიფოთა მდგომარეობისთვის. ისრაელი, რომელიც მშვიდობიანი სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბებას ცდილობს რეგიონში, უპირისპირდება პალესტინას, რომელიც მიზნად ისრაელის სახელმწიფოს სრულ დესტაბილიზაციას და რეგიონზე უპირატესობის მოპოვებას ილტვის.

დაპირისპირება, რომელიც იდეოლოგიურად ურთიერთსაწინააღმდეგო სახელმწიფოთა ინტერესის გადაკვეთს წერტილს წარმოადგენს, იმაზე დიდი მასშტაბების არეალს მოიცავს, ვიდრე ეს ერთი შეხედვით შეიძლება ჩანდეს. კონფლიქტი, რომელიც მრავალმხრივი სირთულით გამოირჩევა, აერთიანებს სამხედრო, პოლიტიკურ, რელიგიურ, ჰუმანიტარულ და სხვა ფაქტორებს, რაც თავისთავად საშიშროების მომტანია მრავალი სახელმწიფოსთვის. დაპირისპირება, რომელიც სათავეს XX საუკუნის მეორე ნახევრიდან იღებს, დღეისთვის ესკალაციის ახალ ფაზაში შევიდა, რაც გეოპოლიტიკურ ასპარეზს მეტად ჩახლართულს და დაძაბულს ხდის. კონფლიქტის მნიშვნელობას სახელმწიფოთა ინტერესიც განაპირობებს. პალესტინა, რომელიც რადიკალური, ფუნდამენტალისტური ისლამის წამომადგენელია ზურგს ირანი, ლიბანი და აღმოსავლეთ აზიური სახელმწიფოები უჭერენ. ხოლო ისრაელი, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების ე.წ. პლაცდარმი და ერთ-ერთი მთავარი მოკავშირეა, მაქსიმალურად ცდილობს ისლამური ზეგავლენის გავრცელების შესუსტებას და რეგიონში სტაბილური, ხანგრძლივი მშვიდობის დამკვიდრებას.

ნაშრომში მიმოხილულია ისრაელ-პალესტინას დაპირისპირება. განხილულია ისრაელის სამხედრო სტრატეგიები ჰესბოლასა და ჰამასის წინააღმდეგ. რეტროსპექტული ანალიზის დახმარებით შეფასებულია ირანისა და ისრაელის ურთიერთობა და შეერთებული შტატების ინტერესი კონფლიქტის ესკალაციასა და გავლევების პროცესში.

საკვანძო სიტყვები: გეოპოლიტიკა, ფუნდამენტალისტური ისლამი, სამხრეთ-დასავლეთ აზია, კონფლიქტი, პოლიტიკა.

Israel's war against Hezbollah and Hamas in 2023

Beka Shaishmelashvili

Junker of Defense and Security program of
LEPL-David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia

Alexandra Barbakadze-Dekanosidze

Junker of Defense and Security program of
LEPL-David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia

Supervisor: Levan Gegeshidze

Professor of Bachelor's Program in Defense and Security

Abstract

The aim of the paper is to evaluate and analyze the Israel-Palestine conflict of 2023 in the arena of the modern geopolitical situation. The conflict, which has been one of the main challenges of Southwest Asia for ten years, has the greatest influence on the situation of both Asian and European states. Israel, which is trying to establish a peaceful statehood. in the region, confronts Palestine, which aims to completely destabilize the state of Israel and gain superiority over the region. The conflict, which is the point of intersection of the interests of ideologically opposing states, covers a larger area than it may seem at first glance. The conflict, which is characterized by multifaceted complexity, combines military, political, religious, humanitarian and other factors, which in itself brings danger to many states. Controversy that originates from the second half of the 20th century accepts, for today it has entered a new phase of escalation, which makes the geopolitical arena very complicated and tense. The importance of the conflict is determined by the interests of the states. springboard and one of them It is the main ally, trying its best to weaken the spread of Islamic influence and to establish a stable, long-term peace in the region. . The work reviews the Israel-Palestine conflict. Israel's military strategies against Hezbollah and Hamas are discussed. With the help of retrospective analysis, the relationship between Iran and Israel and the interest of the United States in the process of escalating and inciting the conflict are evaluated.

Keywords: geopolitics, fundamentalist Islam, South-West Asia, conflict, politics.

შესავალი

ისრაელ-პალესტინას დაპირისპირება, ბოლო რამდენიმე ათეული წელია ახლო აღმოსავლეთის რეგიონის ერთ-ერთი მთავარი კონფლიქტი გახლავთ. 2023 წლის ოქტომბრიდან ესკალაცია ახალ ფაზაში შევიდა,.. ისრაელის მიზანს-შექმნას უსაფრთხო გარემო არამეგობრულ რეგიონში პალესტინელების სუვერენული სახელმწიფოს შექმნის იდეა უპირისპირდება. სწორედ ახალი, ძლიერი სახელმწიფოს შექმნის იდეა, რომელსაც გეოპოლიტიკის ასპარეზი მისი მორალისა და შედეგის გათვალისწინებით მთლიანად უნდა შეეცვალა, 2023 წლის 7 ოქტომბერს „ჰამასის“ ქმედებით სისრულეში მოდის, რაც ტერორისტული ორგანიზაციის ისრაელთან დაპირისპირებაც იწვევს, რომელიც სახელმწიფოთა შორის ომის ახალ ეტაპს ჰქმნის. კონფლიქტის რეალიზების ერთ-ერთ გარდამტეხ ეტაპს კი ტერორისტული ორგანიზაცია „ჰესბოლას“ ჩართვა წარმოადგენს, რაც დაპირისპირებას მეტად სახიფათოდ აქცევს აღმოსავლეთ რეგიონისთვის.

თემის მიზანია შევისწავლოთ 2023 წლიდან დღემდე ისრაელის ომი ჰამასისა და ჰესბოლას წინააღმდეგ. საბრძოლო მოქმედებები ორ ფრონტზე დაზას სექტორსა და ლიბანის სამხრეთ ნაწილში მიმდინარეობს. ასევე გამოვიკვლიოთ ირანის როლს ამ დაპირისპირებაში. რა ეტაპზეა ისრაელსა და ირანს შორის სამხედრო-პოლიტიკური დაპირისპირება და რა გავლენა შეიძლება ამ პროცესმა იქონიოს რეგიონზე.

საკითხი აქტუალურია ვინაიდან თანამედროვე საერთაშორისო პოლიტიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მოვლენას ეხება. ისრაელის არმია ამ ომში ფართოდ იყენებს ხელოვნურ ინტელექტსა და მაღალ ტექნოლოგიებს, რაც თანამედროვე ბრძოლის ველის მნიშვნელოვანი კომპონენტია. ამდენად ჩვენთვის მას თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. ნაშრომში დასმულია შემდეგი საძიებო კითხვები:

1. რა სტრატეგია და ტაქტიკა აქვს ისრაელს ჰამასთან ბრძოლაში? (დაზას სექტორში)
2. რა სტრატეგია და ტაქტიკა აქვს ისრაელს ჰესბოლასთან ბრძოლაში? (ლიბანი)
3. რა დონეზეა ირანსა და ისრაელს შორის დღეს სამხედრო-პოლიტიკური დაპირისპირება.

1) ოპერაცია დაზაში

2023 წლის ოქტომბერის დასაწყისში ისრაელმა დაიწყო სამხედრო ოპერაცია სახელად „Iron sword“ დაზას სექტორში, პასუხად ჰამასის მიერ ჩატარებული მასობრივი თავდასხმების შემდეგ. 2023 წლის 7 ოქტომბერს ჰამასმა საზღვრებთან ახლოს დაზიდან ისრაელის ტერიტორიაზე დაიწყო პირდაპირი იერიში, რის შედეგადაც დაიღუპა ასობით ადამიანი. ამ თავდასხმამ გამოიწვია ფართომაშტაბიანი საომარი მოქმედებები, რომლებიც ისევ გრძელდება. ჰამასის მიერ განხორციელებული ეს ოპერაცია იყო ერთ-ერთი ყველაზე დიდი 2007 წლის შემდეგ. თავდასხმას მოჰყვა ისრაელზე ბალესტიკური რაკეტების სროლა, ასევე შეიარაღებული შეტაკებები ჯავშანტექნიკით და საბრძოლო ფრეგატებით. ჰამასმა მოახერხა რამდენიმე სამხედრო ბაზის აღება და ასევე ცეცხლი გახსნა ისრაელის რამდენიმე ქალაქზე. ზუსტად ამ თავდასხმის საპასუხოდ დაიწყო ისრაელმა სამხედრო ოპერაცია დაზაში. სამხედრო ოპერაცია მოიცავდა ჰამასის ინფრასტ-

რუქტური განადგურებას, მათ შორის სარაკეტო სადგურების, საწყობების და ლიდერების ლიკვიდაციას. ისრაელის მხრიდან სავარაუდოდ გამოყენებული იქნა ჰაერსაწინააღმდეგო იარაღი და საარტილერიო ერთეულები. ამ ყველაფერთან ერთად ომმა ღაზას სექტორში საომარ მოქმედებებთან ერთად, მიმდინარე ომმა მნიშვნელოვნად გააუარესა ჰუმანიტარული ვითარება. რეგიონში დაიწყო წყლის, საკვების, წამლების და სხვა აუცილებელი რესურსების დეფიციტი. საერთაშორისო საზოგადოება დაჟინებით მოუწოდებს ორივე მხარეს ცეცხლის შეწყვეტისკენ და ჰუმანიტარული დახმარების ქვეყანაში შეტანის მოთხოვნით. ამერიკის შეერთებული შტატები ცდილობდა საუდის არაბეთსა და ისრაელს შორის შეთანხმების დადებას, რადგან ისრაელი აგრძელებდა ღაზას დაბომბვას, რამაც უკვე გამოიწვია ჰუმანიტარული კატასტროფა და დაიღუპა 41,600-ზე მეტი ადამიანი, მათ შორის თითქმის 16,500 ბავშვი¹. მიუხედავად საერთაშორისო მოწოდებებისა, საბრძოლო მოქმედებები გრძელდება. ისრაელი აგრძელებს საჰაერო დარტყმებს და ტაქტიკურ ოპერაციებსაც. მდგომარეობა ღაზაში რჩება კრიტიკულად მძიმე, ადამიანური მსხვერპლი ყოველდღიურად იზრდება, ხოლო რეგიონში საომარი მოქმედებები იზრდება. საერთო ჯამში ომის დასრულება და მშვიდობის მოპოვება ჯერ კიდევ გარკვეულია, რადგან ორივე მხარეს აქვთ საკუთარი გეოპოლიტიკური მიზნები, რომლების გამოც ამ ორ ქვეყანას მუდმივი ბრძოლა უწევდათ.

ეკონომიკის ასპექტში ომმა საგრძნობლად გააუარესა ღაზაში ვითარება, რამაც იგი ეკონომიკურ და ჰუმანიტარულ კრიზისამდე მიიყვანა. 7 ოქტომბერს ჰამასის სასიკვდილო თავდასხმიდან თითქმის ერთი წლის შემდეგ, ისრაელმა რამდენიმე ფრონტზე წაიწია წინ ესენია: სახმელეთო შეჭრა ჰეზბოლას წინააღმდეგ ლიბანში და საჰაერო თავდასხმები ღაზასა და ბეირუთში. კონფლიქტის ფართო რეგიონში გავრცელებისას, ეკონომიკური ხარჯებიც გაიზრდება, როგორც ისრაელისთვის, ასევე ახლო აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებისთვისაც.

„თუ ბოლო ესკალაციები გადაიქცევა უფრო ხანგრძლივ და უფრო ინტენსიურ ომში, ეს უფრო მძიმე ზარალს მოახდენს ეკონომიკურ აქტივობასა და ზრდაზე (ისრაელში),“² განუცხადა CNN-ს კარნიტ ფლუგმა, ისრაელის ცენტრალური ბანკის ყოფილმა გუბერნატორმა 1 ოქტომბერს.

11 თვიანი ომის შემდეგ, ისრაელი წლების განმავლობაში ყველაზე დიდი ეკონომიკური გამოწვევის წინაშე დგას. მონაცემები აჩვენებს, რომ ისრაელის ეკონომიკა ყველაზე მკვეთრ შენელებას განიცდის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) უმდიდრეს ქვეყნებს შორის. მისი მშპ 4,1% - ით შემცირდა 7 ოქტომბერს ჰამასის თავდასხმის შემდეგ რამდენიმე კვირაში.³

¹ Iran and Israel: From allies to archenemies, how did they get here? <https://www.aljazeera.com/news/2023/11/6/iran-and-israel-from-allies-to-archenemies-how-did-they-get-here> 11/10/2024

² Israel's economy is paying a high price for its widening war <https://edition.cnn.com/2024/10/04/economy/israel-economy-war-impact/index.html> 11/20/2024

³ Israel: 11 months of war have battered the country's economy <https://theconversation.com/israel-11-months-of-war-have-battered-the-countrys-economy-237915> 11/20/2024

ლაზაში ვაჭრობაც შეჩერებულია, რაც იმას ნიშნავს, რომ ბევრი პალესტინელი ახლა დახმარებას ეყრდნობა. ამავე დროს, სასიცოცხლო მნიშვნელობის საკომუნიკაციო არხები გაითიშა და ინფრასტრუქტურაც განადგურდა. ამ ეტაპზე, მეტად მძიმე ეკონომიკური ზარალის თავიდან ასაცილებლად საჭიროა მუდმივი ცეცხლის შეწყვეტა. ეს ყოველივე მიყენებულ ზიანსაც გამოასწორებს და გზასაც გახსნის ისრაელში, პალესტინაში და უფრო ფართო რეგიონებში. . ჰამასის

წინააღმდეგ ბრძოლა არამხოლოდ სამხედრო კონფლიქტს ეხება, არამედ გეოპოლიტიკურ და დიპლომატიურ სირთულეებთანაც არის კავშირში. ჰამასის, როგორც სამხედრო და პოლიტიკური ჯგუფის წინააღმდეგ საბრძოლველად ისრაელმა მრავალჯერ გადადგა სხვადასხვა ნაბიჯი, თუმცა კონფლიქტში ჩარეული მხარეების მიზნები ძალიან განსხვავებულია. ჰამასის მიზნები ძირითადად რადიკალურად ისლამური იდეოლოგიისა და პალესტინის ეროვნული ინტერესების გარშემო ტრიალებს. ჰამასი მხარს უჭერს პალესტინის ისლამურ სახელმწიფოს, რომლის ძირითადი კანონმდებლობა ეფუძვნება შარიათის (ისლამურ) კანონებს. ამავედროულად, ჰამასისთვის პალესტინა მხოლოდ ღაზას სექტორის ან დასავლეთ სანაპიროს გეოპოლიტიკური ერთეული არაა, არამედ მთელ ისტორიულ პალესტინას მოიცავს, რაც მოიცავს ისრაელის ტერიტორიასაც. ამიტომ, ჰამასი არ აღიარებს ისრაელს როგორც დამოუკიდებელ სახელმწიფოს. ჰამასი არა მხოლოდ პალესტინის ანტისიონისტური მოძრაობას წარმოადგენს, არამედ უფრო ფართოდ, ის მოქმედებს როგორც ანტი-დასავლური ძალა, რომელიც წინააღმდეგობაშია ისლამურ სამყაროსთან დაკავშირებული დასავლური ინტერესების მიმართ. ჰამასის მთავარი მიზანი პალესტინის მთლიანობის აღდგენაა, განსაკუთრებულად მათ სურთ იერუსალიმის „მთლიანობის“ აღდგენა. მათთვის პალესტინელების ეროვნული უფლებები და სუვერენიტეტი ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია, მათ შორის ჰამასმა თავის გეგმაში აღიარა ეს მიზანი მთელი პალესტინის რეგიონში. ჰამასის წინააღმდეგ ბრძოლა, როგორც სამხედრო, ისე დიპლომატიური თვალსაზრისით. ისრაელი ჰამასს უპირისპირდება როგორც სამხედრო ძალა, რომელიც ანტიოკუპაციურ ბრძოლაში მიმართავს პირდაპირ დარტყმებს, საბრძოლო ავიაციის, არტილერიასა და ჯავშანტექნიკის გამოყენებით. ისრაელის მთავრობა შთამბეჭდავად ცდილობდა ჰამასის სამხედრო ინფრასტრუქტურის, საზღვრისპირა გამშვები პუნქტების, საცხოვრებელი და სამხედრო ობიექტების განადგურებას. ამ ორ მხარეს ერთმანეთთან რამდენიმე სერიოზული კონფლიქტი ჩვენთვის ცნობილია, რომ მანამდეც მოხდა რომელიცაა მაგალთისთვის 2008-2009 წლისა და 2012-2014 წლების ომები.⁴ ამ კონკრეტულ კონფლიქტამდე ორ მხარეს შორის 2021 წლის მაისშიც მიმდინარეობდა ბრძოლა, რომელიც 11 დღის შემდეგ ცეცხლის შეწყვეტით დასრულდა. საერთო ჯამში მათ შორის მომხდარი ყველა კონფლიქტის ბოლოს ადამიანები ხედავენ ორივე მხრიდან დაღუპულ ადამიანებს, რომლებიც შეიძლება თამამად ითქვას, რომ ტყუილად დაიღუპნენ და ტყუილად შეაკლეს თავი ამ ბრძოლებს. ბრძოლა ჰამასის წინააღმდეგ გლობალური კრიტი-

⁴ What is Hamas and why is it fighting with Israel in Gaza? <https://www.bbc.com/news/world-middle-east-67039975> 11/13/2024

კის ობიექტია, რადგან ისრაელის ოპერაციები ხშირად იწვევს სამოქალაქო მსხვერპლს და ჰუმანიტარულ კრიზისს. ჰამასი მიიჩნევს, რომ ისრაელის სახელმწიფო უნდა განადგურდეს, და მთელ პალესტინაზე უნდა ჩამოყალიბდეს ისლამური სახელმწიფო. ჰამასის ქმედებები, მათ შორის სარაკეტო შეტევები და სამოქალაქო ინფრასტრუქტურის გამოყენება, აღიარებულია როგორც საერთაშორისო სამართლის დარღვევა, რაც ისრაელს აძლევს ლეგიტიმაციას სამხედრო პასუხისთვის.

2) ოპრაცია ლიბანში

ისრაელ-პალესტინას დაპირისპირების ერთ-ერთ გარდამტეხ მოვლენად ლიბანის წინააღმდეგ განხორციელებული ისრაელის სამხედრო ოპერაციაც შეგვიძლია მივიჩნიოთ. სამხედრო ოპერაცია, რომელიც ჰეზბოლას წინააღმდეგ არის მიმართული, მნიშვნელოვანი იდეური თუ პოლიტიკური მიზნით გამოირჩევა. ისრაელ-ლიბანის დაპირისპირება ათეულ წელს იტევს. სახელმწიფოთა შორის ინტერესთა გადაკვეთა პირველად 2006 წელს „ლიბანის ომის“ მსვლელობისას მოხდა. შესაბამისად სახელმწიფო, რომელიც აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთში ისრაელის ერთ-ერთ მთავარ მოწინააღმდეგედ გველვინება, 2023 წლის კონფლიქტის დაწყებისას, საერთო მტრის წინააღმდეგ, პალესტინასთან ერთად მეტად მნიშვნელოვან ნაბიჯებს დგამს.⁵ ისრაელის მთავარი მიზანი მის საზღვრებს გასწვრივ არსებული ჰეზბოლას სამიზნეების განადგურება გახლდათ, ხოლო მთავარ მოტივად მაინც ლიბანის პალესტინასთან ურთიერთთანამშროლობის აღკვეთა და ჰეზბოლას შეტევის შედეგად 60 000 ადამიანის უკან დაბრუნება რჩებოდა.⁶ მაშასადამე, ისრაელი სამხრეთ-დასავლეთ აზიის პოლიტიკური რუკის მთავარი სამიზნე გახლდათ. მის გარშემო არსებული ისლამური სახელმწიფოები (ეგვიპტის გარდა) ისრაელის მთავარი მოწინააღმდეგეებად გვევლინებიან, რაც იძლევა სახელმწიფოს მხრიდან უსაფრთხოების გარანტიის მიღების საბაზს. სწორედ ამგვარი თავდაცვითი ოპერაციის მაგალითია ლიბანის დაპირისპირება, სადაც ისრაელის სახელმწიფო საპასუხო დარტყმით პასუხობს ლიბანს 2023 წლის ოქტომბრის ჰამასის ტერორისტული აქტის დახმარებისა და სამხედრო ოპერაციების განხორციელებისთვის. ისრაელის სამხედრო ოპერაციამ სამხრეთ ლიბანს და კერძოდ ჰეზბოლას ტერორისტულ დაჯგუფებას უდიდესი ზიანი მიაყენა. ისრაელის ავიაციამ ლიბანის საავიაციო, სახმელეთო და ლოჯისტიკის მომარაგების ბაზები მთლიანად გა-

⁵ „Israel military Action in Palestine and Lebanon: A Critical Analysis of Humanitarian , Political, And Strategic Implications” . H.Bukhari, N.Iqbal, A.Khan. <https://ojs.jdss.org.pk/journal/article/view/1197/1120>

⁶ „რატომ შეიჭრა ისრაელი ლიბანში“ ქიან შარიფი.

<https://www.radiotavisupleba.ge/a/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%97%E1%83%9D-%E1%83%9D%E1%83%9E%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%90-%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%9D%E1%83%9B-%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%98%E1%83%AD%E1%83%A0%E1%83%90-%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%91%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%A8%E1%83%98/33143753.html> 11/15/2024

ანადგურა.⁷ მაინც, საგულისხმოა ისრაელის სახელმწიფოს პოლიტიკური მიზნები ლიბანის ტერიტორიაზე. იმისდა მიუხედავად, რომ თავდასხმები მასშტაბური გახლდათ, რამაც საბოლოოდ ჰეზბოლას ლიდერის, ნასრალას სიკვდილიც გამოიწვია, ისრაელის პოლიტიკური მიზნები ლიბანის ტერიტორიაზე განსხვავებული გახლავთ. ამის არგუმენტად თავადვე ისრაელის პოლიტიკური ურთიერთობა შეგვიძლია მოვიხმოთ ლიბანის მოსახლეობის მიმართულებით. ისრაელის მთავრობა სამხრეთ ლიბანის მოსახლეობას ევაკუაციას მდინარე ავალის ჩრდილოეთიდან მოუწოდებდა, რაც თავისთავად აჩენს იმის ეჭვს, რომ სახელმწიფო ლიბანის მიმართ კიდევ უფრო მასშტაბურ დაპირისპირებას გეგმავს. თუმცადა, მოვლენების ანალიზის, წარსულის ისტორიული მოვლენებისა და არსებული პოლიტიკური ვითარების გააზრების შემდეგ, საჭიროა დავინახოთ ის, რომ ისრაელის მიზნები ლიბანში არც ისე მასშტაბურია. ისრაელის მიზანი ჰეზბოლას დამარცხება არ არის, ამისთვის სახელმწიფოს ლიბანის ტერიტორიაში უფრო ღრმად შესვლა სჭირდება.⁸ ისრაელის მთავარი მიზანი, ჰეზბოლას მწყობრიდან გამოყვანაა, რადგანაც თუ კი სახელმწიფო შეწყვეტს სამხრეთ ლიბანში სამხედრო ოპერაციების შეწყვეტას, ჰეზბოლა კვლავ დაბრუნდება და ისრაელის წინააღმდეგ სამხედრო ოპერაციების ახალ ფაზაში გადავა. სწორედ ეს მიზანი უდგას ისრაელის ფართომასშტაბიან თავდასხმას ლიბანის წინააღმდეგ, რამაც სამხრეთ ლიბანში საჭირო თავდასხმა თუ პორტატული საკომუნუკაციო საშუალებების აფეთქება გამოიწვია და მოსახლეობის არც თუ ისე მცირე ნაწილი შეიწირა.⁹

საბოლოო ჯამში მაშინაც კი, როცა ჩვენ წინ ვუყურებთ იმ დროს, როდესაც ისრაელის შიიტური ანტაგონისტები კვლავ მზად არიან ჩაერთონ, შეიძლება ცოტა დარჩეს საბრძოლველად. არაფერია ისეთი დამაჯერებელი, ან ისეთი დამამცირებელი, როგორც უცვლელი ფაქტები ადგილზე. „წინააღმდეგობის ღერძში“ მყოფთათვის, გასული წლის მოვლენების შედეგად წარმოქმნილი გაღრმავებული სიძულვილი ისრაელის მიმართ, სულ მცირე, კიდევ ერთი თაობისთვის გაჩნდება. მაშინაც კი, თუ საფრთხე, რომელსაც ისინი უქმნიან ისრაელს, არასოდეს იქნება ეგზისტენციალური, ის უზრუნველყოფს, რომ ისრაელები მშვიდად ვერ იქნებიან. ისრაელისთვის კი, როცა პალესტინელების მიმართ აპარტეიდის რეალობა უდაო ხდება, ის ეროვნების სულს ღრღნის. ახლა, რაც არ უნდა გვსურდეს სხვაგვარად ფიქრი, ჩვენს დროში ისევე, როგორც კაცობრიობის ისტორიის ნებისმიერ დროს, შეიძლება - მათთვის, ვინც საკმარისად დაუნდო-

⁷ „ისრაელმა მასირებული იერიში მიიტანა ჰეზბოლას ობიექტებზე ლიბანში“ რადიო თავისუფლება.

<https://www.radiotavisupleba.ge/a/33127432.html> . კობა ლიკლიკაძე. 11/15/2024

⁸ „რატომ შეიჭრა ისრაელი ლიბანში“ ქიან შარიფი.

<https://www.radiotavisupleba.ge/a/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%97%E1%83%9D-%E1%83%9D%E1%83%9E%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%90-%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%9D%E1%83%9B-%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%98%E1%83%AD%E1%83%A0%E1%83%90-%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%91%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%A8%E1%83%98/33143753.html> 11/17/2024

ბელაია, თუ თავიანთი პოტენციალის მაქსიმალურს გამოიყენებენ - საბოლოოდ მაინც გაიმარჯვებენ.

3) დაპირისპირება ირანთან

ისრაელ-პალესტინას დაპირისპირება, მისი იდეური თუ პერსპექტიული შედეგების გამო, იმაზე ფართო და ვრცელ სკეპტრს მოიცავს, ვიდრე ეს ერთი შეხედვით შეიძლება ჩანდეს. დაპირისპირება, რომელიც ხმელთაშუაზღვის აღმოსავლეთ მხარეს უკვე ათეული წელია ომის ქარ-ცეცხლში ამყოფებს, მის საზღვრებს მისი მაშტაბითაც სცდება. ისრაელ-პალესტინას დაპირისპირება კონფლიქტის გაანალიზებით ბრძოლის მეტადრე დიდი არეალია. ისრაელი, რომელიც ამერიკის პლაცდარმი გახლავთ ისლამური სახელმწიფოთა მიმართ, ებრძვის პალესტინას, რომელსაც ზურგს ირანი და ფუნდამენტალისტური ისლამი უმაგრებს. სწორედ ირან-ისრაელის დაპირისპირებაც ამავე მიზეზის ნაწილია. ირანისა და ისრაელის დაპირისპირება ისტორიის არც თუ ისე მოკლე პერიოდს მოიცავს. ამჟამად საგულისხმო 2023 წლის მოვლენებია, სადაც ირანი, როგორც ტერორისტული ორგანიზაცია „ჰამასის“ გულშემატკივარი და დამფინანსებელი, დიდ როლს თამაშობს. ომის დაწყების პირველ ეტაპზე, ირანი, როგორც ისლამური სახელმწიფოს ერთ-ერთი მთავარი წარმომადგენელი, საჯაროდ აცხადებდა იმას, რომ ისრაელზე ჰამასის თავდასხმა ისლამური რესპუბლიკისთვის მოულოდნელი იყო.¹⁰ სინამდვილე კი შედარებით განსხვავებული გახლდათ, ვინაიდან ირანი, რომელიც ისრაელს „სიონისტურ რეჟიმად“ მოიხსენიებს, ხოლო თავის მოკავშირეებს „წინააღმდეგობის მოძრაობად“, იმაზე დიდ და მნიშვნელოვან ნაბიჯებს დგავს კონფლიქტის ესკალაციის პერიოდში, ვიდრე ეს ერთი შეხედვით შეიძლება ჩანდეს. ომის დაწყებიდან მალევე ურთიერთობა ირანსა და ისრაელს შორის მძაფრ კონფრონტაციაში შედის. ირანის მოკავშირე დაჯგუფებების თავდასხმების, წითელ ზღვაში კომერციული გემების მიზანში ამოღებისა და მსოფლიო სავაჭრო მიმოსვლის შეფერხების შემდეგ, ირანი 2024 წლის 14 აპრილს ისრაელის წინააღმდეგ საჰაერო შეტევას ახორციელებს.¹¹ ირანს თავდასხმის მიზეზად ისრაელის მიერ სირიის ტერიტორიაზე განხორციელებული თავდასხმა და სამხედრო პირების მოკვლა მოჰყავს, მაგრამ რეალური მიზეზი შედარებით სხვაა. ირანის მთავარი მიზანი შეერთებული შტატების შეჩერება და აღმოსავლეთის რეგიონის სრული ჰეგემონობაა. ამას თან ირანის ეკონომიკური გავლენაც ემატება, რაც მისი, როგორც ნავთობისა თუ გაზის იმპორტიორის სახელს, კიდევ უფრო მნიშვნელოვნად აჩენს გეოპოლიტიკის ასპარეზზე. ირან-ისრაელის ინციდენტის შემდეგ ნავთო-

¹⁰ „ისრაელ-ჰამასის ომი და ირანი“. ოქროპირ რუხაძე. 11/19/2024

<https://www.radiotavisupleba.ge/a/%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%94%E1%83%9A-%E1%83%B0%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%98-%E1%83%93%E1%83%90-%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%98/32640033.html>

¹¹ ირან-ისრაელის კონფლიქტი: ახლო აღმოსავლეთ ამჯერად გადაურჩა დიდ ომს. ანტონ კოკია 11/19/2024

[.https://www.radiotavisupleba.ge/a/%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%9C-%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%A4%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A5%E1%83%A2%E1%83%98/32916107.html](https://www.radiotavisupleba.ge/a/%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%9C-%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%A4%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A5%E1%83%A2%E1%83%98/32916107.html)

ბის მსოფლიო ფასები 9 პროცენტით გაიზარდა,¹² რაც ჰქმნის იმის საშიშროებას, რომ კონფლიქტის კიდევ უფრო დიდმა ესკალაციამ შესაძლოა მსოფლიო ეკონომიკურ მარწუხებში მოაქციოს.

ირან-ისრაელის დაპირისპირების სიმძაფრის ერთ-ერთი მთავარ მიზეზად ისრა-ელ-ამერიკის ურთიერთბაც შეგვიძლია მივიჩნიოთ. ამერიკა, რომელიც ისრაელის სტრატეგიულ-ეკონომიკური პარტნიორი გახლავთ ათეული წელია, აღმოსავლეთ ხმელ-თაშუაზღვისპირეთის და კერძოდ, რადიკალური ისლამის გასაკონტროლებლად ისრაელს იყენებს. ამერიკისთვის ისრაელის სიმძლიერე რეგიონზე არსებული კონტროლის მოპოვებასთან ასოცირდება, ვინაიდან ისრაელის დესტაბილიზაცია და მისი პოლიტიკური როლის შესუსტება ხსენებულ რეგიონზე, ისლამური ძალების გაძლიერების პრეროგატივას იძლევა, რაც თავისთავად სახიფათოა როგორც ამერიკისთვის ასევე დასავლეთ რეგიონისთვის. სწორედ ამიტომაც ამერიკა-ისრაელის ურთიერთობა დიდ და ფართო ეკონომიკურ სკეპტრთან ასოცირდება, რაც თავისთავად მიუღებელია როგორც ირანისათვის ასევე მისი მოკავშირე სახელმწიფოებისათვის. სწორედ ისლამური ზეგავლენის შესაჩერებლად ამერიკული დახმარება ისრაელის მიმართ კოლოსალურ თანხებთან ასოცირდება. 2022 წელს, დაპირისპირების დაწყებამდე არც თუ ისე ადრე, შეერთებული შტატები ისრაელის 1 მილიარდი ოდენობის ამერიკულ დოლარს აძლევს, რაც საჰაერო სივრცის თავდაცვას ხმარდება. ომის დაწყებიდან მალევე, კონგრესის წევრთა 82 % გადაწყვეტილებით ამერიკა ისრაელის ერთ-ერთი მთავარი დამფინანსებელი გახდა, რამაც ომის ბედი სავსებით შეცვალა. ამერიკულმა შეიარაღებამ, სასურსათო პაკეტებმა თუ ტყვია-წამალის მიწოდებამ ისრაელები ფრონტის ხაზზე წინ წაწია, რამაც პალესტინისა და ირანის გავლენა მკვეთრად შეასუსტა..¹³

. ირან-ისრაელის დაპირისპირების წინასწარი შეფასება, კონფლიქტის არაპროგნოზირებადი მდგომარეობიდან გამომდინარე რთულია. მაგრამ მარტივია შევავსოთ ის მდგომარეობა, რომლის წინაშეც დღესდღეობით აღმოსავლეთის ორი სახელმწიფო დგას. ირანი, რომელიც მთავარი გულშემატკივარი და დამხმარე ძალა გახლავთ ისლამური ფუნდამენტალისტური ორგანიზაციებისა, მაქსიმალურად ილტვის ჰამასის გამარჯვებისა და ამერიკულ-ისრაული ზეგავლენის დაჯობვისკენ. პარალელურად კი ისრაელი, რომელიც ამერიკის ხელშეწყობით აქტიურად ებრძვის ისლამურ კოალიციას და მათი, როგორც საერთაშორისო როლის მქონე სახელმწიფოების იდეურ შესაძლებლო-

¹² „ისრაელისა და ირანის შორის ომის შესაძლო ზემოქმედება მსოფლიო ეკონომიკაზე“. აბუბაქრ სედილი. 11/19/2024 <https://www.radiotavisupleba.ge/a/%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%A1%E1%83%90-%E1%83%93%E1%83%90-%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%A1-%E1%83%A8%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AB%E1%83%9A%E1%83%9D-%E1%83%96%E1%83%94%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%A5%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%93%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90-%E1%83%94%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%99%E1%83%90%E1%83%96%E1%83%94/33152455.html>

¹³ „The role of the Jewish Lobby Toward US Foreign Policy Making on The 2023 Israel- Palestine war“ Y.Marulitua, H. Miftah. <https://journal.unhas.ac.id/index.php/hjsis/article/view/34405/11654> 11/20/2024

ბას მაქსიმალურად სპობს, უკან დახევას არ აპირებს. მაშასადამე სახელმწიფოთა ორი დაპირსპირება შეიძლება დიდ ომშიც გადაიზარდოს, რომელთა უკანაც ისეთი დიდი სახელმწიფოები აღმოჩნდებიან, როგორც ამერიკა, რუსეთი თუ ჩინეთი გახლავთ. ასე რომ აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვაში სტაბილურობა აღარ შეიძლება ჩაითვალოს თავისთავად, რადგან აშშ-ის ძალები უკან იხევს. ევროპა, იმპოტენტური საერთაშორისო აქტორი, ვერ შეავსებს ამ პოლიტიკურ ვაკუუმს. რუსეთი პუტინის მეთაურობით აძლიერებს თავის საზღვაო ყოფნას. ისლამისტების მოქმედების მზარდი თავისუფლება საფრთხეს უქმნის რეგიონს. თურქეთს, რომელიც აღარ არის დასავლეთის ნამდვილი მოკავშირე, აქვს საკუთარი ხმელთაშუა ზღვის დღის წესრიგი და თავისი მიზნების მისაღწევად ძალის გამოიმუშავების სამხედრო შესაძლებლობა. ჯერჯერობით, რუსეთის მზარდი თავდაჯერებულობამ არ შეცვალა თურქეთის საგარეო პოლიტიკის კურსი. წარუმატებელი სახელმწიფოების დამლუპველი პოტენციალი, ირანის წვდომა ხმელთაშუა ზღვის წყლებზე და სახელმწიფოთაშორისი კონკურენცია ენერგორესურსებისთვის ასევე ახდენს რეგიონის დესტაბილიზაციას. მაგრამ გაურკვეველია, იციან თუ არა დასავლურმა ძალებმა, განსაკუთრებით შეერთებულმა შტატებმა, ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთი ნაწილის დაკარგვის შესაძლებლობა რუსეთის ან რადიკალური ისლამისთვის.

ემზადება ნებისმიერი გზით, რათა თავიდან აიცილოს ასეთი სცენარი. აშშ-ის გულუბრყვილობა და ევროპული გულუბრყვილობა შეიძლება გახდეს ძალიან ძვირი სტრატეგიული თვალსაზრისით. ისრაელის პერსპექტივა აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვის რეგიონზე გაფორმებულია მისი სასიცოცხლო აუცილებლობით, შეინარჩუნოს საზღვაო მარშრუტების თავისუფლება მისი საგარეო ვაჭრობისთვის და უზრუნველყოს მისი ახლად აღმოჩენილი გაზის საბადოების უსაფრთხოება. მიუხედავად იმისა, რომ მისი სტრატეგიული პოზიცია ზოგადად გაუმჯობესდა ახლო აღმოსავლეთში, იერუსალიმი ხედავს გარემოს გაუარესებას აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვაში. რუსეთის მზარდი ყოფნა და თურქეთის თავდაჯერებულობა ეწინააღმდეგება ისრაელის ინტერესებს. აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვის სანაპიროებზე განვითარებული მოვლენები ასევე ამცირებს სტაბილურობას და ზრდის ისლამისტური გამოწვევების ალბათობას.

ცივილიზაციური თვალსაზრისით, აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვა წარსულში სპარსეთსა და ძველ ბერძნებს შორის და ოსმალეთსა და ვენეციელებს შორის დაპირისპირების ადგილი იყო. ეს არის ადგილი, სადაც მიმდინარეობს ბრძოლა აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის. ცივი ომის შემდეგ დასავლეთის საზღვრები აღმოსავლეთისაკენ გადავიდა. ახლა ისინი ადვილად გადაადგილდებიან სხვა მიმართულებით.¹⁴

დასკვნა

საბოლოო ჯამში ისრაელის ომის ჰესბოლასა და ჰამასის წინააღმდეგ რთული და მრავალმხრივი კოფლიქტია, რომელიც რეგიონში გრძელვადიანი უსაფრთხოებისა და

¹⁴ Israel's Challenges in the Eastern Mediterranean <https://www.meforum.org/middle-east-quarterly/israel-challenges-in-the-eastern-mediterranean> 11/21/2024

პოლიტიკის საკითხებს აჩენს. ორივე დაჯგუფება, ჰესბოლა ლიბანში და ჰამასი-ლაზას სექტორში, არის ტერორისტული ორგანიზაციები, რომლებიც ისრაელს უპირისპირდებიან, თუმცა მათი საქმიანობის სტილი და მიდგომები განსხვავდება. ჰამასი ძირითადად ქმედებები პროტესტის ფორმას იძენს, რაც ისრაელის წინააღმდეგ სარაკეტო თუ სახმელეთო თავდასხმებით გამოიხატება. ხოლო ჰესბოლა, რომლის მოქმედების არეალიც ლიბანია, უფრო ორგანიზებული და შედარებით ძლიერი ძალაა, რაც რეგიონში ძლიერი პოლიტიკური მოთამაშის ქმედებებითაც გამოიხატება. ამ ომებს შორის მთავარი დამაკავშირებელი ფაქტორი ისრაელის უსაფრთხოების გამოწვევაა, რადგან ორივე დაჯგუფება, როგორც ჰამასი ასევე ჰესბოლა, ისრაელის მიმართულებით ულტიმატუმებს იყენებს, რაც თავისთავად სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი საკითხი ხდება. აქედან გამომდინარე ისრაელის ომი ჰამასისა და ჰესბოლას წინააღმდეგ წარმოადგენს გრძელვადიანი კონფლიქტის ნაწილს, რომელიც ვერ სრულდება მოკლევადიანი სამხედრო გამარჯვებით. მას სჭირდება როგორც სამხედრო, ისე დიპლომატიური გადაწყვეტილებები, რათა რეგიონში სტაბილურობისა და მშვიდობის გარემო დამყარდეს. მიუხედავად ამისა, კონფლიქტის პოლიტიკური და ეთნიკური ბერკეტები ხშირად ხდება მორალური და პოლიტიკური დილემათა საფუძველი, რაც ამ ომს კომბინირებული მოლოდინებით ცვლის.

ესკალაციის რისკები რეალურია, მაგრამ ნაკლებად სავარაუდოა, რომ ჰესბოლას წინასწარი შეტყობინებები ჰქონდა. სინამდვილეში, ჰამასის ხელმძღვანელობის ადამიანთა უმეტესობამ ალბათ არ იცოდა, რომ ეს მოხდებოდა. ჰესბოლა თვლის, რომ დასაკარგი ბევრი აქვს. ლიბანის ეკონომიკა კრიზისშია. ლიბანი საშუალო შემოსავლის ქვეყნიდან გადავიდა სახელმწიფოში, სადაც მოსახლეობის 80-დან 85 პროცენტამდე სიღარიბის ზღვარს ქვემოთაა. ეჭვგარეშეა, რომ ისრაელთან ყოვლისმომცველი ომი გამოიწვევს სამხრეთის სრულ განადგურებას და ფართომასშტაბიან განადგურებას ლიბანის სხვა ნაწილებში და ჰესბოლამ არ იცის, გადარჩება თუ არა ამ შედეგს. ლიბანი ახლა ძალიან დაუცველია და ბოლო, რაც მას სჭირდება, არის მორიგი ომი ისრაელთან. ჰესბოლას ხელმძღვანელობას აქვს ინსტინქტი, გაუწიოს ჰამასს მორალური და ფსიქოლოგიური მხარდაჭერა ისრაელის სრული რისხვის გარეშე. ისრაელის ინსტინქტი არ არის ის, რომ არ მოხვდეს ჰესბოლასთან ესკალაციის სპირალში, რამაც შეიძლება ეს ორ ფრონტულ ომად აქციოს, განსაკუთრებით იმიტომ, რომ ჰესბოლა ბევრად უკეთ არის შეიარაღებული, ვიდრე ჰამასი. ჰესბოლას აქვს 150 000-მდე რაკეტა,¹⁵ რომელთაგან ბევრი მიეწოდება სირიის გავლით. ის ღაზას სექტორზე გაცილებით დიდ ტერიტორიაზე გავრცელებული. და ისრაელი არ აკონტროლებს ყველა მისასვლელ პუნქტს ლიბანში, როგორც აკონტროლებს ღაზას სექტორში მისასვლელ პუნქტებს. ჰესბოლას არ სურს ხელზე მჯდომი ნახონ, მაგრამ ასევე არ სურს ისრაელის სრულმასშტაბიანი პასუხის პროვოცირება. ნებისმიერი რამ შეიძლება შეცვალოს ეს, მათ შორის ისრაელის თავდასხმები, რომლებიც წარმოქმნიან არაჩვეულებრივ ჰუმანიტარულ ტანჯვას ან

¹⁵ Hamas and Israel: The Current Situation and Looking Ahead <https://www.csis.org/analysis/hamas-and-israel-current-situation-and-looking-ahead> 11/19/2024

უამრავი დასახიჩრებული ქალისა და ბავშვის გამოსახულებებს.ომი ართულებს არა-ბული სახელმწიფოებისთვის ისრაელთან ურთიერთობას უახლოეს პერიოდში. გრძელვადიან პერსპექტივაში, მან შესაძლოა შექმნას არაბთა ჩართულობის შესაძლებლობები დაზასთან, რაც რეალურად ხელს შეუწყობს არაბ-ისრაელის დაახლოებას. ისრაელი და არაბული ქვეყნები სტრატეგიულად განლაგებულნი არიან დაზას სექტორში. პრაქტიკულად ყველა არაბული მთავრობა მტრულად არის განწყობილი ჰამასის მიმართ, რომელიც არსებითად არის მუსლიმთა საძმოს პალესტინის ვერსია. ბევრმა ამ შტატმა გამოაცხადა მუსლიმთა საძმო და დააპატიმრა მისი წევრები. მათ ასევე ემინი-ათ ირანის საცეცების, რომელიც დაეხმარა ჰამასის დაფინანსებას და გაწვრთნა მისი ზოგიერთი მებრძოლი. არაბულ მთავრობებს შეიძლება ჰქონდეთ როლი დაზაში პოლიტიკური შედეგის ჩამოყალიბებაში, რაც ერთდროულად ხელს უწყობს პალესტინის ნაციონალურ მისწრაფებებს და ასევე დარტყმას აყენებს ისლამისტურ მოძრაობებს და ირანულ მარიონეტებს.

გამოყენებული ლიტერატურა

Iran and Israel: From allies to archenemies, how did they get here?

<https://www.aljazeera.com/news/2023/11/6/iran-and-israel-from-allies-to-archenemies-how-did-they-get-here> 11/10/2024

Israel's economy is paying a high price for its widening war

<https://edition.cnn.com/2024/10/04/economy/israel-economy-war-impact/index.html> 11/20/2024

Israel: 11 months of war have battered the country's economy <https://theconversation.com/israel-11-months-of-war-have-battered-the-countrys-economy-237915> 11/20/2024

What is Hamas and why is it fighting with Israel in Gaza? <https://www.bbc.com/news/world-middle-east-67039975> 11/13/2024

„Israel military Action in Palestine and Lebanon: A Critical Analysis of Humanitarian , Political, And Strategic Implications” . H.Bukhari, N.Iqbal, A.Khan.

<https://ojs.idss.org.pk/journal/article/view/1197/1120>

„რატომ შეიჭრა ისრაელი ლიბანში“ ქიან

შარიფი.<https://www.radiotavisupleba.ge/a/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%97%E1%83%9D-%E1%83%9D%E1%83%9E%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%90-%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%9D%E1%83%9B-%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%98%E1%83%AD%E1%83%A0%E1%83%90-%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%91%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%A8%E1%83%98/33143753.html> 11/15/2024

„ისრაელმა მასირებული იერიში მიიტანა ჰეზბოლას ობიექტებზე ლიბანში“ რადიო თავისუფლება. <https://www.radiotavisupleba.ge/a/33127432.html> . კობა ლიკლიკაძე.11/15/2024

„რატომ შეიჭრა ისრაელი ლიბანში“ ქიან შარიფი.

<https://www.radiotavisupleba.ge/a/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%97%E1%83%9D-%E1%83%9D%E1%83%9E%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%90-%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%9D%E1%83%9B-%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%98%E1%83%AD%E1%83%A0%E1%83%90-%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%91%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%A8%E1%83%98/33143753.html> 11/17/2024

„ისრაელ-ჰამასის ომი და ირანი“. ოქროპირ რუხაძე. 11/19/2024

<https://www.radiotavisupleba.ge/a/%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%94%E1%83%9A-%E1%83%B0%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%98-%E1%83%93%E1%83%90-%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%98/32640033.html>

ირან-ისრაელის კონფლიქტი: ახლო აღმოსავლეთ ამჯერად გადაურჩა დიდ ომს. ანტონ კოკია 11/19/2024

<https://www.radiotavisupleba.ge/a/%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%9C-%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%A4%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A5%E1%83%A2%E1%83%98/32916107.html>

„ისრაელისა და ირანს შორის ომის შესაძლო ზემოქმედება მსოფლიო ეკონომიკაზე“. აბუბაქრ სედილი.

11/19/2024 <https://www.radiotavisupleba.ge/a/%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%A1%E1%83%90-%E1%83%93%E1%83%90-%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%A1-%E1%83%A8%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AB%E1%83%9A%E1%83%9D-%E1%83%96%E1%83%94%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%A5%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%93%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90-%E1%83%94%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%99%E1%83%90%E1%83%96%E1%83%94/33152455.html>

„The role of the Jewish Lobby Toward US Foreign Policy Making on The 2023 Israel- Palestine war”
Y.Marulitua, H. Miftah. <https://journal.unhas.ac.id/index.php/hjsis/article/view/34405/11654>
11/20/2024

Hamas and Israel: The Current Situation and Looking Ahead <https://www.csis.org/analysis/hamas-and-israel-current-situation-and-looking-ahead> 11/19/2024

ტრამპი და უკრაინა, ახალი რესპუბლიკური პოლიტიკის როლი კონფლიქტის განვითარებაში

გიორგი გაგუა

სსიპ-დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს
ეროვნული თავდაცვის აკადემიის
მაგისტრატურის სახელმწიფო რესურსების მართვის
მიმართულების მსმენელი

აბსტრაქტი

უკრაინასა და რუსეთს შორის კონფლიქტზე, განსაკუთრებით 2014 წელს რუსეთის მიერ ყირიმის ანექსიისა და 2022 წელს უკრაინაში შეჭრის შემდეგ, მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა შეერთებული შტატების პოლიტიკამ. სხვადასხვა ადმინისტრაციამ ამ საკითხთან დაკავშირებით განსხვავებული პოზიციები წარმოაჩინა. განსაკუთრებით შესამჩნევი გავლენა ამ კონფლიქტის განვითარებაზე იყო აშშ-ს ყოფილი პრეზიდენტის დონალდ ტრამპის პოლიტიკური ტრაექტორია და რესპუბლიკური პარტიის როლის განვითარება. ტრამპის პოლიტიკამ, რიტორიკამ და რესპუბლიკურ პარტიაში არსებულმა დინამიკამ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა აშშ-ს საგარეო პოლიტიკაზე უკრაინის მიმართ და უფრო ფართო გეოპოლიტიკურ სიტუაციაზე აღმოსავლეთ ევროპაში. აშშ-ს 2024 წლის წინა საარჩევნო გამოსვლების დროს ტრამპმა განაცხადა, რომ ამ კონფლიქტის მოგვარება ოცდაოთხ საათში შეეძლო, თუმცა ზუსტი ნაბიჯები თუ როგორ აპირებდა ამას არ დაუსახელებია. თითქმის სამი წელია რაც უკრაინის ტერიტორიაზე საომარი ვითარებაა, დღითიდღე უარესდება მსოფლიოში მიმდინარე სამვიდობო ვითარება და არასდროს ყოფილა სახელმწიფოები ისე ახლოს მესამე მსოფლიო ომთან, როგორც ახლა, შესაბამისად მნიშვნელოვანია სტაბილურობისა და მშვიდობის შენარჩუნებისთვის მნიშვნელოვანი ნაბიჯების გადადგმა, მსოფლიო ლიდერების მხრიდან, რომელიც მოახდენს საერთაშორისო კონფლიქტებისა და ტერიტორიების ხელახლა გადანაწილების ექსკალაციას, მნიშვნელოვანია გავიგოთ რა როლი უჭირავს ამ მხრივ აშშ-ს და რა იქნება მისი ახალი პრეზიდენტის პოლიტიკური ნაბიჯები საერთო მშვიდობის პერსპექტივაში.

საკვანძო სიტყვები: რუსეთი, უკრაინა, ომი, NATO, დონალდ ტრამპი.

Trump and Ukraine, the Role of New Republican Policy in the Development of the Conflict

Giorgi Gagua

Student of Master's Program in State Recourse Management of
LEPL-David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia

Abstract

The conflict between Ukraine and Russia, especially since Russia's annexation of Crimea in 2014 and its invasion of Ukraine in 2022, has been significantly influenced by U.S. policy, with different administrations taking different positions on the issue. A particularly notable influence on the development of this conflict has been the political trajectory of former U.S. President Donald Trump and the evolving role of the Republican Party. Trump's policies, rhetoric, and dynamics within the Republican Party have had a significant impact on U.S. foreign policy toward Ukraine and the broader geopolitical situation in Eastern Europe. During his campaign for the 2024 U.S. presidential election, Trump stated that he could resolve the conflict in twenty-four hours, but did not specify the exact steps he would take to achieve this. For almost three years now, there has been a state of war in Ukraine, and the current situation in the world is worsening day by day. Never before have states been so close to World War III as they are now. Therefore, it is important for world leaders to take important steps to maintain stability and peace, which will escalate international conflicts and land redistribution. It is important to understand the role of the United States in this regard and what the political steps of its new president will be in the perspective of common peace.

Keywords: Russia, Ukraine, war, NATO, Donald Trump.

შესავალი

რუსეთის შეჭრა უკრაინაში დაიწყო 2022 წლის 24 თებერვლის გამთენიისას ათობით სარაკეტო დარტყმით. რუსეთის სახმელეთო ჯარები სწრაფად გადავიდნენ და რამდენიმე კვირაში აკონტროლებდნენ უკრაინის დიდ ტერიტორიებს და დაწინაურდნენ კიევის გარეუბანში. რუსული ძალები ბომბავდნენ ხარკოვს და აიღეს ტერიტორია აღმოსავლეთით და სამხრეთით ხერსონამდე და ალყა შემოარტყეს საპორტო ქალაქ მარიუპოლს, მაგრამ ისინი თითქმის ყველგან შეხვდნენ უკრაინის ძლიერ წინააღმდეგობას და შეექმნათ სერიოზული ლოგისტიკური პრობლემები სუსტად მოტივირებული რუსული ჯარების გამო, რომლებიც განიცდიდნენ საკვების, წყლისა და საბრძოლო მასალის ნაკლებობას. უკრაინულმა ძალებმა ასევე სწრაფად განათავსეს დასავლეთის მიწოდებული იარაღი, როგორცაა Nlaw ტანკსაწინააღმდეგო სისტემა, რომელიც ძალზე ეფექტური აღმოჩნდა რუსეთის წინსვლის წინააღმდეგ. ამის გარდა უკრაინას მხოლოდ ა.შ.შ-სგან 108 მილიარდი დოლარის სამხედრო ჰუმანიტარული თუ ეკონომიკური დახმარებაა აქვს მიღებული.¹

ნოემბერში უკრაინამ განაცხადა, რომ მისი ჯარები ჩრდილოეთ კორეის ჯარებთან ბრძოლაში ჩაერთნენ რუსეთის კურსკის რეგიონში. მოსკოვმა და ფხენიანმა არ უპასუხეს მტკიცებას, რომ ჩრდილოეთ კორეის ჯარისკაცებს ცეცხლი გაუხსნეს, მაგრამ აშშ-ს დაზვერვამ და ნატომ დაადასტურა, რომ არსებობს მტკიცებულება ჩრდილოეთ კორეის ჯარების ჩართულობის შესახებ რუსეთის ომში. ჩრდილოეთ კორეის ჯარების ჩამოსვლა აშშ-ს ოფიციალურმა პირებმა დაასახელეს, როგორც მიზეზი იმისა, რომ პრეზიდენტმა ბაიდენმა მწვანე შუქი მისცა უკრაინას, გამოიყენოს შორი მანძილის ATACMS რაკეტები რუსეთის შიგნით დარტყმისთვის. როგორ იმოქმედებს ეს გადაწყვეტილება ომზე უახლოეს თვეებში, ჯერ კიდევ გასარკვევია, მაგრამ უკრაინას ახლა აქვს პოტენციალი, დაარტყას სამიზნეებს რუსეთ-უკრაინის საზღვრიდან თითქმის 300 კმ. დაშორებით.

ჩრდილოეთ კორეის ჯარების გამოჩენა კურსკის რეგიონში იყო პასუხი მოულოდნელი თავდასხმაზე, რომელიც საზღვრის გადაღმა განხორციელდა უკრაინის ჯარების მიერ აგვისტოში, რუსეთის რეგიონში 30 კმ წინსვლის შემდეგ. რუსეთის მთავრობამ საზღვრის გასწვრივ მდებარე ტერიტორიებიდან თითქმის 200 000 ადამიანის ევაკუაცია მოახდინა და პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა დაგმო უკრაინის შეტევა და უწოდა "დიდი პროვოკაცია". ორი კვირის შემდეგ, უკრაინის მთავარსარდალმა განაცხადა, რომ აკონტროლებდა რუსეთის ტერიტორიის 1200 კვ.კმ-ზე მეტს და 93 სოფელს. კურსკისა და ბელგოროდის რეგიონებმა ორივემ საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადა. ამ ტერიტორიის ნაწილები რუსეთმა დაიბრუნა, თუმცა უკრაინას ჯერ კიდევ ჰყავს ჯარები კურსკის რეგიონში.²

რუსეთ-უკრაინის თითქმის სამ წლიანი ომის და მიღებული შედეგების ფონზე, მნიშვნელოვანია სამშვიდობო მლაპარაკებების მაგიდსთან დასხდომა და ომის შედე-

¹ BBC News. "Ukraine in maps: Tracking the war with Russia", *BBC News*, November 2024.

² Ibid.

გების დროული გადაწყვეტა, რასაც დონალდ ტრამპი წინასაარჩევნო კამპანიაში უსვამდა ხაზს, ის ასევე ამბობდა რომ შეეძლო ომის დასრულება ერთ დღეში, რისი დაკვირვებაც მედიისთვის ხელმისაწვდომი იქნებოდა, თუმცა როგორ აპირებდა ამას ეს არ გაუსაჯაროებია. ირანი, ჩრდილოეთ კორეა, ისრაელი, ტაივანი, არსებული და შესაძლო საფრთხეებია რომლებიც მსოფლიოს წინაშე დგას და რომელთან გამკლავებაც მსოფლიო ლიდერების პრეროგატივაა, ტრამპი კი გამოირჩევა არაპროგნოზირებადი გადაწყვეტილებებითა და მისი დამოკიდებულებით ამერიკის მიმართ „ამერიკა უპირველეს ყოვლისა“.

ძირითადი ნაწილი

კიევის განცხადებით - დონალდ ტრამპის საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვების შემდეგ, უკრაინამ შესაძლოა დაკარგოს მისი ყველაზე მნიშვნელოვანი მოკავშირის, აშშ-ს მხარდაჭერა, რომელმაც 108 მილიარდი დოლარი დახარჯა უკრაინისთვის სამხედრო, ჰუმანიტარულ და ეკონომიკურ დახმარებით რუსეთის 2022 წლის თებერვლის შემოჭრის შემდეგ. ეს ვარაუდი უკრაინას აქვს გამომდინარე რუსეთის ლიდერის, ვლადიმერ პუტინისადმი ტრამპის სიმპათიებიდან, რომელსაც ის არ მალავდა როდესაც ტელევიზიებთან ინტერვიუს დროს, ამბობდა, რომ პუტინი ჭკვიანია, ორ დოლარიანი სანქციების ნაცვლად იპყრობს უზარმაზარ ტერიტორიებს, ამ განცხადებებს ის აკეთებდა ომის დასაწყისში, როდესაც ბაიდენი იყო მმართველობაში და მისი ამ გამოსვლების გადაფარვა და თავის მართლება რესპუბლიკური პარტიის ლიდერებს უწევდათ. ის ასევე ომის დაწყებაში ადანაშაულებდა უკრაინას, მთელი თავისი წინასაარჩევნო კამპანიის განმავლობაში, ტრამპი და მისი კანდიდატი ჯეი დ ვენსი ეჭვქვეშ აყენებდნენ კიევისადმი აშშ-ს მუდმივ ერთგულებას და აკეთებდნენ კომენტარებს, რომლებიც ვარაუდობენ, რომ შეერთებულმა შტატებმა შეიძლება ზეწოლა მოახდინოს უკრაინაზე რუსეთთან არასასიამოვნო ზავისკენ, თუმცა ეს ყველაფერი ზელენსკიმ უკანა პლანზე გადაწია და ძირითადი მოკავშირე ქვეყნის ლიდერს არჩევნებში გამარჯვება მიულოცა: „მშვენიერი სატელეფონო საუბარი მქონდა პრეზიდენტ ტრამპთან და მივულოცე მას ისტორიული და დიდი გამარჯვება, რაც მისმა შთამბეჭდავმა კამპანიამ შეძლო. მადლობა მის ოჯახს და გუნდს შესანიშნავი მუშაობისთვის. ჩვენ შევთანხმდით, რომ შევინარჩუნოთ მჭიდრო დიალოგი და განვაკითხოთ ჩვენი თანამშრომლობა. აშშ-ს ძლიერი და მტკიცე ხელმძღვანელობა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია მსოფლიოსთვის და სამართლიანი მშვიდობისთვის.“³ იმავდროულად, კრემლი ამტკიცებდა, რომ ის არ ზეიმობდა ტრამპის გამარჯვებას, „არ უნდა დაგვაიწყდეს, რომ ჩვენ ვსაუბრობთ არამეგობრულ ქვეყანაზე, რომელიც პირდაპირ და ირიბად არის ჩართული ჩვენი სახელმწიფოს წინააღმდეგ ომში“,⁴ - განაცხადა კრემლის სპიკერმა დიმიტრი პესკოვმა ჟურნალისტებთან ყოველდღიურ ბრიფინგზე. შვიდ ნოემბერს, რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა გააკეთა თავისი პირველი საჯარო კომენტარი აშშ-ს არჩევ-

³ Zelenskyy, Volodymyr. "We are working to bring peace to Ukraine and restore its territorial integrity." *X*, November 24, 2024

⁴ NPR. "2024 Election: Trump, Russia, and the Ukraine War." *NPR*, November 7, 2024.

ნებზე და განაცხადა, რომ მზად არის დიალოგისთვის რესპუბლიკელ არჩეულ პრეზიდენტთან და აღნიშნა, რომ ტრამპის კომენტარები უკრაინაში რუსეთის ომის დასრულების შესახებ „სულ მცირე ყურადღებას იმსახურებს“.

შეუძლებელია ვისაუბროთ იმაზე, რომ რუსეთი, შეიძლება რაიმე დათმობაზე მაინც წავიდეს უკრაინასთან, ის ეცდება რომ ამ ომიდან დამარცხებულის სტატუსით არ გავიდეს, მისი პირობები რომ ნატოს ჯარები რუსეთის საზღვართან არ იყვენენ შეუცვლელი იქნება. ყველაზე მსუბუქად რაც შეიძლება რომ უკრაინა გამოვიდეს იქნება საზღვრის გაყინვა, უკრაინის ფიქრის ნატოს წევრობასთან დაკავშირებით უგულებელყოფა და ევროკავშირის წევრი ქვეყნებისთვის 800 მილის სიღრმეში საზღვრიდან ბუფერული ზონის შექმნა, მათი სამხედრო მოსამსახურეებით პატრულირებისთვის, ეს შეიძლება იქნას გარკვეული შეათავაზებები ორივე მხარისთვის რასაც J.D. Vance, და Marco Rubio გვთავაზობდნენ ტრამპის ერთერთი ბანაკიდან, თუმცა ამ სცენარს გარკვეულ წილად უკრაინელი საზოგადოება კითხულობს. აღმოსავლეთის ქალაქ პოკროვსკიდან არც თუ ისე შორს, რომელიც ახლა რუსეთის სასტიკი თავდასხმის ქვეშაა, ჯარისკაცი მაქსიმ სვიეჩენცევი ამტკიცებს, რომ ტრამპის ნათქვამი არაფერი არ მიუთითებს იმაზე, რომ „მისი გამარჯვება ჩვენთვის რაიმე კარგს მოიტანს, ანუ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ჩვენ ვიმსჯელებთ სხვა არაფერით, გარდა სიტყვებით“, - "რეალობა ისაა, რომ ჩვენ უბრალოდ არ ვიცით რა მოხდება. ტრამპი არაპროგნოზირებადია." ჯარისკაცი ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ მთავარია სამხედროები იყვნენ თბილად, კარგად აღჭურვილი და გონებრივად მომზადებული რუსული ჯარების წინააღმდეგ ბრძოლისთვის. „რასაც არ უნდა აკეთებდეს ტრამპი, ჩვენ სხვა გზა არ გვაქვს, გარდა მტერთან ბრძოლისა“⁵ - თქვა მან.

ტრამპის ლოზუნგი რომ ამერიკა უპირველეს ყოვლისა აფიქრებინებს საზოგადოებას ამერიკის მიერ გაწეული ხარჯების შემცირებაში ინაუგურაციის შემდგომ პერიოდში. როგორც ზემოთ აღვნიშნე ეს იყო ერთერთი ჯგუფის გავლენიანი საზოგადოების წინასიტყვაობა თუმცა შეიძლება მოვიხსენიოთ მეორე ჯგუფიც ტრამპის რიგებში რომლებიც არანაკლებ გავლენიანები არიან და ინაუგურაციის შემდეგ სწორედ ისინი ვიხილოთ საკვანძო თანამდებობებზე რომელთა იდეებიც ამ იდეებისგან რადიკალურად განსხვავდება, ამ ჯგუფის წევრებად შეიძლება მოვიხსენიოთ Mike Pompeo და David Urban, რომლებიც რუსეთის აგრესიას უკრაინაში და ამ დათმობებზე წასვლას უკრაინის მხრიდან უფრო მკაცრად აფასებენ და თვლიან რომ ეს საფრთხეს შეუქმნის როგორც ევროკავშირის სახელმწიფოებს ასევე ა.შ.შ-ს უსაფრთხოების პოლიტიკას. დევიდ ურბანმა Wall Street Journal-ში დაწერა, თუ როგორი შეიძლება იყოს ტრამპის სამშვიდობო გეგმა უკრაინაში.

1) გაათავისუფლეთ ამერიკის ენერგეტიკული პოტენციალი;

⁵ The Conversation. "Ukraine War: Following Donald Trump's Re-election, Four Likely Scenarios Are Becoming Clear." *The Conversation*, November 2024.

- 2) აღვადგინოთ კავშირები საუდის არაბეთთან და ისრაელთან და ერთად ვიმუშაოთ ირანის წინააღმდეგ;
- 3) რუსეთის წინააღმდეგ რეალური სანქციების დაწესება;
- 4) გააძლიერეთ ამერიკის თავდაცვის ინდუსტრია;
- 5) ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის აღორძინება;
- 6) შექმენით 500 მილიარდი დოლარის „ლენდ-ლიზი“ პროგრამა უკრაინისთვის;
- 7) გააუქმოს შეზღუდვა ყველა იარაღის ტიპზე, რომელიც უკრაინას შეუძლია მიიღოს და გამოიყენოს.⁶

დასკვნა

რთულია ვისაუბროთ იმაზე თუ როგორ პოლიტიკას გაატარებს დონალდ ტრამპი ინაუგურაციის შემდეგ თუმცა მისი დაპირება რომ ერთ დღეში მოაგვარებდა უკრაინის ომს მნიშვნელოვან შეთავაზებად რჩება მსოფლიოსთვის, უბრალოდ საყურადღებოა რა საფასურის გადახდა მოუწევს უკრაინას ამ ომის შეჩერებისთვის ან რუსეთი რას მიიღებს სანაცვლოდ ერთი შემთხვევაა რომ უკრაინამ დათმოს ოკუპირებული ტერიტორიები და ევროკავშირმა მისი უსაფრთხოებისთვის შემდომი მარკირებული საზღვრიდან 800 მილის მანძილზე მოახდინოს საკუთარი ძალებით პატრულირება, თუ ტრამპი გაზრდის დახმარებას უკრაინის მიმართ დახმარებას და გააძლიერებს ალიანსს რათა უფრო მკაცრად დახვდეს მოლაპარაკების მაგიდაზე რუსეთის ლიდერებს.

გამოყენებული ლიტერატურა

- Radio Free Europe/Radio Liberty. "Ukraine's War and the Trump Factor." *Radio Free Europe/Radio Liberty*, November 24, 2024. <https://www.radiotavisupleba.ge/a/33203581.html>.
- ABC News. "The Donald Trump Factor in the Ukraine-Russia War." *ABC News*, November 21, 2024. <https://www.abc.net.au/news/2024-11-21/ukraine-russia-donald-trump-factor/104626432>.
- The Conversation. "Ukraine War: Following Donald Trump's Re-election, Four Likely Scenarios Are Becoming Clear." *The Conversation*, November 2024. <https://theconversation.com/ukraine-war-following-donald-trumps-re-election-four-likely-scenarios-are-becoming-clear-243498>.
- BGRDC. "David Urban in the Wall Street Journal: A Trump Peace Plan for Ukraine." *BGRDC*, November 2024. <https://bgrdc.com/bgrs-david-urban-in-the-wall-street-journal-a-trump-peace-plan-for-ukraine/>.
- BBC News. "Ukraine Conflict: A Year of Devastation." *BBC News*, March 2022. <https://www.bbc.com/news/world-europe-60506682>.
- The Telegraph. "Donald Trump's Ukraine Peace Plan: British Troops and a Buffer Zone." *The Telegraph*, November 7, 2024. <https://www.telegraph.co.uk/world-news/2024/11/07/donald-trump-ukraine-peace-plan-british-troops-buffer-zone/>.
- BBC News. "Article on Ukraine's War: Key Developments." *BBC News*, November 2024. <https://www.bbc.com/news/articles/c2dl0e4l7lzo>.
- BBC News. "Ukraine in maps: Tracking the war with Russia", *BBC News*, November 2024. <https://www.bbc.com/news/world-europe-60506682>.

⁶ BGRDC. "David Urban in the Wall Street Journal: A Trump Peace Plan for Ukraine." *BGRDC*, November 2024

NPR. "2024 Election: Trump, Russia, and the Ukraine War." *NPR*, November 7, 2024. <https://www.npr.org/2024/11/07/nx-s1-5181985/2024-election-trump-russia-ukraine-war>.

Zelenskyy, Volodymyr. "We are working to bring peace to Ukraine and restore its territorial integrity." *X*, November 24, 2024. <https://x.com/ZelenskyyUa/status/1854292785169395913>.

ნატოს გაფართოების პოლიტიკა და პოსტსაბჭოთა ასპირანტი სახელმწიფოების უსაფრთხოების გამოწვევები

ალუდა სილაგაძე

სსიპ-დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს
ეროვნული თავდაცვის აკადემიის
მაგისტრატურის სახელმწიფო რესურსების მართვის
მიმართულების მსმენელი

აბსტრაქტი

ნაშრომში განხილულია უსაფრთხოების გამოწვევები რომელსაც აწყდება პოსტსაბჭოთა სახელმწიფოები, ყურადღება გამახვილებულია საქართველოსა და უკრაინაზე, რომლებიც ერთის მხრივ ადგანან ევრო ინტეგრაციის გზას თუმცა მეორეს მხრივ ჭიანჭურდება გაწევრიანების პროცესი, რაც რუსეთს აძლევს საშუალებას მოახდინოს პოლიტიკური, ეკონომიკური თუ სამხედრო ზეწოლა და ხელი შეუშალოს ინტეგრაციის პროცესს. აგრეთვე შესწავლილია ნატოს გაფართოების პოლიტიკის ძლიერი და სუსტი მხარეები, რუსეთის გავლენისა და ინტერესის სფეროები, რაც ქმნის რეგიონულ უსაფრთხოების ამინდს.

ასევე წინამდებარე ნამუშევარში მოხდა საქართველოს და უკრაინის გაწევრიანებისა და ნატოსთან დაახლოების ქრონოლოგიური ნაბიჯების შესწავლა და ამის საპასუხოდ რუსეთის მოქმედებები და შესაბამისად შესწავლილია ბალტიის სახელმწიფოების გაწევრიანების პროცესი და გამოვლინდა იმ საჭირო ნაბიჯების აუცილებლობა რამაც ბალტიის სახელმწიფოები მიიყვანა უსაფრთხო გაწევრიანების შედეგამდე რომელიც ასე აუცილებელია ყველა პოსტსაბჭოთა სახელმწიფოებისთვის ვინც ადგას ევროპულ გზას, რადგან რუსეთის ექსპანსიის შეჩერებისთვის რბილი პოლიტიკა არ გამოდგება და საჭიროა რეალური ქმედითი ნაბიჯების გადადგმა რომელიც ამავდროულად საფრთხეში არ ჩააგდებს სუსტ და დაუცველ, განვითარებადი დემოკრატიის მქონე ქვეყნებს. ბოლოს განსაზღვრულია რამდენიმე რეკომენდაცია, რათა გადაიჭრას აღნიშნული პრობლემა და განმტკიცდეს უსაფრთხოების გარემო ევროპაში.

საკვანძო სიტყვები: ნატო, ასპირანტი, პოსტსაბჭოთა, უსაფრთხოება, საქართველო, უკრაინა.

NATO Enlargement Policy and Security Challenges of Post-Soviet Aspirant States

Aluda Silagadze

Student of Master's Program in State Recourse Management of
LEPL-David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia

Abstract

The paper discusses the security challenges faced by post-Soviet states, focusing on Georgia and Ukraine, which, on the one hand, are embarking on the path of European integration, but on the other hand, the accession process is being delayed, which allows Russia to exert political, economic, and military pressure and hinder the integration process. It also examines the strengths and weaknesses of NATO's enlargement policy, as well as Russia's spheres of influence and interest, which create a regional security climate.

Also, this work studies the chronological steps of Georgia's and Ukraine's accession to NATO and Russia's actions in response to this, and accordingly, the process of accession of the Baltic states is studied, and the necessity of the necessary steps that led the Baltic states to the result of secure accession, which is so imperative for all post-Soviet states that are embarking on the European path, because a soft policy will not work to stop Russia's expansion, and real effective steps need to be taken that will not endanger weak and vulnerable, developing democracies. Finally, several recommendations are defined to solve this problem and strengthen the security environment in Europe.

Keywords: NATO, aspirant, post-Soviet, security, Georgia, Ukraine.

შესავალი

ჩრდილო ატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია (ნატო) შეიქმნა მეორე მსოფლიო ომის შემდგომ წარმოქმნილი უსაფრთხოების გამოწვევების ფონზე, რომლის მთავარ მიზანს წარმოადგენდა, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის (საბჭოთა კავშირი) წინააღმდეგ შემაკავებელი ძალის შექმნა, ევროპის კონტინენტზე. მიუხედავად იმისა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები, (აშშ) დიდი ბრიტანეთი და საბჭოთა კავშირი ერთად ებრძოდნენ ნაცისტურ რეჟიმს ევროპის კონტინენტზე, გაჩნდა საფრთხე საბჭოთა სოციალისტური იდეოლოგიის გავრცელების, რომელიც დიდად არ განსხვავდებოდა ნაცისტური იდეოლოგიისგან. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მისმა სამართალმემკვიდრემ განაგრძო ექსპანსიური პოლიტიკა თუმცა რათქმაუნდა ისეთივე ძალა აღარ გააჩნდა რაც 15 რესპუბლიკისგან შემდგარ კავშირს. გეოპოლიტიკურ ცვლილებებთან ერთად ნატო ცვლიდა სტრატეგიულ და ოპერატიულ გეგმებსა და მიდგომებს საგარეო ურთიერთობებთან მიმართებაში, რომელიც ადაპტირებული იყო არსებულ რეალობასთან და სამომავლო ტენდენციებთან. ცივი ომის შემდეგ ნატოს საწყის ეტაპზე პრაქტიკულად აღარ გააჩნდა მოწინააღმდეგე და ზოგიერთი ექსპერტისა და პოლიტიკოსის,¹ მათ შორის დასავლეთ ევროპელი პოლიტიკოსების მოსაზრებით, ნატო როგორც ცივი ომის პროდუქტი უნდა დაშლილიყო საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, როგორც მოხდა ვარშავის ხელშეკრულების შემთხვევაში.

ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის (ნატო) გაფართოება იყო პოსტ ცივი ომის პერიოდის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი გეოპოლიტიკური ფენომენი. 1991 წელს საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ნატომ გააფართოვა თავისი წევრობა და მოიცავდა რამდენიმე ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკას და ვარშავის პაქტის წევრებს, რომლებიც აღმოსავლეთისაკენ მოძრაობდნენ რუსეთის საზღვრებისკენ. ეს პროცესი ნატოსა და რუსეთის ფედერაციას შორის დაძაბულობის წყარო გახდა, რომელიც ალიანსის გაფართოებას მისი გავლენის სფეროს სტრატეგიულ საფრთხედ განიხილავს. პოსტსაბჭოთა ქვეყნებისთვის, რომლებიც ცდილობენ ნატოში გაწევრიანებას, განსაკუთრებით იმ ქვეყნებისთვის, რომლებიც მდებარეობენ რუსეთის უშუალო სიახლოვეს, ინტეგრაციის პროცესი ხშირად იყო სავსე უსაფრთხოების გამოწვევებით, მათ შორის სამხედრო აგრესიით და პოლიტიკური დესტაბილიზაციით.

პოსტსაბჭოთა ასპირანტი ქვეყნები - პირველ რიგში საქართველო და უკრაინა რეგიონებში, სადაც რუსეთს აქვს მნიშვნელოვანი სტრატეგიული ინტერესები და პოლიტიკური გავლენა. ამ ქვეყნებმა არაერთხელ გამოთქვეს ნატოში გაწევრიანების სურვილი, როგორც მათი სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობისა და სტაბილურობის უზრუნველყოფის საშუალება რუსული აგრესიის ფონზე. თუმცა, ალიანსში გაწევრიანების პროცესი ხანგრძლივი და რთული აღმოჩნდა, ნატოს არ სურს შესთავაზოს ამ ქვეყნებს წევრობის მკაფიო გზა, რათა არ მოახდინოს რუსეთის პროვოცირება და ფართომშტაბიანი დაპირისპირება, ამ სიფრთხილეს კი ეწირება სახელმწიფოთა სუვერე-

¹ George F. Kennan "The Paradox of American Power", 2002.

ნიტეტი, ტერიტორიული მთლიანობა და მშვიდობა რომელიც ასე სანატრელი გაუხდათ, ერთის მხრივ მიუწვდენელ ოცნებად ქცეულ ნატოსა და რუსეთის ინტერესებს შორის მოქცეულ პოსტსაბჭოთა სახელმწიფოებს.

წინამდებარე ნაშრომი განიხილავს უსაფრთხოების გამოწვევებს, რომლებსაც აწყდებიან პოსტსაბჭოთა ასპირანტი ქვეყნები ნატოში გაწევრიანების გზაზე, ფოკუსირებულია საქართველოს (2008) და უკრაინის (2014-2022) შემთხვევებზე. იგი იკვლევს ურთიერთობას ნატოს გაფართოების პოლიტიკას, რუსეთის აგრესიასა და ამ ქვეყნების უსაფრთხოებას შორის და ამტკიცებს, რომ ნატოს გაფართოების პროცესის ნელი ტემპი, ლიბერალური მიდგომა და რუსეთის არ გაღიზიანების პოლიტიკამ ეს ქვეყნები დაუცველები გახადა რუსეთის აგრესიისა და სამხედრო მოქმედებების მიმართ. გარდა ამისა, იგი გაანალიზებს ნატოს დაგვიანებულ ან ყოყმანის შედეგებს ამ ქვეყნებისთვის და შეუძლია თუ არა გაწევრიანების პროცესის დაჩქარებამ ხელი შეუწყოს ამ ქვეყნების განვითარებასა და უსაფრთხოების განმტკიცებას.

თემის მნიშვნელობა და აქტუალობა - თემა მნიშვნელოვანია რამდენიმე მიზეზის გამო. პირველი, უსაფრთხოების გამოწვევები, რომლებსაც აწყდებიან პოსტსაბჭოთა ქვეყნები, რომლებიც ცდილობენ ნატოში გაწევრიანებას, არ არის მხოლოდ რეგიონალური საკითხი, არამედ უფრო ფართო გავლენას ახდენს ევროპულ და გლობალურ სტაბილურობაზე. ძალთა ბალანსი ნატოსა და რუსეთს შორის, განსაკუთრებით პოსტსაბჭოთა სივრცეში, რჩება ევროატლანტიკურ ზონაში უსაფრთხოების ერთ-ერთ მთავარ განმსაზღვრელ ფაქტორად. მეორე, რადგან რუსეთი აგრძელებს მეზობელ ქვეყნებში თავისი გავლენის განმტკიცებას პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო საშუალებებით, შესაბამისად ნატოს როლი ასპირანტი ქვეყნების უსაფრთხოების დაცვაში უმნიშვნელოვანესია და ბოლოს, ნატოს გაფართოებასა და რეგიონში უსაფრთხოების დინამიკას შორის ურთიერთობის გაგებამ შეიძლება დაეხმაროს პოლიტიკოსებს, მიიღონ ობიექტური გადაწყვეტილებები მომავალი გაფართოებისა და უსაფრთხოების გარანტიების შესახებ. კვლევის აქტუალობა აგრეთვე მდგომარეობს უკრაინაში მიმდინარე ომის დროულ შესწავლაში და სხვა ასპირანტ ქვეყნებში, როგორცაა საქართველო და მოლდოვა, მუდმივი არასტაბილურობა. ამ ქვეყნების გამოცდილებიდან მიღებულმა გაკვეთილებმა შესაძლოა ჩამოაყალიბოს ნატოს მომავალი პოლიტიკა, განსაკუთრებით რუსეთთან და უფრო ფართო საერთაშორისო თანამეგობრობასთან მიმართებაში.

წინამდებარე ნაშრომის ცენტრალური **ჰიპოთეზა** მდგომარეობს იმაში, რომ ნატოს ნელი და ფრთხილი მიდგომა პოსტსაბჭოთა ქვეყნებში მისი წევრობის გაფართოებასთან დაკავშირებით, შეიქმნა უსაფრთხოების ვაკუუმი, რის გამოც ეს ქვეყნები დაუცველნი არიან რუსული აგრესიის მიმართ. 2008 წლის საქართველოსა და 2014 წლიდან 2022 წლამდე უკრაინის გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ნატოში გაწევრიანების მისწრაფების მიუხედავად, ეს ქვეყნები ნატოს ოფიციალური გარანტიების არარსებობის გამო რუსეთის მხრიდან სამხედრო მოქმედების გაზრდილი რისკის წინაშე დგანან. თუმცა, თუ ნატო დააჩქარებს ინტეგრაციის პროცესს და გაავრცელებს უსაფრთხოების უფრო მკაფიო გარანტიებს ამ ქვეყნებისთვის, ეს გაამლიერებს მათ მდგრადობას რუსული

საფრთხეების მიმართ და უზრუნველყოფს უფრო სტაბილურ უსაფრთხოების გარემოს რეგიონში.

ძირითადი ნაწილი

მოცემულ ნაშრომში გამოყენებული კვლევის მეთოდოლოგია წარმოადგენს უსაფრთხოების გამოწვევების ხარისხობრივ ანალიზს ნატოს ასპირანტ პოსტსაბჭოთა სახელმწიფოების წინაშე, ფოკუსირებულია შემთხვევების შესწავლაზე, განსაკუთრებით საქართველოსა და უკრაინაზე აგრეთვე ბალტიისპირეთის სახელმწიფოების.

მეთოდოლოგია მოიცავს: ისტორიული და პოლიტიკური ანალიზს ნატოს გაფართოების ევოლუციის და მისი პოლიტიკის შესწავლა პოსტსაბჭოთა სახელმწიფოების მიმართ, განსაკუთრებით რუსეთის გავლენის სფეროში.

საქმის შესწავლის ანალიზი: ფოკუსირებული საქართველოზე და უკრაინაზე, ეს ნაშრომი მიმოიხილავს 2008 და 2014-2022 წლების მოვლენებს, რათა შეაფასოს ნატოს შენელებული მოქმედების შედეგები ამ ქვეყნების მიმართ.

უსაფრთხოების ჩარჩოს შეფასება: ნატოს კოლექტიური თავდაცვის მექანიზმების ანალიზი (ვაშინგტონის ხელშეკრულების მე-5 მუხლი) და მათი შესაბამისობა ასპირანტი სახელმწიფოების უსაფრთხოებასთან.

შედარებითი ანალიზი: ბალტიისპირეთის ქვეყნების - ესტონეთის, ლატვიისა და ლიტვის - გამოცდილების შედარება, რომლებიც წარმატებით იყვნენ ინტეგრირებული ნატოში და დიდწილად დაცული იყვნენ რუსეთის აგრესიისგან, საქართველოსა და უკრაინისგან განსხვავებით.

რუსეთის გავლენისა და ინტერესის არეალი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის (სსრკ) დაშლის შემდეგ მის სამართალმემკვიდრეს რუსეთს არ შეუწყვეტია ფიქრი ძველი დიდების დაბრუნებაზე, შესაბამისად მისი მარწუხებიდან არ სურდა დანარჩენი წევრი სახელმწიფოების გაშვება ამისათვის მან 1991 წ. შექმნა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა (დსთ) რომელსაც 1993 წლამდე შეუერთდა ყოფილი საბჭოთა 12 ქვეყანა გარდა ბალტიისპირეთისა (ლიეტუა, ლატვია, ესტონეთი) ორგანიზაციის გაცხადებულ მისიას წარმოადგენს წევრი სახელმწიფოების პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო უსაფრთხოება. თუმცა ამის ქვეშ მკაფიოდ იკითხება რუსეთის ინტერესი, რაც შეიძლება ახლოს ყავდეს წევრი სახელმწიფოები და მასზე იყვნენ დამოკიდებული პოლიტიკურად, ეკონომიკურად თუ უსაფრთხოების მხრივ.



სურათი 1. რუსეთის გავლენის არეალი

თურქმენეთმა 2005 წელს დატოვა დსთ. საქართველომ 2009 წელს ხოლო უკრაინამ 2018 წელს. სურათ №1_ში წითელ ფერში აღნიშნულია ის სახელმწიფოები სადაც რუსეთს დღესაც დიდი გავლენა აქვს და აგრეთვე მათ ტერიტორიებზე განლაგებული აქვს სამხედრო დანიშნულების ინფრასტრუქტურა, ესენია (ტაჯიკეთი, ყაზახეთი, ყირგიზეთი, სომხეთი) მიუხედავად დიდი გავლენისა აღნიშნული სახელმწიფოები დამოუკიდებლად მაინც ცდილობენ პოლიტიკის წარმოებას (მათ არ უღიარებიათ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების დამოუკიდებლობა) ნარინჯისფრად აღნიშნულია ის სახელმწიფოები რომლებზეც სერიოზული გავლენა აქვს რუსეთს, თუმცა არსებობს წინააღმდეგობრივი ძალები რომლებიც უპირისპირდებიან რუსულ ექსპანსიონიზმს. ესენია :უკრაინა, უზბეკეთი და მოლდოვა.

ყვითელ ფერში, თურქმენეთსა და აზერბაიჯანში რუსეთს აქვს საკუთარი ინტერესები, გავლენები შეზღუდულია, ამ ეტაპზე არ და ვერ ცდილობს აგრესიულად მათ საკუთარ გავლენის სფეროში შემოერთებას.

ლურჯ ფერში კი ბალტიის სახელმწიფოები და საქართველო - რომლებიც ფაქტიურად დამოუკიდებლები არიან თუმცა გარკვეულ ეკონომიკური და პოლიტიკურ ზეწოლას განიცდიან რუსეთის მხრიდან, ბალტიის სახელმწიფოები შედარებით თავისუფლები არიან ამ მხრივ რადგან მათ იცავენ „ევროპის ქოლგა“.

ნატოს გაფართოებისკენ გადადგმული ნაბიჯები და უსაფრთხოების გარემოს ცვლილება.² ცივი ომის დასრულების შემდეგ ნატოს გაფართოვებას წინ უძღვოდა ეგრეთწოდებული „დამფუძნებელი აქტი“ ნატოსა და რუსეთის ფედერაციას შორის ორმხრივი ურთიერთობების, თანამშრომლობისა და უსაფრთხოების შესახებ“ (საყოველთაოდ ცნობილი, როგორც ნატო-რუსეთის დამფუძნებელი აქტი) ხელი მოეწერა 1997 წლის 27 მაისს პარიზში.³ ეს შეთანხმება მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო ცივი ომის შემდგომ ეპოქაში და მიზნად ისახავდა ნატო-სა და რუსეთს შორის ახალი ურთიერთობების დამყარებას, ხაზს უსვამდა თანამშრომლობასა და უსაფრთხოებას. აღნიშნულ ხელშეკრულებაში მნიშვნელოვანია რამდენიმე ჩანაწერი რომელიც ავლებს გარკვეულ წითელ ხაზებს უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.


პირველი ნატო იღებს ვალდებულებას რომ აღმოსავლეთ ევროპაში არ განათავსოს ბირთვული იარაღი ახალი წევრი ქვეყნების ტერიტორიაზე ან ვარშავის პაქტის ყოფილი ქვეყნების ტერიტორიებზე,* რომლებიც შეუერთდნენ ნატოს აქტის ხელმოწერის შემდეგ. ნატომ ასევე პირობა დადო, რომ თავი შეიკავოს აღმოსავლეთ ევროპაში მნიშვნელოვანი საბრძოლო ძალების მუდმივად განლაგებისგან და ხაზგასმით აღნიშნა, რომ ალიანსი არ იქნება ორიენტირებული რომელიმე კონკრეტულ მოწინააღმდეგეზე, მაგრამ შეინარჩუნებს თავის როლს, როგორც უსაფრთხოების კოოპერატიულ ორგანიზაცია. შემდგომში აღნიშნული მუხლი ხშირად გამხდარა სპეკულაციის საგანი რუსეთის მხრიდან და ადანაშაულებდა კოალიციას მის დარღვევაში.

² NATO, Enlargement and Article 10. გახსნილია 2024 წლის 25 ნოემბერს, <https://shorturl.at/fVBxl>


³ NATO, Founding act, 27 May. 1997 - გახსნილია 2024 წლის 25 ნოემბერს, <https://shorturl.at/UwL4l>

*ვარშავის პაქტის სახელმწიფოები - ალბანეთი, ბულგარეთი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, უნგრეთი, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკა, რუმინეთი, სსრკ, ჩეხოსლოვაკია.

მეორე სუვერენიტეტისა და საზღვრების პატივისცემა ნატოც და რუსეთიც შეთანხმდნენ, რომ პატივი სცენ ყველა ქვეყნის სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას და არ დაემუქროს ერთმანეთის უსაფრთხოებას. ეს მოიცავდა ევროპის ყველა ქვეყნის საზღვრებისა და ეუთოს (ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია) პრინციპების პატივისცემას, აგრეთვე ყველა ევროპულ არაწევრ ქვეყანას აქვს უფლება თავად აირჩიოს მისი უსაფრთხოების გარანტი ვინ იქნება. ნატომ კიდევ ერთხელ დაადასტურა დავების მშვიდობიანი მოგვარებისა და დიპლომატიური გზით კონფლიქტების პრევენციის ვალდებულება.



სურათი №2. ნატო რუსეთის საზღვარი 1997 წლამდე



სურათი №3. ნატო რუსეთის საზღვარი 2024 წელს

სურათ №1 და №2 ზე კარგად ჩანს ცივი ომის დასრულების შემდეგ როგორ შეიცვალა საზღვრის კონიუნქტურა რუსეთსა და ნატოს შორის რამაც აგრეთვე შეცვალა უსაფრთხოების გარემო. კოალიციის გაფართოვება, 1997 წელის პარიზის შეთანხმების ფარგლებში ხდებოდა თუმცა ორივე მხარე მსუბუქად მაინც ახდენდა მის დარღვევას და გვერდის ავლით ატარებდა მის გეოპოლიტიკურ ინტერესებს, ნატოს მხრიდან, არ უნდა ყოფილიყო მუდმივად დისლოცირებული ძალები აღმოსავლეთ ახლად შეერთებულ სახელმწიფოებში, ასრულებდა ამ პირობას თუმცა ის ახდენდა ძალების მუდმივ როტაციას აღმოსავლეთ ევროპაში. რუსეთმა კი უხეზად დაარღვია ხელშეკრულება 2008 წელს როდესაც ხელყო საქართველოსა სუვერენიტეტი და ტერიტორიული მთლიანობა და 2014-2022 წელს როდესაც შეიჭრა უკრაინაში.

ნატოს გაფართოების პოლიტიკა განპირობებულია ალიანსის ვალდებულებით ევროპაში უსაფრთხოების, დემოკრატიისა და სტაბილურობის უზრუნველყოფისკენ. გაფართოების საწყისი ტალღა, რომელიც მოიცავდა ისეთ ქვეყნებს, როგორცაა პოლონეთი, უნგრეთი და ჩეხეთი 1999 წელს, განიხილებოდა, როგორც წარმატება ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში სტაბილურობის ხელშეწყობაში. თუმცა, საკითხი უფრო რთულდება, როდესაც საქმე ეხება პოსტსაბჭოთა ქვეყნებს, რომლებსაც აქვთ პირდაპირი საზღვრები რუსეთთან.

ნატოს მიდგომა პოსტსაბჭოთა სივრცეში გაფართოებისადმი ფრთხილი და სტრატეგიული იყო. ალიანსის „ღია კარის პოლიტიკა“ თეორიულად საშუალებას აძლევს ნებისმიერ ევროპულ ქვეყანას, რომელიც აკმაყოფილებს კრიტერიუმებს, გაწევრიანდეს. თუმცა, ხშირად ჩრდილო ატლანტიკური ორგანიზაცია გადაწყვეტილებებს ძალიან ნელა იღებს და ფოკუსირებულია ბუნებრივია წევრი სახელმწიფოების უსაფრთხოების განმტკიცებაზე და არა ასპირანტი სახელმწიფოების უსაფრთხოებაზე, თუმცა როდესაც ორგანიზაცია აცხადებს რომ ის იცავს საერთაშორისო სამართალს და პატივს სცემს სახელმწიფოთა ტერიტორიულ მთლიანობასა და სუვერენიტეტს, გარკვეული პასუხისმგებლობა უნდა აიღოს ასპირანტი სახელმწიფოებთან უსაფრთხოების კუთხით, მითუმეტეს როდესაც ქვეყნები რომლებიც ცდილობენ თავი დააღწიონ რუსულ გავლენებს და შეუერთდნენ ევროპულ ოჯახს აწყდებიან მთელ რიგ უსაფრთხოებების პრობლემებს, რომელიც გამოიხატება ფართომასშტაბიან თუ ლოკალურ ომებში, დაპირისპირებაში, კიბერ შეტევებში და ჰიბრიდულ მოქმედებებში, აგრეთვე ნატოს მკაფიოდ აქვს გაცხადებული მისი არაწევრ პარტნიორ სახელმწიფოებთან ურთიერთობა და მათ განიხილავს საკუთარი უსაფრთხოების გარანტიად იყენებს მათ როგორც ბუფერს რუსეთთან დამაბულობის შესამცირებლად.⁴ მიუხედავად იმისა, რომ ნატო მხარს უჭერდა დემოკრატიულ რეფორმებს და დახმარებას უწევდა ამ ქვეყნებს, გაწევრიანების მკაფიო გზის არარსებობამ ისინი რუსეთის ზეწოლის ქვეშ დატოვა. მაგალითად, როდესაც საქართველო ყველაზე ახლოს იყო ნატოში გაწევრიანებასთან მას მოჰყვა რუსეთის 2008 წლის ინტერვენცია. ანალოგიურად, უკრაინის სწრაფვა ნატოში გაწევრიანებასთან დაკავშირებით ჩაიშალა რუსეთის სამხედრო ინტერვენციამ ყირიმში 2014 წელს და შემდგომმა კონფლიქტმა აღმოსავლეთ უკრაინაში, რომელიც გადაიზარდა სრულმასშტაბიან ომში 2022 წელს.

საქართველოს შემთხვევა: საქართველო - ნატოს ურთიერთობები 32 წელს ითვლის და იწყება, როდესაც ქვეყანამ მიიღო დამოუკიდებლობა, გააკეთა ისტორიული არჩევანი ევროსივრცეში ინტეგრაციის შესახებ და 1992 წლიდან შეუერთდა ჩრდილო ატლანტიკურ საბჭოს. 2002 წელს პრადის სამიტზე საქართველომ ოფიციალურად განაცხადა რომ სურდა გამხდარიყო ნატოს წევრი. 2004 წელს კი საქართველო გადადის ინდივიდუალური პარტნიორობის ფორმატში ურთიერთობაზე ნატოსთან, რაც გულისხმობს ინდივიდუალურ გეგმას და შეფასებას ნატოს მხრიდან გეგმის შესრულებაში. ეს არ არის MAP-ი თუმცა მაპისაკენ გადადგმული დიდი ნაბიჯი იყო. 2008

⁴ NATO, NATO'S partnerships, გახსნილია 2024 წლის 25 ნოემბერს <https://shorturl.at/Gj4EM>

წლის აპრილში ბუქარესტის სამიტზე საქართველოს ჰქონდა განაცხადი შეტანილი MAP-ის მისაღებად, ნატომ არ დააკმაყოფილა ეს მოთხოვნა თუმცა განაცხადა რომ „საქართველო აუცილებლად გახდება ნატოს წევრი“ საქართველოსა და ნატოს ურთიერთობების ქრონოლოგიას თუ გადავხედავთ საქართველოს აქვს დაახლოვების აშკარა პროგრესი, თუმცა ამ პროგრესს დასასრული არ უჩანს, ერთი მხრივ აძლევს ინდივიდუალურ გეგმას გაწევრიანებისთვის და არა MAP-ს, ერთი მხრივ პირდება რომ გახდება ნატოს წევრი, მაგრამ გაურკვეველია სავარაუდო დროც კი, შესაბამისად საქართველო იქცევს რუსეთის ყურადღებას რომელიც იმ დროისთვის რუსეთის გავლენისა და ინტერესის სფეროს წარმოადგენდა და შესაბამისად რუსეთმა გააცნობიერა რომ აღნიშნული პროცესები საჭიროებს შეფერხებას და მივიღეთ 2008 წლის აგვისტოს ომი საქართველოში. ფაქტიურად საქართველომ იმის გაქდერებით რომ სურდა ევროატლანტიკურ კავშირში გაწევრიანება, გარისკა საკუთარი უსაფრთხოებით ვიდრე მიაღწევდა სასურველ შედეგს. ამის საპასუხოდ კი ნატოს არანაირი ქმედითი გარანტიები არ მოუცია უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, თუ არ ჩავთვლით იმ თავდაცვისუნარიანობის ამაღლების პროგრამებს რამაც რამდენჯერმე გაზარდა ქვეყნის სამხედრო ძალა, თუმცა ეს ახლოსაც ვერ მივა იმ საჭირო შესაძლებლობებთან რაც სჭირდება რუსეთის შეკავებას. მას შემდეგ დღემდე ვღებულობთ ყოველდღიურ მცოცავ ოკუპაციას და სანუგეშოდ მხოლოდ სიტყვიერ ნუგეშს ვჯერდებით.⁵

უკრაინის შემთხვევა: ვიდრე უკრაინა-ნატოს დაახლოვების ქრონოლოგიას გავეცნობით მნიშვნელოვანია შევიხსენოთ ერთი ისტორიული მოვლენა, სადაც უკრაინამ დათმო ბირთვული იარაღი და გადასცა ის რუსეთს, 1994 წელს ბუდაპეშტის მემორანდუმის საფუძველზე, სანაცვლოდ მიიღო პოლიტიკური გარანტიები, სადაც ცალსახად იყო დაფიქსირებული, რომ თუ მას თავს დაესხმებოდა რომელიმე ბირთვული სახელმწიფო, დახმარების ვალდებულება ექმნებოდა ძირითადად: ამერიკის შეერთებულ შტატებს, რუსეთს და დიდ ბრიტანეთს. მიუხედავად მხარდაჭერის განცხადებებისა, მემორანდუმი არ ითვალისწინებდა პირდაპირ სამხედრო ჩარევას, რაც განიხილება როგორც მისი სისუსტედ. მათ ძირითადად პოლიტიკური და ეკონომიკური მხარდაჭერა გამოუცხადეს უკრაინას. ბუდაპეშტის მემორანდუმის არაეფექტურობა საერთაშორისო სამართლისა და უსაფრთხოების სისტემის სუსტ მხარედ ითვლება, განსაკუთრებით იმ ქვეყნებისთვის რომლებიც ბირთვული იარაღის გარეშე დარჩნენ. ამ ფონზე ეს მემორანდუმი შეგვიძლია მოვიყვანოთ მაგალითად, თუ რაოდენ არაეფექტური შეიძლება იყოს პოლიტიკური შეთანხმებები უსაფრთხოების საკითხში.

უკრაინის გამოცდილება ნატოსთან დაკავშირებით უფრო რთული და დრამატულია, როგორც საქართველოს ისე უკრაინის ურთიერთობა ნატოსთან იწყება 1992 წლიდან, ხოლო გაწევრიანების სურვილი მნიშვნელოვნად გაიზარდა 2004 წლის ნარინჯისფერი რევოლუციის შემდეგ, 2008 წლის ბუქარესტის სამიტზე, უკრაინამ მიმართა ნატოს გაწევრიანების სამოქმედო გეგმის (Membership Action Plan, MAP) გაცემის მოთ-

⁵ NATO, Relations with Georgia, გახსნილია 2024 წლის 25 ნოემბერს, <https://shorturl.at/ccBLZ>.

ხოვნით.⁶ თუმცა, ამ მოთხოვნას ნატო არ დათანხმდა. სამიტზე მიღებული გადაწყვეტილების მიხედვით, უკრაინას მიეცა ნატოს წევრობის პერსპექტივა, მაგრამ MAP-სთან დაკავშირებით კონკრეტული პასუხი არ მიუღია. ოფიციალურად, ნატომ განაცხადა, რომ უკრაინა და საქართველო გახდებიან ნატოს წევრები მომავალში, მაგრამ არ დაუსახელებია ზუსტი თარიღი. რათქმაუნდა რუსეთი დაკვირვებით ადევნებდა უკრაინაში განვითარებულ მოვლენებს და გამომდინარე იქედან რომ უკრაინა საქართველოსგან განსხვავებით იყო დიდი რესურსების და არცთუ ისე სუსტი სამხედრო ძალის მქონე, მან ჰიბრიდული მოქმედებების გამოყენებით შეაღწია უკრაინის სახელისუფლებლო სივრცეში და 2010 წლის არჩევნების შემდეგ ქვეყანა კურსი შეაცვლევინა და უარი ათქმევინა ნატოში გაწევრიანებაზე. 2014 წელს უკრაინელმა ხალხმა გააპროტესტა ქვეყნის კურსის შეცვლა, რასაც მოყვა ხელისუფლების ცვლილება. საგულისხმოა ის ფაქტი რომ ნებისმიერ ნაბიჯს ნატოს მიმართულებით გადადგმულს რუსეთი პასუხობს ჰიბრიდული თუ აშკარა აგრესიით. შესაბამისად 2014 წელს რუსეთმა მოახდინა უკრაინაში შეჭრა და ყირიმის ანექსია. 2017 წლიდან უკრაინა უკვე კონსტიტუციით ამყარებს ნატოსკენ მისწრაფებას, შემდგომ უკრაინის მთავრობას დაევალა გააგრძელოს მუშაობა ევროკავშირსა და ნატოში ინტეგრაციის მისაღწევად აგრეთვე იზრდებოდა ურთიერთ თანამშრომლობა და სამხედრო წვრთნებსა თუ მისიებში მონაწილეობის ხარისხი. შესაბამისად 2022 წელს რუსეთმა მოახდინა უკრაინაში ფართომშტაბიანი შეჭრა რასაც დიდი მასშტაბის ზიანი მოჰყვა. უკრაინისა და ნატოს ურთიერთობების ქრონოლოგიურ განვითარებას თან სდევს უკრაინის აგრესიის პროპორციული განვითარება, მიუხედავად იმისა რომ უკრაინას ქონდა გარკვეული პოლიტიკური გარანტიები და 1994 წლის შეთანხმებით, რომელიც როგორც ჩანს არ აღმოჩნდა რეალური და სანდო, როგორც რუსეთის მხრიდან ისევე დასავლური ხელის მომწერი სახელმწიფოებიდან.⁷

ბალტიის სახელმწიფოების შემთხვევა: საწყის ეტაპზე ბალტიის სახელმწიფოების დაახლოვება ევროპულ სამხედრო კოალიციასთან ემთხვევა საქართველოს და უკრაინის შემთხვევას, ერთგვარად ვითარდება თუმცა 2002 წლიდან ჩქარდება მათი გაწევრიანების პროცესი და იწყებენ პირდაპირ მოლაპარაკებებს გაწევრიანებაზე, 2004 წელს კი უერთდებიან ალიანსს. იმის მიუხედავად რომ 1999 წლის გამოკითხვით მოსახლეობის არცთუ ისე დიდი ნაწილი არ უჭედა მხარს ქვეყნის ევროპულ მომავალს დაახლოებით 55-65 % მაშინ როდესაც საქართველოში გამოკითხულთა აბსოლუტური უმრავლესობა თანხმდება საქართველოს ევროპულ მომავალზე. აღნიშნულმა დაჩქარებულმა მოქმედებებმა რუსეთს ხელი შეუწერა ამ სახელმწიფოებზე ზეწოლის საკითხში, რადგან უკვე მოქმედებდა ნატოს მე-5 მუხლი, კოლექტიური თავდაცვის შესახებ. ბალტიის სახელმწიფოთა გაერთიანების ქეისი მაგალითია იმისა თუ როგორ არის შესაძლებელი რუსული აგრესიის თავიდან არიდება, რუსეთის ინტერების მარწუხებიდან თავის დაღწევა და ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების განმტკიცება.

⁶ NATO, Bucharest Summit Declaration, გახსნილია 2024 წლის 25 ნოემბერს. <https://shorturl.at/Zegxe>

⁷ NATO, Relations with Ukraine, გახსნილია 2024 წლის 25 ნოემბერს, <https://shorturl.at/WysG3>.

დასკვნა

ნაშრომში განხილული საკითხებიდან გამომდინარე რომ მოვახდინოთ შეჯერება რუსეთის მისწრაფებების, ნატოს გაფართოვების პოლიტიკის, საქართველოს, უკრაინის და ბალტიის ქვეყნების შემთხვევების, ნათლად ჩანს რომ პოსტსაბჭოთა სახელმწიფოების (საქართველო, უკრაინა) ნატოში გაწევრიანების პროცედურები საჭიროებს გადახედვას, რადგან სხვა შემთხვევაში, მათ უწევთ საკმაოდ დიდი მსხვერპლის გაღება და მარტო რჩებიან რუსული ექსპანსიური პოლიტიკის წინაშე. უსაფრთხოების გასამყარებლად ამ ქვეყნებში საჭიროა:

პირველი - მოხდეს პროცესების აქსელერაცია, გაწევრიანების გზაზე. მეორე - მკაფიოდ და პროგნოზირებადი გეგმის შეთავაზება რომელიც იქნება დროში გაწერილი. მესამე - მნიშვნელოვანია მყარი გარანტიები მხოლოდ პოლიტიკური შეთანხმება არ არის საკმარისი, საჭიროა იურიდიული ვალდებულების აღება უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად გაწევრიანების პროცესში, სადაც მკაფიოდ იქნება განსაზღვრული დახმარების რესურსები და საშუალებები. რათქმაუნდა ნატოს აქვს შესაბამისი მოთხოვნები რასაც უნდა აკმაყოფილებდნენ კანდიდატი ქვეყნები, თუმცა პირველ რიგში თუ არ მოხდება უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა ვერ მოხდება განვითარების პროცესების დაჩქარება და რუსეთი ყოველთვის შეეცდება შეაფერხოს მათი განვითარების ტემპი და ნატოსთან თავსებადობა.

საქართველო-უკრაინის ნატოში გაწევრიანება მთლიანად შეცვლის უსაფრთხოების გარემოს რეგიონში და კონტინენტზე, ფაქტიურად ეს გარდამტეხი იქნება სტაბილურობისა და მშვიდობის დასამყარებლად, რომელიც შეაჩერებს, როგორც მცოცავ ოკუპაციას აგრეთვე რუსეთის ფართომასშტაბიან აგრესიას და დაამსხვრევს რუსულ ოცნებას საბჭოთა სოციალისტური საზღვრების აღდგენის შესახებ.

გამოყენებული ლიტერატურა

George F. Kennan "The Paradox of American Power", 2002.

NATO, Relations with Ukraine, გახსნილია 2024 წლის 25 ნოემბერს, <https://shorturl.at/WysG3>

NATO, Bucharest Summit Declaration, გახსნილია 2024 წლის 25 ნოემბერს.

<https://shorturl.at/Zegxe>

NATO, Relations with Georgia, გახსნილია 2024 წლის 25 ნოემბერს, <https://shorturl.at/ccBLZ>

NATO, NATO'S partnerships, გახსნილია 2024 წლის 25 ნოემბერს <https://shorturl.at/Gj4EM>

NATO, Enlargement and Article 10. გახსნილია 2024 წლის 25 ნოემბერს, <https://shorturl.at/fVBxl>

NATO, Founding act, 27 May. 1997 - გახსნილია 2024 წლის 25 ნოემბერს, <https://shorturl.at/UwL4l>

ბუშის დოქტრინა-თეორია და პრაქტიკა

თამარ კაპანაძე

სსიპ-დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს
ეროვნული თავდაცვის აკადემიის
ბაკალავრიატის თავდაცვისა და უსაფრთხოების მიმართულების იუნკერი

ხელმძღვანელი: ლევან გეგეშიძე

ბაკალავრიატის თავდაცვისა და უსაფრთხოების
მიმართულების პროფესორი

აბსტრაქტი

მოცემულ ნაშრომში შესწავლილი და განხილულია აშშ-ის პრეზიდენტის, ჯორჯ ბუშის მიერ შემუშავებული დოქტრინა.იგი ბუშის დოქტრინის სახელითაა ცნობილი.მოცემული დოქტრინა შეიქმნა აშშ-ში 11 სექტემბერს 19 ტერორისტის მიერ განხორციელებული ტერორისტული აქტების საპასუხოდ, რომელზეც პასუხისმგებელი ორგანიზაციაა ალ-ქაიდა. ამ ორგანიზაციის ლიდერი კი ბინ ლადენი. ტერაქტის შემდგომ ,პრეზიდენტმა ბუშმა გამოაცხადა „მსოფლიო ომი ტერორიზმის წინააღმდეგ“.რასაც მოსახლეობის უმრავლესობის სოლიდარობა და საერთაშორისო მხარდაჭერა მოჰყვა.ნაშრომში განხილულია ბუშის დოქტრინის 4 ძირითადი ელემენტი და მისი არსი.

ნაშრომში განხილულია ბუშის დოქტრინის თეორიიდან პრაქტიკაში განხორციელება,რაც გამოიხატა ერაყისა და ავღანეთის ომებში. აშშ ავღანეთში 2001 წელს შეიჭრა ტერორიზმთან საბრძოლველად ვინაიდან ,ავღანეთმა თავშესაფარი მისცა ალ-ქაიდას და მის ლიდერს ბინ ლადენს. მოცემულ ომში აშშ-ს ეხმარებოდა მოკავშირე სახელმწიფოები .მოგახსენებთ,რომ ამ ომში, მისიებში ჩართულნი იყვნენ მოკავშირე ქვეყნები თავისი ჯარებით, მათ შორის მონაწილეობდა საქართველოც . მოცემული ომი 2021 წლამდე გაგრძელდა და მოიტანა ძალიან დიდი მსხვერპლი როგორც ამერიკისთვის, ასევე ავღანეთისთვისაც. აშშ-ს გასვლის შემდეგ კვლავ თალიბანი დაესაკუთრა ავღანეთს, ხოლო საერთაშორისო პრობლემა გახდა მიგრაცია. საბოლოოდ ავღანეთის ომი იყო უშედეგო, რასაც აშშ-ს მოსახლეობაც ადასტურებს.

ომი ერაყში 2003 წელს დაიწყო აშშ-მ. მთავარი მოტივები იყო ერაყის ტერორისტებთან თანამშრომლობა და სავარაუდო მასობრივი განადგურების იარაღის ფლობა ერაყის მიერ. აშშ ვერ ახერხებდა ერაყის სტაბილიზაციას, ვინაიდან და რადგანაც არ იყო სრულყოფილად მზად ამისთვის. ერაყში დაიწყო მასობრივი სამოქალაქო შეტაკებები და დიდი ბრძოლა სუნიტებსა და შიიტებს შორის.მოცემული ომი 2011 წელს დასრულდა და არ იყო შედეგიანი ამერიკის შეერთებული შტატებისთვის. შესაბამისად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ბუშის დოქტრინამ სათანადოდ და სწორად ვერ იმუშავა.

საკვანძო სიტყვები: ბუშის დოქტრინა, ავღანეთის ომი, ერაყის ომი, ტერორიზმი, ალ-ქაიდა.

The Bush Doctrine-Theory and Practice

Tamar Kapanadze

Junker of Bachelor's Program in Defense and Security of
LEPL-David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia

Supervisor: **Levan Gegeshidze**

Professor of Bachelor's Program in Defense and Security

Abstract

The paper examines and discusses the doctrine developed by US president, George W. Bush. Known as the Bush Doctrine. This doctrine was created in response to the terrorist attacks carried out by 19 terrorists on September 11 in the United States, for which the organization Al-Qaeda was responsible, led by Osama bin Laden. Following the attacks, President Bush declared a "global war on terror," which garnered significant solidarity from the American public and international support.

The paper outlines the four main elements of the Bush Doctrine and its essence. It also discusses how the theoretical aspects of the doctrine were implemented in practice, particularly through the wars in Iraq and Afghanistan. The U.S. invaded Afghanistan in 2001 to combat terrorism because Afghanistan had provided shelter to Al-Qaeda and its leader, bin Laden. In this war, the U.S. was assisted by allied nations, including Georgia, which contributed troops to the missions. This war continued until 2021 and resulted in significant casualties for both America and Afghanistan. After the U.S. withdrawal, the Taliban regained control of Afghanistan, leading to an international migration crisis. Ultimately, the war in Afghanistan was deemed unsuccessful, as confirmed by public opinion in the United States.

The Iraq War began in 2003, with primary motivations being Iraq's alleged collaboration with terrorists and its suspected possession of weapons of mass destruction. The U.S. struggled to stabilize Iraq due to a lack of preparedness for such an undertaking. This led to widespread civil unrest and intense conflict between Sunni and Shia groups. The war in Iraq concluded in 2011 but was not successful for the United States. Therefore, it can be concluded that the Bush Doctrine did not function effectively or appropriately...

Keywords: Bush Doctrine, Afghanistan War, Iraq War, terrorism, Al-Qaeda.

შესავალი

2001 წლის 11 სექტემბრის მოვლენებმა გადამწყვეტი როლი ითამაშა ამერიკის შეერთებული შტატების ისტორიასა და პოლიტიკაში. აღ-ქაიდას 19 თვითმკვლელი ტერორისტის მიერ თავდასხმათა სერიამ ძირეულად შეცვალა აშშ-ს საგარეო პოლიტიკის და ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგია, ტერორისტული აქტების შემდგომ ამერიკის 43-ე პრეზიდენტმა, ჯოჯრ ბუშმა ახალი დოქტრინა ჩამოაყალიბა, რომელმაც განსაზღვრა ახალი მიდგომები საერთაშორისო ურთიერთობებში. ეს დოქტრინა შეიქმნა, როგორც მწვავე, მყისიერი პასუხი ტერორიზმისგან მომდინარე უპრეცედენტო საფრთხესა და არასახელმწიფო აქტორების გაჩენაზე, რომლებსაც შეუძლიათ მასობრივი მსხვერპლის გამოწვევა ტერორისტული ომის გზით.¹ მსოფლიო სავაჭრო ცენტრსა და პენტაგონზე თავდასხმებმა არა მხოლოდ გამოავლინა ამერიკის „დაუცველობა უსაფრთხოებაში,“ არამედ გამოიწვია შეერთებული შტატების როლის გადაფასებაც, რაც გამოიხატა იმით, რომ ამერიკამ უფრო აგრესიული, ცალმხრივი პოზიცია აირჩია საგარეო პოლიტიკაში. ბუშის ახალმა დოქტრინამ ჩაანაცვლა კლინტონის დოქტრინა², რომელიც 1990-იან წლებში მოქმედებდა და ძირითადად ორიენტირებული იყო აშშ-ს საგარეო პოლიტიკის ეკონომიკურ, თანამშრომლობით მიდგომებზე. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ბუშის დოქტრინა არა მხოლოდ სამხედრო ძალის გამოყენების პოლიტიკაა, არამედ ასევე მოიცავს ღრმა იდეოლოგიურ საფუძვლებს, რომლებიც გულისხმობს ამერიკული ღირებულებების გავრცელებას და მსოფლიო წესრიგის შეცვლას.

ნაშრომის მიზანია, გამოიკვლიოს და ახსნას ბუშის დოქტრინის ძირითადი კონცეფცია, ასევე გაანალიზოს დოქტრინის მიზნები და შედეგები, თუ როგორ შეცვალა ამერიკისა და საერთაშორისო სისტემის დღის წესრიგი ბუშის ახალმა, შედარებით აგრესიულმა სამხედრო სტრატეგიამ. ასევე, სტატიის ამოცანაა განიხილოს საზოგადოების აზრი ბუშის ომების მიმართ. სტატიის მთავარი განზრახვაა უპასუხოს საძიებო კითხვებს, როგორებიცაა:

1. რა არის ბუშის დოქტრინა და რა მიზნები აქვს მას?
2. როგორ განხორციელდა ბუშის დოქტრინის საერთაშორისო პოლიტიკაში იმპლემენტაცია?
3. როგორ შეიცვალა ამერიკელი მოსახლეობის განწყობა ბუშის დოქტრინის მიმართ?
4. როგორია ბუშის დოქტრინის საბოლოო შედეგები?

ბუშის დოქტრინა

„ბუშის დოქტრინა გაჩნდა 2001 წლის 11 სექტემბრის თავდასხმების შემდეგ, რამაც ძირეულად შეცვალა შეერთებული შტატების მიდგომა საერთაშორისო ურთიერთობებისადმი.“ იგი ხაზს უსვამდა პრევენციულ დარტყმებს აღქმული საფრთხეების წინააღმდეგ. ბუშის დოქტრინა გულისხმობს საგარეო პოლიტიკის პრინციპების ერთობლიობას. ის წარმოადგენს მნიშვნელოვან ცვლილებებს აშშ-ს საგარეო პოლიტიკა-

¹ Robert Jervis, Understanding the Bush Doctrine

² Marcella Berkeley Gill, Comparing the Foreign Policy Doctrines of Bill Clinton and George W. Bush, April 14, 2017

ში. ბუშის დოქტრინა ხაზს უსვამს პროაქტიურ ზომებს, იქნება ეს სამხედრო მოქმედება, ტერორიზმისგან აშშ-ს თავდაცვა თუ საზღვარაგრეთ დემოკრატიის ხელშესაწყობად. ბუშის დოქტრინა რობერტ ჯერვისის თანახმად შედგება ოთხი ძირითადი ელემენტისაგან:³

პირველი - საშინაო რეჟიმი და საგარეო პოლიტიკა. არსებობს რწმენა, რომ სახელმწიფოს შიდა პოლიტიკური სისტემა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მის საგარეო პოლიტიკაზე. რეპრესიული რეჟიმები უფრო მეტად საფრთხეს უქმნის აშშ-ს და მის მოკავშირეებს.

მეორე ელემენტი გულისხმობს იმას, რომ საფრთხეების წინააღმდეგ საჭიროა აქტიური პოლიტიკა, მათ შორის პრევენციული ომის წარმოებაც.

მესამე ელემენტი კი გულისხმობს ამერიკის სახელმწიფოს მზაობას იმოქმედოს ცალმხრივად საჭიროების შემთხვევაში. რაც იმას ნიშნავს რომ ამერიკას შეუძლია გადაუხვიოს ნებისმიერ დოგმას საკუთარი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

ამერიკამ უნდა იმოქმედოს საერთაშორისო ორგანიზაციებისა და მოკავშირეების თანხმობის გარეშე. დოქტრინის ბოლო მოეთხე ელემენტი კი გულისხმობს ამერიკის ჰეგემონობას, მსოფლიოში მშვიდობა და სტაბილურობა მოითხოვს შეერთებული შტატების პრიმატის დამტკიცებას საერთაშორისო პოლიტიკაში. ეს ასახავს აშშ-ს, როგორც ლიდერის ხედვას, რომელსაც აქვს დიდი პასუხისმგებლობა გლობალური პროცესების წარმართვისთვის. ⁴

აღსანიშნავია ის, რომ ბუშის დოქტრინას ჰყავდა მომხრეები და მოწინააღმდეგენი. მომხრეები გახლდათ ნეოკონსერვატორები ხოლო მოწინააღმდეგენი რეალისტები. ნეოკონსერვატიზმმა გადამწყვეტი როლი ითამაშა ბუშის დოქტრინის ფორმულირებასა და განხორციელებაში⁵. ნეოკონსერვატორებს მიაჩნიათ, რომ შეერთებულ შტატებს აქვს მორალური ვალდებულება, ხელი შეუწყოს დემოკრატიისა და ლიბერალური ღირებულებების გავრცელებას მთელ მსოფლიოში. ისინი ამტკიცებენ, რომ დემოკრატიის გავრცელება არა მხოლოდ მორალური მოვალეობაა, არამედ აუცილებელია გლობალური სტაბილურობისა და აშშ-ს უსაფრთხოებისთვის. ისინი მხარს უჭერენ პროაქტიურ მიდგომას საგარეო პოლიტიკის მიმართ, მათ შორის პრევენციული სამხედრო ქმედებების აღქმული საფრთხეების წინააღმდეგ. ეს იყო ბუშის დოქტრინის ქვაკუთხედი, რომელიც ამართლებდა ერაყში შეჭრას იმის საფუძველზე, რომ სადამ ჰუსეინი ფლობდა მასობრივი განადგურების იარაღს (WMD) და საფრთხეს უქმნიდა აშშ-სა და მის მოკავშირეებს⁶.

ნეოკონსერვატორებს აქვთ მტკიცე რწმენა ამერიკული ექსკლუზიურობის შესახებ, რომ აშშ-ს უნიკალური როლი აქვს მსოფლიოში, როგორც თავისუფლებისა და დემოკრატიის შუქურა. ეს რწმენა საფუძველად უდევს მათ ადვოკატირებას ინტერვენციონისტული პოლიტიკისთვის. როგორც მოცემული პრინციპებიდან ვხედავთ, ეს კონკ-

³ Robert Jervis, Understanding the Bush Doctrine. 2003

⁴ Ibid.

⁵ Brian C. Schmidt and Michael C. Williams (2008) The Bush Doctrine and the Iraq War: Neoconservatives Versus Realists.

⁶ Ibid..

რეტული მიმდინარეობა არ ზღუდავს სახელმწიფოს გამოიყენოს სამხედრო ძალა და მოახდინოს ინტერვენცია, თუ კი ამერიკის შეერთებული შტატებისთვის რომელიმე სახელმწიფო საფრთხეს წარმოადგენს. ბუშის ადმინისტრაციის დროს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ალიანსი ნეოკონსერვატორებსა და რელიგიურ მემარჯვენეებს შორის. ნეოკონსერვატორებმა საერთო ენა იპოვეს რელიგიურ ტრადიციონალისტებთან ლიბერალიზმის კრიტიკაში და ფუნდამენტური ფასეულობების დაბრუნების მოთხოვნაში. ამ ალიანსმა არა მხოლოდ საშინაო პოლიტიკაზე იქონია გავლენა, არამედ ჩამოაყალიბა საგარეო პოლიტიკაც, რადგან საზღვრებს გარეთ დემოკრატიის ხელშეწყობა მორალური იმპერატივით იყო განპირობებული⁷.

ბუშის დოქტრინაზე საუბრისას აღსანიშნავია ის, რომ მან ჩაანაცვლა კლინტონის დოქტრინა, რომელიც ხასიათდებოდა მულტილატერალიზმით, სადაც კლინტონი მუდამ ცდილობდა საერთაშორისო პარტნიორებთან და ინსტიტუტებთან გლობალური საკითხების გადასაჭრელად და განსახილველად თანამშრომლობას, როგორებიცაა ნატო, გაერო და ა.შ.⁸ ამის საპირისპიროდ, ბუშის დოქტრინა მხარს უჭერდა ცალმხრივ მიდგომებს, ხაზს უსვამდა ამერიკის პირველობასა და საერთაშორისო კონსენსუსისგან დამოუკიდებლად მოქმედების უფლებას. განსაკუთრებით აშკარა იყო ეს ერაყის ომის დაწყებამდე. ბუშმა შემოიღო პრევენციის დოქტრინა, რომელიც ამართლებდა სამხედრო ქმედებებს აღქმული საფრთხეების წინააღმდეგ, სანამ ისინი განხორციელდებოდა.⁹ 11 სექტემბრის შემდეგ ბუშმა დაიწყო ომი ტერორის წინააღმდეგ, რომელიც მოიცავდა სამხედრო ინტერვენციებს ავღანეთსა და ერაყში. ეს იყო მნიშვნელოვანი ესკალაცია აშშ-ს სამხედრო ჩართულობის კლინტონის უფრო თავშეკავებულ ინტერვენციებთან შედარებით, მაგლითად, როგორც იყო კოსოვო. მიუხედავად იმისა, რომ ორივე პრეზიდენტი მხარს უჭერდა დემოკრაციას, ბუშის მიდგომა უფრო აგრესიული იყო .

ომი ავღანეთში

ომი ავღანეთში, რომელსაც ხშირად „ტერორის წინააღმდეგ ომს“ უწოდებენ, დაიწყო 2001 წლის ოქტომბერს აშშ-ში 11 სექტემბრის ტერაქტების საპასუხოდ. ¹⁰ თალიბანმა თავშესაფარი მისცა ალ-ქაიდას, ტერორისტულ ორგანიზაციას, რომელსაც ხელმძღვანელობდა ოსამა ბინ ლადენი, რომელიც პასუხისმგებელი იყო 2001 წლის 11 სექტემბრის თავდასხმებზე. ეს კავშირი გადაამწყვეტი იყო ამერიკის შეერთებული შტატებისთვის და ავღანეთი გახდა მისი სამიზნე. 2001 წლის 7 ოქტომბერს აშშ-მა ოპერაცია „მდგრადი თავისუფლება“ დაიწყო. აღსანიშნავია, რომ თავდაპირველი მიზნები ალ-ქაიდას დემონტაჟი და თალიბების ხელისუფლებიდან ჩამოშორება იყო. შეერთებულმა შტატებმა სწრაფად შექმნა კოალიცია ჩრდილოეთ ალიანსის ძალებთან, რომლებიც

⁷ David Grondin, Mistaking hegemony for empire Neoconservatives, the bush doctrine and the democratic empire.

⁸ Marcella Berkeley Gill (2017), Comparing the Foreign Policy Doctrines of Bill Clinton and George W. Bush

⁹ Ibid.

¹⁰ Jeanine E. Kraybill and Raul Madrid JR. (2019) THE Rhetoric of Crisis: George w. bush during The Afghanistan and Iraq wars.

ეწინააღმდეგებოდნენ თალიბანს და მხარს უჭერდნენ აშშ-ს სტრატეგიულ ნაბიჯებს. აშშ-მ და მისმა მოკავშირეებმა 2001 წლის დეკემბრისთვის დაამხეს თალიბანის რეჟიმი და ავღანეთში შეიქმნა დროებითი მთავრობა. თუმცა აღსანიშნავია, რომ თალიბანის მებრძოლები სოფლებს აფარებდნენ თავს და აწარმოებდნენ ტერორისტულ თავდასხმებს. გაეროს უსაფრთხოების საბჭომ დააარსა საერთაშორისო უსაფრთხოების დახმარების ძალები (ISAF), რათა დახმარებოდა ახალ ხელისუფლებას ქაბულის უსაფრთხოების უზრუნველყოფაში.¹¹ მომდევნო წლების განმავლობაში თალიბები გადაჯგუფდნენ და დაიწყეს თავდასხმები აშშ-სა და კოალიციის ძალებზე, ასევე ავღანეთის მთავრობაზე. კონფლიქტი გადაიზარდა გაჭიანურებულ ბრძოლებში აშშ-ს ჯარებს, ტერორისტულ დაჯგუფებებსა და ავღანეთის მთავრობას შორის, რომელსაც ბოლო არ უჩანდა. 2003 წელს, ნატომ ავღანეთში უსაფრთხოების მხარდაჭერის საერთაშორისო ძალების (ISAF) მეთაურობა გადაიბარა, რითაც მისია, რომელიც ითვალისწინებდა ავღანეთის რეკონსტრუქციას და სტაბილიზაციას მეტად გაფართოვდა. აშშ-ს მცდელობების მიუხედავად, ფაქტია სიტუაცია უკონტროლო და უმართავი ხდებოდა. ომს დამანგრეველი შედეგები მოჰყვა ავღანელ მშვიდობიან მოსახლეობაში. ფართო ემიგრაციით, დიდი მსხვერპლით და ინფრასტრუქტურის განადგურებით, ჰუმანიტარული მდგომარეობა გაურესდა და ისეთი საკითხები, როგორცაა სიღარიბე, განათლების ნაკლებობა და ქალთა უფლებები კტირიკულ პრობლემებად იქცა ქვეყანაში.¹²

2008 წლის საარჩევნო კამპანიის დროს ბარაკ ობამამ ავღანეთის ომს მხარი დაუჭირა. პრეზიდენტად არჩევის შემდგომ მან მეტი სამხედრო მოსამსახურე ჩართო ავღანეთის ომში. ობამას სურდა ომის მალევე დასრულება და განაცხადა, რომ 2011 წლის ივლისში ავღანეთიდან ჯარის გამოყვანას დაიწყებდა, 2014 წელს კი ბოლო ამერიკელი ჯარისკაცი დატოვებდა ავღანეთს.¹³ ბუმის პრეზიდენტობის ბოლო თვეებში მისმა ადმინისტრაციამ საბრძოლო სამიზნეებზე უპილოტო საფრენი აპარატების გამოყენება დაიწყო, ხოლო ობამამ გადაწვიტა უფრო მეტი რაოდენობით გამოეყენებინათ ბრძოლაში ეს ტექნიკა.¹⁴

საბოლოოდ ავღანეთის ომი 2021 წელს დასრულდა და გამოიწვია მნიშვნელოვანი კრიზისი. თალიბანის მმართველობა ავღანეთში აღდგა. ავღანეთის ომში სულ 176 000 ადამიანი დაიღუპა. 2448 ამერიკელი სამხედრო მოსამსახურე, ხოლო 1144 ნატოს წევრი და მოკავშირე ქვეყნების სამხედრო მოსამსახურეები, რაც შეეხება მოწინააღმდეგის მხარეს, დაიღუპა 51000-ზე მეტი თალიბანის და სხვა ოპოზიციური მხარის მებრძოლი. დიდია სამოქალაქო მსხვერპლი, რომელიც დაახლოებით 46 319 ადამიანს შეადგენს. ასევე მინდა ავღანიშნო რომ ამ ომს 32 ქართველი სამხედრო მოსამსახურის სიცოცხლე ემსხვერპლა.¹⁵

¹¹ Michael Cox(2004)Empire,Imperialism and the Bush doctrine.

¹² Patricia Gossman, Hard Choices in Afghanistan's Humanitarian Crisis

¹³ Barack Obsma and the Afghan War.

¹⁴ Bruce Riedel, Obama's Deal with Afghanistan Underscores its Crucial Role in the war on terror, may3.2012

¹⁵ Ellen Knickmeyer, Cost of the Afghanistan war, in lives and dollars, august17, 2021

ომი ერაყში

ერაყის ომი, რომელიც ასევე ცნობილია, როგორც მეორე სპარსეთის ყურის ომი, დაიწყო 2003 წლის მარტში, როდესაც ამერიკის შეერთებული შტატების ხელმძღვანელობით კოალიცია შეიჭრა ერაყში სადამ ჰუსეინის რეჟიმის დამხობის მიზნით. ამ შეჭრის მიზეზებად სახელდებოდა ის ფაქტი, რომ სადამ ჰუსეინი ფლობდა მასობრივი განადგურების იარაღს და ჰქონდა მჭიდრო კავშირები ტერორისტულ ორგანიზაციებთან, მათ შორის აშშ-სთვის ყველაზე მნიშვნელოვან სამიზნესთან ალ-ქაიდასთან.¹⁶ ასევე მოცემული ვარაუდების თანახმად, ამერიკის ერთ-ერთი მიზანი ერაყში პროდასავლური მთავრობის შექმნა და ბუშის ადმინისტრაცია გეგმავდა ძალთა რეგიონალური ბალანსის შეცვლას. ინტერვენციის შემდგომ ერაყში ვერ აღმოაჩინეს მასობრივი განადგურების იარაღი და მალევე ომი სწრაფად გადაიქცა რთულ და ხანგრძლივ ოკუპაციად. მიუხედავად იმისა, რომ თავდაპირველმა სამხედრო ოპერაციებმა ამერიკას სწრაფი გამარჯვება მოუპოვეს და ბალდადი დაეცა, ერაყის სტაბილიზაცია ძალიან რთული ამოცანა აღმოჩნდა.¹⁷ ერაყის დესტაბილიზაციამ და შიდა არეულობებმა, ეს ომი 21-ე საუკუნის ყველაზე საკამათო კონფლიქტად გადააქცია. აშშ-ს ძალები ომის საწყის ეტაპზე იყენებდა საჰაერო ძალებს. იგი ანხორციელებდა საჰაერო თავდასხმებს ერაყის სამხედრო ინფრასტრუქტურაზე. თავდასხმები მიზნად ისახავდა სადამ ჰუსეინის რეჟიმის სწრაფ დამხობას. მალევე, აშშ-ის და მოკავშირე ძალების მიერ განხორციელებულმა ოპერაციებმა გამოიწვია ერაყის დედაქალაქ ბალდადის დაკავება. 2003 წლის აპრილში ქალაქი დაეცა და სადამ ჰუსეინი გაიქცა. ქვეყანაში შიდა არეულობა დაიწყო. აშშ-ს სამხედრო და პოლიტიკურ ლიდერებს კი ადეკვატური გეგმა არ გააჩნდათ, თუ როგორ ემართათ ეს შიდა კონფლიქტები. ამერიკის ისეთმა ნაბიჯებმა, მაგალითად როგორც იყო ერაყის არმიის დაშლა, ასობით ათასი ჯარისკაცი დატოვა სამუშაოს გარეშე, რამაც გამოიწვია უკმაყოფილება და აჯანყებები. სადამის მართველობის დაცემის შემდგომ ძალაუფლების ვაკუუმმა გამოიწვია, ქაოსი და უკანონობის აღზევება ქვეყანაში.¹⁸ აშშ-ს არმია კი მოუმზადებელი იყო ამ პრობლემების მოსაგვარებლად, ვინაიდან ამერიკის ადმინისტრაციას სწორად არ ჰქონდა შეფასებული ის რისკები, რომლებიც სავარაუდოდ მოყვებოდა სადამ ჰუსეინის რეჟიმის დამხობას, ამერიკა ნამდვილად არ ელოდა იმ სცენარს, რის წინაშეც საბოლოოდ დადგა. ასევე სტაბილიზაციას ხელი შეუშალა ერაყში ღრმად ფესვგადგმულმა სიძულვილმა და დაპირისპირებამ შიიტებსა და სუნიტებს შორის, რაც კიდევ უფრო გამწვავდა სადამის რეჟიმის დამხობის შემდგომ. აღსანიშნავია ისიც, რომ ამერიკელი ჯარისკაცები ხშირად ენობრივ პრობლემებს აწყდებოდნენ, ვინაიდან და რადგანაც არ ჰყავდათ საკმარისი რაოდენობის არაბული ენის მცოდნეები რიგებში, რაც ართულებდა მოლაპარაკებებს და კომუნიკაციას ადგილობრივებთან. აღსანიშნავია ისიც, რომ თავდაპირველად ამერიკამ არ გამოყო საკმარისი რაოდენობის ჯარი და რესურსები, რათა დაელაგებინა სიტუაცია ერაყში, ვი-

¹⁶ Jeanine E.Kraybill and Raul Madrid JR.(2019)THE Rhetoric of Crisis:George w.bush during The Afghanistan and Iraq wars.

¹⁷ Brian C.Schmidt,Michael C.Williams, The Bush Doctrine and the Iraq war:Neoconservatives versus Realists,2008

¹⁸Ibid. Jeanine E.Kraybill and Raul Madrid JR, 2019.

ნაიდან არ იყო მოლოდინი იმისა, რომ ასე აირეოდა სიტუაცია. შესაბამისად არც ისაა გასაკვირი, რომ აშშ-ს არ ჰქონდა შემუშავებული გრძელვადიანი სტრატეგია, თუ როგორ ემართა სიტუაცია ერაყში სადამის რეჟიმის დამხობის შემდგომ, რამაც გამოიწვია ძალაუფლების ვაკუუმი ერაყში. ამ ყოველივეს ართულებდა ისიც, რომ ირანი ეხმარებოდა ერაყს და ხელს უშლიდა აშშ-ს ერაყში სტაბილურობის დამყარებაში.

2011 წლის დეკემბერში პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ გამოაცხადა ამერიკელი ჯარისკაცების გაყვანის პროცესი, რამაც ოფიციალურად დაასრულა ერაყში აშშ-ის სამხედრო ოპერაციები.¹⁹ თუ კი მოცემულ შედეგებს დავაკვირდებით, ერაყში შეჭრამ, არა თუ შეასუსტა ტერორიზმი, არამედ პირიქით, გაზარდა მისი მაჩვენებელი. ერაყის ომში 2003 წლიდან 2011 წლამდე 120 000-ზე მეტი ადამიანი გარდაიცვალა, აქედან კი 4 500 ამერიკელი ჯარისკაცი გახლავთ.²⁰ ერაყის ომის შედეგები დღემდე გრძელდება და გავლენას ახდენს როგორც ერაყზე, ისე მთლიან რეგიონზე და საერთაშორისო პოლიტიკაზე.

მოსახლეობის მხარდაჭერის კლების ტენდენცია ომებთან დაკავშირებით

ბუმის დოქტრინასა და მის სტრატეგიებს თავდაპირველად ამერიკაში მოსახლეობის უმრავლესობა მხარს უჭერდა. მოსახლეობა 9/11-ის შემდეგ თვლიდა, რომ ამერიკას აუცილებლად უნდა ებრძოლა ტერორიზმთან ნებისმიერ ფასად. თუმცა, დრომ და ომებმა მოსახლეობის აზრი სრულიად შეცვალეს. მხარდაჭერამ იკლო და რა თქმა უნდა ამ ყოველივეს ჰქონდა მიზეზები. პირველ რიგში აღსანიშნავია ეკონომიკური „კრიზისი“, რომელიც ომში დახარჯულმა ტრილიონებმა გამოიწვიეს.²¹ აშშ-მ ახლო აღმოსავლეთში ბრძოლების საწარმოებლად საერთო ჯამში 5,6 ტრილიონამდე დოლარი დახარჯა. ერაყისა და ავღანეთის ხვედრითი წილი კი აქედან დაახლოებით 2 ტრილიონი დოლარია. მოსახლეობამ მალევე დაიწყო ფიქრი, რომ ბრძოლებს, რომლებსაც წლების განმავლობაში არ ჰქონდა შედეგი, გარდა სიტუაციის გაუარესებისა, გაჭირვებად და თანხების დასახარჯად არ ღირდა. ასევე აუცილებელია აღინიშნოს, რომ ჯორჯ ბუშმა სწორედ ომებისა და ეკონომიკური პრობლემების გამო დაკარგა ამომრჩევლები. უნდა აღინიშნოს, რომ დოქტრინამ დაარღვია საზღვრები პრევენციასა და ინტერვენციას შორის და გააჩინა კითხვები სამხედრო მოქმედებების კანონიერებასთან დაკავშირებით, თუ რამდენად ჯდება იგი საერთაშორისო სამართლის კანონებთან. კრიტიკოსები ამტკიცებდნენ, რომ დოქტრინა ძირს უთხრიდა დადგენილ ნორმებს სახელმწიფოს სუვერენიტეტისა და ძალის გამოყენებასთან დაკავშირებით. ჩნდებოდა კითხვები თუ რამდენად იყო ეს ქმედებები ლეგიტიმური. მოსახლეობას კი უფრო და უფრო მეტად არ მოსწონდა ომი და ეწინააღმდეგებოდა მას.

ერთობ საინტერესოა მოსახლეობის მხარდაჭერის კლების ტენდენცია. მაშინ როდესაც აშშ-მ ერაყში დაიწყო ომი, მოსახლეობის დაახლოებით 72% უჭერდა მხარს ერაყში ინტერვენციას. მომდევნო წელს კი უკვე მხარდაჭერა 55%-მდე დაეცა, რადგან დი-

¹⁹ Brian Montopoli, Obama announces end of Iraq war, troops to return home by year end, 2011.

²⁰ <https://www.statista.com/statistics/269729/documented-civilian-deaths-in-iraq-war-since-2003/>

²¹ Amy Belasco, The cost of Iraq, Afghanistan and other global war on terror operations since 9/11, september 2, 2010

დი იყო მსხვერპლი და დახარჯული ეკონომიკური რესურსები. 2008 წლისთვის კი ამერიკელების 63%-მა დააფიქსირა აზრი, რომ ეს ომი უდიდესი შეცდომა იყო.²²

ავღანეთში ომის დაწყებისთანავე უამრავმა ადამიანმა დაუჭირა მხარი ომს, რაც დაახლოებით მოსახლეობის 90%-ს შეადგენდა. ეს ყოველივე თავდაპირველად გამოწვეული იყო 9/11-ის შემდგომ მიღებული სტრესით²³. 2009 წელს მხარს მხოლოდ 53% უჭერდა ავღანეთის ომს, 2019 წლისთვის 59 % თვლიდა რომ ომი აღარ ღირდა და დრო იყო აშშ-ს დაეტოვებინა ავღანეთი, შესაბამისად 2021 წელს ჯარების გაყვანის დროს, ამ პროცესს 54% ეთანხმებოდა, მიუხედავად იმისა, რომ ავღანეთში ხელისუფლება კვლავ თალიბანმა დაიბრუნა.

დასკვნა

დასკვნის სახით ნაშრომში წარმოდგენილია მთავარ კითხვებზე გაცემული პასუხების მოკლე მიმოხილვა და ბუშის დოქტრინის საბოლოო შედეგები.

ბუშის დოქტრინა პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა 9/11-ის საპასუხოდ შეიმუშავა. ახალმა დოქტრინამ შეერთებული შტატების მიდგომა საერთაშორისო ურთიერთობებისადმი შეცვალა და გადაუხვია ტრადიციულ მიდგომებს. თუ კი კლინტონის პრეზიდენტობის პერიოდში უმნიშვნელოვანესი იყო საერთაშორისო კონსენსუსი და სხვა სახელმწიფოთა აზრის გათვალისწინება, ბუშისთვის მთავარი გახდა აშშ-ის უსაფრთხოება და იგი მზად იყო ამერიკის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად და ტერორიზმთან საბრძოლველად ემოქმედა დამოუკიდებლად ნებისმიერ ფასად.

ბუშის დოქტრინის თეორიიდან პრაქტიკაში გადმოტანა არც თუ ისე იაფი დაუჯდა ამერიკას. ავღანეთის ომი 2001 წლის 7 ოქტომბერს დაიწყო. დეკემბრისთვის კი აშშ-მ და მისმა მოკავშირეებმა თალიბანის რეჟიმი დაამხეს. 20 წლიანი ომი ამერიკისთვის მომგებიანი არ აღმოჩნდა და ამ ომში დაახლოებით 176 000 ადამიანი დაიღუპა. ერაყის ომი 2003 წლის მარტში დაიწყო სადამ ჰუსეინის რეჟიმის დამხობის მიზნით. ამერიკამ ეს მოახერხა, მაგრამ ვერ შეძლო ერაყში სტაბილურობის დამყარება, რადგან არ იყო ამისთვის სრულფასოვნად მომზადებული, რამაც გააჭიანურა ომი ერაყში. ამ ომს 120 000-ზე მეტი ადამიანი შეიწირა.

აღსანიშნავია, რომ თავდაპირველად ბუშის დოქტრინას ბევრი მხარდამჭერი ჰყავდა, წლების შემდგომ კი ხალხის აზრი სრულიად შეიცვალა და ფაქტობრივად, აღარავინ უჭერდა მხარს ბუშის დოქტრინის სტრატეგიებს. ამას ბევრი მიზეზი ჰქონდა, მაგალითად ერთ-ერთი მიზეზია ეკონომიკური პრობლემები, რომელზეც დიდი გავლენა იქონია დოქტრინამ, ვინაიდან და რადგანაც ბუშის დოქტრინის განხორციელება უზარმაზარი ფინანსური ტვირთი არმოჩნდა აშშ-სთვის. ტერორიზმთან ბრძოლა, ერაყისა და ავღანეთის ტერიტორიებზე დაახლოებით 2 ტრილიონი დოლარი დაჯდა. გარდა ამისა, ხალხი ხვდებოდა, რომ ეს ბრძოლები არ ჯდებოდა საერთაშორისო სამარ-

²² Tom Rosentiel, Public Attitudes Toward the War in Iraq:2003-2011, 2008

²³ Frank Newport, America public opinion and the Afghanistan situation, 2021.

თლის ნორმებში და მალევე დადგა დოქტრინის პრაქტიკული ნაბიჯების ლეგიტიმურობა კითხვის ნიშნის ქვეშ.

ბუშის დოქტრინის შედეგები პოლიტიკის, საერთაშორისო ურთიერთობების, ეკონომიკის თუ გლობალური უსაფრთხოების დინამიკის მიმართ მრავალმხრივია. ომს ამერიკისთვის დადებითი შედეგი ფაქტობრივად არ მოუტანია. ომები, რომლებიც ბუშის დოქტრინით დაიწყო ამერიკამ, იყო არაფრისმომცემი ვინაიდან ავღანეთში ხელისუფლება კვლავ თალიბანმა დაიბრუნა, ერაყში კი სტაბილურობა ვერ დამყარდა. ომებს მხოლოდ მსხვერპლი, ეკონომიკური პრობლემები და საერთაშორისო დამაბულობა მოჰყვა.

გამოყენებული ლიტერატურა

"Barack Obama and Afghan War."

Belasco, Amy. 2010. "The Cost of Iraq, Afghanistan, and Other Global War on terror Operations Since 9/11."

Brian C. Schmidt and Michael C. Williams. 2008. "The Bush Doctrine and the Iraq war: Neoconservatives Versus Realists."

Cox, Michael. "Empire, imperialism and the Bush Doctrine."

Dawlatshahi, Mohd Masood. "The Factor of Afghanistan In U.S Foreign Policy During the Presidency of Barack Obama."

Gill, Marcella Berkeley. 2017. "Comparing the Foreign Policy Doctrines of Bill Clinton and George W. Bush."

Gossman, Patricia. "Hard Choices in Afghanistan's Humanitarian Crisis."

Heisbourg, Francois. "A Work in Progress: The Bush Doctrine and Its Consequences."

Jeanine E. Kraybill Raul Madrid JR. 2019. "The Rhetoric of Crisis: George W. Bush The Afghanistan and Iraq wars."

Jervis, Robert. 2003. "Understanding The Bush Doctrine."

Knickmeyer, Ellen. 2021. "Cost of the Afghanistan war, in lives and dollars."

Mary Buckley and Robert Singh. 2006. "The Bush Doctrine and the war on Terrorism."

McCrisken, Trevor. "Justifying sacrifice: Barack Obama and Selling and Ending of the war in Afghanistan."

Montopoli, Brian. 2011. "Obama announces end of Iraq war, troops to return home by year end."

Newport, Frank. 2021. "American Public Opinion and the Afghanistan Situation."

Record, Jeffrey. 2003. "The Bush Doctrine and War With Iraq."

Riedel, Bruce. 2012. "Obama's Deal with Afghanistan Underscores its Crucial role in the war on terror."

Rosentiel, Tom. 2008. "Public Attitudes Toward the War in Iraq: 2003-2011."

რუსეთ უკრაინის ომი და მისი გავლენა საერთაშორისო სისტემის სტაბილურობაზე

გიორგი ანთაძე

სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის ბაკალავრიატის თავდაცვისა და უსაფრთხოების მიმართულების იუნკერი

ხელმძღვანელი: შოთა ოთხოზორია

ბაკალავრიატის თავდაცვისა და უსაფრთხოების მიმართულების ასისტენტ-პროფესორი

აბსტრაქტი

რუსეთსა და უკრაინას შორის მიმდინარე კონფლიქტი, რომელიც 2022 წლის თებერვალში, რუსეთის შეჭრის შემდეგ ფართომასშტაბიან ომში გადაიზარდა, დიდი გავლენა იქონია გლობალურ საერთაშორისო სისტემებზე. ომის ფონზე მნიშვნელოვნად შეიცვალა როგორც ალიანსების დამოკიდებულება, ასევე ეკონომიკური სისტემები. გარდა ამისა ომმა გამოიწვია ჰუმანიტარული კრიზისები და გაძლიერდა სურსათის დაუცველობა.

ეს კონფლიქტი საფრთხის შემცველია ევროპული სტაბილურობისთვის რამეთუ შექრამ დაარღვია მშვიდობა და საერთაშორისო თანამშრომლობა რუსეთთან მიმართებით, რამაც გააჩინა იმის ვარაუდი, რომ შესაძლებელია ჩამოყალიბდეს ახალი მულტიპოლარული სამყარო.

ამ თემაში განვიხილავთ რუსეთ უკრაინის ომის მრავალმხრივ გავლენას საერთაშორისო სისტემაზე: იმოქმედა თუ არა ამ ომმა საერთაშორისო უსაფრთხოებაზე და ეკონომიკურ სტაბილურობაზე? გარდა ამისა, ამ თემაში შევეხებით ისეთ საკითხებს როგორცაა: შეერთებული შტატების, ჩინეთის, ევროკავშირის და ნატოს პოზიცია მიმდინარე კონფლიქტთან დაკავშირებით.

საკვანძო სიტყვები: გეოპოლიტიკა, ომი, უსაფრთხოება, სტაბილურობა, ნატო-ს გაფართოება, სანქციები.

The Russia-Ukraine War and Its Impact on the Stability of the International System

Giorgi Antadze

Junker of Bachelor's Program in Defense and Security of
LEPL-David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia

Supervisor: Shota Otkhozoria

Assistant Professor of Bachelor's Program in Defense and Security

Abstract

The ongoing conflict between Russia and Ukraine, which escalated into a large-scale war in February 2022 following Russia's invasion, has significantly impacted global international systems. This war has altered geopolitical alliances and economic structures, leading to humanitarian crises and exacerbating food insecurity. The conflict presents a threat to European stability, as the invasion disrupted peace and international cooperation with Russia, raising the prospect of a new multipolar world.

This paper examines the multifaceted effects of the Russia-Ukraine war on the international system: Has this war affected global security and economic stability? Additionally, it will discuss the positions of the United States, China, the European Union, and NATO regarding this ongoing conflict.

Keywords: Geopolitics, war, security, stability, NATO expansion, sanctions.

შესავალი

ცივი ომის შემდგომ პერიოდს გააჩნდა თავისი მახასიათებლები, მაგ. უნიპორარულობა, სადაც ჰეგემონი აშშ იყო. ამ ცვლილებამ ამერიკას მისცა შესაძლებლობა, რომ განევრცო გავლენა საერთაშორისო ურთიერთობებზე, განსაკუთრებით სამხედრო და პოლიტიკურ სფეროებში. ამ პერიოდშივე მცირდება ბირთვული მარაგები. გარდა ამისა რუსეთი აყალიბებს კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაციას, რომელმაც ჩაანაცვლა ვარშავის პაქტი. ამავე დროს ბევრი ყოფილი კომინისტური სახელმწიფო გადადის დემოკრატიაზე და საბაზრო ეკონომიკაზე. ამასთან, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები ინტეგრირდნენ ნატოში და ევროკავშირში.¹ მიუხედავად ძირითადი ქვეყნების სტაბილურობისკენ მიდრეკილი ტენდენციისა, რეგიონული კონფლიქტები მაინც შენარჩუნებული იყო, რამეთუ ამ პერიოდის მნიშვნელოვანი კრიზისები მოიცავს იუგოსლავიის ომებს და ახლო აღმოსავლეთის დამაბულობას.

სსრკ-ს დაშლის შემდეგ, უკრაინამ და რუსეთმა, მეტ-ნაკლებად მშვიდობიანი ურთიერთობა შეინარჩუნეს, თუმცა ზოგიერთი საკვანძო საკითხის განხილვა დრო და დრო მაინც მტკივნეულად მიმდინარეობდა, ეს საკითხებია:

1. საბჭოთა ბირთვული შეიარაღების ბედი უკრაინაში,
2. შავი ზღვის ფლოტის გაყოფა,
3. ყირიმის საკითხი.

აშშ-სა და რუსეთის შეთანხმებით უკრაინამ ბირთვული იარაღი გააუქმა. ამასთან, შავი ზღვის ფლოტის ყირიმის პორტები და სხვა ობიექტებში ორივე მხარის მიერ გამოყენებოდა. ვინაიდან, 1990-იან და 2000-იანი წლების დასაწყისში, რუსეთის მთავრობა ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოების საერთაშორისოდ აღიარებულ ტერიტორიებს პატივს სცემდა, ყირიმსაც უკრაინის ტერიტორიად აღიარებდა.

2014 წელს, რუსეთ-უკრაინის ურთიერთობები მკვეთრად შეიცვალა. კრემლმა ისარგებლა უკრაინაში მიმდინარე შიდა-პოლიტიკური დამაბულობით და სამხედრო ძალის გამოყენებით, ჯერ ყირიმის ოკუპაცია და შემდეგ მისი სრული ანექსია განახორციელა. ასევე, აღმოსავლეთ უკრაინის რეგიონში, კერძოდ დომბასსა და ლუგანსკში შეიარაღებული სეპარატიზმი გააღვივა და მას სამხედრო ძალით დაუჭირა მხარი. შედეგად, უკრაინის შიგნით, რუსეთის მიმართ დამოკიდებულება ნეგატიური გახდა და დასავლური მიზიდულობა გაიზარდა, განსაკუთრებით შეერთებული შტატების მიმართ.²

აღმოსავლეთ უკრაინაში შეიარაღებული კონფლიქტი 2014 წლის დასაწყისში, რუსეთის მიერ ყირიმის ანექსიით დაიწყო, რაც უკრაინის დედაქალაქ კიევში საპროტესტო აქციების შედეგად კრემლისადმი ლოიალურად განწყობილი პრეზიდენტის

¹ Mark, Piotrzyk. 1999. *Explaining the Post-Cold War Order: The International Community's Approach*. Washington, February 16-20. <https://ciaotest.cc.columbia.edu/conf/pim01>

² Piefer, Stephen. 2017. "How Ukraine views Russia and the West." *brookings*. <https://www.brookings.edu/articles/how-ukraine-views-russia-and-the-west/>.

ვიქტორ იანუკოვიჩის ქვეყნიდან გაქცევის შემდეგ გამოწვეულ ქაოსს მოჰყვა. ყირიმის ოკუპაციისა და ანექსიის ფონზე ვითარება აღმოსავლეთ უკრაინაში, დონეცკისა და ლუგანსკის ოლქებშიც დაიძაბა. რუსეთის ფედერაციის სპეც-სამსახურების მიერ მხარდაჭერილმა პრორუსულმა სეპარატისტულმა ჯგუფებმა დონეცკისა (2014წ. 7 აპრილი) და ლუგანსკის (2014 წ. 27 აპრილი) ეწ. სახალხო რესპუბლიკების დამოუკიდებლობა გამოაცხადეს და მათი გადაწყვეტილება 2014 წლის 11 მაისის ეწ. რეფერენდუმების შედეგებით განამტკიცეს. 2015 წლის თებერვლიდან საფრანგეთისა და გერმანიის შუამავლობით მინსკში დაიწყო რუსეთ-უკრაინის მოლაპარაკებები, რაც საბოლოო ჯამში რუსეთის მიერ უკრაინისათვის ყირიმის დაბრუნებას გულისხმობდა. თუმცა, ეს მცდელობები წარუმატებელი აღმოჩნდა.

რუსეთის აგრესიული ქმედებების ფონზე, ნატო-მ 2016 წლის აპრილში, ევროპაში ოთხი ბატალიონი განალაგა, კერძოდ: ესტონეთში, ლატვიაში, ლიტვასა და პოლონეთში. ხოლო, 2018 წელს გაძლიერდა სანქციები და დაიწყო უკრაინისათვის ტანკსაწინააღმდეგო ნაღბების მიყიდვა. ამავე წლის ოქტომბერში დაიწყო უკრაინის ჯარის საჰაერო წვრთნები. ამ ფონზე, 2021 წლის დეკემბერის შუა რიცხვებში რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ მოუწოდა აშშ-ს და ნატოს, რომ შეწყვიტა სამხედრო აქტივობა აღმოსავლეთ ევროპაში, არ დაეშვა ნატოს შემდგომი გაფართოება და უკრაინის ნატოში გაწევრიანება, რაზეც სრული პასუხი ვერ მიიღეს.

2022 წლის თებერვალში სატელიტურმა სურათებმა დაადასტურა რუსული ჯარების განლაგება უკრაინის საზღვრებთან. რუსეთმა, 2022 წლის 21 თებერვალს დონეცკისა და ლუგანსკის ეგრეწოდებული, სახალხო რესპუბლიკები აღიარა, რასაც 22 თებერვალს გერმანიის კანცლერისმიერ ჩრდილოეთ ნაკადი 2-ის სერთიფიცირების შეჩერება მოჰყვა. 24 თებერვალს, მას შემდეგ, რაც პრეზიდენტმა პუტინმა შეიქცეული ძალების გამოყენებაზე სახელმწიფო სათათბიროს თანხმობა მიიღო, ეგრეწოდებული „სპეციალური სამხედრო ოპერაციის“ დაწყების ბრძანება გასცა და 2022 წლის 24 თებერვალს რუსული სამხედრო ნაწილები უკრაინაში შეიჭრნენ.

ძირითადი ნაწილი

ომის პირდაპირი გავლენა საერთაშორისო სტაბილურობაზე

გლობალური უსაფრთხოების არქიტექტურის რღვევა?

უკრაინის ომმა გლობალური უსაფრთხოების არქიტექტურა მნიშვნელოვნად შეარყია, შეცვალა საერთაშორისო ურთიერთობები და ძალაუფლების დინამიკა. ომმა გამოიწვია გლობალური ალიანსების გადაჯგუფება. აღსანიშნავია რუსეთის მხარედი პარტნიორობა ჩინეთთან, რადგან ორივე ქვეყანა ცდილობს დააბალანსოს აშშ-ს გავლენა. კონფლიქტმა აიძულა ნატო გაემლიერებინა თავისი აღმოსავლეთი ფლანგი. ვინაიდან ეს აგრესია წარმოადგენს გაერო-ს წესდების აშკარა დარღვევას, დაიწყო დისკუსიები იმის შესახებ, რომ დატოვოს თუ არა რუსეთმა საერთაშორისო ორგანიზაციები, მათ შორის ევროპის საბჭო. გარდა ამისა გაჩნდა დისკუსია იმის შესახებ, რომ საჭიროა ევროპული უსაფრთხოების არქიტექტურის გადახედვა, რადგან მიღწეულ იქნეს გრძელვადიანი სტაბილურობა. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ მუდმივი სამხედრო ჩიხით ვე-

რც ერთი მხარე ვერ მიაღწევს გადამწყვეტ გამარჯვებას უახლოეს მომავალში. ამიტომ, საჭიროა უსაფრთხოების ახალი ჩარჩოს ჩამოყალიბება, რომელიც მოერგება როგორც დასავლეთის, ასევე რუსეთის ინტერესებს.

საერთაშორისო სამართლისა და ნორმების ეროზია?

რუსეთ-უკრაინის ომმა საერთაშორისო სამართალი და ნორმები საგრძნობლად დაარღვია. მაგალითად ძალის გამოყენების აკრძალვისა და სახელმწიფო სუვერენიტეტის პრინციპები. გერო-ს წესდებით რომ ვიმსჯელოთ, რუსეთის შეჭრა უკრაინაში არის გაერო-ს წესდების მე-2 მუხლის მე-4 პუნქტის აშკარა დარღვევა, რომელიც წევრ ქვეყნებს უკრძალავს ძალის გამოყენებას, სხვა სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის ან პოლიტიკური დამოუკიდებლობის წინააღმდეგ.³ მიუხედავად რუსეთის მცდელობისა გაამართლოს თავისი ქმედებები უკრაინაში რუსულენოვანი მოსახლეობის წინააღმდეგ თავდაცვისა და გენოციდის ბრალდებებით, ამ არგუმენტებს არ გააჩნია ფაქტობრივი და სამართლებრივი მხარდაჭერა.⁴ რუსეთი, როგორც გეროს უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრის პოზიცია ართულებს მის დასჯას, რადგან მას ვეტოს უფლება გააჩნია.

ეკონომიკური შედეგები

ენერგეტიკული გამოწვევები (განსაკუთრებით ევროპაში)

რუსეთ-უკრაინის ომმა ღრმად იმოქმედა ევროპის ენერგეტიკულ გამოწვევებზე, რამაც გამოიწვია ენერჯის ბაზრების და მიწოდების ქსელების მნიშვნელოვანი რღვევა. უკრაინაში შეჭრის შემდეგ ევროპის ქვეყნები ენერგეტიკულ კრიზისში აღმოჩნდნენ, რადგან რუსეთმა შეწყვიტა გაზის მიწოდება.⁵ თავის პიკზე ევროპა ეყრდნობოდა რუსეთს, მისი ბუნებრივი გაზის იმპორტის დაახლოებით 44%-ს იღებდა ევროპა და ნედლი ნავთობის იმპორტს 28%-საც ამ მიწოდების შემცირებამ განაპირობა ენერჯის ფასების მკვეთრი ზრდა.⁶ კრიზისის საპასუხოდ ევროკავშირმა მიიღო ზომები, რომელიც მიზნად ისახავს ენერგომომარაგების სტაბილიზაციას, მაგალითად, ევროკავშირმა გაზარდა იმპორტი ნორვეგიიდან და აშშ-დან. შესაბამისად 2023 წლისთვის რუსული გაზი ევროკავშირის მთლიანი იმპორტის 15%-ზე ნაკლებს შეადგენდა. ასევე, წევრ ქვეყნებში გაზის მოხმარების შესამცირებლად მიღებული იქნა როგორც ნებაყოფლობითი, ისე სავალდებულო ზომები. მაგ. იტალიამ ერთი წლის განმავლობაში რუსეთის გაზზე დამოკიდებულების განახევრება შეძლო, 40%-დან 19% მდე.

³ John Bellinger, John. 2022. *How Russia's invasion of Ukraine violates international law*. Washington: council on foreign relations. <https://www.cfr.org/article/how-russias-invasion-ukraine-violates-international-law>.

⁴ Hatwawai, Ona. 2023. "How Russia's invasion of Ukraine tested the international legal order." *brookings*. <https://www.brookings.edu/articles/how-russias-invasion-of-ukraine-tested-the-international-legal-order/>.

⁵ პაპალაშვილი, სალომე. 2022. *უკრაინა-რუსეთი: როგორ იმოქმედებს კონფლიქტი განახლებადი ენერჯის განვითარების დაჩქარებაზე?* მარტი 8. Accessed ნოემბერი 17, 2024. <https://forbes.ge/ukraina-rusethi-rogor-imoqmedebs-konphlikti-ganakhlebadi-energiis-ganvitharebis-dachqarebaze/>.

⁶ Simone Emiliozzi, Fabrizio Ferriani, Andrea Gazzani. 2024. "The European energy crisis and its consequences for the global natural gas market." *voxeu*. <https://cepr.org/voxeu/columns/european-energy-crisis-and-consequences-global-natural-gas-market>.

სურსათის უსაფრთხოების პრობლემები

მიმდინარე კონფლიქტმა გლობალური სურსათის უსაფრთხოებაზე მნიშვნელოვანი გავლენა იქონია და მიწოდებასთან დაკავშირებით დაძაბული ვითარება შეიქმნა. ვინაიდან, უკრაინა, როგორც სოფლის მეურნეობის მთავარი ექსპორტიორი, გლობალურ ბაზარს ხორბლის დაახლოებით 20% და სიმინდის, ქერის, მზესუმზირის ზეთის მნიშვნელოვან წილს აწვდის⁷. ესპორტის ვარდნა რამოდენიმე მიზეზმა გამოიწვია: შავი ზღვის პორტების ბლოკადა, კონფლიქტამდე უკრაინის სასოფლო სამეორნეო ექსპორტის დაახლოებით 90% ზღვით გადადიოდა. ომის დაწყებისას ბლოკადამ ექსპორტის 90% შეამცირა. რუსეთის როლი, როგორც სასუქის წამყვანი ექსპორტიორი, სურსათის უსაფრთხოების საკითხს კიდევ უფრო ართულებს, რადგან სანქციებმა ამ აუცილებელ პროდუქტებზე წვდომა შეზღუდა და მთელ მსოფლიოში სოფლის მეურნეობას პრობლემები შეუქმნა. ვარაუდობენ, რომ 2022-2023 წლების განმავლობაში ომმა არასაკმარის კვებაზე მყოფი ადამიანების რაოდენობას მნიშვნელოვნად გაზარდა. საუბარია 7,3 დან 12,1 მილიონ ადამიანზე.

სანქციები და მისი ეფექტები

რუსეთის წინააღმდეგ დაწესებულმა სანქციებმა დიდი გავლენა მოახდინა როგორც რუსეთის ეკონომიკაზე, ასევე გლობარულ ეკონომიკურ სივრცეზე. 2022 წლის თებერვლიდან დასავლეთის ქვეყნებმა, მათ შორის აშშ-მ და ევროკავშირმა განახორციელეს სანქციების 10 ზე მეტი პაკეტი რუსეთის ეკონომიკის სხვადასხვა სექტორზე, რომელიც მიზნად ისახავდა შეესუსტებინათ რუსეთის სამხედრო შესაძლებლობები და ფინანსურ რესურსებზე წვდომა.

ეკონომიკური შეზღუდვების დაწესების შედეგად, რუსეთის ეკონომიკა 2022 წელს მნიშვნელოვნად გამოწვევების წინაშე აღოჩნდა, დაახლოებით 2.1%-ით შემცირდა მშპ, თითქმის 15% ით შემცირდა იმპორტი, ასევე სანქციებმა გამოიწვია ნავთობის იმპორტით მიიღებული შემოსავლების მკვეთრი ვარდნა, წინა წელთან შედარებით 2023 წლის დასაწყისში 40%-ით შემცირდა⁸. გაიზარდა ინფლაციის მაჩვენებელი და 2022 წელს დაახლოებით 13,8% მიაღწია. დაახლოებით 2,400 მილიარდ რუბლამდე გაიზარდა რუსეთის ბიუჯეტის დეფიციტი. თუმცა, მიუხედავად ამისა სანქციებმა რუსეთი ვერ აიძულა რომ შეცვალოს თავისი აგრესიული პოზიცია, ან დაუბრუნდეს მოლაპარაკებებს. რუსეთის მიიმართ დაწესებული სანქციების ეფექტურობა ჯერ კიდევ საკამათო რჩება. მიუხედავად იმისა, რომ მათ რუსეთის ეკონომიკა საგრძნობლად დააზარალეს, შეიძლება ითქვას, რომ კონფლიქტის დინამიკის შესაცვლელად არა საკმარისია.

⁷ ჩაკვეტაძე, კახი. 2022. "ხორბალი, მზესუმზირა, შაქარი - პროდუქტები, რომლის ექსპორტი ქვეყნებმა აკრძალეს ან შეზღუდეს." *Business Press News*.

⁸ Lingas, Rachel. 2023. *Official website of the US government*. December 14. Accessed November 16, 2024. <https://home.treasury.gov/news/featured-stories/sanctions-and-russias-war-limiting-putins-capabilities>.

დიდი ძალები (აშშ, რუსეთი, ჩინეთი, ევროკავშირი და ნატო) და გეოპოლიტიკური ცვლილებები

დიდი ძალების კონკურენცია

რუსეთ უკრაინის ომმა გააძლიერა დიდი ძალების კონკურენცია, როგორცაა აშშ, რუსეთი, ჩინეთი და ევროკავშირი.

აშშ-რუსეთის მეტოქეობა გამწვავდა და ორივე სახელმწიფო იბრძვის გავლენის-თვის აღმოსავლეთ ევროპაში და მის ფარგლებს გარეთ. ამას ემატება მოსაზრება, რომ რუსეთის ქმედებები არის პასუხი ნატო-ს გაფართოებაზე და დასავლეთის გავლენებზე მის ინტერესთა სფეროში, განსაკუთრებით პოსტსაბჭოთა ქვეყნებში, როგორცაა უკრაინა, მოლდოვა და საქართველო⁹.

უკრაინის მხარდაჭერაზე ფოკუსირების გამო, შესაძლებელია აშშ-მა ყურადღება მოადუნოს აზიაზე, რამაც შეიძლება ხელი შეუწყოს ჩინეთს უფრო აგრესიულად მიუ-დგეს თავისი ინტერესების განხორციელებას ტაივანთან მიმართებაში.

ევროკავშირი კოპლექსური გამოწვევის წინაშე დგას, რადგან მზარდი დაძაბუ-ლობის ფონზე იგი აგრძელებს ურთიერთობას რუსეთთან და ჩინეთთან. მიუხედავად იმისა რომ წევრი ქვეყნები დიდწილად გამოხე-რუსეთის ქმედებებს, არსებობს უხერ-ხულობა რუსეთის ენერგო-მატარებელ რესურსებზე მათი დამოკიდებულების გამო.

ომმა შეაფერხა მიწოდების გლობარული ქსელები, განსაკუთრებით ენერგეტი-კისა და სოფლის მეურნეობის სფეროში, რამაც გამოიწვია ფასების ზრდა და დეფიციტი მთელ მსოფლიოში. იმის გამო რომ რუსეთი და უკრაინა ძირითადი საქონლის ექსპორ-ტიორები არიან, როგორცაა ხორბალი და ბუნებრივი აირი, მათ კონფლიქტს აქვს მნი-შვნელოვანი გავლენა რესურსების ფასებზე.

ჩინეთის პოზიცია და რუსეთ-ჩინეთის განვითარებადი ურთიერთობა

ჩინეთის პოზიცია რუსეთ-უკრაინის ომთან და რუსეთთან მისი ურთიერთობე-ბის განვითარებასთან დაკავშირებით მრავალმხრივია, რაც ასახავს მის სტრატეგიულ ინტერესებს და დიპლომატიური დაბალანსების პოლიტიკას. ჩინეთმა კონფლიქტში სტრატეგიული გაურკვევლობის პოზიცია შეინარჩუნა. რამეთუ არ დაგმო რუსეთის ქმედებები, მაგრამ ხაზი გაუსვა ტერიტორიული მთლიანობის მნიშვნელობას.

2023 წლის თებერვალში ჩინეთმა გამოაქვეყნა თორმეტ პუნქტიანი გეგმა, რომე-ლიც მხარს უჭერდა პოლიტიკური მოგვარების მოთხოვნებს, მიზნად ისახავდა შუა-მავლობას და არა კონფლიქტში მონაწილეობას. ეს მიდგომა ჩინეთს საშუალებას აძ-ლევს შეინარჩუნოს ურთიერთობა როგორც რუსეთთან, ასევე უკრაინასთან და თავი წარმოაჩინოს, როგორც ნეიტრალური მოთამაშე.¹⁰ მიუხედავად ამისა ფაქტია, რომ ომ-მა გააძლიერა თანამშრომლობა ჩინეთსა და რუსეთს შორის, განსაკუთრებით ენერგე-ტიკის სფეროში.

⁹ trenin, Dmitry. 2014. *the ukraine crisis and the resumption of great power rivalry*. july 14. Accessed october 11, 2024. <https://eng.globalaffairs.ru/articles/the-ukraine-crisis-and-the-resumption-of-great-power-rivalry/>.

¹⁰ Huasheng, Zhao. 2023. "Understanding China's policy in the Russia-Ukraine war and its impact on China-US relations." *the diplomat*. <https://thediplomat.com/2023/11/understanding-chinas-policy-in-the-russia-ukraine-war-and-implications-for-china-us-relations/>

ჩინეთმა დასავლეთის სანქციების ფონზე, ისარგებლა რუსული ნავთობისა და გაზის ფასდაკლებით. გარდა ამისა, ჩინეთი ფრთხილად ეკიდება რუსეთთან მის ურთიერთობას. ვინაიდან, ჩინეთი რუსეთს განიხილავს, როგორც მნიშვნელოვან ფაქტორს რეგიონალური სტაბილურობისთვის და როგორც აშშ-ს ჰეგემონიის საპირწონეს. იგი ასევე აცნობიერებს რისკებს, რომლებიც მიმდინარე კონფლიქტის ფონზე დაკავშირებულია რუსეთთან ზედმეტ სიახლოვესთან, რომელსაც შეიძლება არაპროგნოზირებადი შედეგი ჰქონდეს.

ნატო-ს გაფართოება

რუსეთ-უკრაინის ომის კონტექსტში ნატოს გაფართოება სადაო საკითხია. ნატოს გაფართოება განიხილება, როგორც პასუხი აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების უსაფრთხოების საჭიროებებზე, რომლებიც რუსული აგესიისგან თავდაცვას ცდილობენ. ისეთი ქვეყნები როგორცაა უკრაინა, საქართველო და სხვები. რუსული იმპერიალიზმის აღორძინების შიშით, თავიანთი სუვერენიტეტისა და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად ნატო-ში გაწევრიანებას ცდილობენ. თუმცა, რუსეთი ნატო-ს გაფართოებას საკუთარ უსაფრთხოებაზე მუქარად აღიქვამს. აღნიშნულ მოცემულობას კრიტიკული თვალთუ შვეხედავთ აღმოვაჩინთ, რომ შეერთებული შტატების პოლიტიკა, რომელიც ხელს უწყობს ნატო-ს გაფართოებას არის რუსეთის ქმედებების მაპროვოცირებელი, რამე თუ იგი იწვევს რუსეთის ლეგიტიმურ შემფოთებას საკუთარი უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებით. რუსეთ უკრაინის ომის ფონზე ნატომ განიცადა ცვლილებები, რომლებიც გამოწვეული იყო უსაფრთხოების გამოწვევებით თუ დამაბულობით, ამის ფონზე 2023 წელს ფინეთი გახდა ნატოს წევრი¹¹, ხოლო 2024-ში უკვე შვედეთმაც შეაღწია ნატოში. შვედეთის გაწევრიანებამ მოგვცა ის რომ ჩრდილოეთ ევროპა უკვე ნატოს ქოლგის ქვეშაა, რაც აძლიერებს ალიანსის თავდაცვის უნარიანობას. ეს გაფართოება რუსეთისთვის გამოწვევად იქცა და ამ გაფართოების ქმედებამ აჩვენა ის, თუ რამდენად მნიშვნელოვანია დასავლეთის ქვეყნების ერთობა უსაფრთხოების საკითხებში.¹²

გავლენა რეგიონულ ორგანიზაციებზე (ევროკავშირი, ეუთო და ევროპის საბჭო)

რუსეთ-უკრაინის ომმა დიდი გავლენა მოახდინა რეგიონალურ ორგანიზაციებზე, როგორცაა: ევროკავშირი, ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია (ეუთო) და ევროპის საბჭო.

ევროკავშირმა მკაცრად დაგმო რუსეთის სამხედრო აგრესია და ახორციელებს საპასუხო ღონისძიებათა ფართო სპექტრს, რათა შეასუსტოს რუსეთის ომის შესაძლებლობები. ქმედებები მოიცავს 2022 წლის თებერვლიდან მოყოლებული სანქციების მრავალ რაუნდს, რომლებიც მიზნად ისახავს საკვანძო ინდუსტრიებისა და ფინანსური სისტემების დაშლას. ასევე, მოიცავს უკრაინისათვის სამხედრო აღჭურვილობის და

¹¹ ფარულავა, თორნიკე. 2023. *ფინეთი ნატოში*. აგვისტო 1.

¹² მედია, ბიზნეს. 2024. *შვედეთი ნატო-ს წევრი ოფიციალურად გახდა*. მარტი 7.

ჰუმანიტარული დახმარების დაფინანსებას, კონფლიქტისგან გაქცეული ლტოლვილების მხარდაჭერასთან ერთად.

ეუთო კონფლიქტის გამო მნიშვნელოვანი ოპერატიული შეზღუდვების წინაშე აღმოჩნდა. შეიზღუდა მისი სპეციალური სადამკვირვებლო მისია უკრაინაში, რაც ამცირებს მის შესაძლებლობას ეფექტურად შეასრულოს თავისი მანდატი. მიუხედავად ამ გამოწვევებისა, ევროპაში უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებით, ეუთო აგრძელებს წევრ ქვეყნებს შორის დიპლომატიური დისკუსიებს. თუმცა, მისი გავლენა მცირდება, რადგან წევრი ქვეყნები უფრო მეტად უერთდებიან ნატო-ს ან ევროკავშირის პოზიციებს რუსეთის წინააღმდეგ.

რუსეთის აგრესიულ ქმედებებთან მიმართებაში განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ევროპის საბჭოს რეაქცია, რომელმაც მკაცრად დაგმო რუსეთის ქმედებები და იგი ორგანიზაციიდან გარიცხა. ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის 2022 წლის 16 მარტის გადაწყვეტილების შემდეგ, რუსეთის ფედერაცია აღარ არის ევროპის საბჭოს წევრი. ევროპის საბჭოს 75-წლიანი ისტორიის განმავლობაში ეს არის უპრეცედენტო შემთხვევა.¹³

უსაფრთხოების განვითარებადი პარადიგმა

ევროპული ქვეყნების თავდაცვის შესაძლებლობების გაზრდის ტენდენცია

უკრაინის ომმა გამოიწვია მნიშვნელოვანი ცვლილება ევროპის თავდაცვის პოლიტიკაში, რამაც აიძულა მრავალი ქვეყანა გაეუმჯობესებინათ სამხედრო შესაძლებლობები და გადაეხედათ უსაფრთხოების სტრატეგიებისათვის. კონფლიქტის დაწყების შემდეგ ევროპულმა ქვეყნებმა თავდაცვის ბიუჯეტი მკვეთრად გაზარდეს.¹⁴

2023 წელს, ევროკავშირის თავდაცვის ხარჯებმა რეკორდულ 270 მილიარდ ევროს მიაღწია. გარდა ამისა შეეცვალა გერმანიის დამოკიდებულებაც, რადგან 100 მილიარდი ევრო გადაიდო გერმანული შეიარაღებული ძალების განახლებისთვის.

ევროკომისიამ წარმოადგინა ყოვლისმომცველი თავდაცვის ინდუსტრიული სტრატეგია, რომელიც მიზნად ისახავს ევროპის სტრატეგიული ავტონომიის გაძლიერებას. ეს სტრატეგია ხაზს უსვამს კოორდინირებულ ინვესტიციებს, ერთობლივ კვლევასა და წევრ სახელმწიფოებს შორის კოლექტიური შესყიდვების ძალისხმევას. უფრო ინტეგრირებული თავდაცვის ბაზრის ხელშეწყობით, ევროკავშირი ცდილობს შეამციროს არაევროპელ მომწოდებლებზე დამოკიდებულება და დამოუკიდებლად უზრუნველყოს თავდაცვის საჭიროებები.¹⁵

¹³ portal, council of europe. 2022. *european committee on legal cooperation*. march 2022. Accessed november 19, 2024. <https://www.coe.int/en/web/cdcj/-/russian-federation-excluded-from-the-council-of-europe>.

¹⁴ Company, Mckinsey. 2022. *Invasion of Ukraine: Implications for European defense spending*. 19 december.

¹⁵ grand, camille. 2024. *Defending Europe with less America*. july 3. Accessed october 11, 2024. <https://ecfr.eu/publication/defending-europe-with-less-america/>.

ბირთვული შეკავებისა და ესკალაციის რისკები

რუსეთ-უკრაინის ომმა მნიშვნელოვნად გაამძაფრა რისკები, რომლებიც ბირთვულ შეკავებასთან და ესკალაციასთანაა დაკავშირებული. გამოავლინა არსებულ უსაფრთხოების ჩარჩოებში არსებული ხარვეზი და გააჩინა შიში ბირთვული კონფლიქტის წარმოქმნის შესაძლებლობასთან დაკავსიერებით. ვინაიდან, კონფლიქტის დაწყებიდან რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი იყენებს ბირთვულ მუქარას, როგორც სტრატეგიულ ინსტრუმენტს დასავლეთის ჩართულობის შესაჩერებლად. იგი ამტკიცებდა, რომ არაბირთვული სახელმწიფოს ნებისმიერი თავდასხმა, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ მას მხარს უჭერს ბირთვული ძალა, შეიძლება განიმარტოს როგორც „ერთობლივი თავდასხმა“, რითაც გაამართლებს ბირთვულ პასუხს.¹⁶

გრძელვადიანი შედეგები საერთაშორისო სტაბილურობისთვის კონფლიქტის მოგვარების პოტენციური სცენარები

რუსეთ-უკრაინის კონფლიქტის მოგვარების სხვადასხვა პოტენციური სცენარი არსებობს, რაც შეიძლება ასახავდეს რთულ გეოპოლიტიკურ ლანდშაფტს და როგორც უკრაინის, ისე რუსეთის ინტერესებს. განვიხილოთ რამდენიმე მათგანი:

პირველი სცენარი უკრაინის გამარჯვებაა, ამ სცენარში, უკრაინა წარმატებით განდევნის რუსულ საიკუპაციო ძალებს საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებთან, რაც ფაქტობრივად დაასრულებს კონფლიქტს. უკრაინის სავარაუდო გამარჯვება გულისხმობს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას, უსაფრთხოების გარანტიებს და პოტენციურ წევრობას ნატოსა და ევროკავშირში.

მეორე სცენარი რუსეთის გამარჯვებაა, რუსეთის გამარჯვება შეიძლება მოხდეს, თუ უკრაინის სამხედრო შესაძლებლობები მნიშვნელოვნად შესუსტდება, დასავლეთის მხარდაჭერის შემცირების ან შიდა გამოწვევების გამო. ამ სცენარში, რუსეთმა შეიძლება მოითხოვოს კონტროლი ოკუპირებულ ტერიტორიებზე და გააძლიეროს თავისი გავლენა რეგიონში.

მესამე სცენარი მოლაპარაკებაა, ეს სცენარი მოიცავს რუსეთსა და უკრაინას შორის ცეცხლის შეწყვეტას იძულებით ან მოლაპარაკებით, რასაც შესაძლოა ხელი შეუწყოს საერთაშორისო შუამავლებმა.

სცენარები რომ დავყოთ: პირველი გამოიწვევს უკრაინის გაძლიერებას და აგრესიის შეკავებას; მეორე გააძლიერებს რუსულ ავტორიტალურ რეჟიმს; ხოლო მესამე უკრაინას და საერთაშორისო სისტემას მისცემს დროებით შვებას, თუმცა დატოვებს დაძაბულობას.

ნდობის აღდგენა და საერთაშორისო თანამშრომლობა

რუსეთ-უკრაინის ომის შემდეგ ნდობისა და საერთაშორისო თანამშრომლობის აღდგენა რთული გამოწვევაა, რომელიც გართულებული იქნება გეოპოლიტიკური და-

¹⁶ Mao, Francis. 2024. "Putin proposes new rules for using nuclear weapons." *BBC*. <https://www.bbc.com/news/articles/c5yjej0rvw0o>.

მაბულობითა და გლობალური ალიანსების ცვალებადი დინამიკით. ნდობა სავარაუდოდ შესაძლებელია აღდგეს საერთაშორისო ინსტიტუტების დახმარებით. მაგალითად, თანამშრომლობის ახალი ჩარჩოების შექმნა, რომელიც ქვეყნებს შორის გამჭვირვალობას, ანგარიშვალდებულებასა და ურთიერთპატივისცემას გამოიწვევს. ომი ხაზს უსვამს რეფორმების აუცილებლობას ძირითად საერთაშორისო ორგანიზაციებში, როგორცაა გაერო, რათა გაზარდოს მათი ეფექტურობა კონფლიქტების პრევენციაში. სტრუქტურული საკითხების განხილვა, როგორცაა უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრების ვეტოს უფლება, გადამწყვეტია გლობალური სანდოობისა და ფუნქციონირების აღდგენისთვის.

დასკვნა

რუსეთ უკრაინის ომთან დაკავშირებული მასალების შესწავლისა და ანალიზის საფუძველზე ნათელია, რომ ამ ომმა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა, როგორც საერთაშორისო უსაფრთხოებაზე ისე ეკონომიკურ სტაბილურობაზე. ერთ-ერთი მთავარი შედეგი იყო ენერგეტიკული კრიზისი, რომელმაც გაუარესებული გარემო შექმნა ევროპის ქვეყნებში. ევროკავშირი, რომელიც რუსეთზე დამოკიდებული იყო, იძულებული გახდა ალტერნატიული წყაროები ეძია, რამაც ნაწილობრივ დაასუსტა ენერგეტიკული სისტემა. თუმცა, კრიზისის გავლენა ენერჯის ფასებზე კვლავ გრძელდება. მეორე მნიშვნელოვანი შედეგი გლობალური სურსათის უსაფრთხოების კრიზისია, რადგან უკრაინიდან და რუსეთიდან ექსპორტი შეფერხდა.

რუსეთ უკრაინის ომმა გაამწვავა კონკურენცია დიდ ძალებს შორის, როგორცაა აშშ, ჩინეთი და რუსეთი, რომლებიც გავლენისთვის ევროპაში და აზიაში იბრძვიან. ომმა გაართულა ევროკავშირის მდგომარეობა ენერგეტიკის მხრივ. ხოლო ჩინეთს ახალი შესაძლებლობები გაუჩინა.

რუსეთ-უკრაინის ომმა დააჩქარა რეგიონალური უსაფრთხოების გაფართოება, ამ ფაქტმა გარკვეულწილად შეცვალა ნატო-ს სტრატეგიული და გეოპოლიტიკური ვითარება, რამეთუ 2023 წელს ფინეთი, ხოლო 2024 წელს შვედეთი გაწევრიანდა ნატოში, რითაც ალიანსმა გააძლიერა თავისი პოზიციები ჩედილოეთ ევროპაში. ამასთან ევროპაში გაიზარდა სამხედრო მობილიზაცია, კერძოდ ნატო-ს წევრ სახელმწიფოებში. მაგ. პოლინეთი აქტიურად განაგრძობს საკუთარი არმიის გაძლიერებას, ტექნიკის შეძენას და ნატოს სტრატეგიებში უფრო აქტიურად მონაწილეობს, რომელიც აღ. საზღვრების შეკავებას ისახავს მიზნად.

რუსეთ უკრაინის ომმა ევროპულ ქვეყნებს აიძულა, მიეღოთ უსაფრთხოების ზომები, რამეთუ ნატოს ქვეყნებში გაიზარდა სამხედრო მობილიზაცია და სანქციების მეშვეობით ევროპული ქვეყნები ცდილობენ რუსეთის ეკონომიკური შესაძლებლობების შეზღუდვას. 2022 წლიდან დაწესებულმა 10-ზე მეტმა სანქციების პაკეტმა რუსეთის ეკონომიკას მიაყენა დარტყმა მაგ. შემცირდა მშპ, გაიზარდა ინფლაცია და განხორციელდა ბიუჯეტის დეფიციტი, თუმცა როგორც იყო დაგეგმილი რუსეთის ეკონომიკის ჩამოშლა ვერ განხორციელდა.

რუსეთ უკრაინის ომმა გავლენა მოახდინა რეგიონურ ორგანიზაციებზე. ევროკავშირმა დაგმო რუსეთის აგრესია და დაუწესა სანქციები, რომელთა მიზანი რუსეთის ეკონომიკისა და სამხედრო შესაძლებლობების დასუსტება იყო. ეუთოს როლი ამ ომისას შეზღუდულია მაგრამ ეს ორგანიზაცია მაინც განაგრძობს დისკუსიებს უსაფრთხოების საკითხებზე და ბოლოს ევროპის საბჭომ 2022 წლის მარტში გარიცხა რუსეთი ორგანიზაციიდან, ორგანიზაციამ ასევე ხაზი გაუსვა რუსეთის დემოკრატიული პრინციპების დარღვევას.

ჩინეთი, მიუხედავად ომში აქტიური მონაწილეობისა, ფრთხილად ეკიდება რუსეთთან მჭიდრო კავშირების შექმნას.

გაერო-ს, როგორც საერთაშორისო ინსტიტუტის, ეფექტურობა შემცირდა, რადგან რუსეთის ვეტოს უფლება ხელს უშლის უშიშროების საბჭოში ომის შესახებ მნიშვნელოვანი რეზოლუციების მიღებას.

რომ შევაჯამოთ, რუსეთ-უკრაინის ომი გლობალური სტაბილურობისთვის უმნიშვნელოვანესი გამოწვევაა, რომელიც ახალ სამხედრო-პოლიტიკურ და ეკონომიკურ რეალობას ქმნის და მთელი მსოფლიოს თანამშრომლობისა და უსაფრთხოების სისტემების გადახედვას მოითხოვს.

გამოყენებული ლიტერატურა

- მედია, ბიზნესი. 2024. *შვედეთი ნატო-ს წევრი ოფიციალურად გახდა*. მარტი 7.
- პაპალაშვილი, სალომე. 2022. *უკრაინა-რუსეთი: როგორ იმოქმედებს კონფლიქტი განახლებადი ენერჯის განვითარების დაჩქარებაზე?* მარტი 8. Accessed ნოემბერი 17, 2024. <https://forbes.ge/ukraina-rusethi-rogor-imoqmedebs-konphliqti-ganakhlebad-energiis-ganvitharebis-dachqarebaze/>.
- ფარულავა, თორნიკე. 2023. *ფინეთი ნატოში*. აგვისტო 1.
- ჩაკვეტაძე, კახი. 2022. "ხორბალი, მზესუმზირა, შაქარი - პროდუქტები, რომლის ექსპორტი ქვეყნებმა აკრძალეს ან შეზღუდეს." *Business Press News*.
- Company, Mckinsey. 2022. *Invasion of Ukraine: Implications for European defense spending*. 19 december.
- grand, camille. 2024. *Defending Europe with less America*. july 3. Accessed october 11, 2024. <https://ecfr.eu/publication/defending-europe-with-less-america/>.
- Hatwawai, Ona. 2023. "How Russia's invasion of Ukraine tested the international legal order." *brookings*. <https://www.brookings.edu/articles/how-russias-invasion-of-ukraine-tested-the-international-legal-order/>.
- Huasheng, Zhao. 2023. "Understanding China's policy in the Russia-Ukraine war and its impact on China-US relations." *the diplomat*. <https://thediplomat.com/2023/11/understanding-chinas-policy-in-the-russia-ukraine-war-and-implications-for-china-us-relations/>.
- John Bellinger, John. 2022. *How Russia's invasion of Ukraine violates international law*. Washington: council on foreign relations. <https://www.cfr.org/article/how-russias-invasion-ukraine-violates-international-law>.
- Lingas, Rachel. 2023. *Official website of the US government*. December 14. Accessed November 16, 2024. <https://home.treasury.gov/news/featured-stories/sanctions-and-russias-war-limiting-putins-capabilities>.

- Mao, Francis. 2024. "Putin proposes new rules for using nuclear weapons." *BBC*.
<https://www.bbc.com/news/articles/c5yjej0rvw0o>.
- Mark, Pietrzyk. 1999. *Explaining the Post-Cold War Order: The International Community's Approach*. Washington, February 16-20. <https://ciaotest.cc.columbia.edu/conf/pim01/>.
- Piefer, Stephen. 2017. "How Ukraine views Russia and the West." *brookings*.
<https://www.brookings.edu/articles/how-ukraine-views-russia-and-the-west/>.
- portal, council of europe. 2022. *european committee on legal cooperation*. march 2022. Accessed november 19, 2024. <https://www.coe.int/en/web/cdcj/-/russian-federation-excluded-from-the-council-of-europe>.
- Simone Emiliozzi, Fabrizio Ferriani, Andrea Gazzani. 2024. "The European energy crisis and its consequences for the global natural gas market." *voxeu*.
<https://cepr.org/voxeu/columns/european-energy-crisis-and-consequences-global-natural-gas-market>.
- trenin, Dmitry. 2014. *the ukraine crisis and the resumption of great power rivalry*. july 14. Accessed october 11, 2024. <https://eng.globalaffairs.ru/articles/the-ukraine-crisis-and-the-resumption-of-great-power-rivalry/>.

სკეუმორფიზმი - მისი დანიშნულება ფიზიკურ და ციფრულ სამყაროში

ანა-მარია ქებაძე

სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს
ეროვნული თავდაცვის აკადემიის
ბაკალავრიატის ინფორმატიკის მიმართულების იუნკერი

ხელმძღვანელი: გიორგი კობრიძე

ბაკალავრიატის ინფორმატიკის მიმართულების ასისტენტ-პროფესორი

აბსტრაქტი

სკეუმორფიზმი წარმოადგენს დიზაინის მიმდინარეობას, რომელსაც წარსულის ფორმები და ფუნქციები გადმოაქვს თანამედროვე ტექნოლოგიებში. მისი მიზანია ახალი ინტერფეისების ინტუიციურობისა და მომხმარებელთან ადაპტაციის პროცესის გამარტივება. ტერმინი პირველად 1889 წელს ჰენრი კოლი მარჩის ნაშრომში გვხვდება იმ ორნამენტული დეტალების აღსაწერად, რომლებიც ფუნქციურად აღარ გამოიყენებოდა. ციფრულ სამყაროში სკეუმორფიზმის გამოყენება მნიშვნელოვნად გაიზარდა სტივ ჯობსის ინიციატივით -Apple-ის პროდუქტებში ნაცნობი ვიზუალური ელემენტების ჩართვის გზით, რომლებიც მომხმარებელს კომფორტისა და ნოსტალგიის განცდას უქმნიდნენ. მიუხედავად იმისა, რომ ბრტყელმა დიზაინმა, მინიმალიზმისა და ფუნქციურობის პოპულარიზაციით, სკეუმორფიზმი ჩრდილში მოაქცია, იგი მაინც მნიშვნელოვან როლს ასრულებს ტექნოლოგიური დიზაინის ფორმირებაში. ნოსტალგია და უსაფრთხოების შეგრძნება, რომლებიც სკეუმორფიზმის ფსიქოლოგიურ უპირატესობებს განეკუთვნება, კვლავ რჩება მის ძლიერ მხარედ. ის ინარჩუნებს აქტუალურობას ახალი ტექნოლოგიების განვითარებაში, მათ შორის ვირტუალური რეალობისა და ინტუიციური ინტერფეისების დიზაინის ფორმირებაში. სკეუმორფიზმი არ არის მხოლოდ დიზაინის ისტორიული მემკვიდრეობა, არამედ ის თანამედროვე ინოვაციების საფუძველს წარმოადგენს, რომელიც სთავაზობს მომხმარებელს კომფორტულ და მარტივად ადაპტირებად გარემოს.

საკვანძო სიტყვები: სკეუმორფიზმი, დიზაინი, ბრტყელი დიზაინი, ნოსტალგია, ციფრული ინტერფეისი

Skeuomorphism - its purpose in the physical and digital worlds

Ana-Maria Keadze

Junker of Bachelor's Program in Informatics of
LEPL-David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia

Supervisor: **Giorgi Kokhraidze**

Associate Professor of Bachelor's Program in Informatics

Abstract

Skeuomorphism is a design approach that blends past forms and functions with modern technology to enhance user adaptation and intuitiveness, creating a seamless bridge between the familiar and the new. The term was first introduced by Henry Cole March in 1889 to describe ornamental details that, while visually appealing, no longer served a functional purpose in design and architecture. In the digital era, skeuomorphism gained significant prominence through the visionary efforts of Steve Jobs, who integrated familiar visual elements into Apple products, thereby making technology more accessible and relatable to everyday users, creating a sense of familiarity in a digital context. Although flat design, characterized by its emphasis on minimalism and functionality, has overshadowed skeuomorphism in recent years, this design approach still holds considerable value. Its psychological benefits—such as evoking nostalgia and instilling a sense of security—remain highly relevant as users navigate increasingly complex digital landscapes. Moreover, skeuomorphism plays a crucial role in the development of emerging technologies like virtual reality and intuitive interfaces, where familiar visual cues can significantly enhance user engagement and interaction. Ultimately, skeuomorphism is not merely a historical tradition in design but rather a dynamic framework for innovative ideas that continues to create comfortable and adaptable environments for users, ensuring that technology remains approachable and user-friendly in an ever-evolving digital world.

Keywords: skeuomorphism, design, flat design, nostalgia, digital interface

შესავალი

„სკეუმორფიზმი არ არის დიზაინის დანაშაული. ეს არის დიზაინერების მიერ შექმნილი ენა, რომელიც ერთი-ორად აადვილებს კომუნიკაციას ადამიანებსა და ტექნოლოგიებს შორის. სკეუმორფიზმი უნდა ავარიდოთ ნეგატიურ დამოკიდებულებას - სკეპტიციზმს, ვინაიდან მისი დაბრუნება ახალი ტექნოლოგიური საზღვრების მოწესრიგებასა და ნავიგაციის ხელშეწყობას ემსახურება“. - კელსი კემპბელ-დოლაგანი.

ტერმინი პირველად გამოიყენა 1889 წელს ჰენრი კოლი მარჩმა¹, ბრიტანელმა ექიმმა და დახელოვნებულმა არქეოლოგმა, მის ნარკვევში: "ორნამენტის მნიშვნელობა: მისი არქეოლოგია და ფსიქოლოგია", რომელიც მან დაწერა რეგიონალური ანტიკვარული საზოგადოებისთვის. თავდაპირველად იგი აღწერდა დიზაინის მახასიათებელს ობიექტზე, რომელიც ვიზუალურად მიმართავდა სხვა მასალას ან ტექნიკას - მაგალითად, კერამიკულ დოქზე დატანილი კალათის ქსოვილის ორნამენტი. თუმცა დროთა განმავლობაში ტერმინის მნიშვნელობამ ცვლილება განიცადა და შევიწროვდა. როგორც ტექნოლოგიის ფილოსოფოსი დენ ო'ჰარა აღწერს სკეუმორფიზმი მოწყობილობაზე ორნამენტული დიზაინის ელემენტს აღნიშნავს, რომელიც წარმოადგენდა ოდესღაც აუცილებელ ფიზიკურ მახასიათებელს ამ მოწყობილობის ძველ თაობაზე.

სკეუმორფიზმის გამოვლინება დღესაც გრძელდება ციფრული ინტერფეისების, ნივთების დიზაინსა და არქიტექტურაში, რაც უზრუნველყოფს ცნობადობის ამაღლებასა და ესთეტიკურ მიმზიდველობას. თუმცა, მის აქტუალობას დროდადრო გამოწვევის წინაშე აყენებს თანამედროვე მინიმალისტური და ფუნქციონალისტური შეხედულებები, რომლებიც პრიორიტეტად სიმარტივეს და ეფექტურობას აყენებენ. მიუხედავად იმისა, რომ სკეუმორფულ ელემენტებს შეუძლიათ გააუმჯობესონ მომხმარებლის გამოცდილება ნაცნობი გარემოს შექმნით, ისინი დაძველების რისკის ქვეშ არიან გლუვი, გამარტივებული დიზაინის ეპოქაში. ტრადიციის დაბალანსება ინოვაციებთან არის ეფექტური გზა თანამედროვე დიზაინის ლანდშაფტში ნავიგაციისთვის. სკეუმორფიზმი ვითარდება თანამედროვე მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, შესაბამისად ის აგრძელებს მისი პირველადი არსის შენარჩუნებას. ნაშრომში ჩვენ შევისწავლით როგორ გახდა ციფრული სამყარო „ბრტყელი“, რატომ არის ცოტა უფრო მეტის მომცემი, რა განსაზღვრავს სკეუმორფიზმის მუდმივ არსებობას და განვიხილავთ მის დინამიურ ურთიერთობას თანამედროვე დიზაინის პრინციპებთან.

ძირითადი ნაწილი

ძველისადმი ჩვენი დამოკიდებულება და მიდრეკილება ღრმად არის ფესვგადგმული ადამიანის ფსიქოლოგიისა და გონებაში, რომელსაც განაპირობებს ნოსტალგია და ცნობადობის შეგრძნება. ნოსტალგია, რომელიც დაკავშირებულია წარსულ გამოცდილებასთან, იწვევს ძლიერ ემოციებს და გვთავაზობს კომფორტისა და უსაფ-

¹ Henry Cole March, *The Meaning of Ornament: Its Archaeology and Psychology* (London: Regional Antiquarian Society, 1889).

რთხობას განცდას ჩვენს ცნობიერებაში. ადამიანს იზიდავს სიმარტივისა და პროგნოზირებადობის შეგრძნება, რადგან ნაცნობი ნაკლებ კოგნიტურ/შემეცნებით ძალისხმევას მოითხოვს. გარდა ამისა, დიდია ნაცნობი კომფორტის დაკარგვის შიში, რომელმაც ახალი გამოცდილების მიღების სურვილსაც კი შეიძლება გადააჭარბოს. შიში ნოსტალგიასთან ერთად ართულებს ძველი ჩვევების ან ნივთების მიტოვებას, მაშინაც კი, როცა ისინი შესაბამისად ვეღარ გვემსახურებიან. ამრიგად, ჩვენი დამოკიდებულება ძველზე არის ფსიქოლოგიური ფაქტორების კომპლექსური ურთიერთქმედება და ამ მექანიზმების შემეცნება დაგვეხმარება ტრადიციასა და ინოვაციებს შორის დამაბულობის მართვაში, რაც საშუალებას მოგვცემს გავუფრთხილდეთ წარსულს და პარალელურად კარი გავუღოთ მომავლის შესაძლებლობებს.



სურათი 1²

მოდით განვიხილოთ მარტივ მაგალითზე. როგორ ფიქრობთ, რა დანიშნულებას ატარებს ჯინსებზე არსებული მომცრო ზომის ჯიბე? ის აქტიურად გამოიყენებოდა ჯიბის საათების შესანახად, მაგრამ დროთა განმავლობაში მან სრულად დეკორატიული ფუნქცია შეიძინა, ისევე როგორც ჯინსების მოქლონების უმეტესობამ, დეტალები რომელიც ჯინსის დამაგრებას ემსახურებოდა მის დეკორატიულ ნაწილად იქცა. ტყავის ბალიშები ზურგჩანთებზე, რომლებიც თავდაპირველად გამოიგონეს თოკით აღჭურვილობის დასამაგრებლად პირველად ფუნქციას აღარ ემსახურება. ელექტრო გიტარა, ის ხშირად მზადდება აკუსტიკური ფორმებით, რაც ელექტრო გიტარის ჟღერადობაზე არანაირი გავლენას არ ახდენს, ვინაიდან ელექტრო გიტარაში სიცარიელეც კი არ არის. ვინტაჟური ნათურები მზუტავი ნათებით ხასიათდება. მე-19 საუკუნის ბოლოს თომას ედისონის ³გადაწყვეტილებით ნათურების სიკაშკაშე შეამცირეს და უფრო მზუტავი გახადეს, ვიდრე იმდროინდელი ტექნოლოგია იძლეოდა შესაძლებლობას, მათი სიკაშკაშე შეემცირდა მსგავსად ძველი გაზის ნათურებისა, მავთუ-

² <https://www.rd.com/article/tiny-pocket-in-jeans/>

³ Negrini, Paolo. "Edison, the Light Bulb, and Disruptive Technologies." *Prototypr Blog*.

ლები კი გაზის პატარა მილებში გაიყვანეს. ასე ადამიანებს გაუჩნდათ ნაცნობი საგნის ილუზია და უფრო გამალებით შეუდგნენ ახალი საქონლის შეძენას. ეს წესი მოქმედებს არა მხოლოდ საყოფაცხოვრებო ნივთების დიზაინზე, არამედ ციფრული ინტერფეისების არქიტექტურის ელემენტებზეც.

ჩვენ თითქმის ყოველდღიურად ვიყენებთ კლავიატურის ძველ ინტერფეისს, რომელიც მემკვიდრეობით საბეჭდი მანქანებისგან გვერგო. მათში ასოები, რომლებიც ხშირად სიტყვებში მიმდევრობით იდგნენ, მაგალითად, S და T, A და B, სპეციალურად განალაგეს ერთმანეთის დაშორებით, ვინაიდან საბეჭდ მანქანებში, ზედიზედ ორი მიმდებარე ღილაკის დაჭერით ბერკეტები იჭედებოდა და მანქანა ჩერდებოდა. კომპიუტერის კლავიატურებში ასეთი პრობლემა არ არსებობს, მითუმეტეს, სმარტ ფონების ეკრანებზე, მაგრამ უკვე 150 წლის QWERTY განლაგება ჯერ კიდევ აქტუალურად გამოიყენება.

სტივ ჯობსი სკეუმორფიზმის აქტიური მიმდევარი იყო, რომლის წყალობითაც მან შეძლო ყველასთვის მარტივად გასაგები ინტერფეისის შექმნა⁴. მაგრამ, 2011 წელს ჯობსის გარდაცვალების შემდეგ Apple-მა გადაწყვიტა რადიკალურად შეეცვალა ინტერფეისის დიზაინის სტილი, რამაც გამოიწვია თავდაპირველი ნეგატიური ემოციების ნაკადი. მომხმარებლები უკმაყოფილო იყვნენ, რადგან ახალმა დიზაინმა გაართულა ინტერაქტიული ელემენტების პოვნა და გამოყენება, ვინაიდან ახლა ისინი ფონთან იყვნენ შერწყმული.

ოპერაციული სისტემის მეშვიდე ვერსიის განახლების შემდეგ, ინტერფეისმა განიცადა მნიშვნელოვანი ტრანსფორმაცია, მივიღეთ ის, რაც დღესდღეობით ცნობილია როგორც ბრტყელი დიზაინი. გაქრა ისეთი დეკორაციები, როგორცაა გრადიენტები, ნათელი ფერები და რთული დეტალები, ნაცვლად ამისა თავი იჩინა მინიმალისტურმა ესთეტიკამ, რომელიც ხასიათდება მარტივი გეომეტრიული ფორმებით.

ბრტყელი დიზაინის მიმდევრები ამტკიცებენ, რომ: მომხმარებლები უფრო მიეჩვივნენ ტექნოლოგიას და დროდადრო შემცირდა სკეუმორფული ელემენტების საჭიროება. ციფრული ინტერფეისების მზარდი პოპულარობის საშუალებით, საჭიროება ფიზიკური ობიექტების ანალოგიებისა მათი ფუნქციონირების გასაგებად აღარ არსებობს. ბრტყელი დიზაინი გვთავაზობს გამარტივებულ და ინტუიციურ მიდგომას, რაც იძლევა უფრო მკაფიო კომუნიკაციისა და მარტივი ნავიგაციის საშუალებას, ზედმეტი დეტალების გარეშე.

მიუხედავად ამ წინააღმდეგობისა, ახალი დიზაინის ტენდენცია ადვილად დამკვიდრდა ახალგაზრდებში. ბრტყელი დიზაინი დააფასეს დიზაინერებმა და მარკეტოლოგებმა მისი სიმარტივისა და ადაპტირებისთვის. მონოქრონულმა ფერის სქემამ და მასშტაბურობის სიმარტივემ გაადვილა დიზაინის თუ ლოგოტიპების სხვადასხვა ფონზე ინტეგრირება და მათი დიდ ბანერებზე გამოფენა.

⁴ Steve Jobs, quoted in Kelsey Campbell-Dollaghan, "Skeuomorphism: The Return of Familiar Design Language," *Quartz Obsession*, accessed November 5, 2024, <https://qz.com/emails/quartz-obsession/1825310/>.

ეს ცვლილება მნიშვნელოვანი იყო ციფრული დიზაინის ისტორიაში. ბრტყელი დიზაინი სწრაფად გავრცელდა ციფრულ სამყაროში. მან გავლენა იქონია არა მხოლოდ ბრაუზერის ლოგოებსა და სოციალური ქსელების ინტერფეისებზე, არამედ მსხვილი კორპორაციების ბრენდებზე, როგორცაა Netflix და საავტომობილო გიგანტები.



სურათი 2.

საბოლოო ჯამში, ბრტყელი დიზაინის ზრდა მიუთითებდა ციფრულ სამყაროში სიმარტივისა და ადაპტაციისაკენ გადადგმულ გზაზე. იგი წარმოადგენდა სივრცისა და სკეუმორფული ელემენტების უკანა ფონზე გადანაცვლებას და აღნიშნავდა უფრო სუფთა და მრავალმხრივი დიზაინის ესთეტიკის ტენდენციის დასაწყისს.

ძველი დიზაინის უკუსაგდებად მთავარი ნაბიჯ-ნაბიჯი ცვლილებებია, მსოფლიო დიზაინის ტენდენცია კი სამი სიტყვით შეგვიძლია აღვწეროთ: **ნაკლები ნიშნავს მეტს**. დიზაინის გამარტივება ეხმარება მომხმარებლებს ფოკუსირებასა და მარტივ ნავიგაციაში, მაგალითად, როგორც Google-ის საწყისი გვერდი. ფსიქოლოგებმა ჩაატარეს ექსპერიმენტი, სადაც აჩვენეს, რომ უფრო მარტივი დიზაინი მომხმარებლისთვის ხშირად უფრო ლამაზად აღიქმება. ფაქტობრივად, ექსპერიმენტის მიხედვით, მონაწილეებს მხოლოდ 17 წამი დასჭირდათ, რათა გადაეწყვიტათ მოსწონდათ თუ არა დიზაინი სწრაფი კადრების წარდგენისას. ეს ტენდენცია მინიმალიზმისკენ ასახავს ჩვენს სწრაფ სამყაროს, სადაც ინფორმაციის სწრაფი მოხმარება უმთავრესია, სიმარტივე კი გადამწყვეტ როლს თამაშობს.

LESS
IS
MORE

სურათი 3.

დასკვნა

სკეუმორფიზმი შეასრულებს მის უპირველეს დანიშნულებას ჩვენს მუდმივად განვითარებად ტექნოლოგიურ სამყაროში. ის სამომავლოდც მიაწვდის მომხმარებლებს ნაცნობობისა და კომფორტის განცდას ახალი და უცნობი ტექნოლოგიების ფონზე. ტრადიციული მენიუები ინტეგრირებული იქნება ვირტუალური რეალობის მოწყობილობებში ნავიგაციის გასამარტივებლად. სკეუმორფული ელემენტები შენარჩუნდება ინოვაციებში, როგორცაა უპილოტო მანქანები. მაგალითად, მაშინ როდესაც სამართავი საჭე შეიძლება გაქრეს უპილოტო სატრანსპორტო საშუალებებში, უკანა ხედვის სარკე დარჩება კონტროლის ილუზიისა გასულ სამყაროსთან კავშირის დასამყარებლად.

დასკვნის სახით, სკეუმორფიზმი წარმოადგენს ხიდს წარსულსა და აწმყოს შორის. ის კვლავაც ღირებული ინსტრუმენტია მომავლის სამყაროში უმტკივნეულოდ გადასაადგილებლად.

გამოყენებული ლიტერატურა

Campbell-Dollaghan, Kelsey. "Skeuomorphism: The Return of Familiar Design Language." *Quartz Obsession*. Accessed November 15, 2024. <https://qz.com/emails/quartz-obsession/1825310/>.

Jay, Ian. "Skeuomorphism as a Learning Tool." *Medium*. November 20, 2012.

<https://medium.com/@ianjayk/skeuomorphism-is-a-learning-tool-and-why-this-matters-for-vr-5f10a2350496>.

March, Henry Cole. *The Meaning of Ornament: Its Archaeology and Psychology*. London: Regional Antiquarian Society, 1889.

Negrini, Paolo. "Edison, the Light Bulb, and Disruptive Technologies." *Prototypy Blog*. November 20, 2012. <https://paolonegrini.wordpress.com/2012/11/20/edison-the-light-bulb-and-disruptive-technologies/>.

Quartz Obsession. "Skeuomorphism: The Return of Familiar Design Language." Accessed November 16, 2024. <https://qz.com/emails/quartz-obsession/1825310/>.

- Datar, Abhijit. "The Useless Design Features in Modern Products." *BBC Future*. October 23, 2017. <https://www.bbc.com/future/article/20171023-the-useless-design-features-in-modern-products>.
- UberNative. "Skeuomorphism: The Rise, Fall, and Resurgence of Familiar Design." *Medium*. Accessed November 14, 2024. <https://medium.com/ubernative/skeuomorphism-a1c848fcc53f>.
- Negrini, Paolo. "Edison, the Light Bulb, and Disruptive Technologies." *Prototypr Blog*. November 14, 2012. <https://paolonegrini.wordpress.com/2012/11/20/edison-the-light-bulb-and-disruptive-technologies/>.
- 99designs. "Swiss Design: The History and Impact of Swiss Style." *99designs*. Accessed November 14, 2024. <https://99designs.com/blog/design-history-movements/swiss-design/>.
- 99designs. "Skeuomorphism, Flat Design, and Material Design: A Timeline of UI Design Trends." *99designs*. Accessed November 20, 2024. <https://99designs.com/blog/trends/skeuomorphism-flat-design-material-design/>.
- How Skeuomorphism Became a Design Trend*. YouTube Video. 6:12. Published by TED-Ed, October 10, 2018. <https://youtu.be/TfzEPtLPnP4>.
- The Evolution of UI: From Skeuomorphism to Flat Design*. YouTube Video. 5:48. Published by Future Insights, January 25, 2019. <https://youtu.be/4ANoLWML8BU>.
- Haigh, Ashley. "Flat Logos Are Everywhere. Why?" *UX Collective*. October 18, 2021. <https://uxdesign.cc/flat-logos-everywhere-3e461ef2e1b>.
- Carcione, Matthew. "How and Why Design Evolves: From Skeuomorphism to Flat UI." *Prototypr Blog*. Accessed November 16, 2024. <https://blog.prototypr.io/design-how-and-why-it-evolves-skeuomorphism-to-flat-ui-a3a0f49d0f07>.
- Jay, Ian. "Skeuomorphism as a Learning Tool and Why This Matters for VR." *Medium*. November 20, 2012. <https://medium.com/@ianjayk/skeuomorphism-is-a-learning-tool-and-why-this-matters-for-vr-5f10a2350496>.

Tor ტექნოლოგიის გამოყენება სამხედრო სფეროში

გიორგი რამიშვილი

სსიპ – დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს
ეროვნული თავდაცვის აკადემიის
ბაკალავრიატის ინფორმატიკის მიმართულების იუნკერი

ხელმძღვანელი: გიორგი კოხრეიძე

ბაკალავრიატის ინფორმატიკის მიმართულების ასისტენტ პროფესორი

აბსტრაქტი

ამ ნაშრომში განხილულია Tor ქსელის (The Onion Router) ტექნოლოგიის გამოყენება სამხედრო დანიშნულებით. Tor უზრუნველყოფს ანონიმურობასა და კონფიდენციალურობას, რაც მას მნიშვნელოვან ინსტრუმენტად აქცევს თანამედროვე კიბეროპერაციებში და დაზვერვის საქმიანობაში. ნაშრომი დეტალურად მიმოიხილავს Tor-ის არქიტექტურას, ფუნქციონირების მექანიზმებს და მის ძირითად გამოყენებებს, მათ შორის საიდუმლო კომუნიკაციებში, კიბერშეტევებში, დეზინფორმაციის გავრცელებაში და ინფრასტრუქტურის დაცვაში.

საკვანძო სიტყვები: Tor, კიბერშეტევები, როუტერი, ღია წყარო, ბნელი ვები

Use of Tor technology in the military field

Giorgi Ramishvili

Junker of Bachelor's Program in Informatics of
LEPL-David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia

Supervisor: **Giorgi Kokhreidze**

Assistant Professor of Bachelor's Program in Informatics

Summary

This paper discusses the military use of Tor (The Onion Router) technology. Tor provides anonymity and confidentiality, making it an important tool in modern cyber operations and intelligence activities. The paper provides a detailed review of Tor's architecture, operating mechanisms, and its main uses, including secret communications, cyberattacks, disinformation, and infrastructure protection.

Keywords: Tor, Cyberattacks, Router, Open source, Dark Web.

შესავალი

სატელეკომუნიკაციო ტექნოლოგიები მუდმივად ვითარდება და ახალი შესაძლებლობები იჩენს თავს, რომლებიც გავლენას ახდენს სამხედრო ოპერაციებზე. Tor, როგორც უსაფრთხოებისა და ანონიმურობის ტექნოლოგია, განსაკუთრებული მნიშვნელობისაა ისეთ სიტუაციებში, სადაც საჭიროა მონაცემთა დაცვა, ცენზურის გვერდის ავლა და უსაფრთხო კავშირების შენარჩუნება.

მისი თავდაპირველი დანიშნულება იყო აშშ-ის სამხედრო ოპერაციების გაძლიერება, თუმცა ტექნოლოგიის ღიაობამ Tor გახადა საყოველთაოდ ხელმისაწვდომი ინსტრუმენტი. ამ ნაშრომის მიზანია შეისწავლოს Tor-ის როლი სამხედრო სფეროში და ვრცლად შეაფასოს მისი გამოყენების პრაქტიკა, სარგებელი და რისკები.

ძირითადი ნაწილი Tor ტექნოლოგიის მიმოხილვა

რა არის Tor?

Tor (The Onion Router) არის ღია კოდის მქონე ქსელური ტექნოლოგია, რომელიც უზრუნველყოფს მომხმარებელთა ანონიმურობას და კონფიდენციალურობას. მისი სახელწოდება მომდინარეობს "ხახვისებრი მარშრუტიზაციის" მეთოდიდან, რომელიც გულისხმობს მონაცემთა მრავალშრიან დაშიფვრას, რათა გარანტირებული იყოს მათი დაცვა. Tor-ის მთავარი მიზანი არის ქსელის მომხმარებლების პირადი ინფორმაციის, მათ შორის IP მისამართისა და ადგილმდებარეობის დაფარვა.

Tor-ის ფუნქციონირება ემყარება დეცენტრალიზებულ არქიტექტურას, რომელიც შედგება ათასობით სერვერისგან, ასევე ცნობილი როგორც "რელეები". მონაცემები, რომლებიც გადის Tor ქსელში, შემთხვევით გადანაწილდება რამდენიმე კვანძზე, სადაც თითოეულ კვანძს შეუძლია მხოლოდ მონაცემთა გარკვეული ნაწილის დადგენა. ეს არქიტექტურა მონაცემთა დამუშავების დროს მინიმუმამდე ამცირებს მომხმარებლის პირადი ინფორმაციის გაჟონვის რისკს.

Tor-ის ღიაობა არის მისი ერთ-ერთი მთავარი მახასიათებელი. ის შესაძლებელია გამოიყენოს ნებისმიერმა ვისაც ინტერნეტთან წვდომა აქვს.

როგორ ფუნქციონირებს Tor?

Tor-ის ტექნოლოგია მონაცემების გადაცემისთვის იყენებს მრავალშრიან დაშიფვრას. მისი ძირითადი პროცესია:

1. **მონაცემთა შიფრაცია:** Tor-ის მომხმარებლის მიერ გაგზავნილი ინფორმაცია დაშიფრულია ისე, რომ თითოეული კვანძი "ხსნის" მხოლოდ მასზე წვდომის შრეს.
2. **შემთხვევითი მარშრუტი:** მონაცემი გადის შემთხვევით შერჩეულ კვანძებზე, რაც ართულებს მათი მარშრუტის სრულად გაშიფვრას.
3. **გამოსასვლელი კვანძი:** ბოლო კვანძი დემიფრავს მონაცემს და გზავნის დანიშნულების წერტილში, თუმცა ვერ ხვდება, საიდან მოდის ინფორმაცია.

ამ მექანიზმების საშუალებით Tor უზრუნველყოფს უსაფრთხოებას და ეფექტურობას, რაც მას უპირატესად აქცევს ისეთ სიტუაციებში, როდესაც საჭიროა კონფიდენციალურობის მაქსიმალური დაცვა.

Tor-ის ტექნოლოგია გამორჩეულად მნიშვნელოვანია სამხედრო ოპერაციებისთვის. მისი გამოყენება მოიცავს ოპერატიული გეგმების დამალვას, კრიტიკული ინფრასტრუქტურის დაცვას და მოწინააღმდეგის მონაცემთა ანალიზს.

საიდუმლო კომუნიკაცია

უსაფრთხო არხების შექმნა:

სამხედრო ოპერაციებში საიდუმლო კომუნიკაცია კრიტიკულად მნიშვნელოვანია, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ოპონენტი ცდილობს კომუნიკაციის არხების ჩაჭრას ან გაშიფვრას. Tor-ის ტექნოლოგია ამ პროცესს უსაფრთხოს ხდის, რადგან ის ქმნის ანონიმურ არხებს, რომლებიც შეუძლებელს ხდის მონაცემების პირდაპირ დადგენას ან გაშიფვრას.

ინტერნაციონალური ოპერაციების მხარდაჭერა:

საერთაშორისო ოპერაციების დროს, სადაც აუცილებელია სხვადასხვა მხარეებს შორის ინფორმაციის სწრაფი და უსაფრთხო გაზიარება, Tor-ის ტექნოლოგია ეფექტური ინსტრუმენტია. ის ხელს უწყობს უსაფრთხო კავშირებს, რაც განსაკუთრებით გამოსადეგია სამოკავშირეო ძალების მიერ, რომლებიც შესაძლოა სხვადასხვა იურისდიქციებში იმყოფებოდნენ.

საომარი პირობების გათვალისწინება:

კრიზისულ რეგიონებში, სადაც ინტერნეტ ინფრასტრუქტურა ხშირად არასტაბილურია ან საფრთხის ქვეშ დგას, Tor-ის ქსელი შეიძლება გამოიყენებოდეს როგორც კავშირის საიმედო საშუალება. მაგალითად, საომარ პირობებში Tor-ს შეუძლია შეამციროს ინფორმაციის გაჟონვის რისკი, რაც კრიტიკულად მნიშვნელოვანია ოპერაციების წარმატებისთვის.

გამოყენების პრაგმატულობა:

საიდუმლო კომუნიკაციისთვის Tor-ის გამოყენება საშუალებას აძლევს სამხედროებს, შეინარჩუნონ ოპერატიული კონფიდენციალურობა. ეს განსაკუთრებით გამოსადეგია სადაზვერვო მისიებისთვის ან ოპერაციებისთვის, სადაც მოულოდნელობის ეფექტი გადამწყვეტი ფაქტორია.

Tor-ის ტექნოლოგია საიმედო ინსტრუმენტია სამხედროებისთვის, რადგან ის ქმნის კავშირს, რომელიც მტრისთვის პრაქტიკულად მიუწვდომელია.

დაზვერვა და ანალიტიკა

ღია წყაროებიდან ინფორმაციის მოპოვება (OSINT):

დაზვერვის თანამედროვე მეთოდებში ღია წყაროებიდან ინფორმაციის მოპოვება (Open-Source Intelligence – OSINT) მნიშვნელოვან როლს ასრულებს. Tor ქსელი განსა-

კუთრებულად გამოსადეგია ასეთი მონაცემების შეგროვებისთვის, რადგან ის დაზვერვის გუნდებს საშუალებას აძლევს, შეისწავლონ ღია რესურსები ისე, რომ მათ აქტივობაზე დაკვირვება შეუძლებელი იყოს.

OSINT მოიცავს სოციალური მედიის, ბლოგების, ფორუმების და სხვა ონლაინ-პლატფორმების მონიტორინგს. Tor-ის გამოყენებით დაზვერვის ჯგუფებს შეუძლიათ დაიკვან საკუთარი იდენტობა და ადგილმდებარეობა, რაც მნიშვნელოვანია, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ისინი მტრის მიერ კონტროლირებულ ტერიტორიაზე საქმიანობენ.

საიდუმლო ქსელების ანალიზი:

Tor ქსელი არა მხოლოდ ანონიმურობის შენარჩუნებას უზრუნველყოფს, არამედ იძლევა წვდომას "ბნელ ქსელში" (Dark Web), რომელიც ინფორმაციის ფარული წყაროა. სამხედრო დაზვერვა Tor-ის მეშვეობით აგროვებს მონაცემებს კრიმინალური და ტერორისტული ჯგუფების ქსელებზე, რაც ხელს უწყობს მათ გეგმების გაშიფვრას. მტრის ქსელების შესწავლა ხშირად მოითხოვს კონფიდენციალურობას, რადგან მათი მონიტორინგი საფრთხის შემცველია. Tor ამ პროცესს მაქსიმალურად უსაფრთხოს ხდის.

პროპაგანდისა და დეზინფორმაციის გავრცელება

პროპაგანდის სტრატეგიული როლი

სამხედრო ოპერაციების მნიშვნელოვანი ნაწილი არის მტრის დემორალიზაცია და საზოგადოებრივი აზრის მანიპულაცია. Tor-ს იყენებენ როგორც ინსტრუმენტს, რომელიც უზრუნველყოფს ანონიმურობას პროპაგანდის ტული კამპანიების ორგანიზებისა და განხორციელების დროს. ამის ერთ-ერთი მაგალითია სოციალური ქსელებისა და ფორუმების გამოყენება დეზინფორმაციის გასავრცელებლად.

დეზინფორმაციის მიზნები

დეზინფორმაცია გამოიყენება მტრის დასაბნევადა, მისი ძალების არასწორი მართულებით გადაადგილებისთვის ან საზოგადოებრივი მხარდაჭერის შესამცირებლად. Tor-ის საშუალებით შესაძლებელია, ანონიმურად გავრცელდეს დამაბნეველი ან ცრუ ინფორმაცია, რომელიც მტრის ყურადღებას გადაიტანს ან გააძლიერებს სამხედრო სტრატეგიულ უპირატესობას.

კრიპტოაქტივობების და ფინანსური მხარდაჭერა

პროპაგანდის ტული კამპანიების დასაფინანსებლად, Tor-ს ხშირად იყენებენ კრიპტოვალუტის ტრანზაქციების განსახორციელებლად. ამ გზით შესაძლებელია თანხების ნაკვალევის დამალვა და დაფინანსების არხების საიდუმლოდ შენარჩუნება.

ისტორიული მაგალითები

მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში Tor აქტიურად გამოიყენებოდა როგორც პოლიტიკური, ისე სამხედრო დეზინფორმაციული კამპანიების გასაჩაღებლად. მაგალითად, 2014 წლის უკრაინის კონფლიქტის დროს, Tor პლატფორმები გამოიყენებოდა,

რათა გავრცელებულიყო ინფორმაცია, რომელიც მიზნად ისახავდა საზოგადოებრივი აზრის მანიპულაციას და შიდა კონფლიქტების გაღვივებას.

რეგულაცია და კონტროლის სირთულეები

მიუხედავად Tor-ის ტექნოლოგიის ძალისხმევისა, დეზინფორმაციის ეფექტური მონიტორინგი და კონტროლი საკმაოდ რთული პროცესია. Tor-ის მეშვეობით პროპაგანდის ორგანიზატორები ინარჩუნებენ სრულ ანონიმურობას, რაც ართულებს მათი იდენტიფიკაციას.

ინფრასტრუქტურის დაცვა

საკომუნიკაციო არხების უსაფრთხოება:

სამხედრო ოპერაციების დროს კრიტიკულად მნიშვნელოვანია საკომუნიკაციო არხების დაცვა. Tor უზრუნველყოფს უსაფრთხო არხებს, რომლებიც გამორიცხავენ მტრის მიერ მონაცემთა ჩაჭრისა და გაშიფვრის შესაძლებლობას.

მაგალითად, ოპერაციულ დონეზე, Tor ქსელი საშუალებას აძლევს სამხედროებს, გამოიყენონ დაშიფრული არხები, რაც მნიშვნელოვან უპირატესობას ქმნის მაღალრიცხოვანი გარემოში.

მონაცემთა გაჟონვის პრევენცია:

მტრის მიერ კრიტიკული ინფორმაციის მოპოვების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მეთოდი არის კომუნიკაციის არხებზე დარტყმა. Tor-ის ქსელი მნიშვნელოვნად ამცირებს ამ საფრთხეს, რადგან ის მონაცემების დაშიფვრას და შემთხვევითი მარშრუტიზაციის სისტემას იყენებს.

სტრატეგიული ობიექტების დაცვა:

საიდუმლო ობიექტები და ოპერაციული ქსელები ხშირად არის კიბერშეტევების სამიზნე. Tor-ის გამოყენება ამ კონტექსტში შესაძლებელია იმისთვის, რომ ოპერატიული მონაცემები დაცული იყოს და მტრის შეტევები მინიმუმამდე დავიდეს.

მაგალითად, წვდომა კონკრეტულ სისტემებთან, რომლებიც იყენებენ Tor-ს, რთულად გასაშიფრია და დამატებით დროს მოითხოვს, რაც სამხედრო ოპერაციის წარმატების შანსს ზრდის.

უსაფრთხო ინფრასტრუქტურის შექმნის პრაქტიკა:

სამხედრო ძალები იყენებენ Tor-ს როგორც ბაზის ინსტრუმენტს უსაფრთხო ქსელური ინფრასტრუქტურის ასაგებად. ეს მოიცავს არა მხოლოდ კომუნიკაციის დაცვას, არამედ საკონტროლო სისტემების უსაფრთხოების გამყარებას.

ინფრასტრუქტურის დაცვის თვალსაზრისით, Tor-ის გამოყენება სამხედრო ოპერაციებს აძლევს შესაძლებლობას, მინიმუმამდე დაიყვანონ ტექნოლოგიური რისკები და მაქსიმალურად უზრუნველყონ კრიტიკული ოპერაციების საიმედოობა.

კიბეროპერაციები და შეტევები

კიბერშეტევების წარმოება:

Tor ქსელის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფუნქცია არის მისი გამოყენება როგორც თავდასხმითი ოპერაციების ინსტრუმენტი. კიბერშეტევების დროს Tor ტექნოლოგია უზრუნველყოფს თავდამსხმელის ადგილმდებარეობისა და იდენტობის დამალვას. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთ ოპერაციებში, როდესაც შეტევა უნდა განხორციელდეს შეუმჩნეველად და კვალი მთლიანად წაიშალოს.

მაგალითად, სახელმწიფოებრივი კიბეროპერაციები, რომლებიც მიზნად ისახავს მოწინააღმდეგის კრიტიკული ინფრასტრუქტურის პარალიზებას ან ინფორმაციის მოპოვებას, ხშირად იყენებენ Tor-ს როგორც ერთ-ერთ მთავარ მექანიზმს.

მტრის ინფრასტრუქტურის მოშლა:

საომარ მოქმედებებში მოწინააღმდეგის საინფორმაციო და საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის მოშლა მნიშვნელოვანი სტრატეგიული ამოცანაა. Tor-ს იყენებენ ისეთი შეტევების განსახორციელებლად, რომლებიც მიზნად ისახავს ქსელური სისტემების დესტაბილიზაციას, ვირუსების ან რუტკიტების განთავსებას.

მაგალითად, Distributed Denial of Service (DDoS) შეტევები ხშირად იგეგმება და იმართება Tor ქსელის მეშვეობით, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს თავდამსხმელების აღმოჩენის რისკს.

შეტევის არხების დაცვა:

კიბერშეტევების დროს მნიშვნელოვანია არა მხოლოდ თავდასხმის შედეგი, არამედ თავად ოპერაციის საიდუმლოების დაცვა. Tor ქმნის უსაფრთხო არხებს, რომლითაც შეტევის დროს საჭირო ინფორმაციის გაცვლა შესაძლებელია ისე, რომ გარე მხარეებმა შეტევის წყარო ვერ გაარკვიონ.

თავდაცვითი კიბეროპერაციები:

Tor-ს იყენებენ არა მხოლოდ თავდასხმების, არამედ თავდაცვითი ოპერაციების დროსაც. მოწინააღმდეგის შესაძლო კიბერშეტევების მონიტორინგი და ანალიზი Tor-ის მეშვეობით უზრუნველყოფს მონაცემთა ფარულ შეგროვებას, რაც მნიშვნელოვანია თავდაცვითი სტრატეგიების გასამყარებლად.

Tor ქსელი კიბეროპერაციების მნიშვნელოვანი კომპონენტია, რადგან ის როგორც თავდასხმის, ისე თავდაცვის პროცესებში ქმნის კონფიდენციალურ და უსაფრთხო გარემოს, რაც თანამედროვე კიბერსაომარი მოქმედებებისთვის კრიტიკულია.

Tor ტექნოლოგიის უპირატესობები სამხედრო სფეროში

კონფიდენციალურობის მაღალი დონე

Tor ტექნოლოგიის გამოყენება სამხედრო ოპერაციებში მნიშვნელოვანია იმით, რომ ის უზრუნველყოფს მაღალი კონფიდენციალურობის დონეს. Tor-ის გადაცემის პროცესში მონაცემები სამჯერ ხდება დაშიფრული, სანამ ისინი გამოჩნდება საბოლოო დანიშნულების ადგილზე. ეს ტექნოლოგია მნიშვნელოვნად ამცირებს ნებისმიერ ინტერნეტ სი-

ვრცეში მონაცემთა გაჟონვის რისკს და უზრუნველყოფს საიდუმლოს გაჟღერებისგან დაცვას. გარდა ამისა, Tor-ის ქსელზე წვდომა ბლოკავს მტრის თვალყურს, რაც ხელს უშლის პირადი ინფორმაციის მოპოვებას.

ცენზურის გვერდის ავლა

ტექნოლოგიის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი უპირატესობაა მისი უნარი გადაუხვიოს სახელმწიფო ცენზურას ან სხვა შეზღუდვებს. Tor საშუალებას აძლევს სამხედრო ოპერატორებს, გადაკვეთონ „ჯვარედინი“ ინფორმაციის შეზღუდვები და გაუმკლავდნენ სიტუაციებს, როდესაც ონლაინ აქტივობები შესაძლოა განიცდიდეს შიდა და გარე ცენზურას. Tor-ის მეშვეობით სამხედროები ადვილად გადავლენ ცენზურის ბარიერებს, თუ მათ მიერ საჭირო ინფორმაციის ან რესურსების გამოყენება ამგვარი შეზღუდვების შედეგად ვერ ხერხდება.

ღია არქიტექტურა

Tor-ის ღია არქიტექტურა უზრუნველყოფს მის ოპტიმალურ გამოყენებას ყველა მომხმარებლისთვის, ვინც მოიხმარს მისი სერვისებს. სამხედროების მხრიდან მისი გამოყენება მარტივია, რადგან Tor-ის გამოყენების კოდები ხელმისაწვდომია, ხოლო მისი ინტეგრირება შეიძლება არსებული თავდაცვის სისტემებში. ეს ღია სერვისები მოიცავს როგორც თავდაცვითი, ისე თავდასხმითი მიმართულების ოპერაციებს, რაც საშუალებას აძლევს სხვადასხვა სამხედრო ძალებს გამოიყენონ Tor როგორც მარტივი და მოქნილი ინსტრუმენტი.

ისტორიული მაგალითები

არაბული გაზაფხული (2011)

არაბულმა გაზაფხულმა, რომელიც მოიცავდა რიგ სახელმწიფოთა მასშტაბით ფართო საპროტესტო გამოსვლებს, მნიშვნელოვანი ცვლილებები მოახდინა სოციალურ და პოლიტიკურ სფეროში. აქტივისტები იყენებდნენ Tor-ს როგორც საშუალებას ინტერნეტცენზურის გვერდის ასავლელად და უსაფრთხო კომუნიკაციისთვის. Tor-ის როლი ამ მოვლენებში ხაზს უსვამს მისი შესაძლებლობებს უსაფრთხო კავშირის უზრუნველსაყოფად მაშინ, როდესაც ხელისუფლება ცდილობდა ინტერნეტს გაკონტროლებს.

უკრაინის კონფლიქტი (2014–დღემდე)

Tor ტექნოლოგია უკრაინის კონფლიქტში გამოიყენება ცენზურისგან თავის ასარიდებლად, ინფორმაციის უსაფრთხოდ გადასაცემად და ანონიმურობის დასაცავად. მისი საშუალებით მოქალაქეები, ჟურნალისტები და აქტივისტები აკრიტიკებენ პროპაგანდას, აწყობენ კონტრპროპაგანდას და უსაფრთხოდ ინახავენ საკუთარ მონაცემებს, განსაკუთრებით ოკუპირებულ რეგიონებში, რუსული ძალების მონიტორინგის პირობებშიც კი.

დასკვნა

Tor ტექნოლოგია, თავისი ანონიმურობისა და კონფიდენციალურობის გამო, წარმოადგენს მნიშვნელოვან ინსტრუმენტს თანამედროვე სამხედრო ოპერაციებში. თუმცა მისი უსაფრთხო და ეფექტური გამოყენება მოითხოვს მუდმივ მონიტორინგს, როგორც ტექნიკურ, ისე ოპერატიულ დონეზე. Tor-მა შეიძლება გააძლიეროს უსაფრთხო კომუნიკაცია, დაზვერვა, პროპაგანდის გავრცელება და სხვა სამხედრო ასპექტები, თუმცა მისი გამოყენება ასევე მოითხოვს ზომიერ დაკვირვებას და მტრის მხრიდან წინააღმდეგობის გათვალისწინებას.

რეკომენდაციები:

1. Tor-ს დამატებითი უსაფრთხოების პროტოკოლების ინტეგრაცია.
2. გაგრძელებული ტრენინგი სამხედრო პერსონალისთვის Tor-ის ეფექტური გამოყენებისათვის.
3. განახლებული ქსელური დაცვა, რათა შემცირდეს სუსტი კვანძების საფრთხე.

Tor-მა არამარტო დაამკვიდრა თავისი ადგილი სამხედრო პრაქტიკაში, არამედ გახდა ძირითადი ინსტრუმენტი ისეთ რეგიონებში, სადაც მნიშვნელოვანია კონფიდენციალურობის დაცვა.

გამოყენებული ლიტერატურა

- Tor Project. (2023). *Understanding Onion Routing and Its Applications*. <https://www.torproject.org>
- Goldschlag, D. M., Reed, M. G., & Syverson, P. F. (1996). *Onion Routing for Anonymous Connections*. In *Communications of the ACM*, 42(2), 39–41.
- Freedom House. (2022). *Freedom on the Net: Internet Freedom and Its Role in Global Conflicts*. <https://freedomhouse.org>
- Kshetri, N. (2015). *Cybersecurity and Cyberwar: What Everyone Needs to Know*. Oxford University Press.
- Bruce, S. (2019). *Anonymity and Privacy in a Networked Society*. Cambridge University Press.
- Coker, C. (2020). *The Rise of Cyber Warfare: Virtual Conflicts in the 21st Century*. Routledge Press.
- კიბერუსაფრთხოების საერთაშორისო ანალიტიკა. (2021). *კიბერუსაფრთხოება და სამხედრო ოპერაციების ტექნოლოგიები*.
- Rid, T. (2013). *Cyber War Will Not Take Place*. Oxford University Press.
- Biryukov, A., Pustogarov, I., & Thill, F. (2013). *Content and Popularity Analysis of Tor Hidden Services*. In *Proceedings of the ACM SIGSAC Conference*.
- NATO Cooperative Cyber Defence Centre of Excellence (CCDCOE). (2022). *Cyber Defence Strategies and the Role of Anonymity Technologies*. <https://ccdcoe.org>